ვლადიმერ ჯანტურია

სისხლიანი დღეები სამურზაყანოში
(გალის რაიონი)



ქ. ზუგდიდი
1998წ.

არაკისა და არაფრის დაკიწყება... სწორედ ამ მიზანს ემსახურება ვ. ჯანტურიას მიერ დიდი რუდუნებით შექმნილი მონოგრაფია „სისხლიანი დღეები სამურზაყანოში“, იგი მიძღვნილია იმ ადამიანების სსოვნისადმი, ვინც თავი შესწირა ქვეყანას, სამშობლოს ტერიტორიულ მთლიანობას. დაუკიწყარია იმათი სსოვნაც, ვინც ვერ გაუძლო განდევნას, საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად ქცევას და მშობლიურ კერას მოწყვეტილს ადგილის დედის ნატვრაში აღმოხდა სული. ღირსეული პატივის მიგება გარდაცვლილთა სსოვნისადმი, ჭირისუფლებისადმი· თანადგომა, აი, რა მიზანს ისახავს ეს წიგნი.

„სისხლიანი დღეები სამურზაყანოში“ განკუთვნილია ყველა ერისა და თაობის მკითხველთა ფართო წრისათვის. განსაკუთრებით მომავალმა თაობებმა ამ სისხლიანი ფურცლებიდან უნდა გაიგონ, თუ რა დღეები გადავიტანეთ, რათა გააკეთონ სწორი დასკვნები, რომ არასოდეს განმეორდეს მსგავსი ტრაგედია.

·ბედნიერი გზა ჰქონოდეს ამ წიგნს მკითხველის გულამდე და გაემართლებინოს თავისი პირდაპირი დანიშნულება.

რედაქტორი **მურმან ჟედია**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

Автономтэ Республика
Иреиҳазоу Асовет Аҧснытъ

Верховный Совет Автономной
Республики Абхазия

«15» 12 1997 г.
№ 533

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მაღლის რაიონის მამაცაბელს

ბატონ მურმან ჯიდიას

ბატონო **მურმან!**

დიდი ინტერესით გავეცანი თქვენგან მოწოდებულ და ავტორთა ჯგუფის მიერ გამოსაცემად მომზადებულ მასალებს „სისხლიანი დღეები სამურზაყანოში".

იგი სინანულისა და მოწონების შთაბეჭდილებას ტოვებს და ადამიანს თავისი ხალხისა და ქვეყნის ბედზე სერიოზული პასუხისმგებლობით განაწყობს...

სინანულისა..., იმიტომ, რომ საქმე ეხება ადამიანთა სულებს, რომლებიც შეიწირა უგუნურმა, პროვოცირებულმა კონფლიქტმა და მისგან გამომდინარედ განვითარებულმა მოვლენებმა.

სინანულისა... იმიტომ, რომ საუკუნეებში მრავალ თაობათა დაუღალავი შრომის და მდინარეებად დაღვრილი ოფლისა და სისხლის შედეგად წალკოტად ქცეული მხარე გაანადგურეს, გადაწვეს და გადაბუგეს, დანგრიეს და ნაცარტუტად აქციეს.

მოწონებისა..., იმიტომ, რომ იგი დაწერილია მომავლისადმი ოპტიმისტური რწმენით, იმის შეგნებით, რომ დატრიალებული მოვლენების ობიექტური წარმოჩენა, იმის ჩვენება, თუ რა ქრცეცხლმა გადაუარა სამურზაყანოს ჩვენი დღევანდელი თაობების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

მოწონებისა იმიტომ, რომ მასში დანახულია ის დადებითი ფაქტები და მოვლენები, რომლებმაც უნდა განაპირობოს ქართველი, აფხაზი და სხვა ხალხების თანაცხოვრებაში კეთილის ნახვა და მისით აპელირება.

მოწონებისა იმიტომ, რომ სამურზაყანოს, საბედიანოს, საგორგასლოს შერჩა ძალა და ენერგია, დაუდეგარი სული და მისწრაფება მომავლისაკენ, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კვლავ და სამარადჟამოდ ქართული სულს, ქართული გენის დამკვიდრება მთელს აფხაზეთში.

ახალი წარმატების სურვილებით ამ უკეთილშობილეს გზაზე!

პატივისცემით,

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თ. ნადარეიშვილი

თბილისი.
1997 წლის 12 დეკემბერი.

АПСНЫТӘИ А. Р. АМИНИСТРЦӘА РСОВЕТ
АҨСҲАЗЕТИС АВТОНОМИЕТРИ РЕСПУБЛИКИС МИНИСТРТА САВЕТИ
СОВЕТ МИНИСТРОВ АВТОНОМНОЙ РЕСПУБЛИКИ АБХАЗИЯ

«12» ნოემბერი 1997 წ.

№ 647

გალის რაიონი, ოდითგანვე სამურზაყანოდ ცნობილი, ყოველთვის წარმოადგენდა ქართული კულტურის განვითარებისა და თვითმყოფადობის დაცვის ცენტრს. საქართველოს ისტორიულ წყაროებში არა ერთხელ არის მოხსენებული მისი დიდი როლი ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლაში.

აფხაზეთში ძმათამკვლელი კონფლიქტის დროს გალის რაიონმა ყველაზე ბოლოს იწვნია ომის მსახვრალი ხელი, მაგრამ ის, რაც საკუთარი ფუძიდან ძირძველი მოსახლეობის აყრის შემდეგ დაატყდა ამ რაიონს თავს, ამაზრზენი და ცივილიზებული სამყაროსათვის ყოვლად მიუღებელია.

აფხაზეთში ინსპირირებულმა ტრაგედიამ, სეპარატისტთა მიერ ქართული მოსახლეობის ეთნიკურმა წმენდამ და გენოციდმა, დაწყებულმა ვაგრაში, თავისი განვითარება გალის რაიონში ჰპოვა. ეს ის რაიონია, რომელიც ოთხი წელია უძლებს გაუსაძლის ყოფას და უმწეო მოხუცებისა და ქალების ამარა დარჩა. ისინი მხოლოდ იმიტომ დარჩნენ მშობლიურ სახლებში, რომ სხვაგან თავის შეფარება ვერ მოახერხეს, ვერ მიატოვეს ავადმყოფები და უძლურები, ვერ გაწირეს პირღია საფლავები, ყოველდღიურად განიცდიან ბანდიტური დაჯგუფებების თავდასხმებს.

წინაპართა მსგავსად, ცალ ხელში იარაღით, მეორეთი მიწას ამუშავებენ, ოფლს ღვრიან, რათა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში თავშეფარებულ შვილებს დღიური ლუკმა გაუჩინონ. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გალის რაიონში ნაწამებია და დახოცილი ათას სამასზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე.

ყოველივე, რაც გალის რაიონში დატრიალდა, კარგად აისახა გალის რაიონის გამგეობის მიერ მომზადებულ მონოგრაფიაში „სისხლიანი დღეები სამურზაყანოში". კრებული დოკუმენტური ხასიათისაა, ილუსტრირებულია ტრაგედიის ამსახველი სურათებით, ნათლად ასახავს როგორც სამურზაყანოს ისტორიულ წარსულს, ასევე თანამედროვე სიტუაციას. ამ მონოგრაფიას მეტად მნიშვნელოვანი როლი აკისრია სეპარატისტთა მიერ დატრიალებული ტრაგედიის მხილებაში. იგი სიმართლეს ემსახურება.

მიესალმები კრებულის ავტორთა კეთილშობილურ საქმიანობას და სავსებით ვიზიარებ მათ ეულისტკივილს მშობლიური კუთხის ტრაგედიის ეამო.

დარწმუნებული ვარ, რომ წარმოდგენილი ნაშრომი, შთაგონებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ სწრაფვით, ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს აგრესიული სეპარატიზმის მხილებისა და დაძლევის მამულიშვილურ საქმეში.

მალე დადგება ის სანატრელი დღე, როცა სისხლით მონათესავე ქართველები და აფხაზები მომავალ თაობათა ბედ-იღბალზე ზრუნვითა და პასუხისმგებლობით გაერთიანებულნი მოიშუშებენ ტკივილებს, პატივს მიაგებენ სამურზაყანოს თვითმყოფადობასა და მისწრაფებებს.

მკითხველი დამეთანხმება, რომ კრებული ვამსჭვალულია ჩვენი ისტორიული ერთობის გრძნობით, ქვეყნის წინაშე მოქალაქეობრივი ვალის მოხდის პიროვნული და კოლექტიური პასუხისმგებლობით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ——— ზ. ერქვანია

ქ. თბილისი.
1997 წლის ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის წევრი
Member of the Parliament of Georgia

აფხაზეთი— ჩვენი ყველაზე დიდი და მძიმე სატკივარი. უმოწყალოდ დახოცილი თანამემამულენი, შელახული თავმოყვარეობა, დაკარგული ტერიტორიები—უმძიმეს მდგომარეობაში აყენებს ჩვენს მოსახლეობას, მაგრამ იმედი მაინც არსებობს, რომ აღდგება ისტორიული სამართლიანობა, იზეიმებს სამართალი და კაცთმოყვარეობა.

სწორედ ამ საკითხისადმი არის მიძღვნილი გალის რაიონის გამგეობის მიერ მომზადებული მონოგრაფია, მიძღვნილი ისტორიულ სამურზაყანოსადმი (დღევანდელი გალის რაიონი). მოკლე ისტორიული შესავალის შემდგომ განხილულია დღევანდელ გალის რ-ნის ტერიტორიაზე მიმდინარე ისტორიული პროცესები და სინამდვილე. უდიდესი გულისტკივილით აღწერილია თვითეული შემთხვევა ჩვენი თანამოქალაქეების ფიზიკური განადგურების, უმოწყალოდ ჩაგვრის და საერთოდ ადამიანთა უფლებების დარღვევის შესახებ. შეუძლებელია ცრემლის გარეშე წაიკითხო უდიდესი გულისტკივილით აღწერილი ყოველი ფაქტი. ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გაწეულია უდიდესი სამუშაო, მოკვლეულია უამრავი ფაქტობრივი მასალა, რომელიც უახლოეს მომავალში საჭიროებს სათანადო სამართებლივ შეფასებას.

ჩვენი აზრით, მსგავსი ნაწარმოების შექმნა საღღეისოდ უაღრესად აქტუალურია და საჭირო. მიგვაჩნია, რომ აფხაზეთის სხვა რაიონების გამგეობებმაც უნდა მიბაძონ გალის რ-ნის გამგეობას და შეიქმნას ანალოგიური დოკუმენტური ნაშრომები. სწორედ მათ საფუძველზე შესაძლებელი გახდება ერთიანი, სრულყოფილი ნაშრომის მომზადება აფხაზური სეპარატიზმის ბუნების და კაცთმოძულეობის სამხილებლად.

საჭიროდ მიგვაჩნია სარეცენზიოდ წარმოდგენილი ნაშრომი სასწრაფოდ იქნას გამოქვეყნებული. ასევე აუცილებელია მისი თარგმნა, რომელიმე უცხო (შესაძლოა რუსულ) ენაზე და ისე მისი გავრცელება. ჩვენ ხომ ისე ჩამოვრჩით იდეოლოგიურ დარგში აფხაზებს, რომ მეტი გაჩერება შეუძლებელია.

საქართველოს პარლამენტის წევრი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
აფხაზეთის აკადემიის ნამდვილი წევრი მალხაზ ბარამიძე

მწარე გაკვეთილი

როგორც გალელმა, ნორმალურად ჩავთვალე, როცა მთხოვეს, წამეკითხა წიგნი, რომელშიც გალის რაიონის ტრაღვედიაა მოთხრობილი. თხოვნა დიდი პასუხისმგებლობით შევასრულე. მაგრამ ის, რასაც ახლა ვწერ რეცენზია კი არა, ჩემი სულიერი და ხორციელი ტკივილი და კვნესაა. არ მინდა დავმალო, რომ წინამდებარე წიგნი უცრემლოდ ვერ წავიკითხე. და ეს არცაა გასაკვირი, რადგან მასში აღწერილია ჩემი მშობლიური ადამიანების, ახლობელთა და ნაცნობთა ტანჯვა-წამება, რომელიც მათ არაფრით დაუმსახურებიათ, თითქოს ამ წიგნის წაკითხვამდეც ყველაფერი ვიცოდი, რაც აფხაზმა სეპარატისტებმა ჩაიდინეს, მაგრამ მათი დოკუმენტური აღწერა და ავტორთა პოზიცია უფრო შთამბეჭდავი აღმოჩნდა, ავტორები სეპარატისტებსა და მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს ეპითეტებს არ აკლებენ (და სრულიად დამსახურებულად), მაგრამ მე კიდევ უნდა გავიმეორო: მხოლოდ არაკაცებსა და მხეცებს შეეძლოთ ხელი აღემართათ შოთა ჯღამაძისა და სევერიან მალაზონიას მოსაკლავად! ასეთები კი ათეული ათასობით ადამიანია.

შეიძლება ვინმემ თქვას: რად გვინდა ამ საშინელებათა დაფიქსირება, უკეთესი არ იქნება, რაც უფრო მალე ამოიშლება ეს სამარცხვინო ფურცელი ჩვენი მეხსიერებიდან?! ამის საპასუხოდ მე მინდა ვთქვა: არა, დავიწყებას არ უნდა მიეცეს ის, რაც აფხაზეთში მოხდა ამ ავადმოსაგონარ წლებში, ეს იმიტომ კი არა, რომ მტრობა ჩავთესოთ მომავალ თაობათა შეგნებაში, არც იმიტომ, რომ ისეთივე ბარბაროსული მეთოდებით ვიძიოთ შური. მომხდარის დაფიქსირება, პირველ რიგში, საჭიროა იმიტომ, რომ იგი ჩვენთვის მწარე გაკვეთილია. მომხდარი დავიწყებას არ უნდა მიეცეს კიდევ იმიტომ, რომ არ შეგვეშალოს რისი პატიება და დათმობა შეიძლება და რისი—არა. ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. ისეთი რამეებიც არსებობს, ძმა ძმას რომ ვერ აპატიებს. ყველაფრის პატიება და დათმობა ჩვენი მტრების ბანაკში წარმოშობს ვარაუდს: ქართველები დათმობებზე მიდიან იმიტომ, რომ ყველაფერში თვითონ არიან დამნაშავე, ან კიდევ უარესი: ქართველები ასე იქცევიან იმიტომ, რომ დაკარგეს ღირსებისა და სირცხვილის გრძნობა, გადაგვარდნენო.

ჩვენ უფლება არა გვაქვს ასეთ გზას დავადგეთ. წინამდებარე წიგნიც ამ კეთილშობილურ მიზანს ემსახურება. ამიტომ იგი უეჭველად უნდა

გამოიცეს. კიდევ მეტი: სასურველია ივივე გააკეთონ აფხაზეთის სხვა რაიონებშიც, რათა ადამიანთა მეხსიერებამ შემოინახოს საქართველოს ამ კუთხეში დატრიალებული ტრაღედიის სრული სურათი.

თავდაპირველად მომეჩვენა, რომ ზოგიერთი ისტორიული ექსკურსი ზედმეტი იყო, მაგრამ წიგნი ბოლომდე რომ წავიკითხე, ეს შენიშვნაც მოისხნა: წარსულის გახსენებამ კიდევ უფრო გააძლიერა აღშფოთება სეპარატისტთა წინააღმდეგ. და ეს ცუდი როდია: ჩვენი დამარცხების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისიცაა, რომ მთელი საქართველო ერთნაირად როდი აღშფოთდა იმით, რაც აფხაზეთში მოხდა.

ბოლოს, ორიოდე სიტყვა ავტორთა შესახებ. მხოლოდ მშობლიური კუთხისა და ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულით გულანთებულ ადამიანებს შეეძლოთ ასეთი უზარმაზარი მასალის თავმოყრა, ანალიზი, ლიტერატურული დამუშავება. აღტაცებას იწვევს მათი პატრიოტიზმი და მონდომება, ემოციურობა და ერუდიცია. მადლობა მათ ამისათვის.

ირიდიონ ქვაჩახია

პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

საქართველო
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა
გალის რაიონის გამგეობა

ГРУЗИЯ
АВТОНОМНАЯ РЕСПУБЛИКА АБХАЗИЯ
УПРАВА ГАЛЬСКОГО РАЙОНА

ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის, 35, ტ.: 98-93-24.
ქ. თბილისი, ინგოროყვას, 8, ტ.: 98-87-59
№ 350

г. Зугдиди, Агмашенебели, 35, т.: 98-93-24
г. Тбилиси, Ингороква, 8, т.: 98-87-59

17 1997 წ. ნოემბერი

წინამდებარე წიგნი **„სისხლიანი დღეები სამურზაყანოში“** წარმოადგენს პირველ მცდელობას ასახოს და დააფიქსიროს საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უნიკალური კუთხის—გალის რაიონის (ისტორიული საბედიანოს ნაწილის, შემდეგ, ეარკვეულ პერიოდში, სამურზაყანოდ წოდებულის) მოსახლეობაზე თავსდამტყდარი ისტორიული უბედურება, ტრაგედია, რასაც დაერქვა ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, ეენოციდი აფხაზეთში 1992 წლიდან დღემდე.

გალის რაიონის ტრაგედია აფხაზეთის საერთო ტრაგედიის ერთი ნაწილია, მისი ერთი აქტი.

დახვეწილი, კლასიკური ხერხებით ეანხორციელებული ეთნიკური წმენდა აფხაზეთში, რომლის სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი იყო და არის რუსეთის იმპერია, ხოლო შემსრულებელი—აფსუა სეპარატისტები და მათი ჩრდილოეთ-კავკასიელი ძმები, დაფიქსირებული და დაგმობილია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების საფუძველზე შექმნილ ოფიციალურ საერთაშორისო დოკუმენტებში (ეუთოს ქვეყნების ბუდაპეშტის კონფერენცია 1995 წ., ევროპის ქვეყნების მადრიდის სამიტი 1996 წ., გაეროს მრავალრიცხოვანი რეზოლუციები და სხვა), მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია იმ ათასობით წამებით დახოცილი უდანაშაულო ადამიანების ოჯახებისათვის, რომლებიც დახოცეს იმიტომ, რომ ქართველები იყვნენ.

გალის რაიონში ადგილობრივი მოსახლეობის ფიზიკურ წმენდას შეეწირა 1300-მდე მშვიდობიანი, უდანაშაულო ადამიანი, რაც მთლიანად აფხაზეთში ამევარი კატეგორიით დაღუპული ქართველების 25 პროცენტს შეადგენს.

ჩვენ ცოცხლებს ყველას გვქენჯნის სინდისი მათი ხსოვნის წინაშე, იმის გამო, რომ თავის დროზე და ჯეროვნად არ ვიღონეთ აფხაზურ-ქართული ძმათამკელელი შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ხოლო ომის გაჩაღების შემდეგომ მისი ესკალაციის დაუშვებლობისათვის, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო მტრული ეარე ფაქტო-

რები, იმდენად ვერაგული და მუხანათური საქართველოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ შეთქმულების ავტორთა ჩანაფიქრი და მოქმედებები, ამასთან ისე სუსტი იყო ჩვენი თავდაცვის ფრონტი, რომ, როგორც ეს უკვე დღეს ჩანს, ამ ომის აცილება და მით უმეტეს, შემდეგ მასში ჩვენი გამარჯვება შეუძლებელი იყო. ჯერჯერობით დაევრჩენია, დავაფიქსიროთ დანაკარგები და გავაანალიზოთ დამარცხების მწარე გაკვეთილი.

წინამდებარე წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და მიზნად ისახავს ფართო ქართული საზოგადოების ინფორმირებას აფხაზეთის აგრესიული სეპარატიზმის მიერ ჩადენილ დანაშაულობებზე გალის რაიონში.

მისმა შემდეგნლებმა საჭიროდ ჩათვალეს წიგნის ძირითადი ნაწილისათვის წინ წარემძღვარებინათ შედარებით ვრცელი კომპილიატიური ხასიათის ექსკურსი აფხაზეთისა და საკუთრივ გალის რაიონის ისტორიიდან. წიგნის ძირითადი დანიშნულებიდან ეამომდინარე, ერთი შეხედვით, შეიძლება ვინმემ ეჭქვეშ დააყენოს ამევარი მიდგომა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგია ყოველ ნაბიჯზე დეზინფორმაციული არსენალის ყოველნაირი საშუალებებისა და ხერხების გამოყენებით აყალბებს და ამახინჯებს აბსოლუტურად უტყუარ ისტორიულ ფაქტებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობებიდან, მაშინ ავტორთა ამევარი გადაწყვეტილება მისაღები და გასაგები ხდება. ჯერ ერთი, საჭიროა, რაც შეიძლება ხშირად და ხმამაღლა სხვადასხვა რაკურსში შევახსენოთ როგორც მტრებს, ისე მოყვარეებსა და საკუთარ თავსაც ის უცილობელი, მეცნიერულად დადგენილი უდავო ისტორიული ფაქტები, რომლებიც ცალსახად ადასტურებენ, რომ აფხაზეთი საქართველოს ორგანული, მოუკვეთადი ნაწილია. მეორე, ისტორიული ექსკურსი, რომლის მიზანია ქართველთა და აფხაზთა ისტორიული ერთობის, მეგობრობის ჩვენება, ხელს უწყობს მკითხველში აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა ადექვატურ აღქმას.

წიგნის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ფაქტობრივ და დოკუმენტურ მასალებზე აგებულ რეალურ (თუმცა ამ ეტაპზე არასრულ) სურათს აფხაზი სეპარატისტების მიერ, რუს და ჩრდილო-კავკასიელ ბანდიტურ ფორმირებებთან ერთად, გალის რაიონში მოწყობილი ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური წმენდისა, გენოციდისა, რომელიც ძირითადად გალის რაიონის გამგეობასთან ამ მიზნით შექმნილი სპეციალური კომისიის წევრების მიერ სასწაულებრივად სიკვდილს გადარჩენილთა, თვითმხილველთა ცნობებისა და ჩვენებების საფუძველზეა შექმნილი. წიგნში მოყვანილი ზოგიერთი ფაქტი დაფიქსირებულია გაეროს დამკვირვებლებისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის

წარმომადგენლების სპეციალურ ანვარიშებში. ამდენად აქ აღწერილი ფაქტების ობიექტურობა და უტყუარობა ეჭვეგარეშეა. სწორედ ამაშია ამ წიგნის ძირითადი დანიშნულება. იგი შეიძლება ოდესმე ერთ-ერთ მამხილებელ დოკუმენტად დაიდოს მომავალ საერთაშორისო ტრიბუნალზე, რომელიც აფხაზურ სეპარატისტულ ფაშიზმს და მის ხელშემწყობთ. ეაასამართლებს.

წიგნს სხვა დანიშნულებაც აქვს. იგი ემსახურება ქართულ და აფხაზურ უაზრო, ძმათამკელელ ომში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავყოფას, საქართველოს მთლიანობისათვის, მამულისათვის უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაღუპულთა, ათასობით დახოცილი სრულიად უდანაშაულო მშვიდობიანი, მშრომელი ადამიანების ჭირისუფალთა ოჯახების ნუგეშისცემას, მორალურ თანადგომას. ამიტომ ეასაეები უნდა იყოს წიგნში შესული ნარკვევების, წერილების, მოგონებებისა და ნეკროლოგების ლიტერატურულ-სტილისტური თავისებურება — ერძნობადი, ემოციური ტონალობა. მათი ავტორები ხომ დაღუპულთა ახლო ნათესავები, მეგობრები ან ნაცნობები არიან.

„სისხლიანი დღეები სამურზაყანოში" მომავალი თაობებისთვისაცაა ეანკუთვნილი, სიმართლე აფხაზეთის შესახებ სწორედ მათ სჭირდებათ ანალიზისა და ეანსჯისათვის, რომ არასოდეს და არსად არ ეანმეორდეს მსგავსი შეცდომები, არ ეანმეორდეს ტრაგედია.

გალის რაიონის გამგეობა

წინასიტყვაობა

დანამდვილებით ვიცი, რომ ამ წიგნის წაკითხვის დროს ბევრი ცრემლი დაიღვრება, კიდევ ერთხელ გაგვეხსნება გულის ჭრილობა, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს თავს მარად მოურჩენელი იარა.

ვიცი ისიც, რომ ამ წიგნს ბევრი ნაკლიც ექნება. შეიძლება ცალკეული უზუსტობაც შეგვხვდეს. არ არის გამორიცხული, რომ ბევრი ღირსეული პიროვნება გამორჩენილიც კი იყოს. აქედანვე მუხლმოდრეკით ვთხოვ მათ აჩრდილებს და მათსავე ჰირისუფლებს, შეგვინდონ უნებლიე შეცდომები.

მოვა დრო და თითოეულის სახელი ღირსეულად დაფასდება. სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაცემულ გმირთა **„ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს“.**

ამ წიგნის შექმნაში ბევრი ადამიანის უანგარო შრომაა ჩაქსოვილი. ქალაქის დაღუპულ მოსახლეთა სურათები მოიძიეს და ნეკროლოგები შეადგინეს გალში დარჩენილმა ჩვენმა თანამემამულეებმა, დევნილმა მეგობრებმაც სერიოზული წვლილი შეიტანეს ომში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავყოფის საქმეში, მასალების გარკვეული ნაწილი აღებულია პერიოდული პრესიდან; უფრო მეტად გაზეთ „გალის“ პუბლიკაციებიდან ზოგიერთი დაღუპულის სურათის მოპოვება ვერ მოხერხდა, მხოლოდ ამ მიზეზით ვერ მოხვდნენ ისინი ამ წიგნში. ეს ნაკლი გასწორებული იქნება წიგნის მორიგი გამოცემის დროს.

წიგნის მოსამზადებლად და დასაბეჭდად დიდი შრომა გასწია გალის რაიონის გამგეობამ.

თითოეული დაღუპულის ჰირისუფალთა და პირადად ჩემი სახელით დიდ მადლობას მოვახსენებ მათ.

უძველეს დროში სპარსელები მილეტელებს შესევიან და უმოწყალოდ ამოუჟლეტიათ, მილეტის დაცემას დიდი მწუხარება გამოუწვევია ათენელებში. ამ მოვლენაზე ერთ-ერთ მწერალს დრამაც კი დაუწერია.

„როდესაც ფრინიქოსმა დაწერა დრამა „მილეტის აღება“ და ის დაიდგა, მთელი თეატრი ცრემლად დაიღვარა, ხოლო ავტორი... დააჯარიმეს 1000 დრაქმით, როგორც საკუთარი უბედურების შემხსენებელი და განკარგულება გასცეს არასდროს არავის დაედგა ეს დრამა“/ჰეროდოტე, „ისტორია“, გვ. 367/.

ვინ იცის რა ბედი ეწვევა ამ წიგნს. მიუხედავად ამისა; მისი შექმნა და დაბეჭდვა მაინც აუცილებლად ჩავთვალეთ, იმიტომაც, რომ ჩვენმა შთამომავლობამ იცოდეს, თუ რა ჯოჯოხეთი გამოიარეს მათმა წინაპრებმა.

ავტორი

„სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორთავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.“

რ. ერისთავი

აფხაზეთი ჩვენი

აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხეა. შავი ზღვა, მთები, ფლორა და ფაუნა, ტბები, მიწისქვეშა მღვიმეები,ზღვის ნოტიო, სუბტროპიკული ჰავა, თერმული წყლები წარუშლელ ზეგავლენას ახდენს მნახველზე.

აფხაზეთის ტერიტორია მთელი საქართველოს ტერიტორიის 12,5 პროცენტია და 8,7 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, აქედან 74 პროცენტი მთა-ვორებს უჭირავს. ამ მხარეში ორი ათასზე მეტი სახეობის მცენარეს ითვლიან, აქვე ეეხვდება ბარისა და მაღალი მთის ცხოველთა სახეობები, აფხაზეთი მდიდარია თევზეულითაც.

აფხაზეთში აღმოჩენილი უძველესი კულტურის ძეგლები განეკუთ-ვნება ქვედა პალეოლითის ეპოქას, ნეოლითის ხანიდან ამ რეგიონში იწყება ადამიანის საწარმოო საქმიანობა. აქ ადრინდელი ბრინჯაოს ეპო-ქაში ჩასახულა ბრინჯაოს მეტალურგია, განვითარებულა მწყემსური მესაქონლეობა, მიწათმოქმედება.

ძვ. წ. მეორე—პირველი ათასწლეულის მიჯნაზე ჩნდება პირველი რკინის ნივთები. ამ პერიოდში ეს მხარე მთლიანად შედიოდა კოლხეთის კულტურის არეალში.

ჩვენს ერამდე X-II საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში არსებობდა კოლხეთის სამეფო. როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, კრებსითი სახელი „კოლხეთი“ პირველად ძვ. წ. მე-8 საუკუნეში ურარტულსა და ასურეთის მეფის ტიგლამ პალასარის წარწერებში ეეხვდება. სტრაბონის, არისტოტელეს, პლატონის შრომებში მოხსენიებულნი არიან იბერები, კოლხები, სვანები.

ძვ. წ. მეორე-პირველ ს-ებში კოლხეთის სამეფოს ნაწილი შედის პონ-ტოს სამეფოს შემადგენლობაში დედაქალაქით სინოპი (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია). პონტოს სამეფომ მითრიდატე მე-6 ევპატორის

(კეთილშობილი). მეფობის დროს უძლიერესი წინააღმდეგობა გაუწია რომაელებს. მითრიდატეს თავისი ახალგაზრდობის 7 წელი კოლხეთში—სოფელ ილორში გაუტარებია, ისტორიკოსების მიერ სწორედ მითრიდატეა აღიარებული ყირიმში ევპატორიის დამაარსებლად.

რომაელებმა მაინც შეძლეს მითრიდატეს დამარცხება და კოლხეთის ტერიტორიის დაუფლება. პირველი საუკუნის ბოლოსათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე აფსილების, აბაზგებისა და სანიგების სამთავროები ჩამოყალიბებულა, რომელთა მთავრებს რომაელი იმპერატორები ამტკიცებდნენ.

ანტიკური ხანის ავტორებს კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე მობინადრე ტომთა შორის დასახელებული ჰყავთ ქართველური წარმოშობის ტომები; კოლხები—მეგრელ-ჭანური, ლაზური მოსახლეობა, სვანები, ზოგიერთი სხვა ტომიც—პენიოხები, სანიგები. ისტორიკოსების მიერ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ კოლხური კულტურის შემქნელები იყვნენ კოლხები და სხვა დასავლურ-ქართველური ტომები (სასპერები, ტიბარენები, მაკრონები), მითითებულია იმაზეც, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებობდა ამ კულტურის ლოკალური ვარიანტი, რომელიც უნდა მოწმობდეს მოცემულ რეგიონში ეთნიკურად, არაერთგვაროვანი, ერთმანეთის მონათესაეე მოსახლეობის არსებობაზე.

მთელი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია შედიოდა კოლხეთის სამეფოში, რომელიც იმავდროულად შექმნილ ქართლის (იბერიის) სამეფოსთან ერთად იყო უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება და აქედან იწყება სწორედ საქართველოს სახელმწიფოებრივი ფორმირება.

პირველ-მეოთხე საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში არსებობდა ეგრისის (ლაზიკის-ბერძნები ეძახდნენ ასე) სამეფო, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბიზანტიის სამეფოს ემორჩილებოდა. ისტორიკოსები მიუთითებენ, რომ ამ პერიოდში ეგრისის სამეფოში გამოჩნდნენ მოხეტიალე ტომები აბაზგების სახით.

ახალი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში მთელი დასავლეთ საქართველო ერთიანდება ეგრისის (ლაზთა) სამეფოს გარშემო. ეგრის-ლაზიკის მეფეთა ხელისუფლების ქვეშ იყვნენ აფსილებიც, აბაზგებიც, სანიგებიც. აფსილები უშუალოდ შედიოდნენ ეგრისის სამეფოში, ხოლო აბაზგები ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ ეგრისთან. მოვიანებით ქართველთა და აფხაზთა ეთნიკური საზღვარი მდინარე კელასურთან გადიოდა, აფსილებს ეკავათ სამხრეთი ნაწილი, აბაზგებს ჩრდილოეთი—მდინარე ბზიფამდე, სანიგები კი მეექვსე საუკუნიდან ლოკალიზდებიან ბზიფის გაღმა—ახლანდელი გაგრა-ადლერის რაიონში. დღევანდელ აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის მთიანი ნაწილი (წებელდიდან კავკასიონის

დიდ ქედამდე) ეკავა მისიმიანთა სვანურ ტომს. (იხ. „აფხაზეთის სისხლიანი ქრონიკები“).

მე-8 საუკუნეში დასავლეთ საქართველოში დაფუძნდნენ აღმოსავლეთ საქართველოდან არაბების მიერ გამოდევნილი ქართველი ერისთავები, სამხრეთში კი არაბებისაგან დევნილი ქართლის ერისთავის აშოტ კურაპალატის მეთაურობით შეიქმნა ტაო-კლარჯეთის საერისთავო.

მე-8 საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბდა აფხაზეთის სამთავრო.

არაბებმა, მურვან ყრუს მეთაურობით, 730 წელს, ქართლის დალაშქვრის შემდეგ, მთლიანად გადაკეტეს დარიალის კარი, რათა ბიზანტიას იქიდან ხაზართა მაშველი ჯარი არ მიშველებოდა. 735 წელს მურვანმა სამცხეში ოძრახესთან იბერიელთა ჯარი დაამარცხა და შემდეგ ეაილაშქრა ეგრისში, აიღო ციხე-გოჯი (ნოქალაქევი), შემდეგ კი კლისურის ციხე და ცხუმი. ეს კი ნიშნავდა ბიზანტიაზე გალაშქრებას, რადგან სამცხე და ეგრისი ბიზანტიის მფარველობის ქვეშ იყვნენ. არაბები მოკლე ხანში გაეცალნენ ამ მხარეს, მაგრამ ბიზანტია არ ენდობოდა ლაზიკის პატრიკიოზს სერგი ბარნუკის ძეს, რომელმაც კეისრის მტრობით თავისი საერისთავო არაბებს გადასცა, ამიტომ ბიზანტიის კეისარმა დააწინაურა აფხაზეთის ერისთავი ლეონ პირველი, რომელსაც დამკვიდრებული ჰქონდა საერისთავოდ აფხაზეთი კლისურიდან დიდის ხაზარეთის მდინარემდე.

ბიზანტიის მიერ აფხაზეთის ცალკე საერისთავოდ გამოყოფა მიმართული იყო ეგრისის სამეფოს მთლიანობის წინააღმდეგ („გათიშე და იბატონეს“ პრინციპით.) ამავე დროს აფხაზეთი იქნებოდა ერთგვარი ფარი არაბების შემოტევის საწინააღმდეგოდ.

ლეონ პირველის შემდეგ ერისთავი გახდა ლეონ მეორე, იგი მეფედ იწოდებოდა, ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს მეფედ ლეონ მეორე მემკვიდრეობით გახდა. ჯუანშერის ცნობით, აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლის) მეფე არჩილმა, რომლის ძალაუფლება ეგრისზედ ვრცელდებოდა და ბიზანტიის იმპერატორის ნებით აფხაზეთსაც მფარველობდა, ლეონს ცოლად შერთო თავისი დისწული—ეგრისის მეფის ასული, გადასცა ბიზანტიის იმპერატორის მიერ ნაჩუქარი ერთ-ერთი სამეფოს გვირგვინი და ამით იგი ეგრისის სამეფოს მემკვიდრედ აღიარა.

„მატიანე ქართლისაში“ აღნიშნულია: ეგრისის უმემკვიდრეო მთავრის სიკვდილის შემდეგ ლეონმა მემკვიდრეობით მიიღო ტახტი. ამრიგად, ქართლის მეფის სურვილითა და ეგრისის ტახტის მემკვიდრეზე დინასტიური ქორწინების წყალობით, ასევე ბიზანტიური გავლენის შესუსტებით, ლეონ მეორე გახდა მთელი დასავლეთ საქართველოს მფლობელი და დაიმსახურა მეფის ტიტული. მას ეწოდა „აფხაზეთის

მეფე“ თავისი პირვანდელი სამთავროს სახელწოდების მიხედვით და ასე იქცა დასავლეთი საქართველო „აფხაზეთად“. სრულიად არ არის გასაკვირი, რომ მან დედაქალაქი ანაკოფიიდან (დღევანდელი ახალი ათონი) ქუთაისში გადაიტანა, რომელსაც თავისად და არა დაპყრობილ ქალაქად მიიჩნევდა. (იხ. რ. მიმინოშვილისა და ვ. ფანჯიკიძის „სიმართლე აფხაზეთზე“, გვ. 31).

აქვე დავუმატებ, რომ აფსუებმა სწორედ ისე დაირქვეს ისტორიული ქართველური აფხაზების სახელი, როგორც თანამედროვე არაბებმა ეგვიპტელების სახელი. მათ ეგვიპტელები ჰქვიათ, მაგრამ სინამდვილეში არაბები არიან, რომლებიც მათ მიერ დაპყრობილ ეგვიპტეში ცხოვრობენ.

აფხაზთა მეფე ლეონ მეორე ქართველთა მეფე რომ არ ყოფილიყო, ცნობილი იქნებოდა დამპყრობლის სახელით, ფაქტობრივად კი ის ცნობილია, როგორც გამაერთიანებელი დასავლეთ საქართველოსი, ქართული კულტურის, ქართული მწიგნობრიობის, ქართული პოლიტიკური კურსის, ქრისტიანული სარწმუნოების მეფე.

ცნობილია, რომ ლეონ მეორეს გამეფებას მხარს უჭერდნენ ხაზარებიც, რადგან ლეონ მეორის დედა ხაზართა ხაკანის შვილი იყო. აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბება, როგორც აღინიშნა, თვით ბიზანტიასაც აწყობდა, რადგან იბერიასთან და სხვა მოსალოდნელ შემომტევ ძალებთან მას აფხაზეთის სამეფოს სახით თავისებური ფარი ექმნებოდა. აფხაზთა სამეფოში შედიოდნენ, მომდევნო ხანის ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინები რომ გამოვიყენოთ, საკუთრივ აფხაზეთის, ცხუმის, ოდიშის, რაჭა-ლეჩხუმის (თაკვერი), გურიის, ქუთაისის და შორაპნის სამთავროები. საკუთრივ აფხაზები აქ მხოლოდ ორ (აფხაზეთისა და ცხუმის) საერისთავოში ცხოვრობდნენ. მათთვის ქართული ენა იყო სახელმწიფოებრივი და საეკლესიო ენა, მეათე საუკუნიდან მთელი დასავლეთი საქართველო მოქცეული იყო ქართულ ქრისტიანულ სამყაროში. 978 წელს გარდაიცვალა აფხაზთა უშვილო მეფე ფეოდოსი. შეწყდა აფხაზ მეფეთა დინასტია, აფხაზთა მეფის ტახტი დაიკავა ბაგრატ მე-3 ბაგრატიონმა (978-1014), რომელმაც 1008 წელს მამისეული ქართლის სამეფოც მიიერთა და ამით ფაქტიურად გააერთიანა მთელი საქართველო. ბაგრატი 36 წელი მეფობდა. გაერთიანებულმა საქართველომ ძლიერების ზენიტს კი დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის მეფობის დროს მიაღწია.

თამარ მეფის დროინდელმა ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახა სამთავროთა მმართველობის გვარები: სვანეთის—ბარამ ვარდანის ძე, რაჭა-თაკვერის—კახაბერ კახაბერიძე, აფხაზეთის—ოთაღო შერვაშიძე, ცხუმის—ამანალისძე, ოდიშის—ბედიანი. ამ დროს საქართველო გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან (მდინარე ტუაფსეს მახლობლად) დარუბანდამდე (ამჟამად კასპიისპირეთის რაიონი დაღესტანში).

1330 წელს ცხუმში იჯდა ეპისკოპოსი ქვემო იბერიისა, აქვე იყო ზარაფხანა, სადაც თავის ვერცხლის მონეტებს ჭრიდა. საბედიანოს (სამეგრელოს) მთავარი ვამეყ პირველი დადიანი (1384-1396 წ.). მე-16 საუკუნეში „დადიანის ქვეყანას“ ეკავა ტერიტორია „ეურიის გაღმით სოხუმამდე“, რომლის იქით „აფხაზთა ოლქები“ იწყებოდა.

მონღოლთა შემოსევის შემდეგ საქართველო დაიშალა იმერეთის, ქართლის, კახეთის სამეფოებად, აფხაზეთის, სვანეთის, ეურიის სამთავროებად, სამცხე-საათაბაგოდ.

ოდიშის მთავარმა ლევან მეორემ (1611—1657 წ.) ამ პერიოდში ჰეგემონობას მიაღწია მთელს დასავლეთ საქართველოში (აღსანიშნავია, რომ მისი პირველი ცოლი იყო აფხაზეთის მთავრის შვილი სეტევან შარვაშიძე). სწორედ ლევან მეორემ ააგო კელასურის კედელი, რომლის სიგრძე 60 კმ-ია.

ლევან მეორის გარდაცვალების შემდეგ აფხაზმა მთავრებმა შეძლეს საზღვრის გადატანა ჯერ კოდორამდე, შემდეგ კი ენგურამდე.

იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის ცნობით (იგი დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა მე-17 საუკუნის 70-იან წლებში), აფხაზებმა ააოხრეს მოქვი, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე“ (მდ. ცხენისწყალი).

მე-18 საუკუნის დასაწყისისათვის აფხაზმა ფეოდალებმა საბოლოოდ მიიტაცეს ტერიტორია მდინარე ენგურამდე და დაიწყეს დაპყრობილი ტერიტორიის ეთნიკური ათვისებაც, ჩამოასახლეს აფხაზები.

მე-19 საუკუნის ცნობილი რუსი კავკასიათმცოდნე ა. დიაჩკოვ-ტარასოვი წერდა: აფხაზები ყოველთვის არ ცხოვრობდნენ აქ (იგულისხმება სამურზაყანო). გადმოცემები და მრავალი ისტორიული ცნობები, აგრეთვე მათი წესები, მიუთითებენ იმაზე, რომ ისინი (აფსუები) ჩრდილოეთიდან მოვიდწენ, შეავიწროვეს ქართველური ტომები და შეჩერდნენ ენგურზე. აქ მოხდა აღრეკა ორი ერთმანეთისათვის უცხო ტომის—მეგრელთა და აფხაზთა, რომლებმაც მოგვცა სამურზაყანოს შერეული მოსახლეობა და რომელიც მოქცეული იყო კოდორსა და ენგურს შორის.“ („აფხაზეთის სისხლიანი ქრ.“ გვ.—15).

მე-17—მე-18 საუკუნეებში აფხაზეთში აღვილი ჰქონდა ფეოდალური საზოგადოების ერთგვარ „ბარბარიზაციას“ (მობრუნებას პირველყოფილი თემური წყობილებისაკენ), რაც დაკავშირებული იყო ჩრდილოეთიდან მთიელ ტომთა მორიგ შემოტევებსა და ბარში მათ შემოჭრასთან, ისტორიკოსები ხაზს უსვამენ ამ პერიოდის აფხაზების ცხოვრების წესის მსგავსებას ადიღეელებისა და სხვა მთიელი ტომების კულტურასთან.

ევროპელი მისიონერები აღნიშნავენ, რომ აფსუებმა არ იცოდნენ, რა

იყო ფული; ოქროსა და ვერცხლის ფულს ისინი ზოდებად ადნობდნენ.

არქანჯელო ლამბერტი წერდა: აფხაზები ქალაქებსა და ციხეებში როდი ცხოვრობენ, ერთად შეიყრება ერთი ვეარის ათი ან ოცი ოჯახი, ამოირჩევენ რომელსამე მაღლობ ადგილს, გააშენებენ იქ კარგ, ისლით დახურულ ფაცხებს, შემოავლებენ ამორჩეულ ადგილს მაღალ ღობეს და თხრილს. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ეშინიათ თავდასხმისა. გარეშე ხალხი კი არა, თვით აფხაზები თავს ესხმიან და ძარცვავენ ერთმანეთს.

„მთიურმა სტიქიამ" გამოაცოცხლა ქრისტიანობამდელი წარმართული რწმენა-ჩვეები, ტრადიციები და გაავრცელა ისლამი.

მე-17 საუკუნის 70-იან წლებში თურქებმა დაიპყრეს სოხუმი და აფხაზეთის სხვა პუნქტები.

ოსმალებმა გააფართოვეს დაპყრობითი ომები, დიდი რაოდენობით დაიწყეს ტყვეთა ყიდვა. ქართველობა თავდადებით იბრძოდა მათ წინააღმდეგ, 1725 და 1729 წლებში სულთანმა დასავლეთ საქართველოში ჯარი გამოაგზავნა, რომელმაც სამეგრელოს მნიშვნელოვანი ნაწილი ააოხრა.

მე-18 საუკუნის ბოლოს აფხაზეთის მთავრებმა ზურაბ-ბეი და ქელეშ-ბეი შერვაშიძეებმა ისლამური სარწმუნოება მიიღეს.

სულთანის მოთხოვნით ქელეშ-ბეი თავისი ჯარით სოლომონ პირველისა და ოდიშის მთავრის წინააღმდეგ იბრძოდა, მაგრამ 1779 წელს რუხის ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა.

ქელეშ-ბეი შერვაშიძე (ჩაჩბა) რუსეთთან შეერთების მომხრე იყო, რისთვისაც იგი თურქმა აგენტებმა მოკლეს 1808 წელს. მისი შვილი გიორგი (საფარ-ბეი) რუსეთის მთავრობამ აფხაზეთის მემკვიდრე მთავრად სცნო.

1810 წელს სოხუმის ციხიდან განდევნეს თურქთა უკანასკნელი გარნიზონი, 1864 წელს რუსეთის მთავრობამ გააუქმა აფხაზეთის სამთავრო და უწოდა სოხუმის სამხედრო განყოფილება, 1883 წლიდან კი—სოხუმის ოლქი.

როგორც ცნობილია, 1810 წლის თებერვალში, ყულევში ოფიციალურად ეამოცხადდა ალექსანდრე პირველის მანიფესტი აფხაზეთის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის .შესახებ, ამით მთელი საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა (გარდა სვანეთისა, რომელიც რუსეთს მხოლოდ 1833 წელს შეუერთდა).

აღსანიშნავია, რომ კაკასიის დაპყრობა რუსეთმა დაამთავრა 1864 წელს, როცა დაეცა ჩერქეზეთი. კავკასიის ომი გრძელდებოდა 55 წელი. ეს ომი დაიწყო რუსეთის მეფე ალექსანდრე პირველმა, გრძელდებოდა ნიკოლოზ პირველის მეფობის პერიოდშიც და დამთავრდა ალექსანდრე მეორის მეფობის დროს.

პ. ინგოროყვა, მ. ლორთქიფანიძე, თ. მიბჩუანი, სხვა ისტორიკოსები და ზოგიერთი სხვა დარგის სპეციალისტებიც, ხაზგასმით მიუთითებენ,

რომ სახელწოდება აფხაზი თავდაპირველად დასავლეთში მცხოვრებ ქართულ ტომს აღნიშნავდა, შემდეგ კი იგი გახდა არაქართველი ხალხის სახელი, რომელიც თავისთავს აფსუას უწოდებს. შუა საუკუნეებში აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც კახელი, ქართლელი, იმერელი, მეგრელი, სვანი.

მე-17 საუკუნის 40-იან წლებში თურქი მოგზაური ევლია ჩელები აღნიშნავდა, რომ „ქრისტიანი აფხაზები ქართველებია, წარმართი აფხაზები—ჩრდილოეთ კავკასიელები."

მე-8 მე-9 საუკუნეებში არსებული „აფხაზთა სამეფო" იყო ქართველ აფხაზთა და არა აფსუა აფხაზთა სამეფო. აკადემიკოსი მ. ლორთქიფანიძე წერს: „აფხაზთა სამეფო" ენით, დამწერლობით, კულტურით, სარწმუნოებით, პოლიტიკით ქართული სახელმწიფო იყო, ხოლო მისი მეფეები იმავე ნიშნებით ქართველები იყვნენ".

ასე გრძელდება მე-17 საუკუნემდე, სანამ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, მოსახლეობის სიმცირის გამო, არ შემოიჭრნენ ჩრდილოეთ კავკასიური ტომები, რომელნიც ყაბარდოელ-აბაზინურ ენაზე ლაპარაკობდნენ და ამჟამად აფხაზური ენის სახელწოდებით არის ცნობილი. შუა საუკუნეებში აფხაზური ენა არ არსებობდა, რადგან აფხაზები ქართულ-მეგრულ ენაზე მეტყველებდნენ.

თანამედროვე აფსუათა წინაპრები აქ ვადმოსახლდნენ არა უადრეს მე-16, მე-17 საუკუნეებისა და ამის შემდეგ იწოდებიან აფხაზებად, რადგან მიიღეს ადგილობრივი აბორიგენი მოსახლეობის სახელი „აფხაზები". თვით ისინი კი დღესაც საკუთარ თავს აფსუას უწოდებენ.

აღსანიშნავია, რომ ახლო წარსულში ჩრდილო კავკასიის ხალხებს გვარები საერთოდ არ ჰქონდათ.

ცხოვრების განვითარებამ მოითხოვა ზუსტი დემოგრაფიული სტატისტიკა, მეფის რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურებმა აღრიცხვა ჩაატარეს მთელს რუსეთში და მათ შორის საქართველოშიც. ამ დროს აფხაზეთის მთიან ნაწილში ცხოვრობდნენ აღურიცხავი ჩრდილო კავკასიელები. რუსმა აღმწერებმა ვერ დაადგინეს მათი ეროვნება, თვით ამ ხალხმაც არ იცოდა მათი ზუსტი ეროვნული წარმომაელობა. მაშინ აღმწერებმა მათ მიაკუთვნეს ამ კუთხის აბორიგენ მცხოვრებთა სახელი „აფხაზები" და ამ სიტყვამ მიიღო ეროვნული მიკუთვნების სტატუსი, ასე წარმოიშვა გაგება „აფხაზი" ხალხი, ასე ხელოვნურად შეიქმნა ამგვარი სტატუსი, სავარაუდოა, რომ მაშინ ყველაფერი ეს მოხდა მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით და არა წინასწარი მოფიქრებით, მაგრამ შემდგომში იგი ნელი მოქმედების ნაღმი აღმოჩნდა (იხ. ჟურნალი „პოლიტიკა" 1995 წ. გვ. 26, № 9).

ისტორიული აფხაზი და თანამედროვე აფხაზი ორი სხვადასხვა

ხალხის ორი სხვადასხვა სახელწოდებაა. ამიტომაა ისტორიული აფხაზებისა და თანამედროვე აფსუების სრულიად სხვადასხვაგვარი მიდგომა საქართველოსა და ქართველებისადმი.

აფხაზთა და აფსუათა სხვადასხვაობა სრულიად ნათლად და დამაჯერებლად არის წარმოდგენილი მ. ლორთქიფანიძის, ვ. ზუხბაიას, ონიანის, თ. მიბჩუანის, რ. ჭაბუკიანის, გ. გასვიანის, მ. ჟორჟოლიანის, ს. ლეკიშვილის, ლ.თოიძის, ედ. ხოშტარიას და სხვათა ნაშრომებში.

პროფ. ვ. ზუხბაიას ერთ-ერთ წერილში აღნიშნულია, რომ „აფხაზი" უცხო ტომის ხალხი რომ ყოფილიყო, მეფე ვახტანგ გორგასალი სამ წელიწადს როდი იბრძოლებდა ბიზანტიელების წინააღმდეგ, რათა ბერძნებისათვის ჩამოერთმია „ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე გოჯამდე". წყაროებიდან ჩანს, რა კარგ ურთიერთობებში იყვნენ საქართველოს მეფეები აფხაზებთან; ბაგრატ მეოთხე: „რამეთუ მოწეუვნილიცა იყო ჟამი ზამთრისა, რათა მუნ დაიზამთროს და განისვენოს და ვითარმედ არს ქვეყანა ბარ და ტფილი".

დავით აღმაშენებელი: „და მასვე ზამთარსა ჩამოვიდა აფხაზეთს ბიჭვინთამდე და განაგნა საქმენი მანდაური, ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრო და წუართნა". თამარ მეფე: „ჟამ გარდავიდიან აფხაზეთს და განაგნიან საქმენი მანდაურნი".

ომებში აფხაზები მუდამ ქართველთა ლაშქრის ვევრდით იყვნენ. აფხაზები მონაწილეობდნენ მე-13 საუკუნის ათიან წლებში ვიორგი ლაშას ლაშქრობაში ვანძის აღების დროს.

შუა საუკუნეების ქართველ მეფეთა ტიტულატურა იწყებოდა ჩამოთვლით „მეფე აფხაზთა..." რატომ უნდა დაწყებულიყო ქართველ მეფეთა ტიტულატურა აფხაზურით, თუ ისინი უცხო ტომები იყვნენ!

შუა საუკუნეებში აფსილთა ეთნიკური ჯგუფი მოსახლეობდა დღევანდელი გულრიფშის ტერიტორიაზე. ისინი მეტყველებდნენ აფსართა ენაზე. თამარ მეფის ძეს გიორგის ზედსახელად უწოდეს „ლაშა", რაც აფსართა ენაზე ნიშნავსო „ნათელს".ეს აფსარები, რომ ივივე აფხაზები (ე. ი. ქართველები) ყოფილიყვნენ, მაშინ მემატიანე იტყოდა„აფხაზთა ენაზე", ნაცვლად „აფსართა ენისა".

მე-17 საუკუნიდან აბორიგენ აფხაზურ მოსახლეობაზე გაბატონდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილი აფსუები, რომლებიც არიან არაქართველები და აქვთ ყაბარდოულ—აბაზინური ენა, რომელსაც აფსუურ ანუ აფხაზურ ენას უწოდებენ. მათ ქრისტიანი აფხაზების მნიშვნელოვანი ნაწილი ვაამაჰმადიანეს.

აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე სახელმწიფო—საეკლესიო ენა იყო მხოლოდ ქართული. ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ლეონ მეორე—აფხაზთა მეფე—ქართულად ლაპარაკობდა. საერთოდ აფხაზი მე-

ფეები ყოველი ღონისძიებებით იბრძოდნენ ქართული ენისა და კულტურის აყვავებისათვის. მათი გულისხმიერებითა და ძალით დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოვიდა ბიზანტიური გავლენისაგან, გაუქმდა ბიზანტიური ეპისკოპოსობა ფაზისში, გუდავაში. მეფე გიორგი მესამემ (922-957 წ.) დააარსა მარტვილის ჭყონდიდელის კათედრა, ლეონ მე-3-ის (957-963) დროს ჩამოყალიბდა მოქვის ტაძრის კათედრა, ბაგრატ მესამის (975-1014)დროს—ბედიის კათედრა.

ბედიის, ლიხნის, ბიჭვინთის ეკლესიებზე და ბესლეთის ხიდზე წარწერები გაკეთებულია ძველი ქართული ასომთავრულით, რომელთა წაშლა-გადაფხეკას გულმოდგინედ ცდილობენ თანამედროვე აფსუა სეპარატისტები.

აფხაზურად არ არის სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ზღვას, ქალაქს, ხოლო თევზის ყველა სახეობა აღინიშნება მხოლოდ ერთი სიტყვით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აფსუა-აფხაზები ისტორიულად ზღვის ახლოსაც არ ყოფილან. ლამბერტი მიუთითებს, რომ აფხაზები არ ჭამენ თევზს, კიბოს, თუმცა ისინი აქ, ამ მხარეში ბლომად არისო.

აფხაზებს არ მოეპოვებათ ენაში მღვდლის შესატყვისი სიტყვა, ასეთ შემთხვევაში ან ქართულ „მამას" ხმარობენ", ან ბერძნულიდან მეგრულში დარჩენილ სიტყვას „ა-პაპა", ბერძნული წარმომავლობის სიტყვა ეპისკოპოსის მაგიერ ხმარობენ მეგრულ სიტყვას „ჭყონდარს" (ჭყონდიდელიდან), საკმეველს ეძახიან „ა-საკუმალს", ბერ-მონაზონს—„ა-ბერს", ზარს—„ა-სარკიალს" (სარეკელადან), ჯვარს—„ა-ჯვარს". ცნობილია, რომ ზღვის სახელი „ამორე" დიმიტრი გულიამ შემოიღო.

უძველესი დროიდან (ქრისტიანობამდე და მის მერეც) დღეევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ბერძნული კოლონები არსებობდა. ბერძნებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან. ბერძნული ენა დიდ გავლენას ახდენდა ადგილობრივი ხალხის ენაზე, ეს ბუნებრივიცაა, თუმცა აფხაზურში მხოლოდ თითო-ოროლა სიტყვა გვხვდება ბერძნული და ისინიც ქართულიდანაა შესული. თუ აფსუა-აფხაზები აბორიგენი მოსახლეობა იყო, აუცილებლად ექნებოდა ურთიერთობა ბერძნებთან, სხვანაირად თანაცხოვრება არც შეიძლებოდა, მაშინ რატომ მოხდა, რომ ამ ენამ არც ერთი სიტყვა არ შეითვისა ბერძნულიდან. (ამ საკითხებზე ერცელი მასალები იხილეთ პროფ. ვ.ზუხბაიას წერილებში).

მეცნიერთათვის ცნობილ აფხაზეთის კათალიკოსთა შორის არაქართველი არ ურევია, ბიჭვინთვის კათედრას 3-5 საუკუნის ეანმავლობაში ხელმძღვანელობდნენ კათალიკოსები: არსენი, აბაშიძე, ჩხეტიძე, საყვარელიძე და სხვები.

აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შერვაშიძე რუსეთის მთავ-

რობასთან მოლაპარაკებისას საბუთებს ქართულ ენაზე აღვენდა, იკი მეუღლესაც ქართულად დაწერილ წერილებს უგზავნიდა.

მისი შვილი გიორგი კი ლექსებს ქართულად წერდა, თუმცა აფხაზური ჩინებულად იცოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ გიორგი შერვაშიძის ნაშრომთა ერთადერთი ხელნაწერი ვალის რაიონის სოფელ ოტობაიში—პეტრე ანჩაბაძის სახლში აღმოჩნდა.

საინტერესოა აფხაზეთის ტერიტორიის ჰიდრონიმებიც: ენგურიდან ღალიძგამდე არსებულ 12-ვე მდინარეს ქართული სახელი ქვია, აფხაზური კი—არც ერთს, ღალიძგა-კოდორამდე—10 სახელი ქართულია, აფხაზური—1, კოდორიდან გუმისთამდე, ვარდა ერთისა, ყველა მდინარის სახელი ქართულია, გუმისთიდან ბზიფამდე 15 ჰიდრონიმიდან 2 აფხაზურია, ბზიფ-ფსოუს მონაკვეთში კი 12 ჰიდრონიმიდან 10 აფხაზურია.

მოჰაჯირობის დროს (1866-1879 წ.) აფხაზეთი დატოვა 40 ათასმა აფსუამ და უბიხმა, საინტერესოა, რატომ არ დატოვა თავისი ტერიტორია სამურზაყანოს ძირეულმა მოსახლეობამ. ისტორიკოსები ხაზს უსვამენ, რომ აქ ვადამწყვეტი როლი ითამაშა სამშობლოს, მშობლიური ეზოკარის სიყვარულის ერძნობამ, ხოლო აფსუსათვის შედარებით აღვილი იყო ახლად მითვისებულ ტერიტორიათა დატოვება, მათ ეს ნაკლებად ანაღვლიანებდათ.

ინტერესმოკლებული არ იქნება აქვე აღვნიშნოთ, რომ ისტორიული წყაროების მიხედვით, მოჰაჯირობის შემდეგ აფხაზეთში დარჩა 46 ათასი აფხაზი, მნიშვნელოვანია ისიც, რომ 1877-1878 წ, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, რუსეთმა თურქებს შეენებულად დაუთმეს სოხუმი, ამით, შექმნეს საფუძველი აფხაზების, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით თურქეთში გადასვლისათვის (რუსეთის მიზანი იყო აფხაზეთის ეამონთავისუფლებულ მიწაზე კაზაკ-რუსობა დაესახლებინა).

ზოგი აფსუა „მეცნიერი" და მათი ამყოლნი (ტურჩანინოვი, ეორონოვი და სხვები) ამბობენ და წერენ, რომ აფხაზები თავიანთი წარმომავლობით ენათესავებიან სინოტიბეტურ (ჩინელები, ტიბეტელები, აღმოსავლეთ ჰიმალაელები და სხვა) და კეტურ ენოვან ხალხებს, მათი აზრით, 30 ათასი წლის წინათ მომხდარა აფხაზთა წინაპრების განსახლება მსოფლიოს ოთხ კონტინენტზე (აზია, აფრიკა, ამერიკა და ევროპა), და ამის შემდეგ მოხდა დედამიწის მოსახლეობის დაყოფა რასებადო.

ეორონოვის „მტკიცებით", აფხაზები სისხლით ენათესავებიან მონღოლებს, ალანებს, ბერძნებს, იტალიელებს, ევრმანელებს, ირანელებს, სომხებს, არაბებს, ხაზარებს, თურქებს, ჩინელებსაც კი (გარდა ქართველებისა—ყველას), მე-9 მე-10 საუკუნიდან კი აფხაზები სისხლით დაუნათესავდნენო რუსებს. თურმე რუსებთან სისხლით ნათესაობა დაწყებულა

გამოქცეული 120 რუსი ჯარისკაცის აფხაზ მანდილოსნებთან დაქორწინებით. ვორონოვმა აფხაზები კინაღამ ადამისა და ევას შვილებად ვამოაცხადა. „მეცნიერის“ ამვავარი „მტკიცების“ მიზანი კი სულ სხვა იყო, ვორონოვს უნდოდა აფხაზეთი რუსეთის საზაფხულო ავარაკად ქცეულიყო, ხოლო, როცა შენიშნა, რომ აფხაზეთის სეპარიტისტულმა მთავრობამ პრჭყალები გამოაჩინა, რის გამოც მის შოვინისტურ მიზნებსა და ეეგმებს განხორციელება არ ეწერა, ამ მთავრობასაც აღუდგა წინ; მან გაილაშქრა აფხაზეთში მეჩეთების აშენების წინააღმდეგ, ასევე დასვა საკითხი აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსულენოვანი მოსახლეობის დისკრიმინაციის წინააღმდეგ, აი, მაშინ კი მიხვდნენ აფხაზები, თუ რა სახის „დამცველი“ ჰყავდათ მათ ვორონოვის სახით და სათანადო ეანაჩენიც ეამოუტანეს, იგი მისივე ბინის შესასვლელთან მოკლეს.

დღეს დედამიწის მოსახლეობა, რომელიც დაახლოებით სამ ათას ენაზე მეტყველებს, ლინეგვისტური კლასიფიკაციის მიხედვით ათ ენათა ოჯახშია გაერთიანებული. ვორონოვის დებულებით კი ყველა ეს ხალხები შორეულ წარსულში აფხაზური ოჯახიდან ყოფილან განაყარნი.

აფხაზთა მეორე „ვეექილმა“ პროფესორმა ტურჩანინოვმა „დაამტკიცა“, რომ ანბანური დამწერლობა ფინიკიელებს კი არ შეუქმნიათ, არამედ—აფხაზთა წინაპრებს. ფინიკიელ ვაჭრებს აფხაზი ტყვეებისაგან უსწავლიათ ანბანი, უძველესი ცივილიზაციის კერა კი მაიკოპი და დღევანდელი აფხაზეთი ყოფილა, მაგრამ ქართველთა შიშით ამ სიმართლის გამხელას ამ ბოლო დრომდე ვერ ახერხებდნენ. (ამ საკითხზე ამომწურავი პასუხი და სხვა მეტად საინტერესო მასალები მოცემულია პროფ. თ. მიჩბუანის წიგნში „აფხაზური სეპარატიზმის სისხლიან ნაკვალევზე“).

პროფესორი თ. მიჩბუანი მიუთითებს, რომ აბსუები მეტყველებენ აბაზინურ ენაზე და სხვა ჩრდილო-კავკასიური ენები მათთვის გაუგებარია (მათ შორის ადიღურ-ჩერქეზულიც), აბაზანილები კი ის ხალხია, რომელთაც დღემდე საკუთარი სამშობლო არ ეააჩნიათ და მიმოფანტულნი არიან ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში. მათი ეანაყარია აფსუები, რომელთაც დღეს აფხაზებს ვუწოდებთ.

მე-16 საუკუნის ბოლოს ლიხნელი ქართველი თავადები, შერვაშიძეები,—წერს ბატონი მიჩბუანი,—იმისათვის, რომ დამოუკიდებელობა მოეპოვებინათ ოდიშის მთავარ დადიანებისაგან, მომთაბარე-მესაქონლე აბიაზინურენოვანი აფსუების დაქირავებული რაზმებით თავს ესხმიან დადიანების სამფლობელოს და ჯერ მდინარე კოდორამდე, შემდეგ კი—ენგურამდე იპყრობენ მას.

„მიეღოთ აფხაზთა ეერისის მდინარემდე და აოხრებდნენ კვლითა და ტყვეობითა„„... „დაიპყრეს ვიდრე ეერისის მდინარემდე და დაიშენებდნენ თვით აფხაზნი“ (ვ, ბატონიშვილი).

ამ დაპყრობითი ომების დროს დღეევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ქართველების (აფხაზების) დიდი ნაწილი გაწყვიტეს, ნაწილი გამოექცა იქაურობას, ნაწილიც ჩალის ფასად გაყიდეს მონათა ბაზრებზე, ხოლო, ვინც ცოცხალი ვადაურჩა, ისინი აფსუურ ენაზე მოაქციეს.

აქ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ აფხაზეთში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოღვაწე ამაგდარი მუშაკის ბატონ იპოლიტე ჩოკორაიას მოგონება:

„ერთხელ თბილისიდან სოხუმისაკენ მანქანით გამოვყევი აფხაზკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს, წარმოშობით ხობელ კაცს ნიკოლოზ კობახიას. ჩვენი მანქანა სასტუმრო „თბილისთან“ შეჩერდა, მალე სასტუმროდან აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვალერიან ოსმანის ძე კობახია გამოვიდა და ჩვენს მანქანაში ჩაჯდა, თურმე ისინი მოლაპარაკებული ყოფილან გზად ხობში კობახიებთან შეევლოთ.

ხობში შესანიშნავი სუფრა დაგვხვდა, მასპინძლად მხოლოდ კობახიები იყვნენ, მათში ერია ორი-სამი ხობელი კაცი, ევარად კობახიძეები.

შეხვედრა მეტად გულითადი და გულღია იყო, ბატონი ვალერიანი მეტად მხიარული და კმაყოფილი სჩანდა. დაიწყო მეგობრული საუბარი, ღვინოც თავისას შვრებოდა, ხობელები ვალერიანს უმტკიცებდნენ—აფხაზი კობახიეები ყველანი ხობიდან ხართ წასულებიო. ბატონმა ვალერიანმა თქვა:—რატომ უნდა დავიჩემოთ, რომ აფხაზი კობახიები მაინცდამაინც ხობიდან ვართ ჩამოსულები, ეს ბევრს ჩვეად აქვს, ჩვენმა ვაი-ისტრიკოსებმა კი დღემდის ვერ მოფინეს ნათელი ამ საკითხს, ხომ შეიძლება, მომხდარიყო პირიქითი პროცესი, ხობელი კობახიები წამოსული იყვნენ აფხაზეთიდან, რადგან იქ მათ ხშირად აწუხებდნენ ჩრდილოეთ-კავკასიელი დამპყრობლები თუმცა მე რა გითხრათ, როცა ხობში თქვენ ვერ გაგირკვევიათ კობახიები ხართ თუ კობახიძეები.“ ამ სიტყვებს მოჰყვა სიცილი და ტაში.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ გონებაგამჭრიახ კაცს გულში ჰქონდა აზრი, რომ ბევრი აბორიგენი მცხოვრები თავისი მშობლიური აფხაზური ტერიტორიებიდან ჯერ კიდევ უძველეს დროში იყვნენ გამოდევნილი ჩრდილოკავკასიური დამპყრობი ტომების მიერ.

იტალიელი მისიონერი ძამპი წერს: „სამეგრელო, სამეგრელო აღარ არის, რადგან ომების გამო უკანასკნელ სიგლახაკეშია ჩავარდნილი, დაქცეული და აოხრებული, აღარავის ჰყავს საქონელი და ყველას სარჩო აკლია. აქ კაცს არ შეუძლია უშიშრად იყოს, მუდამ აფხაზების დაცემის შიშია.“ (ალბათ, ისტორია მეორდება, ზუსტად ისეთივე მდგომარეობა ყოფილა მაშინ, როგორიც დღესაა).

დროთა განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიურ დამპყრობთა ვაელენის ქვეშ მოექცნენ თავადი შერვაშიძეები და სხვა მაღალი გვარის წარმომადგენლებიც—მარშანიები, მარღანიები, ანჩაბაძეები, ემუხვარები და ა. შ.

შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ მუსულმან წარმართთა ვაელენის ქვეშ მოხვედრილი ბიჭვინთის საეპისკოპოსო 1658 წელს ქუთაისში ვადაიტანეს.

დღევანდელ აფხაზთა 80 პროცენტი ქართულ გვარებს ატარებს, ხოლო 12-13 პროცენტი—ადიღურ-ჩერქეზულ-აბაზინურ, ანუ ჩრდილოკავკასიურს. სწორედ ეს 80 პროცენტი არის ის ეთნიკური ბირთვი, აფხაზები რომ ეწოდებოდათ. აფხაზთა 450 გვარიდან 300-ზე მეტი ქართულია, 100-მდე კი ჩრდილოკავკასიური, დანარჩენები არის თურქული, სპარსული და სხვა.

დამტკიცებულია, რომ ანთროპოლოგიურადაც აფხაზები იმეორებდნენ ქართულ ანთროპოლოგიურ ტიპს და უპირისპირდებიან ადიღურ-ჩერქეზულს.

აფხაზები, როგორც ეთნიკური მცნება, ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ ეროვნულობის აღმნიშვნელ მცნებად აქცია და ასე ჩამოაცილეს ისინი—აფხაზები ძირძველი ქართველები, ქართულ ეროვნულ ორგანიზმს. ისტორიულად აფხაზეთის მიწა-წყლის ნამდვილი მეპატრონე ქართველებია, ამიტომაც ეშინიათ, ალბათ, სეპარატისტებს აფხაზეთში ქართველთა მომრავლების.

აფხაზების (არა აფსუების) ისტორია ნამდვილად ქართველთა ისტორიაა, ამაზე მიუთითებს ნუმიზმატიკური, ჰერალდიკური ექსპონატები, წარწერები ძველ ძეგლებზე, საეკლესიო ტიპიკონი, დინასტიური დაქორწინებები ქართველ-აფხაზთა შორის და სხვა მრავალი. აფსუებმა ძირეულ მოსახლეობასთან აღრევის შემდეგ მიიღეს ბევრი მათი ტრადიცია და წესი. ხდებოდა, ალბათ, პირუკუ პროცესებიც. რომ ქართველები აფხაზდებოდნენ: ქართველების მოძალება-დასახლება აფხაზეთის ტერიტორიაზე და მათი აფხაზებად ჩაწერა განაპირობა იმანაც, რომ აფხაზები ჯარში არ მიჰყავდათ, ამდენად ქართველ დეზერტირ-ლტოლეილთა მთელი ტალღა მოაწყდა ამ კუთხეს, ბუნებრივია, ყველა ისინი გააფხაზდნენ. (ცნობილია, რომ ვარიაგი დამპყრობლები სულ მალე გაითქვიფნენ სლავებში და მათი ენაც კი მიიღეს.)

დაახლოებით ანალოგიური პროცესი მიმდინარეობდა შიდა ქართლშიც. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე ოსების ძირითადი ნაწილი საქართველოში—კავკასიის მაღალმთიან რაიონებში ცხოვრობდა.

რუსეთის იმპერიაში, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, მიწის ძირითადი და საუკეთესო ნაწილი თავადაზნაურობას ერგო. გლეხები კი, ფაქტიურად, უმიწოდ დარჩნენ. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ოსი

ელეხები სამხრეთისაკენ დაიძრნენ, დაიწყეს კავკასიის ქედის ვადმოლახვა და შიდა ქართლის დაბლობში ჩასვლა, მოსულთა ძირითადი მასა, აქ მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო, მზად იყო ლუკმა პურისათვის ნებისმიერი სამუშაო შეესრულებინა.

შიდა ქართლის ადგილობრივ თავადაზნაურობას ხელს აძლევდა თითქმის მუქთა სამუშაო ძალა ოსების სახით, ამიტომ ისინი ძირითადად ოსებს ქირაობდნენ, ქართველ გლეხობას კი არ ეხმარებოდნენ. ამიტომ იყო, რომ ოსები მომრავლდნენ, მოღონიერდნენ, დაფუძნდნენ. მოხევეების ბრძოლა ოსების წინააღმდეგ მასპინძელთა დამარცხებით დამთავრდა. მასპინძლებს დარჩათ ორი ვზა: პირველი—აყრა და ვადასახლება, მეორე—ვაოსება-ვადაევარება. რუსებიც მარჯვედ იყენებდნენ „ვათიშე და იბატონე"-ს პრინციპს. რა დიდებულად არის აღწერილი ეს პროცესი მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში"!

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან შიდა ქართლის სასაფლაოებზე მცირდება ქართული წარწერები და მათ ადგილს იკავებს რუსული ტრანსკრიფციით შესრულებული ოსური წარწერები. 1921 წლიდან კი ქართული და რუსული წარწერები საერთოდ ქრება და ჩნდება ოსური ეპიტაფიები შესრულებული ლათინური ასოებით.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველომ საუკუნეების განმავლობაში უზარმაზარი ტერიტორიები დაკარგა. მე-19 საუკუნის ბოლოს ვკარგავთ ტაო-კლარჯეთს (ბანა, იშხანი, ჰარნანი, ფანასკერტი, არტანუჯი), დღეს ეს ტერიტორია თურქეთს ეკუთვნის, მე-19 ს. ბოლოს დვალეთი ჩრდილოეთ კავკასიას გადაეცა, ამავე პერიოდში ჯიქეთი (სოჩა-ხოსტის ტერიტორია) კრასნოდარის მხარეს მიეკუთვნა. მე-20 საუკუნის დასაწყისში ერეთი, საინგილო, ენისელი, კაკლის ხევი, ჯინისი, ჯუმუსი და სხვა აზერბაიჯანის ტერიტორიად იქცა, ასევე მომდევნო პერიოდში აზერბაიჯანს მიაკუთვნეს სამხრეთ კახეთი (შარიფადინა, უზბაში, ხილხალა, ლანდისი და სხვა), დღეს კი აფხაზეთს გვართმევენ, ოსები შიდა ქართლს გვედავებიან.

ასეთი სამარცხვინო და ტრაგიკული ბედი, ალბათ, არც ერთ ერს არ ჰქონია.

მივუბრუნდეთ აფხაზეთის საკითხებს:

აფხაზეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ, დაიწყო შავიზღვისპირეთის ტერიტორიის აქტიური კოლონიზაცია, მიწები დაურიგეს სამხედრო და რუს სამოქალაქო პირებს. ვაძლიერდა სოციალური ჩაგვრა, რასაც მოჰყვა ლიხნის აჯანყება 1866 წელს. ამ აჯანყების დროს აფხაზებმა მოკლეს პოლკოვნიკი კონიარი, ჩერეპოვი, იზმაილოვი და მათთან ერთად 50 რუსი კაზაკი, გუდაუთა გაძარცვეს და აიკლეს, მერე კი სოხუმისაკენ დაიძრა 2 ათასი აჯანყებული, რომლებიც დროებით შეაკავა ადიღებულ-

მა ეუმისთამ, შემდეგ მიადგნენ სოხუმს, ეადასწეეს ტრაპეცია, ქალაქ სოხუმში ოთხი დღე მიმდინარეობდა ბრძოლები, აჯანყება ჩააქრო ქუთაისის გენერალ-ეუბერნატორმა სვიატოპოლკ-მირსკიმ, რომელმაც 8 პოლკი ჩამოიყვანა. აჯანყების მონაწილეები მკაცრად დასაჯეს, ყველას ჩამოართვეს იარაღი, სამი კაცი დახერიტეს, 30 აფხაზი ციმბირში ეადაასახლეს, ლიხნის სასახლე ეადაწვეს. ამას მოჰყვა მაჰაჯირობის პირველი ნაკადი. თურქეთისა და ყირიმის აგენტები კავკასიის მოსახლეობას მოუწოდებდნენ ეადასულიყვნენ თურქეთში, რათა მექა-მედინას მიახლოებოდნენ და ამით უზრუნველეყოთ სამოთხეში ცხოვრება.

1877-78 წლებში, რუსეთ თურქეთის ომის დროს, აფხაზები თურქეთის მხარეზე დადგნენ და რუსებს ებრძოდნენ, ამიტომ რუსეთის მეფის 1880 წლის 31 მაისის ბრძანებით მთელი აფხაზი ხალხი „დამნაშავე“ ხალხად ეამოცხადდა, ძალიან ბევრი მათვანი ციმბირში ეადაასახლეს. ამას მოჰყვა „მოჰაჯირობის“ მეორე ნაკადი. კოდორიდან ფსირცხამდე. თითქმის დაიცალა ტერიტორია.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ აფხაზებს, როეორც „დამნაშავე ხალხს“, ჯარში არ იწვეედნენ.

აფხაზეთში ფეოდალური წყობილება ცარიზმის რეჟიმით იცვლებოდა, რომელსაც ვერც ერთი წოდება ვერ ეეუებოდა, ან ეწინააღმდეგობდნენ, ან ჭირიეით ეაურბოდნენ მას, თავის დროზე ამაზე უკიჟინებდა ცნობილი ქართველი პოეტი და საზოვადო მოღვაწე ვრიეოლ ორბელიანი ეუბერნატორ მირსკის: „აფხაზია ოსტალას ბეზ ნასელენია“.

ცარიზმი ცდილობდა აფხაზ-ქართველთა დაპირისპირებას, აღვიეებდა შუღლს მათ შორის, ავიწროვებდა ქართულ ენას, ქართულის ნაცვლად მღვდელთმსახურება მიმდინარეობდა სრულიად ეაუეებარ ძველ სლავურ ენაზე, ეკლესიები რუსულ საეკლესიო ინსტანციებს დაუმორჩილეს.

თავადი გოლიცინი და ეეზარქოსი ალექსეი სინოდის ობერ-პროკურორს სწერდნენ: სასურველია სოხუმის ეპარქია არასასურველ ქართულ ვავლენას ჩამოვაცილოთ, ამიტომ საჭიროდ მიეეაჩნია სოხუმის ეპარქიის ყუბანზე მიერთება, რადეან აქ არსებული ქართული მოძრაობა ამ უბნის ვარუსებას ამუხრუჭებსო.

რუსიფიკაციის ერთ-ერთი პოლიტიკოსი **ვეინდენბაუმი** წერდა: აფხაზური დამწერლობის შემოღება ეკლესიის და სკოლის მეშვეობით უნდა იყოს საშუალება ქართული ენის ვამოყენების შესასუსტებლად, რათა ივი თანდათან იქცეს სახელმწიფო ენად და შეცვალოს ქართულიო.

თავადი სვიატოპოლკ-მირსკი ურჩევდა რუსეთის მთავრობას, ესარეებლა მაჰაჯირობით, ხელი შეეწყოთ ამ პროცესის აფხაზთა თურქეთში ეადასახლებისათვის და მდინარე ბზიფის ორივე სანაპიროს ვამონთავისუფლებულ ტერიტორიაზე კაზაკები დაესახლებინათ. აღსანიშნავია, რომ

მეფის რუსეთი ჩამოსახლებულებს 15 დესეტინა მიწას აძლევდა, ადეილობრივ აბორიგენ მოსახლეობას მხოლოდ ხუთს, რუს ფეოდალებს, მაღალ სამხედრო და საეკლესიო პირებს კი—8 ათას დესეტინას. რუსების აფხაზეთში ჩამოსახლების პროცესი მალარიამ შეაფერხა... ბევრი ეახდა სწორედ ამ სენის მსხვერპლი...

მეფის რუსეთი სულ მუდამ ცდილობდა წაეშალა იმის ნიშნები, რომლითაც აფხაზეთი საქართველოს ეანუყოფელ ნაწილად აღიქმებოდა.

აფხაზეთისა და სამურზაყანოს წარმომადგენლები 1870 წელს სვიატოპოლკ-მირსკის სწერდნენ, რომ უძველესი დროიდან აფხაზეთი იყო საქართველოს სამეფოს ნაწილი და ითხოვდნენ; აფხაზები არ ამოერიცხათ საქართველოს ხალხთა საერთო ოჯახის შემადგენლობიდან. ამ საბუთს ხელს აწერდნენ ბ. ემხვარი, გ. მარშანი, ტ. მარღანი, და კ. ინალ-იფა.

1916 წელს აფხაზთა დეპუტაცია (თავადები მ. შერვაშიძე, მ. ემხვარი, ა. ინალ-იფა, პ. ანჩაბიძე, გლეხთა წარმომადგენლები ბ. ეზუგბაია და ა. ჩუკბარი) ჩავიდნენ ქ. თბილისში და მოითხოვეს სოხუმის ოლქის სოხუმის გუბერნიად გარდაქმნა. თუ ეს არ მოხერხდებაო,—ითხოვდნენ ისინი,—არავითარ შემთხვევაში არ მიერთებოდა სოხუმის ოლქი რომელიმე სხვა გუბერნიას, გარდა ქუთაისისა.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგაც გაგრძელდა აფხაზ-ქართველური კონფლიქტის გაღვივება. 1917 წლის სექტემბერში, ქართველთა გვერდის ავლით, აფხაზურმა დელეგაციამ ქ. ელადიკავკაზში ხელი მოაწერა ხელშეკრულებას სამხრეთ-დასავლეთ კაზაკთა, კავკასიის მთიელთა და სტეპის თავისუფალ ხალხთა კავშირში გაერთიანების შესახებ. ეს მოქმედება თვით აფხაზურმა მოსახლეობამ სხვადასხვანაირად შეაფასა, აფხაზეთის ქართულმა მოსახლეობამ კი პროტესტი გამოთქვა ამასთან დაკავშირებით,

1917 წლის 8 ნოემბერს ჩატარდა აფხაზი ხალხის ყრილობა, რომელმაც შექმნა აფხაზეთის სახალხო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც არჩეულნი იყვნენ მხოლოდ აფხაზები. ყრილობამ მიიღო დეკლარაცია და კონსტიტუცია.

1918 წლის 9 თებერვალს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე თბილისში ჩავიდა აფხაზთა დელეგაცია და მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ აფხაზეთს ექნებოდა ავტონომია საქარველოს შემადგენლობაში. ამ შეთანხმების დამატებისა და განვითარების თვალსაზრისით 1918 წლის ივნისში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით აფხაზეთის საშინაო მმართველობა უნდა განეხორციელებინა აფხაზეთის სახალხო საბჭოს, ამასთან საქართველოს დე-

მოკრატიულ რესპუბლიკაში არსდებოდა აფხაზეთის საქმეების მინისტრის პოსტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს (1918 წლის 26 მაისი) აფხაზი ხალხის სახელით ხელი მოაწერეს ვარლამ შერვაშიძემ და არზაყან ემხვარმა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებისთანავე (კონსტიტუციის მიღებამდე) აფხაზეთის ავტონომია უკვე გამოცხადებული იყო, კონსტიტუციამ კი მოგვიანებით დააკანონა იგი

1920 წლის 16 ოქტომბერს თვით აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ მიღებული კონსტიტუციის პროექტში კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი, რომ აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა, როგორც ავტონომიური ერთეული. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდიდან ამ რეგიონს დაუბრუნდა ისტორიული სახელი „აფხაზეთი", ასევე აფხაზეთს დაუბრუნდა თავისი ტერიტორია გაგრის სახით, რომელიც მეფის რუსეთმა 1904 წელს ადმინისტრაციულად შავიზღვისპირეთის გუბერნიას დაუმორჩილა.

1918 წელს სოხუმელმა ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს აფხაზეთში დაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება. რადგან მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა და არ ჰყავდათ ძალები, დახმარებისათვის მიმართეს ეკატერინოდარის (კრასნოდარის) ბოლშევიკებს—გამოეგზავნათ წითელი არმიის ნაწილები აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად და სოხუმის ოლქის შავიზღვისპირა—ყუბანის საბჭოთა რესპუბლიკასთან შესაერთებლად, შემდეგ კი შეტევა უნდა გაგრძელებულიყო დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის მიმართულებით, გამოჩნდა მეორე საშიშროებაც—აფხაზეთის პრომოურქულმა ძალებმა, ალექსანდრე შერვაშიძის ხელმძღვანელობით, 1918 წლის ივნისში თურქული დესანტი გადმოსხეს მდ. კოდორის მახლობლად სოფელ წყურგილთან. იყო კიდევ ერთი საფრთხე—აფხაზეთის დასაპყრობად მოისწრაფოდა გენერალი დენიკინი.

მაშინ აფხაზეთის სახალხო ფრონტის თხოვნით დემოკრატიული საქართველოდან გაგზავნილმა ჯარებმა აფხაზეთიდან ბოლშევიკებიც, დენიკინელებიც და თურქებიც განდევნეს.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა 1921 წლის 4 მარტს.

1921 წლის დეკემბერში აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში შევიდა, როგორც „დოგოვორნაია რესპუბლიკა" სათანადო ხელშეკრულებით. საქართველო-აფხაზეთს შორის გაფორმდა სამხედრო-პოლიტიკური და საფინანსო-ეკონომიური კავშირი, გაერთიანდნენ სამხედრო, საფინანსო, სამხედრო მეურნეობის, ფოსტა-ტელეგრაფის, საგანგებო კო-

მისიის, მუშურ-გლეხური ინსპექციის, იუსტიციის და საზღვაო ტრანსპორტის კომისარიატები.

საგარეო საქმეების წარმოება მთლიანად საქართველოს რესპუბლიკის განკარგულებაში რჩებოდა. რკინიგზა უშუალოდ ექვემდებარებოდა ამიერკავკასიის მმართველობას, საშინაო ვაჭრობა კი—საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საშინაო ვაჭრობის გამგეობას, ამიერკავკასიის ფედერაციაში აფხაზეთი შედიოდა მხოლოდ საქართველოს მეშვეობით. 1931 წლამდე აფხაზეთი იწოდებოდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. 1931 წელს კი საქართველოსა და აფხაზეთის საბჭოების სხდომების გადაწყვეტილებით აფხაზეთი შევიდა საქართველოს შემადგენლობაში, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა.

1922 წელს საოლქო მეორე პარტკონფერენციაზე ნ. ლაკობამ თქვა—აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკა ჩვენ გვჭირდებოდა, როგორც ტრაფარეტი („ვივესკა"), თუნდაც დროებით. თვით აფხაზეთის მაშინდელი ხელმძღვანელები აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკას ეძახდნენ „დროებითს", „ფორმალურს", „ჩეპუხას", „ვივესკას" და ა. შ. ფაქტიურად აფხაზეთი დამოუკიდებელი ერთი წუთითაც არ ყოფილა.

კავბიურის 1921 წლის ივლისის პლენუმის დადგენილებაში დამოუკიდებელ კავკასიურ რესპუბლიკებში მოხსენებულია მხოლოდ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, აფხაზეთი კი ნახსენებიც არ არის არსად.

შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ აფხაზეთი 1921 წლის მარტში გამოცხადდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად დროებით და ფორმალურად, მხოლოდ საბჭოთა იდეისა და საბჭოთა წყობილების განმტკიცების მოტივით, ასეთივე მოტივით იქნენ ამ პერიოდში ჩამოყალიბებული მთელი რიგი სხვა მოკავშირე რესპუბლიკები.

ასე, მაგალითად: 1918 წელს უკრაინის ტერიტორიაზე შეიქმნა დონეცკ-კრივოიროგის საბჭოთა რესპუბლიკა და იგი რატომღაც რსფსრ-ს შემადგენლობაში შევიდა, 1918 წელს შეიქმნა სტავროპოლის სოციალისტური რესპუბლიკა, იმავე წლის მარტში კი შავი ზღვის გუბერნიების ყრილობამ ტუაფსეში გამოაცხადა შავი ზღვის სოციალისტური რესპუბლიკა, მაისში შავი ზღვისა და ყუბანის სოციალისტური რესპუბლიკები გაერთიანდნენ ყუბან-შავი ზღვის სოც. რესპუბლიკის სახელწოდებით, მაგრამ ორი თვის შემდეგ ამ რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა.

1918 წ. ჩამოყალიბდა თერგის სოციალისტური რესპუბლიკა, რომელშიც გაერთიანდნენ ყაბარდოელები, ინგუშები, ჩეჩნები და ბალყარელები,

1920 წელს შეიქმნა კარელიის კომუნა, რომელიც რსფსრ-ს შემადგენლობაში შევიდა, შემდეგ იგი ავტონომიურ რესპუბლიკად გადაკეთდა,

მერე კარელია-ფინეთის სსრ ეახდა, ბოლოს ისევ ავტონომიური რესპუბლიკა ერქვა,

რუსეთის ფედერაციაში არიან ერები, მცხოვრებნი საკუთარ მიწაწყალზე, რომელთაც საერთოდ არავითარი ავტონომიური წარმონაქმნი არ გააჩნიათ, ესენია ნანაელები, ნივხები, სამები, სელკუპები, ევენები, უდეგეები, იტელმანები, აღმოსავლელი, ვენკები, იუკაგორები და სხვა,

სსრკ-ში იყო ოცი ავტონომიური რესპუბლიკა, მათგან აჭარა და აფხაზეთი შედის საქართველოში, ნახიჭევანი—აზერბაიჯანში, ყარაყალპაკეთი—უზბეკეთში, დანარჩენი 16-რუსეთში. ამ რესპუბლიკებიდან უმრავლესობა ურალს იქითაა, სადაც 1579 წლამდე (ერმაკის ლაშქრობამდე) რუსებს ფეხიც არ ჰქონდათ დადგმული.

სსრკ-ში ავტონომიური რესპუბლიკებიდან მოსახლეობის რაოდენობის მხრივ აფხაზეთი ყველაზე ბოლოსაა, კარელები არიან 84 ათასი, ყალმუხები—110 ათასი, ტუცემები—135 ათასი, ყაბარდოელები—265 ათასი, ოსები (ჩრდილოეთში)—269 ათასი, კომელები—276 ათასი, მარიელები—199 ათასი, იაკუტები—236 ათასი, დაღესტნელი ავარიელები—349 ათასი, მორდვები—365 ათასი, უდმურტები—484 ათასი, ჩეჩნები—508 ათასი, ჩუვაშები—856 ათასი, ბაშკირები—892 ათასი, თათრები—1 მილიონ 536 ათასი.

ოციან წლებში ე. ეშბა წერდა: აუცილებლად იქნა მიჩნეული თუნდაც დროებით გამოვაცხადოთ საბჭოთა აფხაზეთის დამოუკიდებლობა... იმისათვის, რომ არ მივეეცა შესაძლებლობა ჩვენი თავადებისა და მემამულეებისათვის ეაეწიათ ელეხების პროვიცირება, ეთამაშათ ნაციონალურ გრძნობებზე.

აფხაზები ჭირვეულობენ, ვითომ მათი მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი სტალინმა დაარღვიაო, აგინებენ მას, თუმცა ცნობილია, რომ სტალინმა პირადად საკუთარი ხელით ამოიღო სადეპორტაციო ერების სიიდან (ბერძნები, ყირიმის თათრები, ჩეჩნები...) აფხაზები. გავუსწრებ მოვლენებს და აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ 1978 წელს ამბოხებული აფხაზების წინააღმდეგ ლ. ბრეჟნევის გადაწყვეტილებით სამხედრო ძალა უნდა გამოეყენებინათ. ე. შევარდნაძე, რომელსაც აფხაზები სულ მუდამ აკრიტიკებენ და ადანაშაულებენ, ბაქოში ჩასულ ბრეჟნევს ეახლა და სთხოვა შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება, სამაგიეროდ წესრიგის დამყარებაზე მთელი პასუხისმგებლობა თვითონ იკისრა, ოღონდ არ მომხდარიყო სამარცხვინო ფაქტი და მოძმე აფხაზთა სისხლი არ დაღვრილიყო. (იხ. თ. მიბჩუანი, „აფხაზური სეპარატიზმის სისხლიან ნაკვალევზე“, ევ. 23). ქართველები მუდამ ასე უფრთხილდებოდნენ აფხაზებს;

როგორც აღინიშნა, 1921-1931 წლებში აფხაზეთი ფაქტობრივად ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით სარგებლობდა, აფხაზეთის ბიუჯეტი

იყო საქართველოს ბიუჯეტის ნაწილი. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ანგარიშვალდებულნი იყვნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების წინაშე.

სსრკ-ის 1924 წლის კონსტიტუციაში აფხაზეთი ფიგურირებს, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა.

აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის აპრილის მესამე სესიაზე დაადგინეს—ამოღებული იქნას აფხაზეთის კონსტიტუციიდან სახელწოდება „ხელშეკრულებითი რესპუბლიკა“ და მის ნაცვლად ჩაიწეროს „ავტონომიური რესპუბლიკა“. აფხაზეთის საბჭოების მე-6 ყრილობამ მოიწონა ეს დადგენილება, ასევე მოიწონა საქართველოს საბჭოების ყრილობამ 1931 წლის თებერვალში.

რამდენიმე მონაცემი აფხაზეთის მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობის ცვლილებებზე.

1886 წლიდან 1986 წლამდე, ე. ი. 100 წლის განმავლობაში, რუსების რაოდენობა აფხაზეთში გაიზარდა 70-ჯერ/1216-დან მიაღწია 74914-ს), სომხებისა 70-ჯერ (1090-დან მიაღწია 76.541-ს), სხვა ერებისა—25,5-ჯერ, ქართველთა რაოდენობა კი გაიზარდა მხოლოდ 3,5-ჯერ.

აფხაზები ხშირად გამოთქვამენ საყვედურს, რომ ბერიას მითითებით აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველთა ჩამოსახლებამ ეთნიკური თანაფარდობა დაარღვიაო, ასეთი ჩასახლება ნამდვილად იყო ოჩამჩირის, სოხუმის, გუდაუთის რაიონებში, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩასახლებულთა გარკვეული ნაწილი გააფხაზდა კიდეც, საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი უკან დაუბრუნდა საკუთარ კერას, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ მარტო ცალკე აღებულ გალის რაიონში, სადაც არავითარი ჩასახლება არ მომხდარა, მოსახლე ქართველთა რაოდენობა დიდად აღემატება მთელი აფხაზეთის მოსახლე აფხაზთა რაოდენობას ერთად აღებულს.

1886 წელს სოხუმში ცხოვრობდა მხოლოდ 3 აფხაზი (2 ქალი და 1 კაცი), ხოლო ქართველი იყო 3632; 1989 წელს ქ. სოხუმში აღირიცხა 14922 აფხაზი და 49460 ქართველი; 1886 წ. გუდაუთაში ცხოვრობდა 184 აფხაზი და 601 ქართველი, 1989 წ. კი—1738 აფხაზი და 1944 ქართველი; 1886 წ. ოჩამჩირეში აღრიცხულია 515 ქართველი, აფხაზი კი არც ერთი, ასი წლის მერე კი—1989 წ. ოჩამჩირეში 3664 აფხაზია, ქართველი კი—11688.

1859-1989 წლებში აფხაზთა პროცენტული ზრდის მაჩვენებელი ასეთია: სოხუმში აფხაზთა რაოდენობა 5,6-დან 12,5 პროცენტამდე გაიზარდა, ტყვარჩელში—19,9-დან 43,3%-მდე, გაგრაში 3,3-დან 11,2 პროცენტამდე.

30-იან 50-იან წლებში ქართველთა ორგანიზებული ჩასახლება

აფხაზეთში, რაზეც ზევით იყო აღნიშნული, ხდებოდა საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით, თანაც ჩასახლებული იყო არა უმეტეს 10 ათასი კაცისა. ყველა ისინი და მათი შთამომავლები ამ ბოლო დროს აფხაზებმა პირწმინდად გამოდევნეს აფხაზეთის ტერიტორიიდან და უპარდონოდ დაეპატრონენ მათ ნაშრომ-ნაღვაწ სახლ-კარს.

აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზები განგაშს სტეხდნენ ქართველთა ჩასახლებაზე, მაერამ რატომღაც ხმას არ იღებდნენ, არაფერს ამბობდნენ. სხვა ერების იმიგრაციისა და მათ წარმომადგენელთა მომრაველებაზე. ანგარიშვასაწევია ის ფაქტიც, რომ 1969 წელს საქართველოში ერთ კვ. კილომეტრზე საშუალოდ 78 კაცი ცხოვრობდა, აჭარაში—131, ხოლო აფხაზეთში მხოლოდ 60./იხ. ჟორჟოლიანის, ლეკიშვილის, თოიძის, ხოშტარიას წიგნი „Исторические и политико-правовие аспекти в Абхазий“.

1926 წლის აღწერასთან დაკავშირებით ნ. ლაკობა წერდა: რამდენიმე ათასმა კაცმა მიაკუთვნა თავი აფხაზ ეროვნებას, თუმცა მათი ენა აფხაზური კი არა, მეგრულიაო.

პროფესორ ჰ. გუგუშვილის გაანგარიშებით, მე-19 საუკუნის დასაწყისში აფხაზი მოსახლეობის საერთო რაოდენობა 30 ათასი იყო, 1856 წლისათვის კი—34,8 ათასი.

სოფელ ლიხნში მცხოვრებ 130 საგვარეულოდან 85-მდე ქართველ-მეგრულ-სვანურია, 35-მდე—აფხაზური. დანარჩენი 13—კაზაკური, ჯიქური, თურქული, თვით აფხაზეთის ცენტრში—შერვაშიძეთა რეზიდენციაში—აფსუური მოსახლეობა ქართველთა რაოდენობის ნახევარსაც არ შეადგენდა. აფსუურ საზოგადოებაშიც ქართველები ჭარბობენ აფსუებს რაოდენობაში. ‹ს. კვიტოულში, 1835 წელს ჩატარებული აღრიცხვით, სულ 156 კაცი ირიცხებოდა, აქედან ორიოდე თუ ერია აფსუური წარმოშობის.

კოდორის უბნის კვასკემიწის სოფელში (მე-19 ს-ის მეორე ნახევარში ამ სოფელს „აკვასკა“ დაარქვეს) 400-მდე კომლი იყო და ძირითადად მოსახლეობას ქართველობა შეადგენდა, ასევე იყო ეუდაუთის სოფ. მაზუხვაში (ბარმოშის თემი)

აფხაზეთში მომსახურე რუსი სამხედრო ოფიცრის მიერ 1863 წელს დაწერილ ნარკვევში, რომელიც კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის გენერალ კარცოვის მიერაა დამოწმებული, ნათქვამია, რომ ბზიფის მთისწინეთის მიწების დიდი ნაწილი თავისი მოსახლეობით ქართველ მეფეთა და სამეგრელო-ეურიის მფლობელთა მიერ იყო ნაწყალობევი ბიჭვინთის ეკლესიისა და სიმონ კანანელის მონასტრისადმი.

1839 წელს პოლკოვნიკი ესპეზო წერდა: ჩერქეზები, რომელთაც კარგად იცოდნენ ეგრაში დაბანაკებული რუსი სამხედროების სიმცირე, მოსვენებას უკარვავდნენ არა მხოლოდ მათ, არამედ აფხაზეთის სოფ-

ლებს..., რომ შემოსეულმა ჩერქეზებმა ამოწყვიტეს ს. დურიფშის რამდენიმე მოსახლე და გაიტაცეს ადამიანები, პირუტყვი და სხვა ქონება. აქვე გამახვილებულია ყურადღება უბიხებზე, აჩიპსებზე, აიგბებზე, ფსხუელებზე, რომლებიც ხშირად ესხმოდნენ თავს აფხაზეთს და იკავებდნენ საუკეთესო მიწებს.

თვითმხილველი თ. სახოკია აღნიშნავს, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ეუდაუთაში ცხოვრობდა 172 კომლი (1117 სული), რომელთაგან ქართველი და ლაზი იყო 388, რუსი—242, ბერძენი—133, სომეხი—132, ხოლო აფხაზი—67. (თ. სახოკია „მოეზაურობანი", გვ. 302). რუსეთმა აფხაზეთი რამდენიმე ნაწილად დაჰყო—ბზიფის, სოხუმისა და აბჟუის ოკრუგებად (1837 წ), სამურზაყანოს (1840 წ), წებელდის საბოქაულოდ, ეაგრისა და ხოსტას შორის ტერიტორიაზე შეიქმნა ჯიქეთის საბოქაულო—ე. წ. „მცირე აფხაზეთი", რომელიც 1841 წლიდან აფხაზეთის სამთავროს მიეთვალა.

აფხაზეთის მთავართა რეზიდენცია ლიხნში ანუ ლუხუნში იყო.

აღრიცხვის შედეგად ქართველთა რაოდენობა რომ ბევრი არ გამოსულიყო, რუსებმა ქართველები ცალკე აღრიცხეს, მეგრელები ცალკე და სამურზაყანოელები ცალკე, ამასთან აფხაზების რაოდენობა რომ მეტი ეამოსულიყო, მათ უბიხებიცა და ჯიქებიც მიუმატეს,

1886 წლის აღწერით სამურზაყანოს თემებსა და სოფლებში აღრიცხულია 29520 სამურზაყანოელი, ცალკე მეგრელად აღრიცხულია 984 კაცი, 4 კაცი რუსად, აფხაზი—არც ერთი.

მთელს აფხაზეთში, 1886 წლის მონაცემებით, აღრიცხულია 67,864 კაცი, აქედან 3474 მეგრელი ცალკე აღირიცხა, ხოლო 30604 მეგრელი—ქართველი (სამურზაყანოელი) ცალკე.

დღევანდელი აფხაზი ფალსიფიკატორები მორგებულად იყენებენ რუსების მიერ საუკუნის წინ შეგნებულად თუ შეუგნებლად ჩადენილ ეშმაკობას და 1886 წელს აღრიცხულ საკუთრივ აფხაზების 28320 კაცის რაოდენობას ავტომატურად უმატებენ გალის რაიონში მაშინდელი განსახლებული ადამიანების რაოდენობას, რომლებიც „მაშინ რუსების მიერ სამურზაყანოელებლად იქნენ ჩაწერილი, ამით კი რამდენადმე ხელოვნურად ადიდებენ აფხაზთა რაოდენობას. (ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხილეთ სპეციალურ ვაზეთ „საქართველოში", ვასვიანის წერილი).

თუ მკითხველის ყურადღება ძალიან არ გადაეღალეთ ციფრობრივი მონაცემებით, ვვინდა მოვიყვანოთ საბოლოო მონაცემები აფხაზეთის ეროვნულ შემადგენლობაზე და მათი დასაქმების მდგომარეობაზე.

1992 წლის მონაცემებით აფხაზეთის მთლიანი მოსახლეობა 521,1 ათას კაცს შეადგენდა, აფხაზეთის მოსახლეთა ეროვნული შემადგენლობის ცხრილი მოყვანილია ქვემოთ:

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქების და რაიონების მიხედვით

(მოსახლეობის აღწერით. კაცი)

	რიცხოვნობა კაცი				პროცენტობით მთელ მოსახლეობასთან			
	1959	1970	1979	1989	1959	1970	1979	1989
აფხაზეთის								
მოსახლეობა-სულ	404738	486959	486082	525061	100	100	100	100
აფხაზი	61193	77276	83097	93265	15,1	15,9	17,1	17,8
ქართველი	158221	199595	213322	239872	39,1	41,0	43,9	45,7
ოსი	693	1214	952	1165	0,2	0,2	0,2	0,2
რუსი	86715	92889	79730	74914	21,4	19,1	16,4	14,3
უკრაინელი	11474	11955	10257	11655	2,8	2,5	2,1	2,2
ბელორუსი	1389	1901	1311	2084	0,3	0,4	0,3	0,4
აზერბაიჯანელი	478	707	500	517	0,1	0,1	0,1	0,1
სომეხი	64425	74850	73350	76541	15,9	15,4	15,1	14,6
თათარი	1121	1454	1485	1099	0,3	0,3	0,3	0,2
ებრაელი	3332	4372	2067	1752	0,8	0,9	0,4	0,3
ბერძენი	9101	13114	13642	14664	2,2	2,7	2,8	2,8
ძ. სოხუმი								
მოსახლეობა-სულ	64730	101798	108337	119150	100	100	100	100
აფხაზი	3647	7355	10766	14922	5,6	7,2	9,9	12,5
ქართველი	20110	34560	41477	49460	31,3	33,9	38,3	41,5
ოსი	101	193	227	315	0,2	0,2	0,2	0,3
რუსი	23819	31220	28556	25739	36,8	30,7	26,4	21,6
უკრაინელი	2756	3832	3733	4001	4,3	3,8	3,4	3,4

	რიცხოვნობა კაცი				პროცენტობით მთელ მოსახლეობასთან			
	1959	1970	1979	1989	1959	1970	1979	1989
ბულორესი	—	409	402	605	—	0,4	0,4	0,5
აზერბაიჯანელი	67	165	129	148	0,0	0,2	0,1	0,1
სომეხი	6783	11664	11823	12242	10,5	11,5	10,9	10,3
თათარი	—	429	634	330	—	0,4	0,6	0,3
ებრაელი	1281	3718	1725	1385	2,0	3,7	1.6	1.2
ბერძენი	3141	5998	7069	7355	4,9	5,9	6,5	6,2
გაგრის საქალაქო საბჭო								
მოსახლეობა-სულ	52229	67451	65889	77079	100	100	100	100
აფხაზი	2302	4137	5435	7028	4,4	6,1	8,2	9,1
ქართველი	10365	14876	16770	21575	19,8	22,1	25,5	28,0
ოსი	115	189	190	301	0,2	0,3	0,3	0,4
რუსი	16257	20555	17517	18690	31,1	30,5	26,6	24,2
უკრაინელი	2118	2964	2198	2899	4,1	4,4	3,3	3,8
ბელორუსი	—	452	274	565	—	0,7	0,4	0,7
სომეხი	18211	20926	20904	22854	34,9	31,0	31,7	29,7
ბერძენი	389	729	752	890	0,7	1,1	1,1	1,2
ებრაელი	200	316	131	175	0,4	0,5	0,2	0,2
მათ შორის ქ. გაგრა								
მოსახლეობა-სულ	14023	23025	21134	24061	100	100	100	100
აფხაზი	464	1330	1903	2705	3,3	5,8	9,0	11,2
ქართველი	2618	5076	5486	6764	18,7	22,0	26,0	28,1
ოსი	66	81	76	119	0,5	0,4	0,4	0,5

	რიცხოვნობა კაცი				პროცენტობით მთელ მოსახლეობასთან			
	1959	1970	1979	1989	1959	1970	1979	1989
რუსი	7145	9695	7398	7333	51,0	42,1	35,0	30,5
უკრაინელი	1010	1379	865	1108	7,2	6,0	4,1	4,6
სომეხი	1806	3989	4341	4673	12,9	17,3	20,5	19,4
ებრაელი	141	212	88	114	1.0	0,9	0,4	0,5
ბერძენი	130	323	354	405	0,9	1.4	1.7	1.7
ბ ტყვარნელი								
მოსახლეობა-სულ	28440	25805	21549	21744	100	100	100	100
აფხაზი	5670	7862	7958	9202	19,9	30,5	36,9	42,3
ქართველი	6140	6745	5171	5086	21,6	26,1	24,0	23,4
ოსი	252	213	176	188	0,9	0,8	0,8	0,9
რუსი	12087	8276	6168	5321	42,5	32,1	28,6	24,5
უკრაინელი	1805	1047	896	773	6,3	4,1	4,2	3,6
ბელორუსი	-	164	-	135	-	0,6	-	0,6
სომეხი	961	578	306	337	3,4	2,2	1.4	1.5
თათარი	-	102	-	83	-	0,4	-	0,4
ებრაელი	82	52	31	28	0,3	0,2	0,1	0,1
ბერძენი	284	234	144	139	1,0	0,9	0,7	0,6
გუდაუთის რაიონი								
მოსახლეობა-სულ	53468	60139	55247	57534	100	100	100	100
აფხაზი	23508	28382	27697	30541	44,0	47,2	50,1	53,1
ქართველი	6307	7031	6974	7699	11.8	11,7	12,6	13,4
ოსი	19	182	66	83	0,0	0,3	0,1	0,1
რუსი	11170	11129	8607	7741	20,9	18,5	15,6	13,5
უკრაინელი	1193	1211	905	1059	2,2	2,0	1.6	1.8
ბელორუსი		305		220		0,5		0,4

	რიცხოვნობა კაცი				პროცენტობით მთელ მოსახლეობასთან			
	1959	1970	1979	1989	1959	1970	1979	1989
სომეხი	9579	10202	9403	8857	17,9	17,0	17,0	15,4
უბრალელი	153	122	64	55	0,3	0,2	0,1	0,1
ბერძენი	624	749	745	601	1,2	1,2	1,3	1,0
სოხუმის რაიონი (სოფლის)								
მოსახლეობა-სულ	84351	36522	38306	39516	100	100	100	100
აფხაზი	1898	1423	1748	1996	2,2	3,9	4,6	5,1
ქართველი	36507	15533	16855	17526	43,3	42,5	44,0	44,4
ოსი	89	169	46	48	0,1	0,5	0,1	0,1
რუსი	14530	3361	3356	2858	17,2	9,2	8,8	7,2
უკრაინელი	2055	552	491	472	2,4	1,5	1,3	1,2
ბელორუსი	-	63	-	166		0,2	-	0,4
სომეხი	22694	11027	11290	11617	26,9	30,1	29,5	29,4
ბერძენი	4303	3609	3522	4130	5,1	9,9	9,2	10,5
გულრიფშის რაიონი *								
მოსახლეობა-სულ		51700	50767	54962		100	100	100
აფხაზი		601	834	1311		1,2	1,6	2,4
ქართველი		25997	26138	29014		50,3	51,5	52,8
ოსი		97	46	68		0,2	0,1	0,1
რუსი		8160	7734	7646		15,8	15,2	13,9
უკრაინელი		879	845	954		1,7	1,7	1,7
ბელორუსი		97	-	172		0,2	-	0,3
სომეხი		13857	13328	13878		26,8	26,3	25,3
ბერძენი		1000	927	1000		1,9	1,8	2,0

* 1959 წ. გულრიფშის რაიონი არ არსებობდა.

	რიცხოვნობა კაცი				პროცენტობით მთელ მოსახლეობასთან			
	1959	1970	1979	1989	1959	1970	1979	1989
ოჩამჩირის რაიონი								
მოსახლეობა-სულ	61901	70252	76681	75388	100	100	100	100
აფხაზი	23779	26996	28027	27640	38,4	38,4	39,7	36,7
ქართველი	24481	30182	31047	34800	39,5	43,0	43,9	46,2
ოსი	50	76	60	89	0,1	0,1	0,1	0,1
რუსი	5869	5069	4129	4439	9,5	7,2	5,8	5,9
უკრაინელი	939	832	695	897	1.5	1.2	1,0	1.2
ბელორუსი		127		133		0,2		0,2
სომეხი	5562	5912	5698	6226	9,0	8,4	8,1	8,3
ბერძენი	195	217	179	232	0,3	0,3	0,3	0,3
გალის რაიონი								
მოსახლეობა-სულ	59619	73256	75306	79688	100	100	100	100
აფხაზი	389	511	632	627	0,7	0,7	0,8	0,8
ქართველი	54288	64671	68890	74712	91,1	88,3	91,5	93,8
ოსი	67	95	141	73	0,1	0,1	0,2	0,1
რუსი	2983	5119	3663	2480	5,0	7,0	4,9	3,1
ბელორუსი		284		88		0,4		0,1
უკრაინელი	608	638	494	600	1.0	0,9	0,6	0,8
სომეხი	635	684	598	530	1,1	0,9	0,8	0,7
ბერძენი	165	578	304	224	0,3	0,8	0,4	0,3

–განსაკუთრებით თვალში საცემია მოსახლეობის ბოლო აღწერით აფხაზი მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდა ქ. სოხუმში––2,2-ჯერ; ქ. გაგრაში––3,4-ჯერ; მთლიანად გაგრის ზონაში––2,1-ჯერ; სოხუმის რაიონში––2,3-ჯერ; ტყვარჩელში––2,1-ჯერ; გულრიფშის რაიონში––2,0-ჯერ გალის რაიონში––1,1-ჯერ; თვით აფხაზეთის ყველაზე კომპაქტურად დასახლებულ გუდაუთის რაიონშიც კი აფხაზების ხვედრითი წილი 1959 წლის აღწერიდან 44-დან 53 პროცენტამდე. ე. ი, 1,2-ჯერ გაიზარდა, მაშინ, როდესაც მოსახლეობა საერთოდ მინიმალურად იზრდებოდა.

მთელს რესპუბლიკაში ნომენკლატურულ მუშაკთა შორის აფხაზთა წილი იყო 34,6%. მ.შ. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის თანამდებობებს შორის—35,8%, რაიკომების აპარატების მუშაკებს შორის—40%, რაიკომის მდივნებს შორის—29,3%, საბჭოთა მეურნეობის დირექტორთა შორის—34,5%, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში აფხაზთა წილი 2,8 პროცენტს შეადგენდა, როცა აფხაზი ეროვნების წილი საქართველოს მთელი მოსახლეობის მხოლოდ 1,7 პროცენტია. საქართველოს უმაღლეს საბჭოში არჩეული 15 დეპუტატიდან 8 აფხაზი იყო. 1960-1992 წლებში საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდა აფხაზი ეროვნების 14 წარმომადგენელი, ხოლო მინისტრთა საბჭოში—10, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 12 მინისტრიდან 8 აფხაზი იყო, რაიონული და საქალაქო 8 პროკურორიდან—5, წარმოებების ხელმძღვანელთა 40% აფხაზები იყვნენ.

1991 წელს არჩეულ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში 17,8 პროცენტ აფხაზ მოსახლეობას 28 დეპუტატი ჰყავდა 65-დან, ხოლო 45,7% ქართველ მოსახლეობას—26 დეპუტატი, სხვა ეროვნებების 36, 5% მოსახლეობას არჩეული ჰყავდა 11 დეპუტატი.

საოცარია და, ალბათ, უპრედეცენტო შემთხვევაა, რომ ერთი აფხაზი დეპუტატის ასარჩევად 2,75-ჯერ ნაკლები საამომრჩევლო ხმა იყო საჭირო, ვიდრე ქართველი დეპუტატის ასარჩევად.

როგორც ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ჩანს, აფხაზები სარგებლობდნენ განსაკუთრებული უპირატესობითა და პატივისცემით.

1971-1987 წლებში საქართველოს ბიუჯეტი გაიზარდა 2,6-ჯერ, აფხაზეთის კი—3-ჯერ, კაპიტალდაბანდება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით აფხაზეთში 9%-ით მეტი იყო, ვინემ მთლიანად საქართველოში.

აფხაზეთი ერთადერთი ავტონომიური რესპუბლიკაა, რომლის კონსტიტუციაში ფიგურირებს სტატია ენის შესახებ, თუმცა ცნობილია ისიც, რომ აფხაზთა 60,62 პროცენტის საოჯახო ენა რუსულია, 95,49 პროცენტი კი მასიურ ინფორმაციას ღებულობს რუსული ენის მეშვეობით.

აფხაზეთი 1989 წლის აღწერით სსრკ-ს 20 ავტონომიური რესპუბლიკიდან ტერიტორიის მიხედვით მე-17 ადგილზეა, მოსახლეობის მიხედვით მე-16, ხოლო საკუთრივ აფხაზი მოსახლეობის მიხედვით ბოლო ადგილზეა.

1988 წ. მონაცემებით ყოველ 10 ათას აფხაზზე მოდიოდა 4,3 დასახელების მხატვრული ლიტერატურა, ეს 15-ჯერ მეტია რუსულ ლიტერატურაზე, 21,5-ჯერ მეტი—უკრაინულზე. მთელს სსრკ-ში გამომცემლობის მიხედვით (წიგნებისა და ბროშურების სახით) აფხაზეთი იყო პირველ ადგილზე, ქართველები კი მე-19 ადგილზე (ყოველ 10 ათას კაცზე 0,3 დასახელება) გამომცემლობის ტირაჟის მიხედვით აფხაზები

მთელს კავშირში მხოლოდ ესტონელებსა და ლატვიელებს ჩამორჩებოდნენ.

1989-90 წლებში აფხაზეთში ფუნქციონირებდა 73 აფხაზური (და შერეული ტიპის) სკოლა მაშინ, როცა ყაბარდო-ბალყარეთში, კალმიკიაში, ჩრდილო ოსეთში, ჩეჩნეთ-ინგუშეთში, ადიგეიში არც ერთი ნაციონალური სკოლა არ არსებობდა. 90 ათასიან ხალხს ჰქონდა თავისი ნაციონალური ტელევიზია, დრამატული თეატრი, სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, სახელმწიფო სიმფონური ორკესტრი, საგუნდო კაპელა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (Абнии) 23 კვლევითი დაწესებულება, სადაც 5 ათასი კაცი მუშაობდა, მათ შორის 500 მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი.

აქვე მოკლედ ავღნიშნავთ ომისწინანდელი აფხაზეთის საერთო მდგომარეობაზე.

1990 წლისათვის აფხაზეთში არსებობდა 93 კოლმეურნეობა და 56 საბჭოთა მეურნეობა, სადაც დასაქმებული იყო 57500 კაცი.

აქ მოღვაწეობდა 1044 მეცნიერ-მუშაკი, მ. შ. მეცნიერებათა დოქტორი—63, აკადემიკოსის—პროფესორის წოდება ჰქონდათ 38-ს, დოცენტის—231-ს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა იყო 326, სადაც სწავლობდა 85 ათასი მოსწავლე, დაწყებითი სკოლები—41, არასრული საშუალო სკოლები—54, მათ შორის აფხაზური სკოლა იყო 49, ქართული—112, რუსული—33, სომხური—47, ქართულ-აფხაზური—27, ქართულ-რუსული—22.

1921 წ. სოხუმში გაიხსნა ტექნიკუმი სამი განყოფილებით, სადაც სწავლობდა 100 მოსწავლე, იმავე წელს სოხუმის სამასწავლებლო სემინარია გადაკეთდა პედაგოგიურ ტექნიკუმად, 1924 წ. ახალ ათონში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სოხუმის პედინსტიტუტი დაარსდა 1932 წ., რომელიც 1979 წელს გადაკეთდა უნივერსიტეტად, 1959 წელს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი გადმოტანილი იქნა სოხუმში, იმავე წელს გაიხსნა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სოხუმის ფილიალი, რომელშიც 1992 წ. 719 სტუდენტი სწავლობდა.

1990 წ. აფხაზეთში იყო 402 ბიბლიოთეკა, 9 მუზეუმი, 3 თეატრი, 247 კინოდარბაზი, საავადმყოფო—46, ამბულატორია-პოლიკლინიკები—130, საწოლები—122,6 ათასი, სანატორიუმები—16, დასასვენებელი სახლები და პანსიონატები—37, მოედნები—195, ექიმთა რიცხვი შეადგენდა 2121 კაცს.

აღსანიშნავია აფხაზეთის ელექტროენერგეტიკა, რომელიც მთელი საქართველოს ელექტრო-ენერგეტიკის 32,6 პროცენტს შეადგენდა.

ამგვარად, აფხაზეთში ყოველგვარი პირობები იყო ნორმალური და ბედნიერი ცხოვრებისათვის, მაგრამ ზოგიერთი აფხაზი (განსაკუთრებით

გააფხაზებული ქართველი) ხშირად უკუღმართობდა. მათ საქციელს სრულყოფილად გამოხატავს მეგრული ტერმინი „იკვარჩხდ“.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული მხარე ყველაფერს აკეთებდა მათი მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის, ზოვი მათეანი მარად უკმაყოფილო იყო, აღსანიშნავია, რომ პირველად რუსების შემოსვლისას ისინი რუსებს ებრძოდნენ, მერე ერთხანს თურქებს, მერე ისევ რუსებს, ამჟამად ისევ რუსებს ეფიცებიან ერთგულებას და ქართველებთან კავშირის ხსენებაც არ უნდათ. ისტორიულად კი სხვა ერებთან შედარებით ქართველები და აფხაზები ყველაზე ახლოს და ყველაზე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ურთიერთთან. ამის საილუსტრაციო მაგალითები უამრავია. მოვიყვან მხოლოდ ორიოდ მაგალითს.

საბერიოელ თავადებს ჩქოტუებს დაკისრებული ჰქონდათ მეტად საპატიო მისია—აფხაზეთის მთავრის შვილების აღზრდა. სწორედ საბერიოელ ზურაბ ჩქოტუას ოჯახში იზრდებოდა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი ცნობილი აფხაზი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შერვაშიძე (იხ. ო. ჭურღულია, „დავით ჩქოტუა“, სოხ. 1969 წ., გვ. 5). ზურაბ ჩქოტუას ღვიძლი შვილი—დავით ჩქოტუა თავისი დროისათვის მეტად ცნობილი პიროვნება იყო. იგი ილია ჭავჭავაძისა და სხვა სამოციანელების მეგობარი და თანამებრძოლია. დავით ჩქოტუას უზარმაზარ ავტორიტეტზე მიუთითებს თუნდაც ის ერთი დეტალი, რომ ილ. ჭავჭავაძემ თავის ჟურნალ „ივერიის“ მუდმივ თანამშრომლად და ერთ-ერთ რედაქტორად მიიწვია 26 წლის დ. ჩქოტუა, ხოლო, როდესაც გაზეთ „დროების“ ახალი რედაქტორის არჩევა გახდა აუცილებელი და კენჭი უყარეს რედაქტორობის კანდიდატურებს, ი. ჭავჭავაძემ 18-დან 15 ხმა მიიღო, ს. მესხმა—10, ბ. ჯაფარიძემ—10, დ. ჩქოტუამ—10, ნ. ნიკოლაძემ—6, აკაკი წერეთელმა—4, ნ. დადიანმა—2, პირველი ოთხი—ი. ჭავჭავაძე, ს. მესხი, ბ. ჯაფარიძე და დ. ჩქოტუა—დაინიშნენ გაზეთ „დროების“ რედაქტორებად. აი, როგორი დაფასება და ადგილი ჰქონდა ქართველ კულტურის მოღვაწეთა შორის დ. ჩქოტუას და სწორედ ეს სამურზაყანოელი კაცი და აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი შ. შერვაშიძე ერთად იზრდებოდნენ, სიყრმის მეგობრები იყვნენ, ამიტომ მიიწვია გიორგიმ დ. ჩქოტუა თავისი მამულების მმართველად ქ. თბილისში. საუბედუროდ, აქ დაატყდა თავს დიდი ტრაგედია დავით ჩქოტუას.

1876 წლის ივლისს თბილისში უბედური შემთხვევა მოხდა. საღამოთი სახლიდან გაჰქრა ახალგაზრდა გოგონა ნინო ერასტის ასული ანდრეევსკაია, გ. შერვაშიძის ცოლის და, მისი გვამი მეორე დილით სახლიდან 10 კილომეტრის დაშორებით მდინარე მტკვარში იპოვეს მეთევზეებმა.

დაინტერესებულმა პირებმა გიორგი შერვაშიძის სახელის კომპრე-

მენტირების მიზნით შემთხვევა დაეგემილ მკვლელობად მიიჩნიეს და ბრალი გ. შერვაშიძის მოურავს დ. ჩქოტუას დასდეს.

ნინო ანდრეევსკაიას მამა ერასტი კავკასიის ყოფილი მთავარმმართებლის ვორონცოვის პირადი ექიმი და მასთან ძალიან დაახლოებული პიროვნება იყო, დედა—ბარბარე თუმანიშვილი—50-იანი წლების საზოგადო მოღვაწე, ერასტიმ მთელი მისი დიდძალი მამულები და ქონება აღმოსავლეთ საქართველოში ანდერძით დაუტოვა ორივე ქალიშვილებს—ნინოსა და ელენეს, ელენე ცოლად შეირთო გ. შერვაშიძემ. მამულები დებს შორის გაყოფილი არ იყო, როცა ანდრეევსკაიას ოჯახი საცხოვრებლად ქ. ოდესაში გადავიდა, მოურავობა გ. შერვაშიძეს მიანდო. მალე გადაწყდა, რომ დებს მამულები გაეყოთ. ამ მიზნით ნინო ოდესიდან თბილისში ჩამოვიდა, იგი დავით ჩქოტუას სახლში დარჩა. ეს სახლი მდ. მტკვრის პირას იდგა, რომელსაც მდინარეზე ჩასასვლელი ვიწრო ბილიკი ჰქონდა. ნინო საღამოთი ამ სახლიდან გავიდა და მტკვარში იპოვეს დამხრჩვალი. თითქოს საეჭვოც არ იყო, რომ სიცხით შეწუხებული გოგონა მტკვარში ბანაობდა და ბრმა შემთხვევის შედეგად დაიხრჩო, მაგრამ ჟანდარმერიამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა, დ. ჩქოტუა, მკვლელად გამოაცხადეს. მიუხედავად იმისა, რომ მას საქვეყნოდ განთქმული ადვოკატები—ორბელიანი, სპასოვიჩი, სორიკონი იცავდნენ, 20 წლის კატორღა მიუსაჯეს და ციმბირის გზას გაუყენეს ვორონცოვმა კი იმდენი მოახერხა, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილი აფხაზეთის მმართველობას ჩამოაშორა და 1864 წელს რუსეთში გადაასახლა, სადაც იგი სულ მოკლე დროში ვარდაიცვალა კიდეც; მთავარს მეფის ნაცვლის ინიციატივით მთლიანად ჩამოერთვა ქონება. ამის ვამო გიორგი შერვაშიძე მთავრობასთან კონფლიქტში იყო, მეფის მოხელეები მასში ბუნებრივ მტერს ხედავდნენ და ცდილობდნენ მის შევიწროებას, მის თავიდან მოშორებას. ანდრეევსკაიას ტრაგედია სურდათ გამოეყენებინათ გიორგის საწინააღმდეგოდ, უნდოდათ მისი დასმა საბრალდებო სკამზე, მაგრამ, როცა ეს ვერ მოხერხდა, დ. ჩქოტუა გაწირეს.

მეორე მაგალითი:

ამ ათიოდე წლის წინათ კურორტ ავადხარაში ვისვენებდი, იქ გავიცანი ხანდაზმული პიროვნება, მეტად ლამაზი და თანაც ფრიად ერუდირებული კაცი, მთელს აფხაზეთში ცნობილი მოღვაწე გრიგოლ თომას ძე ეშბა. როცა გაიგო, რომ მე სამურზაყანოდან ვიყავი, მომიყვა: ჰატარაობაში მე გალის რაიონის სოფელ ხუმუშქურში ვიზრდებოდი. ჩემი გამზრდელი თანას და დესპინე გადელიები იყვნენ. მათ თავის მხრივ ჰყავდათო 4 შვილი, შემდგომში ოთხივე—დიანოზი, ელიზბარი, ალიოშა, დანიელი—საზოგადოების მეტად ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ, ერთხელ შემთხვევით გადელიების სამზად სახლს ცეცხლი წაკიდებია,

კერასთან ორი აკვანი იდგა, ძიძამ თურმე ხელი პირველად გრიგოლ ეშბას აკვანს დაავლო, იგი სამშვიდობოს გაიყვანა და მერე მიბრუნდა ცეცხლმოკიდებულ სახლში საკუთარი შვილის აკვნის გადასარჩენად. ამ ამბის მოყოლაზე ჩვენ ორთავე გულწრფელმა ნაღველმა მოგვიცვა, საღამოს, ბუნებრივია, თითო ჭიქა ღვინო დავლიეთ იმ დიდებული ადამიანების ხსოვნის აღსანიშნავად, ვინც ასე წლობით, საუკუნობით ჭედდა ქართულ-აფხაზურ ძმობას და მეგობრობას. დღესაც თვალწინ მიდგას ბატონი გრიგოლის ეაბრწყინებული თვალები, როცა ის მოწიწებით ამბობდა მისი ეამზრდელების ნეტარხსენებული თანასისა და დესპინეს სახელებს, მე გული სიხარულით ამევსო, რადგან ამ დიდებული ადამიანების ერთ-ერთი რძალი ბაბუცა ჯოლოგუა ჩემი პირველი კლასის მასწავლებელი და დამკვალიანებელი იყო, ხოლო მათი შვილი—ალიოშა მაღალ კლასებში მასწავლიდა, მათი ერთი შვილი ელიზბარი ეარკვეულ პერიოდში კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, მესამე შვილი დიანოზი ქ. ტყვარჩელში მოღვაწეობდა, ხოლო ომში ტყვედ მოხვედრილი დანიელი 15 წლის გადასახლების მერე დაუბრუნდა საკუთარ კერას.

,,იდევ ერთი მაგალითი:

„ჭაქვინჯიდან სამურზაყანოს სოფელ ეშქეთში გადასახლებული გიორგი ჭარაიას და მის საბერიოელ მეუღლეს მართა ხუბუტიას სამ შვილთან—ნიკო, პეტრე და ბაბალესთან—ერთად გაუზრდიათ ობოლი ძიკი ინალიფა. ეს უპატრონო ბავშვი გიორგის სამ ღვიძლ შვილზე მეოთხე შვილად მიუმატებია და სამეგრელო—აფხაზეთის ძველი ჩვეულებრისამებრ თავის ღვიძლ შვილებზე ნაკლებ არ ჰყვარებია. შემდეგში დაცოლშვილებული ძიკი ინალიფა პეტრეს ნამდვილ ძმასავით ამოუდგა გვერდში ჭირსა და ლხინში, სამგიეროდ ადრე გარდაცვლილი ძიკის სამი შვლის გაზრდა პეტრემ იკისრა, რაც პირნათლად შეასრულა კიდეც (იხ. ს. ცაიშვილის „პეტრე ჭირაია“, გვ. 6, 1953 წ. ვამოცემა).

გალელებს მარად ეხსომებათ ქართველ-აფხაზთა ეულწრფელი სიყვარულისა და პატივისცემის კიდევ ერთი ფაქტი.

რაიონში იუბილეს უხდიდნენ საქართველოში საკოლმეურნეო ცხოვრების ერთ-ერთ ცნობილ პირს, კოლმეურნეობა „შეშელეთის“ თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის გმირს ბატონ კონდრატე ჯოფოს ძე უზარაშვილს. საღამოთი ასობით კაცმა მოიყარა თავი მის ეზოშივე ეამართულ საზეიმო ბანკეტზე. სტუმრები დამსხდარიც არ იყვნენ, როცა მოულოდნელად ეზოს კართან გაჩერდა სატვირთო ავტომანქანა. მანქანიდან ორი კაცი გადმოვიდა და ოჯახის უფროსს მოახსენა, რომ ამ მანქანით მას სამახსოვრო მეგობრული საჩუქარი ეამოუგზავნა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივანმა, მთელს კავშირში მეტად ცნობილმა და პოპულარულმა პიროვნებამ ბატონმა მიხეილ თემურის ძე ბღაჟბამ.

მანქანის ძარაზე იდო ხის მასალით სათუთად შემოჭედილი ნივეზის ხის ორი ცალი ნერგი და, რაც აღსანიშნავია, იქვე იდო ახალ ტარდაებული, გალესილ-გაპრიალებული ორი ბარი. ბატონ მიხეილს მანქანაზე მჯდომი მუშებისათვის დაუვალებია სხვისი დახმარების გარეშე თვითონვე გადმოეღოთ ნერგები მანქანიდან, თვითონვე ამოეღოთ ორმოები და დაერგოთ ისინი.

მუშებმა ყველაფერი გააკეთეს დავალებისამებრ, სათუთად დარგეს ნერგები და მხოლოდ ამის შემდეგ დალიეს ფრიად ნასიამოვნები იუბილარის სადღეგრძელო ყანწები.

აი, როგორი ძმობა და სიყვარული გექონდა. ვაი, რომ დღევანდელმა ჭკუანაღრძობმა სეპარატისტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს მათივე მომმე აფხაზი ხალხის შესანიშნავი შვილი, ცოდნითა და სილამაზით განთქმული კაცი რაულ ეშბა მხოლოდ იმისათვის, რომ რეალურად და საღად მსჯელობდა და სასტიკი წინააღმდეგი იყო ქართველთა გენოციდისა, ბატონ რაულს დახვრეტაც არ აკმარეს, ქ. სოხუმის ჭავჭავაძის ქუჩაზე სახლ-კარიც ვადაუბუგეს, ნაცარტუტად იქცა იმავე სახლში მცხოვრები სხვა თორმეტი უდანაშაულო ოჯახის მთელი ავლა-დიდება;

აფხაზეთში ბევრი იყო და არის ისეთი ადამიანი, რომელთაც წინაპართა კეთილშობილური ტრადიციებისათვის არ უღალატიათ. ამის თვალსაჩინო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს სოხუმში ყველასათვის კარგად ცნობილი და პატივცემული პიროვნების ალბერტ შამილის ძე აგუმაას თავგანწირვა. მან სეპარატისტთა მოღალატური და დამღუპველი პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშნად თავი მოიკლა თან ასეთი შინაარსის ბარათი დატოვა: Ардзимба-предател №1 своего народада он истребил свой народ а оставил сто человека себе, подобнь (იხ. მიჩბუანი, „აფხ. სეპარატ. სისხლიან ნაკვალევზე" გვ. 33).

მიუხედავად იმისა, რომ თავვასული სეპარატისტები ქართველთა მფარველობისათვის შეუბრალებლად ხვრეტდნენ თვით თავის მომმეებს, ზოგიერთმა აფხაზმა მაინც მოახერხა გადაერჩინა მშვიდობიანი ქართველი მოსახლეები.

აღნიშვნის ღირსია ქვემობარღებელი შალვა ზარქუას მეუღლის, ტყვარჩელში დაბადებული სვეტა ივანბას მოქმედება. იგი წინ გადაუდგა გაცოფებულ აფხაზ ბოევიკებს და აშკარა სიკვდილს გადაარჩინა მისი 30-40 ბარღებელი მეზობელი, რომლებიც საბავშვო ბაღის შენობაში ჰყავდათ შერეკილი და განადგურებას უპირებდნენ.

ბევრი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება, აფხაზი ინტელიგენციის პროგრესული ნაწილი ყოველნაირად ცდილობდა აღეკვეთა მოსალოდნელი უბედურება, მაგრამ ამის ხმამაღლა გამოცხადებაზე ის უმალ ერის მოღალატედ იქნებოდა გამოცხადებული.

უძველესი და მაღალი აფხაზური ვვარის წარმომადგენელი, ცნობილი

სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი ლ. მარშანია აღნიშნავს, რომ მრავალი წლის მანძილზე გასავალი ჰქონდა პრინციპს: „ვინც ანტიქართველი არ არის, იმას ჭეშმარიტი აფხაზი არ ეთქმისო“... დიდი ენება მოუტანა აფხაზეთსა და აფხაზებს ყველაფრის პატიების პოლიტიკამ... ზოგიერთმა აფხაზმა ლიდერმა და საზოგადო მოღვაწემ უკანასკნელ ათწლეულებში ყველაფერი იღონა, რათა ქართველთა სახით შეექმნა აფხაზი ხალხის „მტრის ხატი“... მაჰაჯირობის შემდეგ აფხაზეთის არცერთ ხელმძღვანელს არ დაუტეხია თავისი ხალხისათვის ასეთი უბედურება, არ დაუყენებია იგი ფიზიკური განადგურების პირას, როგორც ეს გააკეთეს თავიანთი წინდაუხედაობით აფხაზეთის დღეანდელმა ლიდერებმა“ (**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 23. 01. 93.წ.**).

ჩვენს ხალხს ღრმად სწამს, რომ ეს ომი გააჩაღეს ერთეულმა ჭკუანაღრძობმა პირებმა, სწავლაში, ცხოვრებაში, მუშაობაში ხელმოცარულმა ადამიანებმა. მესამე ძალის უშუალო ხელმძღვანელობითა და დახმარებით. აფხაზი ხალხი აქ არაფერ შუაშია, ხალხს არ შეიძლება ომი უნდოდეს, ზოგიერთმა ამბიციურმა პირებმა გადაჩეხეს ისინი ომში და საუკუნოვანი პრობლემა შეუქმნეს საკუთარ ხალხს და ქართველებსაც.

ჩვენ ღრმად გვწამს, ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ **მიხეილ დელბა, ვალერიან კობახია, ბორის ადლეიბა და სხვა ბრძენკაცები, ეს ომი არ მოხდებოდა, არ დაუშვებდნენ ისინი ძმათამკვლელ ომს, არ დაუშვებდნენ უმიზნო სისხლისღვრას.** ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი ვერც იპოვის პასუხს, თუ რისთვის გააჩაღეს ეს ომი, მიწისათვის? დალოცვილებო, მთელი აფხაზი ერი ღღეისათვის 90 ათასს ძლივს აღწევს, ყველა ისინი მთელი ნამრავლით მხოლოდ ერთი რაიონის ტერიტორიაზეც დაეტევიან სამასი წლის შემდეგაც.

განა 23-ე საუკუნეში მომსვლელი აფსუას ბედნიერებისათვის გაწირეთ თქვენი საუკეთესო გენოფონდი, განა ამისათვის გაამწარეთ აფხაზი და ქართველი დედები, განა ამისათვის დააქვრივეთ თქვენი და ჩვენი ახალგაზრდა მანდილოსნები, ამისათვის დაიობლეთ ათასობით პატარა. დაობლებაც არ აკმარეთ და ჯერ კიდევ დაუბადებელი ჩვილები დაუპირისპირეთ ერთმანეთს და გაუჩინეთ საუკუნოვანი თავსატეხი. მგონი, საუკუნეებიც არ ეყოფა იმას, რომ სამარცხვინო ლაქა წარხოცოს ომის გამჩაღებლებს.

კაცს უნებურად მოგაგონებდა უძველეს დროში მომხდარი ამბავი, ძვ. წ. 491 წელს **სპარსეთის** მეფე **დარიოს** პირველმა გადაწყვიტა დაელაშქრა საბერძნეთი. მან საბერძნეთის ყველა ქალაქ-სახელმწიფოს გაუგზავნა ბრძანება —„ჩამაბარეთ მიწა და წყალი“, რაც ნიშნავდა უსიტყვო მორჩილებას.

სამშობლოს სიყვარულით გულანთებულმა ლაკონიელმა სპარტე-

ლებმა მიწა-წყლის ჩაბარების მოთხოვნით მოსული ელჩები ჭაში ჩაყარეს და ზემოდან დასძახეს „მანდ შეგიძლიათ ორთავე მიირთვათ—მიწაც და წყალიცო“.

ისტორია შეუბრალებელია, ისტორია სწორად განსჯის ყველაფერს, ისტორია წარმოაჩენს ომის გამჩაღებელთა ნამდვილ სახესა და ვინაობას, განურჩევლად უნდა დაისაჯოს ყველა—ქართველიც და აფხაზიც, ვინც ეს ომი თავს მოგვახვია.

ზოგიერთი აფხაზი „ამტკიცებს“ ომი ქართველებმა დაიწყესო. საკითხავია, რატომ არ დაიწყეს ასეთი ომი ქართველებმა აჭარის წინააღმდეგ, ქართველები ბუნებით დამპყრობლები არც ყოფილან და არც არიან, მათ არასდროს არავისთვის ერთი მტკაველი მიწა არ წაურთმევიათ, პირიქით, მუდამ მათ ართმევდნენ კუთვნილ ისტორიულ მიწებს (რაზეც ზემოთ არის მითითებული) და ეს პროცესი საუბედურო დღესაც ერძელდება.

ქართულ-აფხაზური ომის 1992 წელს კი არ დაწყებულა, არამედ იგი ძალიან დიდი ხანია მზადდებოდა. ამ ვადაგანუსაზღვრელი ომისათვის მზადების თავისებური საფუძვლის ჩაყრა მაშინ დაიწყო, როცა აფხაზებმა ქართული ტოპონიმების შეცვლა დაიწყეს აფსუური ტოპონიმებით.

ასე, მაგალითად, ქართული ტერმინი სუბეიში შეიცვალა აჩიევარით, **წყურვილი-აძიუბჟათი, ილორი-ელირით, მოქვი-მიქუთ, კოდორი (კოდი ან სკოდი სვანურად ნიშნავს ღრმას)—კუდრით, გუში (გუშედ სვანურად ნიშნავს მთას, ე.ი. მთიდან გამომდინარე წყალი)—გუმისთად, ფსა-ჰსა ჩერქეზულად წყალს ნიშნავს.**

ლაღიძგა სოფლის სახელი იყო, იგი აღნიშნულია ლამბერტის რუქაზედ მე-18 ს. დასაწყისში, ამ სოფელს სახელი შეუცვალეს და ბესლახუბა უწოდეს. ს. ჭალა მოხსენიებულია მე-17 საუკუნის აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში, ეს სოფელი ეკუთვნოდა თავად ჯაიანებს, შემორჩენილია ტოპონიმი ნაჯაიანუ. აქ ეკლესიის ნანგრევებთან ნაპოვნია ქვის ფილა ქართული წარწერით, სადაც მოხსენიებულია დადიანი. ამ სოფელსაც შეეცვალა სახელი და ჭლოუ ეწოდა.

ახალ ათონში იეერიის მთას აბსართა დაარქვეს. დიუბუა დე-მონპერეს (შემდგომ ნ. დადიანსაც) მდინარე ბზიფის მარჯვენა მხარეზე მოხსენიებული აქვს სოფელი საინალიშვილო, ამჟამად მას კალდახვარა ჰქვია, ოჩამჩირე მეგრული წარმოშობის ტოპონიმია, ოჩე— მეგრულად საყანე ადგილი, ჩირე—მცირე გუბე, შეეცადნენ მას ქართული ვაევება დაუკარგონ და ოჩამჩირა უწოდეს, არქანჯელო ლამბერტის რუქაზე მოხსენიებულია ტოპონიმი პიტაური, ქართულ წყაროებში—კვიტაული–კვიტაური. მე-17 საუკუნეში აქ სასახლე ჰქონია ოდიშის მთავარს. ეს სოფელი კუტოლად მონათლეს, თვით ვალსაც შეუცვალეს სახელი და მას ალეკუმჰარა უწოდეს, თუმცა იგი არ დამკვიდრდა.

მე-8 საუკუნეში თანამედროვე სოხუმს ცხუმი ეწოდებოდა, ამ ტოპონიმის ძირი ქართულია, მეცნიერთა აზრით, ცხუმი სვანური სიტყვაა და ნიშნავს რცხილას (შეადარეთ მეგრულ ცხიმურს). მე-16 საუკუნეში, როცა თურქებმა ცხუმი დაიპყრეს, ეს სახელი შეცვალეს სოხუმით. თურქულ ენაში თანხმოვანი „ც" არ არსებობს, თანაც ამ ენაში ორ თანხმოვანს შორის აუცილებლად უნდა იყოს ხმოვანი. ცხუმი-სხუმი-სუხუმი-სოხუმი (**იხ. ვ. ზუხბაია „აღვადგინოთ ქართული ტოპონიმები" გაზ. „აფხაზეთის ხმა")**.

იმისათვის აფხაზ სეპარატისტები ემზადებოდნენ მოთმინებით, ნელ-ნელა, გადმოიბირეს სხვა კუთხის ზოგი წარმომადგენლებიც, თვით ქართველებიც კი, იდეურად მოშხამეს აფხაზი ახალგაზრდობის მრწამსი.

1950-52 წლებისათვის სოხუმის ქუჩებში კვირაში ერთხელ თუ მოკრავდით ყურს აფხაზურ ლაპარაკს, მაგრამ 3-4 წლის მერე, ქუჩაში გახშირდა ლაპარაკი აფხაზურ ენაზე, პირველად აფხაზები მოგვევლინენ მილიციელთა სახით, შემდგომ-სავაჭრო ობიექტებში, მერე თანდათან ყველა სფეროში შეაღწიეს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა პერიფერიებიდან იყვნენ ჩამოსულნი. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი გამოირჩეოდნენ კულტურით და ზრდილობით. შემდეგ გამოჩნდნენ „ცხელთავიანები", „კვარჩხები", რომლებიც თავიანთი ამბიციურობით სწამლავდნენ აფხაზი ხალხის ცნობიერებას;

ჯერ კიდევ 1957 წელს აფხაზთა ზოგიერთმა წარმომადგენელმა მოითხოვა აფხაზეთის გადასვლა რუსეთის იურისდიქციაზე, ათი წლის შემდეგ მეორედ მიმართეს სკკპ ცკ-ს და სხვა ინსტანციებს აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის შესახებ. 1978 წელს სსრკ-ს ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით ისევ დგება საკითხი აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე. კიდევ, ათი წლის შემდეგ, 1988 წელს მათ კვლავ მიმართეს კრემლს, რათა შეცვლილიყო აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი და მისთვის მიეცათ საკავშირო რესპუბლიკის უფლებამოსილებანი, იგივე თხოვნა განმეორდა 1989 წლის 18 მარტს სოფელ ლიხნში „აიდგილარას" მიერ მოწყობილ მიტინგზე.

1989 წლის 15 ივლისს აფხაზებმა მოაწყვეს აფხაზ-ქართველთა შეტაკება ეროვნებათაშორის ნიადაგზე და ამით პირველი, უკვე შეიარაღებული გამოსვლა დააფიქსირეს საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ შეტაკებაში დაიღუპა 17 და დაიჭრა 448 ადამიანი. აღსანიშნავია, რომ ამ შეტაკების დროს დაჭრილი ქართველების საავადმყოფოში მიღებაზე ექსტრემისტმა აფხაზმა ექიმებმა უარი განაცხადეს, მიღებულებს კი ყურადღება არ მიაქციეს.

აფხაზეთის ქართველობამ ბევრჯერ მოახერხა კონფლიქტის აცილება,

მაგრამ, ალბათ, ამომწურავი ღონისძიება მაინც არ ჩატარებულა. კონფლიქტის წამომწყებნი სათანადოდ არ დასჯილან, ამან ფრთები შეასხა მათ. და უფრო ინტენსიურად დაიწყეს ომისათვის მზადება.

„აიდგილარას", „სოიუზის" და „კრუნკის" ორგანიზაციებმა და სეპარატისტთა ამბიციურობამ უფსკრულში გადაჩეხეს აფხაზეთის მთელი მოსახლეობა.

მიდიოდა სამხედრო მზადება, ახალი ბატალიონების ჩამოყალიბება ჩრდილო კავკასიიდან მოსული დაქირავებული ახალგაზრდების ხარჯზე, ბევრი ჩამოსული ახალგაზრდა ჩარიცხეს აფხაზეთის უმაღლეს სასწავლებელში. ეს იყო შირმა, ფაქტიურად ისინი ბოევიკები იყვნენ და ომისათვის ემზადებოდნენ, ყიდულობდნენ იარაღს, ტექნიკას, საველე რადიოსადგურებს. მათ გათვლილი ჰქონდათ ისიც, თუ როგორ და რა ტრანსპორტით გაეტანათ ნაძარცვი ქონება.

1993 წლის შემოდგომაზე აფხაზებმა წარმატებით ჩაატარეს რუსეთის შეიარაღებული ძალების საწყობების თავდასხმისა და გაძარცვის იმიტაცია და ხელთ იგდეს ათასზე მეტი ავტომატი, 1275 ტყვიამფრქვევი, „ბეტეერი", საბრძოლო მასალები.

აფხაზეთში სისტემატურად ტარდება ადიღეის, ყაბარდოს, ჩეჩნეთის კულტურის დღეები, რომელთა დელეგაციების უდიდესი ნაწილი აფხაზეთშივე რჩებოდა და ემზადებოდა საბრძოლო მოქმედებისათვის.

საქართველოში კი ამ დროს სრული ანარქიაა, ნაწილი პრეზიდენტის მომხრეა, ნაწილი ოპოზიციაშია, ნაწილი სეპარატისტებთან თანამშრომლობს, ზოგიერთი კი იმით იყო დაკავებული, როგორმე ხალხი დუბაიში გაეწვია დასასვენებლად.

აფხაზეთის მთავრობამ კი მიიღო რიგი კანონსაწინააღმდეგო აქტები და დადგენილებები, საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციიდან გამოყვანილი იქნა შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროების კომიტეტი, პროკურატურა, სხვა სამეურნეო და საბიუჯეტო ორგანიზაციები, შეიქმნა მონოეთნიკური აფხაზური გვარდია, აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ომის დაწყებამდე მიიღო დადგენილება 1978 წ. კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტისა და 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ. თუმცა 1925 წლის კონსტიტუცია აფხაზეთის მესამე ყრილობას მიუღია შენიშვნით „დორაბოტატ" საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად. ამ კონსტიტუციას თვით ნესტორ ლაკობა ეძახდა „კონსტიტუციონნოი გლუპოსტიუ", რადგან იქ არ იყო საკანონმდებლო მექანიზმი აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნაზე.

ამავე დროს აფხაზეთში ერთადერთ სახელმწიფო ენად ცხადდებოდა რუსული ენა.

1994 წლის ნოემბერში მიღებული კონსტიტუციით აფხაზეთი გამოაცხადეს „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოდ.

აფხაზთა მიზანი იყო და არის ავტონომიური რესპუბლიკის დემოგრაფიული მონაცემების შეცვლა, ამ მიზნით ქართველთა გენოციდის და ეთნიკური წმენდის ჩატარება.

ეს მათ განახორციელეს კიდეც და ქართველების აბსოლუტური უმრავლესობა გამოყარეს აფხაზეთის მიწიდან. აფხაზეთის ტერიტორიიდან ქართველთა გამოდევნა განხორციელდა 5 ეტაპად.

1. 1991 წლის 17 მარტიდან 1992 წლის აგვისტომდე გუდაუთის რაიონიდან (ოთხარა, ახალი სოფელი, აბგარხუკი). სოხუმის ფიზიკა-მათემატიკის ინსტიტუტიდან ქართველი სპეციალისტების გამოდევნა, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის შენობიდან მათი გამოსახლება და მათ ნაცვლად აფხაზთა მონოეთნიკური გვარდიის ჩასახლება.

2. 1992 წლის 14 აგვისტოდან 2 ოქტომბრამდე ქართველთა თითქმის მთლიანი გასახლება გუდაუთის რაიონიდან.

3. 1992 წლის 2 ოქტომბრიდან 15 სექტემბრამდე ქართველთა გამოდევნა გაგრის რაიონიდან.

4. 1993 წლის 16 სექტემბრიდან—ქართველთა გასახლება ქ. სოხუმისა და სოხუმის რაიონიდან, ოჩამჩირის რაიონიდან.

5. 1993 წლის 30 სექტემბრიდან დღემდე გრძელდება ქართველთა გამოსახლება გალის რაიონის ტერიტორიიდან.

აფხაზ ბოევიკთა ვერაგობის, ქართველთა მიმართ უსაზღვრო სიძულვილისა და სისასტიკის არაერთი შემაძრწუნებელი ფაქტი იყო მოყვანილი საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 4 აპრილის სხდომაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ თ. ნადარეიშვილის მოხსენებაში.

ბ-მა თ. ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ ასობით კარგად მომზადებული და შეიარაღებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ქალაქებსა და სოფლებში შეჭრისთანავე იწყებდნენ ქართველთა ხოცვა-ჟლეტას, ცოცხალ ადამიანებს თავებს ჭკვეთდნენ, სხეულებს უსახიჩრებდნენ, გოგოებს ძუძუს კერტებს აჭრიდნენ, ქალებს ქმრებისა და მშობლების თვალწინ აუპატიურებდნენ.

გულრიფშის რაიონის სოფელ ბაღმარანში აფხაზების მიერ კომენდანტად დანიშნულმა ეროვნებით აფხაზმა, გუდაუთელმა კაცმა, რომელიც თავისი ქართველი ცოლით ცხოვრობდა ამ სოფელში, „მოღვაწეობა“ დაიწყო იმით, რომ მოკლა თავისი მეუღლე, მისი ნაშიერი ერთადერთი შვილი, სიდედრი, ხოლო შემდეგ პირადად მოსპო ათეულობით ქართველი მშვიდობიანი მოქალაქე.

1995 წლის 17 სექტემბერს ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძიუბჟაში

ბოევიკები თავს დაესხნენ ერთ-ერთ ოჯახს და მშობლების თვალწინ მათი ორი მცირეწლოვანი შვილი რკინის ღობეზე ჩამოაცვეს, მშობლები წაიყვანეს გაურკვეველი მიმართულებით, მისი რძალი და სტუმარი კი იქვე მიახვრიტეს.

სოფელ ფშაფში სომხების პანდამ დახოცა ექიმები ძმები სიჭინავები. ფეხმძიმე ქალი, გვარად პაპავა, ხეზე დაკიდეს, მუცელი გაუჭრეს, მერე ბენზინი გადაასხეს და დასწვეს.

გაგრელ კაცს, ვეარად მველაძეს, ვადაუჭრეს ვენები, მისი სისხლით ჭიქები ააესეს და ქართული სისხლით შესვეს „დამოუკიდებელი აფხაზეთის“ სადღეგრძელო.

5 ოქტომბერს დაბა ლესელიძეში აწამეს და ელექტრონის ბოძზე ჩამოახრჩვეს 50-მდე ქართველი, ახალსოფელში დახვრიტეს 17 კაცი, 70 წლის ინდიკო გრძელიძეს საჯაროდ ამოგლიჯეს გული, ხალხის თვალწინ ცულით დაჩეხეს ელგუჯა მაისურაძე, 65 წლის ნიკოლოზ გვაბზიანიძე ტრაქტორზე გამოაბეს, გაგრაში ცნობილ პედაგოგს ვასილ სამხარაძეს ქუჩაში საჯაროდ მოჰკვეთეს თავი, მერე დასაფლაეების უფლებაც არ მისცეს არავის და იგი ღორებმა და ძაღლებმა დაფლითეს. მთელი ღამე შიშველი წყალში ჰყავდათ ჩაყენებული შოთა მველაძე.

გაგრის საკურორტო სამმართველოს უფროსის ალექსი პარამიას ქალიშვილი ცისია ჯერ გააუპატიურეს, მერე თავი მოჰკვეთეს, მეუღლეც აწამეს, მერე მასაც თავი მოჰკვეთეს, მერე თვით ალექსიც და მისი 4 სტუმარიც იქვე დახვრიტეს.

ახალსოფელში სოფლის მოსახლეობის თვალწინ ვააუპატიურეს 12-16 წლის 25 გოგონა. უმწეო ბავშვებზე ჯგუფურად სქესობრივი ძალადობა მთელი კვირა გრძელდებოდა, ბევრ მათგანს ვაუპატიურების შემდეგ ძუძუს კერტები დააჭრეს.

მოვიყვან მოკლე ამონაწერს აფხაზების ტყვეობაში მყოფი ახალდაბელი პედაგოგის მოგონებიდან, რომელიც თითქმის ყველა ქართულ გაზეთში დაიბეჭდა. „... ყველანი წაგვასხეს სკოლის ეზოში. იქ კიდევ სხვა ქუჩების მცხოვრები ქალები და ბავშვები შემოგვიერთეს... ეზოებში და სოფლის გზაზე ეყარა დახოცილი ხალხი, მათ შორის ჩვენი სოფლის მათემატიკის მასწავლებელი ალექსი ცალანი. სულ მალე სკოლის დერეფანში შეგვრეკეს, მე ვიფიქრე, ეს ავტომატიანები ეხლა ყველას ამოგვხოცავენ მეთქი, მაგრამ მათ სულ სხვა განზრახვა ჰქონიათ. თვალის დახამხამებაში აგვართვეს ორი—მერვე და მეცხრე კლასელი მთვარესავით გოგოები. დედებმა მორთეს ღრიალი, არ წაიყვანოთ ოქროსა და ფულს მოგცემთო, მაგრამ ამაოდ. ოქროც წაართვეს, ფულიც და გოგონებიც წაასხეს, ჩასვეს პატარა, მანქანაში და მერე მე ისინი თვალით არ მინახავს... ალბათ, სხვა გოგონებსაც ასეთივე ბედი ელოდათ, რომ მათი

ლიდერი აფხაზი ედიკ ჟვანია არ მოსულიყო და არ წაეყვანეთ აძიუბჟის შტაბში. მაშინ ასე ვიფიქრე, თორემ თურმე უფრო უარესს ვვიმზადებდა ეს გააფხაზებული ქართველი. შტაბამდე სამი კილომეტრი ფეხით ვიარეთ, შტაბის ზედა სართულზე ახალგაზრდები შეიყვანეს, ქვედა სართულზე კი ხანდაზმულები. რასაკვირველია, ესეც შეგნებულად და საგანგებოდ, მოიმოქმედეს. ზემო სართულიდან რიგ-რიგობით გაჰყავდათ ცინცხალი, ახალგაზრდა ეოგოები იქვე ეზოში და უკან ცოცხალ-მკვდარნი ბრუნდებოდნენ. ჩემი ნათესავი ორი ეოგონა ასევე წაიყვანეს, უკან გასაცოდავებულნი დაბრუნდნენ და ჩემს მუხლებზე მოწყვეტით დაეცნენ უაზროდ. წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა. ხმის ამოღების უფლება არ ვექონდა და მუნჯურად დავტიროდით საკუთარ თავსა და უბედურებას. შიგა და შიგ შემოდიოდნენ ავტომატიანები და დაგვიცაცხანებდნენ ხოლმე: „ხმა კრინტი! ქართულად არ ილაპარაკოთ, მხოლოდ რუსულად!“... ამ დროს ვიღაცამ დაიჩურჩულა—ნოდარ ყურაშვილი წაიყვანეს ბუჩქებშიო. მეც გადავწიე ოდნავ თავი და დავინახე, როგორ შეიყვანეს საწყალი ნოდარი თხმელნარში და როგორ ვამოასალმეს ავტომატის ჯერით სიცოცხლეს. მისი ერთი ეოგონა მე მეჯდა კალთაში, გამწარებული, განაწამები, მას არ გაუგია მამის დახვრეტა. ამ ეოგონას დედა ომის დაწყების წინა დღეებში სოხუმში ყოფილა წასული და მდინარე კოდორის გაღმა შემორჩა ხიდის გადაკეტვის გამო. ასე დარჩა სამი ეოგონა და ერთი 5 წლის ბიჭი უდედმამოდ.

რამდენიმე საათის შემდეგ ყველანი დაგვსვეს სამხედრო ღია საბარგო მანქანაზე და გადაგვიყვანეს ათარა-აფხაზსკაიას სკოლის შენობაში. როცა ეზა ტყეში შევიდა, ჩემმა რძალმა დაიყვირა:—დედა, დედა, აგერ ჩვენი სახლის ნივთები ტრაქტორით მიაქვთო. მიჰქონდათ მაცივრები, ტელევიზორები, გაზქურები, საფენები, ხალიჩები, მანქანის ახალი ნაწილები. მთელი ჩვენი ნაშრომ-ნაჯაფი ასე მიედინებოდა სადღაც.

მივედით აფხაზურ სკოლაში, აგვიყვანეს მეორე სართულზე და დავყარეს იატაკზე. ჩვენზე ადრე მოყვანილები და ჩვენ ერთად სულ სამასამდე ვიქნებოდით. ვეყარეთ სიცივეში და სიბინძურეში, მშიერ-მწყურვალნი. მისვლისთანავე კიბეებზე ასვლისას წაგვართვეს რამდენიმე ახალგაზრდა ქალი და ეოგონა. ერთი მათგანი ის ეოგონა იყო, რომელსაც წინა დღით დაუხვრიტეს მამა. დაიწყო ოთახებში ძებნა-ჩხრეკა და ახალგაზრდა ქალებისა და ეოგონების გაყვანა. ვინ იცის რამდენჯერ, წამდაუწუმ, დღისით, ღამით, გამუდმებით, სიბნელეში ასანთითა და ცეცხლწაკიდებული ქაღალდით დაეძებდნენ, პოულობდნენ და მიჰყავდათ ჩვენი ნაფერები და დაზრდილი ეოგოები...

იყო შემთხვევები, ღღე მოინიშნავდნენ უმწეო ბავშვებსაც და ღამე გაჰყავდათ.

მეორე დღეს ოთახიდან აგვართვეს იმ დახვრეტილი მამის მესამე და მეექვსე კლასელი მოსწავლეები. ისინი ნაწამები დააბრუნეს და მთელი დღე ჩემს კალთას იყვნენ შეფარებულნი. საღამოს კი ისევ წამართვეს, მესამე დასაც იგივე ბედი ეწია. ვის შეეძლო ხმის ამოღება. გვიან ივი ტირილით დაეგდო ჩემს გვერდით და შემომჩივლა—თამარა ბებია, მოვკვდი, მეტი აღარ შემიძლია, რა ვქნაო, და მომიყვა როგორ აწვალეს და აწამეს ყოველი მხრიდან. როდესაც გამომიშვეს, ასე მითხრეს, თუ შენ არ შეგიძლია, მაშინ ვინმე შენი ტოლი გამოიყვანეო, რა ვქნა როგორ მოვიქცეო?!—მეკითხება საწყალი ბავშვი. იქვე კი კარებთან დგას ავტომატიანი ყაზილარი და ეძახის: „ნუ-კა მაყვალე, ბისტრეი?“ წარმოიდგინეთ რა დღეში ჩავვარდი, რა მეპასუხა ასეთი პატარა ნათესავი ვოვონასათვის, ჩემივე მოსწავლისათვის?! თუ არა, ჯერი უკვე ჩემს შვილიშვილზე იყო, რომელიც მასთან ერთად იჯდა მერხზე და ტოლები იყვნენ. მე, გონებაწართმეულმა პედაგოგმა, შუბლის ძარღვი გავიწყვიტე და ასე ეუპასუხე: „ბებია, ჩემო მაყვალე, ნუ ვეშინია, არ მოგკლავს, მოვეფერება, ერთხელ კიდევ გაყვევი“... ბავშვი მაშინვე გაჰყვა...

ამით მე საცოდავმა ჩემი შვილიშვილი გადავარჩინე, მაგრამ რის საფასურად? ღირს აწი ჩემი ქალობა, ჩემი პედაგოგობა და ჩემი სიცოცხლე?“...

ეს მოგონება ვრცელია, მაგრამ აქ შევჩერდეთ...

კიდევ ერთი შემაძრწუნებელი ფაქტი:

„აფხაზებმა ტამიშში ტყვედ აიყვანეს გიორგი ბენიძე და ფრიდონ არჯევანიძე. მესამე რუსი იყო. ორივე ქართველი დაუხოციათ, რუსს კი არ შეხებიან. დაუხოციათ და მერე როგორ? გივი ბენიძეს თურმე ქოჩორში წააელეს ხელი, ერთმა ხელები ვაუკავა, მიადგნენ და ჯერ ყურები ჩამოთალეს, მთვრალი მაყურებლები ხარხარებდნენ, ვიღაცას თუ რაღაცას ამსგავსებდნენ, შემდეგ ცხვირი მოაჭრეს, მერე ასო, მაგრამ ხედავენ, რომ არ კვდება, მაშინ თავს გადაუწევენ და ბასრი დანით ყელს გამოჭრიან, ამის შემდეგ იმავე დანით მუცელს უფატრავენ, გივი ძირს ეცემა. ტკივილის შეგრძნება მაინც შერჩენია, და, რაც ძალი და ღონე აქვს, მარჯვენა ხელს ყელზე იტაცებს. სიკვდილმა ხელი ყელს ისე მიაკრა, რომ ორი თვის შემდეგაც, როცა ივი ნახევრადგახრწნილი პატრონს ჩააბარეს, ხელი ყელზე ჰქონდა მიბჯენილი.

ჯერი ფრიდონზე მიდგა. მისთვის სხვანაირი სასჯელი მოიფიქრეს—კისერში ეკლიანი მავთული ჩააბეს, ცხენს გამოაბეს და მანამ ათრიეს, სანამ სული არ ამოძვრა. მხოლოდ ერთი შეღავათი გაუკეთეს: ყურები, ცხვირი და სხვა რამეც მხოლოდ სიკვდილის შემდეგ მოაჭრეს“ (ბ. გოლეთიანი, „ღია საფლავები“, გვ. 272).

გაგრაში 30 მილიციელი ერთდროულად დახვრიტეს, კინდღთან კაზა-

კებმა 72 მშვიდობიანი მოქალაქე გამოასალმეს სიცოცხლეს, გულრიფშის სოფელ ეანახლებაში აფხაზმა ბოევიკებმა შეუბრალებლად ეაჟლიტეს 48 კაცი, სოხუმში კურჩენკოს პარკში 400 ქართველი იქნა დახვრეტილი.

სოხუმელები როინ შუბლაძე და ეურამ კვაშილავა სეპარატისტებმა საკუთარ ბინებში დაცხრილეს. შემდეგ —ორივეს მკლავებზე და ფეხებზე ხორცი ააჭრეს და იატაკზე დაყარეს. ისინი ეაიძახოდნენ: „თუ აფხაზეთს არ დატოვებთ, ყველა ქართველს ეს დღე მოეელითო". აღმაშფოთებელი და ამაზრზენია ის ფაქტი, რომ აფხაზმა ბოევიკებმა 1993 წლის 22 სექტემბერს ბაბუშერის ახლოს ჩამოაგდეს სამეზავრო თვითმფრინავი ტუ-134, რომელშიც ასეულობით მეზავრი იყო უმეტესად ბავშვები და მოხუცები. თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდა და მის მეზავრთა გაუბედურებულ ჭირისუფლებს ცხედარიც ვერ ეღირსა დასატირებლად, ასევე წინა დღესაც ეაანადგურეს იაკ-40 მარკის თვითმფრინავი.

1994 წლის თებერვლიდან აფხაზმა ბოევიკებმა ეალში დაანგრიეს და დასწვეს 6000 სახლი, 40 საშუალო სკოლის შენობა, ეარეკეს 25 ათასი სული მსხვილფეხა პირუტყვი, მარტო ქალაქში დასწვეს და დაანგრიეს 1040 სახლი, ოქუმში—610, აჩიეეარაში—411, ეუდავაში–429. ანალოეიური მდეომარეობაა სხვა სოფლებშიც.

უამრავია სურათები აფხაზ ბოევიკთა და მათი დაქირავებული პირების მიერ ჩადენილი საშინელი და საზარელი ვანდალიზმისა.

აბლაბურხვასა და ტამიშს შუა აღმოაჩინეს 44 ქართველი მეომრის ეეამი, რომლებიც რიგ-რიგობით იყვნენ დაწოლილი მიწაზე და მათ გვამებს თავზე ტანკი იყო ეადაელილი. ყველას მხოლოდ თავი ჰქონდა მოჭყლეტილი.

აი, კიდეე ერთი მაგალითი იმისა, სადამდის მიდის არაკაცთა ეერაგობა და როეორ შეიძლება მისი ეანხორციელება.

ოჩამჩირის ერთ-ერთ სოფელში ორი ქართველი ჩარჩა. მათი ოჯახის წეერები ეაიხიზნენ და ოჯახის უფროსებმა რატომღაც ვერ შეძლეს დროზე გასვლა. ისინი ძმები იყვნენ და ეეერდიეეერდ ცხოვრობდნენ. მეორე დილით მათ მიადგა ერთი აფხაზი ბოევიკი მათივე მეზობელი და უთხრა:—„ჭირისუფლებმა თანხა ეადაიხადეს თქვენს გამოსასყიდად. ამ საღამოს მე სამშვიდობოს ეაეიყვანთ, ამ მანქანაზე დატეირთეთ ყველაფერი ის, რაც საუკეთესო ეაქვთ, და მე ყველაფერს ეაეატანინებთო".

დატრიალდნენ საწყლები, პირთამდე ეაავსეს მანქანა და საღამოსთეის დაიძრნენ კიდეც.

მოკლე მეზავრობის შემდეგ მანქანამ ცენტრალური ეზიდან ეადაუხვია და მდინარის მიმართულებით აიღო ეეზი. ქართველთა შეშფოთებაზე ყოფილმა მეზობელმა ისინი დაამშვიდა—ცენტრალურ ეზაზე ქვეყანა

დაგვინახავს, არ არის ვამორიცხული რაიმე უსიამოვნება შეეეხვედს და უკეთესია ტყე-ტყე ვიაროთ. როგორც კი მდინარეში შეეიდნენ, ორივენი დახოცა და მთელი მათი ქონება, მათ მიერვე შერჩეული და მანქანაზე დატვირთული, საკუთარ სახლში წაიღო. ამაზე მეტი ვერავობის ჩადენა ადამის მოდგმას, ალბათ, გაუჭირდება.

რა ხალხი, რა ადამიანები შეიწირა ამ უაზრო ომმა. ქ. სოხუმში მოკლეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა, დოცენტი—ხუტა ახალაია, მიხეილ ჯინჭარაძე—აფხაზეთის პარლამენტის წევრი, ბიჭიკო ბარამია—იურისტი, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე (მეუღლითურთ)—ცნობილი ქართველი პოეტი, შალვა ცაცუა—კავშირგაბმულობის მუშაკი, შოთა ჯღამაძე—მედიცინის მენციერებათა დოქტორი, ვერა ყოლბაია (მეუღლითურთ)—ექიმი, აკაკი სიგუა—პედაგოგი, კოტე სიგუა და მისი ვაჟიშვილი, ბიძინა მგალობლიშვილი—პროფესორი, კიმი კაჭარავა—სკოლის დირექტორი, ბრწყინვალე ადამიანი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ლექტორი—პროფესორი იური ნორაკიძე, მეცნიერები კარლო და გიორგი ჩხენკელები, გიორგი მიქიაშვილი (მეუღლითურთ) და მრავალი სხვა.

სოხუმის შემოსასვლელში, სოფელ აჩადარაში, ბოძებზე და მესერებზე ჩამოკიდებული ყოფილა გაშიშვლებულ ქალთა გვამები წარწერით: „პოკუპაიტე გრუზინსკოე მიასო". სოხუმში სეპარატისტთა ერთ-ერთი ლიდერის ბინაში აღმოაჩინეს ენგურჰესის კაშხალის აფეთქების ვეემა. ამ აქციით წყალში უნდა დაეხრჩოთ მთელი დასავლეთ საქართველო.

ქ. სოხუმიდან სვანეთის გზით ხიზანთა ვადასვლის დროს ვადასასვლელებზე დაიღუპა 400-ზე მეტი ადამიანი, გვამებით არის მოფენილი მთელი აფხაზეთის ტერიტორია, დაიჭრა 9200-ზე მეტი მოქალაქე.

სად წაიღებენ აფხაზი სეპარატისტები და მათი დამქაშები ამდენი უდანაშაულო ხალხის ცოდვას, სხვას რომ თავი დავანებოთ, ღმერთი არ აპატიებს, ღმერთი დასჯის მათ. სანთელ-საკმეველი თავის ბუნებას არ დაკარგავს.

მკითხველს მინდა გავაცნო აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი წარმომადგენლის, „ეამარჯვებული" აფხაზის მონანიება (მის ვინაობას შეენებულად არ ვასახელებ):

„—ერთ-ერთ სოფელში ალყა შემოვარტყით სახლს, სადაც ქართველები ბეეულებოდნენ, ყოველი მხრიდან ყველა სახის იარაღით გაეუხსენით ცეცხლი, სახლის წინა მხარეს მე ვიჯექი, უცებ კარი გაიღო და მეც ავტომატის სასხლეტს გამოვკარი ხელი, სახლიდან 10-12 წლის ულამაზესი ბიჭუნა ეამოვარდა, ჩემი ავტომატის ჯერმა მას თავის ქალა ახადა; ამას არ მოველოდი, დაღონდი; ძლიერ დავღონდი იმის ეამ, რომ მისი ტოლი ორი შვილი სახლში მეეულებოდა. ჩემი შვილები დამიდგნენ თვალ-

წინ... ბავშვი ტყვიის ხის ყუთში ჩავასვენე და ჩემი ხელით მივაბარე მიწას. მისი სახე მუდამ თვალწინ მიდგას, ვერ ვიშორებ, როცა მის სასაფლაოსთან გავდივარ, სინდისი მქეჯნის, გული მიღონდება, ვერ ვუძლებ, მოთმინება არ მყოფნის. მის მერე საკუთარ შვილებს არ გავთამაშებივარ.

როგორც კი ქართველები დაბრუნდებიან, მე მზად ვარ მივიდე მართლმსაჯულებასთან, ვაღიარო ჩემი დანაშაული და მივიღო სასჯელი დამსახურებისამებრ, იქნებ მომეშვას".

იმ საწყალ ყმაწვილს თავისი სიკვდილით დაუმარცხებია ეს „გამარჯვებული" მხეცი...

უნდა მოვიყვანო კიდევ ასეთი ფაქტი:

ერთ-ერთი საომარი ოპერაციის შემდეგ აფხაზი ბოევიკები ქეიფობდნენ, ხუმრობდნენ, შეზარხოშებულნი ერთმანეთს უყვებოდნენ ქართველთა წამება-დახოცვის ფაქტებზე.

ჯგუფში ერია 17-18 წლის სიმპათიური ახალგაზრდა აფხაზი. იგი საერთო მხიარულება-ხორხოცში არ მონაწილეობდა, მოწყენილი და დანაღვლიანებული სახე ჰქონდა. ოჯახის უფროსმა ჰკითხა, თუ რატომ იყო იგი ასე უხალისოდ.

ახალგაზრდა მოჰყვა თავის გულისტკივილს, ომის დაწყების წინ დავამთავრე საშუალო სკოლა, ვოცნებობდი სწავლის გაგრძელებაზე, დაოჯახებაზე, ცხოვრების უკეთ მოწყობაზე. ჩემი ცხოვრება კი სულ სხვანაირად წარიმართა. მე ვეკითხები ჩემს თავს: ვინა ვარ მე? მე ხომ კაცის მკვლელი ვარ, მე ხომ ნადირი გავხდი, მე ხომ ადამიანი არა ვარ, ჩამეფუშა ყველაფერი, რაზედაც ვოცნებობდი. რად ღირს აწი ჩემი სიცოცხლე.

გულწრფელად უნდა გავუგოთ ასეთ ადამიანს, იგი და მისთანა ათასობით ახალგაზრდა ხომ უნებლიედ ჩაითრიეს ძმათამკვლელ ომში ავანტურისტ სეპარატისტებმა, ისინი ხომ ოცნებაგაცრუებული ახალგაზრდები არიან.

საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა თავიდანვე კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან გზას, პოლიტიკურ გზას დაადგა, მით უმეტეს, რომ მშვიდობის გარანტად გვეელინებოდა რუსეთი.

დაიდო ხელშეკრულებები. გაფორმდა დოკუმენტები, მაგრამ მათ რაიმე დადებითი შედეგები არ მოჰყოლია, ქართველთა ყოველი სამშვიდობო ინიციატივა ფაქტიურად ტრაგიკულად მთავრდება.

1993 წლის 27 ივნისს ქ. სოჭში ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომლის შესაბამისად მოხდა ქართველი ჯარის განიარაღება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, გაყვანილი იქნა მძიმე ტექნიკა, ასევე თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა. აფხაზეთის ვახიზნული მოსახლეობა

დაუბრუნდა საკუთარ კერებსა და მშვიდობიან ცხოვრებას. 16 სექტემბერს კი ეს შეთანხმება ვერაგულად დაირღვა და ათი დღის უთანასწორო სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ სოხუმიც დაეცა. ხიზნობიდან სოხუმში მიბრუნებული ხალხი თითქოს ხელოვნურად და წინასწარ დაგეგმით გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბევრი მათგანი დაიღუპა, ბევრმა წვალებით გამოაღწია სამშვიდობოს. აფხაზეთის დაკარგვით ლტოლვილებად იქცა 280 ათასი ქართველი, 30 ათასი რუსი, 25 ათასი აფხაზი, სომეხი, ბერძენი, ებრაელი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

კიდევ ერთი დოკუმენტი გაფორმდა 1994 წლის 13 იანვარს, სადაც ფაქტიურად დაფიქსირდა ომის შედეგები. შემდეგ დოკუმენტები გაფორმდა 1994 წლის 4 აპრილსა და 1994 წლის 14 მაისს, მაგრამ შედეგი არ სჩანს, პირიქით, ზოგიერთი დოკუმენტის მოთხოვნები აუარესებს კიდეც ჩვენს საერთო მდგომარეობას (დევნილთა დაბრუნებისას ფილტრაციის დაშვების შესახებ და სხვა).

გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით მიღებულია 15 რეზოლუცია და 6 განცხადება, ჩვენი დელეგაცია 6-ჯერ ჩავიდა ჟენევაში, გაეროს 136 დამკვირვებელი იმყოფებოდა კონფლიქტის ზონაში, მიღებულ დოკუმენტებში და ყველა ოფიციალურ შეხვედრაზე აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, საუბარია დევნილთა უპირობო დაბრუნებაზე, თითქოს ყველანი ერთხმად უჭერენ მხარს საქართველოს მოთხოვნებს, მაგრამ პრაქტიკულად ნაბიჯები არ იდგმება.

საკითხავია და საინტერესოა, რატომ არავინ მოსთხოვა პასუხი აფხაზურ მხარეს 1993 წლის 27 ივლისს ქ. სოჭში დადებულ ხელშეკრულების მოთხოვნათა ვერაგულ დარღვევაზე, რატომ გაუდით მათ ყველა მოთხოვნა და პრეტენზია?

თუმცა დღეს ყველამ კარგად იცის, რომ 1992 წლის 14 აგვისტოს ომის დაწყებისთანავე პირველები ომში ჩაერთნენ რუსეთის სამხედრო ნაწილები, რომლებიც დისლოცირებულნი იყვნენ გუდაუთისა და სოხუმის რაიონებში. თითქმის ყველა საომარი ოპერაცია იგეგმებოდა რუსი გენერლების მიერ, რუსეთის თვითმფრინავები ბომბავდნენ ქართველთა პოზიციებს. 1993 წლის შემოდგომაზე რუსი გენერალ-ლეიტენანტი ჩინდაროვი პირადად ატარებდა აფხაზ მეომართა და მათ დამქაშთა სწავლებას მდინარე ხიჰსთასთან, სწავლებაში მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის საომარი ვერტმფრენები, რომელთაც რუსი მფრინავები მართავდნენ.

აფხაზეთის შენაერთების მარტის შეტევებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა **რუსი გენერალი სოროკინი.**

აღსანიშავია, რომ გენერალმა კალესნიკოვმა რამდენიმე ხნით ადრე „იწინასწარმეტყველა“ სოხუმის დაცემა.

დიდია რუსი ოფიცრების ლაშჩუკის, ბალაცკისა და სხვათა „დამსახურება“ ქართველთა გენოციდში.

ერთ-ერთი რუსი ვიქტორ პავლენკო აფხაზებმა დიდი პატიეით დამარხეს გუდაუთაში, იეი სიკვდილის შემდეე ორდენითაც დააჯილდოვეს.

რამდენიმე სიტყვა ცალკეულ კაზაკთა მოქმედებაზე. კაზაკებიდან აფხაზებს პირველები აღლერის კაზაკები მიეშველნენ. მათი ატამანი მიაცკი აფხაზებმა სიკვდილის შემდეე ორდენით დააჯილდოვეს. სწორედ პირადად მაიაცკიზე იყო მიცემული პირობა, რომ ეაგრისა და ლესელიძის აღების შემდეე ამ ადეილს დაარქმევდნენ ერმოლოვკას და აქ გამოყოფდნენ მიწებს კაზაკების კომპაქტური დასახლებისათვის. თუმცა აფხაზებმა ამ პირობების შესრულებაზე მოვეიანებით უარი ეანაცხადეს.

როცა სოხუმის მიმართულებით მდეომარეობა ეართულდა, სეპარატისტთა წარმომადეენელი ჩავიდა დონში და დახმარების სანაცელოდ იქაურ კაზაკობას აფხაზეთში სტანციების მოსაწყობად ტერიტორიების გამოყოფას შეპირდა. ბეერი კაზაკი ჩამოვიდა მაშინ აფხაზეთში. ერთ-ერთ როტას ხელმძღანელობდა ატამანი ბლინოვი, რომელიც შემდეე აფხაზეთის გმირი გახდა. კაზაკებთან ერთად მაშინ აფხაზეთისაკენ დაიძრნენ ლოთების, ნარკომანების, დამნაშავეების ჯგუფები, ყველა ისინი თავის თავს კაზაკებს ეძახდა; ერთიანდებოდნენ 14-17 კაციან ჯგუფებში, ჯგუფს კი თავისი ატამანი ჰყავდა. ისინი გაუეონარ სისაძაგლეს სჩადიოდნენ, არავის ზოვავდნენ, ერთმანეთსაც კი ესხმოდნენ თავს. კაზაკებს თავისი მიზანი ჰქონდათ. მათ უნდოდათ დაფუძნება, ვრცელი ტერიტორიების დაკავება, შეღწეეა აფხაზეთის მმართველობაში და ა.შ.

აი, რას მოითხოვს ერთ-ერთ ოფიციალურ წერილში კაზაკთა ატამანი გენერალ-მაიორი ი. კონოვი: შეეყეანათ რუსები აფხაზეთის ხელისუფლებისა და სამხედრო მმართველობის სტრუქტურებში 50 პროცენტის რაოდენობით, მიეცათ რუსებისთვის პენსიები ინდექსაციის გათვალისწინებით, სურვილის მიხედვით ხელუხლებლად დაეტოვებინათ რუსები აღრე დაკავებულ თანამდებობებზე, ყველა მსურველ რუსს მისცემოდა ორმაგი მოქალაქეობის უფლება, დაპირების თანახმად „ცანდრაშს“ დაერქმეოდა ერმოლოვკა და სტანციებისათვის კაზაკებს დაურიგდებოდათ მიწები ერმოლოვკაში, ვლადიმიროვკასა და პიცუნდაში. (ამ საკითხზე ვრცლად არის მსჯელობა გ. ფანჯიკიძის წერილში, იხილეთ **„საქართველოს რესპუბლიკა №78 5/IV — 1997 წ.)**

ზოგიერთი რუსი მოღვაწე ორმაგ თამაშსაც ეწევა, ზოგიერთი კი ფარულად თანამშრომლობს მათთან, 1996 წელს ქ. მოსკოვსა და სოხუმ-

ში აფხაზებმა მოაწყვეს შეხვედრა ბაბურინთან, ზატულინთან, აბდულატიპოვთან, ზიუგანოვთან, გენერალ კალესნიკოვთან და რუსეთის რეაქციული წრეების სხვა წარმომადგენლებთან. ძალიან ცუდია, რომ ისლამური სახელმწიფოების ზოგიერთი წარმომადგენელი მხარს უჭერს აფხაზ სეპარატისტთა ყოვლად ეაუმართლებელ მოთხოვნებსა და პრეტენზიებს.

ძალიან სამწუხაროა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებმა პროაფხაზური პოზიცია დაიკავეს. საინტერესოა, ხომ არ მოახერხეს აფხაზებმა სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობის ეადაბირებაც, ხომ არ შეპირდნენ მათ ქართველთა ქონებას. ცნობილია, რომ სეპარატისტები თითოეულ დაქირავებულ ბოევიკს ჰპირდებოდნენ 50 ათას მანეთს, თითო მანქანას და ბინას სოხუმში იმის შემდეგ, რაც ამ ბინიდან ისინი ეამოაძევებდნენ ქართველებს (გაზ. „აფხაზეთის ხმა“ 3.04.1995 წ.) ერთ-ერთი რუსი მეთაურის ქალიშვილს ქორწილზე სამოთახიანი ბინა და „მოკრძალებული“ ბრილიანტის ნივთები აჩუქეს, მეორე მეთაურს ავტოფარეხში 6 „ინომარკის“ ნაჩუქარი ცინცხალი მანქანა უყენია (1997 წ. 5 აპრილი „სვაბოდნაია გრუზია“)

ჩვენი დამარცხების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისიც იყო, რომ ქართველი ხალხი არ იყო ერთიანი. ეს საკითხი სრულყოფილად იქნა ეაანალიზებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ თ. ნადარეიშვილის მიერ. პარლამენტის სხდომაზე, სადაც ხაზგასმით აღინიშნა, რომ დასავლეთ საქართველოში ექსპრეზიდენტის მომხრეებმა ეაჩაღეს ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა, შეიქმნა დაუმორჩილებლობის კომიტეტი, იძარცვებოდა ფრონტზე მიმავალი ტვირთები, დანიშნულების ადგილამდე ვერ აღწევდა ტყვიაწამალი და სამხედრო ტექნიკა. ზოგი მაღალი თანამდებობის პირი თანამშრომლობდა უკანონო ფორმირებებთან, ეს უკანასკნელნი კი თავის მხრივ შეკრულნი იყვნენ აფხაზ სეპარატისტებთან. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ზუგდიდში შეიყვანეს ჩეჩნები და მათთან ერთად იზეიმეს სოხუმის დაცემა, ადგილი ჰქონდა ღალატის ფაქტებსაც, უნებურად ეაგახსენდებათ პოეტის სიტყვები: „ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა, ვაი, ჩვენო ქართლის ბედო“!

მიუხედავად ამისა, გულის გატეხვა „დაღრეჯილობა ცუდია“, ჩვენ იმედით შევყურებთ მომავალს და მტკიცედ ვეწამს, რომ მოკლე დროში დევნილები საკუთარ კერებს დაუბრუნდებიან. მართალია, ჩვენ წავიფორხილეთ, მაგრამ წაქცეული როდი ვართ.

რა დიდებულად გადმოგვცა ერთ-ერთმა დევნილმა თავის ლექსში ჩვენი ხალხის გულისთქმა და განწყობილება. აი ეს ლექსიც:

არა, არა ვარ მე წაქცეული

მე გვიან მივხვდი,
რომ ვერაფერი დაუდგება,
ამ ცხოვრებიდან წასვლას და სიკვდილს...
მე გვიან მივხვდი,
სიკეთისათვის, სიყვარულისათვის
სასჯელს რომ ვიხდი...
კერა გავუყავი, სახლი დამინგრიეს;
გული შევთავაზე—
სული დამირბიეს,
აზრიც შემირყეს, დამსაჯეს კიდეც
და ჩამომიგდეს საყრდენი კიბე...
ახლა კი ვდგავარ ხალხის წინაშე
დაჩეხილი და გზააბნეული,
მაგრამ
არა ვარ მე წაქცეული...
მე კვლავ და ისევ მოვიკრებ ძალას,
ამ ცხოვრებიდან დიდხანს არ წავალ,
ისევ ვესწრაფვი მზეს და სინათლეს
და კვლავ დავიპყრობ მრავალ სიმაღლეს,
რომ დავამკვიდრო ქვეყნად სიმართლე,
რომ გამთლიანდეს ერის სხეული,
მე ისევ ვდგავარ რწმენის კედელთან
არა,
არა ვარ მე წაქცეული...

სამურზაყანო

უეჭველია, ბევრი ამ ქვეყნის სახელს პირველად გაიგონებს, საკვირველიც არ არის, სამურზაყანოს უჭირავს ქუთაისის გუბერნიის განაპირა და მივარდნილი ადგილი, სადაც ქართველი კაცი იშვიათად ხვდება, ამიტომ მოვითხრობთ რამდენიმე სიტყვით მის შესახებ **სამურზაყანოს ჩრდილოეთით საზღვრავს კავკასიის ქედი, აღმოსავლეთით —სვანეთი და სამეგრელო, სამხრეთით—შავი ზღვა და დასავლეთით—აფხაზეთი.** სიგანით ეს ქვეყანა 40 ვერსი იქნება, სიგრძით კი—60; **სამურზაყანოს** მოსახლეობა შეადგენს 50000 მცხოვრებს.

სამეგრელოს და აფხაზეთს შუა მდებარეობამ ბევრი ტანჯვა და წამება მიაყენა სამურზაყანოს. ორივენი მისი დასაკუთრებისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ. ამიტომ ივი ხან აფხაზეთის ხელში იყო, ხან სამეგრელოს ემორჩილებოდა. ხალხს უფრო სამეგრელოს მხარე ეჭირა და იმის მბრძანებლობა ერჩივნა. აფხაზეთის ქვეშევრდომობას, რადგანაც მეგრელები და სამურზაყანოელები ერთი ხალხია. წინასაუკუნეებში სამურზაყანო უმეტეს ნაწილად სამეგრელოს ეკუთვნოდა. შემდეგში აფხაზეთმა ძალა მოიცა და სამურზაყანო დაიმორჩილა, მე-16 საუკუნის ნახევრამდე ეს ქვეყანა აფხაზეთის მეოთხე ნაწილად ირიცხებოდა და აქაური მთავარი სამურზაყანოში მმართველად ნიშნავდა თავის ვეარის კაცს. ე.ი. რომელსამე შარვაშიძეს უკანასკნელი მმართველი მურზაყან შერვაშიძე თავის მთავარს განუდგა, სამურზაყანო გააცალკევა აფხაზეთისაგან, თვითონ მიითვისა მბრძანებლობა და ამ ქვეყანას დაარქვა სამურზაყანო, ე.ი. მურზაყანის მემკვიდრეობა, ეს მოხდა 1671 წელს და ამ დროის შემდეგ სამურზაყანო ცალკე, საბრძანებლო იყო რუსეთთან შეერთებამდე. გადმოცემა მოგვითხრობს, ქრისტიანობა სამურზაყანოში თვითონ ანდრია მოციქულმა დანერგაო. ეს კი ნამდვილია, რომ შუა საუკუნეებში საქართველოს სიძლიერის დროს, ქრისტიანობა აქ ეავრცელებული იყო და მრავალი ეკლესია არსებობდა. ბედიის მშვენიერი ტაძარი, მე-11 საუკუნეში აშენებული, აქამდის მთლად შემონახულია სამურზაყანოში. ტაძარი არის აგებული თეთრი თლილი ქვით, წვეტიანი გუმბათით და სდგას ერთს მშვენიერს მთის წვერზედ დასავლეთის საზღვართან, აფხაზეთის მახლობლად. ეს ტაძარი ყოველი მხრით სჩანს ძალიან დიდ მანძილზედ, მაგრამ მე-15 საუკუნიდან ქრისტიანობა აქ უკანუკან წავიდა და დაეცა, ამის მიზეზი გახდა კონსტანტინეპოლის აღება

ოსმალებისაკან, რომელთაც მთელი შავი ზღვა თავისი ხომალდებით სრულად ხელში დაიჭირეს და დაუდგრომლად ცდილობდნენ, რომ ქრისტიანობა ყველგან მოესპოთ და თავიანთი სჯულში გაევრცელებინათ, ბევრს ადგილს თავის გულის წადილს ეწივნენ, მაგრამ სამურზაყანოში კი ვერ დაამკვიდრეს მაჰმადიანობა, თუმცა ქრისტიანობა მეტად შეაწუხეს და ხალხს თითქმის დაავიწყეს. რომ სამურზაყანოში მაჰმადიანობა მტკიცე არ ყოფილა, ამას ცხადად ამტკიცებს ჯერ ის ფაქტი, რომ ამ ქვეყანაში მეჩეთი არსად იპოვება, მეორედ ისა, რომ ხალხმა ქრისტიანობა ადვილად მიიღო.

თითქმის მთელი სამურზაყანო ტყით არის დაფენილი. სახნავ-სათესი მინდორი ძალიან ცოტაა, ამიტომ პური ამ ქვეყანაში ვარედან შეაქვთ და მცხოვრებლები უფრო ნაყიდი პურით იკვებებიან. შინაურის პირუტყვის მოშენებას, მეტადრე ცხვრისას, სამურზაყანოელები ერთგულად მისდევენ, რადგანაც ცხვრის ფარას ზაფხულში აქაური სიცხის ატანა არ შეუძლიან, ამიტომ ენგურის მარჯვენა ნაპირს მდებარე მთებზედ მიუდით, სადაც ნოყიერი ბალახი უხვია. ეს საძოვარი ადგილი თავადების საკუთრებაა და სამურზაყანოელებს 100 ცხვარზედ ართმევენ თითო სულ ცხვარს საბალახოს ფასად. ამ საბალახოს ვარდა ხალხი სხვა ხარჯს არას იხდის თავადების სასარგებლოდ.

სამურზაყანოელები უფრო ქონებიანნი არიან, ვიდრე აფხაზები და მეგრელები. თავი მიზეზი ამისა ის არის, რომ ამ ქვეყანაში ხალხს თავისუფლება ჰქონდა და ბატონყმობას არ დაუჩაგრავს. მეორე მიზეზი აყრილი ტყის სიუხვეა. აქაურ ტყეებში ყოველგვარი ხე ხარობს და მეტად დიდრონი იზრდება. მცხოვრებელნი ჰყიდიან ხე-ტყეს, რომელსაც უფრო გემების ასაშენებლად ხმარობენ, და ამითი იძენენ ქონებას.

სამურზაყანოში შესანიშნავი სოფლები არის: ოჩამჩირი, ყადორი, ბედია, სადაც არსებობს ძეგლი, მეტად შესანიშნავი ტაძარი—მოქვი, ოქუმი და სხვანი.

ი. გოგებაშვილი
1894 წ.

მშობლიურო ჩემო მიწავ!

როს მოკვდები, ჩემს საფლავზე
სიცოცხლეში მუდამ ვფიქრობ,
სხვა მიწა არ დამაყაროთ,
სხვა მიწას მე ყნოსვით ვიცნობ.
ძირძველ მიწის შვილი ვარ და
მის ცვარ-ნამს და ორთქლსაც ვიცნობ,
მისი ძარღვის შვილი ვარ და
მშობელ მიწამ დამამიწოს!

ი. კაკაბა

სამურზაყანო—გალის რაიონი

საკითხის სრულყოფილად წარმოდგენის მიზნით მიზანშეწონილად მიმაჩნია რამდენიმე წინადადებით მიმოვიხილოთ სამურზაყანოს ისტორიული წარსული.

ოდითგანვე სამურზაყანოდ ცნობილ გალის რაიონში 1934-37 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენელია ხელნაჯახი, რომელიც პირველყოფილ ადამიანს დაახლოებით 15 ათასი წლის წინათ გამოუყენებია რაიონის ტერიტორიაზე (ს. ოქუმში, რეჩხო-ცხირში) 50-ზე მეტია ადგილი, სადაც ქვის ხანის ადამიანს უცხოვრია, რაიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილია კოლხური ცული, წვეტანები, სახოკები, კაჟის იარაღები, რომლებიც კოლხური ბრინჯაოს კულტურის პერიოდს—ძვ. წ. აღრიცხვით მეორე ათასწლეულს განეკუთვნება.

გალის რაიონი **არქეოლოგიური თვალსაზრისით საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მდიდარი რეგიონია.** თითქმის არ არის კაცობრიობის განვითარების რომელიმე ისტორიული პერიოდი, რომლის მატერიალური კულტურის ამსახველი ძეგლები არ იყოს რაიონში ცნობილი. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფიქსირებული 1000-მდე ობიექტიდან 200-ზე მეტი სწორედ გალის რაიონზე მოდის და ეს გამოწვეულია იმ გეოგრაფიული და ისტორიული მნიშვნელობით, რომელსაც ოდითგანვე ასრულებდა ეს მხარე დასავლეთ საქართველოსთვის.

უძველესი ძეგლები გალის რაიონში წარმოდგენილია ქვედა პალეოლითური ნავსადგომებით, რომელთა ასაკი 150-100 ათას წელს ითვლის. აშკარაა, რომ უძველესი ადამიანის განსახლებასა და ჩამოყალიბებაში გალის რაიონს თავისი ადგილი აქვს მიკუთვნილი.

ძალზე საყურადღებო ჩანს სოფ. ღუმურიშსა და ჩხორთოლში მიკვლეული **ახალი ქვის ხანის** (ნეოლითი—ძვ. წ. VIII-VII ათასწლეულები) **ნასახლარები.** ისინი შემორჩენილია თავდაპირველ, უძრავ მდგომაროებაში, და ამდენად ერთადერთ ეტალონურ ძეგლებს წარმოადგენენ მწარმოებლურ მეურნეობაზე გარდამავალი საფეხურის კვლევის საკითხში.

ქვიდან ლითონის ხანაზე გარდამავალი ეტაპი (ენეოლითი —ძვ. წ. V ათასწლეული) წარმოდგენილია ოქუმის ცნობილი გამოქვაბულის მატერიალური ნაშთებით, რომლებიც მყარ საფუძველს იძლევა რეგიონის

უძველესი მწარმოებლური მეურნეობის საკითხების კვლევის საქმეში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ერთგვარად ეტალონური აღმოჩნდა უკანასკნელ ხანებში წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოები სოფ. ფიჩორში (ხელმძღვანელი, პროფ. მ. ბარამიძე), სადაც დაფიქსირდა ერთ სტრატიგრაფიულ ჭრილში ვანფენილი 8 კულტურული ფენა (ისტორიული ეტაპები). მსგავსი სტრატიგრაფიის ძველი ჯერჯერობით უცნობია ძთელი კავკასიისათვის და ამდენად მასზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება კულტურის და ისტორიის ისეთი კარდინალური საკითხების კვლევა, როგორიცაა კულტურათა გავრცელება, მათი განვითარება-გენეზისი, მიწათმოქმედებისა და ბრინჯაოს მეტალურგიის ჩასახვა-განვითარება, უადრესი კავშირ-ურთიერთობანი მეზობელ კულტურებთან და რეგიონებთან და სხვა.

ფიჩორის ნასახლარი არსებობას იწყებს ძვ. წ. XXIII ს. მაინც და ასრულებს ძვ. წ. III ს. დასაწყისში. ამდენად სახეზე გვაქვს მატერიალური კულტურის განვითარების უწყვეტი ხაზი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადრეული კულტურების ფორმირებისა და მათი ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრის საკითხში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეს უკანასკნელი ვარემოება ჩვენი დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე. ვამთხრელთა აზრით, ფიჩორში ვამოვლენილი მასალები ცხადყოფენ მათ ქართველურ (სვანური, მეგრულ-ზანური) ეთნიკური მასისადმი უყოყმანო კუთვნილებას. ამით საფუძველი ეცლება აფხაზ სეპარატისტთა ანტიმეცნიერულ მტკიცებებს აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძეგლების აფხაზურ-ადიღეური მასისადმი კუთვნილების შესახებ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მასალებია მოპოვებული ნასახლარის უძველეს ფენებში. აქ აღმოჩენილია ბრინჯაოს მეტალურგიული კერა, სადაც მზადდებოდა უნიკალური ნივთები––ცულები, თოხები, სატევრები შუბისპირები და სხვა. ნაწილი ამ ნაკეთობებისა განკუთვნილი ჩანს შორეული ექსპორტისათვის.

მიწათმოქმედების ადრეული საფეხურის მაღალ დონეზე აშკარად მიგვითითებს აქ აღმოჩენილი ორი ჯიშის ხორბლის, ფეტვის, ქერის მარცვლები, ბრინჯაოს თოხები და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ხის 2 სახვნელი, რომელიც ტიპოლოგიურად ახლოს დგას ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებულ უადრეს მეგრულ „აგაფას“ ტიპის იარაღთან. აშკარაა მათ შორის გენეტიკური კავშირი. უდაოდ აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის ხის სახვნელის აღმოჩენის ფაქტი აშკარად ადასტურებს გუთნურ მიწათმოქმედებას უმაღლეს დონეზე. თავად ეს ფაქტი კავკასიისათვის პირველია და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

თავის არსებობის უკანასკნელ საფეხურზე (ადრეანტიკური ხანა—ძვ.

წ. VI-III სს.) ფიჩორის ნასახლარი ძალზე დიდ ფართობზეა განფენილი (10 ჰა ფართობი,) რაც დაახლოებით თანამედროვე საშუალო ზომის ქალაქის ადექვატურია. ნასახლარის მასშტაბურობა, გამაგრების ერთიანი სისტემა, მონაპოვარი მასალის ერთი ნაწილი აშკარად გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს წინაქალაქურ ცივილიზაციასთან. ვაქალაქების დასრულება არ განხორციელდა ბუნებრივი პირობების გამო (შავი ზღვის დონის აწევა). მოხდა ამ ტერიტორიის წყლით დაფარვა და ნასახლარმა შეწყვიტა არსებობა. მოსახლეობა ტოვებს ამ ტერიტორიას და გადადის მთისა და მთისწინა ზოლში. ეს პროცესი განსაკუთრებით კარგად გალის რაიონის ძეგლებზე ჩანს.

ექსპედიციამ გალის რაიონში მრავალი ძეგლი გამოავლინა და შეისწავლა. (სოფ. წარჩე, თაგილონი, პირველი გალი, ღუმურიში, ვაგიდა, გუდავა და სხვა.) ბუნებრივია, ჩვენ ვერ შევჩერდებით ყოველ მათგანზე, მაგრამ ერთი ძეგლი კიდევ ვეინდა აღვნიშნოთ. სოფ. პირველი გალის ტერიტორიაზე შესწავლილი იქნა რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოები, რომლებიც ძვ. წ. VIII-VI სს. განეკუთვნება. ეს პერიოდი ·კოლხეთის ისტორიაში რკინის მძლავრი მეტალურგიული აღმავლობით აღინიშნება. საყურადღებოა, რომ ადგილობრივი ნაწარმი ხშირ შემთხვევაში ექპორტის საგნად არის ქცეული.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან, განსაკუთრებით ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდგომ, უკვე მრავლდება კულტმსახურების ძეგლები. ყოველ შემთხვევაში ექსპედიციის მონაცემებით, ახ. წ. IX ს-დან მაინც სახეზე გვაქვს ტიპიური, ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურა, ხშირად

გალის რაიონის ცენტრალური ხედი ომამდე

ქართული წარწერებით, რაც უტყუარი საბუთია ქართული ეთნოსის არსებობის და წამყვანი როლის შესახებ როგორც ადრე, ისე შუა და გვიანფეოდალურ ხანებში.

გალის რაიონში შემონახული ისტორიული ძეგლებიდან, მნიშვნელოვანია ბედიის (დღეს ოჩამჩირის რაიონში შედის) ტაძარი, ოქუმის, წარჩის, ჩხორთოლის, ჭურხინჯის ეკლესიები, წამხარის მონასტერი სოფელ თაგილონში, ოცარცის კოშკი და სათანჯოს ციხე. ბედიის ტაძრის ერანდიოზულობაზე და მის უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობაზე მინდა მოვიყვანო ამონაწერი ახალგაზრდა ნიჭიერი მკვლევარის ჩვენი თანამემამულის ბეჟან კილანავის შრომიდან:

„ბედია, გაშენებული ისტორიულ სამურზაყანოში, მემკვიდრეა სრულიად საქართველოს წმიდათაწმიდა საუნჯისა. მას ისტორიულად დაებედა ყოფილიყო სიმბოლო იბერიულ-კავკასიური მოდგომის ერთიანობისა. მატიანე გვაუწყებს: მამამთავარმა თარგამოსმა თავის შვილს ეგროსს მისცა „ქუეყანა ზღვის ყურისა და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსაც აწ ჰქვიან ლიხი, დასავლეთ ზღვა, ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა (მდ. ყუბანი), საცა წარსწუთების წუერი კავკასიისა, ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა თავისი სახელი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქვია ბედია“. ეს ნიშნავს: შუა საუკუნეებში ბედია იყო ეაერთიანებული დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი სარწმუნოებრივ-პოლიტიკური ცენტრი. ჟამთასვლით დაკარგული დიდება მას აღუდგინა ბრძენთა-ბრძენმა მეფემ ბაგრატ მესამემ. მან აფხაზთა მეფეთაგან ტრადიციად მიიღო პოლიტიკური ერთიანობის საჭიროების შეგნება. ალბათ, ამ შეგნებამ განსაზღვრა ის ფაქტი, რომ ნანატრი ერთობის დადგინების პროცესში ბაგრატმა მყის „მოცვალა“ გუდაყვის (ანტიკური სიგანეონი დღეანდელ გალის რაიონშია) კათედრალი და თვალი ჰკიდა ბედიას, ფენიქსებრ ააღორძინა იგი, ვითარცა ერთიანობის ისტორიული სიმბოლო.

ბაგრატ მესამემ, ვითარცა აფხაზთა მეფემ, ჯერ იზრუნა თავისი მეფური ძალმოსილების განმტკიცებისათვის საკუთრივ დასავლეთ საქართველოში, შემდეგ კი მისი პოლიტიკურად გამჭრიახი მზერა სამხრეთ-დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოსაც მისწვდა. ბრძნული პოლიტიკური საზრისისა და დაუშრეტელი ენერგიის წყალობით მან ამერი და იმერი თავის ნებას დაუმორჩილა და 1008 წელს იწოდა „აფხაზთა და ქართველთა“, ანუ მთლიანი საქართველოს მეფედ. ამდენად, ის იყო პირველი მეფე სრულიად საქართველოისა, რომელმაც შეძლო იბერიულ-კავკასიური (უწინარესად ქართველურ-აფხაზური) მოდგმის ისეთი მძლავრი გაერთიანება, რომლის მსგავსი მანამდე ისტორიულმა ხანამ არც იცოდა ამიერკავკასიის მასშტაბით. ამ გრანდიოზული პოლიტიკური გა-

ერთიანების ჟამს ბაგრატ მეფემ ქვეყნის სულიერი, ზნეობრივი სიწმინდისათვის ზრუნვა უწინარესად ბედიის ტაძარს მიანდო. და ეს ბრძენი მეფე, თავის ნებით, გარდაცვალების შემდეგ (1014 წ.) ბედიის მიწას მიებარა და ქუთათელებთან ერთად ბედიელებს მიენიჭათ გაერთიანებული ქვეყნის მეფეთათვის უკანასკნელი შესანდობარი სიტყვის თქმის წმიდათაწმიდა უფლება. ბედიისავე ტაძრის ფრესკამ პირველმა და ერთადერთმა მოამჟამამდე მოიტანა სრულიად საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ მესამის ღვთისმომადლიერებული სახე. აქვე სინაზესა და სანატიფეს ზეიმობდნენ ძარღვიანი ძველქართული წარწერანი და ფრესკამოხატულობანი. ამიტომაცაა ეს ადგილი წმიდათაწმიდა და ამიტომაც ვთვლით საჭიროდ საკუთრივ ტაძრის ისტორიის გადმოცემასაც.

„მატიანე ქართლისა“ გვაუწყებს, რომ ბაგრატ მესამემ „აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდარი საეპისკოპოსოდ... შეწირნა სოფელნი მრავალნი... განასრულა ყოვლითა განგებითა და შეამკო ყოვლისა სამკაულითა, ეკლესია, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი. სრულიად უნიკალური ყოფილა ბედიის არქიტექტურული ანსამბლი, რაზედაც მრავალგზის მიუთითებს ქართული და უცხოური წყაროები, ამ მხრივ „მატიანე ქართლისა“ იქამდისაც კი მიდის, რომ ბაგრატის მეფური დიდების განცდის სრულყოფისათვის უწინარესად მაინცდამაინც ბედიის „სამკაულის“ განცდის საჭიროებას ქადაგებს: „უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმისყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლესიისა და მისგან გულისხმაყოს“...

ბედიის ტაძარი, როგორც უდიდესი არქიტექტურული ნაგებობა, ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდა არა მხოლოდ გარდასულ დროთა მემატიანეებს, არამედ ახალი დროის ცივილიზებულ ადამიანებსაც. მათი ცნობით, ბედიას ჰქონდა „მომნუსხველად დიდი სახე“.

ეროვნული არქიტექტურის თავისებურებათა გასათვალისწინებლად ფუძემდებლურია იმის აღნიშვნა, რომ „ყველა სხვა ტაძრებზედ უფრო ატყვია ამ ეკლესიას უძველესი ქართული ხუროთმოძღვრების კვალი“. ხელოვნების ამგვარი ნიმუში თურმე „იმ დროს აღარც ბიზანტიაში და არც დასავლთ ევროპაში არ სცოდნიათ. ილ. ჭავჭავაძის „ივერია“ (1894 წ. №52) აღნიშნავდა, რომ, „თუმცა ჟამთა სიმკაცრეს მეტისმეტად დაუზიანებია ეს ტაძარი, მაგრამ თავისი წარსული სიდიადე იმდენად ეტყობა დღესაც, რომ შესვლისთანავე შიგ მოწიწებით ქუდს იხდით და მყისვე განიმსჭვალებით ქრისტიანობრივისა და წარსულთა დროთა პატივისცემის გრძნობით, რომ იგი „დიდებული და სახელოვანი ნაშთია ჩვენი წარსულისა“.

ბედიის ოქროს ბარძიმი, როგორც ხელოვნების ძეგლი, ე. ჩუბინაშვილის სიტყვით, სრულიად უნიკალურია ქართული ჭედურობის ისტორია-

ში. (ბ. კილანავა „ეგრისელთა ეპონიმის ქალაქი“ ჟ. „ეგრისი“, ეგ. 240).

სამურზაყანოს რეგიონში ცხოვრება მეტად დაწინაურებული ყოფილა ანტიკურ ხანაში. დღევანდელი გუდავის ტერიტორიაზე ამ პერიოდში ყოფილა ქალაქური ტიპის დასახლება გუდაყვა, რომელიც ანტიკურ მწერლებს მოხსენიებული აქვთ სიგანეონის სახელით, მე-4-მე-6 საუკუნეებში გუდაყვაში რომაელთა გარნიზონი მდგარა. ძვ. წ. აღ. მეორე საუკუნეში ეგრისი პონტოს მეფემ მითრიდატემ დაიპყრო, შემდეგში ეგრისის სამეფოს აღდგენა მოხერხდა ჩვ. წ. აღ. მე-4 საუკუნეში. ახლადჩამოყალიბებულ სამეფოს რომაელები და ბიზანტიელები ლაზიკას უწოდებდნენ.

მე-15-მე-16 საუკუნეებში სამურზაყანო ოდიშის შემადგენლობაში იყო, ოდიშის სამთავრო ცხენისწყლიდან მდინარე კელასურამდე აღწევდა.

აღსანიშნავია, რომ მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ოდიშში, კერძოდ, წიფურიაში (მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ისტორიული წიფურია დღევანდელი ს. თაგილონის ტერიტორიაზე მდებარეობდა) მოღვაწეობდნენ **ჯუზეპე მილანელი, ქრისტეფორე კასტელი, ნიკიფორე ირბახი** და სხვა კათოლიკე მისიონერები. იმ პერიოდისათვის წიფურიაში შეიქმნა ევროპული ცივილიზაციის პატარა კერა, სადაც არსებობდა სპეციალური სკოლა და სადაც ასწავლიდნენ ლათინურს, ქართულს, **თეოლოგიას, საღვთო წიგნებს.** ცნობილია ფაქტები, როცა წიფურიიდან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებს საზღვარგარეთ აგზავნიდნენ სასწავლებლად. თვით ჯუდიჩე მილანელს წიფურიადან სასწავლებლად პირადად წაუყვანია ორი ქართველი ყმაწვილი—ანტონი და ანდრია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, წიფურიაში მოღვაწე ნიკოლოზ **ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის** პიროვნება. იგი 1626-1629 წლებში ელჩად იყო ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში. 1627 წელს რომში მიიღო კათოლიკობა, იქვე დაჯარსა პირველი ქართული სტამბა და 1629 წელს სტეფანე პაოლინოსთან ერთად გამოსცა ქართულ-იტალიური ლექსიკონი. ეს იყო პირველი ბეჭდვითი წიგნი ქართულ ენაზე.

ნიკიფორე ირბახი ძლიერ დაახლოებული იყო ლევან მეორე დადიანთან.

ნიკიფორე ირბახზე შარდენი წერს: „ნ. ირბახი კარგად არის გარკვეული პოლიტიკაში და ბევრჯერ ყოფილა იერუსალიმში; შემოვლილი აქვს ევროპა, ყოფილა საფრანგეთში, ინგლისში, ესპანეთში, პოლონეთში, იტალიაში... ქართულისა და მეგრულის გარდა იცის მრავალი ენა: ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული, ფრანგული, ესპანური, იტალიური. (იხ. შარდენი, „მოგზაურობა“ 1975 წ. ეგ. 141).

ამ პერიოდისათვის ენგურ-ღალიძგის შუამდინარეთში მოიხსენიება

შემდეგი სოფლები: ბარღები, ბედია, გაგიდა, გუდავა, ილორი, რეკა, სათანჯო, სანარდო, საჩინო, სიდა, ფარონი, ფუწყური, ხეითი (ზემო ბარღებში არის პატარა მდინარე, რომელსაც დღესაც ხეითს ეძახიან), ღალიძგა, შეშელეთი, ჩხორთოლი, წამხარი, წარჩე, წიფურია, ორი სოფელი მუხურის სახელწოდებით.

ცნობილია, რომ ოდიშის მთავარმა ლევან მეორემ ეამაგრებათა მთელის სისტემა ააგო, რათა ოდიში დაზღვეული ყოფილიყო აფხაზთა და სხვათა შემოსევებისაგან. ეს გამაგრება („კელასურის კედელი") იწყებოდა მდინარე კელასურის მარცხენა ნაპირზე ზღვის შესართავთან და მიუყვებოდა მდინარე ღალიძგას სათავეებამდე, მისი სიგრძე 60 კმ იყო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ლევან მეორის სიკვდილის შემდეგ მისმა მემკვიდრე მთავრებმა ვამეყ პირველმა და ლევან მესამემ ვერ გამოიჩინეს სათანადო ენერგია და ლევან მეორის მიერ აგებულ სიმაგრეთა სისტემა მოიშალა.

1680 წელს ლევან მესამე ეარდაიცვალა, მისი ძე მანუჩარი, რომელიც მძევლად იმყოფებოდა ეიორგი მესამე გურიელის სამეფო კარზე, გურიელმა მოაკვლევინა და თვით მოინდომა ოდიშის სამთავროს დაკავება, მაგრამ იგი ადგილობრივ ფეოდალთა დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ისარგებლა ამ არეულობით და აფხაზეთის მთავრის სუსტარ შერვაშიძის ძემ სარეკმა თავი ოდიშის მთავრად გამოაცხადა, მართალია, იეი მთლიანად ვერ დაიკავა, მაგრამ მის ხელში გადაეიდა ოდიშის სამთავროს ნაწილი ენგურის დასავლეთით. აფხაზეთის მომდევნო მთავარმა ზეგნაყ შერვაშიძემ მე-17 საუკუნის მიწურულში საბოლოოდ მიუერთა თავის სამფლობელოს ოდიშის სამთავროს დასაელეთი ნაწილი ენგურამდე.

ზეგნაყ შერვაშიძის სიკვდილის შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა სამთავრო ერთმანეთში გაინაწილეს. უფროს ძმას როსტომს შეხვდა ტერიტორია მდინარე კოდორსა და აზიფს შორის, შუათანა ძმამ—ჯიკეშიამ მემკვიდრეობით მიიღო მიწები ღალიძგა-კოდორს შორის, ამიტომაც დაერქვა ამ რეგიონს აბჟუა, უმცროსმა ძმამ—ყვაპუმ მიიღო ტერიტორია ღალიძგა-ენგურს შორის. ყვაპუ ეარდაიცვალა 1705 წელს, მისი მემკვიდრეობა მიიღო მიძმა ძემ მურზაყანმა, შემდგომში ღალიძგა-ენგურს შორის ტერიტორიას სამურზაყანო დაერქვა. (თ. სახოკია, „მოგზაურობანი", გვ. 305-306).

მურზაყანის ეარდაცვალების შემდეგ სამურზაყანოს ეამეველი იყო ხუტუ. შემდეგ ხუტუს ძე ლევანი, ლევანს დაუპირისპირდა მისი ძმისშვილი მანუჩარი, ამ უკანასკნელმა სიმამრის გრიგოლ დადიანის დახმარებით შეძლო პირველობის მოპოვება სამურზაყანოში.

1804 წელს ოდიშის სამთავრო რუსეთის იმპერიის მფარველობაში

შევიდა. 1805 წლის 8 ივნისს მანუჩარ შევარშიძემ და მისმა ბიძამ ლევანმა ხელი მოაწერეს რუსეთის იმპერიის ერთგულების ფიცს.

მანუჩარი ფლობდა ტერიტორიას ენგურის ორივე მხარეზე: ორსანტია, დიდი კოკი, შამეონა, ნაბაკევი, ეანარჯიას მუხური, თაგილონი. მისი ბიძა ლევანი ფლობდა ბედიას და მის მიდამოებს. იყო შერვაშიძეთა მესამე შტოც—ყვაპუ შერვაშიძის ვაჟი ავთანდილი. ის ფლობდა ბედიის ნაწილს, საბერიოს ნაწილს.

1812 წლის ოქტომბრის თვეში მოკლეს მანუჩარ შერვაშიძე, 15 დღის შემდეგ ლევან მეხუთემ ალყა შემოარტყა ბედიის ციხეს და აიღო იგი. 1813 წლიდან დადიანთა უშუალო გამგებლობაში გადავიდა სამურზაყანო და ეს პერიოდი გაგრძელდა 1840 წლამდე.

1840 წლიდან სამურზაყანო ჩამოაშორეს დადიანთა გამგებლობას და საპრისტავოს სახით შეუერთეს რუსეთის გამგებლობას, ლევან მეხუთე დადიანს კი კომპენსაციის სახით მისცეს 25 ათასი მანეთი ვერცხლით. საპრისტავოში შესვლისას სამურზაყანოს ტერიტორია რამდენადმე შემცირდა, სამეგრელოს მთავარს დარჩა ფახულანი, განარჯიას მუხური, სამურზაყანოს ჩამოცილდა ილორიც.

1847 წელს სამურზაყანო ადმინისტარციულად უშუალოდ ქუთაისის გუბერნიაში შევიდა, 1857 წლიდან იგი ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა, როგორც სამეგრელოს სამთავროს ნაწილი. 1866 წელს ქუთაისის გუბერნიაში ჩამოყალიბდა სოხუმის სამხედრო ოკრუგი ძველი აფხაზეთის სამთავროს ბაზაზე, სამურზაყანოც მის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი.

ცნობილია, რომ სამურზაყანოს ადმინისტრაციული ცენტრი 1906 წლამდე იყო სოფელ ოქუმში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უფრო ადრე ენგურსა და ღალიძგას შორის ტერიტორიის ცენტრი იყო სოფლები პირველი ბედია, მეორე ბედია და გური ბედია (გური ბედიას აფსუებმა შეუცვალეს სახელი და აგუბედიად მონათლეს). აგუბედიაში ცხოვრობდა სამურზაყანოს მმართველი და ეს სოფელი ითვლებოდა სამურზაყანოს ცენტრად 1840 წლამდე. 1840 წლიდან ცენტრი გადატანილი იქნა ს. ოქუმში, ხოლო 1906 წლიდან სამურზაყანოს ცენტრი გადმოტანილი იქნა ქ. გალში. ამ ფაქტთან დაკავშირებით კ. მაჭავარიანი გულისტკივილით წერდა: ცენტრი ოქუმიდან გადატანილი იქნა, „ჭაობიან ადგილას, სახელდობრ სოფელ გალში“. გალის, როგორც დასახლებული პუნქტის შესახებ, არავითარი ცნობები არ არის დაცული „ქართლის ცხოვრებაში“.

არქანჯელო ლამბერტის რუქაზე (1684 წ.) გალის ტერიტორია გოგიელის სახელწოდებითაა აღნიშნული. თვით ტოპონიმ „გალის“ წარმოშობა მეცნიერულად არ არის ახსნილი, ერთი კი ფაქტია, რომ ქალაქის ჩრდილო დასავლეთით არის სოფელი პირველი გალი, ამ სოფლის ჩრდი-

ლოეთ ნაწილს ზემო გალი ეწოდება, ქალაქის სამხრეთით არის ცხირო ვალი, ს. ხუმუშქურის ცენტრს ჭიჭე ვალს ეძახდნენ. სანამ რაიონის ცენტრი გახდებოდა, დღევანდელი გალის ტერიტორია მეორე გალის სახელწოდებით იყო ცნობილი.

ამ სტრიქონების ავტორის ღრმა რწმენით, ტოპონიმი გალი მოდის მეგრული სიტყვა ღალისაგან და იგი, ალბათ, რუსების შემოსვლის შემდეგ დამკვიდრდა მათ მიერ შედგენილი ტოპონიმიკური რუკების გალეენით. ამაში ისიც მარწმუნებს, რომ პირველი ღალი ნიშნია, რომელიც ამავე სახელწოდების სოფელში მიედინება, ამ სოფლიდან წამოსული კაცი მეორე ღალსაც ერისწყარსაც—ეაიელიდა და მომდევნო ტერიტორიას მეორე ღალი დაერქვა, სოფელ ხუმუქურში, მართლაც, არის ჭიჭე ღალი–წიფონა (ჭიფონა), ალბათ, იგივე პროცესი მიდის მიმდინარე პერიოდში ჩე ღალთან დაკავშირებით, ყველა რუსულ დოკუმენტში იგი ფიქსირებულია როგორც ჩეგალი და, თუ ძველებური პროცესი გაგრძელდა, 50 წლის მერე, ალბათ, არავის მოავონდება ტერმინი ჩე ღალი, დამკვიდრდება კი ტერმინი ჩე გალი.

ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების დასასრულს აფხაზეთის იმდროინდელმა ხელმძღვანელმა ნ. ლაკობამ ბედია სოფელ რეკასთან და სხვა სოფლებთან ერთად გალის რაიონს ჩამოართვა და ოჩამჩირის რაიონს შეუერთა. მაშინ სოფელი ოხურეიც (ძველი ქართული წყაროებით ხოინი) გალის რაიონში შემოდიოდა. (იხ. ვ. ზუხბაია, გაზეთი „ვალი" №9, 1996 წ.).

რუსეთ-თურქეთის ომის (1877-78 წ.) დროს თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდა სამურზაყანოელთა ორი შეიარაღებული რაზმი ზურაბ ჩქოტუასა და ბათუ ემხვარის მეთაურობით. მათი აქტიური დახმარებით გახდა შესაძლებელი თურქების განდევნა ჯერ ოჩამჩირიდან, შემდეგ სოხუმიდან და საერთოდ აფხაზეთიდან. ამ ბრძოლაში ვამოჩენილი მამაცობისათვის სამურზაყანოელები დაუჯილდოებიათ სპეციალური წარწერიანი დროშით, რომელიც ინახებოდა ოქუმის ეკლესიაში.

რაოდენ სამწუხაროა, რომ 1921 წელს ეკლესიის სხვა სულიერ ქონებასთან ერთად შეცდომით განადგურებული იქნა სამურზაყანოელთა ემირობის დამადასტურებელი ეს შესანიშნავი რელიქვია.

1851 წელს პირველად მთელს აფხაზეთში პირველი სკოლა გახსნა სოფელ ოქუმში მისიონერმა მღვდელმა დ. მაჭავარიანმა.

1896 წელს გალში გაიხსნა ორკლასიანი სკოლა, 1899 წელს კი აშენდა ორსართულიანი სკოლის შენობა (დღევანდელი პირველი საშუალო სკოლა). ამ სკოლის მშენებლობა გრძელდებოდა სამი წელი. მშენებლებად მოწვეულნი იქნენ ბულგარეთიდან ეკლესიის მშენებლობისათვის საქარ-

თეელოში მოწვეული ბერძენი კალატოზები, ვვარად დანილოვები: მათი აშენებულია ჭუბურხინჯის ეკლესიაც. სკოლის მშენებლობას ხელმძღვანელობდა ჩონჩორი ძვაძვის ძე მარღანია. შენობის ასაგებად მას მთავრობისაგან სესხად აულია 18 ათასი მანეთი, როცა ეს თანხა ამოიწურა, მას საკუთარი მამული გაუყიდია და მშენებლები გაუსტუმრებია. ოქუმელი ულამაზესი ასულის მელაიას სიყვარულის ვამო სკოლის ერთ-ერთი მშენებელი სამურზაყანოში დარჩენილა მუდმივ საცხოვრებლად, მისი შთამომაელები, ვვარად დანილოვები დღემდის ცხოვრობენ ვალის რაიონში. ვალის №1 საშუალო სკოლის წინ დღესაც დვას ბერძენი კალატოზების მიერ იმ დროს ბულვარეთიდან ჩამოტანილი ორი ძირი უნიკალური ნაძვის ხე.

სკოლის პირველი ვამგე იყო ჭუბურხინჯელი მღვდელი ნიკო ჭედია, შემდეგ კი სამსონ სვანიძე—რუსეთის ფედერაციის ტელე-რადიო დეპარტამენტის დღევანდელი ხელმძღანელის ნიკოლოზ სვანიძის ბაბუა.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ 1855 წლის 25 ოქტომბერს ომარ ფაშასთან ენგურის ცნობილი ბრძოლის დროს თავი ისახელეს სამურზაყანოს მილიციის გმირმა მებრძოლებმა, რისთვისაც ჯილდოზე წარუდგენიათ სოფელ დიხაზურგის მცხოვრებნი მარღანია და მიქია. ქუთაისის გუბერნატორ კოლუბიაკინს მათთვის საჩუქრად მამულები შეუთავაზებია, მათ კი მამულის ნაცვლად ხაზინის ხარჯზე სოფელ დიხაზურგაში დაწყებითი სკოლის გახსნა უთხოვიათ. ამ თხოვნის საფუძველზე 1856 წლის სექტემბერს ს. დიხაზურგაში გაიხსნა სამისიონერო—სამრევლო სკოლა.

ვალის უხუცეს მცხოვრებთა გადმოცემით, დღევანდელი ქალაქის ტერიტორიაზე პირველნი დასახლებულან ქეცბაიები, ჭანტურიები, მარღანიები, ზაქარიები, ზუხბაიები, ბებიები, ჯონჯუები, ხარჩილავები, ზვანბაიები, ბასარიები, სულ 10 ვვარის 30 ოჯახი. (იხ. 91 წლის მოხუცის პ. ჭანტურიას მოგონებანი).

ვალი ქალაქად გამოცხდდა საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1932 წლის 28 დეკემბერს, მაშინ მისი მოსახლეობა შეადგენდა 1431 კაცს.

რეგიონის ცენტრალური გზა გაყვანილი იქნა ინდოევროპის ტელეგრაფის ხაზის გაყვანის შემდეგ 1870 წლიდან. ადრე გზა გადიოდა ლათაწებელდა-ტყვარჩელ-ჩხორთოლი-ოქუმი-მაგანის ტერიტორიაზე.

სამურზაყანომ ბევრი სახელოვანი შვილი მისცა ქვეყანას. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ცნობილი ლიტერატორი, სწავლული ჟურნალისტი, ილიასა და აკაკის თანამებრძოლი, გაზეთ „დროების“ ერთ-ერთი ბურჯი დავით ჩქოტუა, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერ-მათემატიკოსი, აკადემიკოსი ილია ვეკუა, პროფესორი პეტრე შარია, პროფესორი მე-

დიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ქ. ვინიცის საპატიო მოქალაქე სეევერიან ბელქანია, ძმები ფილოსოფოსი, პროფესორი ვენორი ქვაჩახია, ფიზიკოსი ვანო ქვაჩახია, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ირეოდიონ ქვაჩახია, იურისტი ნიკოლოზ ქვაჩახია საქ-ს ყოფილი პროკურორი ვლადიმერ შონია, პროფესორები: გრიგოლ გამსახურდია, მამია ყოლბაია, გიორგი ვეკუა, ვალერიან ზუხბაია, ცნობილი მწერალი, მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე ვლადიმერ ალფენიძე, მსოფლიო მნიშვნელობის მომღერალი ზურაბ სოტკილავა, ცნობილი პოლიტოლოგი და საზოგადო მოღვაწე დამიანე გოგოხია და მრავალი სხვა. სასიხარულოა, რომ მხარეს ეზრდება ბევრი ღირსეული და პერსპექტიული ახალგაზრდა.

ვალის რაიონის ისტორიით დაინტერესებულმა პირმა არ შეიძლება ვევრდი აუაროს რევოლუციურ მოძრაობას და კომუნისტურ მოღვაწეობას ამ რეგიონში.

1916 წელს ვალში ეაიხსნა რკინიგზის მშენებლობის მთავარი კანტორა, სადაც მუშაობდნენ რუსი რევოლუციონერები პ. ხრიპუნოვი, ნ. სმირნოვი, ნიკიტენკო, ლიპოვი და სხვები. მათი მეთაური იყო სმირნოვი. მათ მიერ არარეგალურად დაარსებულმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ პარტიის წევრებად მიიღო ა. ვაბლაია, ი. ხაბურზანია, კ. ყოლბაია და სხვები.

1917-1918 წ. ფრონტიდან დაბრუნებულ რევოლუციონერ ჯარისკაცთა ჯგუფს სათავეში ჩაუდგა პავლე ძიგუა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით 1918 წლის 28 მაისს ვალში ჩატარებულა დიდი მიტინგი. მიტინგზე მისასალმებელი სიტყვებით გამოსულან ივანე ვეგია, ესტატე გულუა, ვასო ქავჟარაძე, აქსენტი ზუხბაია, გრიგოლ მიქაია. აქვე აურჩევიათ ერობის წევრები ივლიანე ჯანჯღავა (თავმჯდომარე), აკაკი ფიჩხაია (თავმჯდომარის მოადგილე), აქსენტი ზუხბაია (მიწათმოქმედების ვანყოფილების ვამეე), გრიეოლ მიქაია და ივანე ვეგია.

სამურზაყანოს რევოლუციური კომიტეტის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ნიკოლოზ სვანიძე, კაპიტონ, დიმიტრი, ფილიპე თორიები, ნიკოლოზ ბოკუჩავა, აქსენტი გაბლაია, ვლადიმერ გოგოხია, ივა ახალაია, ესტატე გვაძაბაია, თედო გითოლენდია, გიორგი ჯგუბურია, სტეფანე ბასარია, აკაკი ლაბაშია, თომა ჯობავა, იონა ძიგუა, ილია იზორია, ვარლამ ქეცბაია, ნესტორ მიქაია, იჩო ტუფურია, იასონ უბილავა, იასონ ხაბურზანია, ონისიმე ჩიკვატია, ვლადიმერ შონია, ი. შიანოვი (მარღანია), ჯოგო ნასარაია, ხოხო ზარანდია და სხვები.

სამურზაყანოს რევკომის თავმჯდომარედ ვარკვეულ პერიოდში მუშაობდა აკაკი ლაბაშია, შემდეგომ—ნიკოლოზ სვანიძე, შემდეგ ა. უბერია. 1921 წ. მარტში შეიქმნა ბ. სამურზაყანოს ორგბიურო, რომლის მდივნად აირჩიეს ნ. ბოკუჩავა, მაზრაში შეიქმნა 20 პარტიული ჯგუფი.

1921 წლის 4 მარტს საბჭოთა ხელისუფლების დროშა აღიმართა სოხუმში, 8 მარტს მე-11 არმიის ნაწილებმა სამურზაყანოს პარტიზანთა დახმარებით, რომელთაც ფილიპე თორია ხელმძღვანელობდა, დაიკავეს დაბა ვალი.

სამურზაყანოს რევკომი შეიქმნა 1921 წლის 10 მარტს, ამიერიდან დაიწყო საბჭოთა წყობილების წლები, რომელიც ეაერძელდა 90-იან წლებამდე.

ინტერესმოკლებული არ იქნება აქვე აღვნიშნო, რომ დამოუკიდებელი საქართველოსათვის თურქ ასკერებთან ბრძოლაში 1921 წ. ქ. ბათუმში დაიღუპა 47 გალელი ვაჟკაცი (ზუხბაიები, ზარანდიები, ქეცბაიები და სხ.)

არაერთი ღირსეული ფურცელი ჩაწერეს სამურზაყანოელებმა დიდი სამამულო ომის ისტორიაშიც. იყო ოჯახი, საიდანაც 5-6 წევრი წავიდა ფრონტზე, წარჩელი ძოკო ბენიას ოჯახიდან 5 ძმა მონაწილეობდა ამ ომში, მათ შორის 4 დაიღუპა, ზემო ბარღებელი ფარნა შონიას 4 შვილი იბრძოდა, მათ შორის ორი დაიღუპა, ორი კი მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა. დახაზურგელი ჯოჯი ზარქუას ოჯახიდან 4 ვაჟკაცი წავიდა ფრონტზე, მათგან სამი ბრძოლის ველზე დაეცა, მათ შორის იყო ნიჭიერი პოეტი არჩილ ზარქუა.

სამამულო ომში თავი გამოიჩინეს გალელებმა კიკი ძანძავამ, ლეონტი ზუხბაიამ, შალვა კორკელიამ, ლეონტი კვირტიამ, მირიანე ევარამიამ, კალისტრატე ყოლბაიამ, აკაკი ეზუგბაიამ, ეროდი, არტემ, მაჟარა და არონ ჭანტურიებმა, შალვა ივანეს ძე ახალაიამ, მირიანე ჭკადუამ, კაპიტონ ელიავამ, შოთა ორჟონიამ, კონდრატე უბილავამ, შალვა გერასიმეს ძე ახალაიამ, მიხეილ აფხაზავამ, ოქუმელმა ლევარსა ლაცუზბაიამ, აჩიგვარიდან მამა-შვილმა ნაჰარ და ინგიშტერ ნარმანიებმა, სამივე ხარისხის დიდების ორდენის კავალერმა ეროდიონ წულაიამ, სამამულო ომის I და II ხარისხის ორდენების კავალერმა, პოლკის კომისარმა აკაკი შონიამ, შალვა ჯოლოგუამ, ტექსელის აჯანყების მონაწილემ დავით ბჟინავამ, ლეონტი ჭაავამ, ძიკა შენგელიამ, ტარასი რიგვავამ, სერაპიონ კეშელავამ, მოსკოვში გამარჯვების პარადის მონაწილემ გიორგი მანიამ, მფრინავმა ლეონტი ჯოჯუამ, ქ. ვინიცის საპატიო მოქალაქემ სევერიან ბელქანიამ, მებრძოლმა ქალმა ნინა კორძახიამ, შორეულ იტალიაში ფორე მოსულიშვილის რაზმში იბრძოდა გალელი ღუღუნი დემურია, იუგოსლავიაში იბრძოდა ამირან ჯგერენაია, სევასტოპოლთან იბრძოდა შეშელეთელი ვაჟკაცი მამანტი ჯოლია, ამ ომში დაიღუპა ნიჭიერი პოეტი და ჟურნალისტი დიხაზურგელი მირიანე გვაგვალია, სტალინგრადისათვის ბრძოლაში დაიღუპა აჩიგვარელი გედევან საჯაია, მამაცურად ებრძოდა მტერს ელბის გადალახვისას, ხოლო შემდგომ ჩეხოსლოვაკიის განთავი-

სუფლებისას ქ. გალის მკვიდრი ვასო ნაყოფია, მას მიღებული ჰქონდა 9 საბრძოლო ორდენი, მედალი და უმაღლესი მთავარსარდლის 24 მადლობა, მუხურელი ნინა ვაბრიელის ასული შარანგია სრულიად ახალგაზრდა გოგონა გაიწვიეს ჯარში, იყო მედიცინის მუშაკი. ომის დამთავრებისას ის ბერლინში იმყოფებოდა, იქვე დაქორწინდა საბჭოთა ოფიცერზე ვასილ პატაპენკოზე, მათი შვილი იური ბერლინშია დაბადებული 1946 წლის 3 ივნისს. ვინ ჩამოთვლის იმათ სახელებს, ვინც გმირულად მოიხადა ეალი სამშობლოს წინაშე. მაპატიონ მათმა აჩრდილებმა და შთამომავლებმა, თუ ყველა ღირსეული მამულიშვილის სახელი აქ ვერ არის მოხსენიებული.

გალის რაიონიდან სულ ფრონტზე გაწვეული იყო 5489 კაცი, მათგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ველზე დაეცა 3583, დაიჭრა—691, დახეიბრდა—448.

ომის შემდეგ სამშობლომ სწრაფად მოიშუშა ჭრილობები, გამოცოცხლდა ცხოვრება სამურზაყანოშიც. თავდადებულმა შრომამ შედეგიც გამოიღო, ადამიანები ბედნიერად გრძნობდნენ თავს.

აქ უნდა მოვიხსენიო ის პიროვნებები, რომლთაც დიდი შრომა გასწიეს ხალხის ბედნიერებისათვის, მათი ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. უნარიანად ხელმძღვანელობდნენ მასებს. ესენი არიან იასონ ხაბურზანია, ანტიფო ჭეჟია, სეევერიან ებრალიძე, დამიანე ვოვოხია, ხუტა ტუფურია, ვიანორ კოკაია, აკაკი ძაძუა, ამირან ქავთარაძე, ლეონიდ რიგვავა, ბაკურ გულუა, ოთარ ზუხბაია, შოთა შარანგია, ლეო ხაბურზანია, ვაჟა ეზუგბაია, ნიკოლოზ თოდუა, იოსებ ყიფიანი, ხუტა გერეედავა, რაბო შონია, არდევან აბლოთია, ვანო მიქაია, ვივი ქაჯაია, მერი გეგეჭკორი, შოთა ჯღამაძე, აპოლონ კეშელავა, ლეონტი ზუხბაია, ვალერი ანდრიბავა, შალვა კორკელია, ანტონ ჯახაია, ვოვო ზუხბაია, ბიქტორ ჭოლარია, ალიოშა თორია, პარმენ აბაშია, მიხეილ ცატავა, რუბენ სიჭინავა, ვალიკო ძიგუა, ლადო ეთერია, ალექსანდრე ჩიკვატია, ამირან ქარდავა, ჟორა ცატავა, კიკი ძანძავა, გრიშა და გოგი ჩაჩიბაიები, გალაქტიონ კაკუბავა, მირიანე ჭკადუა, ალიკო არდაშელია, ვარლამ ქეცბაია და სხვები.

ზემოთ ჩამოთვლილ პირთაგან ბევრი მათგანი დღესაც ცოცხალია და ღირსეულად აგრძელებს მამა-პაპათა სახელოვან ტრადიციებს.

1961 წელს ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა მოხდა გალის რაიონის ცხოვრებაში. მდინარე ენგურზე დაიწყო უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რამაც ძირფესვიანად უცვალა სახე მთელს რაიონს, იგი არა მარტო სოფლის მეურნეობის რაიონი, არამედ ერთ-ერთი თვალსაჩინო სამრეწველო რეგიონი გახდა მთელს ქვეყანაში.

თუ 70 წლის წინ სამურზაყანოელი ელეხი გაკვირვებით ათვალიერებდა ვაჭარ ბახუ ზუხბაიას მიერ ოჩამჩირიდან ჩამოტანილ პირველ 10

გალის რაიონის ერთ-ერთი ქუჩა

ცალ ჭრაქს, მე-20 საუკუნის 60-იანი წლებისათვის იგი თვითონ ვახდა ერთ-ერთი გიგანტური ელექტროსადგურის მშენებლობის მხილველი და უშუალო მონაწილე. რაიონში აშენდა საავადმყოფოები, სკოლები, ადმინისტრაციული და საცხოვრებელი სახლები, ვაყვანილ იქნა გზები და რაც მთავარია, მოსახლეობა უზრუნველყოფილ იქნა მდინარე რეჩხის სათავიდან გამოყვანილი სასმელი წყლით.

მოვიყვან რამდენიმე მონაცემს, რომ მკითხველს წარმოდგენა ჰქონდეს აფხაზურ კონფლიქტამდელი გალის რაიონის საერთო მაჩვენებლებზე და მის პოტენციალზე.

რაიონის ტერიტორია 1002 კვ კილომეტრია, მოსახლეობა შეადგენდა 79658 კაცს, რომელთა 94 პროცენტი ქართველებია, (აფხაზები—0,5%) დანარჩენი სხვები—5%. შრომითი რესურსები 38 ათასი კაცი, სოფლის საბჭო—24, საბჭოთა მეურნეობა—25, კოლმეურნეობა—17, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოცულობა 180 მილიონი მანეთი (1989 წ. შეფასებით), სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 500 მილიონი მანეთი, სამრეწველო დაწესებულებები—44, მ. შ. ჩაის ფაბრიკები—14, სამშენებლო სამუშაოთა მოცულობა 60 მილიონი მანეთი, ტვირთბრუნვა 180 მილიონი ტონა-კილომეტრი, გზების საერთო სიგრძე—360 კილომეტრი, ტექნიკუმი—1, პროფსასწავლებელი—2, საბავშვო ბაღი—120, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა —58, საავადმყოფოები—6, სამშობიარო სახლი—1, სამედიცინო პუნქტი—25, პოლიკლინიკა—3, კულტურის სახლი—8, კლუბი—22, მუსიკალური სკოლები—10, საცხოვრებელი ფონდი—1950000

ქალაქის ცენტრი.

კვ. მ., ერთ სულ მოსახლეზე საშუალო საცხოვრებელი ფართი 24 კვადრატული მეტრი, წყალგაყვანილობის სიგრძე—110 კმ, გაზის გაყვანილობისა—24 კმ, კომუნალური ქსელი—45 კმ, საავჭრო ობიექტების რაოდენობა 480 ერთეული, მ.შ. მაღაზიები—360, საზკვების ობიექტები—120 ერთეული და ა.შ.

გალის რაიონის მოსახლეობის ცხოვრების ომამდელი დონე ევროპულ სტანდარტებს ეტოლებოდა, ქონებრივი ცენზი ერთ სულზე გაანგარიშებით შეადგენდა დაახლოებით 40 ათას დოლარს, მარტო კერძო მფლობელობაში აღრიცხული იყო 5670 მსუბუქი ავტომანქანა. რაიონის

ეკონომიკასა და სოციალურ ინფრასტრუქტურაში 4411 უმაღლესი განათლების სპეციალისტი საქმიანობდა.

ამ მონაცემების მიხედვით მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ როგორი იყო გალის რაიონის ხვედრითი წილი აფხაზეთის ცხოვრებაში.

რაიონის მთელი მოსახლეობა ჩაბმული იყო შრომის ფერხულში, ცხოვრება უფრო საინტერესო და ბედნიერი ხდებოდა, დაგეგმილი იყო, რომ უახლოეს 3-5 წელიწადში ქ. გალში აშენდებოდა მაღლივი საცხოვრებელი სახლები, გუდავის ტერიტორიაზე აშენდებოდა უზარმაზარი სანატორიუმი, ქ. გალიდან პირველი გალამდე ივლიდა ტროლეიბუსი და ა. შ.

უკანასკნელი პერიოდის არეულობამ, აფხაზურ-ქართულმა კონფლიქტმა ამ ჯოჯოხეთურმა ძმათამკვლელმა ომმა, მთელი აფხაზეთის მცხოვრებლებთან ერთად სატანჯველად უქცია ცხოვრება სამურზაყანოელებსაც. ამ არეულობისა და ომის ეაჩაღებაში, როგორც აღინიშნა, უაღრესად დიდი როლი შეასრულეს გარე ძალებმა, მინდა მკითხველს ვავაცნო ერთი მეტად საინტერესო მასალა, რომლითაც შეიძლება წარმოვიდგინოთ სსრკ დაშლისა და საერთო არეულობის მიზეზები.

ევროპის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული იქნა „დიდი ევროპის ქარტია“—მთელი მათი მუშაობის ბაზისი. ეს დოკუმენტი ძირითადად ეყრდნობა დასავლეთის იმპერიალიზმის ადრინდელ კონცეპციებს. აი რას ითვალისწინებდნენ ისინი სსრკ-ს მიმართ.

„დავთესავთ რა იქ ქაოსს, ჩვენ შეუმჩნევლად შევცვლით მათ ფასეულობებს ყალბზე და ვაიძულებთ ამ ფასეულობებს ერწმუნონ.

ჩვენ ვიპოვით ჩვენს მიმდევრებს, ჩვენს მოკავშირეებს და ჩვენს დამხმარეებს თვით რუსეთში.

ეპიზოდებით გათამაშდება თავისი მასშტაბით გრანდიოზული დედამიწაზე ყველაზე ურჩი ერის დაღუპვის ტრაგედია და მისი თვითშევნების საბოლოო ჩაქრობა.

ლიტერატურიდან და ხელოვნებიდან ჩვენ ვანვდევნით ნაციონალურ არსს. ლიტერატურა, თეატრი, კინო—ყველაფერი განადიდებს და ასახავს უმდაბლეს ადამიანურ გრძნობებს.

ჩვენ ყოველნაირად დავეხმარებით და ავამაღლებთ ევრეთწოდებულ მხატვრებს, რომლებიც ადამიანთა აზროვნებაში შეიტანენ სექსის, სადიზმის, ღალატის—ერთი სიტყვით, ამორალიზმის კულტს. სახელმწიფო მმართველობაში ჩვენ შევქმნით ქაოსსა და ვაუგებრობას.

ჩვენ შეუმჩნევლად, მაგრამ აქტიურად და სისტემატურად ხელს შევუწყობთ მექრთამეობას, უპასუხისმგებლობას.

ბიუროკრატიზმი და არეულობა აყვანილი იქნება კეთილმყოფელობამდე, პატიოსნება დაცემულ იქნება და არავის დასჭირდება. ეს მხოლოდ წარსულის ნაშთად ჩაითვლება, უზრდელობა და თავხედობა, ტყუილი,

ლოთობა და ნარკომანია, ცხოველური შიში ერთმანეთისადმი, ღალატი, ნაციონალიზმი და ხალხთა შორის მტრობა—ყოველივე ამას ჩვენ შეუმჩნეველად დავნეგრავთ, ყოველივე ეს გაიფურჩქნება ალისფრად და მხოლოდ ცოტანი მიხვდებიან, იერძნობენ რა ხდება, მაგრამ ამისთანა ხალხს ჩვენ ჩაეყენებთ ეამოუვალ მდგომარეობაში, გადავაქცევთ სასარგებლოდ, მოვნახავთ მათი გამტყუნების საშუალებებს და გამოვაცხადებთ საზოგადოების ნარჩენებად. („ნორტრატარ კომპასი", კანადა. დაიბეჭდა ეაზ. „მებრძოლის" 1967 წ. №6-ში).

ეს ვერაგული ეეემა, ალბათ გათვალისწინებული იყო ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის მტრების არსენალშიც, რამაც ეანაპირობა მომხდარი არეულობა და უმიზნო სისხლის ღვრა.

რომ არა ასეთი ვერაგობა, რომ არა სხვა ძალების მიერ ინსპირირებული მწვავე სიტუაციები და კონფლიქტები, ეს საომარი მოქმედება არც დაიწყებოდა.

გალელი, სამურზაყანოელი კაცის ცნობიერებაში აფხაზი არასდროს ყოფილა მტერი, პირიქით, მუდამ გვქონდა მჭიდრო ნათესაური და მეგობრული კავშირები. პატიოსანი, მშრომელი აფხაზები სრულიად უდანაშაულონი არიან და დღეს ისინი თვითონაც გახდნენ აგრესიული სეპარატიზმის მსხვერპლი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ეააფხაზებული ქართველი უფრო უხეშად და აგრესიულად იქცეოდა, ვიდრე ნამდვილი აფხაზები.

ი. ქეცბაიას ნაამბობიდან:

„მდინარე ენგურს სამნი მივადექით, ეალში ეკინდოდა შესელა არალეგალურად, მშობლიური სახლ-კარის ფარულად მოსანახულებლად. მეეზურობას ახალგაზრდა ბიჭები გვიწევდნენ, მოვნახეთ ფონი და გადავედით მეორე ნაპირზე, მოულოდნელად, ჩვენდა საუბედუროდ, იქ რამდენიმე შეიარაღებული აფხაზი შეგვეჩეხა. საბუთები გაგვისინჯეს, როცა ნახეს ჩემი ეგარი ქეცბაია, ერთმა მათგანმა, ეტყობა, სხვებზე ანჩხლმა და აგრესიულმა ავტომატის კონდახი ჩამარტყა თავში:—გამყიდველია, გადაეგვარებულია, ეს ნამდვილად ქეცბა იქნებოდაო. მერე სხვებმა არ მისცეს საშუალება კიდეე რომ გაერტყა ჩემთვის. შემდეგ ეავიეე, რომ ის აფხაზი ეგარად ჭაეჭავაძე ყოფილა. ისიც გადმომცეს, რომ გააფხაზებული წერეთლები, ლორთქიფანიძეები, კირთაძეები, ჩხეიძეები და კიდეე ბევრი თურმე უფრო მეტ მონდომებას იჩენდნენ ქართველთა დამცირებისა და შეურაცხყოფაში, ვიდრე ნამდვილი ძირეული აფხაზები.

ეაი, სირცხვილო!

გალის რაიონის ხვედრითი წილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და სოციალურ ინფრასტრუქტურაში 1990 წლის მონაცემებით

დასახელება	აფხაზეთის ავტონომიური რესპ.	გალის რ-ნი	% გალის
1. მოსახლეობა, ათასი კაცი	526.0	80200	15.2
მათ შორის ქართველი	241.0	75.0	31
2. სოფლის მეურნეობა			
1) დასაქმებულია (კაცი)	56582	2382	42
2) სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია მლნ. მან.	425.8	175.8	41.2
3) სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ათასი ჰ.ა.	214.5		
ა) ნათესი ათასი ჰ.ა.	35.8	9.0	25
ბ) მრავალწლიანი ნარგავები ათასი ჰ.ა.	24654	11529	46.8
ბ) მათ შორის ჩაი	14614	8238	56.4
ციტრუსი	6610	2655	40.0
ხილი	2391	627	26.2
გ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება კულტურების მიხედვით ნატურალურ მოცულობებში			
მათ შორის			
მარცვლეული ტ-ნ	29150	9059	31
ბოსტნეული ტ-ნ	17582	3681	21
სოიო ტ-ნ	304	188	62
ჩაი ტ-ნ	112.7	5460	48.4
ციტრუსი ტ-ნ	80.0	25	31
დ) პირუტყვის სულადობა			
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	133344	38444	29
ღორი	103732	45074	43.5
თხა და ცხვარი	19800	4484	22.6
ცხენი	3820	680	17.8
ე) მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება			
ხორცი	12388	1771	14.2
რძე	13470	3180	23.6
3. მრეწველობა			
1. მრეწველობის მთლიანი პროდუქცია	623.0	167.0	27.0
ელექტროენერგია, მლნ. კვ. საათი	4633	4223	91
ხე-ტყის ნაწარმი (გადამუშავებული) ათ. კუბ. მ.	95.0	20.500	21.5

სამურზაყანოელი სოხუმელები

ჩვენი ხალხის ისტორიაში შავი ასოებით ჩაწერილ ამ უგუნურ ომს ათასზე მეტი სამურზაყანოელი შეეწირა. არიან კიდევ ადამიანები, რომლებიც წარმოშობით ვალის რაიონიდან იყვნენ, მაგრამ ცხოვრობდნენ აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში. ბევრი მათგანი მეტად ვამოჩენილი პიროვნება და საზოგადო მოღვაწე იყო.

ᲨᲝᲗᲐ ᲯᲚᲐᲧᲐᲫᲔ

შოთა ვლადიმერის ძე ჯღამაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, კაცი მეტად ენერგიული და საქმიანი, კაცი, რომელიც მუდამ ბობოქარი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა.

ბატონი შოთა წლების განმავლობაში სათავეში ედგა გალის რაიონის სამედიცინო კოლექტივს, მისი საქმიანობა მუდამ სანიმუშო და სამაგალითო იყო. უკანასკნელ პერიოდში მუშობდა გულრიფშის სანატორიუმის მთავარ ექიმად. იგი ომის დროს მთელი თავისი ცოდნით და მონდომებით ემსახურებოდა დაჭრილებს, აკეთებდა სახელდახელო ოპერაციებს, ვინ იცის, რამდენი ღირსეული მამულიშვილის სიცოცხლე გამოსტაცა სიკვდილს.

ბატონმა შოთამ საკუთარი პროფესიის—მედიცინის, დიდი სიყვარული ჩაუნერგა მის შვილებსაც. მისი ქალიშვილი **ნანული ჯღამაძე** მთელს აფხაზეთსა და საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი პედიატრი იყო. მეორე შვილი **გია ჯღამაძე** ქირურგია, იგი იარაღით ხელში თავდაუზოგავად იბრძოდა ამ ომში, დაიჭრა კიდეც მძიმედ, განიკურნა, ამჟამად ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალის მთავარი ექიმია.

ბატონი შოთასათვის თავზარდამცემი იყო მისი ქალიშვილის ნანულის დაღუპვა ავტოკატასტროფაში. ბავშვის გადასარჩენად მიმავალი ექიმი ავარიაში მოჰყვა. მაგრამ შოთა სულიერად არ დაცემულა. იგი მუდამ იქ იყო, სადაც ნაღები ქართველი ინტელიგენცია იდგა.

სოხუმის დაცემის დღეს მასთან საავადმყოფოში ნაკადებად მოყავდათ დაჭრილები. თითოეულს გადაუდებელი დახმარება სჭირდებოდა და ივიც შეუსვენებლად, მუხლჩაუხრელად ატრიალებდა საოპერაციო დანას. მორიგ ოპერაციას ამთავრებდა იგი, როცა ორფეხა ბანჯგველიანი მხეცები შეუვარდნენ, გარეთ გამოიყვანეს და პირდაპირ შენობის კიბეზე დაცხრილეს.

კიდევ ერთი სამურზაყანოელი ექიმი შეეწირა ამ ომს. ვინ არ იცნობდა ჩვენს სახელოვან თანამემამულეს **ვერა ვასილის ასულ ყოლბაია-კვარაცხელიას**. იგი ათეული წლები ედგა სათავეში ქ. სოხუმის სამშობიარო სახლს, პირადად იგი, მთელი მისი კოლექტივი დღე-ღამეს ასწორებდნენ დედათა და ბავშთა სიცოცხლის გადასარჩენად, ლამაზი სიცოცხლის დაბადებისა და მისი ჯანმრთელად ჩამოყალიბებისათვის.

შესანიშნავი ოჯახი ჰქონდა ქალბატონ ვერას, მისი მეუღლე ბატონი **ალიოშა კვარაცხელია** მთელს აფხაზეთში განთქმული პიროვნება იყო, იგი ბოლო პერიოდში ეშერის ციტრუსების მეურნეობის დირექტორად მუშაობდა, ვაჟიშვილი ექიმია; ოჯახის თითოეული წევრი საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი იყო.

და, აი ამ ბედნიერ ოჯახში შეიჭრნენ ავტომატს გამობმული ლაწირაკები, მათ არც გაეგებოდათ ამ ადამიანების ღირსება და ფასი, შეუბრა-

ლებლად დახოცეს ორივე ცოლ-ქმარი, ვაგლახ, რომ ქალბატონ ვერასათვის ეს ომი ცის ჩამონგრევის ტოლფასი ვახდა, მისი ძმა იურისტი შოთა ყოლბაია საერთოდ უგზო-უკელოდ დაიკარგა ქ. გალში და დღემდის მისი ასავალ-დასავალი არავინ იცის, ხოლო რძალი—ბელა გეგია—რაიონის ინტელიგენციის მშვენება, ულამაზესი ადამიანი, შესანიშნავი შვილების აღმზრდელი, ყველასათვის სიკეთის მსურველი და უაღრესად კეთილშობილი ადამიანი ამ ომის საშინელებისაგან განცდილი სტრესებისაგან გარდაიცვალა.

ჯუხუ ანჩაბაძე მთელი სამურზაყანოსათვის საყვარელი კაცის ბუცხა ანჩაბაძის ასულია. იგი სოხუმში ცხოვრობდა, დღედაღამეს ასწორებდა, ნაადრევად დაობლებულ შვილებს ზრდიდა, ყველა ისინი ცხოვრების გზაზე გამოიყვანა, თვითონ მეტად აქტიური ადამიანი ყველასათვის გაჭირვების ტალკვესი იყო. თვით აფხაზებს შორისაც ჰყავდა უამრავი მეგობარი. იყო შემთხვევა, როცა მის აფხაზ მეზობლებს მარადიორები მიადგნენ, ფული მოსთხოვეს და თან დახვრეტით ემუქრებოდნენ. ჯუხუმ თვითონ ოქროს საყურეები მოიხსნა, მეზობლებშიც შეაგროვა თანხა და აფხაზი მეზობლები სიკვდილს გადაარჩინა.

სოხუმის დაცემისთანავე მიადგნენ ჯუხუს კარებს და დასახვრეტად გაიყვანეს მისი მეზობელი მიშა ლაბახუა, რომელიც ერთ დროს ჯუხუმ სიკვდილს გადაარჩინა, კარებთან იდგა, იქვე იდგნენ მისი ოჯახის წევრებიც, ხედავდნენ, რომ ჯუხუ დასახვრეტად მიყავდათ, მაგრამ მის დასაცავად სიტყვაც არ დასცდენიათ. ფუმცა ისიც საკითხავია, შეეძლოთ კი? ჯუხუ შორს არ წაუყვანიათ, იგი იქვე სადარბაზოს გასასვლელთან დახვრიტეს. სამი დღე ეგდო მისი სისხლიანი ცხედარი უპატრონოდ მინდორში, შემდეგ ვიღაც რუსმა დედაბერმა დიდის ვაი-ვაგლახით ეზოში საფლავი გათხარა და მიწას მიაბარა.

უკანასკნელი ორი ათეული წელი სოხუმში ცხოვრობდა ოქუმელი კაცი შალვა (ბუდუშია) ცაცუა, იგი კავშირგაბმულობის სამინისტროში მუშაობდა, იყო უაღრესად პატიოსანი და საქმის მცოდნე, რისთვისაც უყვარდათ და პატივს სცემდნენ. მკვლელებმა არც ეს „ღვთის კაცი“ დაინდეს, იგი მოკლეს ქ. სოხუმის აღებისას.

უგზო-უკელოდ დაიკარგა კიდევ ერთი ღირსეული სამურზაყანოელი სოხუმელი, ცნობილი ჟურნალისტი სერგო შონია. იგი უკანასკნელი ხუთი ათეული წელიწადი ქ. სოხუმში ცხოვრობდა და აქტიურად მონაწილეობდა პერიოდული პრესისა და აფხაზეთის რადიოს მუშაობაში, იყო უაღრესად უბრალო, სამართლიანი, პატიოსნებით სავსე, უანგარო, თანაც პირუთვნელი და შეუდრეკელი.

იგი, ალბათ, არ შეეპუა ავტომატიან მკვლელებს; რამდენიმე დღის შემდეგ მეზობლებმა მისი სახლის ზალაში სისხლის გუბე ნახეს, თვითონ ბატონ სერგოს ასავალ-დასავალი დღემდის არავინ იცის.

ემირ შონია

სოხუმში, რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე, ემირულად დაეცა კიდევ ერთი სამურზაყანოელი ლომკაცი **ემირ (ბოჩია) მირიანეს ძე შონია**. ივი მეტად ერუდირებული და ნიჭიერი ახალგაზრდა იყო, ამასთან თავისი უბრალოებითა და კაცთმოყვარეობით დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საზოგადოებაში.

ჩვენი ემირი ვალმოხდილი მიეახლა თავის წინაპრებს.

დღემდის გაურკვეველია კიდევ ერთი ღირსეული სამურზაყანოელი სოხუმელის **მურმანი ნიკოლოზის ძე ხუბუტიას** ბედ-იღბალი.

1970 წლიდან, როსტოვის საამშენებლო ინსტიტუტის დამთავრების დღიდან, მ. ხუბუტია ქ. სოხუმში ცხოვრობდა და თავისი მოკრძალებული წვლილი შეჰქონდა ქალაქ სოხუმის განაშენიანების, მისი უფრო გალამაზება-დამშვენების საქმეში.

იმ დღეს, აფხაზ-ქართველთა უაზრო ომის დაწყებიდან მე-12 დღეს, მ. ხუბუტია და მისი ორი მეგობარი ა. **ხარაშვილი** და ფ. **ფაცაცია** ერთად იყვნენ მდ. გუმისთის სანაპიროზე დავალების შესასრულებლად; იქვე წყდება მათი შემდგომი ასავალ-დასავალის კვალი. იმ დღიდან დღემდის არაფერი ჩანს მათი ადგილსამყოფელის, მათი შემდგომი ბედის შესახებ.

წარმოშობით გუდაველი იყო **ვახტანგ შოთას ძე ალანია.** ჩუმი და უპრეტენზიო ახალგაზრდა, ალალი, შრომისმოყვარე. უკანასკნელ პერიოდში ივი სოხუმში ცხოვრობდა, ჰქონდა ოროთახიანი მყუდრო ბინა და ოჯახთან ერთად შეჰხაროდა მის ერთადერთ ქალიშვილს, თვალმახარა. მაიკოს. ვახტანგის მშობლები და და-ძმანი შრომით ტრადიციებზე იყენენ აღზრდილნი, გვერდში ედგნენ ერთმანეთს და ერთმანეთის წარმატებით ხარობდნენ.

ვახტანგის ბუნებისაგან მომადლებული ნიჭიც აღმოაჩნდა. ივი იყო სამედიცინო ტექნიკის უბადლო მცოდნე, აფხაზეთის რამდენიმე ქალაქში სამედიცინო ტექნიკა სწორედ მისი ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით მუშაობდა, მედიცინის მუშაკები კმაყოფილნი იყვნენ მისი მუშაობით და ძალიანაც ემადლიერებოდნენ.

სოხუმი განსაცდელში იყო, ვახტანგიმ ცოლ-შვილი ვანარიდა იქაურობას, მაგრამ თვითონ იქ დარჩა. სოხუმის დაცემის შემდეგ ის და მისი ერთ-ერთი თანამებრძოლი შეეცადნენ გამოსულიყვნენ ქალაქიდან. მოხდა საბედისწერო შემთხვევა, ისინი ოცამდე შეიარაღებულ სომეხს გადაეყარნენ, ვახტანგის მეგობარი ცოლ-შვილის წინ ღორივით დაკლეს დანით, ხოლო გაქცეულ ვახტანგს ოცამდე ტყვია მიარტყეს, საწყალი ღღესაც სხვის ეზოში განისვენებს, ღღემდე ვერ ეღირსა გადმოსვენება წინაპართა საძვალეში. მასთან ერთად დაღუპული ჭაბუკი კი საკუთარ ეზოში დამარხეს მეზობლებმა, მაგრამ 5-6 თვის ვავლის შემდეგ მის სახლკარში ჩასახლებულმა ბოევიკმა საფლავიდან ამოაღებინა მისი ნეშთი („ბავშვებს ეშინიათო") და სადღაც მთის ძირას დაამარხვინა. საკუთარ ეზოში განსვენებასაც ვერ ეღირსა ის საწყალი კაცი.

სოხუმში და აფხაზეთის ბევრ რაიონში მიმოფანტულია .სამურზაყანოელი „ღიმილის ბიჭების" საფლავები, მაგრამ მოგვიტევონ მათმა აჩრდილებმა, თუ აქ ყველა მათვანის დასახელება ვერ მოვახერხეთ.

მოვა დრო და თითოეულის დამსახურება ღირსეულად იქნება გამომზეურებული და დაფასებული.

სისხლიანი დღეები სამურზაყანოში

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში პირველი ტრაგედია დატრიალდა 1989 წლის 15-16 ივლისს მდ. ღალიძგასთან. ამ ტრაგედიას ქართველთაგან 13 კაცი შეეწირა, აფხაზთაგან—5, საუბედუროდ, ეს იყო აფხაზ-ქართველთა პირველი შეიარაღებული შეტაკება.

აფხაზი ექსტრემისტების ხელით გალის რაიონიდან პირველები დაიღუპნენ სოფელ ნაბაკევის მცხოვრები რეზო შალვას ძე ეხვაია, დაბადებული 1942 წელს; ასევე ქალაქის მცხოვრებლები: ნური მამიას ძე შამათავა, დაბადებული 1960 წელს და ომარი ვალიკოს ძე შენგელია, დაბადებული 1938 წელს. აღსანიშნავია, რომ ამ მძიმე დღეებში აფხაზეთში სამედიცინო დაწესებულებებს დახმარებისათვის მიმართა 501 კაცმა, მათ შორის ქართველი იყო 348, აფხაზი—15, შინაგან საქმეთა წარმომადგენელთაგან დაზარალდა 33 მუშაკი. სულ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 77 დამნაშავე, მათი 87% აფხაზია, ადვილი მისახვედრია, თუ ვინ იყო ამ შეტაკების ინიციატორი.

შემდგომ მოვლენები თანდათან გამწვავდა. აფხაზი სეპარატისტები შეუდარებელი ოპერატიულობით ამზადებდნენ ძმათამკვლელ ომს, ამასთან აქტიურობდნენ იდეოლოგიურ ფრონტზეც, ანტიქართული შხამით წამლავდნენ მთელი აფხაზეთის და განსაკუთრებით აფხაზი-ახალგაზრდების გონებას. ფაქტების დამახინჯება-ფალსიფიცირებით, ცრუ მონაჭორების გავრცელებით შეცდომაში შეჰყავდათ საერთაშორისო ორგანიზაციებიც.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის ომი ფაქტიურად 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო.

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით გავრცელდა ცნობა გალში სოხუმის დაცემაზე. არ ველოდით გალელები და არც არავინ ელოდა სოხუმის დაცემას. ოფიციალური პირები მტკიცე პირობას იძლეოდნენ სოხუმი არ დაეცემაო. გალში ავისმომასწავებელი განგაშის ხმა 1993 წლის 29 სექტემბრის 22 საათსა და 30 წუთზე გაისმა.

და დაიძრა მთელი გალი ენგურის გადასასვლელისაკენ, დაიძრა დიდი და პატარა, ზოგიერთმა მანქანები წამოიყვანა, ზოგმა ტრაქტორიც, მოჰყავდათ ბავშვები, მოხუცები, ხეიბრები, ხელის ურიკებით, ბავშვთა ეტლებით მოჰქონდათ ყველაფერი, რისი წამოღებაც შეიძლებოდა, ხელის ერთი დავლებით. ზოგი სახლის კარებს საიმედოდ კეტავდა, ჭიშკარს

ჯაჭვებით ამაგრებდა, ზოგიერთმა კი საერთოდ ღიად დატოვა სახლისა და ეზოს კარიც. ცენტრალურ გზაზე ვერ ეტეოდა ხალხი, მთლიანად გავსებული იყო ტროტუარები და მანქანების სავალი ნაწილიც, ყველა ერთი მიმართულებით მიდიოდა,

მივიწევდით წინ, მაგრამ, ეაი, ასეთ წინსვლას, ყოველ 50-100 მეტრის შემდეგ მოძრაობა ჩერდებოდა. ჩერდებოდა საათობით, წინ გაუვალი საცობები იყო. თურმე ლ. ქობალიას რაზმელები იდგნენ ს. ჭუბურხინჯის ტერიტორიაზე და იარაღის ამოღების საბაბით ყველაფერს ჩხრეკდნენ. საათობით აჩერებდნენ ტექნიკას, ზოგიერთი, ალბათ, ვერც დაიჯერებს, რომ გზას გალიდან ზუგდიდის საზღვრამდე, რაც ზუსტად 12 კმ-ს შეადგენს, 12 საათი მოვუნდით. ნუთუ იარაღის ამოღება (თუ მარტო ეს აინტერესებდათ) ენგურის ხიდგაღმა, სოფელ რუხის ტერიტორიაზე ან სხვა ადგილას არ შეიძლებოდა, თუ საგანგებოდ გათვლილი ხაფანგი იყო, რომ მავანს ბევრი ალაფი ჩავარდნოდა ხელში.

დევნილებს მოუსწრეს აფხაზებმა, ს. ჭუბურხინჯთან აფხაზი ბოევიკების ტანკებმა ათობით მსუბუქი ავტომანქანა გადათელეს, ასობით მანქანა მიატოვა დევნილმა ხალხმა და ფეხით მივარდა ენგურის ხიდს, ზოგმა ფონის ძებნა დაიწყო. ბევრ მათგანს იქვე სიკვდილმა მოუსწრო, უპატრონოდ მიტოვებულ პირთამდე გავსებულ ახალთახალ ცინცხალ მანქანებს ბოევიკები დაეპატრონენ, ზოგიერთი მანქანა თვით გალელ მძღოლ—ბიჭებს წააყვანინეს ძალით გუდაუთამდე, იქ კი უმრავლესობა დახვრიტეს, მანქანები და ქონება კი დაისაკუთრეს. რაიონის ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე დაიწყეს დარჩენილი მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება და ხოცვა. პირველსავე დღეს საკუთარ სახლში დახვრიტეს შესანიშნავი მოქალაქე, ინჟინერი კაცი, დიდებული ოჯახის პატრონი **შოთა ცხადაია**. ჯერ სახლი გაუძარცვეს, გაზ-24-ის მარკის მანქანა წაართვეს, მერე ავტომატის ჯერი დააყარეს და გარაჟში ჩატოვეს. ნინოშვილის ქუჩაზე დახვრიტეს **ვაჟა ხუფენია** და მისი მეზობელი სამი მანდილოსანი, გზაში მიმავალი დახვრიტეს მხცოვანი პედაგოგი **ევგენი ქობალია** და მისი მძახალი. ასევე საკუთარ ეზოში დახვრიტეს ცნობილი პედაგოგი **ლეონტი ბჟანია** და ღორების საჯიჯგნად მიაგდეს ციტრუსების პლანტაციაში.

ქალაქში კაცურკაცობით და სიდარბაისლით განთქმული კაცი, ბრწყინვალე ინტელიგენტი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი ეკონომისტი **სერგო ხურცილავა**, შემოსევის დღესვე დახვრიტეს საკუთარი სახლის კარებთან, მეზობლებს აუკრძალეს მისი დამარხვა, მხოლოდ 4-5 დღის მერე მოხერხდა მისი დასაფლავება.

იმავე დღეს დახვრიტეს რაიონის ერთ-ერთი ღირსეული შვილი—ღიმილის კაცი, შესანიშნავი მონადირე, მექანიზატორ **გენო ლაკერბაია** და მისი ძმისშვილი, ულამაზესი ვაჟკაცი **ბენო (ხვიჩა) ლაკერბაია**.

ბოევიკებმა პირველსაევ დღეს სიკვდილის კალო დაატრიალეს ყველგან, სადაც ხელი მიუწვდათ, ს. გუდავაში საშინლად აწამეს და შემდეგ დახვრიტეს **დავით ხოჭავა**, მამა-შვილი **კვაშილავები**. 1993 წლის 13 ოქტომბერს არნახული სისასტიკით აწამეს დედა-შვილი **სანაიები**. შვილის––კახას თვალწინ დედას მკერდი მოაჭრეს, შემდეგ დედის თვალწინ შვილს მოაჭრეს ყურები. ბოლოს ორივე დედა-შვილს დანით მოუღეს ბოლო. ს. ნაბაკევში სასტიკად აწამეს **ვ. სიგუა**, რომელსაც ბოლოს ყელი ვამოსჭრეს, სოფელ განახლებაში საკუთარ სახლში ცოცხლად დასწვეს 82 წლის მოხუცი **იროდი ფაცაცია**, სასტიკად აწამეს და მერე მოკლეს სოფ. დიხაზურვის მკვიდრნი **ზინა გულორდავა** და **ინდიკო ბერაია**. ამავე სოფლელი **კ. ზაქარაია** ბოევიკებმა აიძულეს და თანასოფლელებთან ერთად ამოათხრევინეს ორმო და სამი კაცი იქვე მიახურიტეს, **როლანდ ზაქარაია** კი ჯერ დაჭრეს და მერე ცოცხლად დამარხეს, ასევე განსაკუთრებული სისასტიკით მოექცნენ ძმებს კარლო და ლადო ვამსახურდიებს, მათ ჯერ ყურები დააჭრეს, დანით აკუწეს და მერე დახვრიტეს.

1994 წლის თებერვალში აფხაზმა ბოევიკმა სოფ. გუდავაში ჩვეული სისასტიკით აწამეს და დახვრიტეს 11 კაცი, სასტიკად აწამეს და მერე ცოცხლად დაწვეს საკუთარ სახლში 82 წლის **კოლია ხუნწარია**, 65-65 წლის ცოლ-ქმარი **ნინა** და **შალიკო ხოჯავები**, 81 წლის **მარგალიტა ჩაჩხალია**, ჩამოახრჩვეს ამ სოფლის მკვიდრი **იროდი აბრალავა**, ვადაწვეს 600 სახლი, ამასაც არ დასჯერდნენ, სადიზმის ახალი ნაირსახეობა ვამოძებნეს, **აბელ შამათავას** ავტომატის ხიშტით ამოთხარეს თვალები, შემდეგ ჩააგდეს წყლის აუზში და იქ დაახრჩვეს, იმ დღეებში თანასოფლელებმა აღმოაჩინეს **ინდიკო** და **იგორ ალანიების**, **დავით ლატარიას**, **ფუშაკი ხუბუას** და **სანატრელი ზაქარიას** ნაწამები გვამებიც.

ორფეხა მხეცებმა მოითარეშეს კოპწია სოფელი მუხურიც, 82 წლის **აკაკი შარანგია** თავის დასთან ერთად დახვრიტეს და შემდეგ სახლში ჩაწვეს, ტყეში დამალულს მიაკნეს და ნადირივით მოკლეს ყველასათვის საყვარელი კაცი უხუცესი აგრონომი **ლუდუკი შარანგია**, ცოცხლად დაწვეს ცოლ-ქმარი **ეთერი** და **ჟორჟი გაბელიები**, ყელი ვამოჭრეს ამავე სოფლის მკვიდრს **დ. დოდოძეს**.

იმ დღეებში აფხაზებმა თათბირი გამართეს ვალში, ქალაქში დარჩენილი ხალხი ძალად შერეკეს იქ, რამდენიმე ათეული კბილებამდე შეიარაღებული ბოევიკიც იჯდა დარბაზში, თათბირზე სხვებთან ერთად, სიტყვით გამოსულან **ჟილინი შონია** და **ბიძინა ოთხოზორია**...

რაიონის ამ ღირსეულ შვილებს გული უსკდებოდათ ბოევიკთა არაადამიანურ საქციელზე, ხალხის განადგურებაზე, სახლების დაწვაზე, ხმამაღლა უთქვამთ კიდეც საყვედური ამის შესახებ, მკაცრად დაუგმიათ

აფხაზ ბოევიკთა და მათ დამქაშთა საქმიანობა, მოუთხოვიათ მათი თვითნებობის აღკვეთა, იმავე დღეს ევიან ღამით ცეცხლს მისცეს ბიძინა ოთხოზორიას ნაშრომ-ნაღვაწი, წვითა და დავეით აშენებული სახლკარი, უგზო-უკელოდ ეაქრნენ თვით **ბიძინა** და მისი მეუღლე **ლუსია** **თადეოზის ასული ბუთბაია**, მეხუთე წელია მათი ასავალდასავალი არავინ იცის.



ბიძინა ოთხოზორია

ბიძინა ოთხოზორია ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა წესრიგითა და სიბეჯითით, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იყო კომკავშირის გალის რაიკომის პირველი მდივანი, მერე პარტიული სკოლაც დაამთავრა და წლების განმავლობაში პარტიულ სამუშაოზე იმყოფებოდა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში კოლმეურნეობასაც ხელმძღვანელობდა, პენსიაზე გასვლის შემდეგ იგი პირველი გალის საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობდა, იყო მუდამ გულღია, მომღიმარი, უბრალო, საქმიანი, მეტად ერუდირებული და ნაკითხი, შესანიშნავი მეგობარი და ამხანაგი, საზოგადო კაცი—ასე იცნობდნენ მას ყველგან, უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა. მისი მეუღლე ათეული წლები ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურებოდა. ულმობლად გაიმეტეს ბოევიკებმა ეს ადამიანები.

რა მოუვიდა მეორე გამომსვლელს ჟილინი შონიას?

სახლში მიუვარდნენ მას შუაღამისას, ძველი გამოცდილი ჩეკისტი ალღოთი მიხვდა, ალბათ, მოძალადეთა განზრახვას, იარაღი არ ჰქონდა, რომ ღირსეული პასუხი ეაეცა და მეუღლესთან ერთად მიმალვას შეეცადა.

ბოევიკებმა შეამტვრიეს სახლის კარები, დაიარეს სახლი, არ დატოვეს კუთხე-კუნჭული, ბოლოს საპირფარეშოშიც შესულან და...ორივეს ავტომატის ჯერი დააყარეს.

გენო ფაცურიას რაღაც-რაღაცეებით დაუტვირთავს მისი ცინცხალი მანქანა „ნივა“, უნდა დაძრულიყო, მიუსწრეს ბოევიკებმა, ადგილზეეე დახვრიტეს და მისი ნეშტი გზაზე დააგდეს, მანქანა კი ტვირთიანად წაიყვანეს.

მხოლოდ სიკეთეს, მხოლოდ სიყვარულს თესავდა საზოგადოებაში ოტობაიელი აკაკი ტერენტის ძე შენგელია, მთელი თაობების აღმზრდელი და დამფრთიანებელი. ოტობაიის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის უცვლელი გამგე, ბრწყინვალე ოჯახის პატრონი, შესანიშნავი შვილების გამზრდელი. იგი მეუღლე პედაგოგ ნელი შამუგიასთან ერთად ოთხ შვილსა და ოთხ შვილიშვილს შეხაროდა. მოახლოებულ საშიშროებას განერიდა, ოჯახთან ერთად ერთხანს ზუგდიდში გადმოვიდა, მაერამ გულმა ვერ გაუძლო, ვერ მოითმინა, წავიდა სახლკარის სანახავად, სწორედ იქ მოუსწრეს, ჯერ სახლი გაუძარცვეს, მერე ცეცხლი წაუკიდეს უზარმაზარ ოდა-სახლს და აკაკი შიგ ჩააგდეს. ტომრით შეაგროვეს მისი დანახშირებული ძვლები მეორე დღეს მეზობლებმა, ზუგდიდში დაიტირეს, მხოლოდ ორი წლის შემდეგ მოხერხდა მისი ძვლების მშობლიური ოტობაიის მიწისათვის მიბარება.

ქვასაც კი აატირებს გალელი მხცოვანი პედაგოგის ვახტანგ ემხვარის ისტორია. იგი სრულად ახალგაზრდა, მეცხრე კლასის მოსწავლე

1937 წელს გადაუსახლებიათ შორეულ ციმბირში, ჯერ ვლადივოსტოკში, შემდეგ მაგადანში ყოფილა, იქიდან 40 დღე ძაღლებშებმული მარხილით გადაუყვანიათ უკიდურეს ბოლო წერტილამდე, მერე კოლიმაში ოქროს მაძიებლად ამუშავებდნენ 70 გრადუსიან ყინვაში, მასთან მყოფთა უმრავლესობა იქ დარჩა სამუდამოდ, ვახტანგის ჯანსაღმა სხეულმა აიტანა მძიმე განსაცდელი და იგი გადარჩა, მაგრამ ფეხის თითები მოეყინა და ინვალიდი გახდა. შემდეგ სრედნობელისკი, ტაშკენტი. 8 წლის ჯოჯოხეთური ცხოვრების შემდეგ დაუბრუნდა იგი მშობლიურ მხარეს.

მერე სწავლა, დაოჯახება, პატიოსანი შრომა, ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობა. შავად ეათენდა მისთვის 1993 წელი, ჯერ იყო და თებერვალში შვილი გაასვენა, სექტემბერში კი აფხაზმა სეპარატისტებმა ავტობუსით მომავალი მისი მეუღლე—ლილი ანჩაბაძე—ეზაში მოკლეს, რომლის დაკრძალვა მოხდა 29 სექტემბერს, სწორედ იმ დღეს, როცა ვალი ცარიელდებოდა მოსახლეობისაგან.

ვახტანგიმ და მისმა კარის მეზობელმა, მხცოვანმა პედაგოგმა ხუტა ფირცხელავამ სახლ-კარი არ დატოვეს, საფლავები ვერ მიატოვეს. ხუტასაც ვაჟიშვილი ჰყავდა მკვდარი. ისინი ხომ თაობების აღმზრდელები იყვნენ, მუდამ სიკეთისა და ცოდნის მთესველნი. რას იფიქრებდნენ, რომ მათაც უღმერთოდ გაიმეტებდნენ სეპარატისტი ცხელთავიანები.

ჯალათების ყურადღება სახლის ფასადზე ახალგაზრდა ბიჭის შავარშიანმა სურათმა მიიპყრო, ეს სახლი ვახტანგ ემუხვარის იყო და შავარშიან სურათში მისი ახლადგარდაცვლილი ახალგაზრდა ბიჭის სახე იყო გამოსახული. რას დაიჯერებდნენ ჯოჯოხეთის მოციქულები, რომ ეს ბიჭი ბრძოლაში კი არა, ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა.—ალბათ ჩვენ ვეებრძოლაო,—დაიჩემეს მათ და სახლის ასასვლელ კიბეებთან დახვრიტეს 72 წლის ვახტანგ ემუხვარი. იქვე ვახტანგის ეზოში დახვრიტეს ბატონი ხუტა ფირცხელავაც: ხუტამ ნახა, თუ როგორ გაიმეტეს ჯალათებმა მისი სიყრმის მეგობარი, მეზობელი და კოლეგა ვახტანგი და, კი არ შეშინდა, კი არ დაიმალა, პირიქით, მედგრად მიუვარდა მათ—რატომ მოკალით ეს დიდებული კაცი, მათი პასუხი მხოლოდ ავტომატური ცეცხლი იყო და იგიც გამოასალმეს სიცოცხლეს; ემხვარის სახლ-კარი გადაწვეს, ეს გაცოფებული ორფეხა მხეცები, თუ სადმე სახლის ფასადზე გამოკრულ მიცვალებულის სურათს წააწყდებოდნენ, იმ სახლში განურჩევლად ხვრეტდნენ ყველას და სახლკარს ცეცხლს უკიდებდნენ. სწორედ ამიტომ დასწვეს შემოჭრის პირველსავე ღამეს ქ. გალში ცნობილი ექიმის აპოლონ კეშელავას სახლი, რომლის ფასადზე გამოკრული იყო ავადმყოფობით გარდაცვლილი ვახტანგ კეშელავას სურათი. აფხაზებმა ივარაუდეს ეს, ალბათ, ჩვენ

ევებრძოდაო და დაუფიქრებლად მისცეს ცეცხლს ეს 2-3 თაობის შრომით აგებული უზარმაზარი სახლი. ასე იქცეოდნენ ყველანი.

ვალის ქუჩებში თითქმის ყოველ დილით ნახავდით მეტად სანდომიანი სახის, ჭარმაგ მანდილოსანს, რომელიც მტკიცედ და აჩქარებული ნაბიჯებით მიყვებოდა ეზას სკოლისაკენ, ეს საპატიო ადამიანი ვერა სიგუა იყო. ვერა—მრავალი ახალგაზრდა თაობის აღმზრდელი და დამკვალიანებელი. .მას საკუთარი ღვიძლი შვილი არ ჰყავდა, მაგრამ დასტურ „ათასი შვილის მშობელი იყო“ და აი, ერთ ავ დღეს მის ოჯახშიც შეევარდნენ შავი ჭირის მთესველები. შეუბრალებლად ამოწყვიტეს მთელი ოჯახი. მოკლეს ქალბატონი ვერა, არ დაინდეს მისი და-ძმაც—70 წლის ვენერა და 72 წლის ღუბური. სამივე ერთად დახვრიტეს.

1993 წლის 25 იელისს სოხუმის რაიონის სოფელ შრომასთან გამართულ ბრძოლაში გმირის სიკვდილით დაეცა ვალელი შუქრი ანჩაბაძე, მისი შვილი ზურაბიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე სოხუმელებთან ერთად იბრძოდა, 18 სექტემბერს შეწყდა ამ ოცი წლის სტუდენტის მშფოთვარე, რომანტიკითა და ოცნებებით სავსე ცხოვრება.

ზურაბი იბრძოდა სოფ.გუმისთასთან, სოფ. შრომასა და ზეანის მაღლობზე, მონაწილეობდა სადესანტო ვერტმფრენის განადგურებაში, იყო საზრიანი, ჭკვიანი და მამაცი მებრძოლი, ავაზასავით სწრაფი და მოუხელთავი. მაგრამ, ვაი, რომ მტრის ტყვიამ მაინც უწია.

1995 წლის 10 მარტი. რუსეთის სამშვიდობო ძალების საკონტროლო ზონაში შემოიჭრა მძიმე ტექნიკით—ტყვიამფრქვევითა და ყუმბარმტყორცნებით—შეიარაღებული 500-მდე აფხაზი და სომეხი ბოევიკები. 10-15 მარტს ვალის რაიონის დაბალ ზონაში ჩაატარეს „წმენდა“, რაც ეამოირჩეოდა გაუგონარი სისასტიკითა და დაუნდობლობით. დაძრწოდნენ, დათარეშობდნენ, არ ტოვებდნენ კუთხე-კუნჭულს. რისხვად ატყდებოდნენ ყველას და ყველაფერს. სახლში უვარდებოდნენ მოსახლეებს, მოითხოვდნენ ფულს, ოქროს, ძვირფას ნივთებს. უმრავლეს შემთხვევაში სცემდნენ, კლავდნენ, აწამებდნენ, შეურაცხყოფდნენ, რაც უკიდურესი ცინიზმითა და მხეცობით ხორციელდებოდა.

მოითარეშეს ს. ნაბაკევი. 1925 წელს დაბადებულ სარა თოდუას შვილის გამოსასყიდად დიდძალი თანხა მოსთხოვეს, რაც არ ჰქონდა, რას გაიღებდა. ცოცხლად დასწვეს იგი, ასევე ფულის გამოძალვის მიზნით აწამეს ოტობაიელი ვ. წარაღბაია, მას ნეკნები ჩაუმტვრიეს, სახე და ყური დანით დააჭრეს.

ცხრა დღე ტყვედ ჰყავდათ აფხაზ ბოევიკებს ე.წ. „შტაბში“ მოგელი ბერაია. განა ბედის დაცინვა არ არის, რომ ეს შტაბი თვით მოგელის სახლში იყო განთავსებული. ბოევიკები ძირითადად სომხები იყვნენ. 25 კაციდან მხოლოდ ორი იყო აფხაზი. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ეინმე იური მაგაკიანი..

მეათე დღეს ვალტერი მოტყუებით წაიყვანეს ტყისკენ, ვითომ სანადიროდ. იქვე მოკლეს ვერაგულად და ტყეში დატოვეს მხეცების საჭიჭვნად.

აფხაზი, ჩერენი და სომეხი ბოევიკების თარეშის მორიგი მსხვერპლი იყო ალალ-მართალი კაცი მურმან თორია.

1993 წლის ოქტომბერში ტყვედ აიყვანეს ნაბაკეველები—სიყრმის მეგობრები დემურ ესათია და ზურაბ ძიგუა. ჭირისუფლები ყველანაირ ეძებდნენ მათ, ვის არ მიმართეს, მაგრამ მათ კვალს ვერ მიაგნეს. აფხაზი ბოევიკები კი აიმედებდნენ—თქვენი შვილები ცოცხლები არიან, გამოსასყიდი ფული ან ოქრო მოგვიტანეთ და ტყვეებს დაგიბრუნებთო. ასეთი ცრუ დაპირებებით ატყუებდნენ. 1995 წლის ოქტომბერში კი ცნობილი გახდა, რომ დემური და ზურაბი სხვა თანამემამულეებთან ერთად ს. ჭუბურხინჯში რამდენიმე თვის წინ დაუხვრეტიათ.

უცრემლოდ ვერ მოისმენ ნაბაკეველი ძმების რევდიკ, ოთარ და რუზგენ კუპრავების ამბავს. 1993 წლის 7 ნოემბერს სამივე ძმა ტყვედ ჩაუვარდათ აფხაზ ბოევიკებს, მაშინათვე გაქრა მათი კვალი. ორი კვირის შემდეგ საკუთარ ეზოსთან ჭაობში იპოვეს რუზგენის ნატანჯი გვამი, ასე დამთავრდა 38 წლის რუზგენის სიცოცხლე, განუზომელი იყო დედის ცრემლი და ტანჯვა, მის გულს ჩაუქრობელი ცეცხლი ეკიდა, არსად სჩანდა მისი კიდევ ორი შვილი, ეძებდნენ ტყეში, მდინარეში, ბუჩქებში, თხრილში, მაგრამ ამაოდ...

ბოლოს კი იპოვეს ორივეს გვამი—ნაწამები, ნაგვემი, დასახიჩრებული, ღორებისაგან დაჭიჭვნილი, ასე გასწირეს ერთი ოჯახის სამი შვილი, სამივე ზრდილნი, შრომისმოყვარენი, კაცთმოყვარენი. ისინი სიცოცხლეს შეჰხაროდნენ, მომავალზე ოცნებობდნენ, მაგრამ იუდას არ ეძინა.

ერთი შეხვედრითაც დაგამახსოვრებდა თავს პატრიკ ქარდავა. მისი მუდამ მომღიმარი სახე და მოზომილი იუმორი, მისი უბრალოება და კაცთმოყვარეობა მთელმა რაიონმა იცოდა. შვიდი შვილი აღუზარდეს პატრიკმა და მისმა მეუღლემ ქვეყანას, შვიდივე სოფლის მშვენებანი, დედ-მამისა და წინაპრების კეთილი ტრადიციების გამგრძელებლები.

1993 წლის 26 ნოემბერს დაიღუპა პატრიკ ქარდავა, მაგრამ დატოვა კეთილი კაცის მარად დაუვიწყარი სახელი.

კაცური კაცის სახელი დაგვიტოვა კიდევ ერთმა ნაბაკეველმა ჭაბუკმა შალიკო ცქვიტარიამ,- რომ ეს უშიშარი ვაჟკაცი ვიღაც ცინგლიანის ხელით ნასროლი ტყვიისგან წაიქცა.

„ვაბ, დედას თქვენსას, ყოვებო, ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა!“

1994 წლის 2 თებერვალს კალმით აუწერელი ტრაგედია დატრიალდა ხუშუშქურ-გალის გზის სიდის გადასახვევთან. შეიარაღებულმა აფხაზმა ბანდიტებმა დაიჭირეს და ერთ ადგილზე მოაგროვეს შემთხვევით გზად მიმავალი ადამიანები. ამ საბედისწერო მომენტში იქ აღმოჩნდნენ

ვალის რაი-აღმასკომის თავმჯდომარე რაბო შონია და მისი კარის მეზობელი მირიანე ტორუა, ისინი ბიძის სატირალიდან ბრუნდებოდნენ ბარღებიდან ვალში, იქვე აღმოჩნდნენ ვალის პოლიკლინიკის უფროსი ექთანი ლეილა ილიკოს ასული ზუხბაია-მილორავა და მისი დეიდა ნუნუ დარასელია-მებონია. იმ მომენტში ნათესავების მცირე ჯგუფთან ერთად ზემო ბარღებიდან ვალში მიდიოდა ვალიკო ძანძავა, რათა ქ. გალში უმოწყალოდ დახვრეტილი და უპატრონოდ მიგდებული დის პედაგოგ ცაცა მაქსიმეს ასულ ძანძავას ნეშთი გადაესვენებინა მამა-პაპათა სასაფლაოში. ვალიკოსთან ერთად იყვნენ კაპიტონ ძანძავა, ნათელა ციქორის ასული ტაბაღუა-შონია, ნოდარ გულორდავა. ამ ადგილზე აფხაზი ნაღმზე აფეთქდაო და ვაშმაგებულმა არაკაცებმა სრულიად უდანაშაულო ადამიანებზე იძიეს შური, იქ შემთხვევით მოხვედრილი რვავე ადამიანი ადგილზე დახვრიტეს და ღორების საჯიჯგნად დაყარეს. მშობლიურმა სოფელმა, აქა-იქ შემორჩენილმა ახლობლებმა, მეზობლებმა ძლივს მოახერხეს მათი დაცხრილული ცხედრების მიწისათვის მიბარება. ზოგიერთი მათგანი დღემდის არ არის დამარხული წინაპართა საძვალეში.

ამ ომში დიდი მსხვერპლი გაიღო სოფელმა განახლებამ. 40 განახლებელი ადამიანი შეეწირა მას. 1994 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში აფხაზმა ბოევიკებმა გალის რაიონის დაბალ ზონაში მოაწყვეს ე.წ. „წმენდა“, არ ინდობდნენ არავის, კლავდნენ, წვავდნენ, ბარცვავდნენ. განახლების მცხოვრებთა ერთი ნაკადი განერიდა საფრთხეს და ზუგდიდის მიმართულებით გაუდგა გზას, სოფელ ოტობაიასთან ჩასაფრებულმა აფხაზმა, სომეხმა, ჩეჩენმა ბოევიკებმა ცეცხლი გაუხსნეს. მათ, რამდენიმე კაცი ადგილზევე დაიღუპა, ბევრი დაიჭრა, 70 კაცი კი ტყვედ აიყვანეს. 10 თებერვალს ტყვედ აყვანილები ეაანთავისუფლეს, მაგრამ დაიტოვეს გამორჩეული ბიჭები, სოფლის მშვენებანი გია ქობალია, აბე შელია, ინვერ ხურცილავა, ვალერი ფირცხალავა, ზვიად ლომია. ხუთიევს მოსთხოვეს აფხაზურ რეჟიმთან თანამშრომლობა, შემდეგ—წინააღმდეგობის მოძრაობის წევრთა დასახელება, ასევე მოსთხოვეს ელიარებინათ ამ წინააღმდეგობის მოძრაობაში საკუთარი მონაწილეობა. ყოველი უარისათვის მათთვის კიდურების თითო სახსრის გადამტვრევა და ავტომატის თითო ტყვია იყო გათვალისწინებული. 10 თებერვალს მათ ჯერ სახსრები გადაუმტვრიეს, მერე კი ყველანი დახვრიტეს. შემდეგ შეადგინეს აქტი მათი პარტიზანობისა და გაქცევის მცდელობისას დახოცვის შესახებ. მხოლოდ 15 დღის შემდეგ მოხერხდა მათი გვამების გამოსყიდვა დიდი თანხის ფასად.

„...სოფელს, მთელ გალს, აფხაზეთიდან მრავალ დევნილს ეხსომება: გია ქობალია—უჭკვიანესი და ულამაზესი ვაჟკაცი, სოფლის ერთ-ერთი

ხელმძღვანელი და ლიდერი, რაიონისა და საქართველოს ღირსეული პატრიოტი, დიდი ოჯახიშვილი.

აბე შელია—ბრწყინვალე მეოჯახე, პურისმცხობელი, გულღია, ხალისიანი კაცი, შესანიშნავი მევობარი.

ინვერ ხურცილავა—სიცოცხლით სავსე, მუდამ მომღიმარი და კაცთმოყვარე, მრავალშვილიანი დედ-მამის შვილი და მრავალი შვილის პატრონი.

ვალერი ფირცხალავა—მშრომელი, ჯანიერი კაცი, მიწის მოყვარული, სოფელზე შეყვარებული, გულიანი და შეუპოვარი.

ზვიად ლომია—უწვერულვაშო ყმაწვილი, ათლეტური აღნაგობის რაინდი, სიყვარულისა და სიხარულისთვის გაჩენილი, მამა-პაპათა ტრადიციებისა და საყვარელი ოჯახის ღირსების გამგრძელებელი.

„არც იციან მოძალადეებმა, რომ 11 თებერვალს მათ ხუთი განახლებელი ვაჟკაცი ვერ მოკლეს". (ვაზ. „ვალი", №4 1995 წ).

1993 წლის 29 სექტემბერი სისხლიანი თარეშის დასაწყისია მთელს სამურზაყანოში, აფხაზმა ბოევიკებმა ვალის რაიონში შესვლის პირველ ღამესვე თავიანთი სისხლიანი კვალი დაასვეს ს. აჩიევარას. ეს სოფელი ხომ პირველი სოფელია ოჩამჩირის საზღვრიდან. კალიასავით მოედვნენ შეიარაღებული მხეცები სოფელს. მათ უკან მოყვებოდა მძარცველ ბრბოთა დიდი ნაკადი. აფხაზმა ბოევიკებმა ს. აჩიევარაში იმ ღამესვე დაწვეს და ფერფლად აქციეს 28 სახლი, მოკლეს **ვახტანგ ქვაჩახია**. 1994 წლის 6 თებერვალს სოფელში 30-ზე მეტი სახლ-კარი ვადაწვეს, მოკლეს 4 კაცი და 3 ქალი, მათ შორის ორი ადამიანი ცოცხლად ჩააგდეს ცეცხლში. იმ დღეს დაიღუპნენ **ფაცია** და **გერონტი გულუები**, **ძმები ჭიჭიკო და მირო ცაავები**, **უეზო-უკელოდ** დაიკარგნენ **ღუღუნი ცაავა**, **ნათიკო ლაგირვანიძე**, **შუშკა გოხინძე**.

სამი წლის განმავლობაში ამ სოფელში ვადაწვეს 300 სახლი, დაშლილ-დანგრეულია 200 სახლი, დაიღუპა 59 კაცი. სოფელი არასდროს არ დაივიწყებს პარტიზანულ ბრძოლებში დაღუპულ ედემი ცაავას, სოფლის მცხოვრებლების **გოჩა მუმლაძის**, **ჯონი ჯახუას**, **კაკო ჭარაიას**, **კოტე ჩხვირკიას**, **ინვერი გაგუას**, **მიხეილ (კვაჭია) ანჩაბაძის**, **ირეოდი** და **ვაჟიკო ნარსიების**, **შალვა სხულუხიას**, **მზია უზარაშვილის**, **ძაბული ფაჩულია-შაკაიას**, **ვალიკო შონიას**, **ზურიკო ხარჩილავას**, **ნოდარ ხასაიას**, **ზებულონ შაკაიას** და სხვათა ნათელ სახეებს.

აჩიევარიდან ამ უაზრო ომის კიდევ ერთი მსხვერპლი გახდა მთელს რაიონში ცნობილი კაცი, დამსახურებული პედაგოგი, კარგი ოჯახის მეთაური და მზრუნველი მამა, ყველასათვის სიკეთის მქნელი, ერთგული, გუდავის 8-წლიანი სკოლის დირექტორი **დავით ნოჯოს ძე გაბუნია**.

იგი ცოცხლად ჩაწვეს საკუთარ სახლში 1997 წლის თებერვლის თვეში.

ფოჩორელი **მალხაზ გივის ძე ბულია**—მზეჭაბუკივით ლამაზი, ზრდილი და განათლებული, შრომისმოყვარე, გულღია, ყველას შემწე და გამტანი—დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა სოფელში, გულიც ერჩოდა, სადილად დამჯდარს თავზე წაადგნენ ორფეხა მხეცები, წაადგნენ და ავტომატის ჯერიც მიუშვეს. ბებიას თვალწინ განუტევა სული სოფლის ამ რჩეულმა ახალგაზრდამ.

საკუთარი სახლის წინ გამოასალმეს სიცოცხლეს შესანიშნავი მშრომელი, დიდებული ოჯახის დიასახლისი **თალიკო აქუბარდია**, ხოლო ვალოდია **გოგოხიასა** და მისი მეუღლის ღორებისაგან დაზიანებული ვეამები ტყეში იპოვეს მეზობლებმა.

განსაკუთრებით საოცარი ბედი არგუნა განგებამ ვალელ ჭაბუკს **ემზარ ინდიკოს ძე ბასარიას**.



ემზარი ბასარია

ეს ფიზიკურად ლამაზი ახალგაზრდა სულიერადაც შესანიშნავი იყო, ზრდილი, განათლებული, ყურადღებიანი, უბრალო და გულღია, მას უმაღლესი ტექნიკური განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული. წარჩინებულ სტუდენტს ყოველგვარი შანსი ჰქონდა დარჩენილიყო ინსტიტუტში მეცნიერულ სამუშაოზე, მაგრამ მას ადგილის დედა უხმობდა მშობლიურ საქართველოში და დაბრუნდა კიდეც. მუშაობა დაიწყო ენგურჰესების მეორე კასკადში, წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლობდა ბიზნესის

სკოლის ეკონომიურ ფაკულტეტზე, სტაჟირებისათვის საზღვარგარეთ უნდა გამგზავრებულიყო, ემზადებოდა წასასვლელად, მაგრამ მის კეთილშობილ ოცნებებს ფრთები შეაკეცა აფხაზი სეპარატისტების მიერ დანთებულმა ცეცხლმა. ემზარი––ერთ-ერთი პირველთაგანი ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. იგი არტილერისტი იყო. მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სოფელ შრომასთან გამართულ ბრძოლებში, განსაკუთრებული გამბედაობისა და სიმამაცისათვის გამოცხადებული ჰქონდა მთავრობის მადლობა. მას სოხუმის დაცემის შემდეგაც არ შეუწყვეტია ბრძოლა.

1994 წლის 28 დეკემბერი შავად გათენდა ემზარისა და მისი მეგობრებისათვის. დაეალების შესრულებისას ისინი შეიპყრეს რუსეთის სამშვიდობო ჯარების წარმომადგენლებმა და აფხაზურ მხარეს გადასცეს. ჯალათებს მეტი რა უნდოდათ, გაასამართლეს ისინი და თითოეულს 12-12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით. ამის შემდეგ ემზარი დრანდის ციხეში იჯდა. ვერ აიტანა ამდენი ცემა, ტანჯვა, დამცირება, აბუჩად აგდება. საპატიმროდან სოხუმის მეორე საქალაქო საავადმყოფოში გადაუყვანიათ, სადაც გარდაიცვალა 1996 წლის 5 თებერვალს. ასე წავიდა ჩვენგან ეს თვალმახარა ჭაბუკი, დაგვიტოვა მოურჩენელი გულის იარა და მარად დაუვიწყარი სახელი.

თუმცა არანაკლებ საკანგაშო და ტრაგიკული ამბავი შემდგომ დატრიალდა. ემზარ ბასარიას მშობლებმა, ახლობლებმა, ყოველგვარი ზომა მიიღეს მისი ნეშტის გადმოსასვენებლად. შეყარეს ცა და მიწა, ფეხზე დააყენეს დიდი და პატარა და მიაღწიეს იმას, რომ სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს მახლობლად არსებულ უპატრონოთა (ძირითადად ქართველთა) საძმო სასაფლაოდან ეალში გადმოესვენებინათ ემზარ ბასარიას ნეშთი. ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილის იუსტიციის მრჩევლის ბგანბას მიერ გაცემული იყო ცნობა, რომ ეს ახალგაზრდა კაცი გარდაცვლილი იყო დიაგნოზით „თირკმელების მწვავე უკმარისობა“. აღსანიშნავია, რომ ემზარი საავადმყოფოში მხოლოდ ერთი დღე ყოფილა.

ეალში გადმოსვენების შემდეგ ნეშთის გულდასმითი დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ მას დეფორმირებული და დაზიანებული ჰქონდა ყბასახე, რაც ძალადობის, ანგზრახ მკვლელობის ნიშნებია, ოფიციალურად გაცემული ცნობა კი სულ სხვა დიაგნოზზე მიუთითებდა. სახის ამოცნობა კი უკვე შეუძლებელი იყო. ბგანბას მიერ მეორედ გაცემულ დოკუმენტში აღნიშნულია: „ეგვამი ამოღებულ იქნა საძმო საფლავიდან, არ არის ეამორიცხული შეცდომა“. წარმოიდგინეთ ემზარის მშობლების მდგომარეობა და ორმაგი ტრაგედია. გადმოსვენებული სრულიად სხვა

პიროვნება აღმოჩნდა, რა ნუგეში უნდა ეუთხრათ მის ჭირისუფალს, ანდა ვინ იცის ამ გადმოსვენებული „ვეფხვის დედაი“ როგორ მწარედ მოსთქვამს და სად ეძიებს თავისი დაკარგული შვილის საფლავს.

ბევრი საინტერესო ამბავი წამიკითხავს და გამიგონია აფხაზურ სულგრძელობასა და გამტანობაზე. ერთ-ერთი მწერლის მიერ აღწერილია, თუ როგორ შეაფარა თავი ერთმა უცხო კაცმა აფხაზის ოჯახს. კაცი შემომაკვდა, დამდევენ და დამმალეო,––უთხრა მან ოჯახის უფროსს. აფხაზის ოჯახმა შეიფარა ეს უცხო კაცი, ოჯახს იმავდროულად აცნობეს, რომ მოკლული სწორედ ამ ოჯახის შვილი იყო. მასპინძელმა უთხრა სტუმარს: ––წადი, თავს უშველე, თორემ მდევრები მოგისწრებენ და ვინ იცის, რა მოხდებაო. ასე შეგნებულად უვნებლად გაუშვა აფხაზმა კაცმა თავისი შვილის მკვლელი სახლიდან და სხვების რისხვას განარიდა.

მგლოფიარე დედა

მეორე მაგალითიც:

ორი აფხაზი ერთმანეთს დასდევდა მოსაკლავად. ერთხელ ერთ-ერთი მათგანი საკუთარ სახლში ტანს იბანდა, წყალს დედა უსხამდა. დედამ ჰკითხა შვილს:––არ გეშინია, შვილო, უიარაღო შიშველი კაცი დგახარ საბანაოდ, მტერი კი გყავს და ყოველწუთს დაგდევს მოსაკლავადო.

––დედაჩემო, მე ისეთი ულირსი მტერი არ მყავს, რომ შიშველს ტყვია მესროლოს,––უპასუხა შვილმა.

თურმე იქვე ჩასაფრებულმა მტერმა მოისმინა მათი დიალოგი და შემართული იარაღი ძირს დაუშვა.

მაგრამ, ვაი,...ყოველივე ეს ლამაზი ამბები მწერლის ფანტაზია და ლიტონი სიტყვები ყოფილა.

აფხაზი ბოევიკები და მათი დაქირავებული ჯალათები პირდაპირ შეუდარებელი აღმოჩნდნენ ადამიანების წამებაში. ცოცხლად სწვავდნენ ანველოზის მაგვარ ახალგაზრდებს, ადამიანის თავს ბურთივით ათამაშებდნენ, ვენებს ეადაჭრიდნენ და მსხვერპლის თბილ სისხლს სვამდნენ ჭიქით. სხეული ხერხით ეადახერხეს, კისერს უსერავდნენ და ენას ჰალსტუხივით ჰკიდებდნენ, ჭრიდნენ ყურებს, ცხვირს, კიდურებს, მავთულით აბამდნენ ცოცხალ კაცს ტრაქტორს და ისე ათრევდნენ, მშობლის ან ქმრის წინაშე ქალებს აუპატიურებდნენ. საკუთარი ხელით ათხრევინებდნენ საფლავებს და მერე ნახევრად ცოცხლებს მარხავდნენ, კისერზე ავტომანქანის თელებს წამოაცვამდნენ და მერე „პაკრიშკას“ ცეცხლს უკიდებდნენ, ადამიანებს თავდაღმა ჰკიდებდნენ; თვით პირსისხლიანი შაჰბასის მეთოდიც ეაიმეორეს––დაასაჭურისეს ერთი ახალგაზრდა, რომლის გვარს აქ შეგნებულად არ ვასახელებ. იგი მაშინათვე გარდაიცვალა. ცინცხალ ეოეონებს ჯერ აუპატიურებდნენ, მერე კი ძუძუს კლერტებს ჭრიდნენ. ჯალათობის მეთოდების გამოგონებაში მათ ვერც ერთი ფაშისტი, ვერც ერთი მანიაკი ვერ შეედრება. ეს ბარბაროსობა მათ თვით მათივე ერის წარმომადგენელზეც ჩაიდინეს. ერთმა აფხაზმა მოკლა მისივე თანასოფლელი კაცი, შემდეგ კი ციხეში გამოცხადდა, მაგრამ მოკლულის ჭირისუფლებმა იგი იმღამესვე გამოიყვანეს ციხიდან, წაიყვანეს სოფელ აგუბედიაში, მიაბეს ხეზე, ეადაასხეს ნავთი და წაუკიდეს ცეცხლი. შემდეგომი სურათის წარმოდგენა ძნელი არ არის.

აფხაზმა ბოევიკებმა შეუბრალებლად დასწვეს აფხაზი ეროვნების კაცი იპოლიტე ხვარწკია მხოლოდ იმის გამო, რომ მას ცოლად ქართველი ჰყავდა. ასევე მოკლეს **ხიტა მუცბა** ქართველი კაცის მფარველობისათვის.

არ დაინდეს მათივე ნათესავი, აფხაზი ქალის––**ქეთევან ეშბას** შვილი, ჭარმაგი მოხუცი, უწყინარი კაცი, მუდამ ფუტკარივით მშრომელი **სარდიონ გეგეჭკორი.** ამ 83 წლის ბერიკაცს მისი დედულეთიდან შემოჭ-

რილმა ჯალათებმა ჯერ შვილი რეეაზი მოუკლეს, მერე კი თვითონაც მიახვრიტეს.

ხორხოცითა და ღრიალით შეეარდნენ ბოევიკები ს. თაგილონში შუბლაძეების დიდ ეზოში, წინ შემოვებებულ დიასახლისს ლუჩიკო შუბლაძეს ფული და ოქრო მოსთხოვეს, არაფერი ჰქონდა და რაც მისცემდა, როგორ თუ ოქროს არ იძლევიო, თავდაღმა ჩააგდეს ჭაში, მერე კი ტყვიაც მიაყოლეს.

ნათელა ბულისკერია

ვინ არ იცნობდა გალის რაიონის სოფელ ოქუმის სახელგანთქმულ კოლმეურნეს **ნათელა ბულისკერიას**. იგი სოციალისტური შრომის გმირი იყო, ასევე მრავალგზის იყო საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მოღვაწეთა გამოფენის მონაწილე, რამდენჯერმე დაჯილდოვდა ამ გამოფენის დიდი ოქროს მედლით. იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს ორგზის დეპუტატი, სკკპ ყრილობის დელეგატი. ეს ჯარასავით მოტრიალე და მკლავმოუღლელი ქალიშვილი გათხოვდა სოფელ მზიურში. ბედნიერი ოჯახი შექმნა კოტე აქუბარდიასთან ერთად. შრომამ შედეგი გამოიღო, აურაცხელი ქონება, შესანიშნავი სახლ-კარი და უთვლელი რაოდენობის პირუტყვი და ფრინველი, გმირული შრომა და შესა-

ნიშნავი ცხოვრება. სტუმრიანობა და ხალხი. ავ თვალს არ შეეხედებოდა მათს კარ-მიდამოში. და, აი, მიადგნენ ამ თვალმარგალიტს ორფეხა მხეცები, მაშინათვე ძვირფასეულობა მოითხოვეს, ნათელამ მაშინ მიუსწრო მის ქმარს, როცა ვიღაც თმაბანჯგველიანი სახედარივით შემჯდარიყო მასზე და საფეთქელზე რევოლვერმიბჯენით ეანაპირა თხრილისკენ მიათრევდა მოსაკლავად. ნათელა მივარდა მოძალადესთან და ფეხებში ჩაუვარდა:—არ მოკლა ჩემი ქმარი და ოქროს მოცემო. მომიტანეო—დაიღრიალა მოძალადემ. როცა ივი წაეიდა შავი დღისთვის გადამალული ძვირფასი ნივთების ეამოსატანად, თმაბაჯგველიანი მოულოდნელად თავზე წაადგა და მთლიანად წაართვა ყველაფერი, რაც ინახებოდა ამ სამალავში.

პასუხისმგებლობის ვრძნობით აღზრდილი ნათელა მეორე დღესვე წასულა რაიონის ცენტრში და უჩივლია ცუდად მომექცენო, მესამე დღეს ეზოს კარიდან დაუძახა ვიღაცამ, ნათელა ჩვეულებრივ გამოვიდა სახლიდან, ეამოეგება სტუმარს, შუა ეზომდე მივიდა და იქვე ჩაიკეცა ავტომატის ტყვიისაგან. სახლში დაბრუნებულ ქმარს ნათელას უსულო გვამი დახვდა შუა ეზოში. ასე ულმობლად და შეუბრალებლად ეასწირეს ეს საქვეყნოდ ცნობილი დიდებული ქალბატონი.

სერაპიონ (სერგო) თორია ორმოცდაათზე მეტი წელი ემსახურა პედაგოგის საპატიო მოვალეობის შესრულებას, ისტორიის შესანიშნავი მცოდნე, მარად დინჯი და აუჩქარებელი, პედაგოგის ალღოთი უხვად დაჯილდოებული, უპრეტენზიო კაცი დაიარებოდა სამურზაყანოში. რა ხელმა აღმართა ავტომატი მის წინააღმდეგ. რა ადამიანის ნაშობია ის სატანა, რომელმაც სასიკვდილოდ ეაიმეტა ეს შეუდარებელი პრძენკაცი.

რანო ქეცბაია... ჭიანჭველასაც არ დააბიჯებდა ფეხს, არასოდეს არავისთვის არაფერი დაუშავებია, დადიოდა უჩუმრად, თითქოს ცდილობდა არავინ შევაწუხო, არავის ხელი არ შევუშალოო. ეაჭრობის სისტემაში მუშაობდა, მისგან ნაწყენი კაცი არავის უნახავს. იყო თავისთვის, თავისი ოჯახისათვის და იყო თავგამეტებული პატივისმცემელი მეზობელ-მეგობრებისათვის, პურ-მარილი უყვარდა. მეუღლე ადრე მოუკვდა, დარჩა 4 ბიჭი და ერთი გოგო, ბუნებამ რანო იმითაც დასაჯა, რომ ერთი ბიჭი—ჯარმოხდილი ვაჟკაცი ავტოკატასტროფაში დაეღუპა. ყველაფერს ეაუძლო რანოს გულმა, საუბედუროდ, წინ უფრო დიდი უბედურება ყოფილა ჩასაფრებული.

არ შეეპუა რანო აფხაზ ბოევიკებს, არ დატოვა საფლავები, ეალში დარჩა. ერთ საბედისწერო საღამოს თვალამღვრეული წვერმოშვებული ორფეხა მხეცი, ეროვნებით სომეხი, შელასლასდა მის ეზოში და სრულიად უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ რევოლვერის ტყვია დაახალა სა-

ფეთქელში მისკენ შესაგებებლად წამოსულ კაცს. ასე ხელაღებით იჟლიტებოდა ჩვენი ნაღები საზოგადოება ვიეინდრებისა და ნარკომანების მიერ.

ვალის მეურნეობის მუშა ჯან-ღონით სავსე ჭაბუკი ჯონი ჯახუა შეეკამათა ბოევიკებს, მაშინვე ტყვია ესროლეს, ტყვია მუცელში მოხვდა, მომაკვდავმა იყვირა ,—კიდევ მესროლეთ და მომკალით, თქვე ძაღლებო! მეორე ტყვიამ მუცელში მიარტყეს, ხოლო მესამე შუბლში ახალეს, მას და მის ტანჯვასაც ბოლო მოეღო.

აფხაზ ბოევიკთა და მათ დაქირავებულ ჯალათთა ვერაგული ნიჭი ახალი გამოგონებით დაევირგვინდა. მათ ხომ მთელი საზღვრისპირა ტერიტორია დანაღმეს ქვეითთსაწინააღმდეგო ნაღმებით. საკმარისია ადამიანმა ფეხი დააკაროს ამ ნაღმს და ის ფეხი აღარ ექნება. რამდენმა ასეულმა დევნილმა დაკარგა ასე ფეხი, ხოლო რამდენიმე კაცმა ორივე ფეხიც დაკარგა,. მაგრამ ვერაგებმა ეს არ იკმარეს. ადამიანთა უფრო მასიური განადგურების თავისებური ხერხი გამოიგონეს. პატარა ნაღმის გვერდით დადეს დიდი ნაღმი, როგორც კი პატარა ნაღმი აფეთქდებოდა, ის მაშინვე დიდ ნაღმსაც ააფეთქებდა, მისგან კი რამდენიმე კაცი ერთბაშად იღუპებოდა. ასე მოხდა, მაგალითად, 1994 წლის 1 მარტს, როცა ჭუბურხინჯის გზაზე ერთ კაცს პატარა ნაღმმა ფეხი მოწყვიტა, ხოლო ამ პატარა ნაღმის აფეთქებამ დიდი ნაღმიც ააფეთქა და 5 კაცი ადგილზევე დაიღუპა.

ქ. ვალის მცხოვრები ვანჩკა ახალია მეტად პატიოსანი და ზრდილი კაცი იყო.

არავის აწუხებდა, წლების განმავლობაში მუშაობდა სიდის ჩაის მეურნეობაში, ტკბილი და წესიერი ოჯახი ჰქონდა. იგი გალში დარჩა, ოჯახი კი განარიდა იქაურობას, ერთ დღეს ბატონი ვანჩქა (ასე ეძახდნენ მოფერებით) უგზო-უკვლოდ გაქრა. აწრიალდნენ ნათესავები, მეუღლე ზუგდიდიდან სასწრაფოდ ვალში ჩავიდა, მოიძიეს ყველგან, მაგრამ მის ასავალ-დასავალს ვერ მიაგნეს, გარკვეული დროის შემდეგ მის მეუღლეს ბოსტანში გამხმარი ყვავილი შეუნიშნავს, გაჰკვირვებია, აქ ყვავილი საერთოდ არ იყო, საიდან მოვიდაო, ან რამ ეაახმოო. ტანში ჟრუანტელმა დაუარა, ეჭვის ნაპერწკალმა ეაჰკრა გულში, ახლოს მივიდა, მიწა ჩაიზნიქა, ფრთხილად ამოთხარა და ვანჩკას ხელი გამოჩნდა. საწყალი კაცი ვიღაცას მოუკლავს და მისსავე ბოსტანში დაუმარხავს.

ვარაუდობენ, რომ იგი მოკლა მეზობლად მცხოვრებმა რუსმა, რომელსაც ვანჩქა ეაუწყრა და კატეგორიულად აუკრძალა სხვის სახლებში შესვლა და იქიდან ნივთების გამოტანა. ასე შეეწირა კიდევ ერთი წესიერი ვაჟკაცი ამ უგუნურ ომსა და განუკითხაობას.

სრულიად უდანაშაულოდ მოკლეს სოფ. პირველ გალში სანაქებო

ვაუკაცი, ძმობაში და მეგობრობაში, პურმარილსა და გამტანობაში შეუდარებელი პიროვნება ჟორა ჯობავა, ამავე სოფელში არაკაცთა ხელით დაიღუპნენ ულამაზესი და უპატიოსნესი ახალგაზრდები იგორ და მურმან კვეკვესქირები.

აუღწერელი მხეცობა ჩაიდინეს ქ. ვალში ლეონტი და კოლია კვარცხალაიების ოჯახში. შუაღამეს მიუვარდნენ მათ, ჯერ მამა-შვილი დახოცეს, მერე მათთან შემთხვევით სტუმრად მყოფი და ატეხილ ხმაურზე გამოღვიძებული დაზმერ კაკულიაც მიახვრიტეს. ვინ ჩამოთვლის აფხაზ ბოევიკთა მხეცობისა და ვერაგობის მსხვერპლთა ვეარ-სახელებს.

1994 წლის 5 მაისი.

სამურზაყანოელმა პარტიზანმა ბიჭებმა ხუმუშქურ-ბარღების საზღვართან „კამაზისა" და „მოსკვიჩის" მარკის ავტომანქანები შენიშნეს, მაშინათვე ივარაუდეს, რომ აფხაზი მარადიორები საშოვარზე მიდიოდნენ და ჩაუსაფრდნენ მდინარე ხუმუშქურის ხიდესთან, რვანი იყვნენ, სასწრაფოდ დაიკავეს პოზიციები, მალე მანქანებიც ეამოჩნდნენ, „კამაზზე" ორი კამეჩი და რამდენიმე ძროხა იყო. ხიდთან მოახლოებისას, თითქოს რაღაც იერძნესო, ბოევიკები მანქანებიდან ჩამოვიდნენ და ეაშლილად წამოვიდნენ, ეაიმართა სასტიკი სროლა. სიახლოვის ეამო ყუმბარის ტყორცნას აზრი არ ჰქონდა, ხოლო ტყვიამფრქვევი რაღაც ეშმაკად ეაიჭედა, მაგრამ პარტიზანებმა მაინც შეძლეს ყველა—თორმეტივე ბოევიკის დატყვევება, ამ შეტაკებისას დაიღუპა ორი ბრწყინვალე ახალგაზრდა თენგო კაკუბავა და ბადრი გამისონია.

როცა დატყვევებულმა ბოევიკებმა ნახეს, რომ ისინი პარტიზანთა ასე მცირერიცხოვანმა ჯგუფმა ეანაიარაღა და დაატყვევა, ეაცოფდნენ, ერთმა ეაიწია კიდეც იმ ადგილისაკენ, სადაც პარტიზანთა ბრძანებით წინასწარ დაწყვეს ავტომატები, მაგრამ იარაღის აღებამდე მას პარტიზანთა ტყვიამ უწია, დაიჭრა კიდევ ერთი ბოევიკი, რომელიც ეზაში გარდაიცვალა, დანარჩენები გადაიყვანეს მდინარე ენგურის მარცხენა მხარეს, ნაქურდალი პირუტყვი კი ადგილზევე გაუშვეს.

აფხაზ ბოევიკთა სიხარბესა და გაუმაძღრობას კიდევ ორი დიდებული ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა.

ს. საბერიოში აფხაზებმა ორი კაცი დაიჭირეს, მათ სცემდნენ და აწვალებდნენ, მერე წინ გაიგდეს. შემთხვევით გაეროს მანქანა გამოჩნდა შორიდან. აფხაზებმა ეშმაკობას მიმართეს—დატყვევებულებს სწრაფად ეადააცვეს აფხაზური ჯარის ფორმა და ხელში უვაზნო ავტომატები დააკავეს, თანაც დახვრეტით დაემუქრნენ და გააფრთხილეს—არ ეაამხილოთ ტყვეები რომ ხართ, გაეროს ხალხი ვერაფერს მიხვდება და უხმაუროდ ეაგვცილდებიანო. დატყვევებულებს შეეშინდათ და ხმაც არ ამოუღიათ, შემდეგ ორივენი სოხუმში წაიყვანეს, ბევრი აწვალეს, მართალია, ბოლოს გამოუშვეს, მაგრამ ნახევარი სიცოცხლე წაართვეს.

დიდი მსხვერპლი გაიღო სოფელმა ზემო ბარღებმა. ეს სოფელი ერთ-ერთი გამორჩეული სოფელია გალის რაიონში. იქ ყოველთვის წესრიგისა და შრომის კულტი იყო გამეფებული. სოფელი ამაყობდა ღირსეული ინტელიგენციით, სახელგანთქმული მშრომელებით, წესიერი და ზრდილი ახალგაზრდობით.

ამ სოფლის კოლმეურნეობა „ივანტს“ ათეული წლების განმავლობაში სათავეში ედგა მთელს კავშირში სახელგანთქმული კაცი ივა ახალაია; მისი პენსიაზე გასვლისა და კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობად გადაკეთების შემდეგ კი—იროდიონ შარია, ნომერ მაისურაძე, შოთა დარსანია.

სოფლის მცხოვრებნი ღირსეულად იცავდნენ ფარნა შონიას, მუთუ სალაყაიას, ნესტორ შამუგიას, ევსტიგნეი შონიას, მაუდი ჩემინავას, ციქი ბოკუჩავას, დიმიტრი შარიას, ტარასი რიგვავას, არსენა სალაყაიას და სხვათა ღირსეულ ტრადიციებს.

და, აი სიკვდილის ცელი შეიჭრა ამ წალკოტშიც. გაძარცვეს, გაანადგურეს, გადაწვეს ათეული წლობით ნაშრომ-ნაღვაწი სახლები, ცას წვდებოდნენ ცეცხლის ენები, მოკლეს 28 კაცი.

ვაი, რომ ნეტარხსენებული ივა ახალაიას ნალოლიავებ და ნასათუთეე სოფელს, მის კოპწია სახლებს ცეცხლს უკიდებდა და ანადგურებდა მისივე მოგვარე ქალი ეკა ახალაია. როცა ქუჩაში აფხაზი ბოევიკების მიერ დაცხრილული ბარღებელი კაცის ნეშთი უნახავს, ასე უპატრონოდ და ღორების საჯიჯგნად მენახოს ყველა ქართველიო,—უთქვამს ამ არაადამიანს.

ვის უნდა ეპატიოს უნიჭიერესი პედაგოგის ბარღებელი ციური შარიას ან მხცოვანი აღმზრდელ-მასწავლებლის ცუბა შარიას ვერაგული მოკვლა. რა დაუშავათ ნეტავი წყალიეით თბილმა ადამიანმა იზო სალაყიამ, ყველასათვის გულმხურვალე მასპინძელი და დიასახლისი იყო ნათელა ტაბაღუა-შონია, რომელიც მხეცურად მოკლეს გზაზე; რას ერჩოდნენ, რა დააშავა ინვალიდმა კაცმა რევაზი პერტაიამ, ან ჟორჟი ჩაფრავამ, შოთა რიგვავამ, მათგან ნაწყენი კაცი მთელ დუნიაზე არ დაიარებოდა. სრულიად ახალგაზრდა კაცი დაზმირ გამისონია მხოლოდ იმიტომ მოკლეს, რომ მარადიორების მიერ წასაყვანად გამზადებული კამეჩების გამოხსნა მოინდომა.

ჯუმბერი აკაკის ძე გულორდავა ბევრი ხნის წვალების შემდეგ დახვრიტეს, ნეშთი კი ენგურზე გადააგდეს, ჭირისუფალს მისი ნეშთიც არ ეღირსა სატირლად.

—შენ სადა ხარ, ჩვენო ულამაზესო ბიჭო, მერაბი შამუგია? მტერს, ალბათ, თვალიც დაუბნელდა შენ და შენი სიბის რუდიკო სხულუხიას სახეების დანახვაზე. მზეს თვალი ვერ გაუსწორეს და შური იძიეს

ბუნებაზე, რომ თქვენ ასეთი ლამაზები დაუბადებიხართ, მეტი რა შეეძლოთ სისხლმოწყურებულ ველურებს; მერაბისა და რუდიკოს შესახებ დღემდის არაფერია ცნობილი.

—შენ, ჩვენო ყველაზე უმცროსო მეომარო ეოჩა ეოგია! ალბათ, ვერ მოვითმინა ეულმა, რომ ნარკომანთა და თმაბაჯაჯანთა ხროვა დააბოტებდა შენს მშობლიურ კუთხეში, შენც ვერდით ამოუდექი შენი მამა-ბიძების რკინისებურ ჯაჯუფს დამპყრობთა ასალაგმავად, მაგრამ, ვაველახ, გიმტყუნა ბედმა. ვაი, რომ ვერ მოუსწარი პირველი პირმშოს დაბადებას, ვაი, რომ უამრავი ახალგაზრდული ოცნება განუხორციელებელი დაგრჩა. იძინე ტკბილად, შენი გვარი და ჯილაგი ისე არ გადაშენდება, რომ „ჯავრი შესჭამონ მტრისანი“.

ამ ომში დიდი მსხვერპლი გაიღო სოფელმა ჭუბურხინჯმა. ზედ ენეურის ხიდთან მოუსწრო სიკვდილმა ჭუბურხინჯელ სერაპიონ კაკუბავას, აბესალომ ფარცვანიას, რენო ჯახაიას, ისინი მხოლოდ ერთი წლის მერე იპოვეს. ნერვიულობისა და შიშისაგან ეული ვაუსკდა ჭუბურჯიხის საშუალო სკოლის პედაგოგს ოლია ნესტორის ასულ დარასელია-გოგოხიას.

ბიძინა გუჯეჯიანი დროულად გავიდა სამშვიდობოს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ეულმა ვერ მოუთმინა და სახლში დაბრუნდა, შემთხვევით, წინ სამი აფხაზი ბოევიკი შემოხვდა, ვინაობა ჰკითხეს, გუჯეჯიანი ვარო,—უპასუხა მან, სვანი ყოფილაო და იქვე დააყარეს ავტომატის ჯერი. ეგი სამი დღე გზაში ეგდო უპატრონოდ, ღორებმა დაგლეჯეს, მისმა ცოლ-შვილმა დღემდე ვერ შეძლო ბიძინას საფლავზე მუხლის მოდრეკა.

ნაპო გოგოხიამ ავტოავარიაში დაღუპული შვილის საფლავი ვერ მიატოვა, თვითონაც იქ დაიღუპა, ზვიადი ვალერის ძე გულედანი და კიდევ ორი ახალგაზრდა (რომელთა ვინაობა დაუდგენელია) ჭუბურხინჯის №2 საშუალო სკოლის წინ შეეჩეხნენ აფხაზ ბოევიკებს, აფხაზებმა მათ ტანკიდან ესროლეს და სამივე მოსპეს. ისინი რამდენიმე დღე ეყარნენ ქუჩაში. კეთილმა ხალხმა ძლივს მოახერხა მათი დასაფლავება საერთო სასაფლაოზე.

1994 წლის 14 სექტემბერს დახვრიტეს ტიგრანი რამინის ძე მანია და ნახევრად ცოცხალი დამარხეს. საკუთარ სახლში დახვრიტეს მასწავლებელი ლიანა აქუბარდია, გერმანელ ფაშისტებს გადაურჩა, მაგრამ აქაურ ბანჯგვლიან მხეცებს ვერ გაექცა ვეტერანი შალიკო ჟვანია, მოხუცებულობა გაუმწარეს ვასო ქორთუას, მას პირუტყვი გაარეკინეს ტყვარჩელში, გამობრუნებული გზაში დახვრიტეს, მისი ნეშტი მხოლოდ ერთი წლის მერე იპოვეს. სრულიად მოულოდნელად წამოეწივნენ გზაზე გენო ყოლბაიას აფხაზი ბოევიკები, ეგი დამალვის მიზნით მეზობლის

სახლში შევარდა, მაგრამ მიეწიენ და ადგილზევე მოკლეს. საკუთარ სახლში ცოცხლად ჩასწვეს მრავალშვილიანი დედა ჟურა ცაცუა, მისი შვილი გოგოლა ცაცუა კი ნაღმზე აფეთქდა. ჯენერი ცაცუა დახვრიტეს და არხში ჩააგდეს. საკუთარ ეზოში დახვრიტეს ვალო ქორთუა, კაპიტონ ყოლბაია, ტრიფონ ჩაკაბერია.

აფხაზი ბოევიკების მიერ დაღებული ინდივიდუალური ნაღმისაგან ასობით ადამიანი უფეხოდ დარჩა. ვალელები იური კერესელიძე, ვახტანგ ფარფალია, სიდელი ცოლ-ქმარი შონიები, ბარღებელი ანთია, რამინ არდაშელია, ეთერი კვარაცხელია, ჯონი გერგედავა, როლანდი ძანძავა, ზურაბი შარანგია, ტარიელ თორია, სოსო თაკალანძე, რუბენი და ენვერი დანელიები, ციცო ზარქუა და მრავალი სხვა ნაღმზე აფეთქდნენ და ფეხი დაკარგეს. ვალელმა იური კერესელიძემ ნახევრად მოგლეჯილი ფეხი საკუთარი ხელით მოიჭრა პატარა ჯიბის დანით, ორივე ფეხი მოგლეჯილი აქვთ გალელ მეტყევეს ლენგი ბიგვავას, ფიჩორელ ბოჩია ხასაიას და სხვებს.

ადამიანთა გატაცება, თანხების გამოძალვა და ამ საქმით ვაჭრობა ხომ ხელობად გაიხადეს ამ ცხელთავიანებმა.

გალელ გ. გოგოხიას შვილის დასახსნელად 1 კგ. ოქრო მოსთხოვეს ბოევიკებმა, მთელი ნათესაობა, მეგობრები იღწვოდნენ მის დასახსნელად და ძლივს გადაარჩინეს. თვეობით ყავდათ ტყვეობაში და აწამებდნენ ბატონ ა. დგებუაძეს. გატაცებულთა დახსნაზე დიდძალი თანხა ჭასცინცლეს ა. ბასარიას, უ. ჩაკაბერიას, ს. ფიფიას, ერთ-ერთმა ბოევიკმა გაიტაცა თაგილონელი სტუდენტი ზანთარაია, წაიყვანა გუდაუთში და იძულებით თვეობით ამუშავებდა იქ ფიზიკურად. იგი ძლივს გამოიხსნეს.

ერთ-ერთი გატაცებულის მოგონება:

ერთ საღამოს ჩემს სახლში მოვიდა ოთხი შეიარაღებული ბოევიკი,—რაღაც საკითხია დასაზუსტებელი და მილიციაში უნდა წამოგვყვეო. წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა. მანქანაში ჩამსვეს, რამდენიმე წუთის მერე თვალები ამიხვიეს და გამაფრთხილეს, ხმა არ ამომეღო. დაახლოებით ერთი საათის მგზავრობის შემდეგ საღღაც მივარდნილ სოფელში ერთ ოთახში გამომკეტეს მარტოდმარტო. სრულიად ახალგაზრდა კაცი მდარაჯობდა, დღეში ერთხელ შემომიგდებდნენ პურს და წყალს. პური გაძვირდაო და რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყეს ღომისა და ლობიოს მოტანა, მაძლევდნენ იმდენს, რომ რამეფრად სიცოცხლე შემნარჩუნებოდა, ერთხელ საერთოდ დავავიწყდი და ორი დღე-ღამე მშიერ-მწყურვალი დავრჩი. „ლეჟანკა“ და ორი „ადეალა“ იყო ჩემთვის ყველაფერი. ვიმყოფებოდი მარტოდმარტო, დასუსტებული, ნირწამხდარი, წვერმოშვებული. სამყოფ ადგილს ხშირად მიცვლიდნენ, სულ ნესტიან

და ბნელ ოთახებში მათავსებდნენ. ხმის ეამცემი არავინ იყო, რადგან სახლები მიედებული იყო.

ასე გავატარე 70 დღე. ერთ საღამოს ღამის სამ საათზე წამომაყენეს, თვალები ისევ ამიხვიეს, მანქანაში ჩამსვეს და ეაურკვეველი მიმართულებით წამიყვანეს. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ მანქანა გაუფუჭდათ, ვერაფრით დაქოქეს, მე ვუთხარი:—ცოტა რამ მანქანის მეც მესმის, ამიხსენით თვალები და მანქანას ავამუშავებ-მეთქი, მათ უარი მითხრეს. ამ დროს შემთხვევით მეორე მანქანა მოვიდა, ჩემმა ეამტაცებლებმა უთხრეს მას:–წაიყვანეთ ეს კაცი და ენგურის ხიდზე გადასვითო, მე მივხვდი, რომ ჩემს ჭირისუფლებს მიუღიათ ზომები ჩემს განსათავისუფლებლად და რომ მე დასახვრეტად არ მივყავდით. მე ვთხოვე მეორე მანქანის გამცილებელს რომ, რადგან კაცს ვერ ეეჩვენებოდი, მე ხიდზე კი არ გადავესვით, არამედ, ეალში მივეყვანეთ საკუთარ სახლში.

ასე „ეადარჩა" ეს კაცი ბოევიკთა კლანჭებს, მაერამ ეინ იცის რა შრომის, რა მონდომების, რა ნერვებისა და რა ღირებულებათა ფასად.

ასეთი შემთხვევაც მოხდა.

აფხაზთა ბოევიკებმა ეაიტაცეს ქ. ეალის მცხოვრებლები ა. ლაკირბაია და ა. **მესხია**. ამ ორი კაცის გამოსახსნელად ისინი ითხოვდნენ 250 მილიონ რუსულ მანეთს. ამდენ თანხას მაშინ ნახევარი საქართველოც ვერ შეაგროვებდა. მძევლების სიცოცხლეს კი საფრთხე ემუქრებოდა. გამოინახა გამოსავალი, ფულის გადაცემის იმიტაციით ქონებას დახარბებული ბოევიკები ენგურის ხიდზე შემოიტყუეს, სადაც წინასწარ მომზრობილი რუსების დახმარებით ისინი ეანაიარაღეს, მძევლები კი ეაანთავისუფლეს.

ეაბედული და საზრიანი მოქმედებით შესაძლებელი ეახდა ორი ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნება და მათი უვნებელი დაბრუნება საკუთარ სახლებში.

რამდენიმე კაცს უბრალო ლურსმნის ამოსაღები გაზით დააძვრეს ოქროს კბილები. ამ არაადამიანური მოქმედებით ბევრს საღი კბილებიც ჩაუმტვრიეს, ყბაც დაუზიანეს.

მორიგი ვერაგობა ჩაიდინეს ბოევიკებმა სოფელ პირველ ეალში. **ავალიონ ჯეჯეიას** ახლადაშენებულ სახლს ცეცხლი წაუკიდეს, გაძალიანდა ავალიონი, რადგან შიგ მისი მწოლიარე ავადმყოფი დედა ეეულებოდა, მაშინ იგი დაიჭირეს, ცეცხლმოკიდებულ სახლში შეაგდეს და ცოცხლად დასწვეს. მეორე დღეს მისმა მეუღლემ **იამზე ბიბლაიამ** აფხაზთა ჯგუფში შეიცნო მისი ქმრის მკელელი, თავი ვერ შეიკავა და აფთარივით ეცა მას, იგიც ავტომატის ჯერით დაცხრილეს.

ღუმურიშში ერთმა ქალმა ბრაზით მიაძახა ამ ჯალათებს:—ან

ერთბაშად წაიღეთ ყველაფერი, ან დაგვანებეთ თავიო. მხოლოდ ამ სიტყვებისათვის მოკლეს იგი. ხოლო მის მეზობელს სახლ-კარი გადაუწვეს, რატომ თხილი გადამალეო.

1994 წლის 12 თებერვალს პირველ გალში დაიჭირეს 18 წლის ოქუმელი ბიჭი, მიიყვანეს ენეურჰესის არხთან, ხელი მოკიდეს ფეხებზე და თავს აყოფინებდნენ ყინულივით ცივ წყალში. მერე შეაბრუნეს თმაზე წააკლეს ხელი და წელამდე ფეხები ჩააყოფინეს მდინარეში. როცა მისი წვალებით გული იჯერეს, წყალში ჩააგდეს და რამდენიმე ავტომატიანმა ერთდროულად დაუშინა ცეცხლი. აი, გართობა, მათი გაგებით. სწორედ ასე ჯოჯოხეთურად მოექცნენ გერმანელი ფაშისტები გენერალ კარბიშევს, მას შიშველს მანამ ასხავდნენ ცივ წყალს, სანამ არ გაიყინა.

ბოევიკები მასხარაობდნენ, ხორხოცობდნენ, აბუჩად ივდებდნენ ყველას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა, თანაც იგონებდნენ ისეთ რაღაცეებს, რომელთა წარმოდგენაც ეაუჭირდება ნორმალურ ადამიანს.

ერთ კაცს ხუმრობით იმდენი ორდენი და მედალი ჩამოჰკიდეს, რომ მკერდი საერთოდ არ უჩანდა, მერე მეზობლის სახლში მიიყვანეს და უთხრეს:—აი, გენერალი ჩამოგიყვანეთ სტუმრად და სასწრაფოდ პურმარილი გაშალეო. ასე ერთობოდნენ.

რეფელი ღოტო მარღანია, 85 წელს გადაცილებული, ყველასათვის საპატიო და საპატივცემულო კაცი, ავტომატის კონდახით სცემეს მხოლოდ იმისათვის, რომ ეზოში შემოსულებს მიეგება და უთხრა „მობრძანდითო",—„ჩვენს მიწაზე შენი დასაპატიჟებელი ვართ, შენი"... ამ სიტყვებით კონდახი დასცხეს მას. იგი მაშინ გადარჩა, მაგრამ ნერვიული სტრესის გამო მალე გარდაიცვალა.

ერთ კაცს ერთადერთი მარჩენალი კამეჩი წაართვეს, იქვე დაკლეს, პატრონს გაატყავებინეს, თან უთხრეს:—ფილტვებს შენ დაგიტოვებთ, მოხარშე და ჭამეო. როგორც ჩემი შვილების ხორცს არ შევჭამ, ისე კბილებს არ დავადგამ ჩემი კამეჩის ხორცსო—უთხრა მან. იუდა აბა რისი იუდაა. როგორ თუ სიტყვები გვაკადრეო, მოახარშვინეს კამეჩის ფილტვები და ძალად აჭამეს.

სოფელ პირველ გალში ერთ ოჯახს მოადგნენ, მაშინვე პურ-მარილის გამოტანა მოითხოვეს. მასპინძელმა მოუბოდიშა, არაფერი მაქვსო, მაშინ დაიწყეს სახლის ჩხრეკა. ერთ-ერთმა საქათმეში ვედროთი კვერცხები იპოვა და განრისხებულმა სახლის პატრონს უბრძანა—გაეძრო ტანსაცმელი, შემდეგ თავზე გადაამტვრია ყველა კვერცხი ცალ-ცალკე, საწყალს კვერცხის ცილა და გული მთლიანად გადმოეღვარა სახეზე და სხეულზე, მერე უბრძანეს მტვერში გაგორებულიყო და ასე მტვერში ამოგანგლული, ჩურჩხელასავით გადაქცეული კაცი არბენინეს. იქით და

აქეთ, მისი შარვალი კი პირუტყვის ნაკელით გამოტენეს. ვანა ეს ადამიანის მოდგმის, ადამიანის ნაშიერის საქმეა?

ალკოჰოლისაგან და ნარკოტიკებისაგან მთვრალები დააბოტებენ სოფელში, გამარჯვებულის იერით, მამლაყინწებივით თავაწეულნი, ინდაურივით აფხორილნი, თმაბანჯგვლიანნი, ეაუპარსავნი, დაუბანელნი, ავტომატს კი ხელიდან არ იშორებენ.

ენეურის გადასასვლელ ცენტრალურ ხიდთან მორიგე მთვრალმა ბოევიკმა პროჟექტორის ღილაკის ნაცვლად ხიდის ასაფეთქებლად ჩადებული ნაღმის ღილაკს დააჭირა თითი და ხიდი ოცი მეტრის სიგრძეზე მთლიანად ჩაინერა. უზარმაზარი თანხები და დიდი შრომა დასჭირდა შემდეომ ამ ხიდის აღდგენას.

კოხორელი თვითმხილველის ნაამბობი:

სასწაული იყო გამარჯვების დღეს აფხაზი ბოევიკების შემოსვლის პროცესი. მოდიოდნენ სიგნალებით, სირენების ღრიალით, სროლით, ყიჟინით, ყვირილით, სტვენით, მოჯირითობდნენ, მოდიოდა ასობით ტანკი, ყოველი ტანკის უკან მოდიოდნენ მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები, ესენი მარადიორები იყვნენ. შემოსვლიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მოვარდნენ ჩემთან და ჩემს სამ მეზობელთან ერთბაშად, მოიყვანეს დიდი სატვირთო ავტომანქანები და დაიწყეს სახლების დაცლა, პირველ რიგში მივარდნენ ავტოფარეხებს, ვამოიყვანეს ავტომანქანები, სახლებიდან უპირველესად გაჰქონდათ ძვირფასეულობა, ავეჯი, ხალიჩები, იარაღი, ძვირფასი სერვიზი, პირველ დღეს ძირითადად დადიოდნენ გუდაუთელები, ისინი შედარებით მოკრძალებულად იქცეოდნენ, ჩვენთან გარაჟში მანქანა ვერ ნახეს და შემომიტიეს სად არის მანქანაო, შემდეგ როცა მონადირე ძაღლი ნახეს, თოფი მომთხოვეს, რადგან მონადირე ძაღლი ვყავს, თოფიც გექნება და სასწრაფოდ მოძებნეო. სასწაულად გადავურჩი სიკვდილს.

მეორე ჯგუფის მოსვლის დროს ყველაფერი წაიღეს, სახლის კარებიც კი ჩამოხსნეს, მე 2-3 დღით ვანეერიდე იქაურობას და სოფელში მივიმალე, მერე დავბრუნდი და ჩემსაევე სახლში შევიპარე. შიდა კარები წაღებული იყო, ვარე კარები ჩამოუხსნიათ და იქვე იყო მიყუდებული, ალბათ, წასაღებად გაამზადეს. მარადიორები ახალი ვასული იყვნენ, შუა ოთახში პარკეტს ცეცხლი ეკიდა, ძლივს ჩავაქრე, ჩემს მიერ სასაფლაოში გადამალული სერვიზი მოუძებნიათ და წაუღიათ, მეზობლის სახლიდან ხმაური მომესმა, მივედი და აფხაზ ბოევიკებს გადავეყარე, მათ მეზობლის სამზადი სახლის იატაკი მთლიანად აუყრიათ, ალბათ, ფულს ან ოქროს ეძებდნენ.

აურაცხელი რაოდენობის ქონება წაიღეს, პირუტყვი ერთიანად გარეკეს, იმდენი მანქანა წაიყვანეს, ვერ დაითვლიდით. თითოეულ სატვირთო

მანქანაზე გამობმული იყო 3-4 მსუბუქი ავტომანქანა და მისაბმელით მიყავდათ. არ დატოვეს არაფერი, წაასხეს საქონელი, საკმაოდ სოლიდური, სანდომიანი პიროვნებებიც კი კადრულობდნენ წვრილმანების წაღებას და ქათმების წაყვანასაც. ღორებს ხოცავდნენ, ზოგს პირდაპირ ქუჩაში ტოვებდნენ, რადგან ღორის ხორცს ყველა არ ჭამდა. ზოგი კი თან მიჰქონდათ, მოდიოდნენ ქალები, ბავშვები, მოხუცები, ხეიბრები, ქალებსაც ავტომატი ეჭირათ, ზოგიერთ ჯეუფს ერთი ავტომატიანი მიაცილებდა, უპატრონოდ მიტოვებულ სახლებში საერთოდ არაფერს ტოვებდნენ, თუ შიე ვერაფერს იპოვნიდნენ, სახლს ცეცხლს უკიდებდნენ.

ერთ დღეს ჩემს სახლში მოვუსწარი ერთ ჩექმებიან აყლაყუდა კაცს, რომელსაც მრავალჯერ გაძარცვულ ჩემს სახლში ვერაფერი ეპოვნა და „უნიტაზის“ ჯაერისი აეღო. მე ვუთხარი:—ეს მაინც სად მიგაქვს, რად ვინდათ?—„ვსიო ნამ ნუჟენ, ვსიო ვაზმიომ“,—მიპასუხა მან უსირცხვილოდ.

მუხურელი თვითმხილველის ნაამბობი:

„ეს მოხდა 1994 წლის 10 თებერვალს. მე და ჩემი ცოლისძმა სახლის უკან ვიმალებოდით, უეცრად, სრულიად მოულოდნელად თავზე წამოგვადგა რამდენიმე კაცი და უაქცენტო სუფთა მეგრულით ვვითხრა: აქ რას აკეთებთ, წამოდით, გამოიტანეთ იარაღი, მივიდეთ პარტიზანებთან, ხომ ხედავთ აფხაზები არ ვვაყენებენ. ჩვენ იძულებით ვამოვიქეცით გუდავიდან, სასწრაფოდ მიგვიყვანეთ პარტიზანებთან, ეგებ მათ ვადაგვარჩინონო. თურმე აფხაზები ყოფილან, ჩვენი ვამოტეხვა უნდოდათ. ჩვენგან რომ ვერაფერი ვაიგეს, აფხაზურად დაიწყეს ლაპარაკი, ვადაწყვიტეს ჩვენი მოკლა, გაგვისინჯეს პასპორტები, ჩემს პასპორტში აფხაზური ჩანაწერი ამოხეული არ იყო, ეს მოეწონად და გამომიცხადეს—შენ არ მოგკლავთ, შენს ამხანაგს კი აქვე დავცხრილავთო. ფეხებში ჩავუვარდი და შევეხვეწე არ მოეკლად იეი. სანაცვლოდ 400 კგ. თხილი მოითხოვეს. ჩემი ცოლისძმის ნათესავს ჰქონია თხილი და იქ წავედით, საჭმელი მოითხოვეს, კონიაკი კი თვითონ მოიტანეს, მე არ დამილევია, გულის ტკივილი მოვიმიზეზე, დასტურად წამლები ამოვიღე. ეს წამლები გულდასმით დაათვალიერეს და, როცა დარწმუნდნენ ჩემს სიმართლეში, მომეშვნენ. მოიყვანეს ტრაქტორი, ეს 400 კგ. თხილი ჩვენვე დაგვარტვირთვინეს. დარჩა 100 კგ.-მდე დაურჩეველი თხილი, წასვლისას ვვითხრეს: დაარჩიეთ ეს თხილი და დაგვახვედრეთ, თორემ დაბრუნებისას ამ ოჯახის დიასახლისს მოვკლავთ და სახლსაც ვადავწვავთო. ჩვენ ღამის 3 საათზე დავამთავრეთ თხილის დარჩევა, მაშინვე დავტოვეთ იქაურობა და სამშვიდობოს ვავაღწიეთ.“

ერთ საღამოს რამდენიმე შეიარაღებული ბოევიკი ქ. ვალის მცხოვ-

რების, მთელს რაიონში წესიერებითა და ადამიანურობით გამორჩეული კაცის კლიმენტი უბილავას სახლს მიადგა.

კლიმენტის წაყვანა მოინდომეს, ქალებმა განგაში ატეხეს, კივილი დაიწყეს. ბოევიკები დაფრთხნენ და წავიდნენ. მეორე დღეს კი ამ სახლს მეორე ჯგუფი მოადგა:—მილიციიდან ვართ, ეუშინ ვინ მოვიდა, რა ხალხი იყო, რა უნდოდათო,—ეულისწყრომით ლაპარაკობდნენ, მერე სთხოვეს ბატონ კლიმენტის ვაყოლოდა მათ მილიციამდე და იქ დაეწერა ახსნა-განმარტება. რას იფიქრებდა კლიმენტი, რომ ესენი გამტაცებელთა წინა დღეს მოსული ჯგუფის წევრები იყვნენ და მათი მიზანი მისი გატაცების გეგმის ხორცშესხმა იყო. ეაიტაცეს კლიმენტი, მაგრამ ბედად ივი აფხაზურ სოფელში მის ძველ ტყვარჩელელ მეგობარ აფხაზს გადაეყარა. სწორედ მისი მონდომებით ივი დაუყოვნებლივ იქნა განთავისუფლებული. ესეც ერთი მაგალითია იმისა, რომ ქართველთა მიმართ მოსიყვარულე გული ბევრ აფხაზში ისევ ძველებურად ფეთქავს.

გალში მომხდარი ერთი ეპიზოდის შესახებ:

ერთმა კაცმა აფხაზებს წინასწარ გადაუხადა გარკვეული თანხა, რომ გალში გადასულიყო და მოხუცი მშობლები მოენახულებინა, უსაფრთხოებისათვის მას სამი აფხაზი ეააყოლეს, ეალში მშობლები არ დახვდა, ისინი ყანაში წასულან, შეილიც მათკენ წავიდა გამცილებლებითურთ. ეზაში ერთმა ახლობელმა ნათესავმა სადილზე შეიპატიჟა,—ყველანი დაეჯექით სამზად სახლში სადილზე,—ეგიყვეება ივი,—უცებ ერთი აფხაზი ადგა, ეარეთ ეავიდა და ბეერ ხანს არ დაბრუნდა, თურმე ოდა-სახლში შესულა და ძვირფასეულობის ძებნა დაუწყია, როცა ვერაფერი იპოვა, ერთ-ერთი მაგიდის უჯრაში ავტომატის ვაზნა ჩაუდია, მერე სახლის პატრონს დაუძახა და უთხრა:—შენ ჩვენს წინააღმდეგ იბრძვი იარაღით, ამის ნიშანი ისაა, რომ შენს სახლში ავტომატის ტყვია ინახებაო. პატრონმა თავის მართლება დაიწყო, მაშინ ავტომატის ლულა ჩაარტყა თავში და იქვე წაექცია. ხმაურზე ყველანი შევარდნენ, ნახეს, რომ ოჯახის პატრონს სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა თავიდან. როცა ეავიეეთ საქმის ვითარება,—ავრძელებს ამ ამბის თვითმხილველი,—მოვიხსენი ოქროს ბეჭედი და მივეცი იმ ბოევიკს—შენ კიდეე გექნება რამეო,—ეცნენ თურმე და მოხუცი მშობლებისათვის წაღებული ფულიც წაართვეს მას.

პატივისცემაზე ასე გადაუხადეს სამაგიერო.

ეალელი თვითმხილველის ნაამბობი:

სექტემბრის ბოლო დღეები იწურებოდა, სოხუმში დატრიალებულმა ტრაგედიამ ყველა დაეეაშინა. მე ბოლო სამი დღე გამგეობის შენობაში ვიყავი. თ. კიტოვანმა დაგეაიმედა ყველა, რომ საშიში არაფერია, რომ მის ჯარს შესწევს უნარი მიეშველოს სოხუმის დამცველებს, მერე კი

ვაირკვა, რომ მის ჯარს ს. აჩიგვარის იქით ფეხიც კი არ გაუდგამს. ქალაქის ბევრ მოსახლეს კარსმომდგარი საშიშროება მთელი სიმწვავით არც ჰქონდა გათავისებული. 30 სექტემბერს მოსახლეებმა პირდაპირ დაუსვეს კითხვა კიტოვანს:—რა მოუვიდოდა რაიონს, თუ შემოვიდოდნენ გაშმაგებული სეპარატისტები? მან გვითხრა:—წარმომადგენლები გაუშვით მტრის შესახვედრად და სთხოვეთ პატიება და შეწყალება. ამ წინადადებას მომხრეებიც ჰყავდა, მაგრამ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იგი უარყვეს, როგორც მიუღებელი და უპერსპექტივო.

დღის ორი საათისათვის კიტოვანის ჯარის ნაწილები ზუგდიდის მიმართულებით წავიდნენ. მე დაბნეული სახლში დავბრუნდი. დედამ საჭმელი გამოიტანა, მაგრამ ყელზე ლუკმა არ გადამდიოდა. შვებით ამოვისუნთქე, როცა გავიგე, რომ ჩემი ცოლ-შვილი ზუგდიდში გადასულან. იმ ღამეს სახლში დავრჩი, დედაჩემის მარტო დატოვება არ შემეძლო, ის კი სახლს არ ტოვებდა.

საღამოს 10 საათი იქნებოდა, როცა ქალაქის თავზე რამადენიმე ადგილას უზარმაზარი ცეცხლის ალი ავარდა, ერთდროულად იწვოდა ათეულობით სახლი, საშინელი კივილის ხმა ისმოდა, მოკლე დროში ავტომატის კაკანის ხმაც მოისმა, ოციოდე წუთის შემდეგ მეზობელმა დამიძახა კარი გამიღეთ, კარი გავაღე და იმავ წამს ხუთი შეიარაღებული კაცი შემოვარდა ოთახში. დედას ენა ჩაუვარდა, მე კედელთან მიმაყენეს და დამიწყეს თოფის კონდახითა და ჩექმებით ცემა, მირტყამდნენ მუცლის არეში. ყვირიან:—აბა, ბრილიანტები, ოქრო, ჩქარა დოლარები! როცა ვერაფერი ნახეს, მე მეორე ოთახში გამიყვანეს დასახვრეტად. დედა რაღაცნაირად გამოცოცხლდა და კივილი დაიწყო. ერთ-ერთმა მათგანმა შუბლზე მომაბჯინა ავტომატის ლულა, მე ხელი ვკარი, გასროლილი ტყვია ხელში მომხვდა და სისხლი თქრიალით წამოვიდა,... აფხაზები აირივნენ, ყვიროდნენ, იგინებოდნენ. რაც მოეწონათ ყველაფერი წაიღეს, ზოგიერთი ნივთი ძალიან მოეწონათ და აღტაცებას ვერ ფარავდნენ. მე გონდაკარგული ვიყავი, დილით ადრე მეზობლის ყვირილი მომესმა, მეზობელი შ. ქობალია მოგვიკლესო, მე თავი ძლივს ავწიე, ძლიერ მეწვოდა ხელი. დედაჩემმა ცელოფანი მისცა მეზობლებს და ცელოფანში შეხვეული დამარხეს ავტომატის ტყვიით დაცხრილული კაცი, ჩვენ სასწრაფოდ ტყეში გავიხიზნეთ, გორაკიდან ჭოგრიტით ვათვალიერებდით მთელს ქალაქს, რამდენიმე დღე გზაში ეყარნენ ვერაგულად მოკლული ჩვენი მეზობელი ევგენი ქობალია და მისი ტყვარჩელელი ნათესავი.

დაიწყო გალის დაგეგმილი, ორგანიზებული ძარცვა. ქალაქს აქვს ოთხი გორაკი, ოთხივე გორაკის უმაღლეს წერტილში აფხაზებმა სათვალთვალო პუნქტები მოაწყვეს, იქ მორიგეობდნენ აფხაზი ბოევიკები და რუსი ინსტრუქტორები. ქალაქის დასავლეთ შემოსასვლელში დი-

ლის 11 საათიდან ეწყობოდა „კამაზის“, „მაზის“ მარკის საბარგო მანქანების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების რიგი. ისინი ნაძარცვის წასაღებად იყვნენ მობილიზებულნი, ძარცვას ხელმძღვანელობდა ჯავშნიანი მანქანა, რომელზედაც იდგა დიდი ტყვიამფრქვეელი. ამ ტყვიამფრქვევით ისროდნენ აფხაზური მელოდიის „აზამატის“ ჰანგებზე, ამ გასროლით გებულობდნენ გორაკებზე განლაგებული მოთვალთვალეები მძარცველთა შემოსვლისა და გასვლის დროს.

რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყეს პირუტყვის ვარეკვა. 13 ოქტომბერს დილით ადრე რაღაც საშინელი ზმუილისა და ბღავილის ხმა მოგვესმა. ჩვენ გვეგონა ალყაშემორტყმული ვიყავით, სუნთქვაშეკრულნი მივვარდით სათვალთვალო ადგილს, ჭოგრიტიდან ხელისგულივით მოჩანდა მთელი ქალაქი. ლენინის ქუჩიდან კოხორამდე გაჭიმული იყო ძროხების ჯოგის უწყვეტი ნაკადი, ერთბაშად მიერეკებოდნენ 20-25 ათასამდე სულ პირუტყვს—ძროხებს, კამეჩებს.

ყველაფერი მიჰქონდათ, არაფერს არ ტოვებდნენ. ერთ დღეს შემოვიდა სოჩის ნომრებიანი „კამაზი“, რომელსაც მოჰყვებოდნენ ნასვამნაბახუსევი რუსი ქალები, დაერივნენ ეზოებში დარჩენილ ქათმებსა და ინდაურებს. აფხაზი ბოევიკები კი ხმამაღლა ხარხარებდნენ:

—ოო, კაკოი ხაროში კოკუშიო“. აღგილობრივ მოსახლეთა დაცინვისა და შეურაცხყოფის მიზნით განძრახ უქცევდნენ მეგრული აქტენტით სიტყვას „კოკუში“.

ერთ დღეს ჩემს სახლში შევიპარე და შევეფეთე ერთ მოხუც აფხაზს და მასთან მყოფ 5-6 წლის გოგონას, როცა მოხუცმა გაიგო, რომ სახლი ჩემი იყო, მითხრა:—შვილიშვილი მოვიყვანე, რამე თუ მოეწონა, შეიძლება აიღოს?... მერე ბავშვმა თვალი დაადგა ჩემი პატარა შვილიშვილის თოჯინებს და ყველა მოხიკა. მე ეუთხარი ყველა არ წაეღო. ბავშვმა ისეთი ბრაზითა და გამჭოლი თვალით შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა—როგორ მიბედავო.

აცივების შემდეგ ტყეში გაჩერება ღამით არ შეიძლებოდა, ჩვენ გვიან ღამით ქურდულად დავიწყეთ სახლებში მისვლა, თუმცა ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ აფხაზ ბოევიკებს, დაგვიწყეს თვალთვალი. ერთ ღამეს მოკლეს მეზობელი ქალი ბუცუკი ჯობავა-შონია, რამდენიმე დღის შემდეგ კი—ჯუმბერ ჯინჯოლია.

იწვოდა მთელი ქალაქი, ნადგურდებოდა ხალხი, გაჰქონდათ ყველაფერი.

გუდაველი თვითმხილველის ნაამბობი:

ააწიოკეს სოფელი, მოსახლეებს ჯერ სცემდნენ, მერე კი ხვრეტდნენ. ამ საქმისათვის სპეციალულად შერჩეული ყავდათ ერთი კაზაკი. ცემით მიწაზე წაქცეულ კაცს პირზე აშარდავდნენ. ამ თვითმხილველს მოუკ-

ლეს დედა, ძმა, რძალი, სახლიც გადაუწვეს. თვითონ კი გადაარჩინა იმან, რომ მოძალადე აფხაზთაგან თურმე ერთმა იცნო ივი. ეს ამბავი ომამდე მომხდარა როცა ამ აფხაზს უჭირდა, გუდაველმა კაცმა მას დიდი პატივი სცა, მატერიალურად დაეხმარა და სასჯელს გადაარჩინა. აი, ამ აფხაზმა იცნო ივი. მასში გაუღვიძნია ადამიანურ ინსტიქტს. ენგურის ხიდამდე მიიყვანა და სამშვიდობოს გამოუშვა ეს კაცი. ხედავთ? ძველი ქართულ-აფხაზური მეგობრობისა და ძმობის ცეცხლი ჯერაც არ გამქრალა და არც ჩაქრება. ყველანი ხომ ერთნაირები არ არიან, ყველანი არ გაცოფებულან.

ჯუმკას ისტორია:

ერთი უთქმელი და უპრეტენზიო ბიჭი იყო ჯუმკა, პროფესიით მძღოლი. „არც არავინ ყმა ყოლია და არც არაეის ემონებოდა", თავისი ცოლ-შვილით ცხოვრობდა ტკბილად და ბედის უკმაყოფილოც არ იყო, „სხვისი ბევრი" არასდროს შეხარბებია, თავისი „მცირედითაც" ყმაყოფილი იყო. ვალიდან ვადმოსვლის იმ საბედისწერო ღამეს აფხაზმა ბოევიკებმა და მათმა დაქირავებულმა მკვლელებმა ჭუბურხინჯის ტერიტორიაზე მოუსწრეს, ჯუმკამ ვერ მოასწრო ხიდზე ვადასვლა, ტანკებმა გადათელეს იქაურობა. ათობით კაცს ვადაუარეს. შეიქმნა წიოკობა, პანიკა, ვინ სად ვარბოდა არავინ იცოდა, უცებ ჯუმკამ საფეთქელთან ციცი საგნის შეხება იგრძნო, მობრუნდა და ნახა, რომ მასზე ავტომატის ლულა იყო მიბჯენილი. კიდევ კარგი უსიტყვოდ არ დაცხრილეს. მართვა იცი?— ჰკითხეს მკაცრი ტონით ვიღაცამ.—პროფესიით მძღოლი ვარო,—უპასუხა ჯუმკამ.

დააჯინეს ცინცხალ „ნივაზე", რომელიც პირთამდე სავსე იყო ნაძარცვი ნივთებით და გაუყენეს გზას გუდაუთამდე. მკაცრად გაუფრთხილებიათ: ხმა არ ამოეღო, არავისზე არ გაეცა პასუხი, სიტყვა არ ეთქვა ქართულად და ემოქმედა მხოლოდ მასთან გვერდით მჯდომი შეიარაღებული კაცის ბრძანებისამებრ. ღამე სოხუმში ვაუთენებიათ, მეორე დღეს გუდაუთში ჩასულან. ასეთ გზაგამოვლილ ქართველ ბიჭებს ჩვეულებრივ გუდაუთში ხოცავდნენ. ეტყობა უსიტყვო და უპატიოსნესი კაცი იმ ჯალათებსაც მოეწონათ. თანაც ყურად იღეს მისი ხვეწნა-მუდარა არ მოეკლათ, მის პატარა. ბავშვები არ დაეტოვებინათ უპატრონოდ. წამყვანს იგი რამდენიმე დღე გუდაუთში ვადაუმალავს, მერე სისხლიანი ბამბა მოუტანია, შარვლის ერთი ტოტი მაკრატლით ვაუჭრია, ამ სისხლიანი ბამბით ვითომ დაჭრილი ფეხი შეუხვევია, სასწრაფო დახმარების მანქანით გუდაუთის აეროპორტში მიუყვანია და შეეულფრენით ქალაქ სოჭში გადაუგზავნია, თანაც მისამართი და სურათიც მიუცია, ასე ვადაარჩინა ქალაქ ნალჩიკის მცხოვრებმა, ეროვნებით კაბარდინელმა ჩვენი თანამემამულე. თითქოს საიქიოდან დაბრუნდაო, მე-12 დღეს მოევლინა თავის მგლოვიარე ცოლ-შვილსა და ნათესაობას ჯუმკა ხუბუტია.

ვინ იცის რამდენი მოულოდნელი და წარმოუდგენელი უბედურებანი დატრიალდა ამ ომის პერიოდში, ზოგის შესახებ საერთოდ არაფერია ცნობილი, ზოგი ნაკლებადაა ცნობილი. ამ ომზე ბევრი, ძალიან ბევრი დაიწერება, ყველაფერს მოეფინება ნათელი, ყველას ღვაწლი ჯეროვნად იქნება შეფასებული, მაგრამ, ვაი, რომ იმ ქვეყნად წასულებს ვერაფერს ვუშველით, ვერაფლით ვერ გავაცოცხლებთ, ცოდვანი არიან, ნამდვილად ცოდვანი! რისთვის, რატომ წაართვეს მათ სიცოცხლე!

1994 წლის 4 ივლისს სენსაციური ამბავი მოხდა ქალაქ ზუგდიდში. ერთმა ოტობაელმა ქალმა, გვარად ძაძუამ დღისით—მზისით ქალაქში რეოლვერით კაცი მოკლა.

ორი წლის წინ, როცა არეულობა და ქაოსი იყო გამეფებული ყველგან, ამ ქალბატონისათვის აფხაზეთში ქმარ-შვილი მოუკლავთ და სიძეც მძიმედ დაუჭრიათ. მამა ეხვეწებოდა თურმე ყაჩაღებს:—ერთადერთი ბიჭი მყავს და არ მომიკლათო. სროლა მაინც გაგრძელებულა და ორივე მამა-შვილი იქ დაღუპულან. მოკლეს ისინი სრულიად შემთხვევით, სხვებს ელოდებოდნენ და სრულიად სხვა ხალხი დახოცეს. ამბობენ, დასაფლავების დღეს დედამ შვილს შეჰფიცა—შენს მკვლელზე შურს ვიძიებო, თან კუბოში ნეკი თითი ჩაატანაო სიტყვებით:—შვილო, თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ შენ ამქვეყნად მამა არ გყავს, ძმა არ გყავს და აქ ვარ საჭირო შენს საფლავს მოვუარო და შენს მკვლელზე შური ვიძიოვო. და, როცა ამ ქალმა შვილის მკვლელი ნახა ქალაქში, არც შეყოყმანებულა, ორი ტყვია დაახალა, მერე იარაღი მილიციელს ჩააბარა და თხოვა ციხეში წაეყვანა. 10-15 მეტრი მედგრად მიდიოდა თურმე, მერე კი ფეხები ჩაეკეცაო. მას პირობითი სასჯელი აკმარეს.

აფხაზმა სეპარატისტებმა ვალის რაიონის ენგურჰესის არხს მიღმა ტერიტორია ორად დაყვეს: მარჯვენა მაღალი მხარე დაუქვემდებარეს ტყვარჩელის მმართველობას, მარცხენა ზღვისპირა დაბლობი კი—ოჩამჩირის რაიონს. რა ენაღვლებათ, რას დაგიდევენ ხალხის გასაჭირს? ქალაქში და სოფლებში ნიშნავენ აფხაზი ეროვნების ხელმძღვანელებს, ხშირად გავლენის სფეროებისათვის ეს კლანები ერთმანეთს ხოცავენ. ასე მოხდა სოფელ სიდაში, აფხაზ შეიარაღებულთა ერთმა ჯგუფმა მოკლა ორივე სიდის მეურნეობების დირექტორები. მათთან მოკლეს მე-3 აფხაზიც და ერთი ადგილობრივი მცხოვრები გვარად ტორუა, ერთი აფხაზი მძიმედ დაიჭრა. სწორედ ამ დაჭრილმა და შემდეგ ცოცხლად დარჩენილმა კაცმა აღიარა, რომ მკვლელები აფხაზები იყვნენ და ადგილობრივი ხალხი არაფერ შუაში იყო. ის რომ არა, ვინ იცის, რა ცოდვის კითხვას დააყენებდნენ ამ სოფელში.

აფხაზ ბოევიკთა და მათ დამქაშთა ვერაგობაზე კიდევ ერთი ეპიზოდი მინდა გავაცნო მკითხველს.

ჯერ ხომ მთელი გალის ტერიტორია დაცალეს პირუტყვისაგან, მერე საიდანღაც გაუვიათ, რომ მწყემსებს მალულად ძროხები ჰყავდათ ოჭაკესა და ოხაჩქუეს მთაზე. ერთ საღამოს 6 კაცი მისულა მწყემსებთან, უაქცენტო მეგრულით ისაუბრეს, პარტიზანები ვართო, უგინებიათ აფხაზებზე, შეყოლიან ლაპარაკს, ერთ მწყემსს, ევარად ქარდავას უთქვამს, მე სოხუმის რაიონის სოფელ შრომიდან ვარ, ბევრი ვიბრძოლე, რამდენიმე აფხაზიც მყავს მოკლულიო. ღამით მათთან კიდევ 21 ბოევიკი მისულა, ყველა მწყემსი გაუკოჭავთ, მეორე დილით დაუძახებიათ იქვე ახლოს მყოფი 4 ტყისმკაფავისთვის, როგორც კი მოსულან ისინი, ოთხივე დაუპატიმრებიათ. ოხაჩქუეს მთიდან წამოუყვანიათ 180 სული საქონელი და ყველა მწყემსი, ოჭაკეს მთაში კიდევ 60 სული საქონელი მიუერთებიათ და გაურეკავთ სოფელ ოქუმის მიმართულებით. პირუტყვმა ერთხანს იარა, მაგრამ უცნობ ადგილებში გაფანტვა დაიწყო, მარადიორები იძულებული გახდნენ ჯოგისთვის წინ ერთი მწყემსი გაეძღოლებინათ. წინამძღოლმა დრო იხელთა და გაიქცა. ბოევიკებმა ათასობით ტყვია დაახალეს მას, მაგრამ ის წინდახედული კაცი აღმოჩნდა და გაიქცა არა უკან, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ წინ ოქუმის მიმართულებით, სწორედ ამან გადაარჩინა იგი, ბოევიკებმა იქვე მოკლეს სოხუმელი დევნილი ქარდავა, წაიყვანეს 240 სული პირუტყვი და მწყემსები, შემდეგში დიდი წვალებით მოხერხდა ცოცხლად დარჩენილ მწყემსთა გამოხსნა.

ათასობით მსვავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ბარბაროსებმა აიკლეს და გააერანეს გალის რაიონი, გააწამეს სამურზაყანოელი ხალხი.

ზუგდიდში ხშირად მოდიოდა ხმები გალის რაიონის სოფელ რეფში აფხაზი ექსტრემისტების მიერ დატრიალებული ტრაგედიის შესახებ. ისინი დაბანაკებული იყვნენ მესამე ჰესის შენობაში. იცვლებოდნენ ყოველ მეხუთმეტე დღეს, აწიოკებდნენ ადგილობრივ მშვიდობიან მოსახლეობას, ძალადობდნენ მათზე, ართმევდნენ ყველაფერს, დათარეშობდნენ. იანვრის ბოლოს მათ ვადასწვეს ოთხი სახლი და მოკლეს ორი უდანაშაულო ადგილობრივი მცხოვრები.

ამ შემაძრწუნებელი ამბის გაგებისთანავე ზუგდიდში შეიკრიბა სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ ახალგაზრდათა ჯგუფი. მათ გადაწყვიტეს აელაგმათ თავგასული არამზადები. რვაკაციანი ჯგუფი მეორე დღესვე გადავიდა რეფში. ერთი დღე და ღამე ადგილმდებარეობის დაზვერვასა და ოპერაციის ჩატარების დეტალების დაზუსტებად მოუნდნენ. რაზმის შემადგენლობაში იყო 60 წლის შალერი სიხარულია თავისი ორი ვაჟკაცით ელგუჯათი და.თემურით. ელგუჯა იყო ამ დამსჯელი რაზმის მეთაური.

მოხდა გაუთვალისწინებული ამბავი, იმ დღეს პრიმორსკიდან მესამე

ჰესის მიმართულებით წამოვიდა აფხაზ-ბოევიკთა ჯგუფი, თურმე მათ უნდა შეეცვალათ ადგილზე მყოფი ბოევიკების შემადგენლობა. პარტიზანული ჯგუფი იძულებული გახდა სასწრაფოდ შეეცვალათ ადრე შემუშავებული გეგმა, მაშინათვე დაიხიეს უკან და ჩასაფრდნენ ისეთ ადგილზე, რომ მისწვდომოდნენ ორივე ჯგუფს. გადაადგილების დროს გაინაწილეს ფუნქციები და ყველამ დაიკავა თავისი ადგილი, მომავალი ჯგუფის მოახლოებისთანავე ცეცხლი გახსნეს ორივე მიმართულებით, სროლა გრძელდებოდა ათი წუთის განმავლობაში, შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. გაიცა ბრძანება ჩასაფრების ადგილიდან გასვლის შესახებ, ჯგუფის ხელმძღვანელი ელგუჯა სიხარულია ადგილზე დარჩა, სანამ ჯგუფის წევრები არ გავიდნენ, შემდეგ ისიც წამოდგა წასასვლელად, მაგრამ იქვე ჩაიკეცა სნაიპერის ტყვიით შუბლშელეწილი. ჰესის შენობის სახურავზე ჩასაფრებული სნაიპერის ტყვია საბედისწერო აღმოჩნდა ჯგუფის ხელმძღვანელისათვის. რაზმელებმა, როცა ნახეს მათი მეთაურის დაღუპვა, გადაწყვიტეს უკან დაბრუნება და მათი დაღუპული მეთაურის გვამის გამოხსნა. ამ დროს ჰესის შენობის სახურავზე მსხვილყალიბიანი ტყვიამფრქვევი ამუშავდა, ორმა რაზმელმა მათ საპასუხო ცეცხლი გაუხსნა. შეიქმნა მთელი რაზმის დაღუპვის საშიშროება, მაშინ რაზმს წინ გადაუდგა შალერი სიხარულია და ხმამაღლა დაიძახა:—**ჩემი შვილის მაგივრად რაზმის მეთაურობას მე ვიღებ ჩემს თავზე, ისმინეთ ჩემი ბრძანება:** ზურგისაკენ სირბილით იარ! ბრძანების შეუსრულებლობაზე ჩემი ხელით დაგხვრეტთო და ავტომატი შემართა. ბიჭებმა კიდევ ერთხელ შეავლეს ცრემლიანი თვალები მეთაურის ნეშტს და დაბოღმილები გაშორდნენ მას. სხვა რაზმელთა გადარჩენის მიზნით შვილისა და ძმის ნეშტი მტრის ხელში დატოვეს შალერ და თემურ სიხარულიებმა.

ერთ დღეში მოტყდა შალერი, ხმა ჩაუწყდა, ბეჭებში მოიხარა, გაუსაძლისი იყო შვილის დაღუპვისა და მისი ნეშტის მტრის ხელში დატოვების გრძნობა. ბოევიკებმა ტროსით ტრაქტორზე გამოაბეს დაღუპული ელგუჯა სიხარულიას ვვამი და ისე ათრიეს იგი. ვერაფრით ვერ მოხერხდა მისი ნეშტის გამოხსნა. საჭირო გახდა ახალი ოპერაციის ჩატარება, რათა გადასაცვლელად ხელში ჩაეგდოთ რომელიმე ბოევიკი.

მიღებული იქნა ცნობა, რომ ს. ოტობაიაში დაბანაკებული იყო სომეხთა ბატალიონის ერთი ასეული სამოცი კაცის რაოდენობით. ისინი სოფელში მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს აგროვებდნენ, ადგილზეევ კლავდნენ და ტონებით დამზადებულ ხორცს აგზავნიდნენ სოხუმის მიმართულებით.

პარტიზანული რაზმის შტაბში დაიგეგმა მათზე თავდასხმა. 7 პარტიზანისაგან შემდგარი ჯგუფი ჩასაფრდა ს. ნაბაკევსა და ს. ოტობაიას

საზღვარზე. დილის 10 საათზე გამოიარა ექვსკაციანმა ჯგუფმა სათანადო ნაალაფევით. პარტიზანები მათ წინ გადაუდგნენ, ცეცხლი პირველებმა სომეხმა ბოევიკებმა გახსნეს, ხუთიოდე წუთის შემდეგ ყველა ბოევიკი განადგურდა და მხოლოდ მათი ნეშტების გადაცემით მოხერხდა რეფში დაღუპული ელგუჯა სიხარულიას ნეშტის გამოხსნა.

ეალის რაიონის სოფელ ნაბაკევში პატრიკ თორიას სახლში დაბანაკდნენ აფხაზი ექსტრემისტები და მათი დაქირავებული ბოევიკები 32 კაცის შემადგენლობით. სამი კვირის განმავლობაში ისინი აწიოკებდნენ სოფელს, ართმევდნენ მათ პირუტყვს, იყო მკვლელობისა და გაუპატიურების შემთხვევები, ხდებოდა ფულისა და ძვირფასეულობის გამოძალვა. შეწუხდა ხალხი ძალიან, მოაწყდნენ ზუგდიდს.

პარტიზანულ შტაბში გადაწყდა ბოლო მოეღოთ ამ თავგასულების თარეშისათვის. შესწავლილი იქნა ბოევიკთა ადგილსამყოფელის განლაგება, მათი მოძრაობის სიხშირე და მიმართულება, შედგა მათზე თავდასხმის ოპერატიული ეგემა. დადგენილი იქნა ისიც, რომ მათ დამზადებული ჰქონდათ თორმეტი ტონა თხილი და წასაყვანად მორეკილი ჰყავდათ 30 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. ყველაფერი ეს უნდა გადაეტანათ უახლოეს კვირა დღეს. თავდასხმას აძნელებდა ის, რომ აფხაზთა შტაბიდან ას მეტრში განლაგებული იყო რუსეთის სამშვიდობო ძალების ერთი ოცეული.

და, აი, შაბათ საღამოს ენგური გადალახა კარგად შეიარაღებულმა თხუთმეტმა პარტიზანმა. ღამის 12 საათისათვის რაზმი უკვე აფხაზთა შტაბის მოპირდაპირე ეზოში იყო ჩასაფრებული. აფხაზებს არ ეძინათ, ისინი სვამდნენ, მერე ეზოში გამოდიოდნენ ,სამ-სამად, ოთხ-ოთხად და მთელს ეზოში მიმოდიოდნენ. ფხიზლობდნენ. მოღრუბლული იყო, წვიმას აპირებდა. პარტიზანთა ჯგუფის ხელმძღვანელმა გადაწყვიტა ცეცხლი არ გაეხსნა წვიმის დაწყებამდე. მართლაც, საათნახევარში ატყდა ჭექა-ქუხილი და წამოვიდა კოკისპირული წვიმა. მორიგე ბოევიკები შტაბში შევიდნენ და პარტიზანებმაც გახსნეს ცეცხლი ყუმბარმტყორცნებით, ტყვიამფქვეევებითა და ავტომატებით. დაახლოებით შვიდი წუთი გრძელდებოდა ჯოჯოხეთური სროლა. პარტიზანული ჯგუფი უმსხვერპლოდ გადმოვიდა სამშვიდობო ტერიტორიაზე, სოფელმა გარკვეული დროით მოიპოვა მშვიდობა, მოსახლეებმა დაიბრუნეს წართმეული პირუტყვი და სხვა ქონება.

ნაბაკევში მხოლოდ ერთი თვე გაგრძელდა ეს მშვიდობა, ისევ ჩამოვიდა ბოევიკთა ოცდახუთკაციანი ჯგუფი. ისინი უფრო აგრესიულად და შეუბრალებლად იქცეოდნენ, ერთი თვის განმავლობაში მოკლეს 10 კაცი, აიკლეს მთელი სოფელი, გარეკეს 80 სული საქონელი, უკანასკნელი

სარჩო წაართვეს მოსახლეებს, მათ იწყეს მშობლიური კერების დატოვება და ეახიზენა.

სანდო და შემოწმებული ცნობების მიღების შემდეგ ოცდახუთკაციანი პარტიზანული ჯგუფი გადავიდა ნაბაკევში. ღამის II საათსა და ოც წუთზე გაიცა ბრძანება ცეცხლის გახსნაზე.

ამის შემდეგ ბოევიკები ნაბაკევში არ გამოჩენილან.

სოფელი თაგილონიდან შემაძრწუნებელი ამბები მოდიოდა. ორმოცდარვა კაციანმა ბოევიკთა ჯგუფმა ეაწამა მთელი მოსახლეობა, შედიოდნენ თითოეულ სახლში, მიჰქონდათ ყველაფერი, მიყავდათ საქონელი, ინდაურებისა და ქათმების წაყვანასაც არ თაკილობდენ. თუ ვინმე არ მოუვიდოდათ თვალში, ან, თუ ვინმე შეეპასუხებოდა, შეუბრალებლად სცემდნენ და აბუჩად იგდებდნენ. ქალებს შეურცხვენელს არ უშვებდნენ, მოსახლეობის მოთმინების ფიალა კი სავსებით მაშინ აივსო, როცა მხეცურად მოკლეს სრულიად უდანაშაულო ორი თაგილონელი ახალგაზრდა. ბოევიკებმა ეს ახალგაზრდები მარტო სიკვდილს არ დააჯერეს, მათი ცვამები სასტიკად დაასახიჩრეს.

თაგილონელი პარტიზანების თხოვნას თითქმის ყველა შეიარაღებული ფორმირება გამოეხმაურა. თითოეულმა მათგანმა მიიღო მონაწილეობა აფხაზ ბოევიკთა შტაბზე თავდასხმისათვის საჭირო 60 კაცის შერჩევასა და აღჭურვაში. და, აი, ერთ მთვარიან ღამეს ბოევიკთა შტაბს ორი მხრიდან მოადგა 60 სამშობლოსათვის გულანთებული პატრიოტი, მათ შური უნდა ეძიათ მხეცურად დახოცილი უდანაშაულო ორი თაგილონელისათვის.

ერთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა ინტენსიური შემხვედრი სროლა, რასაც შეეწირნენ იქ მყოფნი, ვინც სხვის ასაწიოკებლად და მოსაკლავად იყო ჩამოსული. ამის შემდეგ ბოევიკებმა თაგილონიდანაც ამოიკვეთეს ფეხი და საერთოდ, ვერ ბედავდნენ რკინიგზის ხაზს იქით გადასვლას. მართალია, ზოგჯერ ბოევიკები შემდგომშიც ახერხებდნენ ვალის რაიონის დაბალ ზონაში ვამოჩენას, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე საათით და ისიც რუსი ჯარისკაცების თანხლებით რუსებისეე ტრანსპორტის მეშვეობით.

არაერთხელ დაარღვიეს დამპყრობელ ბოევიკთა მყუდროება პარტიზანებმა ვალის რაიონის მაღალ ზონაშიც, პარტიზანთა რეიდებს არაერთი ექსტრემისტი ემსხვერპლა სოფელ საბერიოში, მზიურის ციტრუსების მეურნეობის ტერიტორიაზე და სხვაგან, ვალელმა პარტიზანებმა არაერთი გმირული ბრძოლის სტრიქონები ჩაწერეს ამ ომის ისტორიაში. მკითხველი, ალბათ, მიხვდება, თუ რატომ არ გადმოიცა ამ ნაშრომში პარტიზანული ბრძოლის უფრო ვრცელი და დაწვრილებითი ისტორია.

თითქოს მიწყნარდა ომის საშინელება, თითქოს არ ვეესმის ყოველ-

დღიური სროლის ხმა, მაგრამ, საუბედუროდ, ტრაგედიულ შემთხვევებს მაინც აქვს ადგილი. თითო-თითოდ გვეცლებიან ხელიდან ჩვენი „ღიმილის ბიჭები“, ულამაზესი ვაჟკაცები.

1997 წლის 16 ნოემბერს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა პოლიციის მაიორი, მეტად მზარდი და პერსპექტიული ახალგაზრდა ბესიკი ამირანის ძე მესხია.

აფხაზეთში არეულობისა და ორომტრიალის დაწყების პირველი დღეებიდანვე იგი ამ მოვლენების შუაგულში ტრიალებდა.

ბესიკის ვერაგული სიკვდილი ვერ აიტანა მისმა ოცდასამი წლის მეგობარმა სოხუმის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორმა ვალერი ნაყოფიამ. მას გულმა უმტყუნა. ორივე ძმადნაფიცმა განსასვენებელი ზუგდიდის მიწაში ჰპოვა.

სამარადისო დიდება მათ სახელს!

ორიოდე სიტყვით მინდა მოგითხროთ ენგურის მარცხენა სამშვიდობო მხარეზე გადასულ ხიზანთა ცხოვრებაზე. ზუგდიდის რაიონსა და სამეგრელოს რეგიონს შემოეხიზნა 150 ათასზე მეტი იძულებით ადგილნაცვალი პირი.

სამეგრელოს მხარემ, როგორც მთელმა საქართველომ, ჩვენმა საყვარელმა ზუგდიდელებმა ხელგაშლილი მიგვიღეს, გულში ჩაგვიკრეს, ლუკმა გაგვინაწილეს, სახლები დაგვითმეს, თბილი გული დაგვახვედრეს. მარტო ზუგდიდის რაიონმა 120 ათასზე მეტი კაცი შეიკედლა, დღეისათვის კი (1997 წელი) ქალაქ ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში განსახლებულია 60 ათასი კაცი. მოსახლეთა ამდენი რაოდენობა ზოგიერთ რაიონშიც არ აღირიცხება. ტანსაცმლის ამარა გადმოსულ ამდენ ხიზანთა ცხოვრებისეული მოთხოვნების დაკმაყოფილება უდიდეს სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

დაიწყო დევნილური ცხოვრების ჯოჯოხეთური დღეები.

დევნილებს ერთგვარი იმედი მოგვეცა, როცა მიღებული იქნა გაეროს უშიშროების საბჭოსა და დსთ სახელმწიფოთა ხელმძღვანელების გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროსათვის სამშვიდობო ძალების ჩამოყალიბების უფლების მიცემის შესახებ. სამშვიდობო ძალები ჩამოყალიბებული იქნეს 1994 წლის ივნისში, ცოტა ადრე 1994 წ. 14 აპრილში ხელი მოეწერა ოთხმრივ ხელშეკრულებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ გაეროს ასამბლეის გადაწყვეტილებებში აფხაზური მხარე მხილებულია ეთნიკური წმენდის და ქართველთა გენოციდში, აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ტერიტორიულ ხელყოფას თან სდევდა ეთნიკური წმენდა და ქართველთა გენოციდი, რომ აფხაზური მხარე იგნორირებას უკეთებს გადაწყვეტილებას დევნილთა უპირობო დაბრუნებაზე. და ა.შ.

1994 წლის აპრილიდან—ოთხმხრივი შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ აფხაზი ბოევიკების მიერ გალის რაიონში მოკლული იქნა 400 მშვიდობიანი მოქალაქე, გადაწვეს ათასობით სახლი, გარეკეს 7 ათასი სული პირუტყვი, დემონტაჟი გაუკეთდა გალის მეფრინველეობის ფაბრიკას, საკონსერვო ქარხანას; პირწმინდად ვაიძარცვა თითქმის ყველა ჩაის ფაბრიკა, საამშენებლო და სამრეწველო ორგანიზაციები, გაიტანეს ასობით ტონა ალუმინი და სპილენძი, დახსნეს მაღალი ძაბვის ხაზები, შეურაცხყვეს საფლავები.

დევნილებმა არაერთი აქცია მოაწყვეს ქ. ზუგდიდში, სოფელ რუხის ტერიტორიაზე, საქართველოს თითქმის ყველა რაიონში მოეწყო აქციები ადამიანთა უფლებების დარღვევების აღმოფხვრისა და დევნილთა დაუყოვნებლივი უპირობო დაბრუნების მოთხოვნით.

ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში განსახლებულმა დევნილებმა ხალხმრავალი საპროტესტო აქცია მოაწყვეს 1994 წ. 27 ივნისს. აქციის მონაწილეებს შეხვდნენ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბორის პასტუხოვი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ო. ფაცაცია, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ვ. ჟურბენკო, გაეროს მისიის ხელმძღვანელები, საქართველოს პარლამენტის წევრები. ისინი დაპირდნენ საკითხის მოგვარებას და აქციაც შეჩერდა.

1994 წ. 22 აგვისტოს რუხში ჩატარდა აქცია-მიტინგი. აქციის მონაწილეებს შეხვდნენ დსთ ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის კომისიის წევრები, საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვ. გოგუაძე და სხვები.

განსაკუთრებით დაძაბული დღეები იყო ზუგდიდში 1994 წლის სექტემბერში: აქ თავი მოიყარეს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე განსახლებული დევნილების წარმომადგენლებმა. ენებათა ღელვა განაპირობა რუსი გენერლის კონდრატიევის შეპირებამ—უახლოეს დროში დევნილებს დაავაბრუნებთო.

აქციის მონაწილეთა მიერ მიღებულ დოკუმენტში ნათქვამი იყო: „ჩვენთვის საეჭვო გახდა დემოკრატიისა და სამართლიანობის რეალობა, რამეთუ მსოფლიომ ვერ შეძლო პატარა აფხაზეთში დააბრუნოს ხალხი, რომელიც სისხლითა და სიკვდილით აიძულეს დაეტოვებინა საკუთარი სახლები...

გუდაუთის ხელისუფალთ არარაობად მიაჩნიათ საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმები, თავს უფლებას აძლევენ აბუჩად აიგდონ მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული და უდიდესი სახელმწიფოების მონაწილეობით მიღებული შეთანხმებები...

მჯდომარე აქცია რამდენიმე დღე გრძელდებოდა, ცალკეულმა პირებმა შიმშილობა გამოაცხადეს.

შიმშილობის მე-9 დღეს ჩამოვიდნენ საქართველოს პრემიერ მინისტრი ო. ფაცაცია, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვ. ნადიბაიძე, ვენერალი კონდრატიევი.

კონდრატიევმა აქციის მონაწილეებს უთხრა: მე, რუსეთის ვენერალი კონდრატიევი ვაცხადებ, რომ ზეე დევნილები საკუთარ სახლებში დაბრუნდებიან... თქვენი უსაფრთხოების გარანტი ვართ 3 კაცი—რუსეთის პრეზიდენტი, რუსეთის თავდაცვის მინისტრი და მე—მინისტრის მოადგილეო.

გაითვალისწინეს რა მისი დაპირება აქცია შეწყდა.

რუსმა ვენერალმა გაითამაშა რაღაც სპექტაკლი. საკუთარ სახლებში დაბრუნების იმედით მრავალი ათასი დევნილი მოაწყდა ზუგდიდს (დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან). 10 ათასზე მეტი ხიზანი ჩასვეს ავტობუსებში და მიიყვანეს რუხის „სასაზღვრო" ვადასასვლელამდე ენგურთან. მზადყოფნაში მოიყვანეს რუსი ჯარისკაცები, კოლონის წინ, გამძღოლად, გამოიყვანეს ტანკები, შემდეგ პროცესი შეჩერდა დღის 3-4 საათამდე, მერე კი უკან გააბრუნეს ყველანი. აფხაზები არ იძლევიან უსაფრთხოების ვარანტიას და უკან უნდა ვაებრუნდეთო: დევნილები ვაოვნებული იყვნენ. ვენერალი კონდრატიევი და მისი მხლებლები კი შეუმჩნევლად გაეცალნენ იქაურობას.

ვარკვეული პერიოდის ვასვლის შემდეგ რუსეთის ფედარაციის შეიარაღებული ძალების მაშინდელმა მინისტრმა პ. გრაჩოვმა ვუდაუთში ერთმანეთს შეახვედრა ე. შევარდნაძე და ვ. არძინბა. მეორე დღეს ქ. სოჭში ე. შევარდნაძე შეხვდა ელცინს. გრაჩოვმა ვააკეთა ოფიციალური ვანცხადება—დევნილთა დაბრუნება 1 ოქტომბრიდან დაიწყებაო. აფსუა სეპარატისტებმა მოგვიანებით კომენტარი ვაუკეთეს გრაჩოვის ვანცხადებას და აღნიშნეს, რომ 1 ოქტომბრიდან დევნილთა დაბრუნება კი. არ დაიწყება, არამედ ანკეტების მიღება და ფილტრაციის შემდეგ თვეში 300-300 კაცს შევუშვებთო.

იგნორირებისა და ცინიზმის უკეთესი მაგალითის მოყვანა, ალბათ, გაჭირდება.

უფრო მეტიც, აფხაზმა სეპარატისტებმა ახალი მოთხოვნა წამოაყენეს —ქართველებმა ჩაგვაბარონ დალის (კოდორის) ხეობა და ჩვენ ვალელებს დავაბრუნებთო. ეს, რა თქმა უნდა, ეშმაკობისა და საქმის გაჭიანურების მორიგი ფანდი იყო.

ვალელმა დევნილებმა მაშინვე ვააკეთეს ანცხადება და წერილობით აცნობეს ხელისუფლებასა და კოდორის ხეობის ემირ დამცველებს, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაეშვათ კოდორის ხეობის განიარაღება და სეპარატისტებისათვის მისი ჩაბარება. „ჩვენ მზად ვართ დავრჩეთ დევნილობაში, კოდორის ხეობა კი არავითარ შემთხვევაში არ. უნდა დავთმოთ"–ნათქვამი იყო ანცხადებაში.

1994 წლის 11 ოქტომბერს მოვიდა პირველი ანკეტები გალში დაბრუნების ნებართვით. პირველი ასეთი ანკეტა დაშვებული იყო მხოლოდ ...14 ოჯახზე. აღსანიშნავია, რომ გაეროს მიერ ანკეტებით გადაყვანილი პირები გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ უკან ვამოიქცნენ, რადგან იქ ცხოვრება არ შეიძლებოდა. სერიოზული გამოცდის წინაშე დადგა გალის რაიონის ტერიტორიაზე დარჩენილი მოსახლეობა 1996 წლის ნოემბერში, როცა „ჩატარდა" ე.წ. აფხაზეთის პარლამენტის არჩევნები. გალის გამგეობამ და დევნილმა მოსახლეობამ მოწოდებით მიმართა მათ, არ წამოგებულიყვნენ სეპარატისტთა ანკესზე და მონაწილეობა არ მიეღოთ ამ საარჩევნო ფარსში. ქვემოთ მოვყავს გალის რაიონის გამგეობის განცხადებისა და რაიონის ტერიტორიაზე დარჩენილი მოსახლეობისადმის მიმართვის ტექსტები.

●●●

გალის რაიონის გამგეობის განცხადება

ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით, აგვისტოს ბოლო რიცხვებში, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის გ.ნ. პასტუხოვის, რუსეთში საქართველოს ელჩის ვ. ლორთქიფანიძის, აფხაზეთის ა/რ-ის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, გალის რაიონში ჩასვლისა და იქ ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ ცალკეული პოლიტიკური ძალებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან, შეიმჩნევა გაზრდილი დაინტერესება გალის რაიონის ადგილისა და როლის თაობაზე აფხაზეთის დაბრუნებისა და აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების საერთო პრობლემის გადაწყვეტის კონტექსტში. ამასთან ვხვდებით გალის რაიონის მოსახლეობის პოლიტიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ ორიენტაცია-განწყობის არაობიექტური, არაადექვატური შეფასების ფაქტებს. ამასთან დაკავშირებით გალის რაიონის გამგეობა, გამოხატავს რა დევნილი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის აზრს, ვალდებულად თვლის თავს, გააკეთოს შემდეგი განცხადება:

აფხაზეთის დაკარგვიდან და იქიდან ქართული მოსახლეობის გამოდევნიდან განვლილმა სამმა წელმა დაგვანახა, რომ საქართველოში სამოქალაქო ომის, აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტისა და მის შემდგომ პერიოდში საშინაო და საგარეო ფაქტორების ისეთი რთული წინააღმდეგობრივი კომპლექს-კვანძი ჩამოყალიბდა და შეიკრა, რომლის გახსნა და დაძლევა დღემდე შეუძლებელი გახდა. ფაქტია, რომ ჯერ კიდევ არაა შემუშავებული, დადგენილი და შეთანხმებული აფხაზეთის, საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნების, ასევე დევნილთა რეპატრიაციის რეალური კონცეფცია და მექანიზმები. თავის მხრივ, ამის ერთ-

ერთი მიზეზია თავიდანვე აფხაზეთის კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია, მის მოგვარებაში დიდი სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევა, რამაც ძირითადად შეუძლებელი გახადა მისი ლოკალური წესით-- საქართველოს საკუთარი ძალებით გადაწყვეტა.

დღეს ყველასათვის ნათელია, რომ ეროვნული უმცირესობის ინტერესების დაცვის ფარისევლური ნიღბით, საერთაშორისო სახელმწიფო სამართლის ყოველგვარი უგულებელყოფით და ფეხქვეშ გათელვით, ფაქტიურად, მოხდა აფხაზეთის ოკუპაცია.

ტერმინი „ოკუპაცია" ყველაზე უფრო მიესადაგება გალის რაიონს, რომლის მოსახლეობა (90 ათასი, ანუ აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის მესამედი) ეთნიკურად, პრაქტიკულად მთლიანად ერთგვაროვანი, ქართული არის. მთელს რაიონში ურთიერთობის და საქმისწარმოების ენა ყოველთვის მხოლოდ ქართული იყო და არის. აფხაზური და სხვა ენები აქ საერთოდ არ გამოიყენებოდა.

1993 წლის ოქტომბრიდან თვითმარქვია აფხაზური ხელისუფლების მიერ აქ დანიშნული ადმინისტრაცია, ფაქტიურად, ახორციელებს საოკუპაციო რეჟიმს, ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდისა და გენოციდის აფხაზურ სეპარატისტულ პოლიტიკას.

ოკუპაციის პერიოდში (ე.ი. 1993 წლის ოქტომბრიდან დღემდე) გალის რაიონში --სადაც არ ყოფილა აფხაზ-ქართველთა შეიარაღებული დაპირისპირება, არ სწარმოებდა საომარი ოპერაციები, აფხაზი სეპარატისტების და მათი მხარდამჭერი დაქირავებული გადამთიელი ბანდიტების მიერ დახოცილია 1300-ზე მეტი მშვიდობიანი უიარაღო ქართველი, ძირითადად მოხუცები, ქალები, ბავშვები, რომლებმაც მოვლენათა მოულოდნელი განვითარებისა და ევაკუაციის გამოუცხადებლობის გამო, ვერ მოასწრეს გახიზვნა და სეპარატისტ ჯალათებს ჩაუვარდნენ ხელში. აფხაზი სეპარატისტების მიერ მთლიანად გადამწვარია 12 სოფელი, სულ რაიონში გადამწვარია 6000-ზე მეტი კერძო საცხოვრებელი სახლი და ასობით საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობა. აფხაზეთიდან დაქირავებული ჩრდილოეთკავკასიელი, რუსი და სხვა ეროვნების ყაჩაღი მძარცველების ბანდების მიერ მთლიანად გაზიდულია თითქმის 2 მლრდ. დოლ. ღირებულების კერძო და სახელმწიფო ქონება.

მიუხედავად აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების და გაეროს დამკვირვებლების შეყვანის შემდეგ საოკუპაციო რეჟიმის გარკვეული შერბილებისა, დღემდე კვლავ გრძელდება დარჩენილ მოსახლეობაზე ძალადობის, ძარცვის, ექსპლუატაციის, მკვლელობების ფაქტები. განსაკუთრებით, სამშვიდობო ძალების საკონტროლო ზონის გარე ტერიტორიაზე, რუსი სამშვიდობო ძალები და გაეროს დამკვირვებლები, ფაქტიურად, ვერ ახდენენ ზემოქმედებას ადგილობრივ ადმინისტარციასა და

მილიციაზე, პირიქით, ბევრ შემთხვევაში ხელს უწყობენ მათ ადგილობრივი მოსახლეობის დარბევებში. გრძელდება აფხაზი სეპარატისტი ბოევიკების მიერ გალის რაიონში ადგილობრივი მოსახლეობის დახოცვის ფაქტები, დაფიქსირებულია ძარცვის, მოქალაქეთა გატაცების ასობით ფაქტი.

ყოველივე ამის შემდეგ, აფხაზური სეპარატისტული რეჟიმის განცხადებანი აფხაზეთში, გალის რაიონში მცხოვრები ქართველი მოსახლეობისადმი ლოიალური დამოკიდებულების შესახებ, პოლიტიკური და მორალური ცინიზმის მაგალითებად თუ წამოდგება მხოლოდ. საკმარისია ითქვას, რომ აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას პასუხისგებაში არ მიუცია არც ერთი დამნაშავე პირი ქართველი ეროვნების მოქალქეების წინააღმდეგ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულისათვის.

აფხაზური მხარის მტკიცება, რომ გალის რაიონში დაიწყო დევნილთა სტიქიური მასობრივი დაბრუნება, არის სეპარატისტული ხელისუფლების ჩვეული მორიგი სიცრუე, გამიზნული საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად, რათა მიაღწიონ ე.წ. აფხაზეთის „რესპუბლიკის“ იდ იურედ ცნობას.

დასანანი ისაა, რომ მსოფლიო საზოგადოების დეზინფორმაციაში სეპარატისტებს დახმარებას უწევენ რუსეთის ოფიციალური პოლიტიკური წრეები, ინფორმაციის საშუალებები.

ფაქტია, რომ გალის რაიონიდან ბევრი დევნილი, დევნილობის უმძიმესი პირობებით იძულებულია, თავისი ოჯახის ფიზიკური გადარჩენისათვის, სიცოცხლის რისკით, შედის მშობლიურ კუთხეში, უმრავლესობა მალულად, მცირე დროით, ხვნა-თესვისა და მოსავლის აღების პერიოდებში. ამას საოკუპაციო რეჟიმიც არ უშლის ხელს, რა თქმა უნდა, მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, შემდეგ მოწეული მოსავლის დიდი ნაწილის წართმევის მიზნით, აფხაზურ ხელისუფლებას ხომ ადგილობრივი მოსახლეობა დაბეგრილი ჰყავს შუა საუკუნეობრივი ფეოდალური სისტემის კანონებით.

ჩვენი მონაცემებით, ამჟამად გალის რაიონში თავიდან დარჩენილი და შემდეგ შესული ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 22-25 ათასს. მათგან 50%--მუდმივ „ქანქარისებურ“ მიგრაციაშია (პერიოდულად შედიან და გამოდიან). რაიონულ ცენტრში--ქ. გალში, სადაც უსაფრთხოების შედარებით უკეთესი პირობებია, ამჟამად ცხოვრობს მხოლოდ 3000-მდე კაცი, ოკუპაციამდელი 18 ათასის ნაცვლად, ანუ მუდმივი მოსახლეობის 17 პროცენტი. სოფელ აჩიგვარაში--300 კაცი 6000-დან ანუ 5%, სოფელ გუდავაში--50-მდე 300-დან, ანუ 1,5%, სოფელ შეშელეთში 80-მდე კაცი 2000-დან, ანუ 4% და ა. შ.

ამრიგად, ბ. პასტუხოვის განცხადება, რომ გალის რაიონში დაბრუ-

ნებულია 60-70 ათასი კაცი, სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. პირიქით, ჩვენის აზრით, ეს შეგნებულად გაკეთებული განცხადებაა, აფხაზური სეპარატისტული ხელისუფლებისათვის მხარდაჭერის მიზნით, აფხაზეთში უკანონოდ დანიშნულ უკანონო პარლამენტის არჩევნებში.

გალის რაიონის გამგეობამ კარგად იცის დევნილი და ადგილზე დარჩენილი მოსახლეობის სხვადასხვა ფენების პოლიტიკური ორიენტაცია და მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობა, მათი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური პირობები.

ჩვენ ღრმად გვწამს ჩვენი თანამემამულეების უსაზღვრო სიყვარულის, ერთგულებისა და თაქდადების, ჩვენი ქვეყნის––საქართველოსადმი, მათი შრომისმოყვარეობისა და ბრძოლისუნარიანობისა, რისი დასტურიც არის მათი ზეადამიანური გამძლეობა და ძალისხმევა, შესაშური ნიჭი და უნარი, რასაც ისინი ავლენენ შეცვლილი, მიუჩვეველი, მკაცრი სოციალური გარემოს, მშობლიური მიწისაგან მოწყვეტის პირობებში. არანაკლებ ვაფასებ იმათ თავგანწირვასა და პატრიოტიზმს, ვინც უმძიმეს საოკუპაციო პირობებში, სიცოცხლის რისკით, თავიანთი ადამიანური ღირსების და სხვა უფლებების შელახვის ფასად, არ ტოვებენ და შვილებსა და შვილიშვილებს უნარჩუნებენ მშობლიურ ფუძე-კერას, უელიან წინაპართა და დაღუპულთა საფლავებს, მეთვალყურეობენ მეზობლების სახლ-კარს და ა.შ. ჩვენს მოსახლეობასთან ყოველდღიური უშუალო კონტაქტები გვარწმუნებს იმაში, რომ გალელების აბსოლუტურ უმრავლესობაში მშობლიურ კუთხეში დაბრუნების სურვილი არ ნელდება, რაზედაც ასე ოცნებობენ სეპარატისტები და ჩვენი არაკეთილმოსურნენი,––არამედ, პირიქით, უფრო ძლიერდება და ქმედითუნარიანი ხდება.

გალის რაიონის მოსახლეობას კარგად აქვს შეგნებული გალის რაიონის როლი და პასუხისმგებლობა აფხაზეთის დაბრუნების საერთო პრობლემის გადაწყვეტაში. ეს შეგნება ემყარება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში გალის რაიონის ბუნებრივ-ისტორიული როლისა და მისიის, როგორც ქართველი და აფხაზი ხალხების, ქართული და აფხაზური კულტურების დამაკავშირებელი რგოლის გათვალისწინებას. ჩვენს პოზიციას აქ საფუძვლად უდევს საქართველოს უმაღლესი სახელმწიფოებრივი ინტერესები, საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს, მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი და მიდგომები, რეალურად მოაზროვნე, ჯანსაღი პოლიტიკური ძალების შეხედულებანი.

ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტისას დაუშვებელია თვითნებური, შეუთანხმებელი მოქმედება, „პარტიზანულობა“. აფხაზეთის მოსახლეობამ სისხლით ზღო

ამგვარი ანარქიისათვის, სხვადასხვა პოლიტიკური ძალების, სამხედრო ფორმირებების, მოხალისეთა შეიარაღებული „ბატალიონების“ თვითმოქმედებისათვის. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხის პოლიტიკური და პრაქტიკული გადაწყვეტა მხოლოდ ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების (პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა) მონოპოლია და პრეროგატივაა და ამ საქმეში კონკურენცია ხელისუფლების უმოქმედობის საბაბით, პატრიოტულ-პოპულისტური ლოზუნგების საფარით, შეიძლება უფრო უარესი დამარცხების მომასწავებელი იქნეს.

აფხაზეთის დაბრუნებისათვის ბრძოლაში გამარჯვების უმთავრესი პირობაა მთელი ქართველი ხალხის, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთის დევნილი ქართველობის პოლიტიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური კონსოლიდაცია, საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესის შეუქცევადობის მიღწევა. სწორედ ამ და სხვა გარე ფაქტორების გათვალისწინებით ხდება აფხაზეთის დაბრუნების კონცეფციის შემუშავება-დახვეწა. დღემდე არსებობს აფხაზეთის დაბრუნებისა და აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნების ორი კონცეფცია.

პირველი: აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციის ქვეშ ერთდროულად და მთლიანად დაბრუნება და მხოლოდ შემდეგ, ლტოლვილთა რეპატრიაცია აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე.

მეორე: აფხაზეთში დევნილთა ეტაპობრივი დაბრუნება—ჯერ გალის რაიონში, შემდეგ ოჩამჩირეში, გულრიფში და ა.შ.

ხოლო აფხაზეთის თვითმარქვია სეპარატისტული ხელისუფლება რუსეთის იმპერიის პოლიტიკური სამხედრო მხარდაჭერითა და კარნახით აცხადებს, რომ იგი, როგორც გამარჯვებული მხარე, არ აპირებს არცერთი გოჯი მიწის დათმობას. ამ ვითარებაში აფხაზეთის მთლიანად და ერთდროულად დაბრუნების კონცეფციის რეალიზაცია დაკავშირებულია საქართველოს მხრივ სამხედრო ძალის გამოყენებასთან, რაც საერთაშორისო საზოგადოებრიობას დაუშვებლად მიაჩნია, თანაც ამ შემთხვევაში, სეპარატისტებისადმი რუსეთის პირდაპირი და აშკარა მხარდაჭერის პირობებში წარმატების შანსები მინიმალურია.

რაც შეეხება მეორე აფხაზეთში დევნილთა ეტაპობრივი დაბრუნების კონცეფციას, იგი კომპრომისულია და ერთი შეხედვით, უფრო განხორციელებადი და მისაღები ჩანს, მაგრამ ამ კონცეფციის რეალიზაციის ორი ვარიანტი არსებობს. პირველი: თუ პირველ ეტაპად ჩაითვლება გალის რაიონში დაბრუნება, მაშინ ისმება საკითხი—როგორ გალის რაიონში უნდა დაბრუნდნენ ლტოლვილები? ოკუპირებულ, აფხაზი სეპარატისტებისაგან თავისუფალ გალის რაიონში თუ აფხაზეთის სეპარატისტული იურისდიქციის ქვეშ, ამჟამად არსებულ პირობებში?

პოლიტიკაში გაუთვითცნობიერებელი კაციც ადვილად მიხვდება, რომ მ. წ. აგვისტოს ბოლო რიცხვებში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ბ. პასტუხოვის ვიზიტი გალში, სწორედ ბოლო —ჩვენთვის მიუღებელი ვარიანტის განხორციელების რეალობის მოსინჯვა იყო.

გალის რაიონის გამგეობას მიაჩნია, რომ არსებულ პირობებში ე. წ. აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის იურისდიქციის პირობებში დევნილი მოსახლეობის დაბრუნებას გალის რაიონში პერსპექტივა არა აქვს გასაგები მიზეზების გამო.

პირველი და მთავარი: დაცული არ იქნება მოსახლეობის უსაფრთხოება, აფხაზური მხარის გარანტია, როგორც ამაში არაერთხელ დაერწმუნდით, სანდო არ არის.

მეორე. დაბრუნებული დევნილი მოსახლეობა ტერორის გზით გამოყენებული იქნება საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო დაპირისპირების დროს. ე.ი. გალის მოსახლეობა, ფაქტიურად, იქნება მძევლის როლში და იგი განწირული იქნება, რისი დაშვებაც შეუძლებელია.

მესამე. ამ შემთხვევაში აფხაზეთში დევნილი მოსახლეობის დაბრუნება შეიძლება დამთავრდეს გალის რაიონით, მთელი პასუხისმგებლობა აფხაზეთის დაკარგვისათვის დაეკისრება გალის რაიონის ქართულ მოსახლეობას.

გამოხატავს რა რაიონის ქართული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის აზრს, გალის რაიონის გამგეობა თვლის, რომ დევნილთა რეპატრიაცია აფხაზეთში უნდა მოხდეს მთლიანად აფხაზეთის ყველა რაიონსა და ქალაქში. იგი უნდა დაიწყოს მხოლოდ აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნების შემდეგ. ეს შეესაბამება აფხაზეთის ქართული მოსახლეობის, მთელი საქართველოსა და ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

ამავე დროს ამ ეტაპზე აფხაზეთის კონფლიქტის საბოლოო პოლიტიკური დარეგულირების პრობლემატიკის, ასევე აფხაზეთის დაბრუნების საქმეში გალის რაიონის ბუნებრივ-ისტორიული როლის გათვალისწინებით, გალის რაიონის გამგეობას დასაშვებად მიაჩნია დევნილთა რეპატრიაციის შემდეგ კომპრომისული ვარიანტი. დროებით აფხაზეთის კონფლიქტის საბოლოო დარეგულირებამდე, ე.ი. აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსის საერთაშორისო სამართლით და საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი წესით განსაზღვრამდე, გალის რაიონს მიეცეს პოლიტიკურად ნეიტრალური ზონის სტატუსი და ამ პირობებში მოხდეს დევნილთა რეპატრიაცია გალის რაიონში. ე.ი. გალის რაიონიდან გაყვანილი უნდა იქნენ აფხაზური მხარის მიერ დანიშნული საოკუპაციო ადმინისტრაცია, მილიცია და სხვა შეიარაღებული

ფორმირებანი. საერთაშორისო ორგანიზაციების დაჟინებული მოთხოვნის შემთხვევაში შეიძლება დატოვებულნი იქნენ გაეროს სამხედრო დამკვირვებელნი და სამშვიდობო ძალები, რაიონის ადმინისტრაცია, მილიცია და სხვა. რაიონის ადმინისტრაციული, ეკონომიკური მართვა და საზოგადეობრივი წესრიგის დაცვა განხორციელდეს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არჩეული თვითმმართველობის ორგანოების მიერ. ამ პირობებში შეიძლება ლაპარაკი დევნილების უსაფრთხო დაბრუნებაზე თავიანთ მშობლიურ კერებში. გალის რაიონში ამ სქემით მოსახლეობის დაბრუნება სავსებით შესაძლებელი და რეალურია, ვინაიდან მოსახლეობის ერთვაროვანი ეროვნული შემადგენლობის გამო არ არსებობს ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტის საშიშროება.

გ ა ნ ვ მ ა რ ტ ა ვ თ. ეს ვარიანტი დასაშვებად იმიტომ მიგვაჩნია, რომ გასაგები მიზეზების გამო, დააჩქარებს, შემდგომ, მთელი აფხაზეთის დაბრუნებას. სამწუხაროდ, დღეს საქართველოშიც და აფხაზეთშიც არიან პოლიტიკური ძალები, ცალკეული ჯგუფები და ადამიანები, რომელთაც არ აწყობთ საქართველოში პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაცია; ისინი ყოველნაირად ცდილობენ გახლიჩონ აფხაზეთის დაბრუნებისათვის მებრძოლი საერთო-სახალხო მოძრაობა, დისკრედიტაცია უყონ საქართველოს სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, ხელისუფლების ძალისხმევებს ამ მიმართულებით, დათესონ უნდობლობა და შუღლი თვით აფხაზეთის ქართველებს--სოხუმელებს, გალელებს და სხვათა შორის.

ამგვარი ჭორების გამავრცელებლებს საკმარისია მოვაგონოთ, რომ ჯერ ერთი, გალის რაიონმა ყველაზე ადრე აღიმაღლა ხმა აფხაზური სეპარატიზმის პირველი აშკარა ოფიციალური გამოვლენისთანავე. 1990 წლის აგვისტოში აფხაზეთის მაშინდელი უმაღლესი საბჭოს მიერ „აფხაზეთის ა/რ-ის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ" დეკლარაციის მიღების პასუხად გალის რაიონული საბჭოს სესიამ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის მაშინდელი ხელისუფლებისადმი უნდობლობისა და დაუმორჩილებლობის შესახებ და ორ წელიწადზე მეტი, ფაქტიურად, აფხაზეთის ა/რ-ის იურისდიქციიდან გამოსული იყო.

მ ე ო რ ე. გალის რაიონში აფხაზი სეპარატისტები ოკუპაციის პირველი დღეებიდანვე წააწყდნენ რეალურ, ძლიერ სახალხო წინააღმდეგობას, ამაზე მეტყველებს სეპარატისტული ხელისუფლების მეთაურის მაშინდელი განცხადება იმის თაობაზე, რომ ომის დამთავრების შემდეგ გალში მათ ცოცხალი ძალის მეტი დანაკარგი განიცადეს, ვიდრე საბრძოლო ოპერაციებში. ამის პასუხი იყო გალის რაიონში დამსჯელი ოპერაციების ჩატარება მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, სოფლების გადაწვა და სასტიკი ფაშისტური რეპრესიების ჩატარება. სწორედ გალის რაიონში მშვიდობიან დროს, ათასობით მშვიდობიანი მოსახლეობის ამოჟლე-

ტის ფაქტი გახდა საფუძველი გაეროს, ეუთოს ეღიარებინა აფხაზი სეპარატისტების მიერ ქართველი მოსახლეობის მიმართ ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პოლიტიკის რეალობა.

სეპარატისტი ხელისუფლები, ამჟამად, გალის რაიონის მოსახლეობის მიმართ ატარებენ „წკეპლისა და თაფლაკვერის", უფრო სწორედ, დასჯისა და დაყვავების პოლიტიკას. ისინი, იციან რა, რომ დასაყრდენი არა აქვთ ადგილობრივ მოსახლეობაში, ყოველნაირ ხერხებსა და ხრიკებს მიმართავენ, ძალ-ღონეს არ იშურებენ თვით ქართველებში განხეთქილების შეტანის, მათი დაპირისპირების პროვოცირებისათვის. სწორედ, ამ მიზანს ემსახურება ადგილზე დარჩენილ და ლტოლვილ გალელებს შორის თითქოსდა სერიოზული წინააღმდეგობების, უთანხმოების არსებობის ვერსია: თითქოსდა პირველნი მეორეს ადანაშაულებდნენ ნაკლებ პატრიოტიზმში, სიმამაცისა და ვაჟკაცობის დეფიციტში, ხოლო მეორენი პირველთ––მოღალატეობაში, ეგოიზმსა და სხვა ცოდვებში. ძნელი მისახვედრი არ არის, საიდან მოდის ეს მონაჭორი და რა მიზანს ემსახურება იგი.

პოლიტიკური დემაგოგიის, შანტაჟისა და პროვოკაციების ეს და მსგავსი ხერხები და მეთოდები მიზნად ისახავენ სწორედ აფხაზეთის დაბრუნების, აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების საქმის ჩაშლას, რათა შემდეგ აფხაზეთის პრობლემა „ეზოირად" გამოიყენონ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, სინამდვილეში კი წყალს ასხამენ ჩვენი ხალხის მტრების წისქვილზე.

გალის რაიონის მოსახლეობას აქვს საკმაო პოლიტიკური შეგნება იმისათვის, რომ არ წამოეგოს ამგვარი პროვოკაციების ანკესზე.

უახლოეს ორ-სამ თვეში მოსალოდნელია აფხაზური საოკუპაციო ხელისუფლების, სეპარატისტული იდეოლოგიის ზეწოლის გაძლიერება გალის რაიონის მოსახლეობაზე სეპარატისტების მიერ მ. წ. 23 ნოემბერს დანიშნულ არჩევნებთან დაკავშირებით. მოსალოდნელია ყოველგვარი შანტაჟი, პროვოკაცია, ტერორი. არ არის გამორიცხული, რომ დატერორებულ უმწეო მოსახელობას, მოხუცებს, ქალებს, მიაღებინებენ ამ არჩევნებში მონაწილეობას ან კიდევ, სრულწლოვანებას მიღწეული ახალგაზრდები (თუ ვინმე არის დარჩენილი ასეთი) გაიწვიონ სეპარატისტების ჯარში. არაფერს ვლაპარაკობთ არჩევნების შედეგების ფალსიფიკაციაზე, რაც ასეთ ვითარებაში სავსებით ბუნებრივი იქნება. მართალია, სეპარატისტების მიერ არჩეული ხელისუფლება (თუ არჩევნები შედგა) არ იქნება ლეგიტიმური, მაგრამ თვით ფაქტი გალის რაიონის მოსახლეობის მონაწილეობისა არჩევნებში და, უფრო უარესი, ახალგაზრდების გაწვევისა ჯარში (თუ ასეთი რამ მოხდა), მეტად არასასურველი, სამარცხვინო და დასანანი იქნება უთუოდ. რაც მთავარია, იგი

უარყოფით, ხელისშემშლელი ფაქტორის როლს ითამაშებს აფხაზეთის დაბრუნებისათვის ბრძოლაში.

დღეს არ გვეგულება ისეთი ნორმალური გალელი, ეს რომ არ ჰქონდეს გათვითცნობიერებული. მაგრამ არ არის გამორიცხული ანომალიებიც. იშვიათად, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ არიან ცალკეული ადამიანები, რომლებიც დაბრმავებულნი არიან რა საქართველოში არსებული ხელისუფლებისადმი სიძულვილით, დაკარგული აქვთ მოვლენათა რეალური აღქმისა და შეფასების უნარი, შეგნებულად თუ შეუგნებლად მოქმედებენ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ინტერესების სასარგებლოდ. ჩვენ, რა თქმა უნდა, პასუხს არ ვაგებთ მათი სიტყვებისა და მოქმედებებისათვის, მაგრამ ცალკეულ ულირსთა სულმოკლე მოქმედებები კოშმარად აწვება თითოეული გალელის სინდისსა და რეპუტაციას, რომ არფერი ვთქვათ მათ პოლიტიკურ შედეგებზე.

მინდა შევახსენო ჩვენ თანამემამულეებს, რომ გალის რაიონის მოსახლეობა ახლა უმძიმესი პოლიტიკურ-მორალური გამოცდის წინაშე დგას. ჩვენ მტკიცედ და ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ ღრმად ვართ დარწმუნებული: მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილი ისტორიული საგორგასლო-საბედიანო-სამურზაყანოს ძირძველი ქართული მოსახლეობა ღირსეულად ჩააბარებს ამ გამოცდას და თავისი გონიერებით, სიმტკიცით ერთხელ კიდევ დაადასტურებს ერთგულებასა და თაყვანისცემას საქართველოსადმი.

გალის რაიონის გამგეობა

აღნიშნული განცხადება გამოქვეყნდა ეაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1996 წლის 20 ოქტომბრის ნომერში.

ძვირფასო გალელებო, ჩვენო ნათესავებო, მეზობლებო, ახლობლებო!

მოგმართავთ თქვენ, ვინც მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, საკუთარი სიცოცხლის რისკით, თქვენი ელემენტარული ადამიანური უფლებების შელახვის, დამცირების ფასად, მაინც აგრძელებთ ცხოვრებას მშობლიურ მიწაზე მომავალი თაობის ინტერესებისათვის.

სამი წელიწადი გავიდა, რაც გალის რაიონი იარაღის ძალით ოკუპირებულია აფხაზი სეპარატისტებისა და მათი ჩრდილოეთელი დამქაშების მიერ. ბევრი თვენთაგანი თვითმხილველია იმ საშინელი დანაშაულებებისა, რაც ამ ხნის განმავლობაში მათ ჩაიდინეს ჩვენ რაიონში. აფხაზმა და მათ მიერ დაქირავებულმა გადამთიელმა ბანდიტებმა გალის რაიონში წამებით დახოცეს ათას სამასზე მეტი ადამიანი, რომელთა უმრავლესობა უმწეო მოხუცები, ქალები, ინვალიდები, ბავშვები არიან; გადაწვეს

ექვსი ათასამდე საცხოვრებელი სახლი; გაძარცვეს და გაიტანეს რაიონის ქონება, ისტორიული და კულტურული ღირებულებანი.

სადისტური მკლელობები, გაუპატიურებები, ძალადობები, ცეცხლი და ნგრევა—აი, პირსისხლიანი აფხაზური აგრესიული სეპარატიზმის სახე.

გალელი, სამურზაყანოელი კაცის ცნობიერებაში აფხაზი არასოდეს ყოფილა მტერი, პირიქით, მუდამ გვქონდა ნათესაური და მეგობრული კავშირები. პატიოსანი, მშრომელი აფხაზები უდანაშაულონი არიან და დღეს ისინი თვითონ გახდნენ აგრესიული სეპარატიზმის მსხვერპლნი.

უამრავი ჩადენილი ვერაგული დანაშაულის შემდეგ აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას ჰყოფნის თავხედობა, გაითამაშოს არჩევნების ფარსი, როცა მკვიდრი მოსახლეობის ორი მესამედი განდევნილია აფხაზეთიდან.

საქართველოს პარლამენტის ა. წ. 2 ოქტომბრის დადგენილებით აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ა. წ. 23 ნოემბერს არჩევნების ჩატარების თაობაზე იურიდიულ ძალის არმქონედ და ბათილად არის. ცნობილი, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და ჰუმანიზმის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და მიზნად ისახავს საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ლეგალიზაცია-დაკანონებას.

ოკუპირებულ გალის რაიონში დარჩენილი ქართველი მოსახლეობა ახლა მეტად მძიმე მორალურ-პოლიტიკურ გამოცდის წინაშე დგას. აფხაზეთის ფაშისტური რეჟიმი ყოველნაირი ხერხებით (დაშინება, დაყვავება) ცდილობს მონაწილეობა მიაღებინოს მას ე.წ. არჩევნებში.

მოგიწოდებთ, ნუ წამოეგებით სეპარატისტების ანკეტაზე, თუმცა თქვენ, ყოველივე გადატანილის შემდეგ, მოწოდება არც გჭირდებათ. ჩვენ არ გვეგულება თუნდაც ერთი გალელიც კი, რომელიც თანხმობას გამოთქვამს იყოს არჩეული ან აირჩიოს ვინმე აფხაზეთის ე. წ. პარლამენტში. არ გვჯერა, რომ თქვენს შორის აღმოჩნდება ვინმე ისეთი, რომელიც მივა საარჩევნო ყუთთან და ხმას მიცემს ჩვენი შვილების, ძმების, დედების, ნათესავებისა და ახლობლების მკვლელებს, პირსისხლიან სეპარატისტებს, თუ ეს მოხდა, ეს იქნება უსაშინლესი ღალატი წამებით დახოცილთა ხსოვნის წინაშე და მშობლიური ხალხის მიმართ, რაც თაობიდან თაობას გადაეცემა და წარუშლელ სამარცხვინო ლაქად რჩება გალის რაიონის ისტორიაში.

ღმერთმა ნუ ჰქნას.

ჩვენ გვჯერა თქვენი!

გალის რაიონის გამგეობა, დევნილი მოსახლეობა.

●●●

ვინ ჩამოთვლის იმას, თუ ვის, რამდენჯერ და რა ინსტანციებს მიმართეს ცხოვრებაგაჯახირებულმა დევნილებმა, არაერთი თხოვნა და წერილი გაუგზავნა ბუტროს ბუტროს გალის, ბ. ქლინტონს, ბორის ელცინს, ვ. ჩერნომირდინს, პაველ გრაჩოვს, კოზირევს, ე. შევარდნაძეს, ვ. ნადიბაიძეს, ნ. ლეკიშვილს და სხვა ოფიციალურ პირებს.

დევნილებს ადგილებზე ხშირად ხვდებოდნენ და მათ გაჭირვებას ეულწრფელად ითავისებდნენ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია.

ხიზანთა ამაღელვებელი ცხოვრებიდან მინდა მოვიყვანო ერთი ეპიზოდი:

1995 წლის 21 მარტს საზედამხედველო ქართული ჯარის სარდლის გენერალ აბაშიძის კაბინეტში მოეწყო დევნილთა წარმომადგენლების შეხვედრა რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალ გენერალ-ლეიტენანტ ვასილი იაკუშევთან. სიტყვებით ვამოვიდნენ და დევნილთა გულისწყრომა გამოხატეს იური ბეჭვაიამ, გოგი ფარულავამ, ზურაბ ჯგუბურიამ, ვლადიმერ ჭანტურიამ, ოთარ შენგელიამ.

პირდაპირ უთხრეს გენერალს, რომ მისი მოქმედება ტენდენციურია, პროაფხაზურია, რომ სამშვიდობო ძალების თვალწინ ხოცავენ ხალხს, აპატიმრებენ და ტყვედ მიყავთ მშვიდობიანი მოსახლეები, წვავენ სახლებს. ცნობილია ფაქტი, რომ დატყვევებული მოქალაქეები ვერ ჩაეტიენ გალის ციხეში და მთელი ღამე ასობით კაცი თავსხმა წვიმაში ციხის ეზოში ჰყავდათ ღია ცის ქვეშ, რომ გალის ერთ-ერთ მაღაზიაში აღმოაჩინეს გვამი, რომელიც წინა დღეს ციხეში ჰყავდათ (ალბათ, შემოაკვდათ და მერე მიავდეს იმ უპატრონო მაღაზიაში). იაკუშევს და მის თანმხლებ პირებს უჩვენეს ქვემო ბარღებში უმოწყალოდ დახოცილი შენგელიებისა და სხვათა ნაწამები გვამების ვიდეოფირები.

დევნილთა წარმომადგენლებმა დიდი აღშფოთება ვამოთქვეს, როცა იაკუშევმა თქვა ნაღმებს ქართველები დებენო.

იაკუშევს ხმამაღლა უთხრეს, რომ ბოევიკები დასეირნობენ რუს ჯარისკაცებთან ერთად რუსეთის ტექნიკით, თვით რუსი ჯარისკაცებიც ხშირად ძარცვავენ ხალხს, ყიდიან დეფიციტურ ნაძარცვ ნივთებს, იშენებენ აგარაკებს, ყიდულობენ ძვირადღირებულ მანქანებს, ენგურის ხიდზე გადააქვთ სპილენძი, ალუმინი და ა. შ.

ხალხი მეტად აღელვებული და აღშფოთებული იყო სამშვიდობო ძალების უმოქმედობით და მათი სარდლის არამართებული მოქმედებით. მოსთხოვეს იაკუშევს ან დაემყარებინა წესრიგი, ან გადამდგარიყო.

2 აპრილს იაკუშევი მხედველობის არიდან გაქრა. ეს, ალბათ, სპეციალურად გააკეთეს, რომ ხალხის აღელვება დაეცხროთ. იგი თურმე:

შეებულებაში გაუშვიათ, შემდეგ ერთ ხანს კვლავ სარდლობდა სამშვიდობო ძალებს, 1996 წლის ბოლოსათვის. კი ამ ჯარებს სათავეში ჩაუდგა ახალი სარდალი გენერალ-ლეიტენანტი დოლია ბაბენკოვი, უნდა აღინიშნოს, რომ საქმისათვის მასაც არაფერი გაუკეთებია, ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოთხოვნა სამშვიდობო ჯარების სარდლის ბაბენკოვის ვადაყენების შესახებ. სულ მოკლე დროში ბაბენკოვი ავტოავარიაში მოჰყვა და მძიმედ დაშავდა;

დევნილთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე 1996 წლის 5 ოქტომბრის ქ. თბილისში ჩატარებულ საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე დევნილთა სახელით გამოსულმა პიროვნებამ აღნიშნა: „დევნილთა პირობები .უკიდურესად მძიმეა, ამოწურულია ყოველგვარი საარსებო საშუალება, ხშირია არასრულყოფილი კვებისაგან სიკვდილის შემთხვევები, სრულიად გაუგებარ და დაბნეულ მდგომარეობაში არიან ძველზე დარჩენილი ჩვენი თანამემამულეები, დაიბნენ და დაიფანტნენ ნაღდი მებრძოლი ბიჭებიც, ბევრ მათგანში ჩაკვდა და გაქრა მებრძოლი სული, მასებში მუსირებს ასეთ ჯოჯოხეთურ-მონურ მდგომარეობასთან შერიგება-შეგუების განწყობილება; ყველაზე აუტანელ მდგომარეობაში არიან ბედის საძიებლად რუსეთში, კერძოდ მოსკოვში, წასული ჩვენი ახალგაზრდები. მათ იქ ყოველ ნაბიჯზე აყენებენ შეურაცხყოფას, ძალიან ბევრი მათგანი ციხეში აღმოჩნდა. ეს ხომ ჩვენი დაღუპვაა, ჩვენი ერის ტრაგედიაა.

ჩვენ გაგვეგება საქართველოს ხელმძღვანელთა შორსმჭვრეტელური პოლიტიკა, გვესმის, რომ ამ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება ბედნიერებაა, მაგრამ როდემდე უნდა ველოდოთ მას, ეს ხომ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. დრო კი მოწინააღმდეგის სასარგებლოდ მუშაობს... სრულიად არადამაკმაყოფილებელია ზრუნვა ომში დაღუპულთა სახელების უკვდავყოფისათვის, ხოლო აღმაშფოთებელია, რომ დაღუპულთა ჭირისუფლები წლების განმავლობაში ვერ ახერხებენ მიიღონ ის მცირედი თანხაც კი, რაც სახელმწიფოს მიერაა დაწესებული დაღუპულთა ოჯახის დასახმარებლად.

...დიდი ეჟასი არ იყოს, რა გულმა უნდა გაუძლოს იმის ცქერას, რომ ჩვენი ინტელიგენციის ნაღები ნაწილი, ადამიანები, რომლებიც ადრე რამდენიმე ათასკაციან კოლექტივებს ხელმძღვანელობდნენ და ხელმძღვანელობდნენ სასახელოდ, დღეს ბაზრებში დგანან და პაპიროსისა და ბოსტნეულის ვაჭრობით ირჩენენ თავს. ამაზე დიდი უბედურება, ამაზე დიდი შეურაცხყოფა რა იქნება...

დრო მიდის, დევნილთა დაბრუნების საკითხის მოგვარებას, აფხაზეთის დაბრუნების საქმეს ბოლო არ უჩანს“...

1997 წლის 2 მარტს საქართველოს კონსტიტუციური სასამართლოს შენობაში აფხაზეთიდან რუსეთის ე. წ. სამშვიდობო ჯარების გაყვანის მოთხოვნით შიმშილობა დაიწყო საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „აფხაზეთის“ დეპუტატთა ჯგუფმა. შიმშილობის აქციაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები: გერმანე ფაცაცია, ვახტანგ ყოლბაია, გენო კალანდია, ალექსანდრე ჯიქია, ბორის კაკუბავა, იგორ კეკუა, გია გვაზავა, არნოლდ ფენდერავა, მალხაზ ბარამიძე, ანზორ წოწონავა, მათ შეუერთდნენ პარლამენტის სხვადასხვა ფრაქციების წარმომადგენლები: თორნიკე ფიფია, ჯემალ საჯაია, დავით ინჯია.

აქციის მონაწილეებმა გამოაკრეს ლოზუნგი „დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაყვანილი იქნან სამშვიდობო ძალები და რუსეთის სამხედრო ნაწილები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან“.

„ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ეს გზა უზნეობამ გვაიძულა! რუსეთო, მოგვეეცი თქვენი პატივისცემის უფლება!“

სნგ-ს ქვეყნების ხელმძღვანელთა 1997 წლის 28 მარტის სამიტზეც დაისვა აფხაზურ-ქართული კონფლიქტის მოგვარების საკითხი, მიღწეულია შეთანხმებები, რომ სამშვიდობო ძალებმა ვადაიწიონ ვალის რაიონის ისტორიული საზღვრების ხაზამდე. ამ საკითხთან დაკავშირებით პირადად ელცინისაგან მიიღო დავალება სამშვიდობო ძალების სარდალმა გენერალმა ბაბენკოვმა.

დრო მიდის, დევნილთა მოწამეობრივი ცხოვრება გრძელდება.

1997 წლის 22 ოქტომბრის კიშინოვის სამიტზეც დაისვა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხი, მაგრამ ქმედითი და საქმიანი ნაბიჯების გადადგმა უსასრულოდ ჭიანურდება.

ოქუმი და ოქუმელები

სოფელი ოქუმი გალის რაიონში ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი სოფელია. იგი გამოირჩევა ბუნებრივი სიმდიდრითაც. ეს სოფელი ნახევრად მთებზეა შეფენილი; მთის შესანიშნავი ტყე, ბარის ულამაზესი ბუნება, მდინარე ოქუმის შხუილი, სოფლის პატარა ღელეები და კამკამა წყაროს წყლები, ესქერდას გორაკის ციტრუსოვანი, ვენახოვანი, ბამბუკოვანი, ჩაის ბუჩქებით დამშვენებული ფერდობები, სოფლის ცენტრის შესანიშნავი ტყე-პარკი, საშუალო სკოლის, სოფლის კლუბის, ყოფილი კოლმეურნეობისა და სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციის შენობები, საავადმყოფო, ჩაის ფაბრიკა და ბოლოს ძველებური ქრისტიანული ეკლესიის შენობა განუმეორებელ სილამაზეს ანიჭებს ამ სოფელს. მაგრამ ეს არაა მთავარი. ოქუმი სახელგანთქმულია მისი უაღრესად კულტურული, შრომისმოყვარე, გულღია, სტუმართმოყვარე ხალხით. ბევრი სახელოვანი შვილი მისცა ამ სოფელმა ქვეყანას. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ სოფელში დაიბადა და აღიზარდა საქვეყნოდ სახელგანთქმული ვაჟკაცი **გიორგი ჯგუბურია**. იგი ათეული წლობით ედგა სათავეში კოლმეურნეობას, იყო დიდი ორგანიზატორი და ნიჭიერი ხელმძღვანელი, სწორედ მისი მუშაობის პერიოდში მიაღწია სოფელმა არარეგულებრივ ეკონომიკურ წინსვლას;

ოქუმი და ჩოქოლი ქვაჩახია მუდამ ერთად იხსენიება. ნამდვილად შეუდარებელი იყო ჩოქოლი ადამიანურობით, თავდადებული შრომით, სოფლისათვის ზრუნვით, სტუმართმოყვარეობითა და გულუხვობით; ის იყო ერთადერთი კაცი სამურზაყანოდან, რომელმაც კეთილსინდისიერი შრომით სტალინური პრემია დაიმსახურა. ვინ და რა რანგის სტუმარი არ ყოფილა მის სახლში. ღრმად დამამახსოვრდა მის ოჯახში საქართველოს სახელგანთქმული შვილების, სახალხო არტისტების **ვერიკო ანჯაფარიძის, სესილია თაყაიშვილისა** და **ალექსანრდე ჟორჟოლიანის** სტუმრობა. მათი გულითადი ღიმილი, გაბრწყინებული თვალები და მარად სამახსოვრო იუმორი.

სრულიად კანონზომიერია, რომ სოფლის ცენტრალური ტყე-პარკში ერთად განისვენებენ განუყრელი მეგობრები, მუდამ სოფლისათვის მზრუნველი და სოფლისათვის მაშვრალნი **გიორგი ჯგუბურია** და **ჩოქოლი ქვაჩახია**.

წლების განმავლობაში მუშაობდა ოქუმში **ეფრემ გეთია**.

ოქუმელთა გმირული შრომის ტრადიციებზე აღიზარდა მკლავმოუღლელი კაცი, სოც. შრომის გმირი ხუხუტი შონია. საერთოდ ოქუმი გმირთა სოფელია. მარტო ამ სოფლიდან სოც. შრომის გმირობა 13 კაცს მიენიჭა.

უძველესი ისტორია აქვს ამ სოფელს. არქეოლოგიური ძიებით (1964 წ. პროფ. ნ. ბერძენიშვილის ექსპედიცია) დადასტურებულია, რომ დღევანდელი ოქუმის ტერიტორიაზე ქვის ხანის ადამიანს უცხოვრია, სწორედ უძველესი ადამიანის ცხოვრების კვალია აღმოჩენილი ოქუმის მღვიმეში. მკვლევართა აზრით, ამ მღვიმეში ადამიანს უცხოვრია 30-35 ათასი წლის წინათ.

არაერთი ცნობილი მოღვაწე შეხებია ოქუმსა და ოქუმში მცხოვრებთა თემას. დიდი ეთნოგრაფისა და ისტორიკოსის თედო სახოკიას წიგნში კი მთელი თავებია მიძღვნილი ოქუმის თემისადმი.

ვფიქრობ, ამ სტატიის მთავარ თემას ვერ დაჩრდილავს ის, თუ მოკლე ამონაწერს მოვიყვანთ სახოკიას წიგნიდან ოქუმელი გლეხის მდგომარეობაზე: „გლეხს გუძას „ორი ფაცხა ჰქონდა, ერთში თვითონ იყო შეფარებული ცოლ-შვილით, მეორეში პირუტყვი ება. ორივე ფაცხა წკნელისაგან იყო მოწნული, ზევიდან გვიმრა ეხურა; ფაცხის ორივე მხრით წყვილი ფიცარი ტახტის მოვალეობას ასრულებდა, რომელსაც ჭილობიც არ ჰქონდა გადაფარებული. გუძას ოჯახის ჭურჭელი იყო: ბზის ფილა, 5 ხის ჯამი, ორი თეფში, ოთხი კოვზი ბზისა, ერთი თავმოტვრეული თიხის კოკა და ერთი დოქი. მაგიდის როლს „ტაბაკი“—ოთხფეხა გრძელი ფიცარი ასრულებდა. გუძამ მთელი ქონება რომ გაყიდოს, სულ ბევრი 5 მანეთის პატრონი თუ გახდება“.

ბატონყმური ნაშთების მოჭარბებული არსებობის ეამო ეს მხარე გარკვეულ პერიოდში საკმაოდ ჩამორჩენილი ყოფილა, საგლეხო რეფორმამ გლეხი კი გაანთავისუფლა, მაგრამ გაანთავისუფლა უმიწოდ. ელეხისათვის თავისი გამოსასყიდი თანხა 180 მანეთს უდრიდა, რაც 18 ძროხის ღირებულების ტოლი იყო.

ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ აღვნიშნავთ იმასაც, რომ ოქუმელმა თავადმა კაცია ემხვარმა საგლეხო რეფორმის შემდეგ 325 ჰ-რი მიწა მიიღო, აქედან 47 ჰექტარი ესქერდაზე, ხოლო 287 ჰ-რი ჯეერდის თემში, გლეხთა ნაფელი კი 1,5 კვადრატულ დესეტინას არ აღემატებოდა.

ს. ოქუმისა და ოქუმის მცხოვრებლებს ბრწყინვალე სტრიქონები უძღვნა ცნობილმა ქართველმა მწერალმა კ. გამსახურდიამ რომანში „მთვარის მოტაცება“.

ოქუმელი იყო ის ემხვარი, რომელიც რევოლუციის შემდეგ პეტროგრადიდან საკუთარ სახლში მომავალი სოხუმში რევოლუციონერებს გადაეყარა. ამ ბრწყინვალე ვაჟკაცს, მეფის გვარდიის ყოფილ წევრს რევო-

ლუციონერმა რუსმა მეზღვაურებმა შეხვედრისთანავე მეფის ოფიცრის ბრჭყვიალა სამხრეები დააგლიჯეს, მან კი ვეფხვისებური ნახტომით ორი მათგანი იქვე გაათავა. ამ ცნობილ სიუჟეტზე აიგო ლეო ქიაჩელის ნაწარმოები „ჰაკი აძბა“.

ოქუმელ მეორე ემხვარზე შესანიშნავი მოთხრობა დაწერა ჩვენმა თანამემამულემ, მწერალმა ვ. ალფენიძემ „სათარ-ხანის სამურზაყანოელი ჯარისკაცი“.

ვინ მოსთვლის იმას, რამდენი წიგნი, ბროშურა, ნარკვევი მიეძღვნა ოქუმელთა ცხოვრებას.

ცნობილია, რომ ისტორიულად ოქუმი თავად ემხვარებს ეკუთვნოდათ, ოქუმიდან იყო სახელგანთქმული აბრაგი (და არა ყაჩაღი) გიდი ემხვარი.

ცხოვრება წინ მიდიოდა.

როგორც ცნობილია, სამურზაყანოს ცენტრი 1840 წლამდე ბედიაში იყო, ხოლო 1840 წლიდან 1906 წლამდე რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი განთავსებული იყო ს. ოქუმში.

1866 წელს გაზეთი „კავკაზი“ წერდა „ოქუმში აშენებულია საუკეთესო სახაზინო სახლი, გაყვანილია ქუჩა და შენდება დუქნები და ყაზარმა“. ამ დროისათვის ოქუმში ცხოვრობდა 2511 კაცი, ჰქონდათ ორი ეკლესია.

კაპიტალიზმის განვითარებამ დააჩქარა დიფერენციაცია. ხალხი დაიძრა საშოვარზე, ხელი მოჰკიდეს დურგლობას, ხარაზობას, მჭედლობას, ფართოდ განვითარდა ვაჭრობა. ძალიან ბევრი ხალხი მოაწყდა ოქუმს—ის ხომ რეგიონის ცენტრი იყო. სოფელში გაუხსნიათ დუქნები, სავაჭრო ცენტრი, სახელოსნოები.

ოქუმში ვაჭრობდნენ მაშინ ცნობილი პირები ივანე ზუხბაია, მიხეილ ჟორდანია, სოსო, ძალკა და დიტო პაპასქირები, ზუდგიდიდან ჩამოსულან პაველ და პეტრე გეგიები, სენაკიდან ჩანთა, მიხა, სოლომონ ადამიები, ხონიდან—ვასკა, სპირიდონ, ნესტორ, ვანია, ლუკა კაკაბაძეები, იოსებ პროხოროვიჩი, ელიზბარ ვარდანია, სერგო იოსელიანი, ლევა ძაძამია, იაკობ ჩიტაია, გიორგი კვეკვესქირი, გურიიდან ჩამოსულან მიხაკო ვასაძე, ბესარიონ გობრონიძე, გერასიმე ორაგველიძე; ხელოსნობას ეწეოდნენ ივა ზუხბაია, იოსებ ზარანდია, მჭედლები ყოფილან გიორგი მიქავა, ჩაგუ ხასია და სხვები.

საკოლმეურნეო შრომაშიც გაითქვეს სახელი ოქუმელებმა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1939 წლის 20 ნოემბრის, საკავშირო მთავრობის დადგენილებით, ოქუმის კოლმეურნეობა დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით, ათი ათასი მანეთითა და ერთი ავტომობილით.

დიდი წვლილი გაიღეს ოქუმელებმა სამამულო ომის დროსაც. ომში მონაწილეობდა 316 ოქუმელი, რომელთაგან 160 დაიღუპა. გარდა იმისა,

რომ ოქუმელი რჩეული ვაჟკაცები მკერდით უდგნენ წინ მომხვდურს და უმანკო სისხლის ფასად იცავდნენ სამშობლოს, ზურგის მშრომელებიც, თითოეული ოქუმელი თავდადებული შრომით ედგა გვერდში ქვეყნის სადარაჯოზე მდგომ ვაჟკაცებს; უგზავნიდნენ მათ პროდუქტებსა და ტანსაცმელს. ომის დაწყებიდან 1943 წლამდე ოქუმელებმა ფრონტელებს გაუგზავნეს 2500 ცალი თბილი ტანსაცმელი, 5 ტონა ხორცი, 5000ქათამი, 26 ფუთი მანდარინი, 1,5 ტონა ვაშლი, არაყი, ღვინო, თამბაქო, ასანთი, ღორის ქონი, ცხვირსახოცები და სხვა.

თვით კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ჯგუბურიამ პირადი დანაზოგიდან 300 ათასი მანეთი შეიტანა მებრძოლთა დასახმარებლად, ხოლო ჩ. ქვაჩახიამ— 30 ათასი. ოქუმელმა 14-მა კოლმეურნემ (თითოეულმა) 10 ათასი მანეთი შეიტანა, 27-მა—5 ათასი, 31-მა—სამი ათასი, რისთვისაც ოქუმელმა კოლმეურნეებმა სტალინის მადლობის დეპეშა მიიღეს.

ცნობილია, რომ 1851 წელს—პირველად მთელს აფხაზეთში—პირველი სკოლა ოქუმში გაიხსნა. გახსნა იგი მისიონერმა მღვდელმა დ. მაჭავარიანმა. ასწავლიდნენ წერას, კითხვას, რუსულ და ქართულ ენებს, სიმღერას სწავლა გრძელდებოდა დილის 8 საათიდან 12 საათამდე. სკოლის შენობა ისლით იყო გადახურული. ეს სკოლა უფრო გვიან ვადაკეთდა ორკლასიან სამრევლო სკოლად. 1860 წელს იგი ვადაეცა კავკასიის მართლმადიდებელი ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებას, 1885 წ. კი გადაეცა სინოდს. ამ დროისათვის ოქუმში არსებობდა ბილიოთეკაც, რომელიც საკუთარი სახსრებით ვახსნა ოქუმში მცხოვრებმა მასწავლებელმა ივანე გეგიამ.

ცხოვრება წინ წავიდა. შრომამ და მონდომებამ შედეგი გამოიღო, ოქუმი დამშვენდა შესანიშნავი ცენტრით. სკოლის, კოლმეურნეობის, სასოფლო საბჭოს, კლუბის, ჩაის ფაბრიკის, საავადმყოფოს ბრწყინვალე ნაგებობანი თვალს სტაცებდა მნახველს, მოასფალტებული გზები, ტყეპარკი უფრო ამშვენებდა მას, ასრულდა ოქუმელთა საუკუნეობით ნანატრი ოცნება—მდინარე ოქუმზე აშენდა ხიდი, სოფელში გაშენდა ჩაის, ტუნგოს ვენახის, ციტრუსების პლანტაციები. შეძლებული გახდა თითოეული მცხოვრები, სოფელს ამშვენებდა ორსართულიანი სახლები, ბრწყინვალედ მოვლილი ეზო-კარმიდამო; ყოველი მეორე ოჯახში მსუბუქი ავტომანქანა იდგა; დუღდა ცხოვრება, ფუტკარივით ფუსფუსებდა ხალხი, შრომობდა, ქმნიდა მატერიალურ დოვლათს.

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა?"

1993 წლის 30 სექტემბერი ავად გაუთენდა სოფელს. შემოიჭრნენ აფხაზი ბოევიკები ცეცხლითა და მახვილით. ბევრი ოქუმელი გაიხიზნა, ისინი აფსთა—ოჭაკეს გაელით გაუდგნენ გოლგოთის გზას; ბევრმა არ დატოვა მშობლიური სოფელი, წინაპართა ნაამაგარი სახლ-კარი. ბევრი

მკერდით აღუდგა წინ აფხაზ ბოევიკთა და მათ დამქაშ გადამთიელთა თარეშს. ეს მათთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ამ ომში დაიღუპა 79 ოქუმელი.

ლევარსა გუჯას ძე ლაცუზბაია ამ სოფლის მცხოვრებთა ერთ-ერთი საყვარელი წარმომადგენელი იყო. იგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, არა ერთი მედალი და ორდენი დაიმსახურა, მძიმედ დაიჭრა, მარჯვენა ფეხი დაკარგა, პირველი ჯგუფის ინვალიდი დაუბრუნდა სოფელს, მაგრამ სულით არ დაცემულა, კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა, ათეული წელი მუშაობდა კოლმეურნეობის მთავარ ბუღალტრად; ვამოზარდა ხუთი შვილი, ჰყავდა 10 შვილიშვილი.

ბატონი ლევარსა ღირსეული გამგრძელებელი იყო ოქუმელთა მდიდარი და სახელოვანი ტრადიციებისა. იგი იყო სოფლის ყველა სტუმრის დამხვედრი და პატივისმცემელი, ყველასათვის სასურველი მასპინძელი და გამსტუმრებელი, მეზობელთა და თანასოფელთა იმედი და გაჭირვების ტალკვესი, ყველას დამხმარე და ჭირისუფალი, „ხევის ბერი", „ბერმუხა",—ასე ეძახდნენ მას თანასოფლელები.

უშიშარი იყო ლევარსა, მან არ დატოვა სოფელი, მედგრად შეხვდა კარზე მომდგარ ავტომატიან ლაწირაკებს. ეს იყო 1994 წლის თებერვალში. ახალი დამსჯელი რაზმი შემოიჭრა სოფელში, თან მოჰქონდათ სიკვდილი, ცეცხლი, ნგრევა; არაკაცებმა შემოანერიეს ლევარსას სახლის კარებიც. „— რას შერებით, ხალხნო, ხომ არ გადაირიეთ, ასეთი რამ გერმანელ ფაშისტებსაც არ გაუკეთებიათო"... სიტყვის დამთავრება არ აცალეს, ავტომატის ჯერი დააყარეს, მისი უსულო სხეული ყავარჯნებმა ვერ შეაკავეს ... მისი სახლიც ცეცხლს მისცეს.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, რამდენი თაობაც არ უნდა გამოიცვალოს, ლევარსა ლაცუზბაიას სახელი მუდამ იქ იდგება, სადაც ძეგლის ღირსი კაცები დგანან ხოლმე.

იწეოდა მთელი სოფელი.

დამრბევთა ერთი ჯგუფი ირა ძუკუს ასული ჯგუბურიას ოჯახში შეიჭრა. ირა—საქვეყნოდ სახელგანთქმული ქალბატონი, ლენინის ორდენოსანი, 5 შვილის გამზრდელი, მისი ოჯახის მარადიული სტუმრიანობის გულუხვი მასპინძელი, შეუდარებელი დიასახლისი.

ის ხომ მთელს რესპუბლიკაში ცნობილი მომღერლის, აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პურ-მარილითა და ქეიფით განთქმული კაცის კოჭიკო ივას ძე ჯგუბურიას მეუღლე იყო. მათ ოჯახში მღეროდა ყველა, მღეროდნენ პატარა შვილიშვილებიც კი. მათი სახლიდან სულ მუდამ ომახიანი სიმღერისა და ჩონგურის საამო და დამათრობელი ხმა ისმოდა. მათი ოჯახის სტუმრობა ნეტარება და სიამოვნება

იყო ყველასათვის; პირზე ღიმილითა და გაბრწყინებული თვალებით ხვდებოდნენ ისინი სტუმარს მარადის;

კოჭიკო ცოცხლებში უკვე აღარ იყო, მაგრამ ამ ღონიერ ოჯახს მედგრად ედგა სათავეში 70 წლის ჭარმაგი მანდილოსანი ქალბატონი ირა.

მართალია, სოფელს ცეცხლი ეკიდა, ყველაფერი ნადგურდებოდა, მაგრამ რას იფიქრებდა ქალბატონი ირა, თუ ასე ვერაგულად გაიმეტებდნენ. მან თავდაცვის მიზნით გააფთრთებული წინააღმდეგობა გაუწია თავდამსხმელებს. ამ ორფეხა მხეცებმა მისთვის ტყვიაც არ გაიმეტეს და, ჰოი, ღმერთო, რა გონებამ მოიფიქრა ეს ჯოჯოხეთური განაჩენი: ეს მუდამ მომღერალი და მომღიმარი ადამიანი თავდაღმა ცოცხლად ჩააგდეს ჭაში, სახლ-კარს კი ცეცხლი წაუკიდეს.

დიდი ძებნის შემდეგ მეზობლებმა ჭასთან ახლოს იპოვეს მისი ფეხსაცმელი და ამით მიხვდნენ ჩადენილ ვერაგობას, მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ მოხერხდა მისი ნეშთის ამოსვენება ჭიდან.

1994 წლის 27 სექტემბერი შავად გათენდა ოქუმელებისათვის. სოფლის რჩეული შვილები ბორისი სევერიანის ძე გურგულია, ნური არტემის ძე ბასარია, ავთანდილ კუკურის ძე ბულისკერია, ამირან ჯოდოს ძე თოდუა, მანგული ჯანსუღის ძე კოზმავა, ალექსი მიხეილის ძე კოზმავა, მუშნი ჯარნაზის ძე შამათავა რაიონის ცენტრში მიდიოდნენ, რათა რამე მოეხერხებინათ სოფელში დარჩენილი ბავშვებისათვის სკოლაში მეცადინეობის განახლებისათვის. წავიდნენ მანქანით, მაგრამ ეშმაკს არ ეძინა.

სოფელ მუხურთან ჩასაფრებულმა მკვლელებმა ყველა მათგანი უმოწყალოდ დახოცეს. (ვადარჩა მხოლოდ ერთი კაცი). იქ სხვებთან ერთად დაიღუპა სოფლის შესანიშნავი ინტელიგენტი აკაკი (ბორისი) სევერიანეს ძე გურგულია—ადრე ახალგაზრდობაში დაქვრივებული დედის ერთადერთი ვაჟიშვილი, ექვსი დის ერთადერთი სათაყვანებელი და საფიცარი ძმა, ოქუმის საშუალო სკოლის დირექტორი, ობლად დარჩა მისი მეუღლე, სამი შვილი, ექვსი შვილიშვილი.

ბორისი იყო უაღრესად პატიოსანი, შრომისმოყვარე, ზრდილი და ერუდირებული, მოსიყვარულე მამა და ბრწყინვალე მეგობარი, ხელოვანების დიდი მოყვარული, ქართული ცეკვების უბადლო შემსრულებელი.

ომის დაწყების პირველივე დღეებიდანვე ჩადგა იგი სოფლის დამცველთა რიგებში; მეუღლესთან ერთად დარჩა სოფელში, მას საკუთარი სახლ-კარი გადაუწვეს, მაგრამ სოფელში დარჩენილ სხვა პედაგოგებთან ერთად სადღეღამისო მორიგეობა დააწესა სოფლის საშუალო სკოლის შენობასთან და დაწვას გადაარჩინა ეს შესანიშნავი შენობა, რომელიც თავის დროზე ააგო გიორგი ჯგუბურიამ, ამ სკოლის კარ-ფანჯრები მხოლოდ კაკლის ხის მასალისაგან არის დამზადებული.

არ შეიძლება დიდი გულისტკივილით არ გავიხსენოთ სოფლის ინტე-

ლიგენტების, შესანიშნავი პედაგოგების ნოშრევან კუკუს ძე კაკუბავას, გიორგი ანდრიას ძე სტრელკოვის, შალვა პროკოფის ძე ცაცუას სახელები.

ცრემლის ვარეშე ვერ მოისმენენ იმ ტრაგიკულ ამბავს, რაც ოქუმელ დებს ნატო და ნინო პოლეტაევებს ვადახდათ.

რუსლან და ნათელა პოლეტაევები 5 შვილს —3 ქალიშვილის და 2 ვაჟიშვილის უზრდიდნენ ქვეყანას, ქართველობდა რუსლანი, ქართულ ტრადიციებზე იზრდებოდნენ მისი შვილებიც.

როცა აირია ქვეყანა, როცა დაიქცა ცა და დედამიწა, რუსლანის ოჯახიც გაიხიზნა, ხოლო მდგომარეობის ცოტათი მიწყნარების შემდეგ ისინი საკუთარ სახლს მიუბრუნდნენ.

1994 წ. 7 თებერვალი მეორედ მოსვლა იყო ოქუმელთათვის. ტანკებით შემოცვივდნენ ბოევიკები, არ ინდობდნენ არავის, ისევ გაიხიზნა სოფელი, ბევრმა მახლობელ ტყეს შეაფარა თავი; გაიხიზნენ ნატო და ნინოც, ტყეშიც მიაგნეს ავაზაკებმა. ორფეხა მხეცებს თვალი დაუბრმავა ნაფერები ვოგოების შეუდარებელმა სილამაზემ და ძალით ააცლიჯეს ისინი მშობლებს ხელიდან, ტანკით წაიყვანეს გაურკვეველი მიმართულებით;

პირს იხოკავდა დედა, კიოდა, თავს იკლავდა, მუხლებზე ხოხიალით ეხვეწებოდა ბოევიკთა შტაბის უფროსს—დამიბრუნე შვილებიო.

სოფელ პირველი გალის სკოლის მახლობლად იპოვეს ისინი მეორე დღეს, ნატო უკვე ცოცხალი აღარ იყო, ხოლო ნინომ უკანასკნელად ყლუპი წყალი ითხოვა, მაგრამ ცოცხალს წყალმაც ვერ მიუსწრო. ტირილისა და გლოვის საშუალებაც არ მიეცათ გულმკვდარ მშობლებს, რათა მათთან ერთად მათი მშობლებიც არ ამოეხოცათ.

გაუბედურებულ მამას ისევ მისი შვილების სისხლისმსმელებთან მოუწია თხოვნით მისვლა, რომ შვილების ნეშთის გადმოსვენებისა და დასაფლავების ნებართვა მიეღო.

რა გულმა უნდა გაუძლოს ყოველივე ამას.

ამ უგუნურ ომს შეეწირნენ მამა-შვილი 49 წლის გურამი და 17 წლის რომან შონიები, 31 წლის დათა გოგოხია.

1994 წლის 8 თებერვალს დახვრიტეს და-ძმები ჟორჟი, შოთა და ვალია ცაცუები; დახვრიტეს 35 წლის ოთარ ქვაჩახია, ზედვე მიახვრიტეს მოტირალი დედა იამზე, შემდეგ სახლ-კარს ცეცხლი წაუკიდეს და ორივეს ცხედარი იქ ჩაწვეს.

35 წლის ოთარ ფარფალიას მოსთხოვეს ეთქვა, თუ სად იყო დამარხული უცნობი პირების მიერ მოკლული სამი აფხაზი ბოევიკის გვამი, მაგრამ მას სიტყვა ვერ დააცდევინეს, მაშინ გამხეცებულებმა ჯერ საფლავი გაათხრევინეს, მერე რამდენიმე ტყვია დაახალეს და ჯერ კიდევ მსუნთქავს მიწა მიაყარეს.

კალმით აღუწერელია ვანსაცდელს გარიდებულთა მდგომარეობაც. ჯოჯოხეთურ მდგომარეობაში მყოფნი მიდიოდნენ თოვლსა და ყინვაში, არც გზა იცოდნენ და არც მანძილი იყო ცნობილი. ბევრი მათგანი გზაში გაიყინა. ასეთი ბედი ეწია ალექსანდრა (შურა) ძვიბის ასულ ლემონჯავა-ჯგუბურიას. ეს უაღრესად კეთილშობილი ადამიანი, ბრწყინვალე დიასახლისი, კარგი ვაჟკაცების გამზრდელი, შესანიშნავი სპეციალისტი, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა ოქუმის კოლმეურნეობის მთავარ ეკონომისტად, ისე გაიმეტა ბუნებამ, რომ საკუთარ ლოგინშიც არ ეღირსა სრკვდილი, მის ნაღვაწ-ნაამაგარ სახლ-კარში ვანსვენება და ტირილი, უფრო მეტიც, ს. რეფში ბოევიკებმა უმოწყალოდ მოკლეს მისი ერთადერთი საყვარელი ძმა და ძმისშვილი. ამაზე დიდი უბედურება რა უნდა მოხდეს.

ამ ომში დაღუპული 79 ოქუმელიდან 35 პენსიონერი იყო, უეზოუკვლოდ დაიკარგა—5.

გაავერანეს, დაწვეს, გადაბუგეს ბუნების სიმდიდრით ასე უხვად დაჯილდოებული და ოქუმელთა შრომით ბაღნარად ქცეული სოფელი. 445 სახლი დაწვეს; რისი გაზიდვაც შეიძლებოდა გაზიდეს, ათასობით სული პირუტყვი გარეკეს, თითქოს ჩაკლეს მებრძოლი სული, მაგრამ არა...

ოქუმელების ნაწილი დაბრუნდა სოფელში, ომამდე ოქუმში 3778 მოსახლე იყო, 1997 წ. იანვრისათვის კერას დაუბრუნდა 1700-მდე ოქუმელი. კვლავ გაჩაღდა კერიის ცეცხლი, კვამლი ამოვიდა ბუხრებიდან, ყივიან მამლები...დაბრუნდებიან სხვებიც... უეჭველად დაბრუნდებიან...

„კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი...“

სისხლის წვიმები ქვემო ბარღებში

ჭუტა თადეოზის ძე ჭაავას ბრძენკაცს ეძახდნენ ქვემო ბარღებელები. ომგადახდილი, დიდი სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდი, მაგრამ ახალგაზრდული გულითა და ენერგიით აღსავსე კაცი, ყველას მოსიყვარულე, ყველასათვის კეთილის მსურველი, მუდამ საქმიანი და მოფუსფუსე, ხარობდა შვილებითა და შვილიშვილებით.

ისტორიულად დაძმობილებული ხალხების —აფხაზებისა და ქართველების—კონფლიქტმა და ომმა იგი სულიერად შეძრა, ომის საშინელება ხომ ყველაზე თვალნათლივ მას შეეძლო წარმოედგინა, როგორც დიდი სამამულო ომის მონაწილეს. მან ოჯახის წევრები ევანარიდა იქაურობას, თვითონ კი არ დატოვა სახლ-კარი, არ დატოვა წინაპართა საფლავები. გარკვეული პერიოდის განმავლობაში საკუთარი სახლის ახლოს იმალებოდა, ერიდებოდა ორფეხა მხეცებთან პირისპირ შეხვედრას.

1994 წლის თებერვალში სოფელში ჩატარებული იქნა ე.წ. „წმენდა“ ამ დღეებში ეადასწვეს ასეულობით სახლი, მძეელად აიყვანეს და აწამეს ათობით ადამიანი. საბედისწერო გამოდგა ეს დღეები ჭ. ჭაავასათვის. ქონდრისკაცებს თვალში არ მოუვიდათ ამ ჭარმაგი ადამიანის ჭკვიანური სიტყვები და გამოხედვა, დაიჭირეს იგი და დაუწყეს აბუჩად აგდება, ჯერ საკუთარი სახლისა და დის სახლის დაწვას აყურებინეს, მერე გადაიყვანეს მის მეზობელთან და მასთან ერთად ჩაკეტეს სახლში, შემდგომ კი ცეცხლი წაუკიდეს იმ სახლს. მეორე დღეს მეზობლებმა სახლის ნამწვავებიდან ძლივს გამოარჩიეს მათი დანახშირებული ძვლები და სახელდახელოდ დაჭედილი ფიცრებით მიაბარეს მიწას.

ძაღლების ყეფამ და ყმუილმა შეძრა სოფელი.—ვაი, კიდევ რა უბედურებას უნდა მოვესწროთ,—ეკითხებოდნენ ერთმანეთს სოფლის უხუცესები. ახალგაზრდობის სიცოცხლის საფასურად ჩვენი ბებერი სული და ხორცი მიიღეო,—შესთხოვდნენ ღმერთს ისინი.

ღებური კიკალიას, ბონდო ხარჩილავას, კალე ჯალაღონიას ჯერ კიდევ ახსოვდათ დიდი სამამულო ომის სიმწარე, მაგრამ რას იფიქრებდნენ, რომ უფლისაგან თვითონაც შერისხულნი იყვნენ, რომ ვერ დაიცავდნენ ახალგაზრდებს, ვერ დაუდგებოდნენ მათ ფარად, რომ ასე გაუმწარდებოდათ სიბერე და წამებულნი წავიდოდნენ ამა სოფლიდან.

1993 წლის სექტემბრიდან ცეცხლის ალში ეაეხვია სამურზაყანოს ეს თვალწარმტაცი სოფელი. დაწვეს და ეადაბუგეს ასეული წლობით ნაშრომ-ნაჯაფი, წვალებით, აგურ-აგურ, ოფლით აგებული ულამაზესი სახლები, საგულდაგულოდ მოვლილ-ეაკრიალებული ეზო-კარი, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ აფხაზმა ბოევიკებმა და მათმა გადამთიელმა დამქაშებმა ეულში დაკოდეს ქვემო ბარღელები, არასოდეს არ ამოვა რაიონის მცხოვრებთა მეხსიერებიდან ის ტრაგედია, რაც ბოევიკებმა ბარღებში დაატრიალეს 1995 წლის 2 მარტს. მათ ხელში ჩაუეარდათ სოფლის მშვენება, ახოვანი, ულამაზესი ბიჭები, სიცოცხლითა და ღონით დამშვენებული ეაჟკაცები—ძმები გია და ვალტერ შენგელიები, ფრიდონ ლუკავა; სოფლის საშუალო სკოლის შენობაში შეყარეს ისინი, მერე კი არაადამიანური მეთოდებით დაუწყეს წამება, ერთ ძმას პირველ სართულზე აწამებდნენ, მეორეს კი—მეორე სართულზე. სოფელი შეძრა ადამიანების უჩვეულო ბღავილმა, რომელიც მეორე სართულიდან მოისმოდა. გაუსაძლისი იყო ძმის ბღავილი მეორე ძმისათვის, მან ვეფხვისებრ ისკუპა, წამით დაუძერა კიდეც ორფეხა მხეცებს, ეარეთ გამოაღწია, ეაეარდა მეორე სართულისაკენ—ძმას უნდა მიშველებოდა, მაგრამ ვაი... მოუსწრო ტყვიების წვიმამ...

საღამო ჟამს ბოევიკების წასვლის შემდეგ თანასოფლელებმა სკოლის შენობაში ენით აღუწერელი საშინელება იხილეს. საშინელება, რომელსაც ადამიანთა მეხსიერებიდან საუკუნეებიც ვერ ამოშლის.

გოდებდა სოფელი, ცრემლად იღვრებოდა ხალხი, დასტიროდნენ სამ წამებულ ეაჟკაცს, მაშინ არც იცოდნენ, რომ იქვე სოფლის მოსაზღვრე ტყის პირას კიდევ ორი ღირსეული თანასოფლელის რევაზ ჩერქეზიასა და გურამ ხარჩილავას წამებული სხეულებიც მხეცების საჯიჯგნად იყო მიგდებული...

...ომის დაწყებისთანავე ფეხზე დადგა ბარღებელი ახალგაზრდობა. ჯერ ყოყმანობდნენ —ჩვენს ძმებს—აფხაზებს თოფი როგორ ვესროლოთო, ჩვენ ხომ ბევრი გვყავს მათში ნათესავი. და მეგობარიო, მაგრამ, როცა მათი ვერაგობის შედეგი ნახეს, იარაღს მოკიდეს ხელი. ბევრი სრულიად ახალგაზრდა, ჯერ კიდევ წვერმოულერებელი ეაჟკაცი შეეწირა ამ უგუნურ ომს. ეაჟკაცურად დაიღუპნენ ვახტანგ გოგოხია, შავლეგ კიკალია, ჯონი შამუგია, მურმან გვაძაბია, რუდენ პაპასქუა, მათ ყველაზე ძვირფასი —სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს.

ცხოვრებაში შრომისა და ჯაფის მეტი სხვა სასიამოვნო დღე არც ჰქონიათ ქსენია განგიასა და ჟურა ჯოლოგუას, ცხოვრებაც წამებით დაასრულეს. ეს უწყინარი მოხუცები ჯერ აწამეს, მერე ორივე ჩაკეტეს ქ. განგიას სახლში და ორივე ცოცხლად დასწვეს. ბოევიკი მხეცები ხარხარებდნენ და იქვე ძალით მოყვანილ ხალხს ეუბნებოდნენ:—მოდით,

ნახეთ, ქალები სახლში რა ლამაზად ცეკვავენო. დატრიალებული უბედურების მხილველმა 72 **წლის ფაქიზო ხოჯოლავამ** ვერ მოითმინა და ეზოში შემოსულთ კი არ გაეცალა, კი არ დაიმალა, პირიქით, წყველა-კრულვით მივარდა მათ... იქვე დაცხრილეს.

ჯალათს არა აქვს შებრალების გრძნობა, იგი არ არჩევს მოხუცსა და ახალგაზრდას. **კალე ჯალაღონია** ადამიანურად შეეეება მის ეზოში შემოსულ ბოევიკებს, ბრძნული სიტყვებით ეცადა გაეღვიძებინა მათში ადამიანური გრძნობა, დაეოკებინა მათში მხეცური ინსტიქტები, მაგრამ... იგი შეუბრალებლად აწამეს.

ვერ იტანდნენ ვაჟკაცური აღნაგობისა და ლამაზი შეხედულების ახალგაზრდებს. ყველა ეულბოროტი ასეა, ალბათ. ადგილზეევ ხვრეტდნენ მათ. სწორედ ამ მიზნით ვამოასალმეს სიცოცხლეს სულით მდიდარი, აგებულებით ლამაზი, ფართო მხარ-ბეჭიანი, დღედაღამ ფუტკარივით მშრომელი, მზრუნველი მამა, სოფლის მოამაგე, შესანიშნავი მექანიზატორი **არხიპო ცაავა**.

დატრიალებდა სოფლად სიკვდილის კალო... წამებით, ტყვიით დაცხრილული, თავმოკვეთილი და დამწვარი ვეამების სახელდახელოდ დაჭედილი ფიცრებით მიწას მიბარებას ვერ აუდიოდნენ სოფელში ჯერ კიდევ აქა-იქ დარჩენილი მიმალული ადამიანები, ასე დაასაფლავეს მეზობლებმა ტყვიით დაცხრილული **გულიკო ჩაკაბერია, ნოდარ ქობალია, დემურ ანჩაბაძე, ბიჭიკო ლაშხია, ღუბურ და ალიოშა კიკალიები, ღებური ჯღამაძე, ვადიკ მორგოშია**. ასე გადაწვეს, ააწიოკეს, გაანადგურეს სოფელი, გაზიდეს ყველაფერი, გარეკეს პირუტყვი. 27 კაცი შეეწირა ამ ომს, დაწვეს 200 სახლი, ნასოფლარად აქციეს ეს ბაღნარივით აყვავებული სოფელი.

ვაი, რომ ამ სოფელში ხალხის ჟლეტაში განსაკუთრებული სისასტიკით ვამოირჩეოდნენ ვინმე გოგოხიასა და ბაგათელიას რაზმები. საფლავში გადაბრუნდება ბატონ **ვლადიმერ გოგოხიას** ნეშთი. მას ხომ უზარმაზარი წვლილი მიუძღვის ამ სოფლის აშენება-აყვავებაში. საფლავში გადაბრუნდა **დამიანე გოგოხია**, საქართველოში ცნობილი საზოვადო მოღვაწე, ვინ იცის რამდენი ღვაწლი მიუძღვის დამიანეს ქართველი და აფხაზი ხალხების ძმობისა და მეგობრობის გამტკიცება-შედეგაებებში. ვინ იცის რამდენი აფხაზი ახალგაზრდისათვის მოუმართია ხელი და სწორ ცხოვრებისეულ გზაზე დაუყენებია. ასეთ დროს კი მათი რომელიღაც შორეული წინაპრის შთამომავალი კოკისპირულად ანთხევს მოძმეთა სისხლს, ანთხევს და ვერ ძღება მოძმეთა სისხლით.

ტყვიას ვინ დაუდგებოდა, გაიკრიფა ხალხი ბარღებიდან გადავიდნენ ენგურს გაღმა. ისინი გულშეღონებულნი შორიდან ათვალიერებდნენ მშობლიურ კუთხეს, ბევრს ნერვებმა უღალატა, სტრესისაგან გარდაიც-

ვალა სოფელ შრომის აღებისას შვილისა და შვილიშვილების ტყვედ აყვანისა და სიძის უდროოდ სიკვდილის განცდებს ვერ გაუძლო და ნეერიულობას ვადაყვა ამ სოფლის ღირსეული შვილი ინჟინერ-მექანიზატორი ვაჟა ჩაკაბერია. ალბათ, საკუთარ სახლზე, მშობლიურ კუთხეზე, საყვარელ მშობლებზე ოცნებასა და ფიქრებში იყო ვართული ბარღების 8 წლიანი სკოლის დირექტორი, სასიქადულო ახალგაზრდა იური ჯოლოგუა, როცა ის წყნეთში ავტოკატასტროფაში მოჰყვა. იური მხოლოდ 42 ვაზაფხულს მოესწრო. მისი უბედურება ვერ აიტანა მისმა უფროსმა ძმამ, საზოგადოებისა და ქუჩის სილამაზემ როინ ჯოლოგუამ და ისიც დღეს ძმასთან ერთად ვანივსენებს, უსაზღვროა მათი დედის ფაშიკოს მწუხარება. იგი ხომ მთელი ცხოვრება ადამიანთა სიცოცხლის ვადარჩენისათვის იბრძოდა, იგი ხომ ყველას იმედი და ნუგეში იყო.

აფხაზი ბოევიკების მიერ მორიგი ოპერაციის დროს მათ ხელში ჩავარდნას საკუთარი ხელით სიცოცოხლის დასრულება არჩია დავით ჰაპაპასქუამ. და ასე, სოფლის დაუტირებლად, მოძმეთა ცრემლის ვარეშე, დარდით გულში მიდიოდნენ ეს ღირსეული მამულიშვილები საუკუნო სასუფეველში.

ნათელი დაადგეს მათ საფლავებს!

მეხთატეხა
რეფი-შეშელეთი

ცეცხლი და სიკვდილი ბობოქრობდა სოფელში...სუნთქვაც ჭირდა. წითლად ელვარებდა ზეცა, იწვოდა სოფელი რეფი-შეშელეთი: იწვოდა საუკუნეებით ნაგროვები დოვლათი, ახლადაშენებული კოპწია სახლები; აფხაზი ბოევიკები და მათი დაქირავებული ბანდები არ ინდობდნენ არავის, კლავდნენ, წვავდნენ, აწიოკებდნენ, შეურაცხყოფდნენ, მიჰქონდათ, რისი წაღებაც შეიძლებოდა, დანარჩენებს ცეცხლს უკიდებდნენ.

ჭიკო სხულუხია...

სოფელ რეფი-შეშელეთის ერთ-ერთი დიდებული წარმომადგენელი, კაცი უაღრესად ზრდილი და კულტურული, კაცი, რომელიც მოძმისათვის მუდამ მზად იყო თუნდაც უკანასკნელი პერანგიც გაეხადა, სოფლის სტუმართა ღირსეული დამხვედრი, წამსვლელთა ღირსეული გამცილებელი, სოფლის კაცი. ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ყველას ჭირისუფალი, ღირსეული შვილების აღმზრდელი, ღიმილისა და პურ-მარილის კაცი, ბრწყინვალე ოჯახის მეთაური.

ჭიკოს, ალბათ, თვით მამა ღმერთის არ ერიდებოდა, რადგან დაბადებიდან აუგი არავისათვის არ გაუკეთებია, ჭიანჭველასათვისაც კი არ დაუდგამს ფეხი.

მაგრამ, აი, ამ ღვთის კაცის სახლსაც მიადგა შავი ურჩხული, ათამდე შეიარაღებული ბოევიკი შევარდა ბატონ ჭიკოს სახლში. განა მკვლელები დაეძებენ ვინ კაცია და ვინ არაკაცი, უფრო არაკაცებთან პარტნიორობენ ისინი. პარტიზანებს მფარველობთო და შეუბრალებლად დაერივნენ უდანაშაულო ადამიანებს, ამოხოცეს მთელი ოჯახი, მოკლეს ბატონი ჭიკო, მისი მეუღლე ბაბა, შვილი ვენორი, რძალი იზოლდა, ოჯახის სტუმარიც არ დაინდეს, ისიც ადგილზე დახვრიტეს, მერე სახლს ცეცხლი წაუკიდეს და ყველანი იქ ჩაწვეს. იმ საღამოს ადგილზე არ იყო ჭიკოს ერთი შვილი რუდიკი, ყველანი იმედოვნებდნენ, რომ ოჯახიდან გადარჩა ერთი კაცი მაინც, მაგრამ, ჰოი, უბედურებავ! რუდიკიც თავის ცოლისძმასთან **მერაბი ნოდარის ძე შამუგიასთან** ერთად უგზო-უკელოდ დაიკარგა და დღემდის მათი ასავალ-დასავალი არავინ იცის.

ამაზე დიდი ტრაგედია, მართლაც, წარმოუდენელია.

ბევრი შვილივით უწყინარი ახალგაზრდა დაკარგა სოფელმა. ბონდო

ბაჯას ძე კვიტია, ხვიჩა გიორგის ძე კალანდია, ოთარი კაპიტონის ძე შენგელია და მისი შვილი პაატა, ბესიკი გოგოხია, ხუთივე ეს თვალმახარა ბიჭი ერთად დახვრიტეს, არ მოეწონათ მათი სილამაზე და ჯეელობა, თვალი დაუბნელდათ ამ ულამაზესი ბიჭების დანახვაზე.

არ შეიძლება დიდი პატივისცემითა და მუხლმოდრეკით არ მოიხსენიო ბოევიკების მიერ დახოცილი ამ სოფლის უფრო ასაკოვანი ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებულ ამინდს ჰქმნიდნენ სოფლის ცხოვრებაში. ესენია: ბეგო მარკელია, ღუდა ცანავა, რაული ჯღარკავა, შალიკო ღურწკაია, კოტე ღურწკაია, ბეგო ნასარია, შალვა ქავშბაია, დამიანე ღურწკაია, ვაჟიკო გადელია, გვანჯა უზარაშვილი, ჯემალი ფარფალია, ომარი არაჰამია, ბოჩია პირტახია, არველოდ ზვამბაია, ტერენტი ლემონჯავა, გურიელ თუნგია.

ვასაოცარია, რა ადამიანმა აღმართა ხელი ისეთი ბრწყინვალე ახალგაზრდების, მერცხალივით ბიჭების ფრიდონ და ედემი მოროხიების, ემზარი ლემონჯავას, რობერტი მარკელიას, ნანი და ნინო არაჰამიების წინააღმდეგ.

რეფი-შეშელეთი იყო ერთ-ერთი კოლორიტული სოფელი სამურზაყანოში მისი ნოყიერი მიწით, ტყეებით, მდინარით, განსაკუთრებით ღირსეული ადამიანებით, მაგრამ ამ ჭაობიან კუთხეს ყოველთვის უჭირდა გზა. რეფელთა საუკუნოვანი ოცნება—ვაყვანილიყო გზა გალიდან ზღვამდე—ახდა. ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ვაყვანილი იქნა მობეტონებული ეზა. ამან უფრო გამოაჩინა სოფლის სიმდიდრე, კულტურა და სიდიადე; წინ წავიდა ცხოვრება.

ამ სოფელს მუდამ ამშვენებდა ხუსენ უზარაშვილის, პაველ მალაზონიას, იაკო წურწუმიას, ჩონჩორ კვარაცხელიას, პაველ ძიგუას, იაკო მელაიას, კონდრატე უზარაშვილის, ჭიჭი უზარაშვილის, ჯოჯო კილანავას, გიორგი კილანავას, ძიკა თუნგიას, ნესტორ უზარაშვილის, ვალოდია და ვარლამი ქარდავების, ერმინე მილორავას, ნიკოლოზ და ალიოშა სოფიების, ბიქტორ ჯღარკავას, იროდი კვიტიას, ალიოშა ფარფალიას, შექე ბაკარაძის, ამირან ქარდავას, პართე და ნიკო მარკელიების და სხვათა დიდებული სახელები. მათი ღირსეული ტრადიციები არ შეურცხვენია თანამედროვე ახალგაზრდობას, უღირსი არ უკადრიათ;

ქალებმაც კი გაიღეს ღირსეული წვლილი. ამ სოფლიდან დაღუპული 49 კაციდან 8 მანდილოსანია.

ერთ-ერთი მათგანია ფაციკო ევგენის ასული ჯანჯულია-შონია—პაველ და მანანა მალაზონიების განთქმული ოჯახის მდიდარი ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი, შესანიშნავი პედაგოგი, ბრწყინვალე დიასახლისი, შეუდარებელი დედა და ბებია. სწორედ შვილიშვილების სიყ-

ვარულით, სწორედ წინაპართა საფლავების პატივისცემისათვის არ დატოვა მან სოფელი; მრავალმა განსაცდელმა გადაიარა.ამ ჭარმაგი ადამიანის თავზე, მაგრამ იგი არაფერს შეუშინდა, არავის არ შეეპუა, არც არავის უშლიდა ხელს, იყო თავისთვის და ქმართან –ალიოშა შონიასთან ერთად ოცდაოთხი საათი მუშაობდა, ლუკმას არ აკლებდა შვილებსა და პატარა შვილიშვილებს. ვინ იცის ამ ჯოჯოხეთურ დღეებშიც რამდენი დაუპურებია, რამდენი გაჭირვებულისათვის მოუმართავს ხელი. ამ ტანჯვაში გაატარა სამი წელი და ორი თვე. ჯოჯოხეთურად გათენდა მისთვის 1996 წლის 8 დეკემბერი.

იმ დილით მისი სახლის ახლოს სროლა ატყდა, ფაციკოს შეეშინდა ეზოში მყოფი შვილიშვილი არ მომიკლანო, შეშლილივით გამოვარდა გარეთ ბავშვის გადასარჩენად, მაგრამ იუდას არ ეძინა, აფხაზი ბოევიკის მიერ დამიზნებულმა ტყვიამ მას თავის ქალა ახადა. მკელელისათვის სულ ერთი იყო, ოღონდ მოეკლა...მოეკლა ქართველი, რა ესმოდა ამ არაკაცს, თუ რა დიდებულ ადამიანს ართმევდა აქმვეყნიურ ცხოვრებას.

იძინეთ ტკბილად, ჩვენო მარად დაუვიწყარო ადამიანებო, თქვენს ღვაწლს ქვეყანა არ დაივიწყებს!

ტრაგედია შეშელეთში

უცრემლოდ ვერ მოუსმენ და ვერც წაიკითხავ სტატიას, რომელიც გაზეთ „ვალის“ 1996 წლის №1-ში გამოქვეყნდა, თუმცა გაზეთის ვარეშეც გაიგო მთელმა ქვეყანამ იმ საზარელი დანაშაულის შესახებ, რაც სოფელ შეშელეთში დატრიალდა.

ამონაწერი გაზეთიდან: „ჩვენ საზარელი სურათი დავინახეთ. შეშის ყორესთან გვამები ეყარა—ოჯახის უფროსი იონა, მისი მეუღლე ვემოშა, უფროსი ვაჟიშვილი ჟორა, მოშორებით ერთიმეორეზე ეგდო კიდევ სამი ცხედარი—იონას დისშვილი ვახტანგ ხურცილავა, უმცროსი ვაჟიშვილი—ვალერი და ზემოთ მისი ბიჭი მანუჩარი, ვანცალკევებით კი ვალერის უფროსი ბიჭი მამუკა, ვალერის სახე არ უჩანდა. პირში უსვრიათ ავტომატი მისთვის, მამუკასათვის—ყურში, დანარჩენებს თავში ჰქონდათ ტყვია...

ავადმყოფი მოხუცები და ახალგაზრდები ლოგინიდან წამოუყრიათ, ისინი ფეხშიშველნი და პერანგისამარა ეყარნენ მიწაზე. მამუკას გაქცევა უცდია, ვალერის—წინააღმდეგობა. შავი საქმე რომ დაასრულეს და ეზოდან გადიოდნენ, თავის სახლში უკიელია იქვე გვერდით მცხოვრებ იონას ძმისშვილს მიმოზა სანაიას. მას ოთახში შეუვარდნენ და იქვე მიახვრიტეს... ასე წიწილებივით რამდენიმე წუთში ამოჟუჟეს სრულიად საღსალამათი რვა ადამიანი.

შეშელეთის სოფლის სასაფლაოზე ერთმანეთის გვერდით ვანისვენებენ ეს წამებული ადამიანები.

მკვლელები?—ისინი თავისუფლად დათარეშობენ, ვინაა ვამკითხავი.

24 შეშელეთელის უმანკო სიცოცხლე შეეწირა ამ ომს. თაობები არ დაივიწყებენ ჯუმბერ გოგსანიას, ბოჩია ლაზარიას, ვაკო მარკელიას, შოთა საჯაიას, კაკო ჭარაიას, რადიკ და რაჟდენ ბალიშვილების, მზევინარ გოგოხიას და სხვათა მარადსახსოვარ სახელებს.

1994 წლის მაისის ერთ დილას განთიადისას ჯოჯოხეთის ცეცხლი დაანთეს აფხაზმა ბოევიკებმა შეშელეთში. ორმოცდაათამდე შეიარაღებულმა ბოევიკმა მთელი სოფელი მოითარეშა, ლოგინიდან წამოყარეს და ნახევრად ტიტველები ერთად მოაგროვეს.

პირველად ჯუმბერ გოგსანია და ნუგზარ არდია განაცალკევეს და წაიყვანეს გაურკვეველი მიმართულებით, დანარჩენები უმოწყალოდ სცემეს. ერთ ფრიად პატივცემულ მანდილოსანს ხელიც წაატანეს, მისი



იოანა სანაია

გიმლიშა სანაია



ჭორა სანაია

მიმოზა სანაია



ᲫᲐᲚᲦᲠᲘ ᲮᲐᲜᲐᲘᲐ

ᲨᲐᲛᲨᲘᲐ ᲮᲐᲜᲐᲘᲐ

ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠ ᲮᲐᲜᲐᲘᲐ

ᲛᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲫᲔ

ვამოსარჩლებისათვის დიდებული ახალგაზრდა კაცი ბოჩია ლაზარია იქვე დახვრიტეს. დაწვეს, ვადაბუგეს სოფელი. პეერ მათვანს თვითონვე წააკიდებინეს ცეცხლი საკუთარ სახლზე და აყურებინეს ბოლომდე, თუ როგორ იქცეოდა ნაცრად საუკუნოობით ნაგროვები დოვლათი და სახლ-კარი, ერთ კაცს კი საკუთარ ტანსაცმელზე წააკიდებინეს ცეცხლი, მაგრამ ივი რაღაც სასწაულით ვადაურჩა სიკვდილს.

საღამო ხანს სოფლელებმა იქვე მდინარე ქორომონში აღმოაჩინეს ჯუმბერ გოგსანიასა და ნუგზარ არდიას უმოწყალოდ დამახინჯებული ვვამები.

ახლო-მახლო ყველა სახლი ვადამწვარი იყო, ცხედრების დასასვენებელი ადგილიც ვერ ვამონახეს და სამივე ცხედარი მინდორში დაასვენეს.

შეშელეთი ხომ მსოფლიოში განთქმული მეცნიერის, უდიდესი მათემატიკოსის ილია ვეკუას მშობლიური სოფელია. სოფელს ამშვენებდა ილიას შესანიშნავი სახლ-მუზეუმი კოპწია ოდა-სახლით, სამზადით, წისქვილით, გაკრიალებული ეზო-კარით. მუზეუმი გაძარცვეს, ყველა ექსპონატი პირწმინდად წაიღეს, შენობები გააპარტახეს.



ირეოდიონ და ეთერ ფურფუმიები

ამ სოფლის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი იყო **ირ**ოდიონ **წურწ**უმია. მიუხედავად არაერთი ცდისა და ხრიკისა, ვერა და ვერ დაიმორჩილეს, სულიერად ვერ გატეხეს იგი აფხაზმა ბოევიკებმა. ირ**ოდ**იონი და მისი მეუღლე ქალბატონი **ეთერი** არ გაეცქნენ საფრთხეს, არ შეუშინდნენ სიკვდილს, სოფლიდან ფეხი არ მოიცვალეს.

ამ დიდებულმა ცოლ-ქმარმა შვიდი ღირსეული შვილი აღუზარდა ქვეყანას, 10 შვილიშვილი ჰყავდათ, მაგათ დაფრთიანებას შეჰხაროდნენ. ასაკთან შედარებით ახალგაზრდად გამოიყურებოდნენ ცოლ-ქმარი, სანიმუშო იყო მათი ოჯახი, ახლადაგებული დიდებული სახლი, საგანგებოდ მოვლილი ეზო-კარი, ციტრუსებისა და თხილის ნარგაობა... ყველაფერს ეულისხმიერება და მზრუნველი ხელი ეტყობოდა.

ძლიერი ნებისყოფის, მოქნილი და უშიშარი იყო ოჯახის თავკაცი ბატონი ირ**ოდ**ი. ჩინებულ მეოჯახესა და მეურნეს ეამოულეველად ჰყავდა სტუმარი და თამადობა—მასპინძლობაც საგანგებო იცოდა. მისი უბრალო და ეულღია მასპინძლობა მარად დაამახსოვრდებოდა ყველა იმას, ვინც მის ოჯახში მოხვდებოდა.

ხელმარჯვეც იყო ბატონი ირ**ოდ**ი, ბრწყინვალედ ერკვეოდა ელექტროტექნიკაში და ამიტომ სოფელში მას გაჭირვების ტალკვესს ეძახდნენ.

ბევრჯერ დაესხნენ ბოევიკები მის ოჯახს, მაერამ ირ**ოდ**იონმა ყოველთვის მოახერხა თავის დახსნა.

1996 წლის 29 მარტს ღამით ბოევიკებმა მეზობელს დააძახებინეს და ასე მოტყუებით ირ**ოდ**ის სახლის კარი გააღებინეს, ფული მოსთხოვეს, დროც დაუთქვეს, თუ როდის უნდა მოეტანა მას თანხა ბოევიკებისათვის. ბოლოს ჩხუბი მაინც აუტეხეს იმაზე, რომ ირ**ოდ**ის საათი თბილისის დროით მუშაობდა, სახლის რკინის კარები ჩაკეტეს ვარედან და ცეცხლი წაუკიდეს იმ მიზნით, რომ ცოლ-ქმარი ცოცხლად დაეწვათ. წინდახედულ და გამჭრიახ ირ**ოდ**ის თურმე საიდუმლო ვიწრო ვეირაბი ჰქონია გათხრილი მისი სახლის გვერდით მიმავალ მდინარემდე და ამჯერად ვეირაბმა ვადაარჩინა.

29 მარტს ისევ შეუვარდნენ... რაღაც სასწაულად კიდევ ვადარჩა.

9 აპრილი საბედისწერო აღმოჩნდა ცოლ-ქმრისათვის, აფხაზმა ბოევიკებმა ორივე ცოლ-ქმარი ოჩამჩირის მიმართულებით წაიყვანეს, დაიკარგა მათი ასავალ-დასავალი, მხოლოდ ათი დღის შემდეგ იპოვეს მათი ნაწამები გვამები, რომლებიც მხეცების საჯიჯგნად დაუყრიათ სოფელ ილორის ტერიტორიაზე.

ღმერთო! ეს კეთილშობილი ადამიანები მოახვედრე იქ, სადაც კეთილნი განისვენებენ!

„ედემის ბაღშიც“ შემოალაჯა სიკვდილმა

პირველი ზალი

პირველი ვალის სასოფლო საბჭოში შედის სოფელი **ლეკუმხარა**, რომელსაც ვალის რაიონში უფრო „საბჭოთა კონსტიტუციის“ სახელით იცნობენ, ნარინჯ-თურინჯებით დამშვენებული ლამაზი და კოპწია სოფელია. მის ყველა კუთხე-კუნჭულს ატყვია ვამრჯე-მშრომელი კაცის ხელი.

დიდი შრომითი ტრადიციების მქონეა სოფელი ლეკუმხარა. ვანსაკუთრებით მას სახელი გაუთქვა სიმინდის უხვი და მყარი მოსავლის მიღებამ. აღსანიშნავია, რომ სოფელში, სადაც ორმოცდაათიან წლებში ორასამდე კომლი ცხოვრობდა, სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის „შრომის გმირის“ საპატიო წოდება თორმეტ მოწინავე კოლმეურნეს მიენიჭა. შორს გაიტანეს სოფლის სადიდებელი სახელი სიმინდისა და ჩაის რეკორდული მოსავლის მიღების ოსტატებმა: **ჩაქა ჯეჯეიამ, პარმენ სარუამ, ლენტი ეზუგბაიამ, კვანტა კაკავამ, რაჟდენ სარუამ, ვალოდია ჯგენერაიამ, ლენტი ჯეჯეიამ, თამარ კაკავამ, ბაგა კაკაჩიამ, ჯოჯო მიქაიამ, სევერ კაკავამ, ერმანე მიქაიამ** და **სხვებმა**.

სოფელი ლეკუმხარა ამაყობდა და ამაყობს თავისი ღირსეული მემკვიდრეებით. წინაპართა ტრადიციებს არც ახალი თაობა ღალატობდა, რომელთა დაუღალავი შრომითა და ვარჯით „კონსტიტუციის“ სახელობის კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებში ითვლებოდა მთელს საქართველოში, როგორც სიმინდის, ჩაის, ციტრუსების, ტუნგის, ყურძნის უხვი მოსავლის მიღებაში, აგრეთვე, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების საქმეში.

ორმოციანი წლებიდან სხვადასხვა დროს კოლმეურნეობის გამგეობას სათავეში ედგნენ გამოცდილი სამეურნეო მუშაკები: **გრიშა ქეცბაია, კოსტია ჩემინავა, ვალოდია უზუგბაია, ჯოგო სირგინავა, ლავრენტი ჯანაშია, ვაჟა კაკავა, გერონტი ცაცუა, შალვა ხარჩილავა, მიხეილ ბულისკერია, თამაზი შამუგია**. დასანანია, რომ მათი უმრავლესობა დღეს ცოცხლები არ არიან.

დიდ სამამულო ომში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სოფლის რჩეულმა ვაჟკაცებმა, რომელთა უმრავლესობა შეეწირა ფაშისტურ ურჩხულს და ვერ დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს, ოჯახებს. მათი სახელის უკვდავსაყოფად სოფელში აღმართულია შინმოუსვლელთა ობელისკი.

სოფლის საამაყო მკვიდრთაგან ვინ არ იცნობდა ვლადიმერ მალაზონიას პატიოსან, მშრომელ ოჯახს, რომელმაც აღზარდა ორი ვაჟკაცი და ერთი ქალიშვილი: ვანო, სევერიანე და ნუნუ. და-ძმებს შორის ვანო უფროსი გახლდათ და იგი დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღიდანვე ჩაება ფაშისტ-დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში. შემდეგ... შემდეგ კი მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვის მაუწყებელი ბარათი მოვიდა.

სევერიანე ვლადიმერის-ძე მალაზონია

უფროსი ძმის მაგალითისამებრ, სრულიად ყმაწვილი მოხალისედ ვაეშურა ომში სევერიანე მალაზონია. მან სულ მალე იწვნია ტყვეობის სიმწარე, ორჯერ ვამოიქცა ფაშისტთა საკოცენტრაციო ბანაკიდან. ისევ ჩაება ბრძოლებში. ის ორჯერ იყო მიწაში ჩამარხული მტრის ყუმბარებისაგან, მაგრამ თანამებრძოლებმა ორჯერვე ვადაარჩინეს აშკარა სიკ-

ვდილს. ორჯერ მოვიდა ავისმაუწყებელი ბარათი მალაზონიების ოჯახში სევერიანეს დაღუპვის შესახებ, მაგრამ მოხდა საოცრება და ხუთი წლის შემდეგ სევერიანე ორდენებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა თავის მშობლიურ ოჯახს.

დიდი სამამულო ომის ქარცეცხლგამოვლილი ვაჟკაცი სევერიანე მალაზონია შრომით ფერხულში ჩაება კოლმეურნეობაში. გავიდა ცოტა ხანი და ეზუგბაიების მშვენიერ ასულზე – ეთერიზე დაქორწინდა. იმრავლა მოდგმამ: დარეჯანით, რუსუდანით, ბეჟანითა და ქეთინოთი. ხარობდა სევერიანე და ეთერი მალაზონიების დიდი ოჯახი.

ომი და ჭირ-ვარამ გამოვლილმა სევერიანემ თავისი შინმოუსვლელი უფროსი ძმის უკედავსაყოფად ტიპური მეგრული ძველებური ოდა-სახლი ააშენა და იქ მუზეუმი გახსნა. რაც კი იყო ძმასთან — ვანოსთან დაკავშირებული, ყველაფერს თავი მოუყარა მუზეუმში. ხშირი სტუმრობა ჰქონდათ მალაზონიებს ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაულების დღეებში. აქ თავს იყრიდნენ სხვადასხვა რაიონებიდანაც ჩამოსულები და პატივს მიაგებდნენ შინმოუსვლელი ვაჟკაცის ვანო მალაზონიას სახელს.

ომი... ეს არის უსაშინლესი სიტყვა ყველა ხალხის სიტყვიერ მარაგში.

დადგა 1993 წლის 29 სექტემბერი, ძირ-ძველი სამურზაყანოსათვის ავისმომასწავებელი დღე. განგაშის ხმამ სოფელ ლეკუმხარასაც ამცნო აფხაზ სეპარატისტთა და მათ მიერ დაქირავებული კაცთმკვლელების მოახლოება. კბილებამდე შეიარაღებული ურჩხული ტანკებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით მოჯლიგინობდა მშვიდობიანი მოსახლეობის ასაოხრებლად და ასაწიოკებლად.

აიყარა მთელი სოფელი. დიდი და პატარა გაუდგა ენეურის გაღმა რაიონებისა და ქალაქებისაკენ მიმავალ გზას.

ვერ შეელია სევერიანე მალაზონია თავის სამოსახლოს, თავის ნაჯაფარს, ალალი შრომითა და ოფლით მონაპოვარს. თანაც სჯეროდა მას, ომგამოვლილ კაცს, რომ ლტოლვილობა დროებითია და უდანაშაულო ხალხი ისევ მალე დაბრუნდებოდა. მან ვერაფრით აღიქვა, თუ რატომ უნდა დაეტოვებინა ძირ-ძველი მიწა-წყალი, ნაჯაფ-ნაღვაწარი სახლ-კარი და დედაბუდიანად რატომ უნდა გადახვეწილიყო სხვაგან? მაგრამ...

როგორც მოსალოდნელი იყო, სოფელ ლუკუმხარასაც შემოესიენ აფხაზი ბოევიკები და მათი დაქირავებული კაცთმკვლელები. გადათელეს და ააოხრეს სოფლის მოსახლეობა. ცეცხლში გაეხვია უდანაშაულო და ალალი ხალხის სახლ-კარი. მომხდურმა ყაჩაღებმა პირწმინდად

ეაძარცვეს აქაური მცხოვრებლები და თან გარეკეს მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონელი, ფრინველიც კი არ დატოვეს საქათმეებში.

სეევერიანე მალაზონია იცავდა, თუ რამე გადარჩენოდათ მძარცველებს; ცდილობდა შეენარჩუნებინა, როგორც თავისი, ასევე მეზობლების ნაამაგარი.

ასე წამებასა და ტანჯვაში გაიარა წელიწადნახევარზე მეტმა დრომ და დადგა 1995 წლის მაისი, ფაშიზმზე გამარჯვების ორმოცდამეათე წლისთავი. ბატონი სეევერიანი ამ ზეიმს ხომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, როგორც იმ ომის უშუალო მონაწილე, თანაც ამ ომს შეეწირა სრულიად ახალგაზრდა, სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის წარჩინებული სტუდენტი, მისი ძმა ვანო მალაზონია. თვითონ სეევერიანემაც ხომ დაღვარა სისხლი ამ ჯოჯოხეთურ ომში, და აგერ ზეე 9 მაისი დგება, ფაშიზმზე გამარჯვების დღე, მაგრამ...

...1995 წლის 7 მაისს, დღისით, მზისით ბატონ სეევერიანეს უცებ ახლო მეზობლობაში ავტომატის ტკაცა-ტკუცი შემოესმა. იარაღის ხმაზე გულმა რატომღაც რეჩხი უყო. მის თავში სწრაფად გაიელვეს ავმა ფიქრებმა, მას უმალ გაახსენდა აფსუა-სეპარატისტებისა და მათ დაქირავებულ მკელელთა მიერ ამასწინანდელი ავი ნამოქმედარი. ჯერაც ვერ მოენელებინა სოფელს კაციჭამიების მიერ დატრიალებული სისხლიანი ეგზეკუცია. არაკაცებმა არნახული, უსასტიკესი წამებით თავის საკუთარ ოჯახში სიცოცხლეს გამოასალმეს სრულიად უდანაშაულო პიროვნება, სოფლის ძველი მოსახლე, მთელს რაიონში ცნობილი მექანიზატორი მატალი ჯეჯეია, ასევე არ დაინდეს ჯალათებმა სოფლის პატიოსანი მკვიდრნი, ალალი მშრომელები: აპოლონ ცაცუა, გივი ჯეჯეია, მურმან ჯოჯუა, კოტე შამუგია, მირიანე ტორუა, იროდი გერგედავა, ინდიკო დარსანია, ამური ჯობავა, აკაკი გაბლაია, კოტე ხიკლანძე, მურმან ახვლედიანი და მისი თხუთმეტი წლის ეაჟი მანუჩარი და აი, კიდევ ავისმომასწავებელი ვასროლა...

აფსუა ბანდიტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ყველასათვის პატივსაცემი პიროვნება, თავისი სინდის-ნამუსითა და სტუმართმოყვარეობით განთქმული ადამიანი, ბაბუა კაცი ვანო მინჯია, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მან სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ჯალათებს და მძარცველებს სოფლის მოსახლეობის ნაძარცვით მანქანის დატვირთვაზე.

სროლის ხმის მიმართულებით გაეშურა სეევარიანეც, იქნებ მივეშველოო, მაგრამ ეკიანი იყო, თავისი ორსართულიანი, ახალაშენებული კოპწია სახლის წინ, შუა ეზოში გულ-მკერდგანგმირული მიწაზე ეაშხლართულიყო ვანო ხრისტოს ძე მინჯია და სისხლში ცურავდა.

—„იმ პირსისხლიანებმა როგორი ვაჟკაცი მოგვიკლეს"—ეს იყო პირველი სიტყვები, რომელიც უბედური შემთხვევის აღვილზე მისვლისას

წარმოთქვა ბატონმა სევერიანემ. ვაი, რომ ეს სიტყვები საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის.

...თითქოს იგრძნო უბედურების მოახლოება ბატონმა სევერიანემ, იმ ღამეს მეუღლე მეზობელთან გაუშვა ღამის გასათევად, შინ კი მარტო დარჩა. ფხიზლობდა, რკინის ნაჭერი მომარჯვებული ჰქონდა, მაგრამ...

...1995 წლის 8 მაისს, უთენია სოფელი შეძრა ქალის კივილმა. ოდასახლის გვერდით ჯალათების ხელით შუბლგანგმირული იპოვეს სევერიანე მალაზონია.

ელლოვობდა სოფელი, ელლოვობენ დღესაც სევერიანე მალაზონიას ჯიში და ჯილაგი, მთელი ნათესაობა და ნაცნობ-მეგობრები.

სევერიანე ვლადიმერის ძე მალაზონია—ეს რბილი და უწყინარი ბუნების კაცი, რომელსაც სიცოცხლეში მტერი არ ჰყოლია, კაცი, რომელსაც ჰქონდა სიყვარულის დიდი ნიჭი, და სწორედ ამიტომაც უყვარდა იგი ყველას. მას სოფელში, ჭირში და ლხინში პირველ კაცად თელიდნენ, მას ეკითხებოდნენ, მისგან რჩევას იღებდნენ.

ბატონი სევერიანე გახლდათ საოცრად თავმდაბალი, კეთილშობილი, თავის პროფესიაზე შეყვარებული. პროფესიით სწავლული აგრონომი, წლების განმავლობაში იღწვოდა კოხორის მეციტრუსეობის მეურნეობაში. დიდი გულისყურით ეკიდებოდა მეხილეობის, მევენახეობისა და მეციტრუსეობის განვითარებას. ბუნებისაგან დალოცვილი მარჯვენით ამყნობდა და ამრავლებდა მრავალწლიან კულტურებს, ეწეოდა სელექციურ მუშაობას, რა ჯიშის ხეხილი და სუბტროპიკული კულტურები არ ხარობდა მის საკარმიდამო ნაკვეთზე. ტყუილად კი არ ეძახდნენ მთელს რაიონში მის ეზო-კარს „ედემის ბაღს“.

წავიდა ცხოვრებისეული განცდებით დატვირთული, მრავალი სიხარულისა და უბედურების მნახველი. უკან დარჩა ღირსებითა და პატიოსნებით განვლილი გზა. მისი ცხოვრება მისაბაძი მაგალითია იმათთვის, ვისაც გადაუწყვეტია თავისი პატიოსანი შრომითა და ბრძოლით მოიპოვოს მომავალი. ჯალათის ხელმა უდროოდ მოაშორა წუთისოფელს ღირსეული შვილებისა და შვილიშვილების აღმზრდელი პიროვნება ბატონი სევერიანე მალაზონია.

მსუბუქი იყოს მისთვის სამურზაყანოს მშობლიური მიწა.

იძინეთ სამუდამო სასუფეველში, ჩვენო კეთილო ადამიანებო!

ი. კაკაბა

ქარბორბალა გუდავაში

სოფელ გუდავაში დატრიალებული ტრაგედიის მსხვერპლთა შესახებ ზემოთ არაერთგზის არის მოხსენებული, მაგრამ მკითხველს სრული წარმოდგენა რომ ჰქონდეს აფხაზ ბოევიკთა და მათი დაქირავებული მკელელების მიერ დატრიალებულ უბედურებაზე, მიზანშეწონილად ვცანით ერთი სოფლის მაგალითზე უფრო დაწვრილებით გეეჩვენებინა მშვიდობიანი მოსახლეობის თავზე ვანელილი ქარბორბალას შემაძრწუნებელი სურათები. რაიონის ყველა სოფელშიც ხომ ანალოგიური მდგომარეობა იყო.

აფხაზი ბოევიკები ცეცხლითა და მახვილით სამჯერ შემოიჭრნენ სოფელ გუდავაში. პირველად 1993 წლის 3 ოქტომბერს შემოვიდნენ ოჩამჩირიდან ზღვისპირა გზით და სოფლის ცენტრში შეჩერდნენ. მეორე ჯგუფი ოხურეიდან გამოჰყვა გუდავისაკენ მიმავალ გზას, ვაიარა სახუბუო და შეუერთდა პირველ ჯგუფს. ეზების გასწვრივ მდებარე ყველა სახლი დაწვეს და მოხელთებული ადამიანები ერთიანად დახოცეს.

მეორედ 1993 წლის 24 ნოემბერს შემოიჭრნენ ქ. ოჩამჩირიდან და სახუნწარიოს ვავლით საკემულარიოში ვავიდნენ აჩიგვარის მიმართულებით, იმავე დღეს ხელმეორედ შემოვიდნენ ოხურეიდან, ჩვეული ხელწერითა და სადიზმით გაუსწორდნენ ადამიანებს, ცეცხლს მისცეს სახლები.

მესამედ 1994 წლის 8-9 თებერვალს, ქ. ოჩამჩირიდან, ოხურეიდან, აჩიგვარიდან და რეფიდან შემოესივნენ სოფელს, მოიარეს ყველა უბანი და ბარბაროსული მეთოდებით ამოწყვიტეს მშვიდობიანი მოსახლეობა. ენით გამოუთქმელი სისასტიკით საბოლოოდ გაასწორეს მიწასთან მთელი სოფელი, ქარბორბალასავით გადაუარეს მას, ნასოფლარს დაამსგავსეს იგი. გული უკვდებოდათ აქა-იქ სასწაულებრივ გადარჩენილ ადამიანებს, როცა ხედავდნენ, თუ როგორ იწვებოდა ათეულობით წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელი შრომით შექმნილი სახლ-კარი.

სოფლის შემზარავ სიჩუმეში ცეცხლის ტკაცუნი და ძაღლების ვაბმული ყმუილი ისმოდა მხოლოდ, ცას სწედებოდნენ ცეცხლის ალები, უსასრულობისაკენ მიიკლაკნებოდა კვამლის სვეტები, ბოროტების ნამდვილი ზეიმი იყო. ადამიანებს ცრემლი დაუშრათ და ხმაც ჩაუწყდათ შიშის გამო. დახოცილთა გაპატიოსნებისა და დატირების საშუალებას არ იძლეოდნენ გამხეცებული მოძალადეები. ვარკვული დროის შემდეგ ბოევიკები—ჩადენილი ბოროტებით კმაყოფილები—სოფელს ვაშორდნენ, მავ-

რამ თან წაიყვანეს დატყვევებული სოფლელები შემდეგ კი პერიოდულად ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ სოფელში და მიჰყავდათ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ღორი, ფრინველებიც კი, მიჰქონდათ საოჯახო ნივთები, ადამიანებს აბუჩად იგდებდნენ, აწამებდნენ, ხდიდნენ მათ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს, აშინებდნენ—შემდეგ მოსვლაზე მოგკლავთო.

ბოევიკებმა 70 წლის კაცს მაკარი აკიშბაიას სცემეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან არ მიასწავლა თანასოფლელის სერაპიონ სოფიას ადგილსამყოფელი, შემდეგ იგი ეზოში მდგარ ლეღვის ხეზე ჩამოკიდეს, საბედნიეროდ ლეღვის ტოტი ჩამოიზნიქა და ბატონი მაკარი ვადარჩა, მაშინ მას სულმოუთქმელად ძალად დაალევინეს ორი ლიტრი არაყი. მან მაშინათვე დაკარგა გონება. მოძალადეებს იგი მკვდარი ეგონათ და წავიდნენ. მაკარი სასწაულებრივ ვადაურჩა სიკვდილს.

68 წლის მეგონა ქარდავას ყველა ძროხა წაართვეს, მან ითხოვა ღრმად მოხუცი დედისათვის ერთი ძროხა მაინც დამიტოვეთო. რაფერ გამიბედეთო და მას ცემით ნეკნები ჩაუმტვრიეს, ასევე მოექცნენ ხანდაზმულ ადამიანებს სანატრელ ზაქარაიას, მიშა ხუნწარიას და სხვებს. ასეთი ჯოჯოხეთური პირობების ვამო სოფელში მხოლოდ ათამდე ოჯახი დარჩა, დანარჩენებმა დატოვეს მშობლიური ადგილები.

აფხაზმა ბოევიკებმა გუდავაში დასწვეს 360 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, დაანგრიეს, სახურავი გადახადეს, კარ-ფანჯრები ჩამოხსნეს 255 სახლს (670-დან) ორი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის შენობას და ხუთი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებს, სოფლისათვის მიყენებული ზარალის რაოდენობა დაახლოებით 35 მილიონზე მეტ ლარს შეადგენს.

გუდაველები მაინც ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, დაბრუნდებიან, 5-6 წლის განმავლობაში ისინი შეძლებენ ძველებური ცხოვრების აღდგენას, სახლებსაც აიშენებენ, პირუტყვსაც მოაშენებენ, შეიძენენ საოჯახო ინვენტარსა და ნივთებს, მაგრამ, ვაი, რომ ვერაფერი ეშველებათ იმ ადამიანებს, რომლებიც აფხაზი ბანდიტების ვანდალიზმს შეეწირნენ, რომელთა დანაშაული აფხაზთა წინაშე სრული უდანაშაულობაა. ამ ბედკრულ ადამიანებს არ მოუწიათ საკუთარ ლოგინში მშვიდად, ახლობლების ზრუნვასა და გარემოცვაში სიკვდილი ადათისა და წესის მიხედვით დატირება და დასაფლავება.

აფხაზმა ბოევიკებმა გუდავაში მოკლეს 78 მშვიდობიანი მოსახლე, მათ შორის უგზო-უკვლოდ დაიკარგა 10, სახლთან ერთად დაწვეს 6, თავი მოჰკვეთეს ოთხს, გააუპატიურეს 2, დახვრიტეს—1, ტანკით ვაჭყლიტეს—1, ამ სტატისტიკიდანაც ჩანს ბოევიკთა ნამდვილი სახე, მათი მხეცური ინსტიქტები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სტრიქონების წაკითხვაზე ერთხელ კიდევ

დაეცემათ თავზარი დაღუპულთა ჭირისუფლებს, მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ სათითაოდ მოვიხსენიოთ ეთნიკური წმენდის მსხვერპლნი.

1993 წლის ოქტომბერში დაიღუპნენ: ირონდი აბრალავა (65 წ. აწამეს), გიორგი გაბუნია (37 წ.), იური გაბუნია (42 წ.), რევაზი ზანთარაია (54 წ.), მალხაზი კვაშილავა (23 წ., ეკამი ჩააგდეს ენეურჰესის არხში, ერთი კვირის შემდეგ ეამორიყა ზღვამ), თამაზი კიკორია (30 წ.), ვლადიმერ რომანოვსკი (63 წ.), შიპო სარია (56 წ.), ირაკლი ქარდავა (63 წ. სოფელ შეშელეთში ცენტრალურ გზაზე ტანკმა ეაჭყლიტა), აბელი შამათავა (65 წ. ჩამოკიდეს ხეზე), ალექსანდრე შაკაია (67 წ.), დავით ხოჭავა (67 წ.) ფუშაკი ხუბუა (66 წ.)

1993 წლის ნოემბერში: იგორი ალანია (44 წ, სხეული დაფლეთილი ჰქონდა ტყვიებისაგან), ინდიკო ალანია (65 წ. უსინათლო, ეკამი დაწვეს სახლთან ერთად), კოსტია გვაძაბია (63 წ.), შურა გიგავა (68 წ., თავი მოჰკვეთეს ნაჯახით), ჭიჭიკო გიგავა (75 წ., თავი მოჰკვეთეს ნაჯახით), რუსლან კვაშილავა (35 წ.), დავით კვაშილავა (62 წ.), დავით ლატარია (66 წ. ეკამი დაწვეს, ინდიკო ალანიას სახლთან ერთად), ბაბუცა ჩხვირკია-მალიშავა (68 წლის, ეკამი დაწვეს სახლთან ერთად), ვიტალი ფულიევი (16 წ.), სერიოჟა ცაცუა (57 წლის).

1993 წლის დეკემბერში: ზაური ფულიევი (63 წ., აწამეს), ინგიშთერ ხაბურზანია (63 წ. აწამეს), შუშანიკა ხაბურზანია (83წ.)

1994 წლის თებერვალში: შოთა აკიშბაია (37 წ), ნაზია კილანავა-აკიშბაია (67 წ., შვილის ცხედარს დააკლეს), თალიკო ჩხვირკია-აკიშბაია (67 წ.) დუშელი თაკალანძე (59 წ.), ჟორა ლაგვილავა (54 წ., აწამეს), მიმოზა სანაია (49 წ. მიაბეს საკუთარი სახლის აივნის ბოძზე, აწამეს, დანით რამდენიმე ადგილას დაჭრეს), კახაბერ სანაია (30 წ. მიაბეს საკუთარი სახლის აივნის ბოძზე, აწამეს, რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს), აკაკი შანავა (92 წ.), რაული ჩხვირკია (52 წ., ტყვედ აიყვანეს, აწამეს), ნიკოლოზ ხუნწარია (87 წ).

1994 წლის მარტსა და აპრილში: გენადი ხუბუა (57 წ.), მერაბი ზაქარაია (31 წ.), რობერტი ქვაცაბაია (31 წ, აწამეს), რეზო ხაბურზანია (50 წ. აწამეს, თავი მოჰკვეთეს და ჭიშკრის ბოძზე წამოაცვეს).

1994 წლის მაისში: კოსტია დოჩია (41 წ. აწამეს), ნოდარი შამუგია (59 წ), მარგარიტა ჩაჩხალია (80 წ. ეკამი დაწვეს სახლთან ერთად), ჟულია ჩაჩხალია (84 წ. დაწვეს სახლთან ერთად).

1994 წლის ივნისს, ივლისსა და აგვისტოში: გურგენი ჯიქია (25 წ.), ჯულიეტა თორორდავა (50 წ. დანით რამდენიმე ადგილას ჭრილობა მიაყენეს), მიხეილ ტყებუჩავა (58 წ.), არველოდ ძანძავა (50 წ., დაიჭირეს კისერზე მავთული ეამოაბეს და ათრიეს მანამ, სანამ სული არ ამოხადეს).

1994 წლის ნოემბრეში: **დავით რუხაია** (73 წ), **ალიოშა რუხაია** (45 წ. ევამი ნახეს'ერთი თვის შემდეგ).

1995 წლის მაისსა და დეკემბერში: **ელგუჯა სიხარულია** (32 წ. აწამეს) **ფლორა კვირკველია-სიჭინავა** (60 წ. აწამეს), **შოთა სიჭინავა** (69 წ., აწამეს, ევამი ბაწრით ჩამოკიდეს სახლის შიგნით).

1996 წლის თებერვალსა და ივნისში: **ჯანიკო ზარქუა** (27 წ., ევამი რამდენიმე დღე გაარჩერეს ქ. ოჩამჩირეში), **ბელა კულიკოვა** (46 წ., თავი მოჰკვეთეს).

1997 წლის აპრილში: **მურმან კოტუა** (35 წ.)

ეუდაველები, რომლებიც უკეთურთა ხელით დაიღუპნენ, სამშობლოს ღირსეული შვილები არიან. ისინი მოკვდნენ მშობლიური მიწა-წყლისათვის, სადაც მათი წინაპრები საუკუნეების მანძილზე თაობიდან თაობას გადასცემდნენ ცხოვრების ესტაფეტას, რომელთა ფესვები და წინაპართა საძვალეები მხოლოდ ეუდავაშია და სხვაგან არსად. **დიდება და მარადიული ხსოვნა მათ სახელებს. ღმერთო, ნათელში ამყოფე ტანჯულთა სულები.**

ეუდაველები ახალგაზრდების ეარკვეული ნაწილი თავდადებითა და ვაჟკაცურად იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიზანულ მოძრაობაში. მათ დაამტკიცეს, რომ სამშობლოს სადარაჯოზე შეუძლიათ მედგრად დგომა და საჭიროების შემთხვევაში სიცოცხლის გაწირვა. ამის ნათელი მაგალითია **ბესიკი თორიას** (დაიღუპა სამხედრო ოპერაციის ჩატარების დროს 1992 წლის ნოემბრეში 24 წლის ასაკში) და **დავით ზაქარაიას** (დაეცა ბრძოლის ველზე 1993 წლის აპრილში 26 წლის ასაკში) თავის დადება სამშობლოსათვის.

ანალოგიური უკვდავების ფურცლები გადაშალეს ძმებმა **რომან** და **ზურაბ ჩხაპელიებმა** (36 წლის ასაკში დაიღუპა რომანი, 1996 წლის თებერვალში, ხოლო 37 წლის ზურაბი დაიღუპა 1997 წლის იანვარში პარტიზანული ბრძოლის დროს). **შაქრო ვარდანია** (დაიღუპა 36 წლის ასაკში 1996 წლის სექტემბერს დავალების შესრულებიდან დაბრუნებისას) **მურთაზი ლიპარტია** (35 წლის ასაკში დაიღუპა), სპეციალური დავალების შესრულებისას ნაღმზე აფეთქდა.

სოფელში დატრიალებულმა ტრაგედიამ აიძულა ისინი ჩაბმულიყვნენ პარტიზანულ მოძრაობაში. მათი მხრიდან ეს იყო სამართლიანი შურისძიება გადამწვარი სოფლისა და განსაკუთრებით უდანაშაულო მოკლული ადამიანების სანაცვლოდ. ისინი პირნათელნი არიან თანასოფლელთა და ღვთის წინაშე. ბევრი ეუდაველი მებრძოლი პარტიზანის ვინაობას აქ არ ვასახელებთ გასაგები მიზეზების გამო, მოვა დრო და მათი საქმენი საგმირონი არ დარჩება სათანადო შეფასების გარეშე.

ცალკე მინდა აღვნიშნო იმათზე, ვისი ადგილსამყოფელისა და ფიზიკურად არსებობის შესახებ დღემდის არაერთარი ცნობები არ მოიპოვება. ამის გამო ისინი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებიან.

1993 წლის ოქტომბერში დაიკარგა ტიმოფეი კუშნარიევი (43 წ.), 1993 წლის ნოემბრეში: ნიკოლოზ ედიშერაშვილი (32 წ), ჯულიეტა ლაკირბაია (42 წ), ჯუსტანი ლაკირბაია (49 წ). 1994 წლის აპრილში: ლუბა სტუპაკი (56 წ), 1994 წლის ოქტომბერში: ანატოლი ბუტკო (56 წ), როინ ჯანჯულია (57 წ.) 1994 წლის ნოემბრეში: სერგო კაროიანი (68 წლის), პლატონი დოჩია (70 წლის), ვალენტინა ჩაიკოვსკაია (70 წ).

სხვადასხვა დროს აფხაზმა ბოევიკებმა ტყვედ წაიყვანეს გუდაველები: ნუგზარ აკიშბაია, ზაური ჩხვირკია, ვანო გოგოხია, ტუტუ ჯანჯულია, რაული წურწუმია, ბოჩია ქუთელია, მამანტი კოტუა, ვახტანგი კოტუა, დიდიკო ქუთელია, კობა სანაია, რემიკო წურწუმია, ტუტუ შარია, გონერი ღვინჯილია, ნოდარი კვაშილავა, და... მათ არაადამიანურად აწამებდნენ, ფეხის ფრჩხილების ჩაქუჩით დაჩეჩქვა, ცემა, ნემსებით ჩხელეტა, თმებზე ცეცხლის წაკიდება, კბილების ჩამტვრევა, იატაკზე დაგდებულის ფეხებით გათელვა, შიმშილი, შეფურთხება და სხვა ათასნაირი მეთოდი და ილეთი ჰქონდათ წამებისა და ტანჯვის არსენალში. საბოლოოდ როცა დარწმუნდებოდნენ ტყვის „უდანაშაულობაში", მისი ჭირისუფლებისაგან მოითხოვდნენ გამოსასყიდ თანხას და მხოლოდ ამის შემდეგ ანთავისუფლებდნენ ფიზიკურად და მორალურად განადგურებულ ადამიანებს.

არანაკლები უბედურებაა მშობლიური კუთხიდან აყრა და ხიზნობაში ცხოვრება. დევნილობამ წელში გაწყვიტა აფხაზეთის ქართველობა, ალბათ, ადამიანის გონებას აღემატება იმ ტრაგედიის აღწერა, რაც დევნილებმა გადაიტანეს ომში შვილის, ძმის, დის, მშობლების, ახლობლებისა და მეგობრების დაღუპვითა, ზღვითა და მთით ევაკუაციის შემზარავმა სურათებმა, გაურკვევლობამ და შოკმა, რომელიც თან ახლდა დევნილობის პერიოდს, თავშესაფრისა და ლუკმაპურის ძებნამ, დევნილობაში ახლობლების გარდაცვალებამ, მათი სხვის სასაფლაოში დაკრძალვამ, იმედის გაცრუებამ აფხაზეთის დაბრუნებაზე, მომავლის გაურკვევლობამ რწმენა და ჯანმრთელობა შეურყია, სულიერად და ფიზიკურად ეატეხა აფხაზეთის ქართველობა, ამიტომაც მკვეთრად გადიდდა სიკვდილიანობა და საგრძნობლად შემცირდა შობადობა.

მამაპაპურ სასაფლაოში დაკრძალვის ნატვრით დატოვეს წუთისოფელი 1993-1997 წლებში: ტატაში ჯანჯულიამ, ჟორა შამათავამ, ვალერი ჩხვირკიამ, სერიოჟა ბაკარანძემ, ისაკი ჯანაშიამ, შალიკო ლომიამ, ლუსია ბერაიამ, ულინა ბერაიამ, ვალია კვარაცხელიამ, კუზული ჩხვირკიამ, ანატოლი იზორიამ, არსენა ლობჟანიძემ, ლენა ხაბურზანიამ, მიშა

ჯანჯულიამ, შურა ხუბუამ, აპილო ტაბაღუამ, სონია ქვარანძიამ, თამარა ბერიამ, პროფი პაპასქირმა, ამირან ხუბუამ, გურამი ბაკარანძემ, შალვა წურწუმიამ, მარგო კიკორიამ, მირიანე კიკორიამ, ღუდა ჩხვირკიამ, ლულია საბეკიამ, დანელა საბეკიამ, იონა გამისონიამ, დიანოზი გამისონიამ, ინდიკო ძერიამ, თინიკო სანაიამ, შურა ალანიამ, ბროლცა ქარდავამ, ვახტანგი ზაქარაიამ, ლულუა ქუთელიამ, ძაბიკო ჩხვირკიამ, როლანდი გეგეჭკორმა, ტატიანა გეგეჭკორმა, ანატოლი ჯანჯულიამ, მერაბი შამათავამ, ნიურა ბერაიამ, ირაკლი მიქავამ, ვაჟიკო ტაბაღუამ, პლატონ დოჩიამ, ტერენტი აკიშბაიამ, ქვაცა სიჭინავამ, ვალიკო ესათიამ, ტონია ქარდავამ, აპო შონიამ, ბოჩია ჩხაპელიამ, ჟორა ჩხვირკიამ, ვალოდია მეფორიამ, ზაზა შონიამ, ღულუნი კემულარიამ, კოლია წურწუმიამ, შოთა ზაქარაიამ, ვალიკო კვარაცხელიამ, გოგლიკი რუხაიამ, იდუ ქულავამ, ლალი აკიშბაიამ, ოლგა ხუბუამ, ლენა ალანიამ, მიშა კოტუამ, ზურაბი ჩხაპელიამ, ზოია ხუბუამ, შალიკო ადამიამ, აბელი ზაქარაიამ, ბუჯატი აკიშბაიამ, დომენტი აკიშბაიამ, ერმინე დოჩიამ, ჩატო შაკაიამ, ვალერიან ლიპარტიამ, ბროლცა ქარდავამ.

ასე ეაერანდა შავი ზღვისპირეთის ერთი კოპწია სოფელი ეუდავა.

ეუდაველებს მაინც სწამთ, სწამთ მტკიცედ, რომ ისინი დაბრუნდებიან მშობლიურ კერებში, ისევ იქნება ქორწილები და ძეობის ლხინი ეუდავაში, თუმცა მათ მოუწევთ ცხოვრების ხელახალი აწყობა, ახალი ჭერის გამართვა, მიცვალებულთა ეაპატიოსნება, სოფლის აღორძინება, ოჯახის ფეხზე დაყენების სასიამოვნო, მაგრამ მეტად მძიმე ტვირთის ზიდვა.

ჩვენ ღრმად ვვწამს, რომ ეუდაველები ჩვეული შრომითი ტრადიციებით და მშობელი მიწისადმი უდიდესი სიყვარულით დაძლევენ ყველა წინააღმდეგობას და სოფელს დაუბრუნებენ სიცოცხლეს, მოყვარეს გაახარებენ.

ო. აკიშბაია

ისინი ერისკაცები იყვნენ

ჩვენი რაბო



რაბო შონია

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით მოულოდნელი იყო ცნობა **რაბო შონიას** ტრაგიკული დაღუპვის შესახებ—„ეზად მიმავალი აფხაზმა პოეტიკებმა ვერაგულად დაცხრილესო ტყვიით“—ჩვენ, მისმა

ახლობლებმა მისმა მეგობრებმა არც დავიჯერეთ, რომ ამ ღმერთკაცს ასე ვერაგულად, ასე არაადამიანურად გასწირავდნენ. ბიძის დასაფლავებიდან—ბარღებიდან—შინ მიმავალ რაბოს გზად შემთხვევით თხუთმეტამდე შეიარაღებული აფხაზი „ბოევიკი" გადაეყარა თურმე და მასთან შემთხვევით მოხვედრილი მგზავრები—სულ რვა კაცი—უმოწყალოდ დახვრიტეს. დღესაც არ გვჯერა, რომ ამიერიდან ჩვენი რაბო ჩვენს შორის აღარ იქნება; ძნელია შეეგუო ასეთი ახლობლისა და მეგობრის, ამხანაგისა და თანამოსაქმის ამქვეყნად აღარ ყოფნას, აუტანელია ილაპარაკო მასზე წარსულ დროში.

ამ საზარელმა ცნობამ, რომელიც იმავე ღამით გადასცა საქართველოს ტელევიზიამ, თავზარი დასცა მის მეუღლეს, შვილებს, მის სათაყვანებელ შვილიშვილებს—ხატიას და თათიას, დას, ახლობლებს, მეგობრებს, ნათესავებს, მთელს რაიონს; გულწრფელად ტიროდა ყველა, მაგრამ, ვაი, რომ თვით რაბოს ახლობელთა ცრემლიც ვერ ეღირსა; ვერ მივედით მასთან, ვერ მოვესიყვარულეთ უკანასკნელად, თვალი ვერ შევავლეთ მას.

რაბოს მშობლები ზემო ბარღებიდან იყვნენ. პაპუამისი ფარნა შონია მთელს სამურზაყანოში სახელგანქმული და მეტად საპატიო კაცი იყო. მამისა კი თვით რაბოსაც არ ახსოვდა ბევრი რამ. მამა სრულიად ახალგაზრდა გაიწვიეს დიდ სამამულო ომში და იქ დაიღუპა. დარჩა ოჯახი სამი მცირეწლოვანი ბავშვით, შემდეგ რაბოს უფროსი ძმაც გარდაიცვალა და ობლად დარჩენილი და-ძმა დიდი წვითა და წვალებით გამოზარდა დედამ. შემდეგ...სკოლის წლები, ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრება. რაბო სწავლული აგრონომის დიპლომით დაუბრუნდა რაიონს. პირველად სოფელ ჭუბურხინჯში მუშაობდა, შემდეგ კი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა გალის ჩაის მეურნეობაში. შეიძლება ითქვას, რომ ამ მეურნეობის ჩაის პლანტაციები თითქმის მის მიერ იქნა გაშენებული, თითოეული ჩაის ბუჩქი, თითოეული კიპარისის ხე შვილივით ჰყავს ნალოლიავები და მოვლილი.

შემდეგ ერთხანს მზიურისა და ქვემო ბარღების ჩაის მეურნეობაში იმუშავა, აგრონომის თანამდებობაზე, იქიდან წარჩის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორად დააწინაურეს, სადაც მან შესანიშნავი შრომითი კოლექტივი ჩამოაყალიბა, იქ ძალუმად გამოჩნდა მისი პროფესიული ცოდნა, დიდი პრაქტიკული გამოცდილება და ხელმძღვანელის ორგანიზაციული ნიჭი. მისი უბრალოებითა და ადამიანურობით, კაცთმოყვარეობითა და ჰუმანურობით საზოგადოების დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა; მალე იგი რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად გადაიყვანეს, ხოლო ცოტა მოგვიანებით რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს.

გულმოდგინებით იღვაწა ამ თანამდებობაზე, იგი მუდამ მზად იყო ყურად ეღო და გულთან ახლოს მიეტანა თითოეული ადამიანის გაჭირვება, ეაზიარებინა მათი ჭირი და ლხინი, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე გაეკეთებინა სასიკეთო საქმის მაქსიმუმი; ჰქონდა მის ირველივ მყოფ ადამიანთა გამორჩეული თვისებების ანჭვრეტის შესაშური უნარი, იგი თავისი ტკბილი სიტყვით „ახსნილსაც დააბამდა", მასთან ურთიერთობაში უხერხულობას არავინ გრძნობდა, რადგან იგი ყველას თანაბარი ყურადღებით ექცეოდა, მას ყველასთან გულთბილი ადამიანური ურთიერთობა ჰქონდა, იგი არ დააკლდებოდა არცერთ ღონისძიებას, არც ჭირისა და არც ლხინის მომენტს, სადაც მისი ყოფნა წესითა და ადათით მოსალოდნელი იყო. მას ყოველთვის ჰქონდა მარაგში ამხანაგების, მეგობრებისა და ნათესავებისადმი სათქმელი ტკბილი სიტყვა, ხოლო კეთილი საქმეების გაკეთებას ვერავინ დაასწრებდა. მისი მუშაობის პერიოდში ბევრი კარგი საქმე ვააკეთა რაიონში, მარტო იმის აღნიშვნაც კმარა, რომ მისი უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით თითქმის ყველა სოფელში იქნა მოასფალტებული მისასვლელი გზები.

რაიაღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში მთელი თავისი შემართებით გამოჩნდა იგი როგორც აფხაზეთის, ასევე საქართველოს მაშტაბითაც. გამოჩნდა მისი მაღალი ზნეობა, ცოდნა, გამოცდილება. აფასებდნენ მას, უყვარდათ, სჯეროდათ, ენდობოდნენ და სწამდათ მისი. გამორჩეული პატიოსნებითა და სიკეთით განელო მან ცხოვრება. შემთხვევითი არ იყო, ალბათ, ისიც, რომ მის ყოველ მოხსენებასა და გამოსვლას გულწრფელი ტაშით აჯილდოებდა დარბაზი.

ცხოვრებაში მას უსიამოვნება და სადარდებელი ბევრი ჰქონდა, ჯერ ობლობის სიმწვავე, ძმის ნაადრევი გარდაცვალება, დედის უეცარი, სრულიად მოულოდნელი სიკვდილი, მისი საყვარელი დის ქმრის **კოტე გოქსაძის** უდროო გარდაცვალება და ბოლოს ყველაზე შესაზარი ამბავი—მისივე სახლის წინ მანქანამ გაიტანა საყვარელი სიძე **გოჩა ჯობავა**, რომელსაც დაურჩა ორი მცირეწლოვანი შვილი... მაგრამ რაბოს არასდროს შეუხრია წარბი უმძიმესი ადამიანური ხვედრის წინაშეც კი, არასდროს მოუხვევია თავისი გაჭირვება სხვებისათვის, იგი სანიმუშო შვილებს ზრდიდა და მშობლიურ ზრუნვას არც შვილიშვილებს აკლდება.

ეზო-კარიც სანიმუშო და სამაგალითო ჰქონდა. მისი საკუთარი გარჯითა და ოფლით გაშენებული, საკუთარი ხელით დამუშავებული ლიმონისა და მანდარინის ნარგავები, ვენახის ტალავერი, სამაგალითოდ მოვლილი ეზო, კრიალა სახლი აე თვალს არ დაენახვებოდა. ხშირად აქ გზად გამვლელი უცხო პირიც შესულა, დაუთვალიერებია ეს კოპწია სახლ-კარი, დამტკბარა მისი სილამაზითა და მშვენიერებით, კმაყოფილებით აუწევია გულუხვი მასპინძლის მიერ ალალად მიწოდებული ჭი-

ქა-ღვინო და თუმცა „დაუვიანია, მაგრამ იგი ამისათვის არ დაღონებულა“.

გამართულ ოჯახურ მეურნეობას უძღოდა იგი. ჰყავდა ძროხები, ღორები, ფრინველები. ყველაფერი სანიმუშოდ ჰქონდა მოწყობილ-მოვლილი. მაგრამ ყველაზე საუკეთესო მისი კეთილი და სტუმართმოყვარე გული იყო. მისი სახლის კარი მუდამ ღია იყო სტუმრისათვის. გულითადი მიღება, მისი მუდამ გაბადრული და მომღიმარი სახე, მუდამ ლაღი და იუმორით სავსე იგავები და ანეგდოტები დაუვიწყარს ჰქმნიდა მასთან გატარებულ ყოველ წუთს. იგი ნათესაური და მეგობრული წრის მშვენება იყო, თითოეული ადამიანი ცდილობდა ახლოს მოხვედრილიყო მასთან, რათა არ გამოპარვოდა მისი ბრძნული სიტყვები, მისი მარად ღიმილის მომგვრელი მოზომილი ხუმრობა; ეაი, რომ ოთხი შვილიდან მხოლოდ ერთი შვილის დაქორწინება დასცალდა.

უკუღმა შეტრიალდა ცხოვრების ჩარხი, ალბათ, ბედისწერაა ყველაფერი. აირია ცხოვრება, ძმა ძმას ვანუდვა, დაერივნენ ერთმანეს, იყო სასტიკი განუკითხაობა, დაწვეს და ვაანადგურეს საუკუნეობით ნაშრომი—ნაღვაწი; თავზეხელაღებულთა ერთი ჯგუფი მიუვარდა ვალის რაიაღმასკომსაც, რაბოს შეეძლო მათთვის წინააღმდეგობაც ვაეწია, ამისათვის ადმინისტრაციული ძალაც არსებობდა, მაგრამ სისხლი რომ არ დაღვრილიყო, მაშინვე დაუთმო აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტიცა და მანქანაც.

იცხოვრა და იმუშავა ადამიანურად, მის ცხოვრებას ოდნავი ჩრდილიც არ მიჰკარებია: მხოლოდ სიკეთეს თესავდა, იმ რწმენით ცხოვრობდა, რომ სიკეთე უეჭველად დაფასდებოდა, ეგონა, ალბათ, აფხაზი ბოევიკებიც დაინდობდნენ და ვალში დარჩა, ბევრ ხიფათს ვადაურჩა, მაგრამ ბოლოს მაინც არაკაცების მიერ ვასროლილმა ტყვიებმა სამუდამოდ დაადუმეს მისი კაცთმოყვარე გული; გული, რომელიც მუდამ სიყვარულის, სიკეთისა და ადამიანურობისათვის ძგერდა; ძნელია შეურიგდე იმ აზრს, რომ იგი ვერ შეგვხვდება მშობლიური გალის ქუჩებში, მეგობართა და ამხანაგთა ლხინსა და ჭირში, ვერასოდეს ვიხილავთ კაცს, რომელიც ამშვენებდა ჩვენს წრეს. ზრდილობამ, ცოდნამ, საქმემ ვაშოაჩინა, უყვარდა ოჯახი. ხალხი, საზოგადოება, უზომოდ შეყვარებული იყო სიცოცხლეზე; ოჯახს დააკლდა ბრწყინვალე მეუღლე, მამა, ბაბუა; საზოგადოებას—ღირსეული მამულიშვილი, თვალსაჩინო სპეციალისტი და დიდებული ქართველი.

ვალმოხდილი და ღირსეული მიუვა თავის მამა-პაპათ ჩვენი რაბო.

ნათელი დაადგეს მის საფლავს!

თენგიზ კაკუბავა

კიდევ ერთი სახელი შეემატა იმ ასობით და ათასობით მამულისათვის თავდადებულ ვაჟკაცთა რიცხვს, რომელთა სახელებსაც შთამომავლობა მუდამ მოკრძალებით მოიგონებს, საქართველოში აღირიცხა კიდევ ერთი შვილმკვდარი დედ-მამა, სიყრმეშივე დაქვრივებული მეუღლე და ორი დაობლებული ბავშვი.

გმირებად არ იბადებიან: თუ არა გმირს, ვანა ყველას შეეძლო დაეთმო საკუთარი სიცოცხლე სამშობლოსათვის? ბევრმა სიცოცხლე დათმო და ამით წარუშლელი კვალი დაუტოვა შთამომაელობას.

სამურზაყანოს მიწაზე—ქ. გალში, ერთ-ერთ სანიმუშო და სამაგალითო ოჯახში დაიბადა **თენგიზ (თენგო) დაზმერის ძე კაკუბავა.**

სულ მუდამ მოუსვენარი, ცელქი, დაუზარელი იყო, ერთ ადგილას გაჩერებულს ვერ ნახავდით, გარეგნულად და შინაგანადაც არაჩვეულებრივი, მომხიბლავი და მშვენიერი იყო, სათუთი მოპყრობა იცოდა. თითქოს ყველაფერი გუშინ იყო... უცებ გაირბინა მისმა უდარდელმა ბავშვობამ. ადრე დავაჟკაცდა, სრულიად ახალგაზრდა მოეკიდა ოჯახს, მალე პირველი სიხარული, პირველი ბიჭი მოეევლინა ამ სამყაროს, ხარობდნენ თენგოს მშობლები, ისინი ხომ სრულიად ახალგაზრდები გახდნენ ბებია და ბაბუა. ისინი შეხაროდნენ თავიანთ ორ ვაჟს და ოთხ თვალმახარა შვილიშვილს. თუ არა ძმათამკვლელ ომს, რას შეეძლო გაენელებინა მათი სიხარული?

სიცოცხლით, ხალისითა და სილამაზით სავსე მხოლოდ 21 წელიწადი ერგო ჩვენს საყვარელ თენგოს ამ წუთისოფელში, მაგრამ ეს სრულიად მოკლე დროც საკმარისი აღმოჩნდა მეგობრებისა და ნათესაეების გულში დაეთესა დიდი სიყვარული და პატივისცემა.

თენგო ყველგან ეამოირჩეოდა თავაზიანობით, კაცთმოყვარეობით, ეამტანობით, უბრალოებით.

სამურზაყანოს ბატალიონის ჩამოყალიბებისთანავე მოხალისედ ჩაეწერა, მონაწილეობდა მრავალ საბრძოლო ოპერაციაში, სოფელ კოჩარასთან დაიჭრა კიდეც, მაგრამ ერთი წუთითაც არ უფიქრია თავი დაენებებინა იარაღისათვის.

აფხაზეთის იძულებით დატოვების შემდეგ თენგოს ოჯახი დედულეთში—სოფელ კოკში ეადმოვიდა. ეს სოფელი თითქმის ემიჯნებოდა გალის რაიონი ტერიტორიას. ამ სოფელში უნდა გამოევლოთ აფხაზეთიდან ეადმოსულ შეძრწუნებულ და აწიოკებულ დეენილებს, აქედან თითქმის მოსჩანს კიდეც სამურზაყანოს გადამწვარი კარ-მიდამოები... ხედავ თმაბანჯგვლიანი ორფეხა მხეცები როგორ დააბოტებენ ჩვენი მამა-პაპის სისხლითა და ოფლით მორწყულ მიწაზე, თავიანთ ბინძურ ხელებს როეორ აფათურებენ ყველაფერში, როგორ მიაქვთ ნაშრომ-ნაამაგარი, როეორ ანადგურებენ და სწვავენ იმას, რისი წაღებაც ვერ შეძლეს, ხედავ და გული ბოღმით გევსება. ამ სურათის შემხედვარე ჭეშმარიტი მამულიშვილი გულხელდაკრეფილი ვერ დაჯდება. მან უნდა იბრძოლოს, თუმცა ეს გზა ია-ეარდით როდია მოფენილი.

იმ ავბედით დღეს—1994 წლის 3 მაისს—დილით უთენია ამდეარა თენგო, აივანზე ეამოსულა. ბაბუა შეხმიანებია—ასე ადრე რამ წამოეავდო, შვილო?—უკითხავს მას.—აბა, ლოგინში რა ეამაჩერებს, ბაბუ, როდესაც ჩემს ეალში ის არამზადები დაძრწიან, საზარელ საქმეებს სჩადიან, არავის ინდობენ, ბოლო უნდა მოეღოს მათ თარეშს, მე უნდა წაეიდე,—უპასუხა თენგომ.

აიღო იარაღი, დატოვა გაოგნებული ბაბუა და...---როდესაც ფეხი დავდგით აფხაზეთის მიწაზე,--იგონებენ მისი თანამებრძოლები,--თენგო დაიხარა და დაუწყო მიწას კოცნა. მეღირსა ჩემს მიწაზე გავლაო. თითქოს ეხუტებოდა მიწას. მართლაც, ჩაიხუტა მიწამ იგი, მაგრამ არა მშობლიური რაიონის მიწამ; თუმცა შორს არაა ის დრო, როცა თენგოს ნეშთიც მიბარებული იქნება მამა-პაპის საძვალე მიწაზე და მის საფლავზე ამაყად თავაწეულად მივლენ მისი მშობლები, მეუღლე, მისი ბიჭები აკაკი და ნიკა, მისი მეგობრები და ამხანაგები.

ბედმა უმუხთლა, სწორედ მაშინ ეაიჩხირა ის წყეული ტყეიამფრქვევი, როცა ორფეხა მხეცები სამიზნეზე ჰყავდა და მხოლოდ სასხლეტზე ხელის ეამოკვრა იყო საკმარისი, თუმცა მის მიერ ჩაფიქრებულმა ოპერაციამ ბრწყინვალედ ჩაიარა, ყველა აფხაზი ბოევიკი დაატყვევეს, მაგრამ თვითონ თენგო და მისი ერთ-ერთი თანამებრძოლი, ბრწყინვალე ახალგაზრდა ბადრი გამისონია ამ შეტაკების დროს დაიღუპნენ.

მინაწერი: დედის, ქალბატონ მზიას ნაამბობიდან:

„გათენდა დასაქცევი 5 მაისის დილა, ხმა დაირხა სოფელში პარტიზანულად წასულ ბიჭებს ხიფათი შეემთხვათო, არიან დახოცილებიო. თავზე დამეცა მეხი, თითქოს ფეხებიდან მიწა გამომეცალა, სახლში რა გამაჩერებდა, გავვარდი ენგურის სანაპიროსაკენ. სხვებს უკვე გაუგიათ ჩემი შვილის სიკვდილის ამბავი. ვიკითხე--რა ხდება, რა ისმის გაღმიდან? გარკვევით არაფერი,--მიპასუხეს. ზოგი ჩუმ-ჩუმად ამბობდა:--აფსუს, რა ბიჭები იღუპებიან, ამ მზეჭაბუკის დამკარგავ მშობლებს რა ეშველებათო. მივხვდი, რა შავი ღრუბელი დამტრიალებდა თავზე, ვიკივლე და წყალში გადავეშვი, სულ მალე მეორე ნაპირზე გავედი, იქედან პარტიზანების ჯგუფი გამოჩნდა, ხალხმა დამშვიდება დამიწყო,--შე ქალო, რა გემართება, არ გაგიჟდე, ესენი სულ სხვა დაჯგუფების ხალხიაო. მე დედის ალღოთი ვხვდებოდი, თუ რა მეხი დამეცა თავზე. წუთით თვალწინ გაიელვეს ტკბილმა მომენტებმა, ასევე წარმომიდგა მოსალოდნელი ტანჯული დღეების საშინელება.

დაუნდობელია წუთისოფელი. 1994 წლის 5 მაისი მარად წარუშლელი შავი დაღია ჩემი და ჩვენი ოჯახის ცხოვრებაში. ვიცოდი ჩემი თენგოს ხასიათი, მაგრამ არ მეგონა, თუ მთლად სასიკვდილოდ გაიმეტებდა წუთისოთელი.

შენ მარად ჩვენთან იქნები, შვილო“



ფრიდონ შონია

ფრიდონ ხუხუტის ძე შონია დაიბადა 1968 წლის 28 თებერვალს გალის რაიონის სოფელ აჩიგვარაში.

1985 წელს დაამთავრა აჩიგვარის № 1 საშუალო სკოლის სრული კურსი.

ჭაბუკი ფ. ხ. შონია 1987 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. ივი პირველი დაძახებისთანავე ცხადდება რაიონულ

სამხედრო კომისარიატში. სამხედრო ნაწილში მან თავი გამოიჩინა როგორც შრომისმოყვარე, სამხედრო საქმის ცოდნით დაინტერესებულმა პირმა. ახალგაზრდა ტანკისტის მშობლებმა არაერთი მადლობის ბარათი მიიღეს იმ სამხედრო ნაწილის მეთაურთა ხელმოწერით, სადაც მათი შვილი მსახურობდა.

1989 წელს დემობილიზებული ფ. ხ. შონია მშობლიურ სოფელშია. ქმნის ოჯახს.

იწყება ავადმოსაგონარი წლები საქართველოს ისტორიაში. ეთნიშულობის, აფხაზეთის ყოფნა-არყოფნის... იქმნება სამურზაყანოს ბატალიონი. 1992 წელს ახიგვარაშიც შეიქმნა სამხედრო ბატალიონი, რომელსაც საქართველოს ერთიანობის დაცვა ევალებოდა. სამშობლოზე შეყვარებული ჭაბუკი ერთ-ერთი პირველი ჩაეწერა მასში მოხალისედ. მას ტანკი ჩააბარეს. ისინი მიშველის მისადგომებს იცავდნენ. იმ საბედისწერო დღეს ექვსნი იყვნენ ტანკთან. მტრის ნასროლი ჭურვი პირდაპირ ტანკს მოხვდა, სხვებთან ერთად აღვილზეევ დაიღუპა ფრიდონიც. კიდევ ერთმა მამულის სიყვარულით აძგერებულმა გულმა შეწყვიტა ფეთქვა.

1993 წლის 10 აპრილი. სასიკვდილო მეხის რისხვა დაატყდა თავს შონიების ოჯახს, დედ-მამამ დაკარგა მათი სიბერის იმედი და ნუგეში, თვალისჩინი, საყვარელი შვილი, ხოლო ფრიდონის მეუღლეს, სრულიად ახალგაზრდა ქალბატონს—ემას ორი მცირეწლოვანი ქალიშვილი შერჩა ხელთ. მძიმეა ოჯახის ხვედრი.

ქართველი დედა არასოდეს გატეხილა სამშობლოს დაცვაში დაღუპული შვილის გამო. მაგრამ რაოდენ გულსატკენი და დასანანია, რომ ფრიდონისა და ბევრი მისთანას მჩქეფარე სიცოცხლე ამ უგნურ, ყოვლადგაუმართლებელ ომს შეეწირა.

იქნება ინებოს ღმერთმა და მომავალში მაინც მოეგონ ეონს ომის გამჩაღებლები და მშვიდობიანი გზით ვადაწყვიტონ ის ურთულესი პრობლემები, რომლებიც დღეს ქვეყნის წინაშე დგას.

საშურზაყანოს ტრაგედიის დროს დაიღუპნენ;

სოფელ ჩხორთოლიდან

გაბისონია ამირან პლატონის ძე	—50 წლის, 1994 წლის ნოემბერში მოკლეს წამებით
სირვინავა ვალერიან აქვსენტის ძე	—25 წლის, 4.II.94 წ. მოკლეს ავტომატის ჯერით
სირვინავა კახა რუდიკოს ძე	—20 წლის.
ფაჩულია მამია ივანეს ძე	—60 წლის, 1994 წლის თებერვალში მოკლეს ოქუმში
ქულავა მზეევინარი ხარიტონის ასული	—30 წლის, აფეთქდა ნაღმზე
ჩერქეზია შოთიკო ციტას ძე	—55 წლის, 1994 წ. 20 სექტემბერს მოკლეს წამებით
სირვინავა იგორი ლეონტის ძე	—23 წლის, დახვრიტეს 1994წ.
ძანძავა ვანია	—30 წლის, დახვრიტეს 1993 წელს სოფ. ჩხორთოლში თავისი სიძის სახლში. წარმოშობით არის ოჩამჩირის რაიონის სოფ. ბესლახუბიდან.

სოფელ ბედიიდან

გუჩუა ტერენტი მიხეილის ძე	—66 წლის, დახვრიტეს საკუთარ სახლში
ჭოლარია არკადი ბონდოს ძე	—19 წლის, IX.95 წ. მოკლეს აფხაზებმა ოჩამჩირეში
აბშილავა ხუტა აკაკის ძე	—68 წლის, 1-95 წ. დახვრიტეს საკუთარ სახლში
აბშილავა არდაშელი იონას ძე	—66 წლის II 95 წ. დახვრიტეს ხუტა აბშილავას სახლში.
აბშილავა გია ტერენტის ძე	—30 წლის, დახვრიტეს 1993 წ.
შაკაია ლუდუკი ილიას ძე	—44 წლის, 1995 წ. დახვრიტეს საკუთარ სახლში.

სოფელ ხიდიდან

აქუბარდია ვარდო ტრიფონის ასული	—63 წლის, წაართვეს ძროხა, წინააღმდეგობის ვაწვევისას ავტომატით დაცხრილეს.
ბუავა დათო დამიანეს ძე	—15 წლის, IV 95 წ. მოკლეს ვ. შონიასთან ერთად
ვამისონია ჯემალ პაელეს ძე	—59 წლის, 11. 94 წელს დახვრიტეს ჩაის პლანტაციაში
ჩაჩიბაია ციცო ბადრას ასული	ეზოში დახვრიტეს.
ლომიძე ნადია ეროვნებით რუსი	დახვრიტეს
ლეჟავა სერგო თამაზის ძე	—22 წლის, 13.X-95 წ. მოკლეს წამებით საკუთარ სახლში.
ლეჟავა თამაზი თამაზის ძე	—17 წლის, 13.X-95 ჩაკეტეს ქვეშაეების კომოდში და ჩაცხრილეს.
მუშუქია ეთერი ტარასის ასული	—58 წლის, 10-93წ. მოკლეს ჩაის პლანტაციაში საკ. სახლის უკან.
ქობალია ნოდარი ნესტორისძე	—58 წლის, აწამეს, ყურები მოაჭრეს, ხელები ვადაუმტვრიეს, 30 ტყვია ესროლეს.
ცხადაია ვალოდია გრიგოლის ძე	
ხაბურზანია ნოდარი გიორგის ძე	—59 წლის, X1-94 წ. მოკლეს წამებით, გამოიტყუეს სახლიდან და ჩამოახრჩვეს
შონია რომანი ზურიკოს ძე	—16 წლის—1994 წ. 26 მაისს დახვრიტეს ნაბაკევში.
შონია მამრიკო ვალოს ძე	—48 წლის IV-95 წ. ენგურის სანაპიროზე მოკლეს
ფიფია თამაზი მამანტის ძე	—27 წლის—მოკლეს 8.11.96 წ. წამებით
შამუგია რეზო შალვას ძე	—47 წლის—აფხაზებმა შეიპყრეს და თავი მოიკლა.
ფარულავა მანუჩარი ორდენის ძე	—47 წლის, დახვრიტეს 1997 წ. 10 ივლისს.

სოფელ რეჩხო ცხირიდან

როდონაია ელდარი პართენის ძე	—40 წლის, დახვრიტეს
შაფანსკი თორნიკე ირაკლის ძე	—50 წლის, აფთქდა ნაღმზე

	დიხაზურგაში სამი დღის მერე იპოვეს მისი ვვამი.
ქარდავა ჟორჟი მოსეს ძე	—68 წლის
ქვაცაბაია თენეიზი მიშიკოს ძე	—25 წლის—1994 წლის 5 თებერვალს დახვრიტეს
ანთია ტარიელი ჯემალის ძე	—22 წ. დაიღუპა ოჩამჩირეში 1993 წელს,
ციკოლია თამაზი რაჟოტის ძე	—20 წლის დაიღუპა ს. კინდღში,
ჩაკაბერია ვერონტი	—44 წლის, დახვრიტეს საკუთარ სახლში.
ქკვაცაბაია მ.	—52 წლის, დახვრიტეს საკუთარ სახლში.

სოფელ აჩიგზარიდან

ანჩაბაძე მიხეილ (კვაჭია) მამიას ძე	—70 წლის—1993 წ. ოქტომბერში დახვრიტეს საკუთარ ეზოში, რატომ ანჩაბაძე ვიწერია და არა აჩბაო.
აქუბარდია ვივი ხუხუტის ძე	—32 წლის—დახვრიტეს 1993 წ. ოქტომბერში
ეულორდავა პილა ლაუს ძე	—70 წლის—დახვრიტეს საკუთარ ეზოში 1993 წ. ოქტომბერში.
ეულუა ვერონტი ვასილის ძე	—65 წლის—დახვრიტეს საკუთარ ეზოში 1994 წ. თებერვალში.
გვარამია დიმელი კონსტანტინეს ძე	—47 წლის—დახვრიტეს იმის ვამო, რომ გამოექომაცა მეზობელს, რომელსაც პირუტყვი წაართვეს.
ბუთბაია ვენო მიხეილის ძე	—48 წლის—დახვრიტეს „წმენდის“ დროს
გაბელია ნადია პავლეს ასული	—70 წლის—დახვრიტეს საკუთარ ეზოში 1994 წ. 20 თებერვალს.
გაგუა ინვერი სეევერიანეს ძე	—40 წლის, დახვრიტეს 1993 წ. 30 სექტემბერს

ევაძაბია ძაბიკო ცუკუტის ასული —53 წლის, მოკლეს
საკ. სახლში

ბაძაღუა ირეოდი სამსონის ძე —53 წლის, მოკლეს საკუთარ
სახლში.

ეოხინძე შუშანა ეოძოს ასული —60 წლის, მოკლეს საკუთარ
სახლში.

დოჩია ხვიჩა მიხეილის ძე —26 წლის, მოკლეს საკუთარ
სახლში 1994 წ. ნოემბერში,

დოჩია ეევენი მიხეილის ძე —70 წლის, მოკლეს საკუთარ
სახლში.

დაგარგულია ღუღუნი იმელის ძე —60 წლის, დახვრიტეს
საკუთარ სახლში

ესართია ვენერა ლუკას ასული —80 წლის, მოკლეს ეუდაეის
ეზაზე 1993 წ. 20 დეკემბერს

ლაგივანიძე ნათელა ივანეს ასული —65 წლის, მოკლეს 1994
წლის 2 თებერვალს, შემდეგ
შეაგდეს ჭ. ცაავას ცეცხლმო-
დებულ სახლში და იქ ჩაწვეს.

ლაგვილავა ციქა ჩაგუს ძე —70 წლის, მოკლეს საკუთარ
სახლში 1994 წ. თებერვალში.

მუმლაძე ხვიჩა რეზოს ძე —22 წლის, მოკლეს 1993 წ. 20
დეკემბერს

მიქაძე ოთარი ტაიას ძე —50 წლის, მოკლეს
სოფელში შემოსვლის დროს
1993 წლის 30 სექტემბერს.

ნარსია ვაჟიკო ირეოდის ძე —64 წლის, მამა-შვილი
მოკლეს 1993 წლის 30
სექტემბერს.

ნარსია ირეოდი ანტონის ძე —85 წლის.

ზარია ფაცია ლევანის ასული —63 წლის, დახვრიტეს 1993 წ.
30 სექტემბერს

სხულუხია შალვა ნიკოლოზის ძე —64 წლის, პედაგოგი, დახვრი-
ტეს 30.09.93 წ,

უზარაშვილი მზია მიროს ასული —40 წ, დახვრიტეს 30. 09.93 წ,

უბილავა ბუკა შარდენის ასული —80 წლის, მოკლეს საკუთარ
სახლში

ფირცხალავა ნოდარი აკაკის ძე —65 წლის, დახვრიტეს
საკუთარ სახლში.

ფაჩულია-შაკაია ძაბული ხოხოს ასული—64 წლის, მოკლეს
1993 წლის 8 დეკემბერს

ფაჩულია ბიჭიკო (ანდრეი) ნესტორის ძე—59 წ. მოკლეს ს. ოტობაიას ტერიტორიაზე ე. წ. „წმენდის“ დროს 8.12.93 წ.

ქობალია ზაზა იდენის ძე —27 წ. დაკარგულია უგზო-უკვლოდ.

ქობალია ლუშა იონას ასული —72 წ., დახვრიტეს 1994 წ. მარტში

ქარჩავა ვარლამი სტეფანეს ძე —75 წლის, დახვრიტეს 1994 წ. აპრილში

ქვაჩახია ვახტანგი უშანგის ძე —37 წლის, დახვრიტეს.

ყოლბაია შოთა რაჟდენის ძე —52 წ. ძალად წაიყვანეს სახლიდან, 3 დღის შემდეგ იპოვეს ცხედარი მდ. ოქუმის სანაპიროზე.

ცირამუა ჟორჟი სამსონის ძე —71 წ., დახვრიტეს 1994 წლის ოქტომბერში

ცაავა ჭიჭინი გრიგოლის ძე —60 წ., დახვრიტეს 2.02. 94 წ., მერე შეაგდეს ცეცხლმოკიდებულ სახლში და დაწვეს.

ცაავა მირო გრიგოლის ძე —62 წ. დახვრიტეს 2.02.94 წ. და დაწვეს.

წურწუმია ჟუჟუნა შალვას ასული —45 წ. დახვრიტეს 3.11. 93 წ. და მერე შეაგდეს ცეცხლმოკიდებულ სახლში

ჭკადუა ვალერი შალიკოს ძე —31 წ. გაარეკინეს პირუტყვი ტყვარჩელისაკენ, დაკარგულია უგზო-უკვლოდ.

ჩარგაზია ვარდიშა გუთიას ასული —52 წლის დახვრიტეს და დაწვეს 3. 11. 93 წ.

ჩხვირკაია კოტე მიხეილის ძე —65 წლის დახვრიტეს 20.12.93 წ.

შაკაია ლიზა იოსების ასული —67 წ. დახვრიტეს 20.12. 93 წ.

შურლაია ნინა ივანეს ასული —70 წ.დახვრიტეს 20.12.93 წ.

შონია ვალიკო დათას ძე —70 წ. 29.09. 93 წ. გასრისა ტანკმა

ხარჩილავა ზურიკო (არველოდი) ომარის ძე—45 წლის 3.12.93 წ. პირუტყვი გაარეკინეს ტყვარჩელისკენ, დღემდე დაკარგულია უგზო-უკვლოდ.

ხასაია ნოდარი ბოდღოს ძე —50 წ. დახვრიტეს 30.09.93 წ.

ჯახუა ჯონი —50 წ, დახვრიტეს გალის

	ჩაის ს/მეურნეობაში
ალასანია ბიჭიკო ბაძუს ძე	—61 წ. სახლში ჩაწვეს 3.11.93 წ.
ბაღბაია ბაბუცა გაცირეს ასული	—74 წ. დახვრიტეს 1994 წ. დეკემბერში
ფაჩულია ალიკო მეგონას ძე	—35 წ.
ვაბუნია დავითი ნოჯოს ძე	—75 წ. 1997 წლის თებერვალში ცოცხლად ჩაწვეს სახლში.
შაკაია ზებულონი მეხეილის ძე	—52 წ. უგზოუკლოდაა დაკარგული.
ბეჭვაია ბადრი მამანტის ძე	—23 წლის დახვრიტეს 29.09.93 წ.
გაბელია ანზორი მალაქიას ძე	—33 წ. დაიღუპა მდ. კოდორთან
შამათავა ოთარი სარდიონის ძე	—25 წლის, დახვრიტეს 23.07.94 წ.
ლაგირვანიძე ვაჟა ტაიას ძე	—55 წ. აფეთქდა ნაღმზე 16.06.94 წ.
სურმავა ნოდარი ივანეს ძე	—65 წ., უგზო-უკვლოდ დაიკარგა.
ცაავა ედემი ჭიჭინის ძე	—დაიღუპა 1994 წ, იანვარში პარტიზანული ბრძოლის დროს.
ძაძუა კლარა ქვაქვალას ასული	—1994 წ. დეკემბრის თვეში დახვრიტეს საკ. ოჯახში.
ნარმანია დათო კაპიტონის ძე	—დაიღუპა 1997 წ. იანვარში პარტიზანული ბრძოლების დროს.
შაკაია კოლია შაკაია ნაზო შაკაია ნინელი	დედ-მამა და ქალიშვილი— სამივე ერთად დახვრიტეს 1997 წლის ნოემბერში

სოფელ რეფი-უეუელეთიდან

სხულუხია ჭიჭიკო ვასილის ძე	—დ. 1924 წ., მისი ოჯახის მთელი შემადგენლობა ამოხოცეს, მერე სახლს წაუკიდეს ცეცხლი და ყველანი იქ ჩაწვეს. X 93 წ.
სხულუხია ვენორი ჭიჭიკოს ძე	—დ. 1953 წ.

სხულუხია ძაბა ზორყანის ასული	—დ. 1927 წ.
სხულუხია-შონია იზოლდა ქვაჩიას ასული	—დ. 1955 წ.
პირტახია ბოჩია ილიას ძე	—დ. 1968 წ. უეზო-უკელოდაა დაკარგული
ეულუა მეკონა აკაკის ძე	—დ. 1932 წ. დახვრიტეს საკუთარ სახლში
კვიტია ბონდო პაჯას ძე	—დ. 1941 წ. ხუთ მეეობართან ერთად ერთ-ერთი აფხაზის საფლავზე დააკლეს. II-94 წ.
კალანდია ხვიჩა ეიორვის ძე	—დ. 1976 წ.
შენგელია ოთარი კაპიტონის ძე	—დ. 1953 წ. II 94.
შენგელია პაატა ოთარის ძე	—დ. 1977 წ.
ეოეოხია ბესიკი მირიანის ძე	—დ. 1966 წ.
ჯონჯუა რაული ორდენის ძე	—დ. 1968 წ.
მარკელია ბეგო გუჯუს ძე	—დ. 1922 წ. დახვრიტეს და მერე საკუთარ სახლში დაწვეს
ცანავა ღუდა ნესტორის ძე	—დ. 1930 წ. დახვრიტეს საკუთარ სახლში.
ეეაგეალია მზიური ეოეოს ასული	—დ. 1950 წ. დახვრიტეს საკუთარ ეზოში. 6. XII.94 წ.
ჯღარკავა რაული ლავრენტის ძე	—დ. 1940 წ. დახვრიტეს საკ. სახლში V. 94.
ზვანბაია არველოდი პლატონის ძე	—დ. 1925 წ. დაიღუპა II.94 წ.
ცანავა ეიელა ლადიკოს ძე	—დ. 1949 წ. დახვრიტეს საკ. სახლში 6.XII.94 წ.
ღურწკაია შალიკო შარვანის ძე	—დ. 1928 წ. დაიღუპა I.94
თუნეია გურიელი ლეონტის ძე	—დ. 1953 წ. დახვრიტეს ს. ოტობაიას ტერიტორიაზე
მოროხია ფრიდონი ვანოს ძე და მოროხია ედემი ვანოს ძე	ძმები დახვრიტეს სოფელ მზიურის ტერიტორიაზე
ქავშბაია ღულია	—დ. 1924 წ. დახვრიტეს საკუთარ ეზოში
ეოეოხია ნაპო ნიკოლოზის ძე	—დ. 1939 წ. დახვრიტეს საკუთარ ეზოში
ღურწკაია კოტე ხუხუს ძე	—დ. 1940 წ. დახვრიტეს საკუთარ ეზოში
გოეოხია ჯამბული	—დ. 1960 წ. დახვრიტეს საკუთარ ეზოში

ლემონჯავა ტერენტი ძეიბის ძე	—დ. 1939 წ. მამა-შვილი დახვრიტეს საკუთარ ეზოში, მერე სახლში ჩაწვეს.
ლემონჯავა ემზარი ტერენტის ძე	—დ. 1962 წ.
სხულუხია რუდიკო ჭიჭიკოს ძე	—დ. 1950 წ. უგზო-უკვლოდაა დაკარგული
შენველია ბაადური შაფიკოს ძე	—დ. 1966 წ. უგზოუკვლოდ დაიკარგა
ბაღიშვილი ნუგზარი რაფიელის ძე	—დ. 1958 წ. დახვრიტეს ს. ზემო ბარღებში
სიხარულია ელგუჯა შალერის ძე	—დ. 1967 წ. მოკლეს მე-3 ჰესთან XII.94 წ.
ნასარაია ბეგი ჯოგოს ძე	—დ. 1932 წ. მოკლეს საკ. სახლ. 6.XI. 94 წ.
ქავშბაია შალვა მაქსიმეს ძე	—დ. 1934 წ, მოკლეს საკ. სახლში 6.XII.94 წ.
მარკელია რობერტი ზაურის ძე	—დ. 1968 წ. დახვრიტეს ქ. გალში
ხარჩილავა ლოლა	—დ. 1920 წ. ჩაწვეს საკუთარ სახლში 5.X. 93 წ.
უზარაშვილი ევანჯა ლევარსას ძე	—დ. 1942 წ. დახვრიტეს ქ. გალში
უზარაშვილი ნემო ევანჯას ძე	—11 წლის
უზარაშვილი ეთერი	—56 წლის
ვადელია ვაჟიკო პილას ძე	—დ. 1936 წ. დახვრიტეს საკუთარ ეზოში
ფარფალია ჯემალი ჯვედეს ძე	—დ. 1958 წ. უგზო-უკვლოდ დაიკარგა
უზარაშვილი ოთარი ხუხუტის ძე	—დ, 1957 წ, დახვრიტეს საკუთარ ეზოში
ცანავა ვალერიანი ანდროს ძე	—დ, 1925 წ,
შონია (ჯანჯულია) ფაციკო ევგენის ასული	—დ. 1930 წ. ვერაგულად მოკლეს. 1996 წ.9.12.
არაჰამია ომარი მაქსიმეს ძე	—55 წლის.
არაჰამია ნანო ომარის ასული	—22 წლის. ერთი ოჯახის სა-
არაჰამია ნინო ომარის ასული	—24 წლის. მივე წევრი და-
აკაშბაია ამირან	—დ, 1934 წ. ხვრიტეს 1996 წ. 9 დეკემბერს

სოფელ ხუმუშქურიდან

ანთია შოთა ილიას ძე	—დ. 1933 წ, ცოლ-ქმარი ერთდროულად დახვრიტეს
ანთია (ვეკუა) სულიკო რაჟდენის ასული	—დ. 1934 წ. დახვრიტეს მეზობლის ოჯახში
ეადელია ლუკიანე ბეელარის ძე	—დ. 1922 წ. დახვრიტეს ს. ქვემო ბარღების ტერიტორიაზე
ძიგუა ვლადიმერ ვერუჟანის ძე	—დ. 1956 წ. დახვრიტეს ოტობაიაში 21.03.94 წ.
ციკოლია ჯემალი შალიკოს ძე	—დ. 1958 წ. დახვრიტეს სოფლის ცენტრში
ეადელია ვახტანგი ალექსანდრეს ძე	—დ, 1955 წ, უეზო-უკვლოდაა დაკარგული.
შენგელია იაშა ვანიას ძე	—დ. 1948 წ. უეზო-უკვლოდაა დაკარგული.

სოფელ ზარჩიდან

კეზუა თამაზი ძალკას ძე	—დ. 1952 წ. ოთხივე ესენი
გერზმავა გელა მაჟარას ძე	—დ. 1953 წ. ერთად დაიღუპნენ
ევალია მიურანი ვალიკოს ძე	—დ. 1952 წ. ბრძოლის დროს.
გერგაია ონერი მეროჟანის ძე	—დ. 1969 წ.
კვარაცხელია დათო ღუდას ძე	—დ. 1971 წ. რ. ჩერქეზიასთან ერთად იყვნენ ტყვედ აყვანილები, 15 დღის მერე ცოცხლად ჩაწვეს სახლში
ჩერქეზია რუსუდან ნოდარის ძე	—დ. 1974 წ.
ბეკვერია იპოლიტე ცხოის ძე	—დ. 1936 წ. აწამეს სხეულის დანაწევრებით III. 94 წ.
ბეჭვაია ველა ვალტერის ძე	—დ. 1964 წ., დახვრიტეს III. 94
ბენია ჯამბული შუტას ძე	—დ. 1949 წ., დახვრიტეს 1993 წ,
ბენია ვლადიმერი ჯაგას ძე	—დ. 1925 წ. დახვრიტეს II.94 წ.
ბენია მეგონა ძვაძეალას ძე	—დ. 1925 წ. დახვრიტეს 4. II. 94 წ.
ბენია მურმანი შალიკოს ძე	—დ. 1950 წ. ცოცხლად დასწვეს III-94

სამუშია სლავიკი ღუდულის ძე	—დ. 1950 წ, ცოცხლად დასწვეს II. 94
მალანია რომანი ვალოდიას ძე	—დ. 1960 წ. დახვრიტეს II. 94
კვარაცხელია ბეჟანი რაჟიკოს ძე	—დ. 1969 წ. დახვრიტეს 1994 წ.
კიკორია ვახტანგი შოთას ძე	—დ. 1949 წ. დახვრიტეს 1993 წ.
ვერზმავა ალიკო ღურუს ძე	—დ. 1928 წ. დახვრიტეს II. 94 წ.
მალანია ნოდარი ბესას ძე	—დ. 1928 წ. დახვრიტეს II. 94 წ.
ბენია სევასტი კაკიას ძე	—დ. 1947 წ. დახვრიტეს 1994 წ.
შაკაია გელა ინდიკოს ძე	—დ. 1970 წ. დახვრიტეს 1996 წ. ენგურის სანაპიროზე
ჯიგანია რაული ივანეს ძე	—დ. 1950 წ. დახვრიტეს VI-94 წ.
ალანია რაული კირილეს ძე	—დ. 1950 წ. დახვრიტეს 6.XII.93
ალანია ვალტერი შალიკოს ძე	—დ. 1949 წ. დახვრიტეს X 93 წ.
ჯგერენაია დემური ალიოშას ძე	—დ. 1952 წ. დახვრიტეს საკუთარ სახლში 29.02.96
ჩერქეზია ავთო ანტოს ძე	—დ. 1952 წ. დახვრიტეს საკუთარ სახლში
გვალია ხვიჩა მუშნის ძე	—დ. 1956 წ. ვაიყინა მთებიდან ვადმოსელის დროს. II-94
დავითულიანი ლუიზა ბარნაბას ასული	—დ– 1943 წ. II-94 ვაიყინა მთაში
ჯიგანია გულნარა იპოლიტეს ასული	—დ. 1952 წ. ვაიყინა ეზაში 10 VI. 94 წ.
ჯიგანია ცეზარი მამანტის ძე	—დ. 1948 წ, დახვრიტეს XII 94 წ.
უბილავა რამინი ისიდორეს ძე	—დ. 1947 წ. დახვრიტეს 23.05.95 წ.
ალანია გივი შალიკოს ძე	—დ. 1936 წ. დახვრიტეს 12.II. 96 წ.
ზარქუა ჭიჭიკო ეუჯას ძე	—70 წლის, მოკლეს წარჩის სასაფლაოზე 1993 წ.
ქვაცაბაია ბორის დოროთეს ძე	—47 წლის დახვრიტეს სოფ. შეშელეთში X.94 წ.
ჩხვირკია თამარა კონდრატეს ასული	—50 წლის, ვაჭყლიტეს მანქანით 6.II. 95 წ.
გუნია-გოგილავა ნატო ჯამას ას	—ტყვეობიდან შეურაცხყოფილად დაბრუნების შემდეგ თავი ჩამოიხრჩო 1995 წ. 14 თებერვალს.
მალანია ლიანა	—35 წ. 1995 წ. მარტში მოკლეს საკუთარ სახლში.

ბენია მერაბი შალვას ძე	—29 წ. დახვრიტეს 1994 წ, თეპერვალში
ლეფსაია მერაბი ინდიკოს ძე	—35 წ., 1993 წ. 30 სექტემბერს დახვრიტეს საკუთარ სახლში.
ჩერქეზია ეოჩა ნოდარის ძე	—15 წ, წაიყვანეს კოხორაში და იქ მოკლეს წამებით.

სოფელ ნაბაძევიდან

კუპრავა რევაზი ჭიჭის ძე	—დ. 1949 წ. ინჟინერ-მექანიზატორი, 3 შვილის მამა, საკუთარ სახლში შეიპყრეს აფხაზმა ბოევიკებმა, სასტიკად სცემეს, მერე რეზინის ჩექმაში დიზელის საწვავი ჩაუსხეს და ცეცხლი მოუკიდეს. მერე სადღაც წაიყვანეს. მისი ნეშტი იპოვეს ერთი თვის შემდეგ მხეცის მიერ დაზიანებული.
კუპრავა რუზვენი ჭიჭის ძე	—დ. 1956წ. ორივენი ისევე აწამეს, როგორც მათი უფროსი ძმა რევაზი.
კუპრავა ოთარი ჭიჭის ძე	—დ. 1958 წ.
თოდუა სერაპიონი გიორგის ძე	—დ. 1928 წ. ჯერ სასტიკად სცემეს, მერე ურმით წაიღეს და მეზობლის სახლში ჩაწვეს. 9.X.83 წ.
ძიგუა ზურაბი მირიანის ძე	—დ. 1963 წ. იგი დ. ესათიასთან ერთად შეიპყრეს, ძალად წაიყვანეს, X.93 წ.
ესათია დემური ბოჩიას ძე	—დ. 1963 წ. დაუხვრეტიათ სოფ. მეეობრობასთან, მათი ნეშტი იპოვეს ორი წლის შემდეგ.
კვარცხალაია მამუკა ნოდარის ძე	—დ. 1963 წ. შეიპყრეს საკუთარ სახლში, აკიდეს მძიმე ტვირთი, ათრევინეს ს. ჭუბურხინჯამდე. მერე იქ კი 13.III.95 ყელი გამოჭრეს
როსტობაია ანატოლი დამიანეს ძე	—დ. 1960 წ. საბრძოლო მოქმე-

	დების დროს დაიჭრა ტამიშთან და ჭრილობისაგან ვარდაიცვალა ერთი თვის შემდეგ.
ქარდავა იაშა დომეს ძე	—დ. 1963 წ. მოკლეს საკუთარ სახლში. 3.X.93
კუპრავა მეგონა დომენტის ძე	—დ. 1939 წ. მოკლეს საკუთარ სახლში. 04.94
მესხია კლიმენტი კოწიას ძე	—დ. 1934 წ. მიცვალებულის ვვამი ამოათხრევინეს, მის მაგივრად კი თვითონ ჩამარხეს. X1.94
აბსანძე რევაზი ერმინეს ძე	—დ. 1955 წ. დახვრიტეს საკუთარ სახლში. X11.93
ბერაია მოველი ამროზის ძე	—დ. 1955 წ. 4 შვილის მამა, ბოევიკებმა ივი აწამეს, შემდეგ კი ასამდე ტყვია ესროლეს. IX.95
დარსანია ეოვი ლაითას ძე	—დ. 1958 წ. მოკლეს საკუთარ სახლში. X 93
ბელქანია ველა დაზმერის ძე	—დ. 1972 წ. თბილისის პოლიციის უმაღლესი სკოლიდან ივი ევროპაში წაიყვანეს, სადაც დაიღუპა
ცქვიტარია შალიკო კაპიტონის ძე	—დ. 1935 წ. მოკლეს საკუთარ ეზოში. 11-94
ფაცაცია ირიდი ივანეს ძე	—დ. 1910 წ. ეს მოხუცი ვერ აწამეს, მერე საკუთარ სახლში ჩაწვეს.
ეხვაია რევაზი შალვას ძე	—დ. 1942 წ. მოკლეს ღალიძვასთან, დარჩა 7 შვილი.
ქარდავა პატრიკი მიხას ძე	—დ. 1931 წ. აფეთქდა მანქანაში 11. 94
იზორია ჩიტო დავითის ძე	—დ. 1945 წ. ავტომატით დაცხრილული მდინარეში გადაუგდიათ.
ნარმანია ნანკო ორესტის ძე	—დ. 1942 წ. მოკლეს საკუთარი სახლის ეზოში 111.95
თორია ალიოშა ვანოს ძე	—დ. 1915 წ. მოკლეს ს. ხურჩაში 02.94

თორია მურთაზი ვანიჩქას ძე	—დ. 1945 წ. მოკლეს ს. ხურჩაში 02-94
სიგუა დემური ვალიკოს ძე	—დ. 1963 წ. ცოცხლად ვამოჭრეს კისერი. 3.X.93
სიგუა ვალიკო ძაგალის ძე	—დ. 1921 წ. აყურებინეს თუ როგორ სჭრიდნენ თავს მის ავადმყოფ შვილს დემურის, წინააღმდეგობა ვაუწია, ავტომატით დაცხრილეს.
ფომინა ალა კოლიას ასული	—1945 წ. მოკლეს საკუთარ სახლში.
ბასილაია ველოდი	—დ. 1952 წ. მოკლეს მდინარე ლიღიძგასთან
ეხვაია მიხეილი ტარასის ძე	—დ. 1960 წ. 1994 მოკლეს
ღურწკაია მერაბი ვალიკოს ძე	—25 წ. დახვრიტეს საკ. სახლში.
ხუფენია ღულუნი რაჟდენის ძე	—62 წ. XI. 93 წ. მოკლეს საკ. სახლში.
კუპრავა ღულუნი ბორისის ძე	—62 წ. დახვრიტეს 1993 წ. ოქტომბერში
ფომინა ალა ნიკოლოზის ას	—დახვრიტეს საკუთარ სახლში.

სოფელ ფიჩორიდან

ბულია მალხაზი ეიეის ძე	—დ. 1965 წ., იბრძოდა სოხუმში 1993 წ. 25 ოქტომბერს აფხაზმა ბოევიკებმა ვერაგულად მოკლეს საკუთარ სახლში
შენგელია გოჩა ზურიკოს ძე	—დ. 1970 წ. იბრძოდა ოჩამჩირე-ტამიშის მონაკვეთში ს. შრომასთან, შემდეგ იყო პარტიზანული ჯგუფის წევრი, აფხაზ ბოევიკებთან ერთ-ერთი მძაფრი შეტაკების დროს ამხანაგები ვანარიდა ამ ბრძოლას, თვითონ კი დაიღუპა.
მორგოშია მურადი კაპიტონის ძე	—დ. 1924 წ. ბოევიკებმა მოტყუებით დაიჭირეს, მაგრამ ვერაფერი ათქმევინეს, ავტომატით

	დაცხრილეს, შემდეგ კი ცხენს ვამოაბეს და ათრიეს.
ჯაფარიძე აეთანდილი ლუკას ძე	—დ. 1924 წ. ბუღალტერი აფხაზმა ბოევიკებმა ჯერ სცემეს, მერე კი ავტომატით დაცხრილეს 3.07.94.
სიჭინავა ლევან ბოჩიას ძე	—1975 წ. მოკლეს საკუთარ ეზოში
ჯინჯოლია ბონდო აპელის ძე	—დ. 1957 წ. 1993 წ. 30 ნოემბერს აფხაზმა ბოევიკებმა ძალით ჩაისვეს მანქანაში და წაიყვანეს. გზაში მანქანას ცეცხლი ვაუჩნდა და ცოცხლად ჩაიწვნენ შიგ.
ნაყოფია ვალერი (კოჩა) გრიშას ძე	—დ. 1954 წ. პარტიზანი. სამკაციანი ჯგუფით აფხაზებს გადაეყარა, ამხანაგები გადაარჩინა, თვითონ კი დაიღუპა, ნეშტის დაბრუნება მოხერხდა ერთი თვის შემდეგ.
აქუბარდია თალიკო ჯაკას ასული	—დ.1928 წ. მოკლეს საკუთარ სახლში 11.03. 94.
ეოგოხია ვალოდია ჯოტოს ძე	—დ. 1914 წ. ცოლ-ქმარი ჯერ სახლი დაუწვეს, მერე კი დაცხრილეს
ეოგოხია მანერა საძის ასული	—დ. 1915 წ.
აქუბარდია ლადო სერგოს ძე	—დ. 1964 წ. მოკლეს საკუთარ სახლში.

სოფელ ლიხაზურგიდან

გოგოხია სერგო მაკარის ძე	—69 წლის, დახვრიტეს 1993 წ. 30 სექტემბერს
ბერაია იპოლიტე სტეფანეს ძე	—65 წლის, ჯერ აწამეს, მერე მოკლეს
გულორდავა ზოია ვასილის ასული	—58 წლის, წამებით მოკლეს
ბოიკო სტეფანე ერიგოლის ძე	—82 წლის, მოკლეს საკუთარ სახლში
ზარქუა ნუგზარი ჟორჟის ძე	—40 წლის, მოკლეს საკუ-

	თარ სახლში
ლამანძია რეზო არჩილის ძე	—44 წლის, მოკლეს საკუ- თარ სახლში
ლამანძია გულნარა ლეონტის ას.	—47 წლის, აწამეს დედას- თან ერთად, მერე ორივე მოკლეს.
ლამანძია ჭუტა მაკარის ასული	—66 წლის
კვირკველია მადიშა მათეს ასული	—77 წლის, ცოცხლად დაწ- ვეს საკუთარ სახლში
ზაქარაია როლანდი ტარასის ძე.	—50 წლის, აწამეს და მერე მოკლეს
ზაქარაია ვასილი დომენტის ძე	—38 წლის, ჯერ ეაათხრე- ვინეს საფლავი, მერე კი შიე ჩაცხრილეს.
ზაქარაია ამირანი კლიმეტის ძე	—34 წლის, წამებით მოკ- ლეს.
გამსახურდია ვლადიმერ ჯაგას ძე	—60 წლის, ძმასთან ერთად სასტიკად აწამეს და მერე დახოცეს.
გამსახურდია კარლო ჯაგას ძე	—58 წლის
გამსახურდია მერაბი ვლადიმერის ძე	—31 წლის, 1996 წელს წა- მებით მოკლეს საკუთარ სახლში.
ვეკუა მეგონა იაკობის ძე	—65 წლის, აწამეს და მერე მოკლეს
გამახარია კვატი კოსმანის ძე	—61 წლის, დიდი ხნის მერე ნახეს მისი ნაწამები ევამი.
კაჭარავა ჟორა ეაძას ძე	—58 წლის, აწამეს და მერე მოკლეს.
ხუბუა არხიპო სამსონის ძე	—54 წლის, მოკლეს 1994 წელს.

სოფელ ზემო ბარღებიდან

ანთია მირო მიშას ძე	—დ. 1941 წ. დახვრიტეს საკუ- თარ სახლში 3.07.1994 წ.
ბოკუჩავა კარლო დოდოს ძე	—დ. 1952 წ. 20.03.94 წ. ჯერ აწამეს, მერე მოკლეს.
გამისონია დამზერი ბიჭიკოს ძე	—დ. 1951 წ. 13.12.93 წ. დახვრი-

	ტეს აფხაზმა ბოევიკებმა.
გულორდავა ჯუმბერი აკაკის ძე	—დ. 1946 წ. 12.03.94 წ.დაიჭირეს აფხაზებმა, მერე ვალში წაიყვანეს, შემდეგ ავტომატით დაცხრილეს და მდინარე ენეურზე ვადააგდეს. ნეშტი დღემდე არ არის ნაპოვნი.
ელიავა ვალერ იაკოს ძე	—59 წლის, მოკლეს საკუთარი სახლის წინ 1994 წლის 9 თებერვალს.
გულორდავა ნოდარი პეტრეს ძე	—57 წლის, გზაზე დახვრიტეს
ინალიშვილი ნუცა ბაგრატის ასული	—68 წლის, 1993 წლის 26 დეკემბერს დახვრიტეს
მორგოშია კანდიკო ნიკოს ძე	—58 წლის, დახვრიტეს 26.12.93 წ.
პერტაია რევაზი კაპიტონის ძე	—41 წლის, ინვალიდი დახვრიტეს 15. 12. 94 წ.
პეტელინი პაელე ვანოს ძე	—32 წლის. გზაზე მიმავალი დახვრიტეს ბოევიკებმა 1994 წლის 17 ივნისს.
შარია ოლია ლევანის ასული	—85 წლის, ჯერ დაცხრილეს რძალთან ერთად და მერე ჩაწვეს საკუთარ სახლში,
შამუგია მერაბი ნოდარის ძე	—32 წლის, 1993 წლის 25 დეკემბრიდან დაკარგულია უგზოუკვლოდ.
შარია ციური ხარიტონის ასული	—56 წლის, 27.09.93 წ. დახვრეტილი იქნა საკუთარი სახლის წინ.
ჩაფრავა ჟორჟი ვანოს ძე	—57 წლის, 29.12.93 წ. ჯერ აწამეს, შემდეგ კი დახვრიტეს.
ძანძავა ვალიკო მაქსიმეს ძე	—66 წლის, 2.02.94 წ. გზაზე მიმავალი დახვრიტეს აფხაზმა ბოევიკებმა
რიგვავა შოთა ბადუშის ძე	—66 წლის, 26.12.93 წ. მანქანაში ჩაცხრილეს თანასოფლელებთან ერთად.
რიგვავა მერი ესტატეს ასული	—63 წლის, დახვრიტეს 1993 წლის 26 დეკემბერს.

სალაყაია-მებონია იზო კოსტას ასული	—42 წლის, 12.10.93 წ. ავტომატის ჯერით დაცხრილეს საკუთარ სახლში
სტეფანიუკი ვლადიმერი ნიკოს ძე	—35 წლის, დახვრიტეს 1994 წლის 9 თებერვალს
შარია ცუბა თარასხანის ასული	—67 წლის, 7.12.93 წ. ჯერ დაცხრილეს თავის, მეუღლესთან ერთად, მერე დაწვეს საკუთარ სახლში.
ტაბაღუა-შონია ნათელა ციქორის ას	—1994 წლის 2 თებერვალს გზაზე მიმავალი დაცხრილეს აფხაზმა მარადიორებმა
ძანძავა რუბენი ნიაზის ძე	—22 წლის, იბრძოდა გულრიფშის მე-6 სატანკო ბატალიონში, იყო ტანკისტი, დაიღუპა მდინარე გუმისთასთან.
ძანძავა კაპიტონი ხუხუტის ძე	—63 წლის, 1994 წლის 2 თებერვალს დახვრიტეს.
ჭაავა დავითი ნოდარის ძე	—31 წლის, ინვალიდი, დახვრიტეს 30.12.94 წ,
ჭაავა ნოდარი ვლადიმერის ძე	—69 წლის, 29.11.93 წ. მანქანაში ჩაცხრილეს.
ხასაია ტრისტანი ვიეონის ძე	—47 წლის, იბრძოდა მეორე საარმიო კორპუსის საარტილერიო პოლკში სოხუმის მიმართულებებთან, იქვე დაიღუპა.
ჯონჯუა კოსტია თენგიზის ძე	—74 წლის, მუშაობდა ტყვარჩელის მაღაროს ინჟინრად, 7.12.93 წ, დახვრიტეს.
გოგია გოჩა მურმანის ძე	—დაიღუპა 1997 წლის იანვარში პარტიზანული ბრძოლების დროს.

სოფელ ქვემო ბარღებიდან

შენგელია ვალტერი რეზოს ძე	—დ. 1964 წ. მის ტყუპ ძმასთან ვიასთან ერთად მხეცური წამების შემდეგ მოკლეს 2,03.94 წ. სოფლის საშუალო სკოლის შენობაში

შენგელია გია რეზოს ძე	—დ.1964 წ.
ჩერქეზია რევაზ ინდიკოს ძე	—35 წლის, დახვრიტეს 12.03.94 წ.
ლუკავა ფრიდონ ვრიშას ძე	—39 წლის, დახვრიტეს წამების შემდეგ 12.03.94 წ.
ხარჩილავა ეურამი შალიკოს ძე	—30 წლის, დახვრიტეს 1993 წელს
ჩაკაბერია ეულიკო ექვთიმეს ძე	—54 წლის, დახვრიტეს 1993 წ.
ლევტეროე ივან ეასილის ძე	—73 წლის, დახვრიტეს 1993 წ.
ქობალია ნოდარი მამიას ძე	—64 წლის, დახვრიტეს წამების შემდეგ 1994 წ.
ჯალაღონია კალე	—90 წლის, აწამეს, თავი მოჰკვეთეს 1993 წ.
ანჩაბაძე დემური ვოჯოს ძე	—36 წლის, მდ, ენგურთან დახვრიტეს 1995 წ.
შამუგია ჯონი ჯინჯიკოს ძე	—32 წლის, დახვრიტეს 1994 წ.
გვაძაბია მურმან კაპიტონის ძე	—40 წლის, დახვრიტეს 1994 წ.
ჯალაღონია გურამი კუტას ძე	—41 წლის, დახვრიტეს 1995 წ.
ლაშხია ბიჭიკო იასონის ძე	—63 წლის, 1993 წ, დახვრიტეს საკუთარ სახლში
ცაავა არხიპო ძაგვალას ძე	—49 წლის, დახვრიტეს 12.08.94 წ.
ხოჭოლავა ფაქიზო ბეგის ძე	—75 წლის, დახვრიტეს 1993 წელს
ჭაავა ჭუტა თადეოზის ძე	—84 წლის აწამეს, მერე ჩაწვეს მეზობლის სახლში
კიკალია ღუბური ნიკოს ძე	—79 წლის, დაიღუპა 1994 წელს
კიკალია ალიოშა ნიკოს ძე	—71 წლის, დახვრიტეს 1994 წელს
პაპასქუა რუდენი ილიას ძე	—31 წლის, დახვრიტეს 1994 წელს
კიკალია შაგლეგ მიშიკოს ძე	—23 წლის, სტუდენტი, დახვრიტეს 1993 წელს
მორგოშია ვადიკი პროკოფის ძე	—42 წლის, დახვრიტეს 1994 წელს
განეია ქსენია ნიკოს ასული	—73 წლის, ფ. ჯოლოგუასთან ერთად ჯერ აწამეს და მერე ჩაწვეს მეზობლის სახლში.

ჯოლოგუა ჟურა ალექსის ასული —71 წლის,
ჯღამაძე ღუბური ვრიგოლის ძე —65 წლის, დახვრიტეს 1994 წ. 12 აპრილს.
ქობალია მამია გუჯას ძე —86 წლის, შვილის წამებას ვერ ეაუძლო და გული ეაუსკდა 1994 წ. ნოემბერში
ჭაავა ქსენია ჩანთას ასული —78 წლის ჩაწვეს საკუთარ სახლში.
ხარჩილავა ბონდო ზოსიმეს ძე —82 წლის დახვრიტეს 1993 წლის 11 დეკემბერს
გოგოხია ვახტანგი დავითის ძე —25 წლის დახვრიტეს 1991 წელს.

სოფელ ლეკუხონიდან

ევაჯავა ეენო ლუჟიკოს ძე —დ. 1963 წ.—დახვრიტეს საკუთარ სახლში 1994 წ.
ევაჯავა ოთარ (ტრისტანი) ლუჟიკოს ძე—დ. 1969 წ.—დახვრიტეს საკუთარ სახლში
ბაძაღუა ალიოშა სპირიდონის ძე —დ. 1927 წ.—დახვრიტეს ს. დიხაზურვაში 1994 წ.
ტაბაღუა ვაჟიკო დიმიტრის ძე —დ. 1934 წ.—დახვრიტეს ს. დიხაზურვაში 1994 წ.
ჯახაია რომანი იგრიკოს ძე —დ. 1961 წ.—დახვრიტეს 1993 წ.
ევაჯავა ლუჟიკო თოუფანეს ძე —დ. 1932 წ. აწამეს და მერე დახვრიტეს.

სოფელ ოტობაიიდან

კვიტია ვარდენი ბაგრატის ძე —40 წლის, აფხაზმა ბოევიკებმა დაიჭირეს 1994 წ. 29 სექტემბერს, ჯერ სასტიკად აწამეს, მერე კი მეორე სართულიდან გადმოაგდეს
შენგელია აკაკი ტერენტის ძე —67 წლის, დამსახურებული პედაგოგი, ნახევრად ცოცხალი შეაგდეს საკუთარ სახლში და ჩაწვეს
თორდუა სამსონი ჯიბას ძე —82 წლის, 1993.8.12. ჯერ აწა-

მეს, მერე შეავდეს საკუთარ სახლში და იქ ჩაწვეს.

წარაღბაია ზაური ვალიკოს ძე —42 წლის, წამებით მოკლეს 1994 წ. 16 ივლისს

გითოლენდია ოთარი კოლიას ძე —38 წლის, სასტიკად სცემეს, მერე კი ცოცხლად დამარხეს.

ხუფენია ვარადი სოლომონის ძე —69 წლის 6.XII.93 ჩაწვეს საკ. სახლში

ხუფენია დაფენტი ნიკიფოს ძე —57 წლის, 9.XI.93 დახვრიტეს ენგურის პირას

ხუფენია ნოდარი ნიკიფოს ძე —58 წლის, 6.XII.93 დახვრიტეს

ფარულავა შაქრო ჩონჩორის ძე —54 წლის 6.XII.93 დახვრიტეს საკ. სახლში

ფარულავა მამუკა კიტის ძე —37 წლის, XII.93 წ. დახვრიტეს საკუთარ სახლში

ჯაპავა აკაკი ილარიონის ძე —48 წლის, დახვრიტეს საკუთარ სახლში

ქირთბაია დომე ჯამას ძე —54 წლის დახვრიტეს

ფარულუა გვაძი ილარიონის ძე —61 წლის, 6.XII.93 წ. დახვრიტეს მდ. ენგურთან

ბასარია შოთა ანდრის ძე —61 წლის 9.XI.93 დახვრიტეს საკუთარ ეზოში

ხვიჩია გენო ვადის ძე —60 წლის მოკლეს

ეამახარია ავთო ორესტის ძე —40 წლის 6.XII 93 დახვრიტეს

ბოხუა ვალერი ვალოდიას ძე —42 წლის დახვრიტეს

ჭანია ალიოშა კონდრას ძე —53 წლის 9.XI.93 დახვრიტეს

კვარაცხელია ივანე ბეგის ძე —72 წლის, 9.XI.93 დახვრიტეს საკუთარ სახლში

ჭედია ჯემალი ნოდარის ძე —32 წლის დახვრიტეს

ძაძუა თამაზი აბელის ძე —37 წლის, 6.XII.93 წ. დახვრიტეს

ფიფია ალიკო კაჯალას ძე —62 წლის, 6.XII.93 წ. დახვრიტეს

ბაგათელია რეზო მამანტის ძე —59 წლის, 1993 წ. დახვრიტეს საკუთარ სახლში

რატია ჭუტა ერასტოს ასული —72 წლის

აშორტია პარმენ (პარტუკა) ადინიკოს ძე—70 წლის, II.94 მოკლეს წმენდის დროს.

დეებუაძე კოკოჩია (ემზარი) არდაშელის ძე—14 წლის, 6.XII.94

	დახვრიტეს ეზაში
ქირთბაია ვანო კუკუტის ძე	—38 წლის, 9. XI.93 დახვრიტეს
ჩიტაია მამია ღურუს ძე	—49 წლის, 6.XII.93 დახვრიტეს
ხარებავა ნიკოლოზ ფოთოლის ძე	—61 წლის, 9.XI.93 დახვრიტეს საკუთარ სახლში
ფაცურია ეიული ილარიონის ძე	—48 წლის, 6.XII.93 დახვრიტეს
თაკალანძე თენგიზი ლუდას ძე	—20 წლის 6.XII.93 დახვრიტეს და დაწვეს
ტაბაღუა ჟორჟი ძაკას ძე	—70 წლის, II.94 წ. დახვრიტეს
ფარულავა ვარდო დომეს ას	—6.XII.93 დახვრიტეს საკუთარ სახლში
შონია გუძია პროფოს ძე	—60 წლის 6.XII.93 დახვრიტეს საკუთარ სახლში
ქარდავა ზარენი ილიას ძე	—36 წლის 6.XII.93 მოკლეს
ჩიტაია ჭუტა ნესტორის ასული	—70 წლის, 6.XII.93 წ. დახვრიტეს

სოფელ მუხურიდან

შარანგია ლუდუკი პლატონის ძე	—დ. 1926 წ.—1994 წ. აწამეს ბოევიკებმა, სახლკარი დაუწვეს, მერე გაქცეულს მიაგნეს კოხორის ტყეში და მხეცურად მოკლეს
ქუთელია ვია შოთას ძე	— დ. 1961 წ.—ტყვედ ჩაიგდეს 1994 წ. 16 იანვარს, რამდენიმე დღე აწამეს, მერე დახვრიტეს
გეგია გულიკო ტაშის ძე	— დ. 1933 წ.—დახვრიტეს 1993 წლის 4 ოქტომბერს
შარანგია აკაკი მიხეილის ძე	— დ. 1911 წ. დახვრიტეს 6.02.94წ. მერეჩაწვეს სახლში
დოჩია კოლია ნიკოლოზის ძე	— დ. 1932 წ., დახვრიტეს 24.12.94 წ.
ჭკადუა აპოლონ ხარიტონის ძე	— დ. 1933 წ. დაატყვევეს 12.12.94წ., მერე ტყეში დახვრიტეს და მიაგდეს მხეცების

	საკიკენად.
აპსავა ერამიტო ვერასიმეს ძე	— 45 წლის, 21.01.94 მოკლეს სომხებმა საბერიოში მდ. ენგურთან მეუღლესთან ერთად
არტემოვა ტოსია ივანეს ასული	— 75 წლის 11.94 მოკლეს სოხუმის ცენტრალურ გზაზე. შეშელეთის ტერიტორიაზე
ბერიშვილი ანატოლი იაკობის ძე	— 45 წლის, XI.93 მოკლეს დედასთან ერთად ორივე
ბერიშვილი ვალია	— 70 წლის.
გაბელია ჟორჟი მალხაზის ძე	— 45 წლის, ცოლთან ერთად დაწვეს საკუთარ სახლში
ვაბელია ეთერი	— 40 წლის.
ვასაშვილი იური ალიკოს ძე	—35 წლის, 11.94 დახვრიტეს საკუთარ სახლში
ეოლანძია-ხარჩილავა ლილი თახვახვას ასული	—60 წლის, X.93 დახვრიტეს საკუთარ სახლში
ეოგოხია არსენა ჩანთასძე	—70 წლის, 1.XI.93 იძულებულმა წამებით, ჩამოიხრჩო თავი.
დარსანია კომინო ლაუს ძე	—60 წლის, 2.11.96 დახვრიტეს.
კვარაცხელია-აბსავა ქეთო ვასილის ას	—45 წლის, 21.I.94 დახვრიტეს
ლავირვანიძე რევაზი პლატონის ძე	—46 წლის.
მოსიძე იური ოლიფანტეს ძე	—68 წლის, 1.94 იპოვეს სახლში მკვდარი, ნაწამები
მიქაია-ბერიშვილი ეთერი სამსონის ასული	—65 წლის, 11.94 დახვრიტეს ს. ღუმურიშში
ფერზბა-ბერიშვილი მანანა მამანტის ასული	—35 წლის, XI.93 წამებით მოკლეს მუხურის ფერმასთან
ქარცხია ბოჩო აპოლოს ძე	—70 წლის, დახვრიტეს
შარანეია ვალოდია მიხეილის ძე	—80 წლის, 11.94 წმენდის დროს ვამოქცეული ვაიყინა გზაში.
შონია არჩილი ესაკას ძე	—67 წლის, 11.94 მოკლეს ცემით, ეინაიდან შვილები იყვნენ ბატალიონ „სამურზაყანოს“ წევრები.

ხასაია ვოჩა ეულვერის ძე —16 წლის
ხასაია ხოხო ბადრას ძე —70 წლის, XI.93 ნაწამები ეარდაიცვალა.
ხასაია ვალია სამსონის ასული —65 წლის, II.94 დახვრიტეს ღუმურიშის ვზაზე
ჯიქია სოსო დავითის ძე —30 წლის, II.94 მოკლეს საკუთარ სახლში.
ხასაია რაული აბასის ძე —50 წლის, დახვრიტეს
წურწუმია ირონდიონ ეაბრიელის ძე —73 წ. 9.IV.96 აფხაზები შეუვარდნენ სახლში ფული მოსთხოვეს, შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს სახლს. თვითონ წაიყვანეს ონამჩირეში. 27 აპრილს იპოვეს მისი და მისი მეუღლის ეკამი სილორთან.
წურწუმია-არდაშელია ეთერი. კოტეს ასული—67 წ.
ეოლანძია ლესტამბერი კინტირიას ძე—1996 წლის მაისის თვეში აფხაზების მიერ იქნა მოკლული საკუთარ სახლში.

სოფელ შეშელეთიდან

არდია ნუგზარი ჭონჭოს ძე —42 წლის, VI.94 დახვრიტეს.
ბაღიშვილი რანდიკი ულაკის ძე —50 წლის, 3.X.93 დახვრიტეს საკუთარ სახლში.
ბაღიშვილი რაჟდენი არტემის ძე —51 წლის, 3.X.93 დახვრიტეს საკუთარ სახლში.
ეოგოხია მზევინარი არსენას ასული —46 წლის, VI.94 აფეთქდა ნაღმზე.
ეოვსანია ჯუმბერი ვაჟას ძე —35 წლის, I.94 დახვრიტეს.
ეულუა აპილო ერასტოს ძე —62 წლის, II.94 დახვრიტეს საკუთარ სახლში.
ლაზარია ბოჩია შალის ძე —51 წლის, VI.94 დახვრიტეს საკუთარ სახლში
ეულუა ნება ბაჩას ასული —57 წლის, II.94 დახვრიტეს საკუთარ სახლში
მარკელია ვენო მამანტის ძე —44 წლის, X.93 დახვრიტეს სოფლის ცენტრში.
საჯაია ამირან სამსონის ძე —55 წლის, 11.XII.93 დახვრი-

ტეს საკუთარ სახლში.

საჯაია შოთა ექვთიმეს ძე	—51 წლის, 11.XII.93 დახვრიტეს საკუთარ სახლში.
ჭარაია კაკო დიმიტრის ძე	—45 წლის XI-93 დახვრიტეს საკუთარ სახლში.
სანაია იონა ხოფოს ძე	—78 წლის 5.I.96 დახვრიტეს აფხაზმა ბოევიკებმა.
სანაია-ღვინჯილია გემოშა	—74 წლის 5.I.96 დახვრიტეს აფხაზმა ბოევიკებმა.
სანაია ჟორა იონას ძე	—54 წლის 5.I.96 დახვრიტეს აფხაზმა ბოევიკებმა
სანაია ვალერი იონას ძე	—42 წლის 5.I.96 დახვრიტეს აფხაზმა ბოევიკებმა
სანაია მამუკა ვალერის ძე	—19 წლის 5.I.96 დახვრიტეს აფხაზმა ბოევიკებმა
სანაია მანუჩარი ვალერის ძე	—17 წლის 5.I.96 დახვრიტეს აფხაზმა ბოევიკებმა
სანაია მიმოზა ჯოდოს ასული	—41 წ. 5.94 დახვრიტეს.
ხუბულავა ლილი ვარსევანის ასული	—78წ., V.94 მოკლეს დანის თავში ჩაცემით.
მარკელია კაკა	
არქანია ლილი ნესტორის ასული	—72 წ. 9.IV.96 აფხაზმა ბოევიკებმა მოკლეს.
ხურცილავა ვახტანგი რადიონის ძე	—41 წ. 5.I.96 დახვრიტეს
ჩქოტუა თენგიზი ამირანის ძე	—40 წ. —X.93 დახვრიტეს

სოფელ ღუმურიშიდან

1. დანელია ავთანდილი მიხეილის ძე	—38 წლის, III.95 წ. დახვრიტეს
2. დანელია ედუარდი მიხეილის ძე	—20 წლის, II.95 წ. დახვრიტეს ღუმურიშში
3. ზუხბაია ფირახმანი იასონის ძე	—70 წლის, თავი მოკვეთეს ნაჯახით.
4. ზუხბაია რუდენი ბასას ძე	—55 წლის, 6.II.94 დახვრიტეს
5. კაკუბავა დათიკო ბესარიონის ძე	—72 წლის, დახვრიტეს
6. კეკუა ჭუტა რომანოზის ასული	—63 წლის, X.93 წ. დახვრიტეს
7. კეკუა მირიანი ათანასეს ძე	—72 წლის, X.93 წ. ვაიტყუეს

	სახლიდან და მოკლეს ჩაის პლანტაციაში
ტორუა ვენეცი	—57 წლის, 1.X1.93 დახვრიტეს
ზუხბაია რობერტი ეურამის ძე	—30 წლის, იმალებოდა სოფელში, ვერ მოითმინა მშობლიური სოფლის ეადაწვა, აღუდგა ბოევიკებს მათ კი 40 ტყვია მიარტყეს 5.02.94 წ.

სოფელ ხაბეჩიოდან

მარხულია იური ინდიკოს ძე	—დ. 1965 წ.—საკუთარი სახლის კართან დახვრიტეს 1994 წლის ივნისში
ხეცურიანი აბრამი ანდრიას ძე	—დ. 1922 წ.—სამამულო ომის ინვალიდი, აფხაზმა ბოევიკებმა დახვრიტეს 1994 წ., შემდეგ ეადააგდეს მდინარეში, მისი ნეშტი დღემდე არ არის ნაპოვნი.
ტორუა მანანა ბოჩიას ასული	—დ. 1968 წ., ღამით დაეცნენ და დახვრიტეს საკუთარ სახლში.
ბაძაღუა ვაუმბერი ალიოშას ძე	—დ. 1941 წ., 1994 წლის შემოდგომაზე დახვრიტეს საკუთარ სახლში.
ქობალია ოთარი თამშუქის ძე	—1993 წლის ოქტომბერში დაიკარგა უეზო-უკვლოდ.

სოფელ თაბილოსნიდან

აბლოთია კოლია ალმასხანის ძე	—65 წლის, დახვრიტეს 10.09.94 წ.
არდაშელია ენვერ უჯუშის ძე	—53 წლის, ძმასთან რამაზისთან ერთად დახვრიტეს 1993წ. ოქტომბერში.
არდაშელია რამაზი უჯუშის ძე	—50 წლის.
აბლოთია ვარლამი ლუკას ძე	—64 წლის, დახვრიტეს 1994

	წ. ოქტომბერში
არდაშელია ღუდა კალისტრატეს ძე	—60 წლის, უეზო-უკელოდაა დაკარგული
არდაშელია ვაჟა დომეს ძე	—55 წლის, დახვრიტეს საკუთარ ბინაში
ანთელავა ივანე სოლომონის ძე	—60 წლის, მეუღლესთან და სიძესთან ერთად დახვრიტეს საკუთარ სახლში 1994 წ.
ტოკლიშვილი-ანთელეევა ზინა	—55წ.
კვიჟინაძე ვალერი	
ბენდელავა გრამიტონ იონას ძე	—ძმასთან ერთად დახვრიტეს ე.წ. „წმენდის“ დროს
ბენდელავა მაგლო სოლომონის ძე	—60 წლის
დარასელია მიშა შოთას ძე	—28 წლის—დახვრიტეს ე.წ. „წმენდის“ დროს
ლეჟავა მამუკა არხიპოს ძე	—25 წლის—დახვრიტეს ე.წ. „წმენდის“ დროს
მარშავა ომარი დავითის ძე	—25 წლის, დახვრიტეს დედის თვალწინ 1993 წ. 4 ოქტომბერს
შუბლაძე ლუჩიკო სამსონის ასული	—50 წლის ქვრივი, 3 შვილის დედა, მოსთხოვეს ოქრო, ცოცხლად ჩააგდეს ჭაში და მერე მიაყარეს ტყვიები 10.09.94 წ.
ძაძუა ნიკიფორე შალვას ძე	—55 წლის, სტრესისაგან ეული ვაუსკდა
ხურცილავა მურმან კირილეს ძე	—33 წლის, უეზო-უკელოდაა დაკარგული
შარია ქსენია ილიას ასული	—79 წლის, დახვრიტეს 1994 წ. ნოემბერში
ჯონჯუა არდევანი მუჯულის ძე	—65 წლის, დახვრიტეს საკუთარ ოჯახში 1993 წ. ოქტომბერში
არდაშელია ველოდი რაჟდენის ძე	—65 წლის, ნაღმზე აფეთქდა 1997 წ. იანვარში
შაგიძე კორნელი შოთას ძე	—30 წლის, აფეთქდა ნაღმზე
გვარამია ტარიელ მამიას ძე	—35 წლის, წამებით მოკლეს ჩაის პლანტაციაში

ორჟონია ბოდოლი ეევენის ძე	—70 წლის, აფეთქდა ნაღმზე.
არდაშელია ეოჩა ბიჭიკოს ძე	—26 წლის, დაკარგულია უგზო-უკვლოდ.

სოფელ ჭიბურიდან

აბლოთია ეივი ილიკოს ძე	—60 წლის, დახვრიტეს ბოევიკთა შემოსვლის დღეს 30.09.93 წ.
აკობია თამაზი აპოლონის ძე	—32 წლის, ტყვეით დაცხრილული იპოვეს მდ. ენგურის სანაპიროზე 1994 წელს
ახმეჯანოვი ვალერი ვასილის ძე	—51 წლის, დახვრიტეს საკუთარ სახლში
აქირთავა ინდიკო ბუჯეის ძე	—45 წლის, დახვრიტეს 30.09.93 წ.
აქუბარდია დენის ჭიჭიკოს ძე	—42 წლის, დახვრიტეს 30.09.93 წ.
აქუბარდია ნანა ილიკოს ასული	—36 წლის, დახვრიტეს 30.09.93 წ.
აქუბარდია (ბულისკერია) ნათელა	—60 წლის, სოც. შრომის ემირი, მოკლეს საკუთარ ეზოში 1994 წლის თებერვალში.
ბერიშვილი ჯონი ბოკოს ძე	—67 წლის, დახვრიტეს 8.02.1994 წ. საკუთარ ეზოში.
ბოკუჩავა კარლო დოდონის ძე	—36 წლის, დახვრიტეს დაუმორჩილებლობისათვის 1994 წლის აპრილში
ბჟანია ლეონტი ძებუს ძე	—85 წლის, პედაგოგი, დახვრიტეს საკუთარ ეზოში 1993 წლის ოქტომბერში
ევარამია ეია აპოლონის ძე	—22 წლის, ორივე ძმა ერთდროულად დახვრიტეს
ევარამია გელა აპოლონის ძე	—29 წლის.
ეადელია თენგიზი ვალოს ძე	—36 წლის, მოკლეს ყანაში 18.12.93 წ. ე.წ. „წმენდის“ დროს ეივი შონიასთან და ჯუმბერ კვეკვესქირიასთან ერთად, 3 დღის შემდეგ იპო-

	ვეს მათი დასახიჩრებული გვამები, მას დააკედა ლედა ქსენია გადელია.
კვეკვესქირი ჯუმბერი ნიკოლოზის ძე	—56 წლის
ვამისონია პოლშა მიხეილის ძე	—60 წლის, მამა-შვილი ერთად დახვრიტეს
ვამისონია მზეევინარ პოლშას ასული	—35 წლის
ვარდანია ინდიკო ერასტოს ძე	—45 წლის დახვრიტეს
ემუხვარი ვახტანგი ჩონჩორის ძე	—75 წლის, ხ. ფირცხალავასთან ერთად დახვრიტეს 1993 წ. ოქტომბერში.
ფირცხალავა ხუტა პავლეს ძე	—69 წლის.
კოკაია მანტია თედოს ძე	—61 წლის დახვრიტეს
კოკაია ირეოდი ევნატეს ძე	—65 წლის დახვრიტეს
კაშოევი ივანე ივანეს ძე	—55 წლის დახვრიტეს
მეფორია ტარიელ იობის ძე	—45 წლის დახვრიტეს
მარღანია ამირან ბაგრატის ძე	—60 წლის, დახვრიტეს 1994 წ. თებერვალში
ლაგირვანიძე რევაზი	—41 წლის, დახვრიტეს ე.წ. „წმენდის“ დროს 1994 წ. თებერვალში
მორგოშია ჯანიკო ვაჟას ძე	—27 წლის, მოკლეს 21.05.94 წ. ილორში
ნაყოფია ვიკო	—60 წლის, დახვრიტეს „წმენდის“ დროს 02.94.
ნაყოფია მარგო ფილიპეს ასული	—58 წლის, დახვრიტეს 1994 წ. 5 თებერვალს
ტყემალაძე რაჟდენი	—40 წლის, დახვრიტეს მეზობლის ეზოში.
ფარულავა ჯამბული ფეტელის ძე	—40 წლის, 8.01.94 წ. საკუთარი ხელით ვაათხრევინეს საფლავი და მერე დახვრიტეს
ფარულავა ავთო სემიონის ძე	
ცატავა ვაჟიკო მალაკის ძე	—45 წლის, დახვრიტეს ს. დიხაზურვაში მდინარე ენგურის სანაპიროზე
ცატავა აპალონი ვიქტორის ძე	—45 წლის
ცატავა ვალერი ბაგრატის ძე	—40 წლის
ქობალია სევერი რომანის ძე	—40 წლის

ქირია იურა ილარიონის ძე	—53 წლის, დახვრიტეს საკუთარი სახლის წინ.
ნანავა ნოდარი ლევანის ძე	—68 წლის, მოკლეს 1994 წ. 8 თებერვალს .
შონია ალიკო უშანგის ძე	—50 წლის, 30.X. 93 წ. დახვრიტეს ენგურის ხიდთან.
შენგელია რუსლანი დურუს ძე	—დახვრიტეს
შუბლაძე პარმენი ანდროს ძე	—70წ. დახვრიტეს 1994 წლის 8 თებერვალს
ზუხბაია	დახვრიტეს—1997 წელს
შელია კოვი როლანდი ინვერის ძე	—დაიღუპა 1997 წ. აგვისტოში.
ნაყოფია გივი გეროს ძე	—დაიღუპა 1997 წ. აგვისტოში.

სოფელ ზანახლებიდან

ახალაია შოთა ანტონის ძე	—70 წლის ე. რურუასთან და თ. ბერიასთან იმალებოდა ს. ლაგვილავას სახლში,
რურუა გვანჯი ავქსენტის ძე	მიეპარნენ აფხაზები, დახოცეს ყველა, მერე კი სახლს
ბერია თამარი ნარიქის ძე	ცეცხლი წაუკიდეს და ჩაწვეს ყველანი
გამახარია ავთანდილი ორესტის ძე	—38 წლის, დახვრიტეს ვაეიდის ეზაზე 23.01.94 წ.
გამახარია რაფიელ ვალერიანის ძე	—33 წლის „———“
ეფენია ნოდარი ბაბუშის ძე	—52 წლის, დახვრიტეს 26.02.94 წ.
თორია (ფაცაცია) ბაბუცა ნიკოლოზის ასული	—63 წლის, 9.02.94 წ. მის სახლს ცეცხლი წაუკიდეს, ივი ცოცხლად ჩაწვეს შიგ.
ივანოვი ივანე ივანეს ძე	—70 წლის, ჩაწვეს სახლში 09.03.94 წ.
კახიანი ნოდარი პლატონის ძე	—56 წლის, 9.02.94 წ. დახვრიტეს ძმასთან ერთად.
კახიანი რაჟიკო პლატონის ძე	—52 წლის.
კახიანი კაპიტონ (ხოხო) მელიტონის ძე	—89 წ., დახვრიტეს საკუთარ სახლში
კახიანი როლანდ ორდენის ძე	—50 წლის, 8.12.93 წ. დახვრიტეს ს. ოტობაიაში

ლომაია როინი (რანო) ნესტორის ძე	—53 წლის, მამა-შვილი დაიჭირეს, მამა მოკლეს
ლომაია ზვიადი როინის ძე	8.12.94 წ., დაჭრილი შვილი კი ცემით მოკლეს ოტობაიის შტაბში 11.02. 94 წ.
ლაგვილავა სერაპიონ ევნატეს ძე	—84 წლის, ცოლ-ქმარი დახვრიტეს, მერე კი ცეცხლმოკიდებულ სახლში შეაგდეს.
ლაგვილავა ოლია ძაგალის ასული	—75 წლის
მორგოშია აგრაფინა დიმიტრის ასული	—62 წლის, დასთან ერთად დახვრიტეს.
მარგოშია ნუკა დიმიტრის ასული	—66 წლის.
ნარმანია ინგუშა კალისტრატეს ძე	—61 წლის, დახვრიტეს 18.03.94 წ.
ოდიშარია ალექსანდრე ტიტოს ძე	—38 წლის, მოკლეს ე.წ. „წმენდის“ დროს 9.02.94 წ.
ოდიშარია მამუკა ჟერიკოს ძე	—32 წლის, მოკლეს პარტიზანული შეტაკების დროს 9.04.97 წ.
ფაცაცია ზინა ალექსის ასული	—60 წლის, სახლში ჩაწვეს 9.02.94 წ.
ფაცაცია დუსია პაულეს ასული	—61 წლის
ფაცაცია ერიეოლ გვაჯას ძე	—84 წლის, დახვრიტეს 8.12.93 წ.
ფაცაცია ვალია იეორის ასული	—92 წლის „———“
ფირცხალავა ვალერი კოლიას ძე	—38 წლის, დახვრიტეს ოტობაიის შტაბში 11.02. 94 წ.
პატარაია ნუგზარი იაკობის ძე	—49 წლის, დახვრიტეს ნაბაკევის ეზაზე 9.04.94 წ.
ქობალია გია ჰერიკოს ძე	—32 წლის, წამების შემდეგ მოკლეს ოტობაიის შტაბში, ნახევრად ცოცხალს მიაყარეს მიწა.
ქობალია მანანა იასონის ასული	—55 წლის
ცობეხია აკაკი ბასას ძე	—80 წლის, დახვრიტეს ოტობაიაში 8.02.94 წ,
ცაავა შალერი ნოდარის ძე	—30 წლის, დახვრიტეს სოფლის ცენტრში

შონია ვოჩა სერიოჟას ძე	—30 წლის,დახვრიტეს ს. ოტობაიაში 8.02.94 წ.
შელია არველოდი ბუხუტის ძე	—46 წლის—დახვრიტეს ოტობაიის შტაბში 11.02.94 წ.
ხურცილავა ინვერი ვრიეოლის ძე	—47 წლის—„————“
ხასაია ჟორჟი ანტონის ძე	—55 წლის, რძალ-დედამთილი ერთდროულად დახვრიტეს 10.06.94წ.
ხასაია ლალი მუშნის ასული	
ჯინჯოლია ბონდო აბელის ძე	—37 წლის, დახვრიტეს 23.01. 94 წელს.
ფაცაცია ირონდი კირილეს ძე	—82 წლის, ცოცხლად ჩაწვეს სახლში
ფაცაცია კახა არდეევანის ძე	—დ. 1970 წელს, დაატყვევეს 1994 წლის 9 თებერვალს და დღემდის არაფერია მასზე ცნობილი. დამთავრებული ჰქონდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი წითელ დიპლომზე, დიპლომის აღება ვერ მოასწრო, დიპლომი ვამოუგზავნეს დაკარგვის შემდეგ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექციის ვადაწყვეტილებით მისი სურათი მუდმივად დარჩება ინსტიტუტის საპატიო დაფაზე.
ჯალაღონია კალისტრატე პეტრეს ძე	—82 წლის, თავი მოსჭრეს. 8.12.1993 წ.

სოფელ პირველი ზალიდან

აბაშია ვალიკო ერასტოს ძე	—55 წლის, ეზაზე მიმავალი შეიტყვეს მეზობლის სახლში და იქ დახვრიტეს 1993 წ. 2 ოქტომბერს
ახვლედიანი მურმანი არველოდის ძე	—40წლის, მამა-შვილი დახვრიტეს საკუთარ სახლში 1993 წ. დეკემბერში.

ახვლედიანი მანუჩარი მურმანის ძე	—20 წლის.
ბასარია დავითი ვალიკოს ძე	—23 წლის—დახვრიტეს 1993 წლის ოქტომბერში
ბიბლაია სონიჩკა სამსონის ასული	—70 წლის, დახვრიტეს და მერე ჩაწვეს საკუთარ სახლში.
ბერაძე სლავიკი გიორგის ძე	—39 წლის, აფეთქდა ნაღმზე 1994 წ. ნოემბერში
გერგედავა ირეოდი ბარდღუას ძე	—85 წლის, მოკლეს 1995 წ. თებერვალში
ვაბლაია აკაკი კუკუს ძე	—75 წლის, მოკლეს ვზაზე 1993 წ. ოქტომბერში
ვოვლიძე იური სევერიანის ძე	—50 წლის, მეეზურობა არ ვაუწია აფხაზ ბოევიკებს, რისთვისაც დახვრიტეს 2.10.93 წ.
კობახიძე პაატა იურის ძე	—19 წლის, აფეთქდა მანქანით ს. ბედიის ვზაზე 1993 წლის 27 ნოემბერს.
ვასაშვილი აკოტი გაძას ძე	—53 წლის, მთელი ოჯახი ამოწყვიტეს 1994 წლის დეკემბერში
ვასაშვილი თამარა	—23 წლის
ვასაშვილი ბესიკი აკოტის ძე	—25 წლის
ვასაშვილი დათო აკოტის ძე	—30 წლის
დარსანია ინდიკო ჯაგას ძე	—60 წლის, დახვრიტეს 1993 წ. ნოემბერში
ეუდაბანძე ვახტანგი შირიმის ძე	—22 წლის
ეზუგბაია ვანო სტეფანეს ძე	—75 წ., ჩაწვეს საკუთარ სახლში 1993 წ. ოქტომბერში
კვეკვესქირი ხუტუშა სანდროს ძე	—51 წ., დახვრიტეს საკუთარ ეზოში 1993 წ. ოქტომბერში
მინჯია ვანო ილიას ძე	—60 წლის, დახვრიტეს 1995 წ. 18 მაისს
მალაზონია სევერიან ვლადიმერისძე	—72 წლის, ომის ვეტერანი, „წამებით“ მოკლეს 18.05.95 წ.
კვეკვესქირი მურმანი ჭიკას ძე	—70 წლის, დაიღუპა 1993 წლის ნოემბერში
კვეკვესქირი იგორი ჭიკას ძე	—55 წლის, დახვრიტეს 2.10.1993 წ.

კაკავა დუნია ლეკვას ასული	—74 წლის, დახვრიტეს, შემდეგ ჩაწვეს საკუთარ სახლში.
როსტობაია ვახტანგი არველოდის ძე	—35 წლის, დახვრიტეს საკუთარ სახლში
ლომაია დინარა ძეკუს ასული	—48 წლის, დახვრიტეს 5.02.94 წელს.
ლოგუა ნოდარი არტემის ძე	—54 წლის, ენგურის ხიდთან იპოვეს მისი ნეშტი 3.02.94 წ.
რეჭია ლუდა ტაშის ძე რეჭია (ჭანტურია) ფაინა ტარიელის ასული	—55 წლის, ცოლ-ქმარი ერთად დახვრიტეს, მერე შეაგდეს ცეცხლმოკიდებულ სახლში და ჩაწვეს.
კობახიძე პანტიკო ნავიტენკო ივანე პეტრეს ძე	—75 წლის, დახვრიტეს 1994 წ. ნოემბერში
ცანავა ნოდარი უშანგის ძე	—6.II.93 წ. დახვრიტეს
ფარულავა ნოდარი ფარნას ძე	—64 წლის, დახვრიტეს.
ქობალია კაკი	—65 წლის, მამა-შვილები სამივე ერთად დახვრიტეს, შემდეგ ჩაწვეს სახლში
ქობალია ლევანი კაკის ძე	—38 წლის
ქობალია ზურიკო კაკის ძე	—40 წლის.
ქარდავა თამარი ნიკოლოზის ასული	—60 წლის, დახვრიტეს
ცაცუა აპო ლუკას ძე	—60 წლის, დახვრიტეს საკუთარ სახლში
ციკოლია გაიოზ ვადას ძე ციკოლია ლაშა მირიანეს ძე—17 წლის	—20 წლის, ლაშასთან ერთად დახვრეტილები ნახეს სოფლის გზაზე
თაველაძე გენო ტარიელის ძე	—64 წლის, დახვრიტეს
ეზუგბაია ავთანდილ აკაკის ძე	—36 წლის, დახვრიტეს
ეზუგბაია ვ.ემალ რადიონის ძე	—35 წლის
შონია რაბო ბიკას ძე	—56 წლის, გალის რაიაღმასკომის თავმჯდომარე, 1994 წლის ნოემბერს მოკლეს ს. ხუმუშქურის გზაზე სხვა 7 მოქალაქესთან ერთად.
ტორუა მირიანე ისიდორეს ძე	—მოკლეს რ. შონიასთან ერთად ს. ხუმუშქურის გზაზე

შურღაია ელდარ ნიკანდროს ძე	—60 წლის, დაიღუპა 30.09.93 წ.
ხიკლანძე კოტე მამიას ძე	—50 წლის, 7.11.93 მოკლეს საკუთარ სახლში, მერე დაწვეს
ჯოჯუა მურმანი შალვას ძე	—60 წლის, დახვრიტეს 2.10.93 წ.
ჯობავა ამური ნიკოლოზის ძე	—54 წლის, დახვრიტეს 1994 წ. თებერვალს
ჯეჯეია ნუგზარი დიტოს ძე	—50 წლის, დახვრიტეს 5.02.94 წ.
ჯეჯეია ეივი მამიას ძე	—50 წლის, მოკლეს საკუთარ სახლში
ჯეჯეია ავალიონი ერასტოს ძე	—დახვრიტეს, მერე ჩაწვეს საკუთარ სახლში
ჯეჯეია (ბიბაია) იამზე ბიქტორის ასული	—45 წ., დახვრიტეს 1994 წ. 5 თებერვალს, რადგან იცნო მისი მეუღლის ა. ჯეჯეიას მკვლელი
ჯალაღონია გიელა ინდიკოს ძე	—50 წლის, მოკლეს 2.10.93 წ.
ელიავა ოთარი	—15 წ. გაიყინა გზაზე
ნაჭყებია გიული კონსტანტინეს ძე	—32 წლის, დახვრიტეს 1994 წ. 6 თებერვალს
ველანძე ავქსენტი პავლეს ძე	—67 წლის, აწამეს, რის გამოცთავი ჩამოიხრჩო 23.11.94 წ.
ლამანძია პაატა ვალიკოს ძე	—20 წლის, დაიღუპა 4.06.96 წ.
ჯობავა ჟორა აპოლონის ძე	—67 წლის, დახვრიტეს ს. პირველ ეალში საკუთარ ეზოში.
როსტობაია	—32 წლის, დაიღუპა 1997 წლის თებერვალში პარტიზანული ბრძოლების დროს ს. აჩიკვარაში
გოჩავა..... ტუნტის ძე	—ეზო-უკვლოდაა დაკარგული
უზარაშვილი ედიშერ ხუჭას ძე	—22 წლის, პარტიზანული ბრძოლის დროს დაიღუპა ოქუმ-ჩხორთოლის გადასასელელთან 23.03.97 წ.

აბლოთია რაფიელ მიხეილის ძე	—35 წლის, 1994 წ. აფეთქდა ნაღმზე
აქუბარდია ლიანა პართენის ასული	—55 წლის, პედაგოგი, დახვრიტეს თავის ეზოში 2.10.93 წ.
გუჯეჯიანი ბიძინა ბესარიონის ძე	—60 წლის, პედაგოგი, დახვრიტეს თავის ეზოში 2.X93.
გულედანი ზვიადი ვალერის ძე	—19 წლის, დახვრიტეს 30.11.93 წ.
მარშავა ვარიკი ვაჟას ძე	—24 წლის, სტუდენტი, დახვრიტეს 30.04.93 წ.
გოგოხია ჯუმბერი ეფრემის ძე	—55 წლის—3.03.94 წ. აფეთქდა ნაღმზე
გოგოხია ბესიკი ინდიკოს ძე	—30 წლის დაიღუპა 3.03.94 წ.
გოგოხია გიგლა ინდიკოს ძე	—28 წლის „————————“
გოგოხია ველოდი მიხას ძე	—55 წლის „————————“
გოგოხია ნაპო დოროს ძე	—65 წლის, დაიღუპა 1993 წ. საკუთარ ეზოში
დარასელია ოლია ნესტორის ას	—65 წლის, შიშისაგან გული ვაუსკდა 30.09.93 წ.
ეხვაია რადიონი ცაქვას ძე	—70 წლის, მოკლეს საკუთარ სახლში 1994 წ.
მანია ტიგრანი რამინის ძე	—25 წლის, დახვრიტეს ენგურის ხიდთან 14.09.94 წ.
მიმინოშვილი თინიკო ოლიფანტეს ას	—45 წლის, 1994 წ. აფეთქდა ნაღმზე
კაკუბავა სერაპიონი ცაქვას ძე	—70 წლის, დაცხრილული იპოვეს მეზობლის ეზოში 4.10.93 წ.
ჟვანია შალიკო ესტატეს ძე	—75 წლის, დახვრიტეს საკუთარ სახლში
საბულუა ნაპო ჩექერის ძე	—60 წლის, დახვრიტეს 6.12.93 წ.
ქაჯაია ჯუმბერი ტარასის ძე	—45 წლის, დახვრიტეს ცენტრალურ გზაზე 2.10.93 წ.
ქორთუა ვალო ამბაკოს ძე	—64 წლის, დახვრიტეს 10.10.93 წ. საკუთარ სახლში
ქორთუა ვასო შალვას ძე	—62 წლის, დახვრიტეს 1993 წ.

ყოლბაია გენო ამერიკოს ძე	—34 წლის, დახვრიტეს 30.09.93 წ.
ყოლბაია ბოჩია მურადის ძე	—43 წლის, მილიციის მაიორი. დახვრიტეს 30.09.93 წ. შემდეგ მოაჭრეს ხელი.
ყოლბაია მურმან ეუძიას ძე	—32 წლის, დახვრიტეს 30.09.93 წ. ცენტრალურ გზაზე,
ყოლბაია მირიან მიხას ძე	—70 წლის, დახვრიტეს 6.02.94 წ. საკუთარი სახლის ჭიშკართან.
ყოლბაია კაპიტონ ვიორვის ძე	—85 წლის, დახვრიტეს გზაზე 1994 წ.
ხუბაევი იური ედუარდის ძე	—50 წლის, მოკლეს გზაში 1993 წ.
ცაცუა ჯენერი ნოეს ძე	—45 წლის, მოკლეს 1993 წ. მერე ჩააგდეს მდინარეში, ნეშტი ნაპოვნი იქნა 43 დღის შემდეგ.
ცაცუა ჟურა ხიფოს ას	—65 წლის, 12.04.94 წ. ჩაწვეს სახლში
ცატავა გენო არსენას ძე	—55 წლის დახვრიტეს 1994 წ.
ცაცუა გოგოლა მირიანეს ას	—46 წლის, ნაღმზე აფეთქდა 14.10.94 წ.
წულაია ლერი ზაურის ძე	—28 წლის, დახვრიტეს 10.10.93 წ. საკუთარ ეზოში.
ძანძავა იპოლიტე გვეგეეს ძე	—65 წლის, დახვრიტეს 30.09.93წ.
ჩაკაბერია ტრიფონ ბაძუას ძე	—66 წლის „————“
ჯახაია რენო ნიკოლოზის ას	—45 წლის, მოკლეს ენეურის ხიდთან 30.09.93 წ.
კორძაია დოდო თეოფანეს ძე	—65 წლის, მისი დაცხრილული ნეშტი იპოვეს ჩაის პლანტაციაში 3.10.93 წ.
გოგოხია ანატოლი დომეს ძე	—35 წლის, ცოლ-ქმარი აფეთქდნენ ნაღმზე 1994 წლის ოქტომბერში
გოგოხია სვეტლანა ღუდას ას	—35 წლის
აქუბარდია ოთარი ვალიკოს ძე	—29 წლის, დახვრიტეს

	ცენტრალურ გზაზე 1995 წ.
ფაცურია აბესალომი ინდიკოს ძე	—39 წლის, დახვრიტეს გზაში 2.10.93 წ.
ჩაკაბერია გრამიტო ერმილეს ძე	—44 წლის, 1993 წ. დახვრიტეს ს. დიხაზურვაში
ქირია ნაპო რაჟდენის ძე	—66 წლის, 1994 წ. 18 სექტემბერს აუფეთქდა ნაღმზე.
ქობალია ინდიკო ჩანთას ძე	—65 წლის, აფეთქდა ნაღმზე 1994 წ.
კოკაია შალვა ჭიჭიკოს ძე	—60 წლის, მოკლეს 1994 წ.
ფარჯიანი ეივი ვალიკოს ძე	—39 წლის, დაიღუპა 1993 წ. ქ. სოხუმში ბრძოლის დროს.
ფარჯიანი დავითი ვალიკოს ძე	—29 წლის, ტანკი აფეთქდა და დაიღუპა ქ. ვაერაში 1992 წ.
ყოლბაია ჟურვალი ივრიკოს ძე	—45 წლის, 1994 წ. მდ. ენგურზე გადასვლის დროს დაიხრჩო
მიქაია ჯუმბერი ალექსის ძე	—50 წლის, დახვრიტეს 1994 წ. თებერვალში
ძანძავა ვაჟა გვაჯის ძე	—1997 წლის თებერვალში აფხაზებმა ცემით მოკლეს (თავი ეაუხეთქეს ავტომატის ლულით).
ფელანეია შოთა ანდროს ძე	—მოკლეს ს. ჭუბურხინჯში 1997 წელს 15 აგვისტოს.

სოფელ გუდავიდან

აბრალავა ირიდიონ დიტოს ძე	—დ. 1928 წ. სახლში დაახრჩვეს თოკით 29.10.93 წ.
აკიშბაია ნაზო ესტატეს ასული	—დ. 1928 წ. დახვრიტეს 1994 წ.
აკიშბაია თალიკო იოსების ას	—დ. 1929 წ.
ავიშბაია შოთა ივანეს ძე	—დ. 1925 წ. 1994 წ. დახვრიტეს დედასთან ერთად
ალანია ინდიკო ივანეს ძე	—დ. 1925 წ. მამა-შვილი ერთა დახოცეს საკუთარ სახლში 1993 წელს.
ალანია ივორი ინდიკოს ძე	—დ. 1948 წ.

გაბუნია გიორგი ვალიკოს ძე	—დ. 1956 წ., 1993 წ. დახვრიტეს ქუჩაში
გაბუნია იური ბოჩიას ძე	—დ. 1950 წ. დახვრიტეს 1993 წ.
გვაძაბია კოსტა ზოსიმეს ძე	—დ. 1927 წ. დახვრიტეს 1994 წ.
გიგავა ჭიჭიკო ასკოს ძე	—დ. 1915 წ. საკუთარ სახლში ნაჯახით წააჭრეს თავი
გიგავა შურა დიმიტრის ასული	—დ. 1929 წ. დახვრიტეს 1993 წ.
ჯანჯულია როინი ილიკოს ძე	—დ. 1994 წ. დაიკარგა უგზო-უკვლოდ
ჯიქია გელა არდაშელის ძე	—დ. 1967 წ. 1994 წ. მოკლეს მდ. ენგურთან
ძანძავა არველოდი ვარლამის ძე	—დ. 1942 წ. 1994 წ. დახვრიტეს პრიმორსკში
ზაქარაია მერაბი შოთას ძე	—დ. 1962 წ. „———“
ზაქარაია რევაზი ტარასის ძე	—დ. 1958 წ. 1994 წ. დახვრიტეს პრიმორსკში
კვაშილავა დავითი ხარიტონის ძე	—დ. 1929 წ. მამა-შვილი ერთად დახვრიტეს 1993 წელს.
კვაშილავა ჯუსტანი დავითის ძე	—დ. 1956 წ.
ქვაცაბაია რობერტი გულიკოს ძე	—დ. 1962 წ. 1994 წ. დახვრიტეს გუდაეის ტყეში
ხაბურზანია რეზო ალექსის ძე	—დ. 1942 წ., 1994 წ. დახვრიტეს გუდაეის ტყეში. დისშვილთან ერთად
ყურაშვილი ნიკოლოზი ელადიმერის ძე	—დ. 1959—1994 წ., დახვრიტეს პრიმორსკის დასახლებაში
კუშლარიეე ტიმოფეი ელიზბარის ძე	—დ. 1946 წ. დახვრიტეს 1994 წ.
ლაკვილავა ჟორა აბრამის ძე	—დ. 1938 წ., 1994 წ. დახვრიტეს
ლაკირბაია მიგრანი ვოგლიკის ძე	—დ. 1942 წ. დახვრიტეს საკუთარ სახლში 1993 წ.
ლატარია დავითი კონსტანტინეს ძე	—დ. 1926 წ. დახვრიტეს

	საკუთარ სახლში 1993 წ.
ლემონჯავა ზინა დავითის ას	—დ. 1916 წ. დახვრიტეს ქუ-ჩაში 1993 წ. ნოემბერში
მალიშავა ბაბუცა ტარასის ას	—დ. 1929 წ. 1993 წ. საკუ-თარ სახლში ჩაწვეს
რუხაია ალიოშა დავითის ძე	—დ. 1947 წ. 1993 წ. ოქ-ტომბერში დაიკარგა უეზო-უკელოდ
რუხაია დავითი სოლომონის ძე	—დ. 1925 წ. 1994 წ. დახვრი-ტეს საკუთარ სახლში
სანაია კახაბერი დემიკოს ძე	—დ. 1975 წ.—დედასთან ერ-თად მოკლეს წამებით
სანაია მიმოზა პოკროს ას	—დ. 1951 წ. 1994 წლის თებერვალში დაიღუპა.
სანაია რაია კვატაშის ასული	—დ. 1905 წ. დახვრიტეს 1993 წ.
ტყებუჩავა მიშა ჯუჯას ძე	—დ. 1930 წ. 1994 წ. მოკლეს ტყეში
თორია ბესიკი ჟორჟის ძე	—დ. 1970 წ. ტანკზე აფეთ-ქდა
ხაბურზანია შუშკა ბილბაშის ას	—დ. 1911 წ. 1993 წ. დახვრი-ტეს შვილთან ერთად
ხაბურზანია ინგიშთერი ხარიტონის ძე	—დ. 1932 წ. —„—
ხოჭავა დავითი ლავრენტის ძე	—დ. 1922 წ., 1993 წ. ოქ-ტომბერს დახვრიტეს პრი-მორსკში
ხუბუა ფუშაკი ნესტორის ძე	—დ. 1986 წ., დახვრიტეს 1993 წ. ოქტომბერში
ხუნწარია კოლია ზოსიმეს ძე	—დ. 1911 წ., ჩაწვეს საკუ-თარ სახლში
ცაცუა სერიოჟა ჭიჭის ძე	—დ. 1933 წ., დახვრიტეს ქუჩაში 1993 წ.
ჩაჩხალია ჟუდია პოკროს ასული	—დ. 1922 წ. დახვრიტეს 1993 წ.
ჩაჩხალია მარგალიტა კოჭოჭის ას	—დ. 1910 წ. სახლში ჩაწვეს
ჩხვირკია რაული ლაუს ძე	—დ. 1940 წ. 1994 წ. დახვრი-ტეს რეფში ვაქცეის მცდე-ლობისას
შაკაია სანია მიხეილის ძე	—დ. 1928 წ. დახვრიტეს

	1994 წ.
შაკაია პრასკოფია ივანეს ას	—დ. 1939 წ., დახვრიტეს 1994 წ.
შამათავა აბელი ბესარიონის ძე	—დ. 1928 წ. —„—
შამუგია ნოდარი ბაგრატის ძე	—დ. 1934 წ. —„—
შანავა აკაკი მიხეილის ძე	—დ. 1900 წ. —ჩაწვეს საკუთარ სახლში
ქარდავა ირაკლი ამროზის ძე	—დ. 1932 წ.—ტანკმა ვადაუარა შეშელეთში
სიჭინავა შოთა თეოფანეს ძე	—დ. 1924 წ.—დახვრიტეს 1994 წ.
სიჭინავა ფლორა კოწიას ასული	—დ. 1932 წ.—დახვრიტეს 1993 წ.
თაკალანძე დუშელი აკაის ძე	—დ. 1933 წ. დახვრიტეს 1993 წ.
დოჩია პლატონი სამსონის ძე	—დ. 1922 წ., დახვრიტეს 1994 წ.
დოჩია კოსტია პლატონის ძე	—დ. 1952წ., დახვრიტეს 1994 წ.
კაროიან სერეო აგანოზის ძე	—დ. 1931 წ. 1993 წ. დაიკარგა უგზო-უკვლოდ
ჩაიკოვსკაია ვალენტინა პეტრეს ას	—დ. 1930 წ. 1993 წ. დაიკარგა უგზო-უკვლოდ
სტუპაკ ლუბა სემიონის ასული	—დ. 1937 წ. უგზო-უკვლოდ დაიკარგა
ედიშერაშვილი ვრიშა სულიკოს ძე	—დ. 1948 წ. 1993 წ. დაკარგულია უგზო-უკვლოდ
ფილიევი ზაური სარდიონის ძე	—დ. 1938 წ. 1994 წ. მოკლეს
ფილიევი ეიტალი ვივის ძე	—დ. 1972 წ. დახვრიტეს 1994 წ.
სიხარულია ელეუჯა შალერის ძე	—დ. 1967 წ. დახვრიტეს 1994 წ.
ჩხაპელია რომანი აკაკის ძე	—დ. 1960 წ. დახვრიტეს 1995 წ.
ზარქუა ვანიკო ვაჟას ძე	—დ. 1965 წ. დახვრიტეს 1995 წ.
ზანთარაია რევაზი მელიტონის ძე	—დ. 1942 წ. დახვრიტეს 1995 წ.

სარია შიპო ირაკლის ძე	—დ. 1931 წ. ჩაწვეს ცეცხლში
ხუბუა ჟორა კონდრატეს ძე	—დ. 1934 წ. მოკლეს 1993 წ.
ბუტკო ანატოლი პაველეს ძე	—დ. 1935. წ. 1994 წ. მოკლეს პრიმორსკში
კიკორია თამაზი ანტიფოს ძე	—დ. 1968 წ. მოკლეს 1994 წ.
ქანთარია რეზიკო მელიტონის ძე	—დ. 1935 წ. მოკლეს 1994 წ.
კვაშილავა მალხაზი ლაერენტის ძე	—დ. 1967 წ. მოკლეს 1994 წ.
თოლორაია ჯულიეტა ერასტოს ასული	—დ. 1931 წ. მოკლეს 1994 წ.
ვარდანია ზაური შალვას ძე	—დ. 1956 წ. 1997 წ. მოკლეს გუდავაში პარტიზანული შეტაკებისას.
ხუტკუბია ლეილა გოძოს ასული	—დ. 1945 წ., მოკლეს 1993 წ.
პეტროვ ანატოლი გიორგის ძე	—დ. 1956 წ. მოკლეს 1994 წ.
ზაქარაია დავითი გიორგის ძე	—დ. 1971 წ. მოკლეს 1994 წ.
კუკავა ბელა ზოსიმეს ასული	—დ. 1951 წ. 1994 წ. დაიკარგა უგზო-უკელოდ
ჩხაპელია ზურაბი აკაკის ძე	—დაიღუპა 1997 წ. იანვარში პარტიზანული ბრძოლების დროს.
ლიპარტია მურთაზი მიშიკოს ძე	—დ. 1958 წ. დაიღუპა პარტიზანული ბრძოლის დროს ოქუმ-ჩხორთოლის გადასასელელზე 23.03.97 წ.
პაპასკირი გივი პროფის ძე	—დ. 1936 წ. დაიღუპა სოფ. გუდავაში, საკუთარ სახლში ჩაწვეს.

სოფელ ოჟუმიდან

ანთია ვენერა გოჯოს ასული	—85. წლის, დახვრიტეს 1993 წელს.
არაჰამია ვალერი ვარლამის ძე	—37 წლის —„—
ბასარია ნური არტემის ძე	—55 წლის, 27.09.94 წ. ააფეთქეს ს. მუხურში
ბაღიშვილი ომარი ვალიკოს ძე	—30 წლის, აფეთქდა ნაღმზე
ბიგვავა კობა ვალერის ძე	—24 წლის, 1994 წ. აფეთქდა ნაღმზე.
ბულისკერია ჯემალი აჩიკოს ძე	—30 წლის, დახვრიტეს

	1993 წელს.
ბულისკერია ავთანდილი კუკურის ძე	—30 წლის, 1994 წ. 27.09. ააფეთქეს ს. მუხურში
ბულისკერია ომარი კუკურის ძე	—33 წლის, დახვრიტეს 1993 წ.
ბულისკერია ვეეირანი ლიეტერის ძე	—31 წლის, დახვრიტეს 1993 წ.
ბულისკერია ბიქტორი ვეღოვეღოს ძე	—35 წლის —„—
გაბუნია აბელი რომას ძე	—62 წლის, 1994 წ. დახვრიტეს და ჩაწვეს საკუთარ სახლში.
გამისონია გუძია ძალკას ძე	—70 წლის, 1994 წ. გაიყინა ოჭაკეს მთაში
ვერვაია ნელი აკაკის ასული	—55 წლის, დახვრიტეს 1994 წ.
ეოეოხია შუქრი აპოლონის ძე	—40 წლის, მეომარი დახვრიტეს 1994 წ.
ეოეოხია დავითი ბოჩიას ძე	—34 წლის, პატალიონ „სამურზაყანოს“ წევრი 1993 წ. აფეთქა ნაღმზე ბედიაში
გუნია ვერა ჩაგუს ასული	—78 წლის, 1994 წ. დახვრიტეს, მერე ჩაწვეს სახლში
გურგულია აკაკი (ბორისი) სეეერიანეს ძე	—54 წლის, ოქუმის საშუალო სკოლის დირექტორი, ააფეთქეს ს. მუხურში 27.09.94 წ.
ზუხბაია ბაეგა კაკუს ძე	—81 წლის, დახვრიტეს 1994 წ.
თვართვაია მერი ვალოდიას ასული	—50 წლის—„—
თოდუა ამირანი ეოდოს ძე	—62 წლის, 1994 წ. 27. 09. ააფეთქეს.
კაკუბავა ნოშრევანი კუკუს ძე	—65 წლის, პედაეოგი, 1993 წ. აწამეს, მერე დახვრიტეს საკუთარ სახლში.
კოზმავა მანგული ეანსულის ძე	—61 წლის, 27.09.94 წ. ააფეთქეს მუხურში
კოზმავა მარინა ირაკლის ასული	—23 წლის, დაიჭირეს ენგურის ხიდთან, მერე წა-

	მებით მოკლეს.
კოზმავა ნათელა ძვაძვალას ასული	—65 წლის, ცოლ-ქმარი ერთად დახვრიტეს 1994წ.
კოზმავა შალვა ღუჯას ძე	—70 წლის.
კოზმავა ალექსი მიხეილის ძე	—56 წლის, 27.09. ააფეთქეს ს. მუხურში
ლუცუზბაია ალექსი ეაბრიელის ძე	—58 წლის, დახვრიტეს 1994 წ.
ლაცუზბაია ლევარსა გუჯას ძე	—70 წლის, ომის ინვალიდი, დამსახურებული ბუღალტერი, 1993 წ. დახვრიტეს საკუთარ ეზოში.
ლაცუზბაია ნექტარიოზ ნიკოლოზის ძე	—42 წლის, ააფეთქეს ს. მუხურში
ლაცუზბაია რაიოლი არტემის ძე	—62 წლის, 1994 წელს დახვრიტეს
მელაია ღუღუნი ჯიგუს ძე	—68 წლის —„—
მელაია ნათელა ტერენტის ასული	—56 წლის, პენსიონერი, ჩერნობილის მონაწილე, დახვრიტეს 1994 წ.
მიქავა. შალვა ერმილეს ძე	—65 წლის, დახვრიტეს 1994 წ.
პოლეტაევა ნატო რუსლანის ასული	—18 წლის.
პოლეტაევა ნინო რუსლანის ასული	— 20 წლის, დები. დაიჭირეს 1994 წ., გააუპატიურეს, აწამეს, მე-4 დღეს ნახეს დახოცილები.
სირგინავა ტერენტი ეაჯის ძე	—75 წლის, ომის ვეტერანი, დახვრიტეს საკუთარ სახლში 1994 წელს.
სტრელკოვი გიორგი ანდრიას ძე	—64 წლის, პედეგოგი, დახვრიტეს 1994 წ.
ფარფალია შალვა იოსების ძე	—65 წლის, დახვრიტეს 1993 წ.
ფარფალია ოთარი შალვას ძე	—45 წლის, ბატალიონ „სამურზაყანოს“ მძღოლი. სასტიკი წამების შემდეგ დახვრიტეს ს. ბედიაში.

ფარფალია ეოჩა ალექსის ძე —30 წლის, ფეხბურთელი, ბატალიონ „სამურზაყანოს“ მეომარი, დაიღუპა 1993 წ. ოქტომბერში.

ფარულავა იური ირიდის ძე —45 წლის, 1996 წ. 4 ოქტომბერს დახვრიტეს ს. აჩიგვარაში.

ქვაჩახია ბოჩია ივანეს ძე —45 წლის, ბატალიონ „სამურზაყანოს“ წევრი. დახვრიტეს 1994 წ.

ქვაჩახია ვალერი ვლადიმერის ძე —44 წლის, დახვრიტეს 1993 წ.

ქვაჩახია იამზე მიხეილის ასული —60 წლის, დედა-შვილი ორივე ერად დახვრიტეს

ქვაჩახია ოთარი სევერიანის ძე—35 წლის 1994 წელს და მერე სახლში ჩაწვეს.

შამათავა მუშნი ჯარნაზის ძე —56 წლის, ააფეთქეს ს. მუხურში 27.09.94 წ.

შამათავა შალიკო კაჭაჭის ძე —75 წლის, I ჯგუფის ინვალიდი, დახვრიტეს 1994 წ.

შონია თამაზი გიორგის ძე —30 წლის, ბატალიონ „სამურზაყანოს“ მეთაური, დაიღუპა ხობში 1993 წელს.

შონია მირიანე უშანგის ძე —55 წლის, 1994 წ. დახვრიტეს ოქუმის ტყეში.

შონია გურამი იაშას ძე —48 წლის, მამა-შვილი ნაღმზე აფეთქდნენ ს. ბედიაში.

შონია რომანი გურამის ძე —16 წლის.

შონია კუკური გურამის ძე —41 წლის, რძალ-მაზლი 1994 წ. დახვრიტეს, რძალი

შონია კლარა ალიოშას ასული—35 წ. ბავშვის აკვანზე დააცხრილეს.

წირღვავა ომისტერი სოფრომის ძე —45 წლის, 1993 წ. აფეთქდა კინდღში, იყო „სამურზაყანოს“ წევრი.

ჩერქეზია პოლსა ტიტუკის ასული —74 წლის, დახვრიტეს 1993 წ.

ჩხაპელია ტანია ალექსის ასული —58 წლის, ცოლ-ქმარი დახვრიტეს 1994 წ.

ჩხაპელია ჟორჟი ბადრის ძე	—62 წლის
შონია ზვიადი სლავიკის ძე	—დაიჭირეს 1995 წ. 9 დეკემბერს. მისი ნატყვიარი, ნაწამები და გახრწნილი გვამი იპოვეს 20 დღის შემდეგ ენგურჰესის არხის სანაპიროზე.
ცაცუა აბესალომი სილიბისტროს ძე	—23 წლის, დახვრიტეს 1993 წ.
ცაცუა ვლადიმერი ნიკოლოზის ძე	—65 წლის, დახვრიტეს 1994 წ.
ცაცუა შოთა ბოხოხის ძე	—65 წლის, სამივე და-ძმები,
ცაცუა გიორგი (ჟორჟი) ბოხოხის ძე 62 წ.	ერთად დახვრიტეს და დაწვეს
ცაცუა ვალია ბოხოხის ასული 79 წლის	1994წ.
ჯგუბურია ირა ძიკას ასული	—71 წლის, დაიჭირეს, ცოცხლად ჩააგდეს ჭაში და იქ ჩაახრჩვეს.
ჯგუბურია ალექსანდრა (შურა) ძვიბის ას	—59 წლის, გაიყინა ოჭაკეს მთაში 1994 წ.
ჯგუბურია ალექსი კიტოს ძე	—63 წ. ივლისში ნაღმზე აფეთქდა ს. მუხურში.
ჯუმუტია რუდიკი ათოშას ძე	—48 წლის, ნაღმზე აფეთქდა 1993 წ. აჩიგვარაში.
ჯუმუტია რამინი ნოდარის ძე	—20 წლის —„—
ჯანჯულია ზაური ღულას ძე	—47 წლის, ბატალიონ „სამურზაყანოს“ წევრი, 1994 წ. ნაღმზე აფეთქდა ს. აჩიგვარაში.
ჯანჯულია გიორგი (ჟორა) მოსეს ძე	—72 წლის, 1995 წ. ივლისში ნაღმზე აფეთქდა ს. მუხურში.
ჯანელიძე ირეოდი გიორგის ძე	—66 წლის, დახვრიტეს 1994 წ.
ჯონჯუა ფედოსია იბლოს ასული	—79 წ., ცოლ-ქმარი სასტიკად აწამეს, ოქროს კბილები ააგლიჯეს, მერე დახვრიტეს 1994 წ.
ჯონჯუა ჯაჯი ბეჩუს ძე	82 წ., დახვრიტეს საკუთარ სახლში.

ჯგერენაია ციქორი ჯოჯის ძე	—73 წ., დახვრიტეს 1994 წ.

შეზღო-უკვლოდ დაკარგულები სოფელ ოკუმიდან

ფარულავა ზაზა როინის ძე	—16 წლის, იბრძოდა ოჩამჩირის ბატალიონში. დაკარგულია 1993 წლიდან.
არზიანი აგული სერგოს ძე	—30 წ., დაკარგულია 1993 წლიდან
კუკავა მურთაზი გალაქტიონის ძე	—24 წლის, დაკარგულია 1994 წლიდან.
გოლანძია ამბაკო ჯოჯის ძე	—63 წლის, მამა-შვილი დაკარგული არიან 1994 წლიდან.
გოლანძია მურმანი ამბაკოს ძე	—34 წლის.

სახელობითი სია ქ. ზალში მცხოვრები იმ მოქალაქეებისა, რომლებიც დაიღუპნენ აფხაზურ-ქართული კონფლიქტის დროს.

გვარი, სახელი, მამის სახელი	ასაკი	დაღუპ. თარიღი	შენიშვნა
1	2	3	4
ალანია ამირანი რევაზის ძე	57	21.11.93	
აბშილავა მამია ვლადიმერის ძე	52	23.10.93	
ახალაია ივანე (ვანიჩქა) ბარნაბას ძე	64	19.10.93	
ახვლედიანი მანუჩარი მურმანის ძე	21	6.02.94	
არონია შოთა კოსმანის ძე	56	30.09.93	
ახვლედიანი მურმანი არველოდის ძე	54	16.01.95	
აქუბარდია პალიკო ივანეს ძე	45	15.10.93	
ანოსენკოვა (შონია) თამარა ივანეს ას	64	01.11.93	
არდაშელია ველოდი	60	01.97	
აქირთავა არუნდი მამიას ძე	54	16.01.95	
ბუაცა ამირანი ანდრის ძე	41	30.12.93	
ბასარია რევაზი მაქსიმეს ძე	63	29.10.93	
ბაღიშვილი რაჟდენი არტემის ძე	56	01.10.93	
ბერაია ინდიკო კონსტანტინეს ძე	60	02.10.93	
ბულისკერია ბუჯაგა ივანეს ძე	73	03.01.94	
ბებუა იეორი ვალოდიას ძე	47	02.10.93	

1	2	3	4
ეამახარია ვახტანგი იონას ძე	51	01.10.93	
ეოეოხია (ჯახაია) ნელი ათანასის ას	50	06.02.94	
ეეეეჭკორი სარდიონი არჩილის ძე	81	07.10.93	
ეეეეჭკორი რევაზი სარდიონის ძე	47	07.10.93	
ეოეოხია ოთარი შალიკოს ძე	43	15.03.94	
დარასელია ივანე ერმილეს ძე	49	02.02.94	
დარსანია ვალიკო ბიქტორის ძე	65	03.10.93	
ელერჯია (ბიევაია) ლამარა სანდროს ას	59	01.10.93	
ემუხვარი ვახტანგი ჩონჩორის ძე	75	04.12.93	
ელიავა ვახტანგი ბორისის ძე	34	27.10.93	
ეზუგბაია კონსტანტინე კონსტანტინეს ძე	66	03.10.93	
ვეკუა ვაჟა თადეოზის ძე	56	12.12.93	
ზაქარაია ევტიხი ლავრენტის ძე	53	05.10.93	
ზუხბაია (მილორავა) ლეილა ილიკოს ას	50	02.02.94	
ზუხბაია ჯუსტანი შალვას ძე	38	02.12.93	
ზუხბაია ალმა პლატონის ძე	63	05.10.93	
ზუხბაია ლონდა გვანჯის ას	28	01.10.93	
ზვედელავა გიორგი ჯარგას ძე	67	01.10.93	
ზაქარაია ელდარი ჯუმბერის ძე	27	13.10.93	
თაკალანძე პლატონი ესტატეს ძე	65	05.10.93	
თორია პლატონი ჩაგუს ძე	70	30.09.93	
თორია სერაპიონი ნესტორის ძე	81	10.10.93	
კაკულია დაზმერი შალვას ძე	52	02.09.94	
კვარცხალაია ლეონტი ეგნატეს ძე	67	02.09.94	
კვარცხალაია კოლია ლეონტის ძე	46	02.09.94	
კერესედიძე (ფანცხალეიშვილი) ნუცა გერასიმეს ას	71	02.10.93	
კოკაია ნადია თევდორეს ას	74	04.10.93	
კოკაია ირიდიონი ეგნატეს ძე	73	04.10.93	
კვარაცხელია შაქრო სანდროს ძე	57	03.10.93	
კეშელავა რევაზი სეევერიანეს ძე	54	05.10.93	
ლაკირბაია გენო პროკოფის ძე	64	01.10.93	
ლაკირბაია ხვიჩა გიორგის ძე	42	01.10.93	
ლოსაბერიძე (გაბედავა) ციალა ამბაკოს ას	67	15.10.93	
ლუკავა რუსლან ვაჟას ძე	29	07.01.94	
მებონია შოთა მიხეილის ძე	72	05.01.94	
მოწაფია ორდენი ანდრიას ძე	62	03.10.93	

1	2	3	4
მარღანია ამირანი გიორგის ძე	67	01.10.93	
ნანავა ნოდარი ლევანის ძე	62	08.02.94	
ნანავა არდაშელი ელიზბარის ძე	68	02.10.93	
ოკუჯავა კიკო ლავრენტის ძე	58	01.10.93	
პატარაია ეოვა (ცხვებე) ვალერიანის ძე	43	08.10.93	
სიგუა ნინო კეღურას ასული	88	01.11.93	
სიგუა არსენა (ღებური) კეღურას ას.	78	01.11.93	
სიგუა ვერა კეღურას ას.	75	01.11.93	
სოსელია სევერი კაჯას ძე	77		
სოსელია მერაბი ვლადიმერის ძე	39	18.01.95	
ტორუა ვენედი დომენტის ძე	48		
ტაბაღუა გულიკო დურუს ას.	66	04.01.94	
უზარაშვილი ეთერი ლევარსას ას.	55	30.09.93	
უბილავა ვალერიანი ტერენტის ძე	51	01.02.94	
ფაცურია ნოდარი თეოდორეს ძე	64	02.10.93	
ფირცხელავა ხუტა პაელეს ძე	67	04.12.93	
ფაცურია ვენადი (ვენო) იონას ძე	63	05.10.93	
ქუხილავა შოთა იოსების ძე	72	12.12.93	
ქეცბაია რანო ლავრენტის ძე	61	03.10.93	
ქეცბაია კომინე კირილეს ძე	58	13.12.93	
ქარჩავა (ბოხუა) ბაბუცა აქვსენტის ას.	64		
ქობალია ევეენი პეპუს ძე	78	03.10.93	
ქარდავა ლენეო ათანასეს ძე	61	13.10.93	
ქარდავა კონდრა ჩახას ძე	73	13.10.93	
ღვინჯილია სულიკო ნიკოლოზის ას.	71	15.11.93	
ღვინჯილია სანდრო პოკროს ძე	72	13.11.93	
ღურწკაია (შენგელია) ეთერი მაქსიმეს ას.	63	05.02.94	
შურღაია (ჩქოტუა) ვერა მაქსიმეს ას.	70	15.11.93	
შონია (ჯობავა) ბუცა არდაშელის ას.	64	03.10.93	
შარია ნელი ამბაკოს ას.	58	03.10.93	
შონია (მაქაცარია) მიმოზა ნიკოლოზის ასული	40	05.10.93	
შონია არჩილი (აჩიკო) ალექსის ძე	64	05.02.94	
შონია ჟილინი აკაკის ძე	70	01.11.93	
შონია გივი ბუკუს ძე	54	13.11.93	
შენგელია შაქრო მიხეილის ძე	70	05.02.94	
შამუგია ნოდარი ბაგრატის ძე	63	23.05.94.	

1	2	3	4
შენველია ვალტერი სერაპიონის ძე	53	18.11.93	
შონია დავეხი აკაკის ძე	40	01.10.93	
ჩქოტუა შოთა ვლადიმერის ძე	71	15.11.93	
ჩეხერია ხუხუტი აქვსენტის ძე	59	22.10.93	
ჩხაკელია ავთანდილი მირიანეს ძე	25	01.11.93	
ცხადაია შოთა თეოფანეს ძე	63	01.10.93	
ცანავა ჯიბილო ანდროს ძე	47	14.04.94	
ხარჩილავა (ცანავა) შუშკა ჯორჯის ას.	86	03.10.93	
ძანძავა ცაცა მაქსიმეს ას.	68	28.10.93	
წულუკია ეულიკო გრიგოლის ძე	63	01.10.93	
წურწუმია (შენველია) ვარდიშა დიმიტრის ას.	70	05.02.94	
ყოლბაია ინვერი პროკოფის ძე	42	06.02.94	
ჭითანავა რიმა რევაზის ას.	20	15.08.92	
ჭკადუა გრიგორი ჯენერის ძე	66	2.10.93	
ჭარაია ღუდა კაკის ძე	61	12.12.93	
ჭაავა დავითი ერასტის ძე	67	25.01.94	
ჭოლარია ბონდო კარლოს ძე	32	28.10.93	
ჭედია ვალიკო სამსონის ძე	59		
ხარჩილავა კაკო გიორგის ძე	62	03.10.93	
ხურცილავა სერგო ირეოდიონის ძე	57	01.10.93	
ხუფენია ვაჟა აქვსენტის ძე	66	02.10.93	
ხელაია ვალიკო კარლოს ძე	66	07.10.93	
ხვიტია ზურაბი შალვას ძე	40	09.12.93	
ჯონჯუა თამაზი მამიას ძე	33	02.10.93	
ჯახაია მამია ხიფას ძე	66	03.10.93	
ჯახაია არუშანი ტერენტის ძე	55	03.10.93	
ჯახაია ზაური ტერენტის ძე	52	06.02.94	
ჯობავა ვაჟა ლუდუკის ძე	40	09.11.93	
ჯობავა როინი ვლადიმერის ძე	46	01.11.93	
ეოჩავა ეია ვაჟას ძე		1996	
თორია ანატოლი		1998	

ბოხუა ვახტანგი ვარლამის ძე	65 წლის
ბუთბაია ლუსია თადეოზის ას.	55 წლის
ვონჩაროვა დუსია	65 წლის
გაბედავა უშუში პაველეს ას.	52 წლის
ერიგოლია დავითი	
გულუა ლიეტერი	51 წლის
დანელია მამუკა	
თორია კოტე	
კარაკლიევი თენგიზი	50 წლის
კუპტეევი ვლადიმერი პაველეს ძე	
ლომიძე ნოდარი გიორგის ძე	
კუპრავა ხუტა გუჯას ძე	69 წლის
მიქაია მიშიკო	50 წლის
ნანავა მანანა სოლომონის ას.	52 წლის
პაპასქუა პაველუშა	60 წლის
სოსელია პოლიკარტე	65 წლის
ფასანძე	
ქუხილავა დათიკო	50 წლის
ღვინჯილია შაქრო ირიდის ძე	78 წლის
ღვინჯილია თინა გიორგის ას.	70 წლის
ხარჩილავა ფუშაკი ერმილეს ას.	80 წლის
ჯინჯოლია ჯუმბერი	54 წლის
ყოლბაია შოთა ვასილის ძე	69 წლის
ოთხოზორია ბიძინა ივანეს ძე	61 წლის
შონია პაატა სემიონის ძე	25 წლის
ჭიჭინაძე შოთა	

ბევრია კიდევ უგზო-უკვლოდ დაკარგული, მაგრამ ადვილი შესაძლებელია ისინი ცოცხლები იყვნენ. ზოგი მათგანის დასახელებაზე ჩვენ შევნებულად შევიკავეთ თავი, რადგან მათზე ცნობები ზუსტდება, თანაც არ ვვინდა მათს ისედაც თავზარდაცემულ ჭირისუფლებს ეული ვატკინოთ და დამწვარზე მდულარე ვადავასხათ.

მათ ხსოვნას
ძვეკანა
სანთლემად
აინთქმს...

ამირან ალანია

ამირან რეზიბის ძე ალანია დაიბადა 1938 წელს სოფელ წარჩეში. ბავშვობიდანვე იგემა ობლის მწარე ხვედრი.

დაამთავრა საშუალო სკოლა, ფიზიკურად დაიწყო მუშაობა ჩაის ფაბრიკაში. ოჯახის შექმნის შემდეგ მუდმივ საცხოვრებლად გადმოვიდა ქალაქ ვალში. მუშაობდა მძღოლად. ა. ალანია იყო კეთილი უწყინარი კაცი. როგორც კოლექტივში, ისე მეზობლებში კარგი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. შეჰხაროდა ოთხ შვილსა და ხუთ შვილიშვილს. საუბედუროდ, 1993 წლის 21 ნოემბერს საბოლოოდ ჩაესვენა მისი მზე. ამ დღეს მეუღლესთან ერთად ზუგდიდში მიდიოდა დევნილობაში მყოფი ბავშვების სანახავად. გზაში დააკავეს და შტაბში წაიყვანეს. ხანგრძლივი დაკითხვა-წამების შემდეგ ორივეს დახვრეტა გადაუწყვიტეს. მეუღლე—**ეთერ სანანია** ორ ადგილას დაიჭრა და სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს, ამირან ალანია კი დახვრიტეს.

წავიდა ჩვენგან გულმართალი კაცი, მაგრამ დაგვიტოვა სამარადისო კეთილი მოგონება.

მამია აბშილავა

მამია ვლადიმერის ძე აბშილავა დაიბადა 1943 წლის 23 ივნისს სოფელ ბედიაში. მშობლიურ სოფელში მიიღო არასრული საშუალო განათლება, რომლის შემდეგ დაამთავრა ქუთაისის ტექნიკუმიც. შემდეგ აითვისა მძღოლის პროფესია. 1962-1970 წლებში მუშაობდა ტაქსის მძღოლად ქ. სოხუმის ტაქსოპარკში. 1970 წელს ვადმოვიდა ქ. ვალში და აქაც ტაქსისტად განაგრძო მუშაობა.

ყველვან, სადაც კი უმუშავია იცნობდნენ როგორც დისციპლინირებულ, თავის საქმეზე უაღრესად შეყვარებულ სპეციალისტს, კარგ ამხანაგსა და მეგობარს. მგზავრთა კულტურული მომსახურებისათვის არაერთხელ ყოფილა დაჯილდოებულ-წახალისებული. კოლექტივში სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით.

1993 წლის 23 ოქტომბერი უკანასკნელი დღე აღმოჩნდა მამიასათვის. იგი ვერაგულად მოკლეს რაიონში შემოჭრილმა აფხაზმა ბანდიტებმა.

ოჯახს, ახლობლებს, ნაცნობ-მეგობრებს, რაიონის საზოგადოებას მარად ემახსოვრება ღირსეული მამულიშვილი, რომელიც აფხაზ-ქართველთა უაზრო ომის მსხვერპლი გახდა.

ივანე ახალაია

ივანე (ვანჩქა) ბარნაბის ძე ახალაია დაიბადა 1931 წელს ზუვდიდის რაიონის სოფელ განმუხურში. მიღებული ჰქონდა საშუალო ტექნიკური ვანათლება. ბოლო პერიოდში ცხოვრობდა ქ. ვალში. მუშაობდა სიდის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობაში ნორმადარად.

კოლექტივში კარგ სპეციალისტად იყო აღიარებული. მინდობილ საქმეს დროულად, კეთილსინდისიერად და აკურატულად ასრულებდა. როეორც იტყვიან, თავისი საქმე აჟურში ჰყავდა მოყვანილი. უყვარდათ და პატივს სცემდნენ კოლექტივში. მას ჯერ კიდევ ბევრ ხანს შეეძლო სასარგებლო საქმე ეკეთებინა და ამით კეთილი სამსახური გაეწია თავისი ხალხისათვის.

სამწუხაროდ, მტრის ტყვიამ უდროოდ დაატოვებინა წუთისოფელი. სევდამ მოიცვა მისი ოჯახი, ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები.

წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომლესაც სამარეში თან ჩაჰყვა სამართლიანი საქმის სიყვარული, ბოროტზე კეთილის გამარჯვების ღრმა რწმენა. ასეთი ადამიანის ხსოვნას დავიწყება არ უწერია.



მანუჩარ ახვლედიანი

მანუჩარ მურმანის ძე ახვლედიანი დაიბადა 1974 წელს ქალაქ ვალში. დაამთავრა ქალაქის №4 საშუალო სკოლა, რის შემდეგ ფიზიკურ შრომას მიჰყო ხელი.

ყველას უყვარდა ჯანღონით სავსე და ზრდილი ახალგაზრდა, რომელსაც მთელი ცხოვრება წინ ედო. მას უნდა ესწავლა, ოჯახს მოკიდებოდა და ხალხის სასიკეთო საქმეები ეკეთებინა. რამდენი ვეემა, რამდენი ლამაზი ოცნება დარჩა ვანუხორციელებელი.

უბედურად ვათენდა მანუჩარ ახვლედიანისათვის 1994 წლის 6 თებერვალი. ამ დღეს მამამის მურმანთან ერთად იეი სასტიკად აწამეს და შემდეგ კი ავტომატის ჯერით დაცხრილეს. ეს ტრაგედია სოფელ პირველ ვალში დატრიალდა.

ოჯახში დარჩა მოხუცებული ბებია, რომელიც „შვებას“ ვამუდმებულ ტირილში ეძებს და ვულს ამით „იოხებს“.

ჩვენ მარტოდ დარჩენილ ბებიას იმით ვანუგეშებთ, რომ **სამართლიანობისათვის დაღუპული ახალგაზრდები მუდმივ სავანეს მადლიერი ხალხის გულებში ჰპოვებენ**.



მურმან ახვლედიანი

მურმან არველოდის ძე ახვლედიანი დაიბადა 1953 წელს ქალაქ ვალში. დაამთავრა მშობლიური ქალაქის №4 საშუალო სკოლა, რის შემდეგ შრომის ფერხულში ჩაება.

მუშაობდა მატარებლის ვამცილებლად. ამ თანამდებობაზე ოც წელზე მეტი იმუშავა. დაკისრებულ მოვალეობას ყოველთვის აკურატულად და კეთილსინდისიერად ასრულებდა. იგი პასუხისმგებლობის ერძნობას ყველაფერზე მაღლა აყენებდა, რისთვისაც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა. ემადლიერებოდნენ როგორც ხელმძღვანელები, ისე მგზავრები.

მ. ა. ახვლედიანს სიცოცხლე, მუშაობა სწყუროდა, მაგრამ, ვაგლახ, ბედმა უმტყუნა. 1994 წლის 6 თებერვალს იგი მის შვილ მანუჩართან ერთად თავით-ფეხებამდე შეიარაღებული ბანდიტის ტყვიის მსხვერპლი გახდა.

დაინერა კიდევ ერთი კარგი ოჯახი, რომელიც შვილისა და შვილიშვილის დამკარგავი ვაუბედურებული ქალის ამარად დარჩა. ეს მარტოხელა დედა და ბებია იმის იმედით ცოცხლობს და თავს იმითღა ინუგეშებს, რომ **სამართლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მისი ძვირფასი და უახლოესი ადამიანების სხეულნა დავიწყებას არ მიეცემა.**



შოთა არონია

შოთა კოსმანის ძე არონია დაიბადა 1933 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში. 1970 წელს მუდმივ საცხოვრებლად გადმოვიდა ქალაქ ვალში.

მიღებული ჰქონდა არასრული საშუალო განათლება, რის შემდეგ დაეუფლა მძღოლის პროფესიას. შ. კ. არონია მუშაობდა მძღოლად სხვადასხვა ორგანიზაციაში. უკანასკნელ პერიოდში ემსახურებოდა ენეურ-ჰესების კასკადის დირექციას. ყველგან, სადაც კი უმუშავია, გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობითა და კეთილსინდისიერებით. ბევრჯერ დაუმსახურებია მადლობები და სხვა წახალისებანი.

მოკლულ იქნა 1993 წლის 30 სექტემბერს საკუთარსავე სახლში. ეს გამრჯე, მშრომელი კაცი აფხაზურ-ქართულ კონფლიქტს ემსხვერპლა. მის სახელს მუდამ კეთილად მოიგონებენ მისი ახლობლები, ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები.



არუდ აქირთავა

იმ დღეს საქალაქო საბჭოში გამართულ თათბირს ესწრებოდა. თათბირზე ბევრი უკმაყოფილება აღინიშნა ქალაქში არსებულ უწესრიგობაზე, მარადიორობისა და ბანდიტობის აღმოფხვრის ფაქტებზე. მანაც თავისი შენიშვნა გამოთქვა.

გამოდით და ქუჩაში ღამით მორიგეობა შემოიღეთო!—ურჩიეს ქალაქის ადმინისტრაციაში.

და, აი, 1995 წლის 16 იანვარს თავის ხუთ მეზობელთან ერთად არუდ მამიას ძე აქირთავაც ვამოვიდა სამორიგეოდ. ქუჩაში მოწანწალე ექსტრემისტ-ბანდიტებს ვადაეყარნენ. გაიმართა კინკლაობა, რასაც ავტომატთა კაკანიც მოჰყვა, არუდი უგრძნობლად დაეცა მიწაზე.

ასე ტრაგიკულად დასრულდა პატიოსანი მშრომელის ლამაზი სიცოცხლე.

არუდ მამიას ძე აქირთავა 1941 წელს დაიბადა ქ. გალში, დაამთავრა ქალაქის №1 საშუალო სკოლა. სწავლა წულუკიძის სამექანიზაციო ტექნიკუმში განაგრძო, რომელიც 1966 წელს დაასრულა. იმავე წლიდან შრომას მიჰყო ხელი. მუშაობდა გალის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ინჟინერ-მექანიზატორად.

დარჩა მოხუცი დედა, მეუღლე და შვილი, რომლებიც თავს იმითღა ინუგეშებენ, რომ უდროოდ დაღუპული ვაჟკაცის ხსოვნა უკვდავი იქნება.



პალიკო აქუბარდია

პალიკო ივანეს ძე აქუბარდია დაიბადა 1950 წელს ქალაქ გალში. დაამთავრა გალის №3 საშუალო სკოლა. შემდეგ––აჩიევარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ეკონომისტის სპეციალობით.

მოხდილი ჰქონდა სავალდებულო სამხედრო სამსახური. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა „საქსოფლტექნიკის" გალის რაიონულ განყოფილებაში, შემდგომ წლებში––გალის ქალაქის კოოპერატივში. ბოლო პერიოდში მუშაობდა გალის რაიდამამზადებელ კანტორაში.

ყველგან, სადაც კი უმუშავია, პ. ი. აქუბარდიას იცნობდნენ როგორც კარგ სპეციალისტს, ენერგიულ და კეთილსინდისიერ მუშაკს, რისთვისაც უყვარდათ და პატივს სცემდნენ.

რამდენი განუხორციელებელი ვეგმა და ოცნება ჩაჰყვა სამარეში! იმ უკანასკნელ ავად სახსენებელ დღეს 1993 წლის 15 ოქტომბერს, ივი მეზობლის ცეცხლმოკიდებული სახლის გადარჩენის საქმეებით იყო გართული და როგორ იფიქრებდა, რომ რამდენიმე წუთში საყვარელ ცოლშვილს გამოეთხოვებოდა. სწორედ მას, მეზობლის დახმარებაში გართულს, მოუსწრაფეს ექსტრემისტ ბანდიტებმა ძვირფასი სიცოცხლე, ობლად დატოვეს ორი ბიჭუნა.

ამ ბავშვებში გრძელდება უდროოდ და უდანაშაულოდ დაღუპული მამის სიცოცხლე. გაივლის წლები, დაეაჟკაცდებიან ეს ბავშვები და ესტაფეტასავით წინ წაიმძღვარებენ სახელოვანი მშობლისაგან დატოვებულ სინდისსა და პატიოსნებას.

თამარა ანოსენკოვა

თამარა ივანეს ასული ანოსენკოვა-შონია დაიბადა 1931 წლის 14 აპრილს კალინინის ოლქის ქალაქ ვლებცოვოში. იქვე მიიღო არასრული საშუალო განათლება.

ენვურჰესის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით თ. ი. ანოსენკოვა 1960 წელს ჩამოვიდა გალის რაიონში, რის შემდეგ მუდმივ საცხოვრებლად აქვე დარჩა. ივი ჯერ რიგით მუშად მუშაობდა, შემდეგ კი დაცვის მორიგედ იქნა გადაყვანილი. ბოლო პერიოდში გალის სხვადასხვა დაწესებულებაში უხდებოდა მუშაობა მდივან-მემანქანედ.

სიზუსტე, აკურატულობა, პასუხისმგებლობა—აი, რა ახასიათებდა თ. ი. ანოსენკოვას. ივი პირდაპირი, გულღია და ალალი იყო ყველას მიმართ, ვისთანაც კი მუშაობა მოუწია. ამ კეთილშობილური თვისებების გამო უყვარდათ და პატივს სცემდნენ როგორც თანამშრომლები, ისე ხელმძღვანელი ამხანაგები.

დასანანია, რომ ეს რუსი ქალბატონი, რომელიც ჩვენს ზნე-ჩვეულებებს აგრერიგად შეეთვისა, დღეს ცოცხალთა შორის აღარ იმყოფება. 1993 წლის 1 ნოემბერს ივი თავის მეუღლესთან— **ჟილინ შონიასთან** ერთად სიცოცხლეს გამოასალმეს აფხაზმა ექსტრემისტებმა მისსავე საკუთარ სახლში.

ამიერიდან გალის ქუჩებში ვეღარ ვაივლის ყოველთვის მომღიმარი სანდომიანი თამარა ანოსენკოვა (მას ყველა თამარს ეძახდა), მაგრამ მუდამ დარჩება მისი ნათელი ხსოვნა აფხაზურ-ქართული კონფლიქტის სხვა უდანაშაულო მსხვერპლთა ხსოვნასთან ერთად.

ამირან ბუავა

ამირან ბუავა სამურზაყანოს მიწაზე დატრიალებული ჟამთა სიავის ერთ-ერთი ზვარაკი გახლდათ.

იგი 1945 წლის 5 ოქტომბერს დაიბადა სოფელ რეჩხო-ცხირში. 1962 წელს დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა, ხოლო 1965 წელს-ნოჯიხევის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. მიიღო მძღოლის პროფესია. რამდენიმე წელი მართავდა კოლმეურნეობის ავტომანქანას.

1968 წელს ამირან ბუავა მუდმივ საცხოვრებლად ეადმოვიდა ქალაქ გალში. იმუშავა მძღოლად სხვადასხვა ორგანიზაციაში, უკანასკნელად „ვალიეაზი"-ს კანტორაში მუშაობდა.

ამირანს კოლექტივში იცნობდნენ როგორც კეთილსინდისიერ მუშაკს, პატიოსნებით აღსავსე ახალგაზრდას, რისთვისაც უყვარდათ და პატივს სცემდნენ. ბევრჯერ დაუმსახურებია სხვადასხვა ჯილდობი და სიგელები.

სიცოცხლე სწყუროდა, მაგრამ არ დააცალეს. ჯერ კიდევ რამდენი რამის ეაკეთება შეეძლო, სიცოცხლის 48-ე წელს შემოაღამდა, უფრო სწორად, 48 წლის შესრულებას მხოლოდ ერთი დღეღა უკლდა...

განისვენებს ახლა რეჩხი-ცხირის სასაფლაოზე. იგი ახსოვთ და მარად ემახსოვრებათ იმათ, ვინც კი მას იცნობდა; ვისაც კი მასთან მეგობრული ან საქმიანი ურთიერთობა ჰქონია.

რევაზ ბასარია

1993 წლის 5 ოქტომბერს ბევრი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა, დასახიჩრდა, დაქვრივდა, დამარტოვდა... სიკვდილის მთესველთა სისასტიკეს ვერც რევაზი გადაურჩა. კაცი ეულკეთილი, ეულთბილი, ეულუხვი, ეულითადი, ყველვან და ყოველთვის ზრდილობისა და პატიოსნების უზადო ვანსახიერება.

ნაძირალა მარადიორები საკუთარ სახლში თავს დაესხნენ ფუტკარივით შრომისმოყვარე რევაზის ოჯახს. სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდეგ ავტომატის ჯერით სხეული დაუფლითეს და იქვე ორმოში ჩააგდეს. მხეცური ჟინი დაიკმაყოფილეს და ვალმოხდილი ადამიანების იერით მორიგი მსხვერპლისაკენ ვაუდგნენ ეზას.

რევაზ მაქსიმეს ძე ბასარია დაიბადა სოფელ ხუმუშქურში 1932 წელს. დაამთავრა ზოვადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა და შეუდგა შრომით საქმიანობას. გარკვეული დროის განმავლობაში ბეჯითად საქმიანობდა ვალის პურსაცხობ ქარხანაში, უკანასკნელ წლებში კი მუშაობდა ვალის სამომხმარებლო კოოპერატივში, ივი დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა კეთილსინდისიერად. დამსახურებული ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა შრომით კოლექტივში, მეზობლებში, საზოვადოებაში.

რევაზის ლამაზ სახელს უკვდავყოფენ მასავით სათნო და ვამრჯე მეუღლე—**თინიკო**, კეთილშობილობით ვამორჩეული შვილები **მამუკა, პაორონი** და **მანანა**.

უჩინო და უჩინარი რევაზის მოკრძალებული მოკლე შინაარსიანი ბიოგრაფია ბევრ ჩინიანსა და ჩინებულსაც უთუოდ დაამშვენებდა.

მარადიული ხსოვნა მის სახელს, ამინ!

რევაზ ბაღიშვილი

რევაზ არტემის ძე ბაღიშვილი დაიბადა 1939 წელს სოფელ შეშელეთში. დაამთავრა აჩიგვარის საშუალო სკოლა, შემდეგ––ქუთაისის ეზებისა და ხიდების მშენებლობის ტექნიკუმი.

პროფესიის დაუფლების შემდეგ მუშაობა დაიწყო ვალის საგზაო-სარემონტო ორგანიზაციაში ინჟინერ-ტექნიკოსად, სადაც თითქმის სიცოცხლის ბოლომდე დაჰყო.

მაღალერუდირებული სპეციალისტი, თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული მუშაკი, ამხანაგობაში გამორჩეული ვაჟკაცი––ასე იცნობდნენ რ. ა. ბაღიშვილს მრავალრიცხოვან კოლექტივში. ასეთი თვისებებისათვის ის ყველას უყვარდა, მას ყველა პატივს სცემდა.

რ.ა. ბაღიშვილს კეთილსინდისიერად ჰქონდა მოხდილი სამხედრო-სავალდებულო სამსახური.

საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის 1993 წლის 1 ოქტომბერი. ამ დღეს სოფლის ცენტრში ავტომატის ჯერით დაცხრილეს სრულიად უდანაშაულო ადამიანი. პატიოსანი, ოჯახისმოყვარული კაცი, რომელსაც საზოგადოებისათვის––საერთო საქმისათვის ჯერ კიდევ ბევრი სასარგებლო საქმე უნდა გაეკეთებინა.

დარჩა მეუღლე, ორი შვილი, შვილიშვილები. მათ ნუგეშად ისღა რჩებათ, რომ მათი ახლობელი ადამიანის ადრე შეწყვეტილი სიცოცხლე იქნება ომის საშინელებისაგან ყველა მოზარდის მხსნელი და მფარველი.



ინდიკო ბერაია

ინდიკო კონსტანტინეს ძე ბერაია 1935 წელს დაიბადა. ჰქონდა უმაღლესი განათლება. სპეციალობით აგრონომი იყო. სპეციალობის მიხედვით მუშაობდა თაგილონის კოლმეურნეობასა და ვალის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობაში. უკანასკნელად რეფის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი იყო. სადაც უმუშავია, ყველგან სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია.

უაღრესად ერუდირებულმა სპეციალისტმა თავის ორ შვილსაც უმაღლესი განათლება მიაღებინა. ივი ერთადერთი ვაჟის ქორწილისთვის ემზადებოდა, მაგრამ მტრის ტყვიამ არ დააცადა.

1993 წლის 2 ოქტომბერს ი. ბერაიას მეზობლის სახლში სამი შეიარაღებული მამაკაცი შემოვიდა. ინდიკოც იქ მიიყვანეს არაკაცებმა. მეზობლის ქალი ბრჭყვიალა ოქრომ ვადაარჩინა, უწყინარი ინდიკო კი მეორე სართულზე აიყვანეს და იქ მოკლეს.

1997 წლის 30 ივლისამდე საკუთარ ეზოში იყო დასაფლავებული, შემდეგ კი საერთო სასაფლაოზე გადაასვენეს.

ბუჯგა ბულისკერია

ბუჯგა ივანეს ძე ბულისკერია დაიბადა 1912 წელს სოფელ მუხურში. პირველდაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო. 1939 წელს დაამთავრა მილიციის სკოლა, რის შემდეგაც მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში, ჯერ რიგით მილიციელად, შემდეგ––იძულებით სამუშაოთა–ბიუროს ინსპექტორად გალის რაიონში, ბოლოს––ამ ბიუროს უფროსად.

ბუჯგა ბულისკერია პატიოსნებისა და თავმდაბლობის განსახიერება იყო. მინდობილ საქმეს კეთილსინდისიერად, მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა და წარმატებებსაც აღწევდა. კოლექტივში აფასებდნენ და პატივს სცემდნენ. წახალისებაც არაერთხელ მიუღია. ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

1976 წელს გავიდა პენსიაზე და სახელოვნად ხელმძღვანელობდა მრავალრიცხოვან ოჯახს. იყო ხუთი შვილის მამა. ჰქონდა პატიოსანი, მშრომელი ოჯახი.

საბედისწერო გახდა ბუჯგასათვის 1994 წლის 3 იანვარი. ამ დღეს აფხაზმა ბოევიკებმა მუხანათურად მოკლეს ივი სიმინდის ყანაში.

წავიდა ჩვენგან კეთილი ადამიანი და დაკარგეს დიდი მწუხარება. მის ნათელ ხსოვნას არ დაივიწყებენ ნათესავები, ახლობლები და მეგობრები.

იგორ ბებუა

იგორ ვალიკოს ძე ბებუა დაიბადა 1948 წლის 12 აპრილს ქ. ვალში. 1955 წელს შევიდა და 1966 დაამთავრა ქ. ვალის №1 საშუალო სკოლა.

1966 წელს ჩაირიცხა სოხუმის სამხატვრო სასწავლებელში. 1968 წელს ვაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში. მსახურობდა ვერმანიასა და ჩეხოსლოვაკიაში. მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

1970 წლიდან მუშაობდა ვალის სამგზავრო ავტოსაწარმოში ტაქსის მძღოლად. 1990 წელს ავტოკატასტროფაში დაეღუპა შვილი, რომლისვანაც დარჩა შვილიშვილი, ამჟამად 4 წლისა. დარჩენილი ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.

ი. ვ. ბებუა მოკლულ იქნა საკუთარ ეზოში 1993 წლის 2 ოქტომბერს.

ნათელი დაადგეს მის საფლავს!

მახტანგ ვამახარია

ვახტანგ ითნახ ძე გამახარია დაიბადა 1994 წელს სოფელ ოტობაიაში. მიიღო უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება აერონომის სპეციალობით და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში. ვამრავალ და მოსიყვარულე მეუღლე ადრე გარდაეცვალა და ოჯახის მოვლა-პატრონობის, შვილების აღზრდის დიდი ტვირთი კაცურად, მტკიცე ნებისყოფით ატარა.

უკანასკნელ წლებში ვალის მიკრო ფაბრიკაში მუშაობდა აერონომად. შრომით კოლექტივში სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.

ისე, როგორც ბევრი ჩვენი თანამემამულე, კაცთმოყვარე, უდანაშაულო ვახტანგი 1993 წლის 1 ოქტომბრის ტრაგედიის მსხვერპლი ვახდა. ვინ იყო მკვლელი, გადამთიელი, დაქირავებული, უცხო ვვარ-ტომის თუ მეგობრად შემოხიზნული, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ივი იმსხვერპლეს აფხაზ-ქართველთა შორის ვამწვავებული კონფლიქტის შედეგად მომრავლებულმა ნაძირალა მარადიორებმა, რომელთათვის აღარ არსებობს სიტყვები: ადამიანი, ადამიანური...

შეუხორცებელი ჭრილობა დაუტოვა ვახტანგიმ თავის საკუთარ შვილებს—მზეევინარსა და ზაზას, მაგრამ სამაგიეროდ კარგი მამის, სახელოვანი მშობლის უწმინდესი სახელით დაუმშვენა ბიოგრაფიები.

ვახტანგის ვაწამებული ცხედარი კეთილი მეზობლების მიერ ნაუცბადევად ვათხრილ საფლავში, თავისავე ეზოში განისვენებს...

წინაპართა ძვალთშესალაგი ადგილი დღემდე მისთვის ღიადაა დარჩენილი.

პატივი და დიდება ვახტანგის ნათელ ხსოვნას.

ნელი ეოეოხია

ნელი ათანასეს ასული ეოეოხია-ჯახაია დაიბადა 1945 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანში.

მიღებული ჰქონდა საშუალო ვანათლება. 1963 წელს ვათხოვდა და მუდმივ საცხოვრებლად ვადმოვიდა ქალაქ ვალში. ამ დროიდან თითქმის სიცოცხლის ბოლო დღეებამდე მუშაობდა ვალის ლიმონათის ქარხანაში.

შრომისმოყვარე, აკურატული, მუდამ მოღიმარი და უზადო მეეობარი—ასე იცნობდნენ მას კოლექტივში, მეზობლობაში. სამ შვილს შეჰხაროდა. იმათ კარე მომავალზე ოცნებობდა. მტრის მუხთალმა ტყვიამ კი ყველაფერი ჩაუშხამა. 1994 წლის 6 თებერვალს აფხაზმა ექსტრემისტებმა მეუღლესთან—ზაურ ჯახაიასთან ერთად სიცოცხლეს გამოასალმეს ყოვლად უდანაშაულო ქართველი მანდილოსანი.

ნათესავთა და ნაცნობ-მეეობართა შორის აღარ არის ნელი ეოეოხია-ჯახაია, მაგრამ მისი სიცოცხლე მის შვილებსა და შვილიშვილებში გრძელდება.



სარდიონ გეგეჭკორი

სარდიონ არჩილის ძე გეგეჭკორი დაიბადა 1914 წლის 21 მაისს ქალაქ ეალში. შრომის ფერხულში ახალგაზრდობიდანვე ჩაება. მუშაობდა გალის №1 ჩაის ფაბრიკაში მუშად, ბოლო წლებში საამქროს ოსტატი იყო.

ყავდა მეუღლე და ხუთი შვილი. მთელი ცხოვრება ოჯახის კეთილდღეობასა და ნამდვილ სიყვარულს შეალია. კეთილსინდისიერად შრომობდა, დღე და ღამეს ასწორებდა, რომ შვილებისათვის ბედნიერი მომავალი შეექმნა. შვილებიც წამოესწრნენ, მათით ხარობდა, მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე გამოდგა. 1993 წლის 1 ოქტომბერს შვილი რევაზი მოუკლეს აფხაზმა ექსტრემისტებმა, ხოლო 7 ოქტომბერს ისიც გამოასალმეს სიცოცხლეს. საკუთარ ოჯახში მოკლეს მამა-შვილი.

გაჭირვების ტალკვესს ეძახდნენ სარდიონ გეგეჭკორს. მელიქიშვილის ქუჩის მცხოვრებთ ჯერაც ვერ გაუცნობიერებიათ, რომ მათ გვერდით აღარ არის კეთილი კარის მეზობელი. ასეთი კაცის სახელს კი არასდროს არ დაივიწყებენ.

რევაზ გეგეჭკორი

ოთხ წელიწადზე მეტი ვაეიდა მას შემდეგ, რაც თავისიანებთან აღარ არის **რევაზ სარდიონის ძე გეგეჭკორი**. საპედისწერო აღმოჩნდა მისთვის 1993 წლის 1 ოქტომბერი. ამ დღეს სახლში შეუვარდნენ და ეერაგულად მოკლეს ივი აფხაზმა ექსტრემისტებმა. ასეთივე ბედი ეწია მამამისსაც, რომელიც იმავე წლის 7 ოქტომბერს ვამოასალმეს სიცოცხლეს.

რ.ს. გეგეჭკორი 1948 წელს იყო დაბადებული. ცხოვრობდა ქალაქ ვალში. მიღებული ჰქონდა საშუალო სპეციალური ვანათლება. პროფესიით მკერავი იყო. მუშაობდა ვალის საყოფაცხოერებო მომსახურების კომბინატში.

ვჯერ კიდევ უცოლშეილო იყო. უხაროდა სიცოცხლე, ყველას უყვარდა. თითქოს ყველაფერი წინ იყო, დიდი ეზა ჰქონდა ვასავლელი, მაგრამ ულმობელ შემთხვევას ემსხვერპლა. ეული დაწყვიტა ყველას, ოჯახს, ახლობლებს, მეეობრებს, მეზობლებს. ირეველივ სიცარიელემ დაისადგურა. მისი ნათელი ხსოვნა მარად უკვდავი იქნება.

ოთარ გოგოხია

ოთარ შალვას ძე გოგოხია დაიბადა 1951 წელს ქ. ვალში. ვაჟა-ფშაველას ქუჩა №32-ში. დამთავრებული აქვს საშუალო ტექნიკური სასწავლებელი თეატრალური განხრით. მუშაობდა ვალის კულტურის სახლში სამეურნეო ნაწილის გამგედ.

1994 წლის მარტის თვეში ენგურის ხიდზე გადმოსვლისას მინაზე აფეთქდა და დაიღუპა.

წავიდა ჩვენგან უპრეტენზიო, ჩუმი ყველასი მოსიყვარულე ახალგაზრდა.

ვინ იცის რამდენი ლამაზი და განუხორციელებელი ოცნება ჩაიტანა თან.

დიდება მის სახელს!

ნუნუ დარასელია

ნუნუ ერმინეს ასული დარასელია-მებონია დაიბადა 1936 წელს სოფელ ვანახლებაში. დაამთავრა პედაგოგიური სასწავლებელი. პირველ ხანებში მუშაობდა პედაგოგად, ხოლო ბოლო წლებში—ვალის რაიონულ საავადმყოფოში საქმის მწარმოებლად.

ნ. დარასელია–მებონიას კოლექტივში იცნობდნენ როგორც თავმდაბალ, კეთილსინდისიერ მუშაკს, რისთვისაც უყვარდათ და პატივს სცემდნენ.

საბედისწერო აღმოჩნდა ნუნუსთვის 1994 წლის 2 თებერვალი. ამ დღეს იგი დისშვილთან ერთად ვერაგულად მოკლეს ბანდიტებმა.

დარჩა მეუღლე და სამი შვილი.

ნუნუს სიკვდილმა ვული დასწყვიტა ყველას, ვინც კი მას იცნობდა. მის ნათელ ხსოვნას დიდხანს შეინახავენ მისი ახლო ნათესავები, ამხანაგ–მეგობრები.



ვალიკო დარსანია

ვალიკო ბიქტორის ძე დარსანია 1930 წელს დაიბადა. მძღოლის რთულ და პასუხსაგებ პროფესიას დაეუფლა და თავის უწყინარ ოჯახსაც ამით არჩენდა. მისმა ოჯახმა კი ორი სახელოვანი ვაჟკაცი გამოზარდა.

როგორც იტყვიან, არაფერი აკლდა ვალიკოს. ბედით კმაყოფილი იყო და უკეთესი მომავლის მოლოდინში სიამტკბილობით ატარებდა თავის სამოცდამესამე წელს. მაგრამ სიამე დიდხანს ვის შერჩენია, რომ მას შერჩენოდა!

1993 წლის 3 ოქტომბერი იდეა. მოწმენდილ ცაზე მზე ჯერ არ ამოსულიყო, ვალიკოს ოჯახის საქმეზე სადღაც მიეჩქარებოდა. ის იყო კარიდან გამოსვლას აპირებდა, რომ ამ დროს მხეცის დონემდე დაცემული ავაზაკები „ესტუმრნენ". თავით–ფეხებამდე შეიარაღებულ ბანდიტებთან აბა, რას გააწყობდა...

პირველი ტყვია რომ მოხვდა, შვილებს უხმო, მაგრამ ამაოდ... ავტომატების ჯერით დაცხრილული ოჯახის ბურჯი მიწაზე დაეცა.

წავიდა ჩვენგან კეთილი კაცი, წავიდა და დაგვეიტოვა კვალი კეთილი

ლამარა ბიგვავა

ლამარა სანდროს ასული ელერჯია–ბიგვავა დაიბადა 1936 წელს სოფელ რეჩხო-ცხირში. მიღებული ჰქონდა საშუალო სპეციალური ეანათლება. ბოლო პერიოდში მუშაობდა მზიურის მეციტრუსეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში რიგით ბუღალტრად.

ლ. ს. ელერჯია–ბიგვავა იყო დაუზარებელი და კეთილსინდისიერი მუშაკი, უაღრესად თავმდაბალი და ჰუმანური პიროვნება, რისთვისაც უყვარდათ და პატივს სცემდნენ როგორც კოლექტივის წევრები, ისე ყველა, ვინც კი მას იცნობდა.

ვერაგულად მოკლეს 1993 წლის 1 ოქტომბერს აფხაზმა ბოროტმოქმედებმა საკუთარ სახლში.

დარჩა ორი შვილი, რომლებიც ოჯახისათვის თავდადებულმა ქალმა ობლობაში დიდი წვითა და დავვით ეამოზარდა, ერთი უმაღლესი ეანათლებითაა, მეორე კი სტუდენტია.

ლ.ს. ელერჯია-ბიგვავას ნათელი ხსოვნა არასდროს არ ამოიშლება მის ნათესავ-მეგობართა მეხსიერებიდან.

ვახტანგ ემუხვარი

„ვულო ჩემო მღელვარევ,
სულო ჩემო მყივარო,
ერთი დღეც არ გქონიათ
მშვიდი, უსატკივარო“.

შეუძლებელია ვალაკტიონის ეს ლექსი არ მოვავონდეს, **ვახტანგ ნონიორის ძე ემუხვარის** ბიოგრაფიას რომ ვაეცნობი. უბედობა თითქოს ბავშვობიდანვე დაჰყვა. დაიბადა 1920 წელს სოფელ ხუმუშქურში. დედამამით ადრევე დაობლებული ვახტანეი ვალის საშუალო სკოლის მეცხრე კლასში სწავლობდა, როცა მაგადანში გადაასახლეს. თვითონაც უკვირდა, რით დაიმსახურა ასეთი „წყალობა“. გადასახლებაში რვა წელი დაჰყო, რის შემდეგ რეაბილიტაციაში მოჰყვა და მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა. ჩაის ფაბრიკის მუშად დაიწყო მუშაობა და პარალელურად საღამოს სკოლაც დაამთავრა. შემდეგ უმაღლესი განათლებაც მიიღო და ვალის №1 საშუალო სკოლაში მუშაობდა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, სადაც თითქმის სიცოცხლის ბოლომდე დარჩა.

აფხაზეთის ომი ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, ოცი წლის ვაჟიშვილი რომ გარდაეცვალა. ბედმა ესეც არ აკმარა, კინდღში ქალიშვილის სანახავად წასული მეუღლე ავტობუსში აფხაზმა სეპარატისტებმა მოუკლეს. ამას ზედ დაერთო ვალის რაიონში შემოჭრილ მომხდურთა მიერ დატრიალებული ტრაგედიაც, რასაც სრულიად უდანაშაულო ვახტანგიც ემსხვერპლა. ივი ბანდიტებმა ავტომატით დაცხრილეს მისსავე ეზო-

ში კარის მეზობელთან, პედაგოგ ხუტა ფირცხელავასთან ერთად 1993 წლის 4 დეკემბერს.

ასე უკულმართად დასრულდა პატიოსანი მშრომელის, ახალგაზრდა თაობის უანგარო აღმზრდელის, ყველასათვის საყვარელი ადამიანის ვახტანგ ემუხვარის მოწამებრივი სიცოცხლე, კაცისა, რომელსაც ერთი დღეც არ ეამორევია „მშვიდი და უსატკივარო". სამაგიეროდ ყველას გულში, ვინც კი მას იცნობდა, მარად ენთება მისი ხსოვნის სანთელი.

ვახტანგ ელიავა

ვახტანგ ბორისის ძე ელიავა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ნიადაგზე დატრიალებული ტრაგედიის ერთ-ერთი მსხვერპლია.

იგი დაიბადა 1961 წელს სოფელ ქვემო ბარღებში. დაამთავრა გალის №102 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.

1980-1983 წლებში მსახურობდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებში. მიღებული ჰქონდა სიგელები, მადლობები, წახალისებანი.

დემობილიზაციის შემდეგ ფიზიკურად მუშაობდა ქვემო ბარღების მეჩაიობის საბჭოთა მეურნეობაში.

1985 წლიდან ქართველ-აფხაზთა ომის დაწყებამდე მუშაობდა სოხუმის სპეციალიზებულ სანტექმონტაჟმშენში ჯერ მუშად, შემდეგ—ზეინკლად.

ვ.ბ. ელიავას შრომით კოლექტივში იცნობდნენ როგორც ენერგიულ და დაუზარელ ახალგაზრდას, რისთვისაც აფასებდნენ და პატივს სცემდნენ.

ვ.ბ. ელიავა ქართველ-აფხაზთა ომის მონაწილე იყო. იბრძოდა სოხუმის მისადგომებთან, სადაც დაიღუპა 1993 წლის 27 სექტემბერს. მისი ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს ყველა იმათ მეხსიერებაში, ვინც კი მას იცნობდა.

კონსტანტინე ეზუგბაია

1993 წლის 3 ოქტომბერი საბედისწერო აღმოჩნდა **კონსტანტინე (კოტე) კონსტანტინეს ძე ეზუგბაიასთვის**. მტრები სამი დღის შემოსულები იყვნენ ქალაქში, კოტემ თავის მეუობარს დაურეკა და ურჩია „მხეცებთან თავი ზომიერად გეჭიროს, თორემ არ დაეინდობენო“...

რა ბედის ირონიასაეით ჩაეესმის ეს სიტყვები! სხვისთვის კეთილის მრჩეველმა კოტემ თავისთავს ვერ უშველა. პირდაპირი კაცი იყო და წამება, აბუჩად აგდება ვერ აიტანა. ოქროს სთხოვდნენ სამხედრო ფორმაში ვამოწყობილი ორფეხა მხეცები. ოქრო კი მას არ ეააჩნდა. ფიცი–მტკიცი რომ არ ვამოუვიდა, „ზომიერება“ დაჰკარეა ამ ზომიერმა კაცმა და მომხდურებს შეჰკადრა მომშორდითო, თავი ვამანებეთო. ეს „კაღნიერება“ კი არ აპატიეს და წამებით ვერაეულად მოკლეს ყოვლად უდანაშაულო ადამიანი. ვაპატიოსნება და წესიერ კუბოში ჩასვენებაც კი არ ეღირსა. ეზოში, მის მიერვე დარეული მანდარინის ძირში დაკრძალეს მეზობლებმა.

კ. კ. ეზუგბაია დაიბადა 1929 წელს ქ. ვალში, მოსამსახურის ოჯახში. 1953 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული კულტურების ფაკულტეტი. მუშაობდა კოლმეურნეობის მთავარ აგრონომად, კომპარტიის ვალის რაიკომის ინსტრუქტორად, საბჭოთა მეურნეობის განყოფილების მმართველად, მოსკოვის საბჭოს სანერგე მეურნეობის ვალის ფილიალის დირექტორად. წყალთა მეურნეობის სამმართველოს აგრონომად.

ყველგან, სადაც კი უმუშავნია, კოტე ეზუგბაიას იცნობდნენ, როეორც კეთილსინდისიერ მუშაკს, პატიოსან, ალალმართალ კაცს. მას „სხვისი

ბევრი“ არასდროს არ იზიდავდა. ცხოვრობდა თავისი მარჯვენის ნაამაგარით. ამ თვისებათა გამო უყვარდათ, პატივს სცემდნენ და დიდად აფასებდნენ.

ის წავიდა ამ ქვეყნიდან, თავისი ორი შვილის დაკაკაცებას ვერ მოესწრო. წავიდა და ყველას გული დასწყვიტა. მისი ნათელი ხსოვნა არასდროს ამოიშლება იმათი გულებიდან, ვინც მას იცნობდა.

ვაჟა ვეკუა

ვაჟა თადეოზის ძე ვეკუა დაიბადა 1939 წლის 19 ივლისს. მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება. უკანასკნელად ცხოვრობდა ქ. ვალში, მას იცნობდნენ როგორც დაუზარელ მშრომელს, კეთილ და ალალ ადამიანს. ხარობდა თავისი ნაშრომ-მონაგარით, ოცნებობდა იმ დღეზე, როცა თავის გოგო-ბიჭს დაოჯახებულს იხილავდა, როცა შვილიშვილთა ტიკტიკით გულს ივსერებდა, მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო...

ვერ მოესწრო ამ დღეს ვაჟა ვეკუა. იგი ღამით მოტყუებით ვაიყვანეს სახლიდან ბანდიტებმა და სხვა თანამემამულეებთან ერთად პურეულის მიმღები საწარმოს მეღორეობის ფერმის ვერდით მუხანათურად მოკლეს. ეს საზარელი ამბავი 1993 წლის 12 დეკემბერს მოხდა.

უკვდავია ვაჟა ვეკუას სახელი, სახელი ნამდვილი გმირისა, რომელსაც თავისი შეურყვნელი სიცოცხლე დაუზარლად მიიტანა სამართლიანობისათვის ბრძოლის სამსხვერპლოზე.



ევტიხი ზაქარაია

მისთვის საბედისწერო დღის წინა ღამეს თვალთ რული არ მიჰკარებია ევტიხ ზაქარაიას, ფიქრებში იყო ჩაძირული. უთენია უნდა წასულიყო ზუგდიდში, ფეხით გადაელახა ყინულივით ცივი ენგური და იქ ვახიზნული ცოლ-შვილისათვის „რაღაც-რაღაცეები“ უნდა ჩაეტანა. დაადგა საბედისწერო გზას... კიდევ სამი კაცი დაემგზავრა ახლობლები, მეზობლები... გამთენიისას აქაფებულ ენგურს მიადგნენ დაღლილ-დაქანცული მგზავრები... ფონი მოძებნეს და ერთმანეთის დახმარებით გადასელის ვეგმა უთქმელად შეადგინეს. ევტიხი და მისი მეგობარი ჟორჟი ქარდავა წყალში შევიდნენ, ხმელეთზე ქალები იყვნენ კიდევ დარჩენილნი, ათიოდე ნაბიჯი გადადგეს და ნაღმის აფეთქებამ და ქალების კივილმა ენგურის ტალღების შხუილი დაფარა. ფეხმოგლეჯილი ნანული ლეჟავა თავმოჭრილი ქათამივით ფართხალებდა. ეულმა ვერ მოუთმინა ევტიხის, მისაშველებლად ვამობრუნდა. ჟორჟიმაც უკან ვადმოადგა ნაბიჯი და იმავე წამსვე ტყვიების ჯერმა ორივე ეაჟკაცის სისხლი შფოთვარე ენგურის ტალღებს შეურია და წითელ ზოლად ვააყოლა.

ასე ტრაგიკულად შემოაღამდა ცხოვრების შუაგზაზე პატიოსნებით, ზრდილობით აღსავსე, ფუტკარივით მშრომელ და ცხვარივით უწყინარ კაცს.

ევტიხ ლავრენტის ძე ზაქარაია დაიბადა ეალის რაიონის სოფელ პირველ ეალში ღარიბი ვლეხის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში, ორ ათეულ წელზე მეტი იმუშავა ენგურჰესის მშენებლობაზე, დასახლდა ქ. ვალში, შექმნა შესანიშნავი ოჯახი და სწორედ იმ დროს, როცა მისი შვილები ცხოვ-

რების ფართო ასპარეზზე უნდა გამოსულიყვნენ და როცა მათ ყველაზე მეტად სჭირდებოდათ მზრუნველი მშობლის ხელი, გარეწარის მიერ სამუდამოდ იქნა დადუმებული.

დარჩა მეუღლე—ნანული შამათავა, შვილები ლელა და ლაშა, მრავალი განუხორციელებელი ოცნება, ჩანაფიქრი...

ევტიხის ხსოვნა მარად იქნება ნათესავ-მეგობრებში.

ლეილა მილორავა

ლეილა ილიკოს ასული ზუხბაია-მილორავა დაიბადა 1945 წლის 7 ნოემბერს სოფელ ზემო ბარღებში. მიღებული ჰქონდა საშუალო სპეციალური ვანათლება. მუშაობდა ვალის რაიპოლიკლინიკის უფროს ექთნად.

პოლიკლინიკაში იცნობდნენ როგორც დაუზარელ და კეთილსინდისიერ მუშაკს. სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით.

მოკლეს აფხაზმა ბოროტმოქმედებმა 1994 წლის 2 თებერვალს დეიდასთან ერთად. იგი ცალიდან ბარღებში მიდიოდა მშობლების სანახავად, მზიურის ტერიტორიაზე ვადაეყარა ორფეხა მხეცებს და იქვე სხვა თანამგზავრთან ერად დაიღუპა. დარჩა მეუღლე და ორი შვილი.

ლ.ი. ზუხბაია–მილორავა სრულიად უდანაშაულოდ ემსხვერპლა ექსტრემისტთა თვითნებობას. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების ვულებში.



ХУСТАН ЗУХБАИА

ХУСТАН ШАЛВАС ძე ზუხბაია დაიბადა 1957 წელს ქ. ვალში.

იგი ერთდროულად მუშაობდა და სწავლობდა კიდეც, ოჯახი რომ ერჩინა, იძულებული იყო მძღოლის მძიმე და საპატიო მოვალეობა შეესრულებინა. უმაღლეს განათლებას დაუსწრებლად ეუფლებოდა. მესამე კურსზე სწავლობდა, ოცნებობდა იმ დღეზე, როცა ცოლ–შვილსაც ეაახარებდა და საზოგადოებასაც დიდ სიკეთეს მოუტანდა.

არ დასცალდა, ტრაგიკული სიკვდილი ეწია სიცოცხლე-მოწყურებულ ახალგაზრდას. ეს 1993 წლის 2 ოქტომბერს მოხდა. მტრებმა დღისით-მზისით ცეცხლი წაუკიდეს მის საცხოვრებელ სახლს. პატრონს ვარეთ ვასვლის საშუალება არ მისცეს.

ასე ტრაგიკულად ემსხვერპლა ამ ბარბაროსულ ქმედებას ყოვლად უდანაშაულო ადამიანი, რომელსაც უნდა ეცოცხლა და სიკეთით დამტკბარიყო.

ჯ. შ. ზუხბაიას ხსოვნა არასდროს არ ამოიშლება მისი ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობართა მეხსიერებიდან.



ალმა ზუხბაია

ალმა პლატონის ძე ზუხბაია დაიბადა 1932 წელს სოფელ ღუმურიშში. დაამთავრა ოქუმის საშუალო სკოლა. მუშაობდა კოლმეურნეობაში, შემდეგ კი ეალის სოფლის კოოპერატივში. 1961 წელს გადაჰყავთ „აფხაზსოფლტექნიკის“ ეალის რაიონული ეანყოფილების სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირად.

1971 წელს ამთავრებს ხონის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს. 1974 წლიდან „აფხაზსოფმომარაგების“ ეალის ცენტრალური ბაზის უფროსი იყო, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დაჰყო. ეერაეულად მოკლეს აფხაზმა ექსტრემისტებმა 1993 წლის 5 ოქტომბერს საკუთარ სახლში.

დარჩა მეუღლე და სამი შვილი, რომლებიც სათუთად ინახავენ მეუღლისა და მამის ნათელ ხსოვნას.

ლიდა გუხბაია

ლიდა გაჯიხ ასული ზუხბაია-შელია დაიბადა 1913 წელს ქ. ვალში. საშუალო განათლებით იყო, სპეციალობა არ ჰქონდა მიღებული. მთელი ორმოცი წელი მუშაობდა ოქუმის ჩაის ფაბრიკაში მუშად.

კოლექტივში იცნობდნენ როგორც ენერგიულ და კეთილსინდისიერ მუშაკს, რითაც ამხანაგ-მეგობრების დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ოჯახში დარჩა რძალი და შვილიშვილი, რომლებიც ამჟამად ქ. ვალში ცხოვრობენ.

ლ. ზუხბაია-შელიას შეეძლო სიამტკბილობაში ვაეტარებინა თავისი უკანასკნელი დღეები, მაგრამ არ დასცალდა. იგი 1993 წლის 1 ოქტომბერს ვერაგულად მოკლეს ბანდიტებმა.

გალელები მარად და მოწიწებით შეინახავენ მის ნათელ ხსოვნას.



გიორგი გვედელავა

გიორგი (ჟორა) ვაგას ძე ზვედელავა დაიბადა 1933 წელს სოფელ წარჩეში. არასრული საშუალო ეანათლების მიღების შემდეგ დაეუფლა ელექტროშემდუღებლის საპატიო პროფესიას, უკანასკნელ პერიოდში მუშაობდა ვალის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციაში სპეციალობის მიხედვით.

ვ. ზვედელავას კოლექტივში იცნობდნენ როგორც კარგ სპეციალისტს, პატიოსან და კეთილსინდისიერ მუშაკს, საუკეთესო ამხანაგსა და მეგობარს.

დაიღუპა აფხაზურ-ქართული კონფლიქტის დროს 1993 წლის 1 ოქტომბერს.

დარჩა მეუღლე გალია კოჩოს ასული ზვედელავა, რომელიც ამჟამად ქ. ვალში ცხოვრობს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!



ელდარ ზაქარაია

ელდარ ჯუმბერის ძე ზაქარაია დაიბადა 1968 წლის 1 იანვარს. წარჩინებით დაამთავრა ვალის №2 საშუალო სკოლა, შემდეგ მძღოლის პროფესიას დაეუფლა. მოხდილი ჰქონდა სავალდებულო სამხედრო სამსახური. ბევრი სიცელი და მადლობა დაუმსახურებია.

დემობილიზაციის შემდეგ ერთხანს კავშირგაბმულობის ვალის რაიონულ კვანძში იმუშავა. ქალაქის მცხოვრებთა სიყვარული და პატივისცემა არც აქ დაკლებია.

სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობდა, მაგრამ არ დასცალდა. ბანდიტებმა მაშინ ესროლეს, როცა ზუგდიდის რაიონის სოფელ ტყაიაში ლტოლვილებად მყოფი მეუღლისა და პატარა ვოვონას სანახავად მიდიოდა.

ელდარ ზაქარიას, ვარდა გაუბედურებული ცოლ-შვილისა, დარჩა დედმამა და ერთადერთი ძმა.

სამარადისო ხსოვნა და დიდება უდროოდ დაკარგულ ვაჟკაცს!

პლატონ თაკალანძე

––არ შეიძლება ასე ეაერძელდეს...აფხაზ-ქართველთა ურთიერთობა ისევ უნდა ჩადგეს საუკუნეობრივ კალაპოტში,––თითქოს ვიღაცას ებაასებოდა საკუთარ სახლში მარტოდ დარჩენილი, ღრმა ფიქრებში წასული პლატონ ესტატეს ძე თაკალანძე, როდესაც ეარედან ველური ხორხოცი და ჭიშკრის ჭრიალი შემოესმა, უცებ ერუანტელმა დაუარა ტანში, ეუმანით ავისმომასწავებლად ჩათვალა ეს ხმაური, ფეხაკრეფით წამოდგა და სარკმლიდან ეამოიხედა. შეიარაღებული, წვერებეაბურძვენილი მომხდურები კარის ეაღებისთანავე ცხვირწინ აეტუზნენ.

––მობრძანდით...ჩვეულებისამებრ ძალაუნებურად წამოცდა პლატონს. მაგრამ პასუხად ბილწი სიტყვები, ვინება მოესმა და მუცლის არეში ავტომატის კონდახის ძლიერმა დარტყმამ თვალები დაუბნელა, ჩაიმუხლა.

––ძაღლიშვილებო! ჩქარა მანქანა, ფული, ეანძეული;––იყო ორფეხა ნადირთა სასტიკი მოთხოვნა.

––აბა საიდან უნდა მქონდეს ოქრო ან ეანძეულობა პედაგოგ კაცს?––ძლივს ამოილუღლუღა ეანწირული ხმით პლატონმა.

––არა ეაქვს? ჰმ... მაშ, აი, ეს მიირთვი,––წამოიძახა უღვთო ეადამთიელმა და მისი სიტყვები ავტომატის ჯერით დაასრულა.

დაფლეთილი სხეულიდან სისხლი შადრევანივით ამოფუვდა...წუთით სიჩუმემ დაისადგურა, კანტი-კუნტად შემორჩენილმა მეზობლებმაც დუმილი არჩიეს.

ხვთისნიერი ადამიანების მეშვეობით მხოლოდ მეორე დღეს ეახდა შესაძლებელი პლატონის ცხედრის კუბოს ეარეშე საკუთარ ეზოში მი-

წაზე მიბარება, ხოლო II თვის შემდეგ კი მახუნჯიის სასაფლაოზე გადასვენება.

დიახ, ასე ტრაგიკულად დაასრულა თავისი 63-ე შემოდგომა ზრდილობით, ადამიანობით, კაცთმოყვარეობით, ნამუსით აღსავსე უჩინარმა, უწყინარმა პედაგოგმა.

პლატონი დაიბადა ეალის რაიონის სოფელ ოტობაიაში 1930 წელს. მიღებული ჰქონდა უმაღლესი პედაგოგიური განათლება. წლების განმავლობაში მუშაობდა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ნაბაკევის, თაგილონის, ეავიდის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ხოლო შემდეგ კი თაგილონის №2 და ხუმუშქურის 8-წლიანი სკოლების პედკოლექტივებს ედგა სათავეში. უკანასკნელ ხანებში კი მზიურის საშუალო სკოლაში აერძელებდა თავის კეთილშობილურ საქმიანობას.

რატომ?...რისთვის? როგორ?...აი, დღემდე დაუმთავრებელი, პასუხგაუცემელი კითხვები, რომლებიც აღაშფოთებს ვანსვენებულის ჭირისუფლებთან ერთად მთელ საზოგადოებას.

პლატონ თორია

პლატონ ჩაგუას ძე თორია 1925 წელს დაიბადა. ვალელები მას იცნობდნენ როგორც უწყინარ ადამიანს, კარგ მამასა და მეუღლეს.

იყო დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე. მიუხედავად ინვალიდობისა, მას მოსვენებულს ვერ ნახავდით: რაღაც უნდა ეკეთებინა, თავისი წვლილი შეეტანა საერთო საქმეში.

რაოდენ დასანანია, რომ ვერმანელ ფაშისტებთან უთანასწორო ომს ვადარჩენილი ადამინი აფხაზ-ქართველთა უაზრო ომს ვერ ვადაურჩა.

1993 წლის 30 სექტემბერი იყო. პლატონ თორია, როგორც ლტოლვილი, ენგურვაღმა აპირებდა ვასვლას. სწორედ ამ დროს შეემთხვა უბედურება: მდინარეზე ვადასვლისას ვადაუბრუნდა ავტომანქანა, რომელიც უკან მომავალმა მტრის ტანკებმა ვასრისეს,

წავიდა ჩვენგან უდანაშაულო ადამიანი, რომლის ნათელ ხსოვნას მარად შეინახავენ მისი შთამომავალნი.



სერაპიონ თორია

სერაპიონ ნესტორის ძე თორია დაიბადა 1913 წელს სოფელ ნაბაკევში. შვიდწლიანი განათლება მიიღო ზუგდიდის რაიონის სოფელ ყულიშკარში, რის შემდეგ სწავლა განაგრძო ოჩამჩირის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. ამ ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ორი წელი იმუშავა ნაბაკევის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსად, რის შემდეგ სამუშაოდ გადავიდა ზუგდიდის ქაღალდკომბინატში.

1939 წელს შეავიდა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე. 1941-1943 წლებში დიდი სამამულო ომის ფრონტზე იბრძოდა. მიღებული ჰქონდა ჭრილობები. დემობილიზაციის შემდეგ დაასრულა პედაგოგიური განათლების მიღება.

ამ დროიდან, 1945 წლიდან, პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა ზემო ბარღების საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლად, ხოლო შემდეგ უკანასკნელ დღემდე—გალის №50 საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელში.

ს.ნ. თორია ვერაგულად ემსხვერპლა აფხაზურ-ქართული კონფლიქტის ნიადაგზე სამურზაყანოში დატრიალებულ ტრაგედიას. წავიდა ჩვენგან ცნობილი პედაგოგი, რომელიც წლების განმავლობაში უმწიკვლოდ ემსახურა ახალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

მის ნათელ ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

დაზმერ კაკულია

სიცოცხლის შუა გზაზე, 50 წლის ასაკში, სამუდამოდ შემოაღამდა ბუნებით კეთილ, ლამაზი სულისა და იერის შესანიშნავ ადამიანს—**დაზმერ შალვას ძე კაკულიას**.

1994 წლის 2 სექტემბერს იები სტუმრად იმყოფებოდა ახლობლის, ლეონტი კვარცხალაიას ოჯახში. მძარცველ-მარადიორთა ბანდა შუაღამისას თავს დაესხა მასპინძლის ოჯახს, სადაც ორფეხა ნადირები სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ისედაც ვაავებულმა ნაძირალებმა მხეცურად დახვრიტეს მასპინძელი მამა და შვილი ლეონტი და კოლია კვარცხალაიები და მათი ვამოქმოგებული სტუმარი—დაზმერ კაკულია.

ნაადრევად შეწყდა გულკეთილი, ალალმართალი კაცის სიცოცხლე.

დაზმერი დაიბადა ქ. ვალში 1943 წელს. დაამთავრა ზოგადსაანმანათლებლო საშუალო სკოლა და მაშინვე ჩაება საზოგადოებრივი საქმიანობის ფერხულში. უკანასკნელ ხანებში მუშაობდა ვალის ჩაის ფაბრიკების ვაერთიანებაში საწყობის ვამგედ. კეთილსინდისიერად, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა კოლექტივში.

ბოლო ჟამს უბედური შემთხვევის შედეგად დაინვალიდდა და ოჯახურ საქმიანობას ეწეოდა. ბევრი საფიქრალი, საზრუნაი ჰქონდა მრავალშვილიან მამას. საყვარელი დედის, მეუღლის, შვილების ლტოლვილად სხვაგან ყოფნა მომაკვდინებლად მოქმედებდა მის ჯანმრთელობაზე, ნებისყოფაზე და რაოდენ მძიმეა დაქვრივებული მეუღლის, დაობლებული შვილების და მოხუცი დედის სამუდამოდ ვანშორება.

ნათელში იყოს დაზმერის შეუბღალავი სახელი!

ლეონტი და კოლა კვარცხალაიები

1994 წლის 12 სექტემბერს შუაღამისას ქალაქ ვალის ოქტომბრის ქუჩაზე კანტიკუნტად შემორჩენილ მაცხოვრებელთა ისედაც შიშნარევი მყუდროება ავტომატური იარაღის რამდენიმე ჯერმა, განწირული ქალის შემზარავმა კივილმა და ერთმანეთში არეულმა ხმაურმა დაარღვია.

მაშინათვე შემთხვევის ადგილზე მისვლა ვერავინ ვაბედა.

საუკუნის დანაშაული ბობოქრობდა და კულმინაციურ წერტილს აღწევდა...

ღამის 2 საათზე შეიარაღებული მარადიორ-ბანდიტები თავს დაესხნენ ოქტომბრის ქ. №43-ში მცხოვრებ ლეონტი კვარცხალაიას ოჯახს. სახლში იმყოფებოდნენ ოჯახის უფროსი—ლეონტი, ვაჟიშვილი კოლა, მეუღლე შინო და სტუმრად მოსული ახლო ნათესავი დაზმერ კაკულია.

კოლა დასაძინებლად აღრე ავიდა მეორე სართულზე, თუმცა დაძინებისა და დასვენების თავი არ ჰქონდა. მეორე დილით გამთენიისას ენგურის გადალახვით ზუგდიდში უნდა ჩასულიყო იქ გახიზნული ცოლშვილის მოსანახულებლად, გზა შორი და სიფათიანი ჰქონდა ფეხით წასასვლელი, მაგრამ...

მომხვდურებმა დაუყოვნებლივ კარის გაღება მოსთხოვეს მასპინძელს. სანამ შიშჩამდგარი ლეონტი კარს ეააღებდა, მათ უკვე შემოამტვრიეს პირველ სართულში შემოსასვლელი კარები, სასტიკი მუქარით ფული

და განძეულობა მოითხოვეს. ლეონტიმ ჩვეული ზრდილობით დაუწყო ლაპარაკი—არა მაქვს, თქვენი ჭირიმე და რა უნდა მოვცეთო, მაგრამ ნაძირალებმა როდი მოუსმინეს მას, ავტომატის კონდახი ჩასცხეს მუცლის არეში და თვითონვე იწყეს საკბილოს ძებნა. ლეონტის ყრუ გმინვასა და ხმაურზე ვერდითი ოთახიდან ნამძინარევი დაზმერ კაკულია ვამოჩნდა, მომხდურები კიდევ უფრო ეაავდნენ და სანამ დაზმერი რამე სიტყვას იტყოდა, ორფეხა ნადირმა ავტომატის ჯერი დააყარა მასაც და ეონწასულ მასპინძელსაც. სისხლის მორევში მცურავი ქმრისა და სტუმრის დანახვაზე შეშლილის სახითა და ველური გამომეტყველებით ხელებაპყრობილმა შინომ ერთი შემზარავად შეჰკივლა და იქვე ჩაიკეცა.

ტრაგედია ელვის სისწრაფით ფართოვდებოდა...

შემზარავი ხმაურითა და დედის შემაძრწუნებელი კივილით რეტდასხმული კოლა პერანგის ამარა თითქმის ჩამოფრინდა მეორე სართულიდან, იხილა რა უსასტიკესი სურათი, ეავეშებული ხარივით, დაიბღავლა და ვეფხვივით შიშველი, მაგრამ რკინის ხელებით დაეტაკა მომხდურებს...არ შეგარჩენთ, ძაღლებო!—ყვიროდა ანვარიშმიუცემლად, ორიოდე ნაძირალა დაითრია და კედელს მიანარცხა, აფთარივით ყელში წვდა მესამესაც, მაგრამ ეანმეორებითმა ავტომატის ჯერმა ხელები ჰაერშივე ეაუყინა და ლომივით მბრდღვინავი ეაჟკაცი იატაკზე დაენარცხა...

ვაიმე, შვილო!—აღმოხდა მხოლოდ ეაწამებულ, ეონწასულ დედას. ეარეწრებმა ველური ხორხოცით თვალი მოავლეს თავიანთ ნამოქმედარს...იქვე ეონწასულ დედასაც დაუმიზნეს ავტომატი, მაგრამ ცოცხლად უფრო დაიტანჯებაო და ისევ დახოცილთა დანებით დასახიჩრებას შეუდგნენ.

ცხვირ-პირ დასისხლიანებული მძარცველები ეამოლასლასდნენ ეარეთ. ერთხელ კიდევ თვალი მოავლეს იქაურობას და მათი ლანდები ღამის სიბნელემ შთანთქა...

ტრაგედიის ფარდა დაეშვა, თითქოს ყველაფერი დადუმდა, ჩაჩუმდა...

რამდენიმე ხნის შემდეგ ფეხაკრეფით შემოსულ მეზობლებს საზარელი სურათი დაუხვდათ. ჯერ კიდევ თბილ, შედედებულ სისხლში ამოსვრილ ქმარ-შვილს თითქოს მიეშველაო, გაშლილი ხელებით ეადაფარებოდა ქანცგაცლილი შინო და ეულამოსკვნილი, ცრემლგამშრალი ერთიდაიგივეს კვნესოდა—მეზობლებო, ნუ შემოხვალთ, არ დაეინდობენ...

უღვთოთ დახოცილთა ღიად დარჩენილი ჩაღამებული თვალებიდან მხოლოდ ერთი და იგივე სიტყვები შეიძლებოდა ამოეკითხა.

—უდანაშაულო ვართ ღმერთმანი! ადამიანებო, წერტილი დაუსვით ადამიანთა ეაველურებას!...

ვინ იყვნენ მამა და შვილი კვარცხალაიები?

ლეონტი ეგნატეს ძე კვარცხალაია დაიბადა სოფელ ნაბაკევში 1928

წელს. მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება. 50-იანი წლებიდან მუდმივ საცხოვრებლად გადმოვიდა ქ. ვალში. სიყრმიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ეწეოდა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, დაჯილდოებული იყო შესანიშნავი ხმით და იყო უზადო მომღერალი.

დარჩა მეუღლე—შინო აკაკის ასული, დიასახლისი, კეთილი, მეოჯახე და აღმზრდელი; ასევე შვილები ხათუნა და კანდიდი, შვილიშვილები—ელდარი და ენვერი.

კოლა (ნიკოლოზ) ლეონტის ძე კვარცხალია დაიბადა ქ. ვალში 1949 წელს. მიიღო საშუალო სპეციალური განათლება, წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად მუშაობდა პროფესიული განათლების სისტემასა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში.

დარჩა მეუღლე—ანია პავლეს ასული და ორი მცირეწლოვანი ბაეშვი.

მამა-შვილი კოლა და ლეონტი ვამოირჩეოდნენ თავაზიანობით, კაცთმოყვარეობით, იშრომეს, იღვაწეს და საბოლოოდ უსასტიკესი წამებით ვანერიდნენ სააქაოს და შეუერთდნენ მარადისობას.

არდაეიწყება მათ სახელს!

ნუცა კერესელიძე

1993 წლის 5 ოქტომბერს ქალაქის უბანში მომხდურთა მიერ სროლები არ შეწყვეტილა. კანტიკუნტად დარჩენილი ადამიანები თავშესაფარში ვარბოდნენ, ქუჩაში ვასვლას ვერავინ ბედავდა.

თითქოს ყოველივე მიწყნარდა, რამდენიმე წუთით მდუმარებამ დაისადგურა, დროებითი სიჩუმე უსაფრთხოების ნიშნად ჩათვალა და გარეთ ვამოვიდა მეზობლის მოსაძებნად ქალბატონი ნუცა და ეს ვამოსვლა საბედისწერო აღმოჩნდა. სრულიად უდანაშაულო სანდომიანი ქალი ვარეწარის მიერ შორიდან ვასროლილი ტყვიით ვულგანგმირული კუნძივით დაეორდა მიწაზე.

რატომ? რისთვის?—.. ვანმკითხავი არავინ ყოფილა.

მეორე დღის ბოლომდე ვერ შეძლეს ახლობლებმა მიცვალებულის ვაპატიოსნება; დაკრძალეს საკუთარ ეზოში.

ნუცა გერმანეს ასული კერესელიძე დაიბადა 1930 წელს ქ. ვალში, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე შეუდგა შრომით საქმიანობას ვალის რაიდამზადების კანტორაში, უკანასკნელ წლებში კი კეთილსინდისიერად საქმიანობდა საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში.

ნუცამ შრომით კოლექტივში დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, მისი ფოტოსურათი წლების ვანმავლობაში ამშვენებდა შრომითი დიდების სტენდებს, მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები. მან ბავშვობიდანვე იწვნია მრავალი უბედურება. ტრავიკულად დაეღუპა ერთადერთი ძმა, მოულოდნელად ხელიდან ვამოეცალა 12 წლის ვოვონა, მწუხარებას უდროოდ ვადაჰყვნენ ვულდათუთქული მშობლები, მაგრამ

სულიერად მაინც არ დაცემულა, მებრძოლი ქართველი ქალის სახელი ბოლომდე უმწიკვლოდ ატარა.

ოჯახში დარჩა გულკეთილი, მოსიყვარულე მეუღლე—კოკი ფირცხელაშვილი და 18 წლის ჭაბუკი მამუკა.

ასე ტრაგიკულად დასრულდა ქალბატონ ნუცას ისედაც გაუხარელი სიცოცხლე და დარჩა კეთილი მოგონებები სამარადისოდ.

ვერა ბელქანია

საოჯახო საქმეებით ეართული ქალი მეუღლის დაბრუნებას ელოდებოდა. ამ დროს მის ეზოში (ქ. ეალი, ნინოშვილის ქ. №13) ოთხი კარის მეზობელი შემოვიდა. ქალმა ხელსაქმეს დროებით თავი დაანება და შესაეებებლად ეაემართა. ორი ნაბიჯიც არ ჰქონდა ეადადგმული, რომ მისთვის ყველაფერი ნათელი ეახდა: მეზობლები თავიანთი ნებით კი არ მოდიოდნენ მასთან სტუმრად, არამედ ისინი წინ გაეგდოთ და ისე მოერეკებოდნენ თავით-ფეხებამდე შეიარაღებული ბანდიტები. დიასახლისს ოქრო მოსთხოვეს, რაკი ვერ მიიღეს, იქვე მიახვრიტეს ვერა ჩონჩორიას ასული კვარაცხელია-ბელქანია. მასთან ერთად დაცხრილეს მისი მეზობლები: არდაშელ ნანავა, ნოდარ ფაცურია, ეაჟა ხუფენია.

ვერა ჩონჩორის ასული კვარაცხელია-ბელქანია დაიბადა 1924 წელს სოფელ რეფში. მეუღლესთან—საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მუშა ალექსანდრე (შურა) ქუთას ძე ბელქანიასთან ერთად, მას ქალაქ გალში უხდებოდა ცხოვრება. კარგი დიასახლისის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ეამრჯე ცოლ-ქმარმა სამი ეაჟკაცი აღუზარდა ქვეყანას, მათეან ორი უმაღლესი ეანათლებითაა.

ეარდაცელილს ოთხი შვილიშვილი დარჩა, რომელთა შორის ზოეიერთს ახლაც არა სჯერა საყვარელი ბებიას სიკედილი.

მარადიული ხსოვნა მის სახელს!



ნადია კოკაია

ნადია თევდორეს ასული კოკაია დაიბადა 1926 წელს სოფელ ცხიროგალში. 1959 წელს ეათხოვდა და მუდმივ საცხოვრებლად ქალაქ ეალში გადავიდა.

მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება, შრომის ფერხულში ადრეული ასაკიდან ჩაება. მის ლამაზ ბიოგრაფიაში განსაკუთრებით შთამბეჭდავი ფურცელი ჩაიწერა მზიურის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობის პერიოდში. მის მონდომებასა და შრომისმოყვარეობას ჩინებულად ერწყმოდა არაჩვეულებრივი ერუდიცია და მეცნიერულ რანგამდე აყვანილი კვალიფიციური შრომა. სწორედ ამიტომ აფასებდნენ და უყვარდათ მშობლიურ შრომით კოლექტივში. ამის ოფიციალური აღიარება იყო მრავალი ჯილდო და სხვა სახის წახალისებანი.

რაოდენ დასანანია, რომ სიცოცხლესა და შრომას აერერიგად მოწყურებული ადამიანი უდროოდ გამოეეცალა ხელიდან. ეს 1993 წლის 4 ოქტომბერს მოხდა. ამ უკუღმართ დღეს ნადია კოკაია თავის მეუღლესთან ირიდიონ კოკაიასთან ერთად აფხაზ სეპარატისტთა თვითნებობას ემსხვერპლა.

უდიდესი მწუხარება დაატყდა თავს ამ სახელოვანი ადამიანების სამ შვილსა და რვა შვილიშვილს. იმედი გვრჩება, რომ **მადლიერი შთამომავლები ეხტაფეტასავით წინ წარიმძღვარებენ უსამართლობის მსხვერპლთა ნათელ ხსოვნას და თაობიდან თაობებს გადასცემენ მას.**

იროდიონ კოკაია

იროდიონ ევნატეს ძე კოკაია დაიბადა 1922 წელს სოფელ რეჩხოცხირში. 1959 წლიდან ქალაქ ვალში ცხოვრობდა.

საშუალო განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო, რის შემდეგ ფიზიკურ შრომას მიჰყო ხელი. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, იბრძოდა სხვადასხვა ფრონტებზე. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

1959 წლიდან სიცოცხლის თითქმის ბოლო დღეებამდე მზიურის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა იყო, კოლექტივში იცნობდნენ როგორც ენერგიულ და კეთილსინდისიერ მშრომელს. იყო ალალი და გულმართალი კაცი. სამი შვილისა და რვა შვილიშვილის მომავალზე ფიქრით ცხოვრობდა, მაგრამ მტრებმა არ დააცალეს. 1993 წლის 4 ოქტომბერს აფხაზ ექსტრემისტთა ტყვიამ სიცოცხლეს გამოასალმა; სიცოცხლეს, რომელსაც მთელი სულითა და გულით შეჰხაროდა. მასთან ერთად დახვრიტეს მისი ერთგული მეუღლე ნადია თეოდორეს ასული კოკაია.

სანთელ-საკმეველი ეზას არ დაკარგავსო, ნათქვამია. გაივლის წლები, ქვეყნის სასიკეთოდ ჩაყრილი თესლი საღად აღმოცენდება და სიმართლის ხეც უცილობლად გაიხარებს.

ეს იქნება ზეიმი უკვდავებისა, რომელშიც იროდიონ კოკაიასა და მისებრ გულადი სხვა ვაჟკაცების უდროოდ დაფერფლილი სიცოცხლე უნდა გადავიდეს.

შაქრო კვარაცხელია

შაქრო სანდროს ძე კვარაცხელია დაიბადა 1938 წელს ქალაქ გალში. პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ხელოსნად დაიწყო მუშაობა ვალის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში.

პარალელურად მიიღო უმაღლესი განათლება––დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი.

მუშაობდა ხე-ტყის დამმუშავებელ კომბინატში, „კოლხეთმშენში", „ენგურჰესმშენის" სამმართველოში ინჟინრად, პოლოს —ენგურჰესის კასკადში.

შ.ს. კვარაცხელიას იცნობდნენ როგორც ერუდირებულ სპეციალისტს, ენერგიულსა და დაუზარელ მუშაკს, უღალატო ამხანაგსა და მეგობარს. უყვარდათ და პატივს სცემდნენ ყველა კოლექტივში, სადაც კი უმუშავნია.

ბევრი გეგმა ჰქონდა, მაგრამ არ დასცალდა. მომხდურებმა მოკლეს საკუთარ სახლში 1993 წლის 3 ოქტომბერს. შვილის სიკვდილს თან გადაჰყვა დედამისი––სონია თეიმურაზის ასული კუპრავა-კვარაცხელია.

დარჩა მეუღლე, შვილები და შვილიშვილები, სამი და, რომლებიც წმინდად ინახავენ უდროოდ დაღუპული ვაჟკაცის ნათელ ხსოვნას.

რევაზ კეშელავა

რევაზ ხევერიანის ძე კეშელავა დაიბადა 1941 წელს ქალაქ ვალში. 1958 წელს დაამთავრა ქალაქის №1 საშუალო სკოლა. მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. არმიის რიგებიდან დაბრუნების შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. თბილისის ვაზის აპარატებისა და ხელსაწყოების ტექნიკუმში.

1965 წლიდან 1992 წლის სექტემბრამდე მუშაობდა „ვალიგაზის" კანტორაში უფროს ტექნიკოსად. ითვლებოდა უმაღლესი კლასის სპეციალისტად. იყო კეთილი და პატიოსანი, დიდი სიყვარულით სარგებლობდა კოლექტივსა და მეგობრებში.

ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

1993 წლის 5 დეკემბერს რევაზ კეშელავა შეიარაღებული ბანდიტების მსხვერპლი ვახდა.

დიდება მის სახელს!



გენო ლაკირბაია

გენო პროკოფის ძე ლაკირბაია 1931 წელს დაიბადა. მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება. ჩამოყალიბების დღიდან მუშაობდა ვალის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლად.

პატიოსანი, მუყაითი, კეთილი და ამხანაგ-მეგობრების ვამტანი—ასე იცნობდნენ გენო ლაკირბაიას. სწორედ ამიტომ უყვარდათ და პატივს სცემდნენ კოლექტივში.

1993 წლის 1 ოქტომბერი საბედისწერო დღე გამოდგა ამ კეთილშობილი ადამიანისათვის. სწორედ ამ დღეს ჩაესვენა გენო ლაკირბაიას მზე. სახლში მიუვარდნენ აფხაზი ბოევიკები და ვერაგულად დახვრიტეს გენო და მისი საყვარელი ძმისშვილი ხვიჩა ლაკირბაია.

ოჯახში დარჩენილი მეუღლე, ორი ვაჟიშვილი და შვილიშვილები სამუდამოდ შეინახავენ გენოს ნათელ ხსოვნას.



ხვიჩა ლაკირბაია

ხვიჩა გიორგიზ ძე ლაკირბაია 1952 წელს დაიბადა. მხოლოდ 42 წლისა იყო, წუთისოფელი რომ დაატოვებინეს. დარჩა დედა, მეუღლე და სამი შვილი.

ენერგიით აღსავსე ხვიჩას ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო. ოცნებობდა იმ დღეზე, როცა შვილები წამოიზრდებოდნენ და გვერდში ამოუდგებოდნენ.

ვერ მოესწრო ამ დღეს. 1993 წლის 1 ოქტომბერს მტრის მსახვრალმა ხელმა სიცოცხლე მოუსპო უმაღლესი განათლების მქონე შესანიშნავ ახალგაზრდას.

ხვიჩა ლაკირბაიას ნათელ ხსოვნას სხვებთან ერთად წმინდად შეინახავენ გალის ყოფილი და ამჟამად ნაცარტუტად ქცეული თევზსაშრობი ქარხნის თანამშრომლები, ქარხნისა, სადაც უდანაშაულოდ დაღუპულ ახალგაზრდას წლების განმავლობაში უხდებოდა მუშაობა.

ციალა ლოსაბერიძე

ციალა ამბაკოს ასული ლოსაბერიძე-გაბედავა 1938 წლის 15 იანვარს დაიბადა. ივი ვალში იყო ვამოთხოვილი და თავისი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი ამ ქალაქში ვაატარა. ჩინებული დიასახლისი და სათნო გულის ქალი—ასე იცნობდნენ მას მელიქიშვილის ქუჩის მცხოვრებლები. შრომა-ვარჯა უყვარდა და მთელ თავის ენერგიასაც ოჯახზე მზრუნველობას ახმარდა.

ორი წლის წინათ დაქვრივდა. შვილსა და შვილიშვილს შეჰხაროდა. მზე მათზე ამოსდიოდა, ხშირად იტყოდა ხოლმე, ამ ბავშვების დაზრდას მომასწროო. სამწუხაროდ, ამ დღეს ვერ მოესწრო: მტრის ტყვიამ მოუსწრაფა ლამაზი სიცოცხლე.

გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა, როგორც ვადმოგვცემენ, 1993 წლის 15 ოქტომბერს უნდა იყოს მოკლული. მისი სიკვდილის ამბავი იმხანად ქუჩაზე აქა-იქ დარჩენილმა მეზობლებმა რამდენიმე დღის შემდეგ გაიგეს. ხმა დაირხა, სახლში მკვდარია და ნახეთო (ამ ხმის გავრცელებას უკვე გაძარცული სახლის გასაძარცვავად მოსულ სხვა მოროდიორებს მიაწერენ). რომ შეამოწმეს, სახლში, მართლაც, აღმოჩნდა ქალის გახრწნადაწყებული გვამი.

კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე შეეწირა აფხაზ სეპარატისტთა მიერ რაიონის თავზე დატეხილ ტრაგედიას. დარჩენილი შვილი და შვილიშვილები არასდროს დაივიწყებენ საყვარელი დედისა და ბებიის ნათელ ხსოვნას.

რუსლან ლუკავა

დილით ადრე ამდვარმა ეზოში ჩაირბინა, ონკანის წყალი მოუშვა და ხელ-პირი სასწრაფოდ დაიბანა. ნაუცბადევად ისაუზმა და წასვლა დააპირა, უეცრად უკან მოიხედა და სახლი შეათვალიერა.

რა იცოდა მაშინ რუსლან ვაჟას ძე ლუკავამ, რომ ეს იყო უკანასკნელი ვამოსათხოვარი მზერა, რა იცოდა მაშინ, რომ უკან ცოცხლად დაბრუნება არ ეწერა. იგი 1994 წლის 7 იანვარს მოკლეს.

რუსლან ვაჟას ძე ლუკავა დაიბადა 1966 წელს ქალაქ ვალში, მოსამსახურის ოჯახში. არასრული ვანათლების მიღების შემდეგ შევიდა ვალის № 102 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც 1985 წელს დაამთავრა. მუშაობდა „კოლხეთმშენის“ რაიონულ განყოფილებაში მუშად. მუყაითი შრომით სახელი და ავტორიტეტი მოიხვეჭა.

მას უნდა ეცოცხლა და სასარგებლო საქმე ეკეთებინა. ცხოვრების ვეგმაც საკმაოდ ნათლად ჰქონდა მოხაზული, მაგრამ არ დასცალდა. სისხლისმსმელი ბანდიტის მსახვრალმა ხელმა დაატოვებინა მეუღლე და ორი ბავშვი.

წუთისოფელი დაატოვებინეს 28 წლის ვაჟკაცს, მარადისობას შეუერთდა მისი სახელი.



შოთა მებონია

შოთა მიხეილის ძე მებონია დაიბადა 1924 წელს სოფელ ეაგიდაში. ოტობაიის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ბარღების სოფლის მაღაზიის ეამგედ, აჩიგვარის სოფლის კოოპერატივში. ბოლო 25 წლის მანძილზე ეალის კოოპვაჭრობის მაცივარს ეანაეებდა.

ყველეან, სადაც კი უმუშაეია, შ. მ. მებონიას იცნობდნენ როეორც ენერგიულ მუშაკს, ეულკეთილ პიროვნებას, რისთვისაც ამხანაგ-მეეობართა დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.

მოკლულ იქნა 1994 წლის იანვარში თაეილონის ტერიტორიაზე, მდინარე ენეურის ეადასელის დროს. მშრომელ ადამიანს არ დასცალდა ენახა თაეისი ოჯახის ლტოლვილი წეერები, რომლებიც ზუგდიდის რაიონს აფარებდნენ თაეს.

შ.მ. მებონიას ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ყველა იმათ ეულში, ეინც მას იცნობდნენ.



ორდენ მოწაფია

ორდენ ანდროს ძე მოწაფია დაიბადა 1933 წელს სოფელ ზემო ბარღებში. მიღებული ჰქონდა შვიდწლიანი განათლება. 1953 წელს მუდმივ საცხოვრებლად გადმოვიდა ქალაქ გალში. ახალგაზრდობიდან თითქმის ბოლო დრომდე მუშაობდა გალის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში. იცნობდნენ როგორც ხელმარჯვე ოსტატს. მისი ნახელავით ყველა კმაყოფილი იყო. იყო კეთილი გულის, უღალატო ადამიანი, თავის საქმეზე ეგზომ შეყვარებული სპეციალისტი. მას შეეძლო თავისი ნახელავით კიდევ გაეხარებინა გალელი მომხმარებელი, მაგრამ არ დასცალდა. მუხთალმა ტყვიამ გული გაუგმირა სიცოცხლემოწყურებულ ვაჟკაცს. იგი მოკლეს 1993 წლის 3 ოქტომბერს საკუთარ სახლში.

აფხაზ სეპარატისტთა მიერ დათესილ ეროვნულ კონფლიქტს ემსხვერპლა კიდევ ერთი შესანიშნავი პიროვნება. მის სახელს ყოველთვის კეთილად მოიგონებენ მისი ახლობლები, ნაცნობ-მეგობრები.

ამირან მარღანია

ამირან გიორგის ძე მარღანია დაიბადა 1928 წელს სოფელ მზიურში. საშუალო ეანათლების მიღებისთანავე ჩაება შრომის ფერხულში. ჯერ ფიზიკურად შრომობდა, შემდეგ კი მძღოლად დაიწყო მუშობა. ამ საყვარელ პროფესიას სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა.

არ ყოფილა შემთხვევა ა. მარღანიას თავისი მუშაობის მანძილზე თუნდაც ერთი შენიშვნა მიეღოს. მუშაობდა მთელი მონდომებით, საქმის სიყვარულით. იცოდა ამხანაგისა და მეგობრის ფასი და თვითონაც ამ მხრივ სანიმუშო მაგალითს იძლეოდა. ამ თვისებებისათვის უყვარდათ და პატივს სცემდნენ მთელს კოლექტივში.

მას ჯერ კიდევ შეეძლო ბევრი კეთილი სამსახური გაეწია მშობლიური კუთხისათვის, მაგრამ არ დასცალდა, ემსხვერპლა აფხაზურ-ქართულ კონფლიქტს. იგი ვერაგულად მოკლეს 1993 წლის 1 ოქტომბერს.

დარჩა მეუღლე და შვილები.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ადამიანი, რომელმაც თავისი საქმიანობით ცხოვრების ეზაზე კეთილი კვალი დატოვა. მისი სახე და სახელი არ ამოიშლება იმათ მეხსიერებიდან, ვინც მას იცნობდა.



ნოდარ ნანავა

1994 წლის 8 თებერვლის დილა თენდებოდა, **ნოდარ ლევანის ძე ნანავა** ჩვეულებრივ ადრე ადგა, რომ „წვრილმანი“ ოჯახური სამეურნეო ამბები მოეგვარებინა. უეცრად სამხედრო ფორმაში ვამოწყობილი დაუპატიჟებელი სტუმრები წაადგნენ.

––ვამოვვყევი!––უბრძანეს ვაოფლილ ნოდარს. რა ექნა, ავტომატიანებისათვის წინააღმდეგობა უნდა ვაეწია ბარის ამარა კაცს? გაჰყვა. მესამე დღეს კი იპოვეს მკვდარი––მუცელვამოფატრული, ხელებმომტვრეული და თავვაჭყლეტილი.

აი, რა „ნობათი“ მოუტანა მზიურელ მშრომელ კაცს „პარტიზანებისაგან' გაწმენდის“ საბაბით სოფელში ჩაყენებული ეგზეკუციის პარპაშმა და თავაშვებულობამ.

დ. ლ. ნანავა დაიბადა 1933 წელს სოფელ რეჩხო-ცხირში. მიღებული ჰქონდა არასრული საშუალო ვანათლება. მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1967 წელს საცხოვრებლად ვადავიდა ქ. ვალში, ხოლო 1997 წელს––სოფელ მზიურში. მუშაობდა სხვადასხვა საწარმოში ფიზიკურად და ამით თავის მრავალრიცხოვან ოჯახს არჩენდა.

სხვისი ლხინისა და ჭირის ვამზიარებელი, უღალატო, ალალი კაცი––ასე იცნობდნენ ნოდარ ნანავას. ასეთივე დარჩება ივი მეუღლის, უმამოდ დარჩენილი ოთხი შვილის, მადლიერი მეზობლებისა და ნაცნობ-მეგობართა ხსოვნაში.

არდაშელ ნანავა

არდაშელ ელიზბარის ძე ნანავას ეულად კაცად იცნობდნენ და უბრალოდ თავსაც არავის დაარავერინებდა. მაგრამ, ნათქვამია, ძალა აღმართს ხნავს. შეიარაღებული ბანდიტებისათვის უიარაღო კაცს რა წინააღმდეგობა უნდა ვაეწია. სამ სხვა მეზობელთან ერთად ისიც ერთი ჯერით დაცხრილეს.

ერთ წუთში ოთხი კაცი ვაისტუმრეს საიქიოს. ეს მხოლოდ ადამიანის მსვავს მხეცებს შეეძლო ვაეკეთებინა.

არდაშელ ელიზბარის ძე ნანავა 1927 წელს დაიბადა სოფელ ღუმურიშში. მიღებული ჰქონდა არასრული საშუალო განათლება. 1948 წელს ქალაქ ვალში გადმოვიდა მუდმივ საცხოვრებლად. მუშაობდა მახუნჯიის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში მუშად. ენერგიული მშრომელი ვახლდათ და თავისი ოფლით მონავარი პურით ოჯახსაც იოლად არჩენდა, სხვისი „ბევრი" თვალს არ უბრმაებდა და თავისი ალალი შრომის ნაყოფით კმაყოფილს მზე და მთვარე უკვე მოსწრებულ შვილებზე ამოსდიოდა. ამ თვისებათა გამო ამხანაგებსაც უყვარდათ და მეზობლებსაც დიდ პატივში ჰყავდათ. კეთილშობილსა და ვაჭირვებულის თანადგომს საოცრად თბილი და უსაზღვროდ მოსიყვარულე გული ჰქონდა.

ვაგლახ, რომ ეს გული უკვე აღარ ძგერს. ყველას დააკლდა ვაჟკაცობაში, ნათესაობაში, მეეობრობაში ვამორჩეული ვაჟკაცი. ასეთი კაცის ხსოვნა მარად უკვდავია.



კოკი ოყუჯავა

კოკი აგრენტის ძე ოყუჯავა დაიბადა 1939 წელს სოფელ ოტობაიაში. მიღებული ჰქონდა საშუალო ეანათლება. ბოლო პერიოდში ქალაქ გალში ცხოვრობდა.

წლების ეანმაელობაში სათავეში ედგა ხუმუშქურის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთ ბრიგადას, რომელიც უნარიანი ხელმძღვანელის ხელში სულ ახალ-ახალ წარმატებებს აღწევდა. ბრიგადა ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებდა ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის სახელმწიფო გეგმებს. კ. ოყუჯავა ცოდნითა და მონდომებული მუშაობით დიდ პატივისცემას იმსახურებდა. ბევრჯერ მიუღია მეურნეობის ხელმძღვანელთა მადლობები, სხვა წახალისებანი.

მოკლეს 1993 წლის 1 ოქტომბერს აფხაზმა სეპარატისტებმა.

წაეიდა ჩვენგან ადამიანი, რომელმაც უაღრესად კეთილი კვალი დაგეიტოვა.



ᲒᲝᲒᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲘᲐ

გოგი (ცხვებე) ვალერიანის ძე პატარაია დაიბადა 1952 წელს ქ. ვალში, ვლეხის ოჯახში, მშობლები ადრე გარდაეცვალნენ და ვაიზარდა ობლობაში. საშუალო ვანათლება სოფელ საბერიოში მიიღო. უმაღლესში სწავლაზე არც უფიქრია ცუდი ოჯახური პირობების ვამო. შეისწავლა მძღოლის პროფესია და ვალის სატვირთო ავტოსაწარმოში დაიწყო მუშაობა.

შრომისმოყვარე ახალვაზრდამ კარგად ააწყო ოჯახური საქმეები. იეი შეჰხაროდა ხუთი წლის ვოვონას, რომლის მომავალზე ფიქრიც მუდამ თან სდევდა, დიახ, ვოვის ჯერ მრავალი პრობლემა ჰქონდა ვადასაწყვეტი, მაგრამ მოძალადეებმა ამის საშუალლება არ მისცეს. 1993 წლის 3 ოქტომბერს უდანაშაულო ახალვაზრდა მისსავე სახლში სიცოცხლეს ვამოასალმეს. ეს ტრაგედია მოხდა ქ. ვალში, წალენჯიხის ქუჩაზე, დაახლოებით საღამოს 5 საათზე. იმავე საღამოს ღვიძლმა ძმამ მოკლულის ნეშტი საკუთარ ეზოში მიწას მიაბარა.

კიდევ ერთი სიცოცხლე შეიწირა უსამართლობამ, მაგრამ დარჩა კაცური კაცის მიერ ვანვლილი ცხოვრების ნათელი კვალი.

ნინო სიგუა

ნინო კელურას ასული სიგუა დაიბადა 1906 წელს სოფელ თაგილონში. საშუალო განათლება ქ. ზუგდიდში მიიღო. თბილისის საფინანსო-ეკონომიკური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ინვირის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობაში. თითქმის სამოცი წელი იმუშავა ამ მეურნეობის მოლარე-მოანგარიშედ.

ქალბატონი ნინო დიდი ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდა თავის კოლექტივსა და მეზობრებში. იყო უაღრესად თავმდაბალი, ეულკეთილი პიროვნება.

დამსახურებულ პენსიაზე გავიდა 1985 წელს. 1993 წლის 11 ნოემბერს ნ. კ. სიგუა თავისსავე სახლში მხეცურად იქნა მოკლული ბანდიტი მკვლელის მიერ თავის დასთან და ძმასთან ერთად.

არსენ სიგუა

არსენა (ლუბერი) კელურას ძე სიგუა დაიბადა 1917 წელს სოფელ თაკილონში.

არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მშობლიურ სოფელში. სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ეაწვეული იქნა საბჭოთა არმიის რიგებში. დემობილიზაციით დაბრუნდა 1945 წელს და მაშინათვე მუშაობა დაიწყო რკინიგზაზე. ბოლო წლებში, დამსახურებულ პენსიაზე ეასელის მიუხედავად, მუშაობდა მზიურის მეციტრუსეობის საზოვადოებრივ მურნეობაში სახელმწიფო ქონების დაცვაზე.

იყო უაღრესად კეთილი, უმწიკვლო და პატიოსანი, თავის კოლქტივში, მეეობარ-ნათესავებსა და მეზობლებში დამსახურებული აეტრიტეტით სარგებლობდა. დარჩა მეუღლე, სამი შვილი, ექვსი შვილიშვილი და ერთი ბადიში.

1993 წლის 11 ნოემბერს თაეის ორ დასთან ერთად მხეცურად იქნა მოკლული შეიარაღებული ბანდიტების მიერ.

ვერა სიგუა

ვერა კელურას ასული სიგუა დაიბადა 1920 წელს სოფელ თაგილონში. მშობლიური სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ვანაგრძო გალის საშუალო სკოლაში, რომელიც 1940 წელს დაასრულა.

იმავე წელს მუშაობას იწყებს თაგილონის არასრულ საშუალო სკოლაში უფროს პიონერთხელმძღვანელად, შემდეგ—დაწყებითი კლასის მასწავლებლად. სამუშაოს მოუწყვეტლად 1947 წელს ამთავრებს ქუთაისის პედაგოგიურ სასწავლებელს. 1995 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე მუშაობდა ქ. გალის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებლად.

ვ. კ. სიგუა იყო უაღრესად კეთილი, პატიოსანი, უმწიკვლო, თავის საქმეზე თავდავიწყებით შეყვარებული მუშაკი, კარგი მეგობარი. მან თავისი სიცოცხლე შეალია მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა კოლექტივისა და საზოგადოების წინაშე.

1993 წლის 11 ნოემბერს ვ. კ. სიგუა მის დასთან და ძმასთან ერთად მხეცურად იქნა მოკლული ბანდიტი მკვლელების მიერ მისსავე საცხოვრებელ სახლში.

სევერ სოსელია

ომი იმიტომ არის ომი, რომ ივი მსხვერპლის შერჩევაში ვანსაკუთრებულ „წუნიაობას“ არ იჩენს: ერთნაირად იწირავს როგორც ახალგაზრდის, ისე მოხუცის სიცოცხლეს. აბა, რა ადამინობა უნდა მოეთხოვოს იმ ბანდიტ არაკაცს, რომელმაც 76 წლის მოხუცზე იარაღის აღმართვა სათაკილოდ არ მიიჩნია!

სევერ კაჯას ძე სოსელია 1918 წელს დაიბადა სოფელ საბერიოში. დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა, რის შემდეგ მძღოლის პროფესიას დაეუფლა. მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციაში, ბოლო დროს კი ვალის რაიმილიციის მძღოლი იყო. საყვარელი პროფესიისათვის არც მტრის შემოსვლის შემდეგ უღალატნია. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ის მილიციონერადაც მუშაობდა და მძღოლის მოვალეობასაც ასრულებდა. სწორედ ამ დროს მოკლეს ბანდიტებმა მის მეუღლესთან ერთად. როგორც წინასწარმა ძიებამ ცხადყო, იარაღის დაუფლების მიზნით.

ყველას გული დასწყვიტა ამ პატიოსანი კაცის ვერაგულმა სიკვდილმა. რაიონში არ არის ადამიანი, რომელიც სევერ სოსელიას არ იცნობდა და მის ნათელ ხსოვნას გულით არ ატარებდეს.

გურამ სოსელია

გურამ ვლადიმერის ძე სოსელია დაიბადა 1956 წელს სოფელ ხუმუშქურში, 1974 წელს დაამთავრა მზიურის საშუალო სკოლა.

სამი წელი იმსახურა საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებში. იყო მეზღვაური.

დემობილიზაციის შემდეგ დაეუფლა მძღოლის პროფესიას, ჯერ მუშაობდა სატვირთო მანქანაზე, შემდეგ კი—ავტობუსის მძღოლად ვალის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოში. კოლექტივში იცნობდნენ როგორც გულკეთილ და შრომისმოყვარე ახალგაზრდას. სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით.

ჯერ დაუქორწინებელი იყო. ცხოვრობდა მარტოდმარტო ქალაქ ვალში მაიაკოვსკის ქუჩაზე. ოცნებობდა იმ დღეზე, როცა დაწყებული სახლის მშენებლობას დაამთავრებდა და ოჯახს მოეკიდებოდა. არ დასცალდა. მოკლეს 1995 წლის 18 იანვარს ღამით, როცა კარის მეზობლის სახლიდან შინ ბრუნდებოდა. რას იფიქრებდა, რომ მისსავე ეზოში მკვლელი ჩაუსაფრდებოდა და სიცოცხლეს გამოასალმებდა.

წავიდა ჩვენგან ძალღონით სავსე ახალგაზრდა. წავიდა და თან ეაჰყვა ვანუხორციელებელი ოცნებანი. ახლობელ-ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები მარად შეინახავენ მის ხსოვნას.

ვენედი ტორუა

ვენედი დომენტის ძე ტორუა დაიბადა 1947 წელს ქალაქ ეალში. მიღებული ჰქონდა საშუალო სპეციალური ეანათლება. მუშაობდა ქალაქის კოოპერატივში.

იყო მეტად ერუდირებული სპეციალისტი. მინდობილ საქმეს დროულად და კეთილსინდისიერად ასრულებდა. ამის გამო პატივს სცემდნენ და უყვარდათ მრავალრიცხოვან კოლექტივში. ჯერ მხოლოდ 47 წლის იყო. კიდევ დიდხანს შეეძლო ეცხოვრა და ემუშავა, ეკეთებინა საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმე.

საუბედუროდ, არ დასცალდა, მტრის ნასროლმა ტყვიამ სიცოცხლე მოუსწრაფა ჯერ კიდევ ჯანღონით აღსავსე ვაჟკაცს. ნაადრევმა სიკვდილმა დაამწუხრა მისი ოჯახი, სპეციალისტის ხელი დააკლდა იმ საქმეს, რომელსაც ივი მრავალი წლის ეანმავლობაში ემსახურებოდა.

დავკარგეთ კარგი ადამიანი, რომლის ნათელი ხსოვნა არასდროს არ ამოიშლება ჩვენი მეხსიერებიდან.

გულიკო ტაბაღუა

გულიკო დურუხ ძე ტაბაღუა დაიბადა 1929 წელს სოფელ ოტობაიაში. საშუალო ეანათლება მშობლიურ სოფელში მიიღო. 1948 წელს შევიდა და 1954 წელს დაამთავრა ქ. სოხუმის ა. მ. ეორკის სახელობის პედინსტიტუტის ფიზაღზრდის ფაკულტეტი.

მუშაობდა ჭუბურხინჯის ი. ეოვეებაშვილის სახელობის საშუალო სკოლაში ფიზაღზრდის მასწაელებლად, 1964 წლიდან კი ამაეე საეანს ასწაელიდა მზიურის საშუალო სკოლაში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დაჰყო.

ე. დ. ტაბაღუას კოლექტივში იცნობდნენ როეორც ენერეიულ და კეთილსინდისიერ მუშაკს, უღალატო ამხანაეს, რისთვისაც უყვარდათ და პატივს სცემდნენ. სარეებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით.

ეარდაიცვალა 1994 წლის იანვარში აფხაზი ექსტრემისტების მიერ მიყენებული ჭრილობისაეან.

ე. დ. ტაბაღუას ნათელი ხსოვნა დიდხანს არ ამოიშლება ყველა იმათი მეხსიერებიდან, რომლებთანაც კი მას სამსახურებრივი თუ მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა.

ეთერ (გვანჯი) უზარაშვილი

ეთერ ლევარსას ძე უზარაშვილი დაიბადა 1940 წელს სოფელ რეფში. მამა დიდ სამამულო ომში დაეღუპა, რის შემდეგაც ობლად იზრდებოდა. საშუალო ვანათლება მშობლიურ სოფელში მიიღო. არმიაში ვაწვეევამდე პურსაცხობში მუშაობდა ბრიგადირად. დემობილიზაციის შემდეგ ვალის თეგზვადამამუშავებელ ქარხანაში დაიწყო მუშაობა მძღოლად. დამატებით დაეუფლა ხურო-მშენებლის პროფესიასაც.

ე. ლ. უზარაშვილს კოლექტივში იცნობდნენ როგორც ენერგიულ მუშაკს, სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს ე. ლ. უზარაშვილი ჩაირიცხა მაშველთა კორპუსის პირად შემადგენლობაში, რომელიც სოფელ პირველ ვალში იყო დაბანაკებული. დაიღუპა 1993 წლის 30 სექტემბერს საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს.

ე. ლ. უზარაშვილი პირველი ემსხვერპლა ვალის რაიონში მტრის შემოსვლას. მეუღლე, ექვსი ქალიშვილი და შვილიშვილები მუდამ წმინდად შეინახავენ უდანაშაულოდ დაღუპული ემირის ხსოვნას.

ვალერიან უბილავა

ვალერიან ტერენტის ძე უბილავა დაიბადა 1944 წელს სოფელ მზიურში.

1962 წელს დაამთავრა ქ. ვალის № 1 საშუალო სკოლა. სწავლის პარალელურად ფიზიკურად მუშაობდა მზიურის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში.

1963-1966 წლებში იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. მიღებული ჰქონდა სიგელები და მადლობები, მედალი.

1974 წელს წარჩინებით დაამთავრა პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ვალერიან უბილავა სხვადასხვა დროს მუშაობდა საბჭოთა მეურნეობის, პარტიის ვალის რაიკომის მძღოლად, „სოფტექნიკის“ ვალის რაიონული განყოფილების დისპეჩერ-მექანიკოსად, სამშენებლო ტრესტის გარაჟის გამგედ.

ყველგან, სადაც კი უმუშავია ვ. ტ. უბილავას, სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით. მას ბევრი რამის გაკეთება შეეძლო ოჯახისათვის, ხალხისათვის, მაგრამ მტერმა არ დააცალა. იგი უდანაშაულოდ იქნა მოკლული 1994 წლის 1 თებერვალს.

დარჩა დედა, მეუღლე, შვილები, რომლებიც მარად მოიგონებენ თვითნებობისა და უსამართლობის მსხვერპლის ნათელ ხსოვნას.

ნოდარ ფაცურია

ნოდარ თევდორეს ძე ფაცურია დაიბადა 1931 წელს სოფელ ოტობაიაში. საშუალო განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო, რის შემდეგ დაამთავრა სოხუმის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.

მუშაობდა სიდის მენაიოების საბჭოთა მეურნეობაში, ვალის ხე-ტყის ვადამამუშავებელ კომბინატში.

ნ. თ. ფაცურია იყო სოფლის მეურნეობის ერუდირებული სპეციალისტი, დაუზარელი და ენერგიული მუშაკი, თავდაბალი და უღალატო კაცი. ყველგან, სადაც კი უმუშავია, მას იცნობდნენ როგორც ამხანაგ-მეგობრებში გამორჩეულ ვაჟკაცს, რისთვისაც გარშემომყოფთა დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.

მოკლულ იქნა 1993 წლის 2 ოქტომბერს ოთხ სხვა თანამემამულესთან ერთად.

დარჩა დედა, ორი ქალიშვილი, და-ძმები, შვილიშვილები.

რამდენი განუხორციელებელი ვეგმა დარჩა ოთარ ფაცურიას. თავისიანებს ვამოაკლდა ადამიანი, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი სასარგებლო საქმე უნდა ეკეთებინა. წავიდა ჩვენგან და მწარე ტკივილი დაგვიტოვა. მისი ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს ნათესავ-ახლობლებისა და ამხანაგ-მეგობრების გულებში.

ხუტა ფირცხელავა

დაუჯერებელია, რომ იგი ჩვენს შორის აღარ იმყოფება. ყოველად კეთილი და უწყინარი, უაღრესად თავაზიანი, ზომიერი იუმორის გრძნობამომადლებული––ასე ვიცნობდით **ხუტა პავლეს ძე ფირცხელავას**.

იგი 1928 წელს დაიბადა ვალის რაიონის სოფელ მზიურში. 1949 წელს დაამთავრა ქ. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ქ. ვალის №1 საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად. მას შემდეგ ადგილი და თანამდებობა არ გამოუცვლია. მთელი თავისი სიცოცხლე და შეგნებული ცხოვრება ახალგაზრდა თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს შეალია.

ხუტა ფირცხელავა ერუდირებული, უაღრესად განსწავლული ფიზიკოსი გახლდათ. კოლექტივში მას თავისი საქმის აკადემიკოსს ეძახდნენ. მინიჭებული ჰქონდა აფხაზეთისა და საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდებები. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

სხვადასხვა დროს მიწვეული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამედიცინო ინსტიტუტში, სოხუმის პედაგოგიურ და ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში ფიზიკის საგამოცდო კომისიების წევრად. აქაც არაერთი მადლობა დაუმსახურებია საგნის ღრმა ცოდნისა და აბიტურიენტთა ცოდნის შეფასებისადმი ობიექტური მიდგომისათვის. მისი ფოტოსურათი ამშვენებდა საპატიო დაფას თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში.

და ეს კაცი, რომელსაც ჭიანჭველასათვისაც არ დაუდგამს არასდროს ფეხი, 1993 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ვერაგულად

მოკლეს მომხდურებმა. მოკლეს მისი კოლეგა **ვახტანგ ეპუხვართან** ერთად რატომ? რისთვის?—ეს საკითხი ჯერჯერობით ვამოცანად რჩება.

მართალია, არ არის ხუტა, მაგრამ მისი სიცოცხლე გრძელდება მისი კოლეგებისა და მრავალრიცხოვანი აღზრდილების გულებში.



გენადი ფაცურია

გენადი (გენო) იონას ძე ფაცურია დაიბადა 1932 წელს ქ. ვალში. ქალაქის № 1 საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს რეპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ღებულობს პოლიტექნიკურ განათლებას და ბრუნდება სამშობლოში ინჟინრის სპეციალობით. ჯერ მუშაობს ენგურჰესის ობიექტებზე, მერე კი––„კოლხიდმშენის“ სამმართველოში. ბოლო დროს ვალის ნავთობგასამართი ბაზის ინჟინერი იყო.

გ. ი. ფაცურია იყო პატიოსნებით აღსავსე, უაღრესად ნიჭიერი და ერუდირებული ადამიანი. იგი პასუხისმგებლობით და უდიდესი მომთხოვნელობით ეკიდებოდა მინდობილ საქმეს. კეთილ კვალს ტოვებდა ყველგან, სადაც კი უმუშავნია.

1993 წლის 5 ოქტომბერს გ. ი. ფაცურია აფხაზმა ბოევიკებმა გამოასალმეს სიცოცხლეს მხოლოდ იმის გამო, რომ მან სიტყვა „შეჰპედა“ მათ. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შეძლეს მეზობლებმა მისი დასაფლავება საკუთარ ეზოში.

ნათელი დაადგეს მის საფლავს!

შოთა ქუხილავა

შოთა იოსების ძე ქუხილავა 1924 წლის 24 მარტს დაიბადა სოფელ ნაბაკევში. არასრული საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე საბჭოთა არმიის რიგებში ვაიწვიეს. დემობილიზაციით დაბრუნდა 1945 წელს.

1946 წელს სწავლა ვანავრძო სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. მისი დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციაში. თითოეულ შრომით კოლექტივში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა.

1983 წელს ქ. ვალში გადასახლდა. აქაც მეზობელთა სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭა. იყო ცოლშვილიანი.

შ. ი. ქუხილავა ერთ-ერთი იმათგანია, რომლებიც 1993 წლის 12 დეკემბერს წამებით მოკლეს მომხდურმა მტრებმა.

რანო ქეცბაია

❖❖❖

რანო ლავრენტის ძე ქეცბაია დაიბადა 1934 წელს ქალაქ ვალში. მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება. უკანასკნელ დღემდე მუშაობდა ვალის ქალაქის კოოპერატივის სისტემაში.

მინდობილი საქმის სიყვარული, დახლის მუშაკისათვის ეგზომ აუცილებელი კეთილსინდისიერება და ტაქტიანობა, თავმდაბლობა და ყველასთან მეგობრული ურთიერთობა—აი, რა თვისებებით გამოირჩეოდა რანო ქეცბაია. ამის გამო უყვარდათ და პატივს სცემდნენ. მომხმარებელთა კულტურული მომსახურებისათვის არაერთხელ ყოფილა წახალისებული.

რაოდენ დასანანია, რომ ეს კაცი დღეს ჩვენს ვერდით აღარ ვეგულება. ივი ჯერ კიდევ 1993 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში მოკლეს, სახლში შეუვარდნენ შეიარაღებული ბანდიტები და არ დაინდეს. არავინ იცის, რატომ მოუსპეს სიცოცხლე პატიოსან ადამიანს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე და მოსწრება მხოლოდ სიკეთეს თესდა.

დარჩა დედა და შვილები, რომლებიც ლტოლვილობაში ყოფნის გამო უბედურ შემთხვევას არ დასწრებიან. მიცვალებული მეზობლებმა დაკრძალეს მისსავე ეზოში. მისი ნათელი ხსოვნა არ წაიშლება იმათ მეხსიერებაში, ვინც მას იცნობდა.

კომინე ქეცბაია

კომინე კირილეს ძე ქეცბაია ვალელი იყო. ცხოვრობდა ენგელსის ქუჩის № 33-ში.

იგი 1937 წელს დაიბადა. წლების განმავლობაში მუშაობდა „აბსოიუ-ზის“ მანქანის მძღოლად. იცნობდნენ როგორც საქმისმცოდნე და ენერ-გიულ მუშაკს.

საბედისწერო ვამოდგა კომინესათვის 1993 წლის 12 დეკემბერი. ამ დღეს, საღამოს 9 საათზე, შინ შეუვარდნენ მარადიორი ბანდიტები, სახლიდან ვაიყვანეს სრულიად უდანაშაულო კაცი და რკინიგზის ვა-დაღმა, მეღორეობის ფერმის უკან, ვერაგულად მოუსწრაფეს სიცოცხლე.

თავისიანებს ვამოაკლდა თავმდაბალი, პატიოსანი მშრომელი, მეოჯახე ადამიანი, რომლის ნათელ ხსოვნას წმინდად ინახავენ მისი მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.

ბაბუცა ბოხუა

ბაბუცა აქვსენტის ასული ქარჩავა-ბოხუა დაიბადა 1930 წელს სოფელ თაგილონში. დაამთავრა ნაბაკევის საშუალო სკოლა, შემდეგ კი, 1951 წელს—სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი, მუშაობდა მასწავლებლად ჯერ წებელდის დაწყებით სკოლაში, შემდეგ კი—თაგილონის რვაწლიან სკოლაში. 1954 წლიდან თაგილონის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე იყო.

1956 წელს ეათხოვებასთან დაკავშირებით მუდმივ საცხოვრებლად გადადის სოფელ ქვემო ბარღებში. აქაც აერძელებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას სოფლის რვაწლიან და საშუალო სკოლებში, სიცოცხლის ბოლო პერიოდში მუშაობდა სოხუმის საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკაში". ყველგან, სადაც კი მუშაობდა, საყოველთაო პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა.

ბ. ა. ქარჩავა-ბოხუა აფხაზ ექსტრემისტთა თვითნებობის მსხვერპლი გახდა. დარჩა მეუღლე, შვილები, შვილიშვილები.

უდანაშაულოდ დაღუპული ადამიანის ნათელ ხსოვნას სათუთად ინახავენ მისი ახლობლები და ნაცნობ-მეგობრები.

ევგენი ქობალია

უწყინარი, უჩინარი, თავმდაბალი, შრომისმოყვარე, ნიჭიერი, გულკეთილი, ერის კაცი... აი, ვინ იყო ევგენი ქობალია.

ყოველ ცისმარე სამუშაოდ მიდიოდა აჩქარებული ნაბიჯებით. ეევონებოდათ ფეხაკრებით მიდის, ვიღაცას უფრთხისო... გულში კი ფიქრობდა––ვინმეს ხელს ხომ არ ვუშლი, ვინმე შეუმჩნეველი არ დამრჩეს და მისალმება არ დამასწროსო...

იმ საბედისწერო დღეს, 1993 წლის 1 ოქტომბერს, დილით თავის მძახალთან ერთად ანვარიშმიუცემლად, თითქოს და უსაფრთხო ადგილას, მიდიოდა ჯერ კიდევ გაურკვეველი, მოსალოდნელი ტრაგედიის თავდასაღწევად, როცა საკუთარი სახლიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით ავტომატის ჯერით, ყოველგვარი შელაპარაკების გარეშე, მხეცივით დაცხრილეს ეს ბიბლიური სიდინჯის დარბაისელი კაცი.

რამდენიმე დღეს ქუჩაში ეგდო მისი სხეული, დამმარხავიც არავინ ჩანდა, ღვთისნიერმა ადამიანებმა ძლივს შეძლეს ფარულად მისი ვადარჩენილი ნეშტის თავის ეზოში მიწისათვის მიბარება.

სად არ უმუშავია. პირველ შრომით ნათლობას ზუგდიდის რაიკომში ეზიარა. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ზუგდიდის რაიონის ზედაეწერის 8-წლიანი სკოლის დირექტორად გაუშვეს, შემდეგ მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა, მუშაობდა აჩიგვარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმსა და გალის პირველ საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად. წლების განმავლობაში ხუმუშქურის 8-წლიან სკოლას ედგა სათავეში. ერთხანს გალის № 50 პროფტექნიკური სასწავლებლის პარტკომის მდივნად იმუშავა, ხოლო 1975 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ

დღემდე რეფის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ზუგდიდის რაიონში შექმნილი ეამანადგურებელი ბატალიონის პოლიტხელი ვახლდათ. აქტიურად მონაწილეობდა კავკასიის დაცვაში, „საპატიო ნიშნის“ ორდენი და 9 მედალი დაიმსახურა. სიცელებს და მადლობებს ხომ თვლაც არა აქვს.

ასეთია ევგენი ჰეპუს ძე ქობალიას სახელოვანი შრომითი გზა, ყველგან წარმატებები და ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ მიმართული უანგარო შრომის ოფიციალური აღიარება იყო მისი წილხვედრი.

შესანიშნავი ოჯახი ჰქონდა შექმნილი, შვილებითა და შვილიშვილებით დახუნძლული ცოლ-ქმარი—მაგლო და ევგენი ქობალიები ტკბილად იმკიდნენ თავიანთ მრავალწლიან ნაჯაფ-ნაოფლარს და რაოდენ გულსატკენია ასეთ დროს სიცოცხლეზე უკანასკნელი წერტილის დასმა, ისიც უკეთურის, გარეწარის, ვადამთიელის მიერ.

მარადიული ხსოვნა ევგენის უმწიკველო სახელს!

ლენგო ქარდავა

ლენგო ათანასეს ძე ქარდავა დაიბადა 1934 წელს სოფელ რეჩხოცხირში. მამა დიდ სამამულო ომში დაეღუპა.

ლენეოს საშუალო ეანათლება ჰქონდა მიღებული. მთელი თავისი შეენებული ცხოვრება ფიზიკურ შრომას შეალია. მუშაობდა მუშად ჯერ მზიურის, შემდეე კი მახუნჯიის მეციტრუსობის საბჭოთა მეურნეობაში. მთელი ამ ხნის ეანმავლობაში მას ეეერდით ედეა და ოჯახის რჩენაში ხელს აშველებდა მეუღლე—აირა ჭიკოს ასული ციკოლია. ეამრჯე მშობლებმა ორი ღირსეული შვილი აღუზარდეს დედა სამშობლოს.

ლენეო ქარდავას კოლექტივში, მეზობლებში იცნობდნენ როგორც ენერეიულ მშრომელს, პატიოსანსა და ეულკეთილ ადამიანს. ყველეან აფასებდნენ და პატივს სცემდნენ. ბევრჯერ ჰქონდა მიღებული პრემიები, ჯილდოები, სხვა წახალისებანი.

მას ჯერ კიდეე დიდხანს შეეძლო ეცოცხლა და ქეეყნის ხვაეი და ბარაქა ემრაველებინა, მაგრამ ჩასაფრებულმა მტერმა არ დააცალა. იეი 1993 წლის 13 ოქტომბერს მოკლეს აფხაზმა სეპარატისტებმა მისსავე ეზოში.

შთამომავლობას მარად ეხსომება უდანაშაულოდ დაღუპული ადამიანი.

კონდრატე ქარდავა

მთელი დღე და მოსწრება ფუტკარივით შრომობდა. სახლიც კარვი აიშენა და ეზოც წალკოტს დაამსგავსა. თავისი ოჯახის მომავალზე ფიქრში ათენ-აღამებდა, ბადინტებმა სამერმისო ნაცარტუტად უქციეს. 1993 წლის ოქტომბერში ჯერ სახლი დაუწვეს, შემდეგ თვითონაც მოკლეს, კეთილმა მეზობლებმა ღორების საჯიჯგნად არ დატოვეს და ეზოშივე მიწას მიაბარეს. არც ყვავილები და არც დევნილობაში მყოფი ცოლ-შვილის ცრემლები ღირსებია. ასე უეცრად გაქრა მისი სიცოცხლე.

კონდრატე ჩახან ძე ქარდავა 1920 წელს დაიბადა სოფელ მზიურში (მახუნჯიაში). საშუალო განათლების მიღების შემდეგ შრომის ფერხულში ჩაება. მუშაობდა მძღოლად სახანძრო დაცვის რაიონულ განყოფილებაში, შემდეგ—ავტოსაწარმოში. ხუთი წელი საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებშიც იმსახურა.მონაწილეობდა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

კონდრატე ქარდავამ მთელი სიცოცხლე თავის საყვარელ პროფესიას—ავტომძღოლობას შეალია.

საქმის ცოდნამ, მგზავრთა კულტურულმა მომსახურებამ მას რაიონის მშრომელთა დიდი სიყვარული და პატივისცემა მოუხვეჭა.

დარჩა მეუღლე და ორი შვილი.

წავიდა ჩვენგან ადამიანი, მაგრამ დაგვიტოვა სასიკეთოდ ეავლებული ღრმა კვალი და კეთილი ხსოვნა.

სულიკო ღვინჯილია

ერთი უბრალო ქართველი ქალი იყო, ოჯახისმოყვარული მანდილოსანი, საკუთარი ოჯახის პედნიერებით ხარობდა, შვილებისა და შვილიშვილების მომავალზე ოცნებით სულდგმულობდა.

ეს ადამიანი **სულიკო ნიკოლოზის ასული ღვინჯილია** ვახლავთ. იგი 1924 წელს დაიბადა სოფელ საბერიოში.

საშუალო განათლების მიღების შემდეგ თავისი ბედი თანასოფლელ სანდრო პოკროს ძე ღვინჯილიას დაუკავშირა და მუდმივ საცხოვრებლად ქალაქ ვალში ვადავიდა.

ციბრუტივით დატრიალდა, მალე ვამრავე ქალის, ჩინებული დიასახლისის სახელი მოიხვეჭა. სათნო გულისა იყო და ყველგან სიკეთეს თესავდა. სწორედ ამიტომ უყვარდათ და აფასებდნენ.

სიცოცხლე უყვარდა და მომავალს იმედის თვალით შეჰხაროდა სულიკო. მაგრამ, ვაღლახ, ამ იმედს ახდენა არ ეწერა. 1993 წლის ნოემბერში შეიარაღებული ბანდიტები მიუვარდნენ და მეუღლესთან ერთად სიცოცხლეს გამოასალმეს.

კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე შეიწირა აფხაზურ-ქართულმა კონფლიქტმა.სულიკო დღეს ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ მისი სიკეთილიც თითქოს ევაფრთხილებს: სიკეთე იოლად ჯრ მოდის, იოლად და უსისხლოდ არც ბოროტება ტოვებს თავის ასპარეზს.

შეუძლებელია ასეთი სიკეთილით გარდაცვლილი ადამიანი უკვდავების სასუფეველში არ მოხვდეს.

სანდრო ღვინჯილია

კიდევ ერთი ქართველი კაცის სიცოცხლე შეიწირა ჩვენმა უკუღმართმა დრო-ჟამმა. ქვეყნის საერთო ჭირისა და ეანუკითხაობის მსხვერპლი ეახდა **სანდრო პოკროს ძე ღვინჯილია,** შვილების მოყვარული მამა, სამშობლოს პედნიერებაზე დაფიქრებული ვაჟკაცი.

ივი 1922 წელს დაიბადა სოფელ საბერიოში, დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა. ღირსეულად მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. იყო დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე. დემობილიზაციის შემდეგ დასახლდა ქალაქ ვალში.

მშრომელი კაცი იყო. თავისი ალალი, პატიოსანი შრომით არჩენდა ოჯახს.ახლობლებში, ნაცნობ-მეგობრებში კარგი რეპუტაციით სარგებლობდა.

ოპტიმისტი იყო, ღრმად წამდა, რომ ბოროტებაზე სიკეთე ვაიმარჯვებდა. ამ რწმენითა და იმედით მიუყვებოდა ცხოვრების აღმართს. მაგრამ ვაი, ბედმა უმტყუნა. 1993 წლის ნოემბერში მხეცურად მოკლეს აფხაზმა ექსტრემისტებმა მეუღლესთან —**სულიკო ნიკოლოზის ასული ღვინჯილიასთან** ერთად.

მართალი კაცის პრინციპით იცხოვრა სანდრო ღვინჯილიამ, სამართლიანობისადმი ერთგულებით ვალია თავისი ლამაზი სიცოცხლე. დაამწუხრა ყველა, ვინც კი იცნობდა. ამასთან კეთილი მოგონება დაუტოვა ოჯახსა და ქალაქს, მთელს რაიონს.

ეთერ ღურწკაია

ეთერ მიხეილის ასული ღურწკაია-შენგელია დაიბადა 1929 წელს სოფელ რეფში. დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა.

1949 წელს, შაქრო მიხეილის ძე შენგელიაზე ვათხოვებასთან დაკავშირებით, მუდმივ საცხოვრებლად ვადმოვიდა ქალაქ ვალში.

ე. მ. ღურწკაია-შენგელია წლების მანძილზე მუშაობდა ვალის ქალაქის კოოპერატივის სისტემაში. ბოლო პერიოდში ფიზიკურად შრომობდა მახუნჯიის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში, იყო თავმდაბალი მშრომელი, ჩინებული დიასახლისი, რისთვისაც აფასებდნენ როგორც კოლექტივში, ისე მეზობლობაში.

1994 წლის 5 თებერვალს ვერაგულად მოკლეს აფხაზმა მარადიორებმა მეუღლესთან ერთად. ცოლ-ქმარი მათსავე ეზოში მიაბარეს მიწას მეზობლებმა.

დარჩა ოთხი შვილი და ოთხი შვილიშვილი, რომლებიც არ დაკარგავენ უდანაშაულოდ დაკარგული ეთერის ხსოვნას.

ე. ღურწკაია-შენგელიას სპეტაკი სახელი მარად დარჩება მისი მეგობრებისა და ნათესავების გულებში.

ვერა ჩქოტუა

ვერა მაქსიმეს ასული შურღაია-ჩქოტუა დაიბადა 1924 წელს სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში. ეათხოვების შემდეგ მუდმივად ცხოვრობდა ქალაქ ეალში, დამთავრებული ჰქონდა პედაგოგიური ინსტიტუტი. წლების ეანმაელობაში მუშაობდა ქ. ეალის № 2 საბავშვო ბაღში აღმზრდელ-მასწავლებლად. უკანასკნელ წლებში პენსიაზე იყო ეასული.

ვ. მ. შურღაია-ჩქოტუა ფუტკარიეით მშრომელი ადამიანი იყო. პატიოსნება, სისპეტაკე, ბავშვების სიყვარული—ეი, რით გამოირჩეოდა ეეი. ამ თვისებათა ეამო პატივს სცემდნენ და აფასებდნენ რაიონის პედაგოგიურ საზოგადოებაში. მაერამ ყველაზე დიდი დაფასება ამავდარი პედაგოგისათვის იყო ის სიყვარული, რომლითაც ეეი თავის აღსაზრდელებსა და მათ მშობლებში სარგებლობდა.

მოკლეს 1993 წლის 15 ნოემბერს მეუღლესთან—შოთა ჩქოტუასთან ერთად.

მის ნათელ ხსოვნას მარად ვულით ატარებენ მისი მრავალრიცხოვანი აღზრდილები.



ბუცა შონია

ბუცა არდაშელიხ ახული შონია-ჯობავა დაიბადა 1930 წელს სოფელ რეჩხო-ცხირში. წარჩინებით დაამთავრა ოქუმის საშუალო სკოლა. შემდეგ შეეიდა ქ. თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც მხოლოდ მესამე კურსამდე სწავლობდა. ის, როგორც დედისერთა, იძულებული ვახდა სწავლისათვის თავი დაენებებინა, რადგან ომიდან ინვალიდად დაბრუნებული მამისათვის უნდა მოეარა,

შემდეგ მან თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა თანასოფლელ ლუდოვიკო ჯობავას, ახალდაქორწინებულნი საცხოვრებლად ქალაქ ვალში ვადმოვიდნენ. შეეძინათ ორი ბიჭი და ერთი ვოვო, ოჯახი რომ ერჩინათ, მშობლები დღედაღამეს ასწორებდნენ. თვითონ ბუცა შონია-ჯობავა 20 წლის ვანმავლობაში ენერგიულად შრომობდა მზიურის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში. შრომობდა პატიოსნად, კეთილსინდისიერად.

ომი რომ დაიწყო, მას არ შეშინებია და არსად არ ვაქცეულა, ჩვეულებრივ ავრძელებდა შრომასა და ოჯახის მოვლას. სწორედ ამ დროს უწია მტრის დაუნდობელმა ტყვიამ. 1993 წლის 30 ოქტომბერს იეი ვერაეულად დაიღუპა, რამდენიმე დღეში ოჯახს მეორე უბედურებაც დაატყდა თავს, უფროსი ვაჟიშვილი, ცნობილი მოცეკვაეე ვაჟა ჯობავა ნალმზე აფეთქდა.

აი, რა მოსდევს მტრობას, ომს. უბედურ დედაშვილს, უსამართლობის მსხვერპლთ, არ დაივიწყებენ ახლობლები, ნაცნობ-მეეობრები, მშვიდობისმოყვარე თანამემამულენი.

ნელი შარია

ნელი ამბაკოს ასული შარია დაიბადა 1936 წელს სოფელ თაგილონში. საშუალო განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო, რის შემდეგ დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

მუშაობდა თაგილონის კოლმეურნეობის მთავარ აგრონომად, შემდეგ კი თავმჯდომარედ. ბოლო პერიოდში ზემო ბარღების მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის აგროგანყოფილების მმართველი იყო.

ნელი შარია უაღრესად ერუდირებული სპეციალისტი იყო, ამასთან არაჩვეულებრივი ორგანიზატორული უნარით იყო დაჯილდოებული. მისი სახელმძღვანელო ბრიგადა, აგროგანყოფილება და კოლმეურნეობა ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებდა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოყვანის გეგმებს. სწორედ თავმჯდომარეობის პერიოდში იქნა მიღებული იგი სკკპ წევრად. მიღებული ჰქონდა საპატიო სიგელები, მედლები, მთავრობის სხვა ჯილდოები, იყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე.

მოკლულ იქნა მის დასთან ერთად ქ. სოხუმში 1993 წლის 3 ოქტომბერს. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ყველა იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

მიმოზა შონია

მიმოზა ნიკოლოზის ასული შონია-მაქაცარია დაიბადა 1955 წელს სოფელ ოქუმში. დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა, შემდეგ კი—ქ. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტი.

1974 წელს, ვათხოვებასთან დაკავშირებით, მუდმივსაცხოვრებლად გადმოვიდა ქალაქ გალში.

ვათხოვების შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ოქუმის საშუალო სკოლაში ლაბორატორიის ვამგედ, ერუდირებულმა სპეციალისტმა, თავის საქმეზე შეყვარებულმა პედაგოგმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეში. თავისი პატიოსნებითა და კლდემამოსილებით ვამორჩეულმა ახალგაზრდა ქართველმა მანდილოსანმა ირგვლივ მყოფთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. კარგი მუშაობისათვის არაერთი სიგელი და მადლობა დაუმსახურებია.

მიმოზა შონია-მაქაცარიას ორი შვილი დარჩა. ომის დაწყებამდე ორივე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში სწავლობდა. მოსიყვარულე დედა ვულისფანცქალით ელოდა იმ დღეს, როცა შვილებს სამუშაოზე მოწყობილს და დაოჯახებულს იხილავდა. არ დასცალდა, 1993 წლის 5 ოქტომბერს აფხაზმა ექსტრემისტებმა ჯერ სახლი დაუწვეს, შემდეგ ისიც ვერავულად მოკლეს.

ვაქრა კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე. სამაგიეროდ დარჩა ამ სანდომიანი ქალის მარადიული ხსოვნა.

არჩილ (არჩიკო) შონია

არჩილ (არჩიკო) ალექსის ძე შონია დაიბადა 1930 წელს სოფელ რეხოცხირში. მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება.

სამი წელი იმსახურა საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებში,

დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა მძღოლად ვალის სამგზავრო ავტოსაწარმოში. 1956 წელს სამუშაოდ გადაჰყავთ ტყვარჩელის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოში, სადაც 1962 წლამდე რჩება. ამ წელს ისევ ვალს უბრუნდება და მუშაობს ცენტრალურ ავტოპარკში. მას, როგორც გამოცდილ მძღოლს, ყოველთვის შორეულ რეისებზე ავლენდნენ, შეთავსებით ავტოზეინკლადაც უხდებოდა მუშაობა. 1991 წლიდან პენსიაზე იყო გასული.

კარგი მუშაობისათვის ა. შონიას ბევრი ჯილდო-წახალისება მიუღია. მაგრამ ყველაზე მაღალი ჯილდო მისთვის იყო ის პატივისცემა და სიყვარული, რომელიც კეთილსინდისიერებითა და კაცური კაცობით დაიმსახურა.

დასანანია, რომ 1994 წლის 5 თებერვალს ა. შონიას დაატოვებინეს საყვარელი ოჯახი. თოფ-იარაღში ჩამჯდარმა აფხაზმა „ბოევიკებმა“ ივი სიცოცხლეს გამოასალმეს.

დარჩა მეუღლე და ხუთი შვილი, რომლებიც სათუთად ინახავენ აფხაზ-ქართული კონფლიქტის ნიადაგზე დატრიალებული ტრაგედიის უდანაშაულო მსხვერპლის ნათელ ხსოვნას.

ჟილინ შონია

ჟილინ აკაკის ძე შონია დაიბადა 1925 წელს. მიიღო საშუალო სპეციალური განათლება. ვახდა მედიცინის მუშაკი. 1943-1948 წლებში ამ სპეციალობით მუშაობდა სოფელ რეფი-შეშელეთში.

1948 წელს შევიდა და 1953 წელს დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. ამ დროიდან პენსიაზე გასელამდე მუშაობდა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

კეთილსინდისიერი მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა ჯილდოები, მედლები.

პენსიაზე გასვლის შემდეგ თითქმის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა არასაუწყებო დაცვაში.

რაიონის ინტელიგენციას არ დაავიწყდება ჟ. შონიას კეთილსინდისიერება, საქმისადმი ერთგულება, მისი პირდაპირობა და მებრძოლი ხასიათი. ასეთივე იყო სიკვდილის წინა დღესაც. იგი აშკარად ეამოვიდა მომხდურების, სინდისგარეცხილი მარადიორების თვითნებობისა და პარაპაშის წინააღმდეგ. იქნებ ამიტომაც იძიეს შური მასზე და მის მეუღლეზე ბანდიტებმა! ვინ იცის...

ჟ. შონია კარგი ოჯახის პატრონი ეახლდათ. მისი ორი შვილი და სიძე მეცნიერებათა კანდიდატები არიან.

ჩვენს შორის, ჩვენს გვერდით არ არის მუდამ მომღიმარი ჟილინი, მაგრამ დარჩა მის მიერ გაელებული კეთილი კვალი, დარჩა კეთილი მოგონება ამ საყვარელ და ძვირფას ადამიანზე.

შაქრო შენგელია

შაქრო მიხეილის ძე შენგელია დაიბადა 1925 წელს სოფელ მახუნჯიაში, ღარიბი ვლეხის ოჯახში.

იგი ადრე დაობლდა. ვაჭირვებასა და სიღარიბეში ვაზრდილმა ახალვაზრდამ დაამთავრა ვალის საშუალო სკოლა. მუშაობდა მუშად სხვადასხვა საწარმოში. რამდენიმე წლის შემდეგ საცხოვრებლად ვადადის ქალაქ ვალში.

შაქროსა და მის მეუღლეს ეთერ ღურწკაიას ოთხი შვილი და ოთხი შვილშვილი ჰყავდათ.

კეთილსინდისიერი ფიზიკური შრომით უვლიდნენ ოჯახს. ცხოვრების მიმართ დიდი პრეტენზიები არ ჰქონდათ. რასაც იშოვიდნენ, იმით კმაყოფილდებოდნენ.

უბედურად ვაუთენდათ შაქრო და ეთერ ღურწკაიებს 1994 წლის 5 თებერვალი. მათ შინ მიუარდნენ იარაღში ჩამჯდარი ბანდიტები და ბედნიერ ცოლ-ქმარს თავიანთი ნაშრომ-ნაამაგარით ტკბობის საშუალება მოუსპეს. ისინი ავტომატის ჯერით დაცხრილეს.

ᲒᲘᲕᲘ ᲨᲝᲜᲘᲐ

1993 წლის 18 დეკემბერი საბედისწერო დღე დაუდგა **გივი ბუკუს ძე შონიას**, ალალმართალ, კეთილშობილურ, უღალატო მშრომელ ადამიანს. ოჯახის წევრები ეაუხიზნავად არ დაუტოვებია, მაგრამ მშობლიურ კერას თვითონ ვერ შეელია. ოჯახს რჩენა სჭირდებოდა, მოსავლის დაკარგვა ეზარებოდა.

—არავისთვის არასოდეს არ დამიშავებია, ცუდი არ ვამიკეთებია და რატომ უნდა მეშინოდესო,—იმხნევებდა საკუთარ თავს ოჯახის წევრთა ვარეშე დარჩენილი სახლის თავკაცი.

იმ დღეს დილაადრიან სოფელ მზიურში წავიდა, სიმინდი ჰქონდა ასაღები, შეუსვენებლად იმუშავა მთელი დღე, დაღლა არ უგრძნია, მაგრამ გული რაღაცას ავისმომასწავლებლად უცემდა და ყოველგვარ ხმაურს ნადირივით უფრთხოდა. საღამოჟამს სახლში წამოსვლა დააპირა, რამდენიმე მეტრი მძიმე ნაბიჯებით ეამოიარა და ვეერდიდან უწმაწური შეევინების უცხო ხმამ აღვილზე ეააქეავა. ეაიხედა და თვალი აუჭრელდა... ტყიურის სახით სამ ნაძირალას თითქოს ერთი ვერ მოერევაო, ავტომატები დაემიზნებინათ...

—არაფერს ეაშავებ... ნუ მესვრით, თქვენი ჭირიმე,—ანეარიშმიუცემლად ეანწირული ხმით წამოიძახა ეიეიმ, მაგრამ მისი ხმა არავის არ ეაუეონია, ავტომატის ცეცხლოვანმა კაკანმა შთანთქა...

იმ საბედისწერო დღეს სოფელ მზიურში სამი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული იზეიმა მძარცველ-მარადიორების კასტამ.

ვივის ცხედარი კეთილმა ადამიანებმა შაქრო შეროზიამ და მაჟარა

ჯგერენაიამ გზაზე არ დატოვეს და იქვე სახელდახელოდ ეათხრილ მიწაში მიაბარეს. მიცვალებულის ეაპატიოსნება-დაკრძალვა მხოლოდ 1994 წლის იელისში ეახდა შესაძლებელი.

ეივი დაიბადა სოფელ საბერიოში 1940 წელს. მიიღო საშუალო ეანათლება, დაეუფლა მძღოლის პროფესიას, შეისისხლხორცა ყოველივე ადამიანური, კეთილშობილური, შექმნა ოჯახი, დასახლდა ქ. ეალში და შეუდეა მშვიდობიან საქმიანობას, მაერამ ეარეწრებმა მის სიცოცხლეს ნაადრეეად დაუსვეს წერტილი.

მის ნათელ ხსოვნას სათუთად ინახავენ უერთგულესი მეუღლე—ნონა, ქალიშვილები ლალი და ელისო შონიები.

ნათელში იყოს ალალმართალი პიროვნების შეუბღალავი სახელი მარად და უკუნისადმი!



ნოდარ შამუგია

ნოდარ ბაგრატის ძე შამუგია დაიბადა 1934 წელს სოფელ ქვემო ბარღებში. მიღებული ჰქონდა უმაღლესი ეანათლება, სპეციალობით მეტყევე ინჟინერი იყო. 1955 წლიდან სიკვდილამდე მუშაობდა ვალის სატყეო მეურნეობაში. ნოდარს თითქოს მემკვიდრეობად ერგო აღნიშნული პროფესია. აღსანიშნავია, რომ მამამისიც ვინძეეწერის სატყეო მეურნეობაში მუშაობდა. ნოდარ შამუგია უაღრესად ერუდირებული და თავისი საქმის ზედმიწევნით კარგად მცოდნე სპეციალისტი იყო. მას არა მარტო რაიონში, მთელს ავტონომიურ რესპუბლიკაში იცნობდნენ, როგორც ერთ-ერთ დამსახურებულ პიროვნებასა და უნარიან ხელმძღვანელს. ვინ მოთვლის რამდენი ცნობილი მეტყევე აღუზრდია მას.

და რაოდენ დასანანია, რომ ეს ადამიანი დღეს ცოცხალთა შორის აღარ იმყოფება. იგი 1994 წლის 23 მაისს მეორე ეუდავაში ვერაგულად მოკლეს ეშმაკისათვის სულმოყიდულმა სეპარატისტებმა. ჯერ კიდევ რამდენი რამის ეაკეთება შეეძლო!

დარჩა მეუღლე, შვილები და შვილიშვილები. სწორედ მათში უნდა ეაგრძელდეს სახელოვანი ადამიანის აღრე შეწყვეტილი სიცოცხლე.



ვალერი შენგელია

ვალერი ხერაპიონის ძე შენგელია დაიბადა 1941 წელს ქ. ვალში. დაამთავრა მშობლიური ქალაქის № 1 საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლა ზუგდიდის სამექანიზაციო სასწავლებელში ვანაგრძო, აითვისა მძღოლის პროფესია.

1969 წელს ვაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა მძღოლად სხვადასხვა ორგანიზაციაში. 1983 წელს ვადაიყვანეს ვალის სამგზავრო ავტოსაწარმოში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ტაქსის მძღოლის მეტად რთულ და პასუხსაგებ სამუშაოს ასრულებდა.

მოკლეს 1993 წლის 18 ნოემბერს. სიკვდილის წინ წარბიც არ შეუხრია, **რადგან იცოდა, რომ უმწიკვლო სიცოცხლის მოხპობა მტერს არასდროს შერჩენია, რომ მუდამ „ღამე ღღეს უთენებია“.**

დავეხ შონია

დავეხ აკაკის ძე შონია 1955 წელს დაიბადა ქ. ვალში. ივი ჯერ კიდევ 40 წელს არ იყო მიღწეული; რომ დასცლოდა, რამდენ ოცნებას შეასხამდა ფრთებს. საკმაოზე მეტი მონაცემები ჰქონდა: იყო პატიოსანი, შრომისმოყვარე ახალგაზრდა, ნატიფი, დახვეწლი ხელოსანი. ვინ იცის, მის ნახელავს რამდენი სიამოვნება მოუტანია ვალელი მშრომელებისათვის.

დავეხ შონია ვერაგულად იქნა მოკლული 1993 წლის 1 ოქტომბერს. მისი ნეშტი ჯერ ეზოში დაასაფლავეს, მომდევნო წლის ივნისში კი ერისწყალის სასაფლაოზე ვადაასვენეს.

დარჩა მეუღლე და შვილი.

უსამართლობის მსხვერპლის ნათელ ხსოვნას დავიწყება არ უწერია.



შოთა ჩქოტუა

შოთა ვლადიმერის ძე ჩქოტუა დაიბადა 1923 წელს სოფელ საბერიოში. 1940 წლიდან ქალაქ ვალში ცხოვრობდა. მიღებული ჰქონდა საშუალო-სპეციალური განათლება. პროფესიით ბუღალტერი იყო.

აღნიშნული სპეციალობით ბევრ სხვადასხვა ორგანიზაციაში უმუშავია. ყველაზე დიდხანს ვალის მეჩაიეობის მეურნეობაში მუშაობდა. უკანასკნელ წლებში დამსახურებულ პენსიაზე იყო გასული.

შ. ვ. ჩქოტუა უაღრესად ერუდირებული სპეციალისტი იყო. ამასთან ვამოირჩეოდა პატიოსნებითა და სისპეტაკით, რაც ესოდენ აუცილებელია აღრიცხვის დარგის მუშაკისათვის. ამ თვისებათა გამო უყვარდათ და სათანადო პატივისცემითაც ეპყრობოდნენ.

მოკლეს 1993 წლის 15 ნოემბერს მეუღლესთან—**ვერა შურღაიასთან** ერთად. ამ მხეცურმა აქტმა ყველა ვალელს დასწყვიტა ეული,

ხუხუტი ჩეხერია

ხუხუტი აქვსენტის ძე ჩეხერია დაიბადა 1935 წელს სოფელ ხუმუშქურში. არასრული საშუალო განათლების მიღების შემდეგ დაეუფლა მძღოლის პროფესიას. სპეციალობით მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციაში. ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქმიანობდა ვალის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოში.

ხ. ა. ჩეხერია მინდობილ საქმეს კეთილსინდისიერად ემსახურებოდა. ყველგან, სადაც კი უმუშავია, ვამოირჩეოდა შრომისმოყვარეობითა და მაღალი პასუხისმგებლობით, რითაც თანამოსაქმეთა სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. ბევრჯერ მიუღია მადლობები და სხვა წახალისებანი.

მოკლეს 1993 წლის 22 ოქტომბერს. ამ დღეს სახლში მუხანათურად შეუვარდნენ აფხაზი სეპარატისტები, ჯერ აწამეს, შემდეგ კი სიცოცხლეს ვამოასალმეს, დაიღუპა ადამიანი, რომელსაც ამქვეყნად სიკეთის მეტი არა უთესია რა. ასეთ ადამიანს დიდხანს არ დაივიწყებენ.

ავთანდილ ჩხაპელია

ძნელია მასზე წარსული დროით ილაპარაკო. ტრაგიკულმა შემთხვევამ მოულოდნელად შეწყვიტა 25 წლის ეაჟკაცის ლამაზი სიცოცხლე. უსაზღვროა ოჯახის, ახლობლების, ნაცნობ-მეგობრების გულისტკივილი. დედის სიკეთით სავსე თვალები სევდითა და მწუხარებით დაინისლა...

ავთანდილი მირიანეს ძე ჩხაპელიას საქმიანი ბიოგრაფია მხოლოდ ახლა იწყებოდა. დაიბადა 1969 წელს ქ. ვალში. დაამთავრა ქალაქის პირველი საშუალო სკოლა, რის შემდეგ ვალის ხე-ტყის ვადამამუშავებელ კომბინატში დაიწყო მუშაობა. მოკლე დროში ბევრი ამხანაგ-მეგობარი შეიძინა, თან პატიოსანი შრომით უფროსთა ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა. რაიონში აფხაზი მომხდურების შემოსვლისთანავე, სხვა თანამოქალაქეებთან ერთად, ავთანდილიც ზუგდიდში გადავიდა ლტოლვილად. სწორედ აქ დაატყდა თავს უბედურება. უცნობმა პირებმა საკუთარი ავტომანქანის წართმევა მოუნდომეს. წინააღმდეგობა რომ გაუწია, ესროლეს და მოკლეს.

დარჩა მშობლები, ცოლ-შვილი, რომლებიც ვეღარ უძლებენ დიდ მწუხარებას, მათ თვალებში სამუდამო სევდამ და ნაღველმა დაისადგურა, ისინი მოწიწებით მუხლს იყრიან უდროოდ დაკარგული შვილის, მეუღლისა და მამის ხსოვნის წინაშე.



შოთა ცხადაია

1993 წელი საბედისწერო ეახდა ბევრი ვალელისათვის და მათ შორის ჰუმანურობითა და კეთილშობილებით, ზრდილობითა და პატიოსნებით გამორჩეული ვაჟკაცის--**შოთა თეოფანეს ძე ცხადაიასათვის**.

ივი მოკლეს აფხაზ ბოევიკთა ვალში შემოჭრის მეორე დღესვე. ჩეჩენი ვადამთიელები, რომლებიც აფხაზეთის შეიარაღებული ძალების შემადეენლობაში მოქმედებდნენ, ღილის 9 საათზე შეიჭრნენ შოთას ოჯახში, შეამტერიეს ავტოფარეხის რკინის კარები, ვამოიყვანეს მანქანა „ვაზ-24“ და პატრონს უბრძანეს მისი ბენზინით ვაწყობა. ბენზინის უქონლობის ვამო შოთამ ვერ შეძლო მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამით უფრო ვააეებულმა ვადამთიელებმა შოთას სახეში ატომატის ჯერი დააყარეს და მისი ვაჟკაცური სხეული ორად ვახლეჩილი თავის ქალათი მიწას დაასკდა.

მკელელებმა შოთას მეუღლესაც დაუწყეს ძებნა. ივი საქათმეში მიიმალა, ცოტა ხნის შემდეე მეზობლებთან ვადავიდა და მათთან ერთად მეორე დღემდე საღორის ვვერდით იმალებოდა.

სამი დღე-ღამის ვანმავლობაში ამ უბანში სროლები არ შეწყეტილა, მარადიორები იტაცებდნენ ყველაფერს და მიჰქონდათ, რისი წაღებაც შეეძლოთ. ოთხი დღის შემდეე სროლები ცოტა შენელდა, ამით ისარგებლეს კეთილმა მეზობლებმა **ნიკოლოზ თოდუამ, ალექსანდრე კუზნეცოვმა, ნათელა წურწუმიამ, ნინა ეზუგბაიამ და შოთას** დასახჩრებული ცხედარი ცელოფანში შეახვიეს და იქვე სახლის ასასველელი კიბის ძირში სახელდახელოდ ამოთხრილ მიწაში მიაბარეს.

მხოლოდ 9 თვის შემდეე ეახდა შესაძლებელი შოთას დაფლეთილი

სხეულის ეაპატიოსნება და ეადასეენება მახუნჯიის ტერიტორიაზე. არსებულ საერთო სასაფლაოზე.

შოთა ცხადაია დაიბადა 1931 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში. 30 წელზე მეტი იმუშავა ეალის რაიონის საეზაო ეანყოფილების მთავარ ინჟინრად, აქვე დაქორწინდა და დასახლდა. რაიონული აქტივი და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იცნობდნენ მას და დიდად სცემდნენ პატივს, როეორც პატიოსანსა და ხალხის კეთილდღეობისათვის დაუზარელ მუშაკს. ივი პენსიაზე იყო ეასული. დარჩა მეუღლე და სამი შვილი.

უდანაშაულოდ დაღუპული შოთას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი მეეობრებისა და ახლობლების გულებში:

ხსოვნა იყოს მის უკუნითი უკუნისამდე!

ᲯᲘᲑᲘᲚᲝ ᲪᲐᲜᲐᲕᲐ

ჯიბილო ანდროს ძე ცანავა 1927 წელს დაიბადა. მას მხოლოდ დაწყებითი ეანათლება ჰქონდა მიღებული, მაერამ თავისი საქმის დიდოსტატად ითელებოდა.

1842 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ეალის სატყეო მეურნეობაში მუშაობდა. საქმეზე უსაზღეროდ შეყვარებულ სპეციალისტს არაერთი ჯილდო და მადლობა დაუმსახურებია.

ჯ. ა. ცანაეა სამუშაო პოსტზე, სამახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა. ივი ემსხვერპლა ბანდიტების ტყვიას, ბანდიტებისა, რომელთაც ხოლოდ ეამოძალვა და თავიანთი მხეცური ფინის დაკმაყოფილება ამოძრავებდათ.

ეს მოხდა 1994 წლის 14 აპრილს.

მარჩენალის ეარეშე დარჩა მრავალრიცხოვანი ოჯახი, რომელსაც, ცხადია, კეთილი მეზობლები და ნცნობ-მეეობრები სათანადო ზრუნვას არ დააკლებენ.

შუშკა ცანავა

შუშკა ჯოკიას ასული ცანავა-ხარჩილავა დაიბადა 1908 წელს სოფელ დიხაზურეაში. ცხოვრობდა რეფში მეუღლე ვიორგი ხარჩილავასთან ერთად.

ქალბატონ შუშკას მეუღლე და შვილი ბებე ადრე გარდაეცვალა. დარჩა შვილი კაკო და მისი ცოლ-შვილი. მშრომელ, სტუმართმოყვარე ოჯახს, როგორც იტყვიან „ჩიტის რძეც“ არ აკლდა.

და, აი, ასეთ მშვენიერ, ლამაზ ოჯახში 1993 წლის 3 ოქტომბერს დიდი უბედურება დატრიალდა. მოძალადეებმა მხეცურად მოკლეს ქალბატონი შუშკა, მისი შვილი კაკო და მათ ოჯახში სტუმრად მყოფი ოჩამჩირელი ქალი. მეზობლებმა იმავე ღამეს სამივეს გვამი ეზოში მიწას მიაბარეს.

ნათელში ამყოფოს მისი სული ღმერთმა!

ცაცა ძანძაპა

ცაცა მაქსიმეს ასული ძანძაპა დაიბადა 1926 წელს სოფელ ზემო პარღებში. სოხუმის პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლის მასწავლებლად. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

ც. ძანძაპას კოლექტივში იცნობდნენ როგორც კარგ პედაგოგსა და აღმზრდელს, სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით.

მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა 1993 წლის 28 ოქტომბერი. ამ დღეს პანდიტებმა ჯერ სასტიკად აწამეს, შემდეგ კი ეერაგულად სიცოცხლე მოუსწრაფეს მხოლოდ იმის გამო, რომ მას ოქროს ნივთები არ აღმოაჩნდა.

ჩინებული აღმზრდელის ნათელ ხსოვნას სამუდამოდ შეინახავენ მისი მეგობრები და მრავალრიცხოვანი აღზრდილები.



გულიკო წულუკია

❖❖❖

გულიკო გრიგოლის ძე წულუკია დაიბადა 1931 წელს სოფელ მზიურში, მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება.

მამა დიდ სამამულო ომში დაიღუპა, რის ეამოც მრავალრიცხოვან ოჯახზე ზრუნვის მთელი სიმძიმე ჯერ კიდევ არასრულწლოვან გულიკოს დააწვა მხრებზე. ის იძულებული გახდა ფიზიკური შრომით დაეწყო და ამით ერჩინა დედა და მცირეწლოვანი და-ძმები.

მუშაობის პარალელურად გ. წულუკია მძღოლის პროფესიას დაეუფლა და ამ სპეციალობით დაიწყო მუშაობა საფოსტო მანქანაზე. 32 წელი დაჰყო მან რაიონის მოსახლეობის საფოსტო მომსახურეობის კეთილშობილურ სამსახურში. თავის მოვალეობას პატიოსნად და კეთილსინდისიერად ასრულებდა, რისთვისაც უყვარდათ და პატივს სცემდნენ კოლექტივში, სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით.

ვერაგულად მოკლეს თავითფეხებამდე შეიარაღებულმა ბანდიტებმა 1993 წლის 1 ოქტომბერს.

დარჩა მეუღლე და ორი შვილი. უდანაშაულოდ დაღუპული ვაჟკაცის კეთილი საქმენი დიდხანს ემახსოვრებათ მის ახლობლებსა და ნაცნობ-მეგობრებს, ყველა იმათ, ვინც მას იცნობდა.

ვარდიშა წურწუმია

ვინ მოთვლის რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ვალის რაიონში დატრიალებულმა ტრაგედიამ. ერთ-ერთი მათგანი ვახლავთ ქალბატონი ვარდიშა წურწუმია-შენველია.

ვარდიშა დიმიტრის ასული წურწმია-შენველია დაიბადა 1994 წელს ზემო ბარღებში. 1941 წელს გათხოვებასთან· დაკავშირებით მუდმივ საცხოვრებლად გადმოვიდა ქალაქ ვალში. იყო კარგი მეოჯახე ქალი, კეთილი და სათნო ადამიანი. მან ექვსი შვილი აღუზარდა სამშობლოს.

აფსუს, რომ ეს მრავალშვილიანი ქართველი დედა დღეს უკვე ცოცხალთა შორის აღარ ევეგულება. ვ. დ. წურწუმია-შენველია ისე, როგორც სხვა მრავალი ვალელი, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ნიადაგზე დატრიალებულ ტრაგედიას შეეწირა. ეს 1994 წლის 5 თებერვალს მოხდა, როცა შეიარაღებული ბანდიტის ნასროლმა ტყვიამ სიცოცხლე მოუსწრაფა მშვენიერ მანდილოსანს, რომელსაც შვილებთან და შვილიშვილებთან ყოფნით ტკბილი სიბერე უნდა რგებოდა წილად.

ნუგეშად ის ჩაჰყვა სამარეში, რომ მის ნათელ ხსოვნას მარად შეინახავენ მადლიერი შთამომავლები.



ინვერი ყოლბაია

ინვერი პროკოფიხ ძე ყოლბაია დაიბადა 1952 წელს სოფელ ჭუბურხინჯში. უკანასკნელ პერიოდში ცხოვრობდა ქალაქ ვალში. მუშაობდა გალის რაიონულ ელექტროქსელების სადგურში ტექნიკოსად.

მოკლეს 1994 წლის 6 თებერვალს.

ინვერი იყო მეტად კეთილსინდისიერი კაცი, ეულღია და კაცთმოყვარე, შესანიშნავად ფლობდა ელექტროტექნიკოსის სპეციალობას და დაუზარელ და უანგარო დახმარებას უწევდა მათ, ვისაც მისი ცოდნა და პროფესია სჭირდებოდა.

ნათელი დაადგეს მის საფლავს.

ირმა ჭითანავა

ირმა რევაზის ასული ჭითანავა დაიბადა 1975 წელს ქალაქ ვალში. დაამთავრა მშობლიური ქალაქის საშუალო სკოლა-გიმნაზია.

თავიდანვე ვამოირჩეოდა უდიდესი გულმოდგინებითა და შრომისმოყვარეობით. სწავლას დაწაფებული გოგონა კლასიდან კლასში ქების სიგელებით გადადიოდა. გარეგნულადაც მომხიბლავი, საოცრად ლამაზი, ნაზი და თავდაჭერილი იყო. კეთილი და ამხანაგების მოყვარული ირმა თავადაც ყველას უყვარდა, თანატოლებსაც და უფროსებსაც.

ვიმნაზია 1992 წელს დაამთავრა. იმავე წელს გაემგზავრა ქ. სოხუმში, უნივერსიტეტში გამოცდების ჩასაბარებლად. საბუთები ეკონომიკის ფაკულტეტზე შეიტანა და მოასწრო წარმატებით ჩაებარებინა მხოლოდ ერთი საგანი––მათემატიკა.

14 აგვისტოს, იმ ავბედით დღეს, პირველმა ვასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა სიცოცხლით აღსავსე გოგონა, რომელიც სწავლაზე ფიქრობდა, ლამაზ მომავალზე ოცნებობდა.

ვინ იფიქრებდა, ასე ხანმოკლე და საბედისწერო აღმოჩნდებოდა ცხოვრებაზე შეყვარებული მეოცნებე ქალიშვილის სიცოცხლე, რომელიც გაელვებასავით უცებ გაქრა. აღარ არის ირმა ჭითანავა, მაგრამ დაგვრჩა მისი ნათელი ხსოვნა და უაღრესად კეთილი მოგონება.



გრიგოლ ჭკადუა

გრიგოლ გენერის ძე ჭკადუა დაიბადა 1928 წელს მესტიის რაიონის სოფელ ღახაშურაში. 1970 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სატყეო ტექნიკური ინსტიტუტი. მუშაობდა ხაიშის სატყეო მეურნეობაში. მეტყევედ, სადაც დიდად აფასებდნენ და პატივს სცემდნენ.

გ. გ. ჭკადუა 1983 წლიდან ქ. გალში ცხოვრობდა. ახალ მეზობლებშიც დიდი ნდობითა და სიყვარულით სარგებლობდა.

აურაცხელი მოუშუშებელი ჭრილობებით საქართველოს ვერავინ ვააკვირვებს, მაგრამ გალის რაიონი რომ ადამიანთა ნამდვილი სასაკლაო შეიქმნა, ამასაც ვერავინ უარყოფს. სწორედ აქ დატრიალებულმა ტრაგედიამ შეიწირა ლაღი სეანი ვაჟკაცის შინაარსიანი სიცოცხლე.

უდანაშაულო ადამიანის ნათელ ხსოვნას წმინდად ინახავენ ოჯახში დარჩენილი დედა, მეუღლე და ქალიშვილი. ყველა, ვინც კი მასთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება მოასწრო.

ღუდა ჭარაია

ღუდა კიკას ძე ჭარაია დაიბადა 1933 წლის 4 მაისს ქალაქ ვალში. მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება. გამოირჩეოდა კეთილსინდისიერებითა და განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით, რისთვისაც ეგზომ აფასებდნენ მეზობლები და ამხანაგ-მეგობრები.

ღ. ჭ. ჭარაია 1993 წლის 12 დეკემბერს მარადიორებმა სხვა მეზობლებთან ერთად სახლიდან გაიყვანეს და მეღორეობის ფერმის უკან ვერაგულად დახვრიტეს. დამარხულია თავის ეზოში.

დარჩა მეუღლე და სამი შვილი, რომლებიც უდანაშაულოდ დაღუპული ადამიანის ნათელ ხსოვნას წმინდად ინახავენ.

დავით ჭაავა

დავით ერასტოს ძე ჭაავა 1926 წელს დაიბადა, იყო უმაღლესი ვანათლების მქონე ინჟინერი,. უმუშავია სხვადასხვა საწარმოში. უკანასკნელად რაისაბჭოს აღმასკომის საგზაო ვანყოფილებაში მუშაობდა, ყველგან პატივისცემა და სიყვარული დაუმსახურებია.

დარჩა სამი ვაჟიშვილი, სამივე ინჟინერი.

დავითს სიცოცხლე სწყუროდა. სულ იმას ცდილობდა, ოჯახისათვის და საზოგადოებისათვის რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოეტანა, მას მოწყენილს იშვიათად ნახავდით. რაც არ უნდა გაჭირვებოდა, დაღვრემილს ვერ ნახავდით, სახეზე სულ ღიმილი დაჰკრავდა. მათან შეხვედრა ნამდვილად სასიამოვნო იყო. თვითონაც ხუმრობდა, ლაღობდა და შენც კარგ გუნებაზე დაგაყენებდა. ომის მძიმე დღეებში მეგობრებს ჩამოუვლიდა და მოიკითხავდა ხოლმე. ყველას ამხნევებდა, ოპტიმიზმს უნერგავდა.

და რაოდენ დასანანია, რომ ასეთი ბუნების კაცი დღეს ცოცხალთა შორის აღარ არის. 1994 წლის 25 იანვრის ღამეს ბანდიტები შეუვარდნენ, საწოლში მძინარე დავის ავტომატის ცეცხლი დაუშინეს და სიცოცხლეს გამოასალმეს.

ეზოში დაასაფლავეს. მისთვის ჩვეული ღიმი არც დაკრძალვის წუთებში მოშორებია. **თითქოს მკვლელებს ნიშნისმოგებით ეუბნებოდა, სამაგიეროს, მე თუ ვერა, ბუნება და სამართალი მაინც გადაგიხდითო.**



ბონდო ჭოლარია

ბონდო კირილეს ძე ჭოლარია 1962 წლის 8 ოქტომბერს დაიბადა. დაამთავრა ქ. ვალის №1 საშუალო სკოლა, რის შემდეგაც სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. იბრძოლა ავღანეთში. იყო უფროსი ლეიტენანტი. მიღებული ჰქონდა ჯილდოები.

დემობილიზაციით დაბრუნდა 1983 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა და 1989 წელს ფრიადზე დაამთავრა სვერდლოვსკის უმაღლესი საინჟინრო-საავტომობილო ინსტიტუტი. მუშაობდა რეფის საშუალო სკოლის სამხედრო მასწავლებლად.

ბ. ჭოლარია მოკლეს მისსავე ეზოში 1993 წლის 22 ოქტომბერს. ბანდიტები მხეცურად გაუსწორდნენ მოკლულს. ოქროს კბილი ააძვრეს, ვვამი კი ღორების საჯიჯგნად მიატოვეს. ის მეზობლებმა დაკრძალეს.

დაიღუპა თავმდაბალი, ნიჭიერი სპეციალისტი, უცოლშეილო ახალგაზრდა, რომელსაც ბევრი სიკეთე შეეძლო მოეტანა თავისი ხალხისათვის.

ვალიკო ჭედია

ვალიკო სამსონის ძე ჭედია დაიბადა 1935 წელს სოფელ ჭუბურხინჯში. მიიღო არასრული საშუალო განათლება, რის შემდეგ ფიზიკურ შრომას მიჰყო ხელი. შემდეგომ დაეუფლა მექანიზატორის პროფესიას და მუშაობდა ტრაქტორისტად ვალის მეჩაიეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში, მძღოლად—ვალის საქალაქო საბჭოს აღმასკომში.

ბოლო წლებში ვ.ს. ჭედია ქ. ვალში ვადავიდა საცხოვრებლად.

მას იცნობდნენ როგორც ენერგიულ მუშაკს, პატიოსან-ალალმართალ მშრომელს, რომელსაც ბევრი პრობლემა ჰქონდა გადასაწყვეტი. საუბედუროდ, არ დასცალდა.

ვ.ს. ჭედია ემსხვერპლა თავითფეხებამდე შეიარაღებული ბანდიტების ტყვიას. მისი ნათელი ხსოვნა არასდროს წაიშლება მისი ნათესავებისა და ყველა იმათ მეხსიერებაში, რომლებთანაც მას რაიმე ურთიერთობა აკავშირებდა.



კაკო ხარჩილავა

კაკო გიორგის ძე ხარჩილავა დაიბადა 1932 წელს სოფელ რეფში. სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვაიწვიეს არმიაში, სადაც სამი წელი იმსახურა.

დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა ვალის სახანძრო რაზმში დანაყოფის მეთაურად. იყო კეთილი, ზრდილი, ეულმართალი ადამიანი.

დარჩა მეუღლე და სამი შვილი, რომელთაგან ორს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული.

კაკო ფიზიკურად ძლიერი და ენერგიული მუშაკი იყო. მას ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო ოჯახისა და საზოგადოების სასარგებლოდ, მაგრამ არ დასცალდა. 1993 წლის 3 ოქტომბერს მას სახლში შეუვარდნენ ორფეხა მხეცები და .ავტომატის რამდენიმე ვასროლით სიცოცხლეს ვამოასალმეს კაკო, მისი 85 წლის დედა შუშკა და ოჯახში მყოფი სტუმარი ქალი.

მიცვალებულნი იმავე ღამეს ეზოში დაკრძალეს. საერთო სასაფლაოზე მათი ნეშტები მხოლოდ 1994 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში იქნა ვადატანილი.

აღარ არის კეთილი კაცი, მაგრამ დამწუხრებულ ოჯახს იმედის შუქით ავსებენ კაკოს უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლის ვაგრძელება—მისი სახელოვანი შვილები.

სერგო ხურცილავა

1993 წლის 1 ოქტომრის შემაძრწუნებელ ტრაგედიას მრავალთაგან ვერც სერგო ირიდიონის ძე ხურცილავამ დააღწია თავი. წინა დღით ჯალაბობა რომ გახიზნა სამშვიდობოს, თითქოს გულზე მოეშვა, მოსალოდნელი უბედურება სანახევროდ დაძლეული ჩათვალა.

—როგორ შეიძლება უიარაღო უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ხელყონ?—თავისთავს ეპაასებოდა ღრმა, მწარე ფიქრებში გახვეული სერგო და რაღაც ანგარიშმიუცემლად ათვალიერებდა თავის ნაამაგარ კარ-მიდამოს.

გაუთავებლად ტყვიების კაკანი, მხეცური ხორხოცი, ველური შეძახილები, უმწეო ადამიანთა განწირული კივილი, ცეცხლმოდებული სახლებით ვადაწითლებული ქუჩები, მეზობელთა შემზარავი ურთიერთგადაძახილი, თითქოს მაცნედ გადარჩენილი, ჩანახშირებული სახლებიდან გუშაგივით წამომართული შერუჯული საკვამლურები სულით ხორცამდე შესძრავდა ყოველივე სულიერს...

სერგო კი იდგა თავის ეზოში. თითქოს ჩვეული სიდინჯით, მაგრამ მაინც ძვალ-რბილში წარმოუდგენელი ჟრუანტელი უვლიდა...ელოდა, ელოდა, მაგრამ რას, თვითონაც ვერ გარკვეულიყო და, აი, მომხვდურმა გარეწარმა ავტომატის ჯერით წამიერად სახე გაუნათა და სიტყვის წარმოუთქმელად ვეება ვაჟკაცი გულგანგმირული მიწაზე გაიშხლართა...

დასაფლავება?...ოხ, ვის ეღირსებოდა მაშინ. გარკვეული ხნის გასვლის შემდეგ, როცა ოდნავ ჩაცხრა სიკვდილის მთესველი ქარიშხალი, ღვთისნიერმა ადამიანებმა **დომენტი გოგოხიამ, რევაზ ბახარიამ, მურმან**

ცობეხიამ, სერგოს დაცხრილული ცხედარი მისსავე ეზოში მიწას მიაბარეს.

დღემდე სერგოს მუდმივ განსასვენებელში საკუთარი ადგილსამყოფელი არ გააჩნია, სახლის ზღურბლს არ გადაცილებულა.

სერგო ირიდიონის ძე ხურცილავა დაიბადა სოფელ თაგილონში. ეკონომისტ-პუღალტრის სპეციალობით მიიღო უმაღლესი განათლება. უკანასკნელ წლებში სპეციალობის მიხედვით ენერგიულად მუშაობდა ვალის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოში, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა საზოგადოებაში.

დარჩა გულითადი მეგობარი, უშესანიშნავესი პედაგოგი მეუღლე—ციალა ყოლბაია, შვილები ნანი და ზაალი ხურცილავები.

ჩვენი სერგო აღარ გვყავს,—ამბობენ მეზობლები,—ჩვენი სერგო გამოგვაკლდა,—ამბობენ ამხანაგ-მეგობრები;—ჩვენი სერგოს გარეშე როგორ ვიქნებით,—მოთქვამენ ჭირისუფლები,—ჩემმა სერგომ გამაუბედურა,—მწარედ ქვითინებს ძაძებმოსილი მეუღლე;—აღარ გვცოდნია როგორი მამიკო გვყოლია,—ოხრავენ ნანი და ზაალი. ვალის საზოგადოებამ კი კარგად იცის, თუ როგორი შესანიშნავი ადამიანი გამოაკლდა მათ რიგებს.



ვაჟა ხუფენია

ამხანაგ-მეეობრებსა და ნათესაეებში კაცურ-კაცად ცნობილი **ვაჟა ავქსენტის ძე ხუფენია** დაიბადა ზუედიდის რაიონის სოფელ ეანმუხურში 1928 წელს. დაამთავრა ხეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, ხოლო შემდეე კი დაუსწრებლად ხარკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აგრონომის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრებიდანეე შეუდგა შრომით საქმიანობას. 1955 წლიდან მუდმივ საცხოვრებლად ვადმოდის ქალაქ ვალში. ქმნის ოჯახს და მიღებული პროფესიის მიხედვით წლების ეანმავლობაში მუშაობს ეუდაუთის რაიონის სოფელ აჩადარის, ვალის რაიონის სოფელ სიდის, ნაბაკევის, მზიურის ტერიტორიაზე ეანლაგებულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბრიგადირად, აგროტექნიკოსად, აგრონომად, მთავარ აგრონომად, ხოლო ბოლო წლებში კი იგი დააწინაურეს რეფის სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის დირექტორად.

სხვადასხვა შრომით კოლოექტივებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის პერიოდში ვაჟამ დიდი ნდობა, პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, როგორც შრომის ვეტერანს, დანიშნული ჰქონდა პერსონალური პენსია.

1993 წლის 2 ოქტომბრის ტრაგედიას ვერც ჩვენი კაცური კაცი ვაჟა ვადაურჩა. იმ დღეს, მოგვიანებით ბოევიკებმა შურა ბელქანიას სახლში იძულებით შეკრიბეს ოთხი მეზობელი, მათ შორის იყო ვაჟაც..

რა ხდება?...რა ვეშველება?...ნუთუ ვანწირულნი ვართ?––ერთმანეთს ეკითხებოდნენ მეზობლები, ხმას არავინ იღებდა, დუმილითა და თავის ოდნავი კანტურით ამოიოხრებდნენ ხოლმე.

ერთი წუთი და ველური ღრიანცელი, უმწეო ადამიანთა ყრუ შეძახილი, ავტომატის რამდენიმე ჯერი ერთმანეთს ეადაენასკვა, ოთხი დაფლეთილი სხეული მიწას ეანერთხო...დაცხრილულთა სხეულებიდან ამონახეთქი სისხლით მინდორი ეაწითლდა...მკვლელებმა ფეხებითა და კონდახებით კიდევ ერთხელ მოსინჯეს მათი „ნანადირევი" და, როცა დარწმუნდნენ მათს უსიცოცხლობაში, ეამარჯვებულის იერით ეეზი მორიეი საკბილოსაკენ აიღეს. დიდხანს ეყარნენ ღია ცის ქვეშ ღიად დარჩენილი ჩაღამებული თეალებით ოჯახის დიასახლისი **ვერა კვარაცხელია**, თანამეზობლები **ნოდარ ფაცურია**, არდაშელ ნანავა და მათ შორის იყო ყველასათვის საყვარელი კაცი **ვაჟა ხუფენია**.

დახოცილთა ცხედრები ეაჟას ძმამ უჯუში ხუფენიამ სახელდახელოდ ეათხრილ მიწაში მიაბარა შ. ბელქანიას სახლის ეზოში. ამჟამად ცხედარი პირველი ეალის ტერიტორიაზე თანამემამულეთა ძეალთშესალაგში ეანისვენებს.

ვაჟასთანებზე იტყვიან ხოლმე—

„აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგეს". ამინ!

ვალიკო ხელაია

ვალიკო გვარდლის ძე ხელაია დაიბადა 1928 წელს სოფელ ღუმურიშში. 1948 წელს, ვალის №2 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლას ავრძელებს სოხუმის პედაგოგიურ სასწავლებელში. ამ უკანასკნელს წარჩინებით ამთავრებს 1952 წელს და მუშაობას იწყებს აგუბედიის საშუალო სკოლაში, სადაც დაჰყო 1959 წლამდე. ამ წელს სათანადო პირობების უქონლობის გამო თავს ანებებს მასწავლებლობას და ხელს ჰკიდებს ოჯახურ მეურნეობას. პარალელურად მუშაობდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიონულ სამმართველოში, ვალის ხე-ტყის ვადამამუშავებელ კომბინატში.

1992 წლიდან პენსიაზე იმყოფებოდა.

ვ. ხელაია გამოირჩეოდა კეთილსინდისიერებით, მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით, რისთვისაც უყვარდათ და პატივს სცემდნენ ყველა შრომით კოლექტივში, სადაც კი უმუშავია. სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით.

ვალიკოს უნდოდა ბედნიერი სიბერე ჰქონოდა, ვაეხარა თავის ცოლშვილში, მაგრამ არ დასცალდა. 1993 წლის 7 ოქტომბერს თავის მეუღლესთან ნათელა შონიასთან ერთად ვერაგულად მოკლეს აფხაზმა სეპარატისტებმა.

დარჩა ორი შვილი, რომლებიც დიდის მოწიწებით ინახავენ კეთილი მამის ნათელ ხსოვნას.



ზურაბ ხვიტია

ზურაბ შალვას ძე ხვიტია დაიბადა 1954 წელს ქ. გალში, მუშის ოჯახში. მშობლიურ ქალაქში მიიღო არასრული საშუალო განათლება, რის შემდეგ დაამთავრა აჩიევარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

ხუთი წელი იმუშავა მზიურის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის საწარმოო ბრიგადის ბრიგადირად. 1978 წლიდან მუშაობდა „აფხაზსოფტექნიკის" გალის რაიონულ განყოფილებაში ძრავების შემკეთებლად. აქვე მოუსწრო სიკვდილმაც.

ზ.შ. ხვიტიას იცნობდნენ როგორც კარგ სპეციალისტს, ენერგიულსა და დაუზარელ ახალგაზრდას. კოლექტივში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა. ორ ვაჟიშვილს შეჰხაროდა, მათ დავაჟკაცებაზე ფიქრში ათენებ-აღამებდა. ვერ მოესწრო, 1993 წლის 3 დეკემბერს სამუდამოდ ჩაესვენა ზურაბ ხვიტიას მზე, მომხდურმა სეპარატისტებმა ვერაგულად მოკლეს ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი სასიკეთო საქმე უნდა ეკეთებინა. მარჩენალი დაკარგა ოჯახმა, ობლად დარჩნენ მისი ბავშვები.

ვამოხდება ხანი, უდანაშაულოდ დაღუპული ვაჟკაცის შვილები დაიზრდებიან და ქვეყნის სამსახურში ჩადგებიან. მამის ხსოვნასაც სათუთად შეინახავენ.

ნათელა ხელაია

ერთი ვაჟიშვილი ჯერ კიდევ 1988 წელს ეამოაცალა ხელიდან უკურნებელმა სენმა. დარჩენილ ორ შვილზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე ნათელა შონიასა და მის მეუღლეს ვალიკო ხელაიას. ბედმა არ ეაუმართლა „მეოცნებე" ცოლ-ქმარს: მათ ნაადრევად დატოვეს წუთისოფელი და დარჩენილი შვილებიც დააობლეს. ეს 1993 წლის 7 ოქტომბერს მოხდა. აფხაზმა მომხდურებმა ავტომატის ჯერით დაცხრილეს ჯერ ერთი და მერე—მეორე. ეაქრა ორი ადამიანი, ორი ლამაზი სიცოცხლე.

ნათელა სარდიონის ასული შონია-ხელაია დაიბადა 1930 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეიში. დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური სასწავლებელი. მუშაობდა აგუბედიის საშუალო სკოლის მასწავლებლად.

1954 წელს ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით მუდმივ საცხოვრებლად ეადმოვიდა ვალის რაიონში. აქაც თავისი სპეციალობით ეანაგრძო მუშაობა რეჩხი-ცხირის საშუალო სკოლაში, 1962 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ქ. ვალის №7 საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელი იყო.

ვაგლახ, რომ დღეს უკვე ცოცხალთა შორის აღარ ეეეგულება ნათელა შონია-ხელაია, ეს სანდომიანი ქალბატონი, რომელსაც მხოლოდ სიკეთე უთესია ამქვეყნად. სწორედ ამიტომ უყვარდათ და ელოლიავებოდნენ ამხანაე- მეგობრები, მეზობლები. მისი მრავალრიცხოვანი აღზრდილები მუდამ მადლიერების ერძნობით მოიხსენიებენ ამაგდარი პედაგოგის დიდ დამსახურებას.

თენგიზ ჯონჯუა

თენგიზ მამიას ძე ჯონჯუა დაიბადა 1961 წლის ოქტომბერს ქალაქ ვალში. სწავლობდა ჯერ ქ. ვალის №2 საშუალო სკოლაში, შემდეგ სწავლა ვანავრძო მზიურის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1979 წელს.

სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო „ვალიეგაზის" კანტორაში ოპერატორად. იყო პატიოსანი და კეთილსინდისიერი მუშაკი, კოლექტივში დიდი სიმპატიითა და სიყვარულით სარგებლობდა.

1993 წლის ოქტომბერი საბედისწერო აღმოჩნდა თენგიზისათვის. ჯერ კიდევ დაუოჯახებელი 32 წლის ახალგაზრდა მხეცურად მოკლეს ბანდიტებმა.

თენგიზ ჯონჯუას ოჯახში დაურჩა დედა, ძმა და ორი და, რომლებიც სათუთად ინახავენ აფხაზურ-ქართული კონფლიქტის დროს უდანაშაულოდ დაღუპული ვაჟკაცის ხსოვნას.



მამია ჯახაია

65-ე შემოდგომა უკანასკნელი აღმოჩნდა ნამუსითა და პატიოსნებით, ზრდილობითა და სათნოებით გულსავსე ადამიანის მამია სოფას ძე ჯახაიასათვის. ავადმოსაგონარ 1993 წლის 1 ოქტომბერს ჯოჯოხეთის მაშხალა აკიაფდა ვალის რაიონში. ეადამთიელი ჯალათები სიკვდილის ცელით თიბავდნენ, ძარცავდნენ უიარაღო, უდანაშაულო ადამიანებს, მოხუცებსა და ახალგაზრდებს, ქალებსა და ბავშვებს.

ოჯახი უკვე წინადღით სამშვიდობოს გაეხიზნა მამიას და თვითონ საკუთარი ეზოდან სასოწარკვეთილი გაჰყურებდა ალმოდებულ საცხოვრებელ სახლებს, ნაგებობებს, შემზარავად ჩაესმოდა უპატრონოდ მიტოვებული ძაღლებისა და ცხოველების ავისმომასწავებელი ყმუილი და ბღავილი.

უცხო ენაზე მოლაპარაკე ავაზაკთა ღრიანცელმა თითქოს ბურანიდან გამოიყვანაო—სწრაფად შემოტრიალდა, სახლ-კარს თვალი მოავლო და ადგილზე გაშეშდა. სამი წვეროსანი ნაძირალა აეტომატებით ხელში მისკენ წამოლასლასდა.

—ვაიმე!...ნუ მესვრითო, უნდოდა წამოეძახა, მაგრამ მისი უკანასკნელი სიტყვა აეტომატის ჯერის ექომ შთანთქა. მკერდჩალეწილი მამია უგუნოდ იქვე ჩაიკეცა...

მამია სოფას ძე ჯახაია დაიბადა ვალის რაიონის სოფელ ლეკუხონაში, მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება. სიყრმიდანვე ჩაება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში. შესანიშნავი ოჯახი შექმნა. მომაგრდა, მომრავლდა, იშრომა, იღვაწა, შესაშურ ცხოვრებას მიაღწია და

სიხარულის ზენიტში მყოფს, ეაელახ, დაქირავებულმა ვარეწრებმა უკანასკნელი წერტილი დაუსვეს.

მამია—შარავანდედით მოსილ სახელს ღირსეულად იცავენ მასავით კეთილი და ვამრეკე მეუღლე—ნუნუ შვილები: გულიადა, ჯანსული და დავითი. მამია, მართალია, ფიზიკურად დაეცა, მაგრამ სულიერად ამაღლდა და მუდმივ სასუფეველში ღირსეული ადგილი დაიკავა.

არეშან ჯახაია

არეშან ტერენტის ძე ჯახაია დაიბადა 1939 წელს სოფელ ლეკუხონაში. ბოლო წლებში ცხოვრობდა ქალაქ ვალში.

მიიღო საშუალო განათლება და მძღოლის პროფესია. ამ სპეციალობით მუშაობდა „ვალი-გაზის“ კანტორაში,

ა. ტ. ჯახაიას კოლექტივში იცნობდნენ როგორც ენერგიულ, დაუზარელ მუშაკს, გამტან ამხანაგსა და მეგობარს, რისთვისაც უყვარდათ და პატივს სცემდნენ.

ვერაგულად გამოასალმეს სიცოცხლეს შეიარაღებულმა ბანდიტებმა.

ოჯახში დარჩა დედა, მეუღლე და ორი ვაჟიშვილი, რძალი და შვილიშვილები, რომლებიც უდანაშაულოდ დაღუპული ვაჟკაცის ხსოვნას წმინდად ინახავენ.



ზაურ ჯახაია

ზაურ ტერენტის ძე ჯახაია დაიბადა 1942 წელს სოფელ ლუკუხონაში.

1958 წლიდან ცხოვრობდა ქ. ვალში. მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება და მძღოლის პროფესია. მუშაობდა „ვალიეაზის“ კანტორაში მძღოლად. თავის საქმეზე შეყვარებული, ტოლ-მეგობრებში გამორჩეული ვაჟკაცი—ასე იცნობდნენ ზაურ ჯახაიას კოლექტივში.

საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის 1994 წლის 6 თებერვალი, ამ დღეს მოკლეს იგი აფხაზმა ბანდიტებმა მეუღლესთან—**ნელი გოგოხიასთან** ერთად. ობლობა არგუნა იღბლად ბედმა მის სამ მცირეწლოვან ბავშვს. მათ ჯერ კიდევ ვერ გაუცნობიერებიათ, რომ აღარ ჰყავთ ყველაზე ძვირფასი ადამიანები.

ყველას ვული დასწყვიტა მომხდარმა ტრაგედიამ. ახლობლები, მეგობრები, მეზობლები უსაზღვროდ განიცდიან ამ უმძიმეს დანაკლისს. დაე, მარად ცოცხლობდეს მათი ნათელი ხსოვნა!

ვაჟა ჯობავა

ვაჟა ლუდუკის ძე ჯობავა დაიბადა 1954 წელს სოფელ ღუმურიშში. 1960 წელს მისი მშობლები მუდმივ საცხოვრებლად ვადმოვიდნენ ქ. ვალში.

ვ. ლ. ჯობავამ 1972 წელს დაამთავრა ქ. ვალის №3 საშუალო სკოლა. რის შემდეგ ჩაირიცხა ქ. ხარკოვის ზოოვეტერინალურ ინსტიტუტში. სწავლის პერიოდში გაიწვიეს არმიაში. სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ დაქორწინდა.

ვაჟა ჯობავა იყო შესანიშნავი მოცეკვავე, ბრწყინვალედ უკრავდა სალამურზე. იყო ვალში არსებული „კოლხური სუიტის“ აქტიური მონაწილე. ვამოირჩეოდა კაცთმოყვარეობით, კეთილსინდისიერებით. მას შეეძლო ბევრი რამ გაეკეთებინა ხელოვნებაში, მაგრამ ეს არ დასცალდა. 1993 წლის ნოემბერში ნაღმზე აფეთქდა და ვარდაიცვალა. რამდენიმე დღის მერე კი აფხაზმა ექსტრემისტებმა სასტიკად აწამეს და მოკლეს მისი დედა—**ბუცა არდაშელის ასული შონია**.

ნიჭიერ ხელოვანს დარჩა მეუღლე და დაობლებული სამი ეოეონა. მანვე დატოვა ნათელი ხსოვნა და კეთილი კვალი.

როინი ჯობავა

„იყო კაცი და აღარ არის კაცი“...**როინ ვლადიმერის ძე ჯობავა.** სულ ახლახან ამაყად დააბიჯებდა ჩაპაევის ქუჩაზე, ახლა კი თავისი ვაჟერანებული სახლის ეზოში ვანისვენებს: სწორედ აქ ჰპოვა მარადიული საკანე.

რ. ვ. ჯობავა 1948 წლის 15 მაისს დაიბადა ქ. ვალში, საშუალო განათლების მიღების შემდეგ კეთილსინდისიერად ემსახურებოდა თავის ხალხს. არც სახელი და არც დიდება აკლდა. ბედს უღიმოდა, თავისი ეოეო-ბიჭის მომავლით სულდგმულობდა, მაგრამ არ დასცალდა. არ დაეცალეს სისხლის მსმელმა ბანდიტებმა, სხვის ნაამაგარს დახარბებულმა მძარცველებმა.

1993 წლის ნოემბრის პირველ დღეებში წავიდა ჩვენგან მაროდიორთა ტყვეთ ვანემირული როინ ჯობავა. წავიდა და მარადიულობაში გადასული კაცური კაცის სახელი დაეტოვა.

„თუ მტერმა დამცეს ხმალგაბასრულმა,
დარდს ნუ მოიხვევთ ღრუბლის გუნდებად,
რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა
მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება...“

• • •

გამაგრდით, არსოფიანნო,

გაფესვით რა იქნემისა,

ჩვენ თუ დაგვსოცნენ, დაგვმარსეთ,

სხვა კიდევ გაიზრდემისა!

ზემო ბარღებელები

ანთია მირო მიშას ძე დაბ. 1941 წ. 20.01.

ეროვნებით ქართველი, მიღებული ჰქონდა საშუალო სპეც-რი განათლება, იყო 53 წ. მუშაობდა სოფ. ზემო ბარღების ს/საბჭოს მოლარე-მოანგარიშედ. 1994 წ. 3 იელისს ავტომატით დაცხრილეს საკუთარ სახლთან ახლოს.

ბოკუჩავა კარლო დოდოს ძე დაბ. 1952 წ. 15.12.

ეროვნებით ქართველი, საშუალო განათლებით, 42 წლის, მუშაობდა ქალაქის სანიტარული ეაწმენდის მძღოლად. 1994 წ. 20 მარტს ჯერ აწამეს და შემდეე დახვრიტეს.

გამისონია დაზმირი ბიჭიკოს ძე დაბ. 1951 წ. 17.11. ეროვნებით ქართველი, საშუალო სპეც. განათლებით 42 წლის, მუშაობდა სოფ. ზემო ბარღებში მძღოლად. 1993 წ. 13 დეკემბერს დახვრეტილ იქნა აფხაზი მარადიორების მიერ.

გულორდავა ჯუმბერი აკაკის ძე დაბ. 1946 წ. 16.09.

ეროვნებით ქართველი, საშ. სპეც. განათლებით, 48 წლის, მუშაობდა ბარღების ჩაის ფაბრიკაში. 1994 წლის 12 მარტს აფხაზებმა მორიგი წმენდის დროს დაიჭირეს, წაყვანილ იქნა ქ. ვალში, წამების შემდეე ავტომატის ჯერით დაცხრილეს, ვეამი ჩააგდეს მდ. ენეურის არხში. მშობლებმა არ იცის მისი ადგილსამყოფელი, ე. ი. არ აქვთ საფლავი.

გულორდავა ნოდარი პეტრეს ძე დაბ. 1937 წ. 15.02.

ეროვნებით ქართველი, საშუალო განათლებით, 57 წლის. მუშაობდა სოფ. ზემო ბარღების ფერმაში. 1994 წ. 2 თებერვალს გზაზე მიმავალი დახვრიტეს თანასოფლელებთან ერთად.

ელიავა ვალერი იაკოს ძე დაბ. 1935 წ. 16.02.

ეროვნებით ქართველი, საშუალო განათლებით, 59 წლის, მუშაობდა სოფ. ზემო ბარღების მეჩაიეობის მეურნეობაში მუშად. 1994 წლის 9 თებერვალს საკუთარი სახლის წინ ავტომატით დაცხრილეს.

ინალიშვილი ნუცა ბაგრატის ას დაბ. 1925 წ. 3.03.

ეროვნებით ქართველი, საშუალო განათლებით, 68 წლის. პენსიონერი. 1993 წ. 26 დეკემბერს მანქანაში დახვრიტეს თანასოფლელებთან ერთად.

მორგოშია კანდიკო ნოკოს ძე დაბ. 1935 წ. 10.03.

ეროვნებით ქართველი, საშუალო განათლებით, 58 წლის. მუშაობდა სოფ. ზემო ბარღებში. 1993 წლის 26 დეკემბერს მანქანაში დახვრიტეს თანასოფლელებთან ერთად.

პერტაია რევაზი კაპიტოს ძე დაბ. 1953 წ. 10.04. ეროვნებით ქართველი, დაწყებითი განათლებით. 41 წლის. ინვალიდი პენსიონერი, 1994 წლის 15 დეკემბერს დახერიტეს საკუთარ სახლში.

პეტელინი პავლე ვანოს ძე დაბ. 1964 წ. 13.03. ეროვნებით რუსი. დაწყებითი ვანათლებით, 32 წლის. 1994 წ. 17. ივნისს ეზაზე მიმავალი დახვრეტილ იქნა.

რიგვავა შოთა ბადუშის ძე დაბ. 1927 წ. 15.03. ეროვნებით ქართველი, საშუალო ტექნიკური ვანათლებით, 66 წლის, პენსიონერი. 1993 წ. 26 დეკემბერს მანქანაში დახერიტეს თანასოფლელებთან ერთად.

რიგვავა მერი ესტატეს ას დაბ. 1930 წ. 12.01 ეროვნებით ქართველი. საშუალო ვანათლებით. 63 წლის პენსიონერი: 1993 წ. 26 დეკემბერს მანქანაში დახერიტეს თანასოფლელებთან ერთად.

სალაყაია იზო კოსტას ას დაბ. 1951 წ. 11. 07. ეროვნებით ქართველი, საშუალო სპეც. ვანათლებით, 42 წლის, მუშაობდა ბარღების ჩაის ფაბრიკაში მოლარე- მოანგარიშედ. 1993 წ. 12 ოქტომბერს ავტომატის ჯერით იქნა დაცხრილული საკუთარ სახლში.



სტეფანიუკი ვლადიმერი ნიკოს ძე დაბ. 1959 წ. 24.04. უკრაინელი, საშუალო სპეციალ. ვანათლებით. 35 წლის, მუშაობდა სოფ. ზემო ბარღებში. 1994 წ. 9 თებერვალს დახვრეტილ იქნა ეულიკო პაპაშვილის სახლში.

ტაბაღუა-შონია ნათელა დაბ. 1938 წ. 15.05. ეროვნებით ქართველი, მიღებული ჰქონდა არასრული საშუალო ვანათლება. მუშაობდა სოფ. ზემო ბარღებში. 1994 წ. 2 თებერვალს ეზაზე მიმავალი დახვრიტეს თანასოფლელებთან ერთად.

❖❖❖



შარია ცუბა თარასხანის ას დაბ. 1926 წ. 17. 02. ეროვნებით ქართველი, საშ. სპეც. ვანათლებით, 67 წლის, პენსიონერი, 1993 წ. 7 დეკემბერს თავის მულთან ერთად ორივე ავტომატის ჯერით ჯერ დაცხრილეს, შემდეგ კი დაწვეს საკუთარ სახლში.

❖❖❖



შარია ოლია ლევანი ას დაბ. 1908 წ. 15.06.

ეროვნებით ქართველი, დაწყებითი განათლებით, 85 წლის, პენსიონერი, 1993 წ. 7 დეკემბერს თავის რძალთან ერთად ორივე ჯერ ავტომატის ჯერით დაცხრილეს და მერე დაწვეს საკუთარ სახლში.

შამუგია მერაბ ნოდარის ძე დაბ. 1960 წ. 2.01.

ეროვნებით ქართველი, უმაღლესი განათლებით, 32 წლის, უცოლ-შვილო, მუშაობდა სოფ. ზემო ბარღებში საწარმოო ბრიგადის ბრიგადირად. 1993 წ. 25 დეკემბრიდან დაკარგულია უგზო-უკვლოდ.



შარია ციური ხარიტონის ას დაბ. 1937 წ. 2.08.

ქართველი, უმაღლესი განათლებით, 56 წლის. მუშაობდა ქ. სოხუმში მასწავლებლად. 1993 წლის 27 სექტემბერს დახვრეტილ იქნა საკუთარი სახლის წინ.

ჩაფრავა ჟორჟი ვანოს ძე დაბ. 1936 წ. 20.01.

ქართველი, საშუალო განათლებით, 57 წლის, მუშაობდა სოფ. ზემო ბარღებში. 1993 წ. 29 დეკემბერს ჯერ აწამეს შემდეგ კი დახვრიტეს.



ძანძავა ვალიკო მაქსიმეს ძე დაბ. 1929 წ. 3.04.

ქართველი, საშ. სპეც-რი ვანათლებით, 66 წლის. მუშაობდა სოფ. ზემო ბარღების მეჩაიეობის მეურნეობაში რიგით ბუღალტრად. 1994 წლის 2 თებერვალს გზაზე მიმავალი დახვრიტეს.

ძანძავა რაჟდენი ნიაზბის ძე დაბ. 1971 წ. 30.05

ქართველი, საშუალო ვანათლებით, 22 წლის, მუშაობდა სოფ. ზემო ბარღებში. 1993 წ. 3.05. მოხალისედ წასული იბრძოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების 23-ე მექანიზირებული ბრიგადის გულრიფშის მე-6 სატანკო ბატალიონში. დაეცა მდინარე გუმისთასთან. იყო რიგითი ტანკისტი.

ძანძავა კაპიტონი ხუხუტის ძე დაბ. 1931 წ. 10. 03.

ქართველი, დაწყებითი ვანათლებით, 63 წლის. მუშაობდა სოფ. ზემო ბარღების ფერმაში. 1994 წ. 2 თებერვალს გზაზე მიმავალი დახვრიტეს თანასოფლელებთან ერთად.



ჭაავა დავითი ნოდარის ძე დაბ. 1963 წ. 3. 06.

ქართველი, დაწყებითი ვანათლებით, 31 წლის, ინვალიდი პენსიონერი. 1994 წ. 30 დეკემბერს გზაზე მიმავალი დახვრიტეს აფხაზებმა.

ჭაავა ნორადი ვლადიმერის ძე დაბ. 1936 წ. 20.01.
ქართველი, საშუალო განათლებით, 69 წლის, პენსიონერი, 1993 წ. 29. ნოემბერს მანქანაში დახვრიტეს აფხაზებმა.

ხასაია ტრისტანი ვიგონის ძე. დაბ. 1951 წ. 7.05.
ქართველი, საშუალო განათლებით, 47 წ. მუშაობდა ოჩამჩირის კოლხმშენში მექანიზატორად. 1993 წ. 10 აგვისტოს დაეცა სოხუმის მისადგომებთან. იყო მეორე საარმიო კორპუსის საარტილერიო პოლკის რიგითი.

ჯონჯუა კოსტია თენგიზის ძე. დაბ. 1919 წ. 14.05.
ქართველი, უმაღლესი განათლებით, 74 წლის, მუშაობდა ქ. ტყვარჩელში მაღაროს ინჟინრად. 1993 წ. 7 დეკემბერს დახვრეტილ იქნა აფხაზების მიერ.

გოგია გოჩა მურმანის ძე. სრულიად ახალგაზრდა დაიღუპა პარტიზანული ბრძოლების დროს 1997 წელს.

ს ა ბ ე რ ი ო ე ლ ე ბ ი

❖❖❖

აფხაზ სეპარატისტების მიერ 1994-1995 წლებში სრულიად უმიზეზოდ, დახვრეტილ იქნა ოთხი ადამიანი სოფელ საბერიოდან.

მარხულია იური ინდიკოს ძე დაბადებული 1965 წელს. საშუალი სპეციალური ვანათლებით, ენეურჰესის მუშა. 1994 წლის ივნისის თვეში ეზოს კართან აწამეს და დახვრიტეს.

❖❖❖

ხეცურიანი აბრამი ანდრიას ძე დაბადებული 1922 წელს, პენსიონერი, სამამულო ომის ინვალიდი. 1994 წლის შემოდგომაზე გაიყვანეს მდინარე ფომის სანაპიროზე. დახვრიტეს და ვადააგდეს მდინარეში, დღესაც არ არის ნაპოვნი.

❖❖❖

ტორუა მანანა ბოჩიას ასული დაბადებული 1968 წელს. ორი მცირეწლოვანი შვილების დედა საკუთარ სახლში ღამის საათებში ბანდიტური თავდასხმით დახვრიტეს.

ბაძაღუა ჯუმბერი ალიოშას ძე დაბადებული 1941 წელს, ენეურჰესის მუშა, ცოლშვილიანი, 1994 წლის შემოდგომაზე თავის სახლის წინ ეზად მიმავალი უმიზეზოდ დახვრიტეს.

❖❖❖

თ ა გ ი ლ ო ნ ე ლ ე ბ ი

❖❖❖

შარმავა ომარი დავითის ძე.

დაიბადა 1960 წლის 7 ოქტომბერს. საშ. სპეციალური ვანათლებით. ჰყავს ერთი მცირეწლოვანი ვოვონა. დახვრეტილი იქნა 1993 წლის 4 ოქტომბერს, მხეცურად დედის თვალწინ.

❖❖❖

არდაშელია რამაზი უჯუბის ძე დაიბადა 1943 წლის 28 ნოემბერს. საშ. სპეც. ვანათლებით. ჰყავს 2 შვილი. დახვრეტილ იქნა 1994 წლის 6 ავვისტოს.

❖❖❖



არდაშელია ინვერი უჯუბის ძე

დაიბადა 1941 წლის 3 ავვისტოს, ცოლშვილიანი.

ჰყავს 3 შვილი, მუშაობდა კოლმეურნეობა „საქართველოს“ უფროს ავრონომად. დახვრეტილ იქნა 1993 წლის 10 ოქტომბერს.

❖❖❖



ლეჟავა მამუკა არხიპოს ძე

დაიბადა 1962 წლის 8 დეკემბერს. უცოლშვილო, დახვრეტილ იქნა 1994 წლის 8 მარტს

❖❖❖



დარასელია მიშა შოთას ძე დაიბადა 1960 წელს საშ. ვანათლებით. დახვრეტილ იქნა 1993 წლის 11 ოქტომბერს.



არდაშელია ვაჟა დომეს ძე დაიბადა 1933 წლის 10 სექტემბერს. საშ. ტექნიკ. ვანათლებით, 3 შვილის მამა. დახვრეტილ იქნა 1993 წ. 13 ოქტომბერს.

აბლოთია ნიკოლოზ ალმასხანის ძე.

დაიბადა 1929 წლის 15 მარტს. ვანათლებით საშუალო სპეციალური ცოლშვილიანი. ჰყავს სამი შვილი. დახვრეტილ იქნა 1993 წლის 5 ოქტომბერს.



აბლოთია ვარლამ ლუკას ძე.

დაიბადა 1928 წლის 15 იანვარს. ცოლ-შვილიანი. ჰყავს სამი შვილი. დახვრეტილ იქნა 1993 წლის 4 ოქტომბერს.

გვალია-შუბლაძე ლუჩიკო საშსონის ასული დაიბადა 1947 წლის მარტში.

საშუალო განათლებით. ჰყავს ორი შვილი. დახვრეტილ იქნა 1993 წლის 3 ოქტომბერს.

ჯონჯუა არდევანი მუჭულის ძე დაიბადა 1920 წლის 7 მარტს. განათლებით საშუალო სპეციალური. ცოლ-შვილიანი 4 შვილის მამა, დახვრეტილ იქნა 1993 წ. 4 ოქტომბერს.



ორჯონია ბოდოლი ევგენის ძე დაიბადა 1926 წ. 2 თებერვალს. განათლება—არასრული საშუალო, ცოლშვილიანი—ჰყავს 6 შვილი.

ნაღმზე აფეთქდა 1995 წ. 14 სექტემბერს.



შარია ქსენია ილიას ასული დაბადებული 1926 წელს, უმაღლესი განათლებით, თავილონის საშ. სკოლის ფილოლოგიის მასწავლებელი. მოკლულ იქნა თავში ავტომატის კონდახის ჩარტყმით.

ბენდელავა გრამიტონ იონას ძე, დაბადებული 1929 წელს. თაგილონის კ-ბა „საქართველოს“ ბუღალტერი. დახვრეტილ იქნა 1994 წლის 10 ნოემბერს.



ტოკლიკიშვილი ზინა, დაბადებ. 1931 წელს—მეაბრეშუმე, დახვრეტილ იქნა ქალიშვილის წინ, მასთან ერთად დახვრიტეს სიძე და მეუღლე.

ანთელავა შოთა დაბად. 1929 წელს კოლმეურნე, დახვრეტილ იქნა—მეუღლე, ტოკლიკიშვილი ზინა და სიძესთან ერთად ქალიშვილისა და შვილიშვილების თვალწინ.



არდაშელია ლუდა—სოფელში აფხაზი სეპარატისტების შემოსვლის შემდეგ დაკარგულია უგზო-უკვლოდ.



არდაშელია გოჩა ბიჭიკოს ძე, დაბადებული 1971 წელს. დაკარგულია უგზო-უკვლოდ აფხაზი სეპარატისტების შემოსვლის შემდეგ.

ოტობაიელები

კვიტია ვარდენი ბაგრატის ძე, დაბ. 1954 წ. 11 იანვარს აფხაზმა მეომრებმა სასტიკად ცემეს, მეორე სართულიდან ვადმოაგდეს. დამტვრეულ-დასახიჩრებულს წამებაში აღმოხდა სული 1994 წ. 29 სექტემბერს.

ვ.ბ. კვიტია იყო უპატიოსნესი და ერთ-ერთი საყვარელი პიროვნება სოფ. ოტობაიაში. იგი წლების ვანმავლობაში მუშაობდა საწარმოო პრივადის ბრიგადირად და ეწეოდა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას.

შენგელია აკაკი ტერენტის ძე, დაბ. 1927 წელს მოკლეს .... შემდეგ ცოცხალ-მკვდარი შეავდეს საკუთარ სახლში, წაუკიდეს ცეცხლი და სახლში ჩაწვეს.

ა. ტ. შენგელია იყო დამსახურებული მასწავლებელი. იგი როგორც მრავალი თაობის აღმზრდელი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა სოფელში, წლების ვანმავლობაში იყო სასწ. ნაწილის ვამგე.

თორდუა სამსონი ქიბას ძე, დაბ. 1909 წელს, მოკლეს აფხაზ სეპარატისტებმა 1993 წ. 8 დეკემბერს დიდი წამებით. საკუთარ სახლში შეავდეს და დაწვეს სახლთან ერთად 82 წლის მოხუცი.

ს. ქ. თორდუა სოფელში სარგებლობდა მაღალი ავტორიტეტით. წლების ვანმავლობაში ეწეოდა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას.

წარაღბაია ზაური ვალიკოს ძე, დაბადებული 1951 წ. 16 ივლისს. აფხაზმა სეპარატისტებმა სასტიკად ცემეს და წამებით დაიღუპა 1994 წ. 16 ივლისს. ის იყო წესიერი და მშრომელი მეოჯახე კაცი. კარვად იყო დაუფლებული ტელევიზორის ხელოსნის პროფესიას და მადლიერი ჰყავდა მომხმარებელი.



გითოლენდია ოთარი კოლიას ძე, დაბადებული 1956 წელს. იგი სასტიკად ცემეს და ცოცხლად დამარხეს. იყო კარვი სპორტსმენი და წესიერი ახალგაზრდა. სარგებლობდა პატივისცემითა და სიყვარულით.

ნ ა ბ ა კ ე ვ ე ლ ე ბ ი

❖❖❖

აბსანძე რევაზი ერმილეს ძე, დაბადებული 1955 წელს ნაბაკევში. საშუალო განათლებით, დარჩა 3 მცირეწლოვანი ბავშვი. მკვდარი იპოვეს საკუთარ სახლთან ახლოს.



ბელქანია გელა დაზმერის ძე, დაბადებული 1972 წელს, ნაბაკევში. სწავლობდა თბილისის პოლიციის უმაღლეს სკოლაში. საიდანაც წაიყვანეს ვაგრაში საბრძოლველად. სადაც აფხაზმა ბოევიკებმა იგი ვერაგულად ამოსალმეს სიცოცხლეს.

ბერაია მოგელი ამროზის ძე, დაბადებული 1955 წელს. ნაბაკევში. ყავს ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი. აფხაზებმა იგი საკუთარ სახლთან ახლოს ცოცხლად აწამეს და შემდეგ 100-მდე ტყვია ესროლეს.

❖❖❖



დარსანია გოგი ლაითას ძე, დაბადებული 1958 წელს, ნაბაკევში. მოკლულ იქნა საკუთარ სახლში. ვარდაცვალების შემდეგ შეეძინა ერთადერთი ვაჟი—პატარა ვოვი.

❖❖❖

ეხვაია მიხეილი ტარასის ძე, დაბადებული 1932 წელს, ნაბაკევში. ჰყავს შვილები და შვილიშვილები. მოკლეს საკუთარ სახლთან ახლოს.



ესათია დემური ბოჩიას ძე, დაბადებული 1963 წელს, ნაბაკევში. შეიპყრეს თავის მეზობელ ზურაბ ძიეუასთან ერთად. წაიყვანეს სოფ. მეგობრობაში. სადაც ისინი დახვრიტეს. ვვამი ნაპოვნი იქნა 2 წლის შემდეგ. ჰყავს მცირეწლოვანი ბავშვი.

ეხვაია რევაზი შალვას ძე, დაბადებული 1942 წელს, ნაბაკევში. დარჩა 7 მცირეწლოვანი ბავშვი. მოკლულ იქნა ღალიძასთან.

თოდუა სერაპიონი გიორგის ძე, დაბადებული 1928 წელს ნაბაკევში. საკუთარ სახლში ნაცემი, ურმით წაიღეს მეზობლის სახლში, რომელსაც ცეცხლი მოუკიდეს და შიგ ჩაწვეს. ჰყავს 7 შვილი და შვილიშვილები.



თორია ალიოშა ვანოს ძე, დაბადებული 1915 წელს, ნაბაკევში. სპეციალობით—ეკონომისტი. მოკლეს სოფელ კოკში (ხურჩა).



თორია მურთაზი ვანჩქას ძე, დაბადებული 1945 წელს, ნაბაკევში. ცოლ-შვილიანი. მოკლეს სოფელ ხურჩაში (კოკი).

იზორია ჩიტი დავითის ძე, დაბადებული 1945 წელს, ნაბაკევში. იპოვეს საკუთარ სახლთან ახლოს მდინარეში ვადაგდებული, იეი ავტომატით იყო დაცხრილული. დარჩა ცოლ-შვილი.

კუპრავა მეგონა დომენტის ძე, დაბადებული 1939 წელს. ნაბაკევში. მოკლულ იქნა საკუთარ სახლში. დარჩა ცოლ-შვილი.

კვარცხალაია მამუკა ნოდარის ძე, დაბადებული 1963 წელს, ნაბაკევში. უცოლო. შეიპყრეს საკუთარ სახლთან, აკიდეს მძიმე ტეირთი, ათრევინეს სოფ. მევობრობამდე. ცოცხლად გამოჭრეს კისერი.



კუპრავა რევაზი ჭიჭის ძე, დაბადებული 1949 წელს ნაბაკევში. სპეციალობით—ინჟინერ-მექანიზატორი. ყავს სამი მცირეწლოვანი ბავშვი. ივი საკუთარ სახლში შეიპყრეს აფხაზებმა. ჯერ ცემეს, შემდეგ კი რეზინის ჩექმებში სალიარი ჩაუსხეს და ცეცხლი მოუკიდეს. ბოლოს ავტომატიც ესროლეს. კუპრავა რევაზი იპოვეს 1 თვის შემდეგ ღორის მიერ დასახიჩრებული.

კუპრავა რუზგენი ჭიჭის ძე, დაბადებული 1956 წელს ნაბაკევში. სპეციალობით: ინჟინერ-მექანიზატორი. ყავს ორი მცირეწლოვანი ბავშვი. ივივე პირობებში იქნა წამებული. როგორც მისი ძმა რევაზი.

კუპრავა ოთარი ჭიჭის ძე, დაბადებული 1958 წელს, ნაბაკევში. საშუალო განათლებით. უცოლო. ივივე პირობებში იქნა წამებული, როგორც მისი ძმები რევაზი და რუზგენი.

სიგუა დემური ვალიკოს ძე, დაბადებული 1963 წელს. ნაბაკევში. საშუალო-ვანათლებით. საკუთარ სახლში ცოცხლად ვამოჭრეს კისერი.



ფომინა ალა კოლიას ასული, დაბადებული 1945 წელს. მცხოვრები ნაბაკევში. მოკლეს საკუთარ სახლში.



ფაცაცია ირონდი ივანეს ძე, დაბადებული 1910 წელს, ნაბაკევში. ღრმად მოხუცი ჯერ აწამეს, მერე საკუთარ სახლში ჩაწვეს.

ქარდავა იაშა დომეს ძე, დაბადებული 1936 წელს. ნაბაკევში. ჰყავს შვილები და შვილიშვილები. მოკლულ იქნა აფხაზეთის შემოსვლის პირველსავე დღეს, საკუთარ ჭიშკართან.

მესხია კრიმიტო კოწის ძე, დაბადებული 1934 წელს, ნაბაკევში. მიცვალებულის ეკამი ამოათხრევინეს ადგილზე და თვითონ ჩამარხეს. დარჩა ცოლ-შვილი.



ნარმანია ნანკო ორესტის ძე, დაბადებული 1942 წელს, ნაბაკევში. ცოლ-შვილიანი. მოკლეს საკუთარ სახლთან ახლოს.

როსტობაია ანატოლი დამიანეს ძე. დაბადებული 1960 წელს, ნაბაკევში. საშუალო ეანათლებით, დარჩა 3 მცირეწლოვანი პავშვი. დაჭრეს ტამიშთან საბრძოლო მოქმედების დროს. ეარდაიცვალა ერთი თვის შემდეგ.

სიგუა ვალიკო ბაგალის ძე, დაბადებული 1921 წელს, ნაბაკევში. პენსიონერი. საკუთარი თვალით ნახა, თუ როგორ ჭრიდნენ კისერს თავის ავადმყოფ შვილს—დემურის. ამის მოთმენა ვერ შეძლო და წინააღმდეგობა ვაუწია მტერს, რომლებმაც ივი ავტომატით დაცხრილეს.

ქარდავა პატრიკი მიხას ძე, დაბადებული 1931 წელს, ნაბაკევში. ჰყავს 7 შვილი და შვილიშვილები. აფეთქებული იქნა მანქანაში.



ცქვიტარია შალიკო კაპიტონის ძე, დაბადებული 1935 წელს, ნაბაკევში. დარჩა ცოლ–შვილი. მოკლეს საკუთარ სახლში.

ძიგუა ზურაბი მირიანეს ძე, დაბადებული 1963 წელს ნაბაკევში. მექანიზატორი, უცოლშვილო. აფხაზებმა აიყვანეს ტყვედ, მოკლეს სოფელ მეოპრობაში, მის მეზობლად მცხოვრებ დემურ ესათიასთან ერთად. მისი ვვამი ნაპოვნი იქნა 2 წლის შემდეგ.

ოქუმელები

ჯემალ აჩიკოს ძე ბულისკერია

ჯერიკო ლევტერის ძე ბულისკერია

ძმები: ომარი (მარცხნივ) და ავთო კუკურის ძე ბულისკერიები

ნური არტემის ძე ბახია

შუქრი აპოლონის ძე გოგოხია

ნელი აკაკის ასული გერგაია

აკაკი სევერიანეს ძე გურგულია

მერი ვალოდიას ასული თვართვაია

ამირან ჯოდოს ძე თოდუა

ნოშრევან კუკურის ძე კაკუბავა

შალვა ლუკას ძე კოზმავა

მარინა (ხათუნა)
ირაკლის ასული კოზმავა

ალმა გაბრიელის ძე ლაცუზბაია



ცოლ-ქმარი: ნათელა ძვაფილას ასული კოზმავა და ალიოშა მიხეილის ძე
კოზმავა (დახვრიტეს საკუთარ ეზოში)

ლევარსა გუჯას ძე ლაცუზბაია

ტერენტი გაჯის ძე სიგინავა

დები: ნინო და ნატო რუსლანის ასული პოლეტაევები

ნათელა ტერენტის ასული მელაია

იურა ირეოდის ძე ფარულავა

ოთარი სევერიანის ძე ქვაჩახია

ბოჩია ივანეს ძე ქვაჩახია

კუკური შალვას ძე შონია

მუშნი ჯარნაზის ძე შამათავა

კლარა ბადრის ასული შონია

ომისტერი სოფრომის ძე წირღვავა

ცოლ-ქმარი: ფედოსია იბლოს ასული ჯონჯუა და ჯაჯი ბეჩუს ძე ჯონჯუა

და-ძმები: ვალია, შოთა (მარცხნივ) და ჟორჟი (გიორგი) ცაცუები ჩაწვეს სამივე ერთად ჟორჟის სახლში, 1994 წლის თებერვლის თვეში

ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ცაცუა

ზაური ღუდას ძე ჯანჯულია

ალიოშა კიტოს ძე ჯგუბურია

იროდი გიორგის ძე ჯანელიძე

რუდიკ ათოშას ძე ჯუმუტია

ჯუბურხინჯელები

რაფიელ მიშას ძე აბლოთია

ალიოშა სპირიდონის ძე ბაძაღუა

ბიძინა ბესარიონის ძე გუჯეჯიანი

ოთარი ლუდუკის ძე გვაჯავა

ძმები: გიგლა და ბესიკ გოგოხიები

გენო ლუშიკოს ძე გვაჯავა

გარიკო ვაჟას ძე მარშავა

სერაპიონი შალვას ძე კაკუბავა

ჯუმბერი ტარას ძე ქაჯაია

ტიგრანი რამინის ძე მანია

ვასო ჯანსუღის ძე ქორთუა

ბოჩია მურადის ძე ყოლბაია

გენო ამირანის ძე ყოლბაია



მურმანი გუძიას ძე ყოლბაია



მირიან მიხეილის ძე ყოლბაია

კაპიტონ გიორგის ძე ყოლბაია
(სამამულო ომის ვეტერანი)

შურა ხიპის ასული ცაცუა

ეთერი მირიანის ასული ცაცუა



ჯენერი ნოეს ძე ცაცუა

რეზო ნიკოლოზის ძე ჯახია

იპოლიტე გვაგვას ძე ძანძავა

რ ე ფ ე ლ ე ბ ი



ძმები: ფრიდონ (მარცხნივ) და რაული მოროხიები

პაატა ოთარის ძე შენგელია

ოთარი კაპიტონის ძე შენგელია

ბესიკი მირიანის ძე გოგოხია

ს ი დ ე ლ ე ბ ი

რომანი ზურიკოს ძე შონია დაბადებული 1977 წელს,
მოკლული იქნა 1994 წლის 26 მაისს

ნოდარი ნესტორის ძე ქობალია — 1994 წლის 26 აპრილს
წამებით იქნა მოკლული აფხაზი ბოევიკების მიერ საკუთარ სახლში

იროდიონ დიტოს ძე აბრალავა

რაული ჩხვირკია

მამა-შვილი: დავითი ხარიტონის ძე კვაშილავა (64 წლის), ჯუსტანი
დავითის ძე კვაშილავა (41 წლის)
დახვრიტეს ერთად 1993 წელს.

მამა-შვილი: დავითი სოლომონის ძე რუხაია (დახვრიტეს სახლში), ალიოშა დავითის ძე რუხაია (დაიკარგა უგზო-უკვლოდ).

ქულია ჩაჩხალია

რამინი აკაკის ძე ჩხაპელია

დავითი კონსტანტინეს ძე ლატარია

თალიკო იოსების ასული ჩხვირკია-აკიშბაია

ფ ი ჩ ო რ ე ლ ე ბ ი

თალიკო აქუბარდია

ლადო სერგოს ძე აქუბარდია

მალხაზი გივის ძე ბულია

ვალოდია ჯოტოს ძე გოგოხია

მანერა გოგოხია

გულადი კაპიტოს ძე მორგოშია

ვალერი გრიშას ძე ნაყოფია

ბონდო აბელის ძე ჯინჯოლია

გორა ზურიკოს ძე შენგელია

ავთანდილ ჯაფარიძე

მუხურელები

გულიკო ტაშის ძე გეგია

აპალონი ხარიტონის ძე ჭკადუა

ლუმურიშელი

რობერტი გურამის ძე ზუხბაია
(დაბ. 1965 წ)

ქვემო ბარღებელები



ჰუტა თათაოზის ძე ჭაავა დაიბადა 1910 წელს სოფელ ქვემო ბარღებში. დაამთავრა ზემო ბარღების შვიდწლიანი სკოლა და მუშაობა დაიწყო ქვემო ბარღების კოლმეურნეობაში.

1941 წელს გაიწვიეს დიდ სამამულო ომში. 1941-43 წლებში ბრძოლის დროს სამჯერ მიიღო მძიმე ჭრილობა. მონაწილეობას ღებულობდა ბელორუსიის მიწა-წყლის დაცვაში; დაჯილდოებულია სამი მედლით. ომის დამთავრების შემდეგ ჰუტა დაუბრუნდა მშობლიურ ოჯახს. სოფელში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით.

აფხაზმა ბოევიკებმა დაუნდობლად დახვრიტეს ეს დიდებული ადამიანიც.

ძმები: გივი (გია) და ვალერიან რეზოს ძე შენგელიები



ფრიდონ ლუკავა

ბუნი ქალაქი, თუმცა დანაცრეს
ვერ დაამიტეს,
რადგან თეთრ ალს თავიდანვე ჩადგმული
შეკვეცეს...
იკითხავ ქალაქს ვინ ჩაუდგა ალითი თეთრ,
ათას რბოლას და ათიათას ნგრევას რომ ეძლევმს?..
მას ხომ ხალთეტლად ალალი
ხალხის ძალ-ღონე ეტეკა...
აი, რად ართის ალე შეკვეცე ქალაქის თეთრ

ქალაქი დღეს...



გალის ქალაქის საბჭოს შენობა



ქალაქის ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლი



კოლხიდშშენის კანტორა



საკონსერვო ქარხნის ადმინისტრაციული შენობა



აი, რა დარჩა აჩიგვარელი ინგიშურ ნარმანიას დიდებული სახლიდან.



ქალაქის ერთ-ერთი წარმოების შენობა



საკონსერვო ქარხნის ნაშთი



აი, რა დარჩა მზიურის ჩაის ფაბრიკიდან



ჩაის გადამწონი ფაბრიკა



გალის №2 საშუალო სკოლა



რკინიგზის ხიდი მდინარე ერიწყარზე

უტყვიოდ დახოცილები

აფხაზეთის ომით თავსდატეხილმა უბედურებამ—სამშვიდობოს ვადასული ბევრი ღირსეული მამულიშვილის სიცოცხლეც შეიწირა. მართალია, ისინი დროებით ვანერიდნენ ვანსაცდელს, ოხერითა და ცრემლებით დატოვეს მშობლიური მიწა-წყალი, სამშვიდობოს ვააღწიეს, მაგრამ მათთვის დაიწყო ლოდინის, წამებისა და ტანჯვის უსასრულო დღეები, ისინი ხომ ფიქრებითა და ვონებით მუდამ საკუთარ სახლში იყვნენ. უნებურად მოვაგონდებათ ბედის უკუღმართობით უცხოეთში გადახვეწილი, პარიზის მახლობლად, დაბა ლევილის საძმო სასაფლაოზე დამარხული ემიგრანტის ნიკოლოზ (კოკი) დადიანის საფლავის ქვაზე ვაკეთებული წარწერა: „ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“.

დეენილთათვის ვაუსაძლისი იყო იმის ვაფიქრებაც, რომ მათი წინაპრებისა და პირადად მათი ნაშრომ-ნაღვაწით შექმნილი სიმდიდრე, მათი კოპწია სახლები და ეზო-კარი ვიღაც ვადამთიელთა სათარეშო და საკვიკვნი ვახდა. მიჰქონდათ და მიჰქონდათ ყველაფერი, მაინც რჩებოდა რაღაც-რაღაცეები: რა ყოფილა ეს ვალის რაიონი, საიდან ამდენი დოვლათიო,—უკვირდათ მტაცებლებს. იმაზე კი არ ფიქრობდნენ, რომ ეს სიმდიდრე საუკუნოობით თავდადებული შრომითა და ოფლით იყო შექმნილი. მიჰქონდათ და მიჰქონდათ...რაც რჩებოდათ, ცეცხლს უკიდებდნენ, ყველაფერს ანადგურებდნენ. „ავმა ძაღლმა არც თვითონ ჭამა, არც სხვას აჭამაო“.

ვერ აიტანა ბარბაროსთა ეს ვერაგობა, ვერ ვაუძლო ბევრი ვალელის ვულმა ბედის ამ უკუღმართ ტრიალს.

მაკარი ბახულის ძე ასვანუა—მთელს აფხაზეთსა და საქართველოში ცნობილი კაცი, ერის ღირსეული შვილი, ვალის რაიონის პედაგოგიური ინტელიგენციის ერთ-ერთი პატრიარქი და თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი, დიდებული ოჯახის მეთაური და ღირსეული შვილების მამა.

ბატონი მაკარის პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო 1934 წლიდან, იგი თითქმის 61 წელი ემსახურა ახალგაზრდობის აღზრდის საპატიო საქმეს. წლების განმავლობაში მუშაობდა საბერიოს, აჩიგვარის, ვალის №4 საშუალო სკოლების დირექტორად, არჩეული იყო რაიონის პედაგოგიური საზოგადოების თავმჯდომარედ, ეწეოდა მეცნიერულ მუშაობას.

იგი ავტორია რამდენიმე ნაშრომისა პედაგოგიკისა და ისტორიის საკითხებზე.

ახალგაზრდობის აღზრდასა და პედაგოგიურ მეცნიერებაში დამსახურებისათვის ბატონ მაკარს ორჯერ მიენიჭა ი. ეოგეებაშვილის სახელობის პრემია, იყო ნ. კრუპსკაიას სახელობის პრემიის ლაურეატი.

მისი ცხოვრების მთავარი პრინციპი იყო მორალური სისპეტაკე და ხალხის უანგარო სამსახური, იგი თავისი მამა-შვილური ტკბილი სიტყვებითა და დარიგებებით „ახსნილსაც დააბამდა". მისი თაობის ხალხს მარად გვეხსომება მისი ზეპირი თუ წერილობითი გამოსვლები, სადაც ყოველგვარი ტენდენციურობის გარეშე რეალურად იყო წარმოდგენილი დაყენებული საკითხების გადაწყვეტის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი და გზები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი უმდიდრესი ბიბლიოთეკა. იგი ხომ სულ მუდამ ფუტკარივით არ სცილდებოდა წიგნის მაღაზიას, ქვეყნის რომელი კუთხიდან არ უგზავნიდნენ წიგნებს ეამოწერით. და, აი, ეს აურაცხელი სიმდიდრე ათეული ათასობით წიგნი და მისი ულამაზესი სახლიც ხანძარს მისცეს. რა გული ეაუძლებდა ამას. რაოდენ დასანანია, რომ ჩვენ, მისმა მოწაფეებმა, საფლავამდეც ვერ მივაცილეთ ამ ძვირფასი ადამიანის ცხედარი.

კაპიტონ ბეგლარის ძე ელიავა—ერთ-ერთი ღირსეული მამულიშვილი, ღიმილისა და სითბოს კაცი. ვეებერთელა გამოცდილებისა და პრაქტიკის მქონე, კეთილშობილი პიროვნება, საზოგადოების ღირსეული წინამძღოლი, დიდებული მასპინძელი და სასურველი სტუმარი, კარგი ოჯახის პატრონი და შეუდარებელი მამა.

ბატონი კაპიტონი მთელი ოცდაათი წელი ხელმძღვანელობდა სოფელ მუხურის ეკეუბურიას სახელობის კოლმეურნეობას, ხელმძღვანელობდა სასახელოდ. ეს კოლმეურნეობა ერთ-ერთი სანიმუშო იყო მთელს რესპუბლიკაში. კოლმეურნეობის სათუთად მოვლილი ვენახის, ციტრუსების, ფეიხოიის ნარგავები, ბრწყინვალედ დამუშავებული ერთწლიანი კულტურები და, რაც მთავარია, მთელს რესპუბლიკაში სანიმუშო მეცხოველეობის ფერმა ავ თვალს არ დაენახვებოდა, ყველაფერი ეს მიღწეული იყო კაპიტონის ხელმძღვანელობით. თითოეული კოლმეურნისათვის ის იყო მამა და დამრიგებელი, მათზე მზრუნველი, გაჭირვების დროს ვერდით მდგომი. სწორედ ამიტომ უყვარდათ და პატივს სცემდნენ მას. იგი არაერთხელ იქნა დაჯილდოებული საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ბატონმა კაპიტონმა ბევრი ღირსეული ახალგაზრდა გამოზარდა. საკმარისია დავასახელოთ შოთა შარანგიას სახელი. იგი ხომ ბავშვობიდან-

ეე კაპიტონთან მუშაობდა, მასთან ეაიზარდა და დავაჟკაცდა (რასაც ძალიან ხშირად თვითონაც უსვამდა ხაზს). შემდეომში შოთა რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე, ხოლო ბოლოს საქართველოს კომპარტიის ეალის რაიკომის პირველი მდივანი ეახდა.

ვინ მოსთვლის ბატონ კაპიტონს რამდენი კაცისათვის და.თვით აფხაზი მეეობრებისათვის ეაუწოდებია ძმური ხელი, რამდენისათვის ეაუწეეია გულუხვი მასპინძლობა. რას იფიქრებდა ეს ცხოვრების ეამოცდილებითა და ორდენ-მედლებით დახუნძლული კაცი, რომ მას საკუთარი სახლიდან გახიზვნა მოუწევდა, რომ მისი მოძმე აფხაზი აიძულებდა, დაეტოვებინა საკუთარი სახლ-კარი.

მოსკოვში ეარდაიცვალა ბატონი კაპიტონი, მისი ეარდაცვალებიდან ოთხი წელი ეავიდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა მისი ნეშტის ეადასვენება მამა-პაპათა საძვალეში, ივი ზუედიდის რაიონის სოფელ ახალი აბასთუმნის სასაფლაოში ეანისვენებს.

ეალის რაიონის მცხოვრებლები არასდროს დაივიწყებენ ღირსეული მამულიშვილის ოთარ გიორგის ძე ზუხბაიას სახელს.

ოთარის მამა ბატონი ვიორვი (ვოვი) მთელს რესპუბლიკაში ცნობილი ექიმ-თერაპეეტი იყო, ექიმი იყო მისი დედაც—თინა .ხუროძე, დედისაეან მისი ბაბუაა ეამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოეადო მოღვაწე ეარლამ მალაქიაშვილი.

ბატონმა ოთარმა 1963 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, შემდეგ კი—ქ. მოსკოვში საზოეადოებრივ მეცნიერებათა აკადემია.

თავდაპირველად ივი საპროეექტო ინსტიტუტში მუშაობდა. 1974 წლიდან 1991 წლამდე კი რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორეანოებშია სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე, მუშაობდა საქართველოს კპ ცკ-ის აპარატში, საქართველოს კპ ეალის რაიკომის პირველ მდივნად, საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად, აფხაზეთის ა.რ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, საქართველოს მინისტრთა საბჭოს საეანეებო სიტუაციების ეანყოფილების ეამეედ. 1991 წლიდან გარდაცვალებამდე ივი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე.

ბატონი ოთარი არჩეული იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეათე და მეთერთმეტე მოწვევის, საქართველოს უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევისა და სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ასევე არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრად. ივი იყო მეტად ზრდილი, უბრალო, თბილი, თანაც პრინციპული და მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვების მიმართ.

რთულ და დაძაბულ პერიოდში მოუხდა მას მუშაობა აფხაზეთის მი-

ნისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. მიუხედავად ამისა დროის ამ მონაკვეთში აფხაზეთში ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა, აშენდა და მწყობრში ჩადგა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ობიექტი.

პატონი ოთარი მტკიცედ იდგა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საუკეთესო ტრადიციების საფარაჯოზე. იგი უაღრესად პრინციპული და უკომპრომისო იყო სეპარატიზმის ყოველგვარ ეამოვლინებასთან მიმართებაში.

ლიხნის 1989 წლის მარტის შეკრებაზე ბატონმა ოთარმა მტკიცედ გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება აფხაზ სეპარატისტთა უსაფუძვლო მოთხოვნებზე და პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად დატოვა სეპარატისტთა მიერ მოწყობილი მრავალათასიანი მიტინგი.

ბატონი ოთარი მძიმედ განიცდიდა აფხაზეთის ტრაგედიას, სწორედ ამ ტრაგედიამ დააჩქარა მისი სიკვდილი. მას თან გაჰყვა დიდი დარდი და ტკივილი აფხაზეთის დაკარგვისა, სურვილი მშობლიურ მიწაზე, გალის რაიონში, მამა-პაპათა ეკერდით დამარხვისა.

დიდი სიყვარულითა და მუხლმოდრეკით ვვინდა მოვიხსენიოთ ჩვენთვის, ყველასათვის საყვარელი კაცი კარლო ბასარია. იგი დაიბადა და გაიზარდა ქ. გალში, სპეციალობით იყო იურისტი, შექმნა დიდებული ოჯახი, ეამოზარდა ორი სასახელო შვილი—ქალიშვილი მანანა ექიმია, ვაჟიშვილი მერაბი კი —იურისტი. მუშაობდა საყოფაცხოვრებო მომსახურეობის კომბინატის უფროსად, აჩიკვარის სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარედ, აფხაზეთის იუსტიციის სამინისტროში. იყო ეულღია და უღალატო კაცი, ბევრი კეთილი საქმის წამომწყები და შემსრულებელი. აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ ერთხანს თბილისსა და ქუთაისში ცხოვრობდა, შემდეგ ეულმა ვერ მოუთმინა და გალში გადავიდა, იქ ხომ მშობელი დედა ეგულებოდა. არაერთგზის მიაყენეს შეურაცხყოფა, ერთხელ მდინარე ენეურზე გადასვლისას წყალშიც კი ჩავარდა და კინაღამ დაიხრჩო. ვერ დასძლია უბედური ხვედრი, გაუმწარდა სიბერე, იმარჯვა ბორიტებამ. წავიდა ჩვენგან ჩვენი თაობის კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელი;

მთელს პირველ გალსა და გალის რაიონში „პატონ კოჩის“ ეძახდნენ ერასტო აბაშიას. მან ეს სახელი შრომით, პატიოსნებით, გულუხვობით, კარვი შვილების აღზრდით დაიმსახურა. ცხოვრობდნენ აბაშიები სოფლის ერთ-ერთ ულამაზეს ეორაკზე. ღმერთს თითქოს კალთები იმ ადგილზე დაებერტყოს, ყველაფერი უხვად მოდიოდა. მიწა იყო მეტად ნოყიერი, ადგილი იყო მეტად მზიანი და მხოლოდ შრომა და გარჯა იყო საჭირო ბედნიერების მოსაპოვებლად. შრომა-გარჯაში კი ისინი უპირველესნი იყვნენ.

ბატონ ერასტოს ოთხი ვაჟკაცი და ერთი ქალიშვილი ჰყავდა, ყველა-

ნი დაფრთიანდნენ, ოჯახები შექმნეს, ვამრავლდნენ, მაგრამ თითქოს ეშმაკს არ ეძინა. დაიწყო დიდი სამამულო ომი. 1941 წელს, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე წავიდა ომში ოჯახის უფროსი შვილი პარმენ აბაშია. ბევრი იომა, ცოცხალი დაბრუნდა იქიდან, მაგრამ მარჯვენა ხელის ვარეშე. შემდეგ სწავლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, დიპლომის მიღება, შემდეგ ბატონი პარმენი ათეული წლები მუშაობდა ვალის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ, ბოლო დროს იყო სახელმწიფო ნოტარიუსი, ცხოვრობდა ქ. ვალში, შეხაროდა შვილებსა და შვილიშვილებს.

პარმენის ცხოვრებაში უზარმაზარი თავზარი იყო მისი ძმის იაშას მოულოდნელი ვარდაცვალება. იმ ჯოჯოხეთ დღეს, ვალიდან რომ ხალხი აიყარა, იაშაც სხვებთან ერთად მიდიოდა ზუგდიდისაკენ, ძლივს დაუსხლტა ხელიდან აფხაზებს, ეზაზე ენგურის ხიდზე ვადასვლის მომენტში ვულმა უღალატა და მანქანაშივე ვარდაიცვალა, ამას დაემატა ცნობა, რომ აფხაზმა ბოევიკებმა ვალში, საკუთარ სახლში, დახვრიტეს პარმენის მეორე ძმა ვალიკო. ვერ ვაუძლო ვულმა და ნერვებმა ამდენ ვანცდებს და ბატონი პარმენიც ვარდაიცვალა. ერასტო აბაშიას ოთხი მერცხალა ბიჭიდან სამი ამ უგუნურ ომს შეეწირა.

კიდევ ერთ ღირსეულ მამულიშვილს შემოაღამდა ხიზნობაში ყოფნის დროს. ეს კაცია ცნობილი იურისტი კაპიტონ სიკოს ძე შამათავა. იკი 1963 წლიდან მუშაობდა ვალის რაიონის პროკურორის თანაშემწედ, იყო უბრალო, მეტად საქმიანი და პრინციპული, თავის საქმეს აკეთებდა ყოველვვარი ზედმეტი ხმაურის ვარეშე, ვასაოცარია, რომ პროკურორ კაცს არავინ ემდუროდა, თვით დამნაშავენიც კი, ალბათ იმიტომ, რომ კაპიტონის საქმიანობაში ვამორიცხული იყო უსამართლობა, ადამიანის დაჩაგვრა; ხუთი ღირსეული შვილი აღუზარდა მან ქვეყანას, ყველას ასწავლა, დაასახლა, ეზაზე დააყენა.

ვასო ნაყოფია—მეტად საპატიო და საპატივცემულო პიროვნება, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, დიდებული ინტელიგენტი, საზოვადო კაცი, სამაგალითო ოჯახის პატრონი და ღირსეული შვილების ვამზრდელი. ბატონი ვასო ათეული წლების ვანმაელობაში ხელმძღვანელობდა რაიონში ჯერ სამომხმარებლო ორგანიზაციას, მერე კი—დამზადების კანტორას. მიუხედავად სამუშაოს ადგილისა და სახისა, მის ადამიანურ ღირსებებს უბრალო ლაქაც არ მისცხებია არასდროს.

რაოდენ დასანანია, რომ ეს დიდებული კაცი საკუთარ ეზოში დატირებას და მამა-პაპათა საძვალეში დამარხვას ვერ ეღირსა.

არ შეგვიძლია არ ვავიხსენოთ სოფელ რეფის მკვიდრი ბეჟან კილანავა. ეს კაცი იყო შეუდარებლად ლამაზი ადამიანი სულიერად და ხორციელადაც. სკოლაში შესანიშნავად სწავლობდა, ჯარში იმსახურა, ჯარი-

დან დაბრუნებული იმ წელსვე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ბრწყინვალედ სწავლობდა, უნივერსიტეტის პროფესორები ერთმანეთს ეცილებოდნენ, თუ ვისი ხელმძღვანელობით გაეერძელებინა ბეჟანს მეცნიერული კვლევა და მუშაობა. იგი პროფესორ ალექსანდრე ბარამიძესთან დარჩა და ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევას მიჰყო ხელი. ბევრი ახალი ფურცელი გამოამზეურა, სრულიად ახალგაზრდამ დაიცვა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მისი ნაშრომები რეგულარულად იბეჭდებოდა საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში. დაბეჭდილი აქვს ათამდე წიგნი. იყო უნივერსიტეტის დოცენტი, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის სარგებლობდა უზარმაზარი ავტორიტეტით. ამ არეულობის წინა თვეებში ბატონი ბეჟანი ჩამოვიდა ვალში, შემოვეჩივლა, რომ გამოსაცემად მზადა აქვს უაღრესად მაღალ მეცნიერულ დონეზე დაწერილი სამი წიგნი, რომელთა გამოცემას ვერ ახერხებს ეკონომიური ხელმოკლეობის გამო. წიგნების გამოსაცემად დახმარებას ითხოვდა მისი მშობელი კუთხისაგან. რაიონის ხელმძღვანელობისაგან თითქოს პირობაც იყო, რომ დაეხმარებოდნენ, მაგრამ შემდეგ მოხდა საშინაო არეულობა, რასაც ყველასათვის ცნობილი შედეგები მოჰყვა.

აღსანიშნავია, რომ ვალელთა ევაკუაციის დღეებში ბატონი ბეჟანი ტელევიზიის მეშვეობით რამდენიმე დღვნილს საკუთარ ბინაში ეპატიჟებოდა. იგი შეიძლება ეკონომიურად ღარიბად იყო, მაგრამ სულით—მდიდარზე მდიდარი, უანგარო და „უხვი“ გახლდათ.

ეს ანგელოზი კაციც არ დაინდო სიკვდილმა, კიდევ ერთი ღირსეული სამურზაყანოელისათვის ვაითხარა საფლავი თბილისში, ვაელას, რომ მისმა თაყვანისმცემლებმა მუხლი ვერ მოიდრიკეს მისი ცხედრის წინაშე. ცოდნა, რაც მან იმ სამყაროში წაიღო, ასი კაცისათვისაც კი იყო საკმარისი. ლეონარდო დავინჩის უბრძანებია: „—აზრიანად გატარებული ცხოვრება იძლევა მშვიდი სიკვდილის საშუალებასო“.

ბეჟან კილანავამ აზრიანად იცხოვრა, იგი მართალი იყო ღმერთისა და კაცის წინაშე. ძველი ეგვიპტელები ამისთანა კაცზე იტყოდნენ: „ის დიდია“,

ბიზნესმენებო! ბატონი ბეჟანის სამი წიგნი დღის სინათლეს ელოდება, ისინი თქვენ გელოდებათ, სიტყვა თქვენზეა!

აქვე მოვიხსენიებთ ბეჟანის სათაყვანო ბიძა კაცს ორდე კილანავას. ორდე იყო რიგითი მშრომელი, დიდებული ოჯახის პატრონი და ხელმძღვანელი, ათეულობით ყაედა ძროხა და კამეჩი, პურიც ჰქონდა და მარილიც. სტუმარი თავს ერჩივნა. სტუმრის ვამოჩენა მის კარზე ვანსაკუთრებული ზეიმი იყო მასპინძლისათვის. სოფლისკაცი, ჭირისა და

ლხინის აქტიური მონაწილე და მოთაველ, ეანთქმული ღვინის სმასა და თამადობაში. ეარდაიცვალა ზუვდიდში, ვერ ეღირსა ენახა საკუთარი სახლ-კარი, თუმცა რას ნახავდა, მისი სახლი ხომ პირწმინდად ეადაწ-ვეს აფხაზმა ბოევიკებმა.

არასოდეს არ მიეცემა დავიწყებას მთელი სამურზაყანოს საყვარელი და სათაყვანო კაცის ვალიკო სილოვანის ძე ძიგუას სახელი. ვალიკო დიდი სამამულო ომის მონაწილეა, ლენინგრადის ბლოკადის მთელი სიმძიმე ეამოიარა, მძიმე ჭრილობის ეამო დემობილიზირებული იქნა 1944 წლის მარტში, შემდეგ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, მერე მუშაობდა ეანათ-ლების სისტემაში, მუშაობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარედაც, ხანგრძლივი პერიოდი იმუშავა საქართველოს კპ ვალის რაიკომში ჯერ ინსტრუქტორად,. შემდეგ ავიტაცია-პროპაეანდის ეანყოფილების ეამ-ეედ. აქტიურად მონაწილეობდა პერიოდული პრესის მუშაობაში. მისი უაღრესად ნიჭიერად დაწერილი სტატიები რეეულარულად იბეჭდებოდა რესპუბლიკის ჟურნალ -ეაზეთებში. იყო მეტად ნაკითხი და ეანათ-ლებული პიროვნება.

ერთხელ ვალის რაიონში ეამართულ თეორიულ კონფერენციაზე მომხსენებლად თბილისიდან იქნა მოწვეული ორი პროფესორი, მესამე მომხსენებელი კი ვალიკო ძიგუა ეახლდათ. კონფერენციის შედეეების შეჯამებისას თბილისიდან მოწვეულმა ერთ-ერთმა სტუმარმა თქვა:—ჩვენ რას ევეძახოდით აქ, როცა ასეთი დიდებული სპეციალისტი ადეილზე ეყოლიათო.

ვალიკო იყო ზნეკეთილი, მეტად უბრალო, საქმიანი, საიმედო, ჭირში ეეერდით მდეომი და ხელის ეამწვდენი, ლხინში დამამშვენებელი ადამი-ანი. მისი მთელი ცხოვრება შრომისა და ეარჯის, ხალხის უანეარო სამსახურის ეანსახიერებაა. ალალია მისთვის ის დიდი სიყვარული, რომ-ლითაც სამუდამოდ დაიმახსოვრებენ მას.

მშვიდობით, ჩვენო საყვარელო ძმაო და მეგობარო, ვალერიან სილო-ვანის ძე! ნათელი დაადგეს შენს საფლავს!

ახალგაზრდობაში ის შეუპოვრად იცავდა მამულს, თავი არ დაუზო-ეავს, ბევრი სისხლი დაღვარა. მძიმედ დაიჭრა. ჭრილობის ეართულებების შედეეად რვაჯერ იყო სხვადასხვა დროს ნაოპერაციევი, მაგრამ ივი დაღლილი, წაქცეული არავის უნახავს. სულ მუშაობდა, წლების ეანმაე-ლობაში ხელმძღვანელობდა ვალის პურის ქარხანას, პენსიაზე ეასვლის შემდეგ, ვალის ჩაის მეურნეობის დირექტორის მოადეილე იყო, ვაი, რომ სიბერე ჩაუმწარდა, საკუთარ სახლში სიკედილიც არ ეღირსა. ეს კაცი ყველასათვის საყვარელი და სათნო შალვა ივანეს ძე ახალაია.

მარადის იყოს ხსოვნა მისი!

სხვისი მტრობა, სხვისი შური არასოდეს ჰქონია, პირიქით. ხასიათდებოდა გამორჩეული მეეობრობითა და ამხანაგებთან სიახლოვით. არავის აწუხებდა, თავს არავის აბეზრებდა, თავისი წილი ტვირთი მიჰქონდა ცხოვრებაში. ყოველგვარი ზედმეტობისა და ხმაურის გარეშე ვეებერთელა საქმეებს აკეთებდა. ჰქონდა შესანიშნავი ოჯახი, კარგად მოვლილი სახლ-კარი. ეს კაცი შოთა არტემის ძე დარსანია იყო. კეთილსინდისიერად იმუშავა სხვადასხვა თანამდებობებზე. უკანასკნელად ზემო ბარღების ჩაის მეურნეობის სახელგანთქმულ კოლექტივს ედგა სათავეში. აირია ყველაფერი, თავი აიშვეს სეპარატისტებმა. საკუთარი სახლ-კარიდან იძულებით გადაადგილებული შოთა თბილისში დაბინავდა, მაგრამ ვაუსაძლისი იყო სახლ-კარის, მშობლიური კუთხის დაშორება. ვერ ეაუძლო, გულმა უღალატა. კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი ვერ ჩაიკრა გულში სამურზაყანოს მიწამ.

შორეულ მოსკოვში, მეეობრის სახლში, მოულოდნელად, ერთი ამოკვნესით დასრულდა კიდევ ერთი ღირსეული სამურზაყონოელი ახალგაზრდა კაცის გურამ დავითის ძე ხორავას სიცოცხლე.

გურამი ოჯახიშვილობით, განათლებით, სიდარბაისლითა და პატიოსნებით ერთ-ერთი გამორჩეული ახალგაზრდა იყო. სრულიად ახალგაზრდა 47 წლის ასაკში გარდაიცვალა. ვაი, რომ მასაც ისე, როეორც ჩვენს ბევრ თანამემამულეს, ვერ ეღირსა მშობლიურ მიწაში დამარხვა, მისმა უდროო სიკვდილმა უსაზღვრო ტკივილი და შეუხორცებელი იარა დაუტოვა მის ლამაზ ოჯახს, საყვარელ დედას, ერთადერთ დას, ახლობლებს, მეეობრებსა და მეზობლებს.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ რაიონის ღირსეული შვილები, მზარდი ახალგაზრდები გურამი ნაპოს ძე ჭკადუა და ძმები მურმანი და ზამირ პეტრეს ძე შონიები. ვაი, რომ მათ არ დასცალდათ შვილების დაზრდა, არ დასცალდათ საკუთარ სახლებში დაბრუნება, რაოდენ დასანანია, რომ ისინი სრულად ახალგაზრდანი წავიდნენ ამქვეყნიდან.

მთელს სამურზაყანოში ერთ-ერთი საპატივცემულო და დაფასებული კაცი იყო ბატონი მამია დიმიტრის ძე ყოლბაია. იგი წლების განმავლობაში სათავეში ედგა ჭუბურხინჯის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას. კარგი მუშაობით გამოირჩეოდა მთელს რესპუბლიკაში, უყვარდა ხალხს, რადგან იგი მუდამ ხალხთან ერთად იყო ჭირსა და ლხინში, ჰქონდა სანაქებო ოჯახი, სწორედ ამიტომ იყო, რომ რაიონში სტუმრად ჩამოსული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე სწორედ მას ეწვია ოჯახში

ვაი, რომ ამ ღირსეულ კაცსაც ვერ ეღირსა საკუთარ სახლში გარდაცვალება და დატირება.

60-იან, 70-იან, 80-იან წლებში მთელს აფხაზეთსა და საქართველოში

ქუხდა ოქუმელი კაცის ხუხუტი ჯაგას ძე შონიას სახელი. დღე არ ეავიდოდა, რომ ჟურნალ-გაზეთებს არ აღენიშნა ამ ადამიანზე. იგი იყო დაუზარელი, თავდადებული მშრომელი და ამ შრომამ გამოაჩინა კიდე

პატრონი და ეროვნული ტრადიციების ეამერძელებელი. მისი მეუღლე—აპოლონ კეშელავა წლების ეანმაელობაში იყო ეალის რაიონის სამედიცინო კოლექტივის ხელმძღვანელი. ისინი იყვნენ რაიონის თითქმის ყველა სტუმრის დამხვედრი და პატივისმცემელი. რამდენ საპატიო სტუმარს უპოვია მყუდრო ბინა მათ სახლში. ეაი, რომ მათი უზარმაზარი სახლი აფხაზ სეპარატისტთა შემოსელის პირველსაეე ღამეს ეადაწვეს, ნათელა ეარდაიცვალა თბილისში, ძლივს მოახერხეს მისმა ჭირისუფლებმა მისი ნეშთის დამარხვა ქმრის ეევერდით ეალში.

ეაუსაძლისია ეანცდა, რომ ნათელას შვილები და შვილიშვილები ეერასდროს იხილავენ მის ლამაზ და ახოვან სახეს, ეერასდროს მოისმენენ მის ომახიან შემოძახილს.

მთელს რაიონსა და აფხაზეთში უდიდესი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობდა ექიმი ქალი ნინა კორძახია. იეი დიდი სამამულო ომის მონაწილე იყო, მედიცინის სამსახურის კაპიტანი. ვინ იცის, რამდენი ჯარისკაცისათვის შეუნარჩუნებია სიცოცხლე. იმ ჯოჯოხეთს კი ეადაურჩა, მაგრამ სიცოცხლის ბოლო წლები ხიზნობაში ეაატარა და ხიზნობაშივე ეარდაიცვალა.

ცოდნით, კულტურით, საქციელით, სილამაზით მთელს რაიონში ეამოირჩეოდა ბელა გეგია. მან შესანიშნავი ოჯახი შექმნა და ბრწყინვალე შვილები აღზარდა. ბედნიერად ცხოვრობდა, მაგრამ ეის არ შეეხო აფხაზ ბოევიკთა მსახვრალი ხელი. ბელა ეანერიდა საფრთხეს, მაგრამ მისი მეუღლე შოთა ყოლბაია ეალში დარჩა. შოთა ერთხანს უძლებდა კიდეც აფხაზ ბოევიკთა ვერაეობას, მაგრამ ბოლოს უეზო-უკელოდ დაიკარეა. რა არ მოიმოქმედა ბელამ, ვინ არ შეაწუხა, ფეხზე დააყენა დიდ-პატარა, მისი დედისიანი ნათესავი აფხაზებიც შეაწუხა, მაგრამ მეუღლის ასაეალ-დასაეალს მაინც ვერ მიაგნო. საკუთარ სახლში შეეედი,—მოგვიყვა ბელამ,—ჩემი საყვარელი ძაღლი შიმშილისაგან ისე იყო ღონემიხდილი, ძლივს წამოდგა, მიცნო, ჩემსკენ წამოლასლასდა, ფეხები მკერდზე მომაბჯინა, თავი მხარზე გადმომადო და ტირილი დაიწყო, ტიროდა ძაღლი, ნამდვილად ტიროდა...გულამოსკვნით, ტიროდა ადამიანივით, ცრემლები გადმოსდიოდა ღაპა-ღუპით, მთელი ათი წუთი ასე ვიყავით ჩახუტებულნი და ორთავე ვტიროდით. შემდეგ ძლივს მოვიშორე იგი,—დაამთავრა მან.

გარდა ძაღლისა მის სახლში არაფერი დაუტოვებიათ, ძაღლიც უპატრონობისაგან და შიმშილისაგან დღეებს ითვლიდა.

ვერ იპოვა ქალბატონმა ბელამ მისი საყვარელი მეუღლე, ეერაფერი იღონა, ეულეამსკდარი, ნერეებაშლილი დღედაღამ მასზე ფიქრობდა. ეერ ეაუძლო ნერვიულობას და სრულიად ახალეაზრდა ეარდაიცვალა.

ნათელი დაადეეს მის საფლავს!

—შენ, ჩემო პატარა ეოეოვ, ყველასათვის საყვარელო არსებავ—ირინა კვეკვესქირი-სექანიავ, რატომ ვაიმეტა ბუნებამ, შენ ხომ ჯერ 31 წლისაც არ იყავი, რატომ ვასწირა ვამჩენმა ობლობისათვის შენი ერთადერთი ვაჟიშვილი, ვახტანვი, თუმცა ნუ ვეშინია, მას არაფერი დააკლდება ცხოვრებაში.

საერთო უბედურებამ მოვწყვიტა შენს მშობლიურ კუთხეს, ნაცარტუტად აქციეს შენი სახლ-კარი, ამაზე სევდასა და დარდს ვერ ვაუმკლავდა, ალბათ, შენი სუსტი ძალები, ვერ მოიტერია ვერავი ავადმყოფობა. მსუბუქი იყოს შენთვის ის მიწა, რომელიც მკერდზე დავაყარეს. იძინე ტკბილად, საყვარელო ადამიანო!

მოწიწებით უნდა მოვიხსენიო რაიონის მანდილოსანთა კიდევ ერთი წარმომადგენელი მზევინარ კვეკვესქირი. იგი მეტად ნაკითხი და ვანათლებული იყო, წლების ვანმავლობაში სათავეში ედგა რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, სულ მუდამ ცდილობდა მუზეუმის ახალი ექსპონატებით შევსება-ვამდიდრებას, ვამზადებული ჰქონდა ყველა საჭირო დოკუმენტაცია მუზეუმისათვის ახალი შენობის ასაგებად. უდროოდ უწია სიკვდილმა. ბევრი ოცნება დარჩა განუხორციელებელი.

რაიონის მედიცინის მუშაკთა შესანიშნავ კოლექტივს სრულიად უდროოდ გამოაკლდა ექიმი-პედიატრი მანანა ვალიკოს ასული გოგოხია; ეს სათნოებითა და სიყვარულით სავსე ადამიანიც არ დაინდო მუხთალმა სიკვდილმა, ვაი, რომ თან მიჰყვება საყვარელი კერიიდან ვანდევნისა და ხიზნობის ავადსახსენებელი დღეების ჯოჯოხეთური ვანცდები.

რაიონულ და რესპუბლიკურ პრესაში ხანგრძლივი პერიოდის ვანმავლობაში იბეჭდებოდა მასალები შესანიშნავი მშრომელის თამარ (თეთრიკო) მიკინტის ასულ ელიავაზე. იგი შეუდარებელი მეჩაიე იყო, დააჯილდოვეს ლენინის ორდენით, არჩეული იყო სკკპ 24-ე ყრილობის დელეგატად; თამარი იყო სოფლის დიდი პატრიოტი, თავდადებით იღწვოდა საერთო საქმისათვის: აფხაზეთის ტრაგედიამ ქარბორბალასავით ვადაუარა მის სოფელს და ოჯახსაც, ვადაუწვეს ახლადნაშენი, უზარმაზარი ოდა-სახლი, წაართვეს 20 სული მსხვილფეხა პირუტყვი, არ დაუტოვეს ქათმებიც კი.

ვერ შეეგუა თამარი „ლტოლვილობას", ჰუმანიტარული ტვირთისა და შემწეობის თანხის მიღების უაზრო და დამამცირებელ სირბილსა და წვალებას, ვადამწვარი სახლისა და ვაევრანებული სოფლის ყურებას და გულმა უმტყუნა.

რეზო თორია—სამედიცინო საქმის დიდი სპეციალისტი და მცოდნე, შესანიშნავი პედიატრი, ყველა ჩვილბავშვიანის იმედი და ნუგეში, კაცი დაუზარელი, ალალი, ყველასათვის კეთილის მსურველი: კაცი, რომელსაც არასდროს ხიბლავდა ფული და ქონება, კაცი—სწორი და პირში

მთქმელი. ამ ადამიანს, მის ძმას, მის მომიჯნავე მეზობელს სახლ-კარი ერთიანად ეადაუბუეს, გააევრანეს წალკოტს დამსვავსებული მათი ლამაზი ეზო. რეზომ თბილისს შეაფარა თავი, 3 წლის ხიზნური ცხოვრების შემდეგ სრულიად მოულოდნელად ეარდაიცვალა. მისი ხსოვნა მარად დარჩება სამურზაყანოელთა ეულში.

კიდეე ერთი საზარელი ამბავი მოვიდა თბილისიდან. ეარდაიცვალა მეტად ერუდირებული და კულტურული კაცი, რაიონის ერთ-ერთი ღირსეული შეილი თამაზ შამუგია.

მისმა თანასოფლელმა და სიყრმის მეეობარმა ზურაბ წურწუმიამ გულიდან ამონაღები სიტყვები უძღვნა ბატონ თამაზის, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „გალში". მასში ნათქვამია: „აფხაზეთის ქართველობამ, გალის რაიონის ინტელიგენციამ, პედაგოგიურმა საზოგადოებამ კიდეე ერთი ახალგაზრდა კაცი, ნაღდი ქართველი დაკარგა. ორმოცდახუთი წლის კაცს, მისთვის მიუჩვეველ მიწაზე ნაჩქარევად და ქურდულად წამოეწია სიკვდილი. იგი ხვალინდელი დღის რწმენით ცხოვრობდა, ყოველთვის ოპტიმისტი იყო. ამბობენ გაკვირვებული შეხედაო სიკვდილს.

თამაზი ზემო ბარღებში მეტად ღირსეული ადამიანების დუშა და მიშა შამუეიების ოჯახში იყო დაბადებული და გაზრდილი. უმაღლესი ეანათლების მიღების შემდეე იეი მრავალი წელი ჩხორთოლის საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობდა. პედაგოგად იყო დაბადებული, მის ხელში მრავალი ახალბედა პედაეოეი გახდა თავისი საქმის ოსტატი.

აქ გამოვლინდა მისი უჩვეულო კაცთმოყვარეობა და ღირსეული ქართველისათვის დამახასიათებელი თვისებები. ჩხორთოლში, სადაც გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ქართველები და აფხაზები, თამაზი მუდამ მეეობრობის, ურთიერთეატანისა და თანადეომის მაგალითი იყო. თანაბრად აფასებდნენ და უყვარდათ იეი ქართველებსაც და აფხაზებსაც, ამიტომ ძლიერ ეანიცდიდა მომხდარს. მრავალი ახლობელი დაკარგა ამ უბედურების ჟამს, მისმა გულმა ვერ გაუძლო შეურაცხყოფას და ლტოლვილის საბუთით საკუთარ სამშობლოში სიარულს. ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ვერ დააჯერებდი თანამოძმეთა გადაგვარებას.

თამაზ შამუგიას უბადლო ნიჭი და ულეეი ენერეია კიდეე უფრო წარმოჩინდა სოფელ პირველ ეალში, სადაც იეი კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. სოფელს პატრონი გამოუჩნდაო,—ხშირად გაიეონებდით პირველ ეალელებისაეან.

თამაზი კარგი მეოჯახე იყო, მის კაცობას ამშვენებენ მეუღლე და ერთადერთი ვაჟი. იეი დააკლდა არა მარტო თავის ოჯახს, არამედ მთელს რაიონს. ამისი დასტური იყო თამაზის უკანასკნელ გზაზე ეამცილებელთა სიმრავლე და ეულწრფელი მწუხარება. მორიდებული მოთქმა და ეოდება. აქ იყო უამრავი მისი მეეობარი. ის არაჩვეულებრივი სამე-

ვობრო კაცი იყო. ხშირად მეტყოდა—მარტო კაცი მეცოდებაო. პოეზია იტაცებდა, თამაზი ხომ ამ ვრძნობის ერთეული მსახური იყო. ბავშვობიდან მახსოვს მის მიერ მხატვრულად წაკითხული ლექსები. ქართული სუფრა მისი ამპლუა ეახლდათ. სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად პურმარილიანი კაცის სახელი დატოვა.

ჩვენში დატრიალებული უბედურების გამო კიდევ ერთი ეაჟკაცი და ეამორჩეული შვილი ვერ ჩაიკრა მშობლიურმა მიწამ, რომელიც სიცოცხლეზე მეტად უყვარდა თამაზ შამუგიას და რომლის დროებითმა დაკარგვამ აკი დააჩქარა კიდეც მისი სიცოცხლის დასასრული.

ამბობენ, მალე დავბრუნდებითო. შენც ამ იმედით ცხოვრობდი. მხოლოდ ეეაა, იმდენი ღირსეული ადამიანი წავიდა ამ ქვეყნიდან, დაბრუნებამაც დაკარგა თავისი ხალისი და ღირსება.

მოვა დრო, შენ სამუდამო სასუფეველს შენს მშობლიურ სოფელში დაიმკვიდრებ.

ნათელი დააღგეს შენს სახელს, კაცურო კაცო და მრავალთათვის აერერიეად ძვირფასო ადამიანო!"

მარად დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის, ყველასათვის საყვარელი კაცის დურუ ქობალიას სახელი. მაინცდამაინც ამ ყოველნაირად სიკეთითა და ადამიანობით გამორჩეულ კაცთან შემოაღამდა ბუნებას.

1981 წელს მისი ერთადერთი ვაჟიშვილი თამაზი ავტოავარიაში დაიღუპა. თითქოს ოჯახში ჩაკვდა ყველაფერი, მაერამ დურუ საზოგადოებისაგან მაინც არ გამოთიშულა, პირიქით, იეი ყველა გაჭირვებულს ეღეა ეევრდში, ყველას ეხმარებოდა. აფხაზ სეპარატისტთა თავაშვებულობამ კიდევ ერთი თავზარი დასცა მას. იძულებული ეახდა დაეტოვებინა სახლ-კარი, დაეტოვებინა საყვარელი შვილის საფლავი.

უკუღმართმა ბედმა ხიზნობაც არ აკმარა. უკურნებელმა სენმა დაჯაბნა ეს დიდებული კაცი. საფიცარი შვილის ვევრდით დაივანა ბატონ დურუს სულმა.

ხიზნობაში ეარდაიცვალა კიდევ ერთი ეალელი ახალგაზრდა კაცი, მშენებლობის ღვაწლმოსილი მუშაკი, ეალის რაიონის მთავარი არქიტექტორი ვლადიმერ ტყეშელაშვილი. იეი იყო იშვიათი ნიჭით გამორჩეული, კეთილსინდისიერი, ზრდილი და თავაზიანი, დაუზარელი და შრომისმოყვარე. კარეი ოჯახის მეთაური, უზადო ამხანაგი და მეეობარი. მას თან ეაჰყეა მშობლიურ მხარეში მისივე ხელით აშენებული კოპწია სახლში დაბრუნების აუხდენელი ოცნება.

შორიდან დაგტირით, ძვირფასო მეეობრებო, შალერი ხვიტიავ და მექი ჩეხერიავ, თქვენ ორივეს სიკვდილამდე შეუხორცებელი ჭრილობა მოგაყენათ ბუნებამ. თქვენი სანაქებო ბიჭები ავტოავარიაში დაიღუპნენ. მიუხედავად სიცოცხლის განსაცდელისა, თქვენ არ მიატოვეთ შვილთა

საფლავები, თქვენს თავზე და თქვენს თვალწინ ჩაიარა აფხაზ სეპარატისტთა არაადამიანური ქმედების მთელმა საშინელებამ, სიკვდილმაც არ დაიკვიანა. ვაესახ, რომ თქვენმა მეეობრებმა, მეზობლებმა თქვენმა კოლექტივმა ვერ გიტირეთ, უკანასკნელად ვერ შეეაელეთ თვალი, ეეაპატიეთ, ძვირფასებო!

ბატონი კაპიტონ ბასარია ზრდილობით, პატიოსნებითა და პროფესიული ცოდნით სულ მუდამ ერთ-ერთი ეამორჩეული და სამაეალითო კაცი იყო მთელს რაიონში. ათეული წლების ეანმაელობაში იეი მთავარ ბუღალტრად მუშაობდა ჯერ სადაზღვეეო რაიონულ ორეანიზაციაში, შემდეე კი ეალის სოფლის კოოპერატივში. მთელი მისი ცხოვრება უმწიკვლოდ ეამოიარა, ჭიანჭველასაც არ დაადეამდა ფეხს, იყო ყურადღებიანი და საქმიანი, ჩუმი და უპრეტენზიო. მას აწეული ხმით, ალბათ, არც უსაუბრია არასდროს. ეამოზარდა ღირსეული შვილები. რაიონის მოსახლეობა არასდროს დაივიწყებს მის ნათელ სახელს.

კარეი ავტორიტეტი და სახელი ჰქონდა მშენებელ ინჟინერ კაცს გივი ჯღარკავას. მას ბევრი რამ ეაუკეთებია რაიონისათვის. სულ მოწინავე პოზიციებზე იდგა, ბოლო ჟამს სათაეეში ედგა წყალეაყეანილობის საქმეს და შესანიშნავადაც ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

ვაი, რომ ვერ ეღირსა მის მშობლიურ სამურზაყანოში დაბრუნებას.

მძაფრად ეანიცდიდა სამურზაყანოში დატრიალებულ ტრაეედიას, მშობლიური კუთხიდან შორს ყოფნას, მშობლებისა და საყვარელი ძმის საფლავების დატოვებას, ახლობლების უნუეეშო ცხოვრებას, ვერ გაუძლო გულმა და შორეულ პეტერბურგში დალია ლამაზი სული ლევთერ ავქსენტის ძე შამუგიამ. კიდეე ერთი სამურზაყანოელი ჩაიხუტა თბილისის მიწამ.

არიან ადამიანები, რომელთა ოჯახური ტრაეედიის აღწერა კალამსაც კი ეაუჭირდება, რომელთა ამბის მოყოლა უცრემლოდ შეუძლებელია.

ალექსანდრე ეზუგბაიას ოჯახი ერთ-ერთ უბედნიერეს ოჯახად ითელებოდა მთელს ეალის რაიონში. ალექსანდრე და მისი მეუღლე ცნობილი პედაეოეები იყვნენ, თვით ალექსანდრე წლების ეანმაელობაში ლეკუმხარის სკოლის დირექტორად მუშაობდა, ცხოვრობდნენ კოხორის ერთ-ერთ ულამაზეს და თვალწარმტაც უბანში. სამშობლოს აღუზარდეს სამი სასახელო შვილი—ოთარი, ემზარი, ლიანა. სამივე უმაღლესი ეანათლებით, სამივე შვილმა სამაეალითო ოჯახი შექმნა, სამყაროს მოეელინენ შვილიშვილებიც. ცხოვრობდნენ ბედნიერად, ღმერთს შეჰხაროდნენ, მაგრამ თითქოს დაწყეველილი იყვნენ, ცხოვრების ჩარხი უკუღმა შეტრიალდა, ჯერ ალექსანდრე და მისი მეუღლე გარდაიცვალნენ, მერე მოულოდნელად გარდაიცვალა მათი სიძე, მთელს რესპუბლიკაში ცნობილი ადამიანი შოთა შარანგია. თითქოს საკმარისი იყო უბედურება,

მაგრამ წინ უფრო ეკოეკოხეთურ და საზარელ ბედს უმზადებდა თურმე ვანეება მათს ოჯახს. ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ ალექსანდრეს შვილიშვილები ცირა შარანგია და ნანა ეზუგბაია—ულამაზესი და უნიჭიერესი ახალგაზრდები, ჩვენი ინტელიგენციის მშვენებანი, ოცდამეერთე საუკუნის ადამიანები; ესეც არ აკმარა მათს ოჯახს ულმობელმა ბედმა, სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა ალექსანდრეს უმცროსი შვილი, სანაქებო ახალგაზრდა, შესანიშნავი სპეციალისტი ემზარი ეზუგბაია. მისმა ვულმა ვერ გაუძლო ამდენ უბედურებას, სტრესებს, ამდენ უკეღმართობას, ასე ვანადგურდა თითქმის მთელი ოჯახი, მაგრამ...ღრმად ვეწამს, რომ ალექსანდრეს დარჩენილი შვილები და შვილიშვილები ღირსეულად გაავრძელებენ სახელოვანი ბაბუის შესანიშნავ ტრადიციებს.

მიხეილ აფხაზავა ვალის რაიონის ინტელიგენციის ერთ-ერთი შესანიშნავი და დახვეწილი წარმომადგენელი იყო. მან ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა დიდი სამამულო ომის ისტორიაში, შემდეომ რამდენიმეე ათეული წელი ახალგაზრდობისადმი მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეს მოანდომა, იყო დიდი მწიგნობარი, ბრწყინვალე პედაგოგი, უპრეტენზიო მამულიშვილი, შესანიშნავი ოჯახის წინამძღოლი. ამ ღირსეულ კაცსაც საიქიოში ვაჰყვა მშობლიური ხალხისა და კუთხის განსაცდელის მოუშუშებელი გულის ჭრილობა.

მთელი ცხოვრება პატიოსნად განვლო ვალიკო ჭანტურიამ, ღირსეული კაცის სახელი დაუტოვა ოჯახსა და შვილებს. მთელს რაიონში ვანთქმული იყო მისი სტუმართმოყვარული ბუნება; ამასთან ჰქონდა არაჩვეულებრივი ხმა და მთელი ოცდაათი წელი რაიონულ ანსამბლში მღეროდა, განუმეორებელი და შეუდრეკელი იყო მის მიერ შესრულებული „მრავალჟამიერი“, „კუჩხიბედინერი“ და სხვა ცნობილი ქართული ხალხური სიმღერები.

ნათელი დაადგეს მის საფლავს.

ათასობით კაცმა ვააცილა უკანასკნელ ვზაზე ცნობილი პედაგოგი გრიგოლ ივას ძე ჯგუბურია. ის იყო ფუტკარიეთ მუშა, ყველასათვის სიკეთის მთესაეი, ფრიად ვანათლებული და ერუდირებული სპეციალისტი, პურ-მარილს გადამკვდარი კაცი, სამი შესანიშნავი ვაჟკაცის გამზრდელი.

დიდი სამამულო ომის დროს მეცხრეკლასელმა ერიშამ კოლმეურნეობაში ვამომუშავებული თანხა 15 ათასი მანეთი მთლიანად გადარიცხა სატანკო მშენებლობისათვის, რაზედაც უმაღლესი მთავარსარდლის ი. სტალინის მადლობა დაიმსახურა.

47 წელი იმუშავა ბატონმა ერიშამ, იყო წარჩის საშუალო სკოლის დირექტორი, ოქუმის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ბოლო პერიოდში მუშაობდა ოქუმის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლად.

ამ მხცოვან კაცსაც დღემდის ვერ ეღირსა მამაპაპის საფლაეში განსვენება.

მთელი რაიონის მოსახლეობის დიდი ეულისწუხილი გამოიწვია ბრწყინვალე პედაგოგის, რაიონის ინტელიგენციის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენლის ბატონ ეგნატე ნიკოლოზის ძე დგებუაძის ვარდაცვალებამ. იგი იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. იყო უაღრესად პატიოსანი და კეთილსინდისიერი ადამიანი, ნამდვილი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ღირსეული მოქალაქე. მისი კარგი კაცობისა და უაღრესად დიდი პედაგოგიური მონაცემების დასტურად იმის დასახელებაც კმარა, რომ მისმა ყველა ექვსმა შვილმა ფრიადზე დაამთავრა საშუალო სკოლა და წარჩინებით—უმაღლესი სასწავლებლები.

რაიონის მოსახლეობა დიდხანს არ დაივიწყებს ალმა ალექსის ძე კაკუბავას სახელს. იგი იყო ადამიანობისა და პატიოსნების ეანსახიერება, შეუდარებელი სპეციალისტი, უნაკლო და უმწიკლო კაცი, იცოცხლა ისე, რომ მის ავტორიტეტს შავი ლაქა არ ეაჰკარებია; უყვარდა სტუმარი, ყოველთვის ჰქონდა სტუმრისთვის პურ-მარილი და, რაც მთავარია, ეაშლილი და მოსიყვარულე ეული, შესანიშნავად მღეროდა, რამდენიმე ათეული წელი მონაწილეობდა სიმღერისა და ცეკვის რაიონული ანსამბლის მუშაობაში, თითქოს დღესაც ჩაეესმის ყურში მისი კრიალა, დახვეწილი პირველი ხმა; ან ვის დაავიწყდება ალმის მიერ კინოფილმ „კოლხური სუიტაში“ შესრულებული შესანიშნავი სიმღერები.

დეენილობაში დალია სული რაიონის ერთ-ერთმა ამაგდარმა კაცმა ირეოდი შენგელიამ. ირეოდი წლების განმავლობაში ეალის ნეეთობაზის კოლექტივს ედგა სათავეში, ჰქონდა ლამაზი ცხოვრება, შესანიშნავი ოჯახი, ულამაზესი ეზო-კარი; რას იფიქრებდა ადამიანი, რომ ბატონ ირეოდის და მის მეუღლეს საკუთარ კოპწია სახლში არ ეღირსებოდათ სიკვდილი და დატირება.

საუკუნო ხსენება მათ!

თითოეულ ეალელს დასწყვიტა ეული პერსონალური პენსიონერის, აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებლის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყოფილი დეპუტატის, უზადო ადამიანისა და ბრწყინვალე შვილების აღმზრდელის ლენა უშანგის ასული ღურწკაია-სოსელიას ეარდაცვალებამ.

62 წლის ასაკში გარდაიცვალა სამურზაყანოს სასიქადულო შვილი, ცნობილი დასტაქარი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგი, საქართველოს დამსახურებული ექიმი, საქართველოს სამხედრო სამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრი, მედიცინის წარჩინებული,

სამამულო ქირურგიაში დამსახურებისათვის გრიგოლ მუხაძის მედლის „ოქროს ხელის“ მფლობელი, სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი იური არტემის ძე გეგეჭკორი.

ი. გეგეჭკორმა ოქროს მედალზე დაამთავრა ვალის №1 საშუალო სკოლა, შემდეგ კი წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

ცხოვრების მანძილზე იგი მუშაობდა ტუჩინში, როვნოში, ლვოვში, ხაბაროვსკში, მუშაობდა აღმოსავლეთ გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიაშიც. 1976 წელს საქართველოში ბრუნდება და 20 წელზე მეტს ხანს მუშაობს თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში. მას მრავალი სამთავრობო ჯილდო ჰქონდა, მაგრამ მისი მთავარი ჯილდო მაინც ხალხის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა იყო. იგი ამ დიდ პატივისცემას ღირსეულად იმსახურებდა კეთილშობილებით, ჰუმანიურობით, უბრალოებით, უანგარობით, დიდი ადამიანური სითბოთი. იგი იყო ყველა გაჭირვებულის, განსაკუთრებით სამურზაყანოელთა, იმედი და ნუგეში. ვინ იცის რამდენი ადამიანის სიცოცხლე გამოსტაცა მან აშკარა სიკვდილს და ყველაფერს ამას აკეთებდა ყოველგვარი „ჯოჯოხეთის მანათობლის“ შუამდგომლობის გარეშე.

თითოეული სამურზაყანოელი მოწიწებით ვიდრეკთ მუხლს ამ გამორჩეული, საიმედო და საამაყო მამულიშვილის საფლავის წინაშე. სამარადისო დიდება მის სახელს!

ერთი თვის წინ მან ამ წიგნის ხელნაწერი წაიკითხა და მეტად მნიშვნელოვანი შენიშვნები და დარიგებები მოგვცა, შემდეგ კი გულთბილი რეცენზიაც დაწერა.

რაოდენ გულსატკენია, რომ სახელგანთქმულ სამურზაყანოულ ოთხტოტიან ბერმუხას უკანასკნელი ტოტიც რომ ჩამოუტყდა. ძმების ქვაჩახიების მე-4 ძმის ირიდიონ ქვაჩახიას ნათელი სულიც ამაღლდა ზეცად.

ირიდიონ მიხეილის ძე ქვაჩახია—პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, უბადლო მეცნიერი, ხალასი ნიჭის პატრონი, დიდი პატრიოტი, გამორჩეული მამულიშვილი, ყოველი გალელისა და ყველა ადამიანური ნების კაცთა ძმა და მეგობარი, ნუგეში და იმედი...

თითოეული სამურზაყანოელი ალალ ცრემლს ღვრის ღირსეული შვილის ირიდიონ ქვაჩახიას გარდაცვალების გამო.

ნათელი დაადგეს მის საფლავს.

დეგნილობაში გარდაიცვალა რაიონის ინტელიგენციის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი **გუგუ მალანია**. იგი ათეული წლები მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, იყო გალის აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარი ბუღალტერი, რაიონის სტატის-

ტიკური სამმართველოს უფროსი, გაზკანტორის უფროსი, ბოლო პერიოდში კი გაერთიანება რაიაბრეშუმს ედგა სათავეში.

ე. მალანიას მინიჭებული ჰქონდა საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული ეკონომისტის წოდება, დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებითა და სიგელებით.

რაიონის პედაგოგთა სახელოვან კოლექტივს უდროოდ გამოაკლდა აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი, ბავშვთა გულის მესაიდუმლე, შესანიშნავი პედაგოგი სულიკო შამუგია-თორია;

რაოდენ დასწყვიტა გული თავის აღზრდილებსა და ტოლ-ამხანაგებს ოქუმის საშ. სკოლის მასწავლებლის, ეანათლების წარჩინებულის ევდოკია (დუსია) ხასიას გარდაცვალებამ. მას გააჩნდა უაღრესად დიდი ადამიანური სითბო, კეთილშობილება, თავმდაბლობა, პრინციპულობა, საქმისადმი უდიდესი სიყვარული. სულ იმის ცდაში იყო, ყველასთვის სიკეთე გაეკეთებინა, მარად ღიმილი დასთამაშებდა სახეზე; კეთილ ადამიანებზე ნადირობს, ალბათ სიკვდილიც.

დევნილობაში და ხიზნობაში ყოფნის ეამო მეგობრებმა და ამხანაგებმა, ნათესავებმაც კი ვერ მოახერხეს ეტირათ და მათი კუთვნილი ცრემლი დაეღვარათ, უკანასკნელ ეზაზე გაეცილებინათ ფრიად საპატიო და საყვარელი ადამიანები: ხირიმში გოგოხია, ღუდა ჯახაია, მავრა გერგედავა, სილოვან და ვაჟა ხვისტანები, ზურიკო გუნჯუა, მარგალიტა გოცირიძე, აგნესა ჩიკვატია, აგული აქურბარდია, აველინა გადელია და კიდევ ბევრი სხვა თანამემამულე.

ეარდაიცვალა...ეს იშვიათი ქართული სიტყვა თითქოს ეევანუეშებს, რომ ჩვენი საყვარელი პიროვნება, ადამიანი კი არ მოკვდა, კი არ ეაჰქრა, არამედ ეარდაიცვალა, სახე შეიცვალა, ჩვენს ხსოვნაში კი დარჩა იმ დიადი საქმეებით, რაც მან დატოვა.

ბევრი, ძალიან ბევრი დევნილის საფლავი ეაითხარა მდინარე ენეურს ეაღმა. მთელს საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) მიმოფანტულია მათი საფლავები. ათასობითაა ისინი. არც არავის აღურიცხავს და ვერც ვერავინ აღრიცხავს. ქ. ქუთაისში და ზოგიერთ სხვა ადგილებში ღვთისნიერმა ხალხმა დევნილთათვის ცალკე სასაფლაოებიც კი ეახსნა. არ არის ოჯახი, რომელსაც ახლობელი არ აკლდეს. ვინც ტყვიას ეადაურჩა, სხვა უბედურებამ იმსხვერპლა:

ნუგზარ იონას ძე შაკაია, წარმოსადეგი, ნიჭიერი, ერუდირებული, უზადო სულიერი და ფიზიკური სამყაროს ადამიანი, დაიბადა ეალის რაიონის სოფელ ბედიაში. აქ ცხოვრობდნენ მისი მშობლები მამა, იონა ეედლაჩის ძე შაკაია და დედა, ფუფა ბაბილოს ასული მარღანია. ნუგზარიმ ბალტიისპირეთის ქალაქ კაუნასში დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, იგი ცხოვრობდა და მუშაობდა ქალაქ ოჩამჩირეში, ჯერ საპროექტოში, შემდეგ კი ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამ-

მართველოს უფროსად. 1987 წელს გადაიყვანეს ქ. ოჩამჩირის „ერუზ-სტროის“ მთავარ ინჟინრად.

მან თავის მეუღლესთან—ლუარა ვარლამის ასულ პაპავასთან ერთად შექმნა დიდებული ოჯახი. ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტმა გაანადგურა სულით ძლიერი ვაჟკაცი. ვერა და ვერ შეეფუა საკუთარ მიწაზე ლტოლვილად ქცევას, ხობის რაიონში, სიძის—გურამ ეოეოლის სახლში ცხოვრობდა, ამბობდა, აქ უფრო ახლოს ვარ ჩემს მშობლიურ კუთხესთან, აქ თითქოს იქაური ჰაერი და ზღვის სურნელება აღწევსო. წიგნების კითხვაში ათენებდა და აღამებდა, სჯეროდა მომავლის, რომ დაბრუნდებოდა პალმებისა და მაგნოლიების ქალაქში. ყველასგან უჩუმრად ვულის ჯიბეში ეზო-კარის მიწა ედო ცხვირსახოცში ეახვეული. ბოლო დროს ვულს უჩიოდა, შვილიშვილების სანახავად ყირიმში წავიდა, ალბათ, იქ უფრო იერძნო მშობლიური კუთხის ნოსტალგია და 1997 წლის 10 იანვარს ვულის ინფაქტით გარდაიცვალა. 1998 წლის მარტში ვადმოასვენეს ხობის რაიონში და აქ მოაფრქვიეს მისი ძვირფასი მიწა. ხშირად იტყოდა ხოლმე, დეენილთათვის საქართველოს ყველა კუთხე მშობლიურია, მაგრამ რაღაა იგი საფლავი, რომელიც მამა-პაპათა საძვალის გვერდით არ არსებობსო, შვილებმა თენგომ, მაიამ და სიძე თამაზმა შეფიცეს, რომ დაბრუნდებიან და „დააბრუნებენ“ მათ საყვარელ მამას.

ოჯახური ტრაგედიის კიდევ ერთი მაგალითი მინდა გავაცნო მკითხველს.

შეშელეთელი ვალიკო გულუა პატიოსანი კაცის სახელით სარგებლობდა მუდამ. ის დიდებული მშრომელი იყო, ამასთან ბუნებისაგან სიმღერის ნიჭითაც იყო დაჯილდოებული და შესანიშნავადაც მღეროდა. ცხოვრობდა, შრომობდა და მღეროდა. შვილებსა და შვილიშვილებს შეჰ ხაროდა, მაგრამ ამ ომმა უკუღმა შეატრიალა მისი ოჯახის ცხოვრების ჩარხი. ჯერ აფხაზმა ბოევიკებმა დაუხვრიტეს სიძე—კაკო ჭარაია, ხიზნობაში გარდაეცვალა 17 წლის ქალიშვილი დარეჯან გულუა, შემდეგ მოუკვდა სამი წლის შვილიშვილი, როცა ამ ბავშვის სიკვდილი ეაიკო, ბავშვის მამამ ლივთერი გულუამ ისე ჰკრა თავი ბოძს, რომ ჩიტივით ეანუტეეა სული. შემდეგ კიდევ ორი წლის შვილიშვილი გარდაეცვალა ბატონ ვალიკოს, სამი წლის განმაელობაში ხუთი მიცვალებული ეაასვენა და დადის სიცოცხლეეამწარებული მარტო კაცი. ვაი, ასეთ სიცოცხლეს.

ათასობითაა მსგავსი მაგალითი. ეაწამდა და ეაუბედურდა ხალხი. რისთვის, ხალხნო, ვის რაში სჭირდებოდა ეს ომი?

ბევრი, ძალიან ბევრი ღირსეული სამურზაყანოელის სახელი დავერჩა აქ მოუხსენებელი. ევაპატიოს მათმა აჩრდილმა. ევაპატიონ მათმა ჭირისუფლებმა.

გალის რაიონის გამგეობა დევნილობაში

გალის რაიონის გამგეობა აფხაზეთიდან ქართველთა გამოდევნის პირველი დღეებიდანვე შეუდგა აქტიურ მუშაობას.

ქ. ზუგდიდში ჩამოყალიბდა ე.წ. „სამურზაყანოს ხსნის კომიტეტი", რომელიც ორგანიზებულ საქმიანობას ეწეოდა დევნილების კონსოლიდაციისა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზაციისათვის, მაგრამ მაშინ ზვიადისტების მიერ გამოცხადებული იქნა ამ კომიტეტის წევრების დევნა და ისინი იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ქალაქი.

გალის რაიონის გამგეობამ ფაქტიურად მუშაობა განაახლა ქ. თბილისში 1993 წლის ნოემბრის თვიდან, როცა მას ანგარიში გაეხსნა ბანკში და დაეთმო სამუშაო ადგილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შენობაში. გალის რაიონის გამგეობის ხელმძღვანელობა დაეკალა საქართველოს პარლამენტის წევრს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ ვახტანგ ყოლბაიას.

1994 წლიდან გალის რაიონის გამგეობა ძირითადად კონცენტრირებული იქნა ქ. ზუგდიდში, ვინაიდან გალის რაიონიდან დევნილთა 60 პროცენტზე მეტი თავმოყრილი იყო სამეგრელოს რეგიონში. 1996 წლიდან რაიონის გამგეობას სათავეში უდგას ბატონი მურმან ჭედია.

გალის რაიონის გამგეობა დაკომპლექტდა შეკვეცილი საშტატო განრიგით (23 თანამშრომელი არსებული 68-ის ნაცვლად). 25 სასოფლო გამგებელიც ჩაერთო მუშაობაში (მათ დაენიშნათ ხელფასი), ჩამოყალიბდა მმაჩის განყოფილება, 1996 წლის დასაწყისიდან ფუნქციონირებას შეუდგა რაიონის სანოტარო კანტორა (ქ. თბილისში) დევნილების მიერ დაკარგული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღსადგენად გალის რაიონის გამგეობასთან შეიქმნა გამგეობის სპეციალისტებისაგან იძულებით ადგილნაცვალ პირთა ვინაობის დამდგენი კომისია, რომელმაც ჩაატარა მეტად შრომატევადი მუშაობა დევნილების აღრიცხვაში წესრიგის დასამყარებლად.

გამგეობის მუშაობის განახლების პირველი დღეებიდანვე შეიქმნა რაიონის ტერიტორიაზე აფხაზი სეპარატისტების მიერ ადგილობრივი ქართული მოსახლეობის გენოციდის, ეთნიკური წმენდის ფაქტების მომკელევი და დამდგენი მუშა ჯგუფი. თვითმხილველთა ჩვენებების სა-

ფუძველზე მუშა ჯგუფმა უაღრესად საჭირო მასალები მოაგროვა აფხაზური აგრესიული სეპარატიზმის ნამდვილი სახის, მისი ანტიქართული, ანტიადამიანური, დანაშაულებრივი პოლიტიკისა და პრაქტიკის გამოსააშკარავებლად და სამხილებლად. ამ ჯგუფის მიერ დადგენილია ვალის რაიონში 1200-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქის დახოცვის, 6000-ზე მეტი საცხოვრებელი სახლის ვადაწვის, ცალკეული სოფლების მთლიანად ვადაბუგვის, უიარაღო, უმწეო, უდანაშაულო, მშვიდობიანი ადამიანების სადისტური წამების, ვაუპატიურების, ძარცვისა და ძალადობის ათასობით ფაქტი. მასალები ვადაეცათ ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო სამსახურებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს. სწორედ ვალის რაიონის ვამგეობის სპეციალისტების მიერ მოკვლეული და დადგენილი ფაქტები დაედო საფუძვლად საერთაშორისო ორგანიზაციების. მიერ აფხაზეთში ქართული მოსახლეობის გენოციდის, ეთნიკური წმენდის აღიარებასა და კონსტატირებას. ეს მასალები სისტემატურად ქვეყნდება პრესაში, გადაიცემოდა ტელევიზიით, რადიოთი.

ასევე ეფექტურად მუშაობდა ვალის რაიონის ვამგეობაში ჩამოყალიბებული პრესჯგუფი. აფხაზეთიდან დევნილი პირების მიერ პირველი დღეებიდან დღემდე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მუდმივად მიეწოდებოდა საჭირო, ზუსტი ოპერატიული ინფორმაციები ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ სიტუაციებზე, იქ მომხდარ ფაქტებსა და მოვლენებზე.

ვალის რაიონის ვამგეობის უდიდესი ძალისმხნევით ვამოიცა რაიონის ყოველთვიური ბეჭდითი ორგანო „ვალი". აფხაზეთის რეგიონიდან ვალის რაიონი პირველი იყო, რომელმაც ვამოსცა ვაზეთი, რომლის ყოველი ნომრის ვამოსვლას მოუთმენლად ელიან ჩვენი დევნილები, ვაზეთმა ვაამართლა თავისი დანიშნულება. მის ვვერდებზე პერიოდულად იბეჭდება მეტად საჭირო მასალები, ინფორმაციები და სხვა საინტერესო პუბლიკაციები რაიონში ჩატარებული ვენოციდსა და ეთნიკურ წმენდაზე, დევნილთა სოციალურ მდგომარეობაზე და სხვა. გაზეთი ვამოდის 1000 ეგზემპლარად და უფასოდ ურიგდება დევნილ მოსახლეობას. მის ვამოცემაში უდიდესი დახმარება ვაგვიწია აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ, პირადად ბატონმა ზ. ერქვანიამ, რომელმაც ვამონახა საშუალება გაზეთის ბიუჯეტის ხარჯზე დასაფინანსებლად.

ვალის რაიონის ვამგეობის საქმიანობაში თავიდანვე ვამოიკვეთა სამი ძირითადი მიმართულება, **პოლიტიკურ-იდეოლოგიური, ორგანიზაციული და დევნილების სოციალური მოწყობისა და უზრუნველყოფის.**

ვალის რაიონის ვამგეობის უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო დევნილების ყველა საპროტესტო აქცია, რომლებიც ტარდება მდინარე ენგურის ხიდთან რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და უცხოური დამკვირ-

ვებლების პასიურობისა და უმოქმედობის წინააღმდეგ, დევნილების თავიანთ კერებში უპირობო და უსწრაფესი დაბრუნების მოთხოვნების ნიშნით, ეს მოვლენები კვირაობითა და თვეობით მიმდინარეობდა და ნაწილობრივ აღწევდა თავის მიზანს. ყოველი ასეთი აქცია იწვევდა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელების ჩამოსვლას და ეარკვეულ დაპირებებს, თუმცა ამ დაპირებებისაგან ბევრი არაფერი შესრულებულა. ასეთივე ღონისძიებები რამდენჯერმე იქნა ორგანიზებული ეალის რაიონის ეამგეობის მიერ ქ. თბილისში რუსეთის საელჩოსთან და სხვა ადგილებში. აქციები ჩატარდა მდ. ენგურის ხიდთან, ეამგეობამ ეარკვეული მუშაობა ჩაატარა აფხაზეთში დანიშნული უკანონო არჩევნების ჩასაშლელად. რაიონში დარჩენილი მოსახლეობისადმი ეაკეთებულ იქნა სათანადო მიმართვა. ეამგეობის აქტივისტები ქმედით მუშაობას ეწეოდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან. ეავრცელდა გამგეობის მოკლე მიმართვა მოსახლეობისადმი პროკლამაციების სახით. ქ. თბილისში ჩატარდა რაიონის აქტივის ეაფართოებული კრება, რომელზეც მოწვეული იყვნენ აფხაზეთი უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელები და სხვა პასუხისმგებელი პირები, არაფერს ეამბობთ სხვა მრავალ ორგანიზატორულ-ტექნიკური ხასიათის ღონისძიებებზე, რომლებიც ჩატარდა აფხაზეთში არჩევნების ჩაშლისა და დევნილი მოსახლეობის პლებისციტის ჩატარების მიზნით. ეალის რაიონში არჩევნები პრაქტიკულად არ ჩატარებულა, ხოლო პლებისციტში მონაწილეობის მისაღებად ზუგდიდის რაიონში ეადმოვიდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის 90 პროცენტი. დარჩნენ მხოლოდ მოხუცები და უძლურები, ვისაც ეადაადგილება არ შეეძლოთ. ამან ერთხელ კიდევ აჩვენა, რომ ეალის რაიონის მოსახლეობა პოლომდე ერთგულია ანტისეპარატისტული პრინციპისა, რომ მასში კვლავ მაღალია პატრიოტიზმის სულისკვეთება, რისი პრაქტიკული, საქმიანი დადასტურებაა ეალის რაიონში ადგილობრივი მოსახლეობის ანტისეპარატისტული, ანტიოკუპაციური მოძრაობისა და „სახალხო შურისმაძიებელთა“ მოქმედების ეააქტიურება.

ეალის რაიონის ეამგეობის საქმიანობაში უმთავრესი ადგილი, ბუნებრივია, ეთმობა დევნილების სოციალური, საყოფაცხოვრებო საკითხების მოეგვარებას. აქ ეამგეობის როლი ეანსაზღვრულია ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან შუამდგომლობით ლტოლვილებისათვის დახმარების ეაწევის თაობაზე. მარტო 1996 წელს ეალის რაიონის ეამგეობის ინიციატივით სხვადასხვა სახის მატერიალური დახმარება ეაეწია 1000-მდე დევნილს (ავადმყოფებისათვის ფულადი დახმარება, შეშის, ნავთის მიწოდება, მოსწავლე

ახალგაზრდობის სასწავლო ნივთებით, სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა და სხვა)

ეამგეობის წარმომადგენლები რეგულარულად დადიან დევნილების საცხოვრებელ ადგილებში, განსაკუთრებით მათი კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში და შესაძლო დახმარებას უწევენ მათ მძიმე სოციალური მდგომარეობის შემსუბუქების საქმეში.

აფხაზეთში დევნილების ეტაპობრივი დაბრუნების ხელისუფლებისეული კონცეფციის შესაბამისად 1997 წლის 8 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა დაავალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ბოლომდე შეემუშავებინა და წარედგინა აფხაზეთის, პირველ რიგში, ეალის რაიონის ეკონომიკური და სოციალური რეაბილიტაციის ვეგმა. ამ მიზნით შეიქმნა აფხაზეთის სამთავრობო და ეალის რაიონის ეამეობის ადგილობრივი კომისიები. ეალის რაიონული კომისიის წევრმა სპეციალისტთა მუშა-ჯგუფებმა შემჭიდროებულ ვადებში თავი ეაართვეს დასახულ ამოცანას—შეიმუშავეს და შეათანხმეს შესაბამისი. სამინისტროების ექსპერტებთან ეალის რაიონის რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც შემდგომ ეანიხილა საქართველოს უშიშროების საბჭომ და მიეცა მაღალი შეფასება. პროგრამა შეიცავს ეალის რაიონის საშინაო ეკონომიკისა და სოციალური ინფრასტრუქტურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღდგენის სამუშაოებისა და ინვესტირების საორიენტაციო მოცულობების გაანგარიშებებს.

ეალის რაიონის ეამეობის მიერ აფხაზეთისა და საქართველოს მთავრობებში წარდგენილია წინადადებები ეალის რაიონის რეაბილიტაციის თაობაზე. იმედია, მოკლე დროში დაიწყება მისი პრაქტიკული რეალიზება.

რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია...

ხალხთა ურთიერთობებში ხშირად იგივე ხდება, რაც ცალკეული ადამიანების ურთიერთობებში შუქჩრდილოვანი ასპექტების რთული ცვალებადი სპექტრით. ოღონდ ესაა, ხალხებს შორის უნდობლობის, უბრობის, ურთიერთშეურაცხყოფის, მტრობის, ომების შედეგების აღმოფხვრას გაცილებით მეტი სიბრძნე, ძალისხმევები და დრო სჭირდება, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. მაგრამ, საბედნიეროდ, ცივილიზაციის განვითარების კვალობაზე ხალხებისა და სახელმწიფოების ურთიერთობებში სულ უფრო დომინანტური ხდება მათი ჰუმანიზაციის ტენდენცია.

აფხაზურ-ქართული შეიარაღებული კონფლიქტი (1992-1993 წწ) არ წარმოშობილა სუფთა ეთნიკურ, ან რელიგიურ ნიადაგზე, ივი საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომის ვავრძელება იყო, ომისა, რომელიც საბჭოთა იმპერიის დაშლის ნეგატიური შედეგია. ივი ოსტატურად იყო ინსპირირებული რუსეთის იმპერიული ძალების მიერ, სამწუხაროდ, ეს კონფლიქტი დღემდე ვრძელდება და მისი მოხსნის პერსპექტივა უახლოეს პერიოდში არც ჩანს, რადგან არაა დათრეუნვილი მისი ვამომწვევი ვარე ძალები. დასანანი ის არის, რომ აფხაზი ხალხი რუსეთის იმპერიის ხელში ბრმა იარაღი აღმოჩნდა დამოუკიდებლობის ვზაზე დამდვარი საქართველოს წინააღმდეგ. აფხაზური და ოსური სეპარატიზმის შირმით რუსეთი ებრძოდა და ებრძვის საქართველოს, რათა დაახოქოს ივი და თავისი ვაელენის სფეროში იყოლიოს სატელიტის სტატუსით. აქვს თუ არა პერსპექტივა ასეთ პოლიტიკას?—ეს სხვა საკითხია.

რუსეთის საბჭოური იმპერიალიზმი ათწლეულების მანძილზე ნერვაევდა აფხაზეთში საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართულ სეპარატიზმს და ამ მიმართულებით ვარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. სწორედ ამ პოლიტიკის პირმშოა აფხაზი ნაციონალ-სეპარატისტების რადიკალურ-ექსტრემისტული „კოჰორტა“, რომელმაც აიღო პასუხისმეებლობა ისტორიის წინაშე აფხაზებსა და ქართველებს შორის ძმათამკვლელი ომის ვაჩაღებისთვის.

საბედნიეროდ, აფხაზი ხალხის საუკეთესო, ნორმალურად მოაზროვნე ნაწილს, რომლის უმრავლესობა ახლა ემიგრაციაშია, დიდი ხანია შეგნებული აქვს რუსეთის იმპერიული ძალების მიერ შედეგნილი სცენარით მოქმედების დამღუპველობა. თუ აფხაზურ ეთნოსს სიცოცხლე და

ვადარჩენა უწერია, მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში. ორ ხალხს, მით უმეტეს მეზობელ, მონათესავე ხალხებს შორის მტრული დაპირისპირების წარმოქმნის დროს არ შეიძლება ერთი მხარე აბსოლუტურად მართალი იყოს, მეორე მხარე—აბსოლუტურად მტყუანი. საკითხი დგას დანაშაულობათა მაშტაბებისა და სიმძიმის მეტ-ნაკლებობაზე.

საქართველოს მხარემ აღიარა, რომ ომის დასაწყისში ქართველი მოხალისე სამხედრო ფორმირებების მხრიდან აღგილი ჰქონდა ცენტრალურ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებელ, არასანქცირებულ, გაუმართლებელ ქმედებებს აფხაზი ეროვნების მოქალაქეთა წინააღმდეგ (იგულისხმება ეთნიკური ნიშნით ძარცვისა და დარბევების ცალკეული ფაქტები), მაგრამ მათ არ ჰქონდათ წინასწარ დაპროგრამებული, ორგანიზებული და მასობრივი ხასიათი, მით უმეტეს, აფხაზი ხალხის გენოციდის მიზნით. პირიქით, საქართველოს სამთავრობო ჯარებისა და აფხაზეთის შინაგან საქმეთა ნაწილების შეჯახების პროვოცირების პირველი დღიდანვე საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან ყოველთვის მოდიოდა ომის შეკავების, საომარი მოქმედებების ლოკალიზებისა და შეწყვეტის დირექტივები, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოს „დამარცხება", თუმცა მაშინ საქართველოში სამოქალაქო არეულობის, ძლიერი ერთიანი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის არარსებობის პირობებში ძნელი იყო ანტისეპარატისტულად განწყობილი შეიარაღებული ძალების კონტროლი და მოთოკვა.

მიუხედავად ამისა, ქართული მოსახლეობის წინასწარდაგეგმილ ბარბაროსულ გენოციდს, რაც აფხაზმა სეპარატისტებმა ჩაატარეს აფხაზეთში დახვეწილი ფაშისტური მეთოდებით, არანაირი საფუძველი და გამართლება არა აქვს. ათასობით უდანაშაულო ადამიანის (მათ შორის ბავშვების, ქალების, მოხუცების) დახოცვისა და ათიათასობით ოჯახების მშობლიურ სახლკარიდან განდევნის სულისჩამდგმელებმა, ორგანიზატორებმა და შემსრულებლებმა საერთაშორისო სამართლის მთელი სიმკაცრით უნდა აგონ პასუხი. დღეს თუ ხვალ ეს აუცილებლად მოხდება. დრო ვერ ანელებს აფხაზი სეპარატისტების მიერ ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულებით მიყენებული ჭრილობებით გამოწვეულ ტკივილებს. თმები ყალყზე გიდგება, ძარღვებში სისხლი გეყინება აფხაზი სეპარატისტების და მათი დაქირავებული დამქაშების ხელით გაგრაში, სოხუმში, ახალდაბაში, ოჩამჩირეში, გალში მხეცური სისასტიკით და ცინიზმით შესრულებული ქართული მოსახლეობის გენოციდის მასალების გაცნობისას. მსოფლიო საზოგადოებრიობამ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა ერთხმად დაგმეს და სათანადო შეფასება მისცეს აფხაზურ აგრესიულ სეპარატიზმს.

სამწუხაროდ, მომხდარს ვერ შეცვლი, იგი უკვე ისტორიის კუთვნილებაა. საქართველოს მხრივ მცირერიცხოვანი აფხაზი ხალხის მიმართ შურისძიების, სამაგიეროს მიზღვის—„თვალი თვალის წილ", „სისხლი სისხლის წილ" პოლიტიკა არ იქნება გამართლებული არც ზნეობრივად, არც პოლიტიკურად. აფხაზეთის კონფლიქტი უნდა მოწესრიგდეს მხოლოდ პოლიტიკური გზით. სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

თქმა არ უნდა, ეს გზა—ყველაზე რთული და ძნელი გზაა. ამ გზაზე სიარულს დიდი სიბრძნე, დიდსულოვნება და მოთმინება სჭირდება.

საქართველოს ხელისუფლებას ეს შევნებული აქვს და ყველაფერს აკეთებს, შეუძლებელსაც კი, რომ თავიდან აიცილოს დაპირისპირების ესკალაცია, სწორედ ეს შევნება უდევს საფუძვლად საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის მიერ შემუშავებულ კონცეფციას აფხაზეთში დევნილი მოსახლეობის ეტაპობრივი დაბრუნების თაობაზე. ამ კონცეფციის თანახმად პირველ ეტაპად მიჩნეულია გალის რაიონში დევნილი მოსახლეობის დაბრუნება. აქ მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ერთგვაროვნების გამო მიზერულია აფხაზურ-ქართული კონფლიქტის განახლების რისკი. გალის რაიონი, რომელსაც უჭირავს ისტორიული სამურზაყანოს ტერიტორია, ყოველთვის იყო ქართველების და აფხაზების გამაერთიანებელი, დამაკავშირებელი რეგოლი და ხიდი. თვით გალის რაიონის მოსახლეობის ყოფა და კულტურა წარმოადგენს საუკეთესო ქართველური და აფხაზური ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების ურთიერთქმედობით, შერწყმით მიღებულ საინტერესო ფენომენს, რომლის გამოყენების გარეშე, ვფიქრობთ, გაძნელდება აფხაზურ-ქართული კონფლიქტის გადაწყვეტა. ამიტომ გალის რაიონმა უნდა შეასრულოს ის ისტორიული მისია, რომელიც მას ბუნებრივად ეკისრება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოგვარების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ გალის რაიონის ტერიტორია არ ყოფილა ე.წ. „ომის" დროს ინტენსიურ საბრძოლო მოქმედებათა არენა, მოსახლეობამ მაინც უდიდესი ზარალი განიცადა, როგორც ადამიანთა მსხვერპლის, ასევე ნგრევის და ძარცვის მაშტაბითა და მოცულობებით. სწორედ გალის რაიონში უმწეო მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ კლასიკურ ფორმებში გატარებულმა მასშტაბური გენოციდის პრაქტიკამ საბოლოოდ ჩამოხსნა ნიღაბი კაციჭამია, ქართველთმოძულე აფხაზურ ფაშისტურ სეპარატიზმს და იგი მსოფლიო საზოგადოების სამსჯავროზე გაიყვანა, როგორც ადამიანობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულობათა ორგანიზატორი და შემსრულებელი აგრესიული მხარე.

და მიუხედავად ყოველივე ამისა, გალის რაიონის მოსახლეობა მზადაა, საქართველოს უმაღლესი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ძმათამკელელ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტი-

კური გზით მოვვარებაში ითამაშოს მისი ადგილის შესაფერისი როლი, ძირითადად სახალხო დიპლომატიის, მეზობლობის თუ მეგობრობის არხების, თუ ეკონომიური ბერკეტების გამოყენებით.

ჩვენი ოპტიმიზმი აფხაზურ-ქართული კონფლიქტის პოლიტიკური, მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხში ემყარება, ჯერ ერთი, აფხაზი ხალხის რეალურად მოაზროვნე, სეპარატისტული იდეოლოგიისაგან თავისუფალი ნაწილის პოზიციებს, ქართველთა და აფხაზთა მეგობრული, ნათესაური ურთიერთობის ათასწლიან ისტორიულ ფესვებს, რომლებმაც უნდა მოევცეს ახალი ამონაყარი.

ძალით დამყარებული მშვიდობა, ეფემერული და მყიფეა. იგი უმალვე ირღვევა, როგორც კი მშვიდობის დამამყარებელნი (ე.წ. „ცისფერი ჩაფხუტები") წავლენ. ასეთ მშვიდობას ჩვენ არ ვესწრაფვით. მშვიდობა უნდა მოვიდეს ბუნებრივი გზით, ხალხებს შორის ეკონომიკური, კულტურული, მეზობლური, ყოფითი ურთიერთობების აღდგენის აუცილებლობის ძალით და მოვა კიდეც.

. ოპტიმიზმის საწინდარია: ქართველი ხალხის დიდსულოვნება და სიბრძნე, მისი ქრისტიანული მიმტევებლობის ამოუწურავი უნარი, საქართველოს ხელისუფლების მზადყოფნა კონფლიქტის პოლიტიკური, მშვიდობიანი გზით მოწესრიგებისათვის.

...საქართველოს სტაბილურობის განმტკიცების, სამოქალაქო და სოციალური დაძაბულობის მილევის, მისი ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის თანდათანობითი ზრდის გამოკვეთილი ტენდენცია.

...ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გარშემო საქართველოსათვის ხელსაყრელი საგარეო პირობების შექმნა, სეპარატიზმის მიმართ უარყოფითი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, გაეროს, ეუთოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა და დახმარება საქართველოსადმი მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის სამართლიან ბრძოლაში, საქართველოს აქტიური ჩართვა მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციულ პროცესებში, კავკასიაში ერთმნიშვნელიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნა, მშვიდობიანი კავკასიისათვის მოძრაობის პროცესის დაწყების ფაქტი და განვითარების პერსპექტივები.

აფხაზეთის სისხლით მორწყულ მიწაზე სულ მალე დადგება „ჟამი სიცოცხლისა, ჟამი შენებისა და ჟამი შეკრებად ქვათა". ამის საწინდარი იქნება მიმტევებლობა, ერთმანეთის გვერდში დგომა და ერთმანეთის სიყვარული. გვეჯერა, რომ მთელი სიცხადით გამართლდება სიტყვები:

„რაც მტრობას დაუნგრევია,
სიყვარულს უშენებია."

რ. დგებუაძე

ჩვენ დავბრუნდებით

ჩვენ დავბრუნდებით ედემის ბაღში,
გზით პირდაპირით, არ გამრუდებით,
მშობლიურ ცის და მიწის წიაღში
კვლავ სიმღერებად ავგუგუნდებით!

ისევ ავზიდავთ სრა-სასახლეებს
ცისარტყელების შვიდფერ თაღებით,
და ზედ საყვარელ წმინდა სახელებს
ამოვქსოვთ ოქროს ყაისნაღებით!

ავაბრიალებთ სიცოცხლის დროშებს
ნარინჯ-თურინჯის პლანტაციებად!
ჩვენ დავბრუნდებით დეკემბრის თოშზე
ვით გაზაფხულის შურისძიება!

ჩვენ დავბრუნდებით მტრების ჯინაზე
მხრებგაშლილი და წელგამართული,
კოლხთა ღვთის რჩეულ ბებერ მიწაზე
კვლავ იჯეჯილებს ჯიში ქართული.

რ. დვალიშვილი

ხ ა რ ჩ ე ბ ი

წინასიტყვაობა 12
აეხაზეთი ჩვენი 13
სამურზაყანო 61
„მშობლიურო ჩემო მიწავ!“ 63
სამურზაყანო–გალის რაიონი 65
სამურზაყანოელი სოხუმელები 83
სისხლიანი დღეები სამურზაყანოში 88
ოქუმი და ოქუმელები 138
სისხლის წვიმები ქვემო ბარღებში 146
მეხთატეხა რეფი-შეშელეთში 150
ტრაგედია შეშელეოში 153
„ედემის ბაღშიც შემოალაჯა სიკვდილმა“.—პირველი გალი 158
ქარბორბალა გუდავაში 163
ისინი ერისკაცები იყვნენ 169
სამურზაყანოს ტრაგედიის ღროს დაიღუპნენ 178
ღღემდის უგზო-უკვლოდ დაკარგულად იოვლებიან 227
მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინოებს 229
გამაგრდით, არხოტიანნო, 363
ქალაქი ღღეს... 406
უტყვიოდ დახოცილები 412
გალის რაიონის გამგეობა ღევნილობაში 431
„რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია...“ 435
ჩვენ დავბრუნდებით 438

რედაქტორი მურმან ჭედია
ტექნიკური რედაქტორი ლეილა კვიკვინია
კორექტორები: ლალი შანგირაძე,
ლია შერგელაშვილი
მხატვრული რედაქტორები: მამეკა ფოფხაძე,
ილია თევდორაძე,
ლაგით ჯინჭველაშვილი

გადაეცა წარმოებას 27.01.98, ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.03.98, გამოცემის ფორმატი 60X90 1/16, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 27,5, მეცდეა ოფსეტური
შეკვეთა №158. ტირაჟი 2000

ფასი — სახელშეკრულებო

ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის ს/ს „სტამბა",
ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33